Къ числу построекъ и принадлежностей къ нимъ, по мѣстонахожденію своему и роду и значенію, относятся: 1) сѣверная половина желѣзныхъ воротъ; 2) Водомѣръ 3) Прачешная. Несмотря на это Вы нашли для себя возможнымъ предъявить ко мнѣ претензію.

Несмотря на мое, такъ категорически выраженное, мое право на постройки и принадлежности къ нимъ, Вы нашли возмо для себя возможнымъ предъявить мнѣ претензію относительно воротъ желѣзныхъ воротъ, сѣверная половина которыхъ всецѣло оказалась на моемъ участкѣ и составляла принадлежность моихъ построекъ. Я Вамъ безъ всякаго возраженія уступилъ эту часть воротъ. Эта уступка стоитъ мнѣ сейчасъ сорокъ четыре руб.

Водомѣръ также оказался на моемъ участкѣ и слѣд., долженъ былъ поступить въ мою собственность, но Вамъ Вы нашли и тутъ нашли для себя возможнымъ предъявить претензію и на этотъ водомѣръ. Я опять таки уступилъ Вамъ и въ этомъ, хотя и [н]езъ не безъ возраженія и не безъ ~~чувств~~ откровенно говоря, не безъ ~~чувства~~ чувства неприятности. Это удовольствіе будетъ стоить мнѣ неменѣе какъ Вамъ извѣстно, пяти десяти руб., если не больше. Кромѣ того, я предоставилъ на выложеніе колодца при уступленномъ мною водомѣрѣ часть кирпичей и потребное количество извести, которыхъ я въ счетъ не беру.

Еще до этихъ уступокъ уже Вами осуществлен

Еще раньше до этихъ уступокъ Вы изволили возразить мнѣ въ разговорѣ сожалѣніе и огорченіе по поводу того, что продавъ мнѣ 175 1/2 кв.

саж. земли совѣми на нея этой землѣ постройками и принадлежностями на-къ-нимъ, Вы остались безъ прашечной и что у Васъ нѣтъ на-ея построи средствъ строить ее, для себя на собственномъ участкѣ. Я, какъ теперь оказывается, имѣлъ большую неосторожность выразить Вамъ мою добровольную готовность помочь Вамъ въ постройкѣ новой комнаты величиною бывшей отошедшей ко мнѣ, по купчей, прашечной прашечной исключительно въ том[ѣх]ъ предложеніи, видахъ, что у меня останется матеріаль что собственно постройка не повлечетъ собою де расхода деньгами, такъ какъ матеріаль для постройки отъ моей постройки того, что я для себя строилъ предвидѣлся остатокъ строительнаго матеріала. только для постройки, но отнюдь Потому Добровольная моя помощь должна была выразиться въ принятіи съ моей стороны половины расходовъ, могущихъ пойти на постройку прашечной комнаты такой же величины какою отъ Васъ въ видѣ прашечной отошла ко мнѣ по купчей.

Такъ было до пріѣзда Вашего изъ дачи. По пріѣздѣ же Вы соизволили предложить мнѣ эту мою добровольную помощь направить на замѣну досчатыхъ стѣнъ Вашего сарая кирпичною кладкою.

Такъ какъ въ этомъ послѣднемъ случаѣ мнѣ приходилось гораздо больше строить, чѣмъ въ первомъ случаѣ, то я довольно долго, а это, влекло за собою и большій расходъ, то я сначала выразилъ Вамъ свое несогласіе на оказаніе такого рода помощи, а потомъ все же уступилъ, но съ тою лишь тѣмъ лишь непремѣннымъ условіемъ, чтобъ по добровольная помощь моя ограничилась лишь возведеніемъ кирпичныхъ стѣнъ до балокъ, въ вышину до балокъ на мѣстѣ досчатыхъ. На этомъ мы и покончили. Во что все это можетъ быть подтверждено показаніями свидѣтелей. Въдъ Все это происходило въ присутствіи нѣсколькихъ лицъ. и при у

Въ этихъ и только въ этихъ предѣлахъ, т. е., только въ постройкѣ стѣнъ въ Вашемъ сараѣ Вы могли рассчитывать на мою помощь и ни на юту больше. Если бы даже этого не было. Въдъ Помощь моя вообще будучи добровольною а никакъ не обязательною, должна быть, по логикѣ вещей и естественному чувству справедливости, быть въ случаѣ недоразуменія опредѣляться какъ по роду, такъ и размѣромъ тѣмъ, кто ее добровольно предлагаетъ, да а не тѣмъ, кому предлагают. Конечно, отъ всего послѣдняго зависитъ принять или не принять ее предд ее, ко требовать больше свыше того, что предно разъ принята потребовать большаго нѣтъ никакого основанія, онъ не имѣетъ ника[ко]го права, никакого основанія.

Тѣмъ не менѣе я не ограничился указанными предѣло помощью въ указанныхъ предѣлахъ. Я Вамъ ~~возвелъ~~ не только возвелъ кирпичныя стѣны въ сараѣ, ~~велъ на мѣсть досчатыхъ~~ но купилъ еще чугунный котель для прачешной печи, уступилъ Вамъ дверцы къ сей послѣдней, предоставилъ Вамъ кирпичи въ количествѣ потребномъ для выкладки печи въ сараѣ и потребное количество черепицы на ремонтъ крыши, для даль трое балокъ, двери и окно. Чего же еще больше?

Такъ, на чемъ же основаны Ваши дальнешія требованія? въ такой категорической и повелительной формѣ предъявляемыя—Опять спрашиваю: развѣ я обязанъ былъ дѣлать Вамъ какую либо ужъ изъ выше указанныхъ уступокъ? Развѣ я обязанъ былъ строить Вамъ что-либо?

Потрудитесь припомнить, что я ~~вызвался~~ добровольно вызвался принять то или другое участіе въ постройке ~~стѣнъ~~ ~~прачешной стѣнъ~~ комнаты, но отнюдь не въ отдѣлкѣ ~~ея~~ ~~сн~~ внутри и снаружи и не въ приспособленіи этой постройки къ тѣмъ или другимъ ~~цѣлямъ~~ т. е. не въ приспособленіи ея къ тѣмъ или другимъ.

[1902 წლის 14 აპრილის შიგნით]

### <დავეხმე ალექსანდრე ოლდენბურგელისადმი>

Гагры

Его Выс-ству принцу Алексан. Петровичу.

Глубокопочтенный милостивымъ рескриптомъ Вашего Высочества и ~~переговоривъ~~ ~~директоромъ~~ ~~пріюта~~ Сидоровымъ ~~посмѣлюсь~~ проникнутый важностью и великодушиемъ Вашихъ начинаній любезно переданныхъ мнѣ П. А. Сидоровымъ Я въ виду открытія завтра Двор. 2<sup>м</sup> Мая Дворянскаго Ба Собранія распредѣляющаго прибыли Банка ~~осмѣлюсь~~ беру смѣлость беспокоить Ваше Высочество почтительной просьбой разрѣшить мнѣ черезъ представителей дворянства ~~внести на~~ ~~обсужденіе~~ довести до свѣдѣнія дворянскаго собранія о ~~просвещенномъ~~ ~~о милостивыхъ~~ просвещенныхъ заботахъ Вашихъ ~~уси~~ [...]~~вленіи~~ которыя не могутъ не оказать существенной пользы не только Черноморскому побережью, но и дворянству нашей Губерніи но и всему населенію нашего края. Въ случае милостиваго соизволенія буду имѣть ~~чест~~ счастье ~~все пре~~ по окончаніи Двор. Соб. все преданнѣйше доложить о постановленіи дворянства.

[1903 წლის 1 მაისი]

# ნაწილი VI

## პუბლიცისტური წერილები და მიმოხილვები

### ვისრამიანის დაბაჟების გამო

ვისრამიანი, — ეს ყოველ მხრით შესანიშნავი განძი ქართულის ლიტერატურისა, -- არ ყოფილა დღევანდლამდე დაბეჭდილი სრულად. მხოლოდ ზოგიერთი კარი ბატ. ჩუბინოვის ქრესტომატიებშია ჩართული. არც მისი ხელნაწერებია ისე ხშირი ჩვენში, როგორც თვით თხზულების ისტორია სამართლიანად ითხოვს.

ეს თხზულება ეკუთვნის დიდებულს დროს თამარ მეფისას, ამას ჰმონებოხს თვით ენის სიკეთე, სიცხოველე და კილო. დამწერად სარგის თმოგველს ამბობენ, თუმცა მტკიცე საბუთი ამისი, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერას გზით ვერსად ვიპოვეთ. ეს კი ცოტად თუ ბევრად საფიქრებელია, რომ ვისრამიანი ვეფხვის ტყაოსანზედ ადრეა დაწერილი, იმიტომ რომ რუსთაველი რამდენსამე ადგილას თვისს პოემაში იხსენიებს ვისრამიანის გმირთა: ვისსა და რამინსა; იმათი ერთმანეთის სიყვარული და ტრფიალება მაგალითებსავით მოჰყავს.

არ ვიცით, ვისარამიანი საკუთარი ქართული თხზულებაა თუ ნათარგმნია. ამ საგანზედ ჩვენში სამ გვარი აზრია გავრცელებული.

ზოგნი ამბობენ, რომ საკუთარი ქართული თხზულებაა და ამას ამყარებენ, პირველ, იმაზედ, რომ მეტად თვალსაჩინო მაგალითებია წმინდა ქართულის ჩვეულებისა შიგ მოყვანილიო; მეორე, იმაზედ, რომ ენა მეტად ფაქიზია, მკაფიო, სიტყვების განყოფილება ფრაზაში თითქმის არ ჰღალატობს წმინდა ქართულს ენასაო და თუ თარგმანი იყოსო, რაც უნდა ნიჭიერი მთარგმნელი ყოფილიყო ამის გადმომღებო, არ შეიძლება, ბევრგან არ აჰყოლოდა უნებლიედ იმ ენის წყობილებას და თვისებას, რომლიდამაც სთარგმნიდაო.

ზოგნი, ამბობენ, რომ თუმცა თვითონ ამბავი ვისისა და რამინისა სპარსულია, მაგრამ ეს ამბავი ქართველს მწერალს მხოლოდ გაუგონია, თვითონ მხოლოდ შინაარსი აუღია, და თავისით დაუწერია, და არა გადმოუთარგმნია სპარსულის ტექსტიო. ამ აზრსაც ისევ ის ზემოხსენებულის აზრის საბუთები უდგება მოწმად, და ეს აზრი პირველზედ უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, რადგანაც ნამდვილად ცნობილია ევროპის მეცნიერთაგან, რომ ვისისა და რამინის ამბავი სპარსელებს ეკუთვნისო, და შესაძლოა ჩვენს მწერალსაც გაეგონოს და მერე თავისით ახალი თხზულება დაეწეროს.

მესამე აზრი ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება. ამას ამტკიცებს თვითონ პირველი კარი ამ თხზულებისა, საცა მოხსენებულია რომ ამბავი ფაჰლაურიდამ სპარსულად გადმოთარგმნილია. ამ გარემოებას მით უფრო ძალა ეძლევა, რომ დღესაც სპარსულად დარჩენილა „ამბავი ვისისა და რამინისა“, ქილილა და დამნასავით ლექსად და პროზად შერევიტ დაწერილი მეთერთმეტე საუკუნეში. ამბობენ სპარსულითგან ეს თხზულება ნემენცურადაც გადაუთარგმნიათ.

ეს სპარსული, ნემენცური და ქართული „ვისრამიანი“ რომ ერთმანეთს შეუფარდდეს, მაშინ საბუთი მოგვეცემოდა ან ერთს, ან მეორეს, ან მესამე აზრზედ დამყარებულვიყავით. ჩვენდა სამწუხაროდ, ამისათვის მასალა ვერ მოვიპოვეთ, ვერც სპარსული ვიშოვეთ და ვერც ნემენცური, რომ ენის მცოდნე კაცთათვის გადაგვესინჯებინა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ამ შესანიშნავის თხზულების სრული ვითარება გამოუძიებლად არ დარჩება, მით უფრო, რომ ეს თხზულება ამისი ღირსია და, ჩვენის ფიქრით, სასახელოც იმ ერისათვის, რომელსაც იგი პირველად შეუქმნია.

საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა ქართულის მწერლობისათვის აუცილებელი იყო. მაღალი პოეტური მისი ღირსება, მაღალი ნიჭიერების ბეჭედი, ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა, თვით პროზაული ენა, მაჩვენებელი ლიტერატურის შემუშავების ხარისხისა, ყოველივე ესე ამ თხზულებასა ხდის ძვირფასს საუნჯედ ჩვენის მწერლობისა. ამ გვარი ღირსება ყოფილა მიზეზი ვისრამიანის დარჩენისა, რომ ჟამთა ვითარების დაუდგრომლობას არ ნაუშლია, სხვათა მრავალთა თხზულებათა მსგავსად. მართალია, ჩვენში ვეფხვის ტყაოსანსავით გავრცელებული არა ყოფილა ყოველს ოჯახში და, როგორც ამბობენ, ქალებს სულ არც კი აკითხებდნო, მაგრამ შესწავლულ კაცებში, უმაღლეს საზოგადოებაში მიღებული ყოფილა ვეფხვის ტყაოსნის დაწერის წინადაც; ამას გვიმტკიცებს თვით ვეფხვის ტყაოსანში რამდენჯერმე მოხსენებული ვისის და რამინის სახელი<sup>1</sup> ამ პროზაულს თხზულებას რომ ზემოქმედება ჰქონია ჩვენს მწერლობაზე, ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ იმისთანა დიდს პოეტს, როგორც რუსთველია,

<sup>1</sup> ხანა 182: „იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა.“ ხანა 1074: „და ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.“ ხანა 1536: „და ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა ნუმცა თუ რამინს და ვისსა.“ ვეფხვის ტყაოსანი, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან. ს-პეტერბურლს, 1860 წ.

ყურადღება მიუქცევია და სამაგალითოდაც გახდომია. ზოგი ადგილი ვეფხვის ტყაოსნისა მოგვაგონებს მსგავსებას ვისრამიანისას და ზოგის აზრის გამეორებას, თითქოს რუსთველს ვისრამიანიდამ ამოელოსო, რასაკვირველია, უმეტესის მშვენებით და გამოხატვით. წერის კილო ორისავე თხზულებისა, თუმცა ერთი ლექსია და მეორე პროზა, ერთმანერთს უახლოვდება, რადგანაც თითქმის ერთსა და იმავე დროს ეკუთვნის. ამ საფუძვლით აიხსნება საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა.

ტექსტის სინამდვილით დაბეჭდვისათვის რედაქციას მხოლოდ ოთხი ხელნაწერი ჰქონდა. ამათგანი ერთი „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკისა, მეჩვიდმეტე საუკუნეში ანუ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მშვენიერის ხელით ნაწერი, დანარჩენს სამს დედანზე უკეთესი აღმოჩნდა სისრულით და შეურყვნელობით. სხვა მეორე ხელნაწერი სრულებით ეთანხმებოდა უცვალებლად პირველსა, მხოლოდ აკლდა რამდენიმე დახეულ-დაკარგული ნაწილი. დანარჩენი ორი დედანი აღმოჩნდა დამახინჯებული: ერთია შეცვლილი, თითქოს გადამწერს ძნელად გასაგონის აზრების თარგმნა დაუწყია, წყობა წინადადებათა, სიტყვათა და თვით სიტყვები შეუცვლია; და მეორე – მწერლობის უცოდინარს გადმოწერის დროს თვისის უმეცრების ბეჭედი დაუსვამს. ორივე ეს უკანასკნელი დედნები ამ შერყვნილების გამო სავსეა უაზრობით, ანუ ძლიერი აზრი, ძლიერად გამოხატული, დაუძღურებულა და სიცხოველე დაჰკარგვია. ამ ოთხს დედანს უნდა დასჯერებოდა რედაქცია, რადგანაც მეტი ხელნაწერი ვერ მოიპოვა. ბატონ ჩუბინოვის ქრესტომატიებში დაბეჭდილი, მეტადრე პირველი გამოცემის ნაწყვეტი, ვისრამიანის არც ერთს, ოთხ მოხსენებულ დედანს, არ ეთანხმება; ეტყობა ძლიერი ცვლილება და ამიტომ მისი ვარიანტების მოხსენება არ მოხერხდა. ტექსტი დაიბეჭდა პირველის დედნიდამ, ზოგიერთს იშვიათ ადგილებს გარდა, და ცვლილება-ვარიანტები დანარჩენის ხელნაწერ ეგზემპლარებითგან სხოლიობად იქმნა მოხსენებული. ამ სხოლიობებშივე ზოგი საჭირო განმარტება რედაქციამ შემოიტანა.

ტექსტის ბეჭდვის მართლწერა რედაქციამ დაიცვა ძველის ხელნაწერის დედნისა, ზოგი იქნება შეცთომილებითურთ, იმ საფუძვლი-საგამო, რომ ამ ძველ ნაწერ თხზულებას რამდენადმე მიეცა მასალა სასაუბრო ენის გამოთქმის, მეტყველების და ხმათა ცვლის ისტორიისათვის. მაგალითად უ დაუტევეთ და არ შეეცვალეთ ეხლანდელ ვინად, და არც მეთვრამეტე საუკუნეში შემოღებულ ამ ორ ასოთა აღსანიშნულ უ (უ ბრჯგუდ).

ტექსტს დაერთვის ლექსიკონი, შედგენილი საბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად ცოტაოდენის დამატებით ანუ შეცვლით და სხვათა ენების ლექსიკონთა და კარტათა დახმარებით ისტორიულ-გეოგრაფიულ სიტყვათა ახსნისათვის.

[1884 წლის 29 ივლისამდე]

### † თავ. მამია გურიელი (ფაზელი)

გულის საუნჯე მაქვს სავსე  
საიდუმლოთა სპეკალთა,  
მაგრამ ვერ გავხსნი, ვერ ვიტყვი,  
ენაზე მასმენ ეკალთა.  
მეფე ვახტანგ VI

დეე, იცვალოს გარემოება,  
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,  
თვით ნუ იცვლები, მოვა დროება,  
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.  
მ. ფაზელი

კიდევ გაისმა ზარი გლოვისა და სიკვდილმა კვლავ დაგვწყვიტა გული. ფიქრი ჩვენი კვლავ მოიცვა ნისლმა და ბურუსმა და შავმა და ბნელმა აზრებმა კვლავ შეგვაცურა სევდის ზღვაში, საცა ყოველსავე შავი და ბნელი ფერი სძევს, ყოველივე ძაძაფლასით არის მოსილი და უიმედობა და უსასოობა ჰსუფევს მხოლოდ.

ჩვენმა პატარა ქვეყანამ დღეს კიდევ დაჰკარგა ერთი თავისი მამულისშვილი, თავისი ერთგული ძე, თავისი მოტრფიალე, თავისი შემამკობელი. მის უიმისოდაც უღონო ფრთებს ბედმა ერთი ძლიერი ღერი კიდევ შეაკვეცა, დაუსუსტა ძალა აღფრთოვანებისა, აღმაფრენისა, მაღლის კამარა-ნავარდობისა, მისთა მგალობელთა და ქება-დიდებით შემამკობელთა გუნდს უწყალოდ გამოაკლო ძლიერი მგოსანი, სახმილებრ მწველის ლექსებით მისთვის თავ-განირვისა და თავდადების ენა-დაუშრობელი მლაღადებელი.

ნავიდა მამია იმ სოფელს; შესწყდა იმის გულის ძლიერი ძგერა, დადუმდა მისი ბაგენი, შავს მიწას ამოეფარა იმისი სუსტი გვამი, განჰქრა იმისი ძლიერი, კვეთებითა და ბორგვა-დრტვინვით აღსავსე სული...

„განჰქრა სულიო“! არა, სული მისი არ გამქრალა. ისევ ჩვენს შორის ტრიალებს, იმის ნაწერებშია უხილავად ჩაქსოვილი, თითოეუ-



ლის ჩვენგანის გულშია ღრმად ფესვ-გადგმული და იქიდან ვერა-რა ძალა ქვეყნიური ვერ ამოჰფხვრის, ვერ ამოაქარევის.

რითი იყო ძვირფასი მამია? იმითი, რომ მეტად უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა; იმითი, რომ მზად იყო წვეთ-წვეთობით დაექცია მისთვის სისხლი; იმითი რომ ტანჯვა და წამება მისთვის ლხინად უჩნდა, ქორწილი ეგონა; იმითი, რომ მის მტერს, მისს ავის მთქმელს ზედ შეაკვდებოდა; იმითი რომ მის სიკეთეს თავის საკუთარ ბედნიერებად ჰსახავდა; იმითი, რომ მისს უბედურობას ისე ჰგლოვობდა, როგორც არც ერთს მიჯნურს არ შეუძლიან იგლოვოს თავისი სატრფო.

მამიას უყვარდა თავისი ქვეყანა და ფარვანასავით თავს ევლებოდა. მისთვის იწვოდა, იდაგებოდა, ილეოდა, დნებოდა. მაგრამ ამ ტანჯვა-წამებაში მამია მარტი იყო, უამხანაგო, ობლად დარჩენილი და ერთი კაცი რას შესძლებდა, რა ბედნიერებას მიანიჭებდა ქვეყანას, რომლის გაბედნიერებისათვის ასისა და ათასის თავ-გამოდებული შრომა და ჯაფა იყო საჭირო. ასე მარტოდ და ობლად დარჩენილი პოეტი ამბობს ერთს თავისს ლექსში:

მე ყველასაგან უარ-ყოფილი,  
მარად დევნილი შურიანობით,  
საყვარლისგნითაც მწარედ დასჯილი,  
მთლად გულ-მოწყლული,  
დამწვარი გრძნობით,  
ვეგდე ჩემს სახლში უამხანაგო  
და უმეგობრო, მარტოკა, ერთი;  
ვფიქრობდი, მისთვის თავი წამეგო,  
ვის მიზეზითაც მწამს კვლავაც ღმერთი...

ძნელია, როცა სურვილი დიდია საქმის გაკეთებისა და ღონე-კი არ არის ამ სურვილის განხორციელებისათვის. იგი სურვილი საქმის გაკეთებისა თან და თან უფრო ძლიერდება და, რამდენადაც უფრო ძნელი განსახორციელებელია, რამდენადაც უფრო მრავალია მის განხორციელებისათვის წინ-გადაღობებული დაბრკოლებანი, მით უფრო საშინელი ტანჯვა და ვაება ემატება ადამიანს. ვინც მამიასავით მძლავრის სულისა არ არის, ის მალე მიატოვებს თავის სურვილს:

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს  
კარგისა მამაციისაგანაო,

იტყვის და ნელ-ნელა ჩააქრობს თავისს გულში იმ ცეცხლს ქვეყნის სიყვარულისას, იმ წყურვილს თავის ნატვრა-სურვილის განხორციელებისას, რომელიც ან ძნელი მოსაკვლელია, ან რომლის მოკვლა

ყოვლად შეუძლებელია. ბრძენი კაცი, ფილოსოფოსი აიღებ-დაიღებს, ასწონ-დასწონის, კომპრომისებს მოსძებნის, ოპორტუნისტობას ხელზე დაიხვევს და სიფრთხილით, ნელ-ნელა, დროსა და გარემოების შესაფერად დაინყებს მოქმედებას თავისის საყვარელის, თავის წმინდა სურვილის, თავის იდეალის განხორციელებისათვის. მამია ასეთს ფილოსოფოსობას არ ენწყობდა, ასეთს კომპრომისებს არ სწყალობდა, ასეთს ოპორტუნისტობას ლაჩრობა-სიმხდალეს უწოდებდა და ჰლამობდა გულის ფიცრით კლდის გატეხასა, კედლის განგრევისა. იმისი ფილოსოფია, იმისი სიმბოლო სარწმუნოებისა იყო იმის „ალავერდი“. ვისაც გნამთ ჩემი აზრი და მოგწონთ ჩემი სურვილი, მე მზადა ვარ და ალავერდი თქვენთანაცაო. მამია გადადიოდა ალავერდს ყველასთან, ვისაც-კი შეამჩნევდა ადამიანობის ნიშანთ-წყალს და, ჰხედავდა რა გარშემო დიდს სულით დაცემას,

ჩვენსა ნამხდარს გმირობას,

ჰხედავდა რა, რომ საქმის გაკეთების მაგიერ, დაბრკოლება-სიძნელის წინააღმდეგ პირდაპირ შებრძოლების ნაცვლად, გარშემო ყველანი რალაც მიზეზ-მიზეზებს იხვევდნენ ხელზედ, სხვა-და-სხვა სათეორიო მოსაზრებას იშველიებდნენ და იმითი მართლულობდნენ თავს, იმით უნდოდათ ვითომ თავიანთი ჩივირაოტობა, გულის სინამცეცე და ლაჩრობა-სიმხდალე გაელამაზებინათ, ეძლეოდა სასონარკვეთილებას, ცდილობდა, თავი დაეინყებინათ თავის მიეცა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა და მორალისტის კილოთი ჰქადაგობდა ისევ იმ მოძღვრებას, რომელიც უარ-ჰყოფს კომპრომისებს:

დაე, იცვალოს გარემოება,

თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,

თვით ნუ იცვლები, მოვა დროება,

გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.

ასეთის აზრისა და შეხედულობისა იყო განსვენებული მამია და მთელს იმის პოეზიას ის უდგავს სულს, რომ ერთობრივის მხნეობით უცბად გავაბედნიეროთ ჩვენი ქვეყანაო. ნუ ავჰყვებით გარემოებას, ნუ შევიცვლებით ჩვენც გარემოების მიხედვით, ჩავიდგათ სული მამა-პაპათა და შევებრძოლოთ ყოველს დაბრკოლებას, რომელიც-კი ხელს გვიშლისო.

მაგრამ კვლავ პასუხი, კვლავ თანამგრძობელნი არსად იყო. სული პოეტისა ამის გამო ჰშფოთავდა, ჰბორგავდა, ყაფაზაში დამწყვედულ ლომივით ჰგრგვინავდა, აბობოქრებულის ზღვასავით აქეთ-იქით კიდებებს ეჯახებოდა, ჩიოდა, ტიროდა, ინყევებოდა,

ფიცსა და ალთქმასა სდებდა, თავის იდეალისთვის არ ელაღატნა არასოდეს, არაფრის გულისათვის. იმისთვის შიში არ არსებობდა, დაცხრომა, დამშვიდება შეუძლებელი იყო. ერთს თავისს მეგობარს აი რასა სწერს, სხვათა შორის:

„შეიძლება სასონარკვეთილის ადამიანის შეშინება? ვისაც წარსულში ნალველი უსვამს და მომავალში მოელის უარესს ნალველსა და სამსალას, მე ვფიქრობ, ამ ნაირ ადამიანებს სიკვდილიც სასაცილოთ მიაჩნიათ.“

ერთ ლექსში, საცა პოეტისა და ჩვენების ლაპარაკია, ჩვენება, ტურფა ქალის სახით, ამხნევებს პოეტს და ჰპირდება მის წმინდა სურვილის განხორციელებას მხოლოდ იმ პირობით, რომ ნულარ იქმნები სასონარკვეთილი, კვლავ მოიეც იმედი, ნუ ჰმარხავ ნიჭს მინაშო. პოეტიც აძლევს ფიცს. შესანიშნავია ეს ადგილი ამ ლექსისა, რომელშიაც დიდი სულის-კვეთება იხატება. და აი როცა ასეთის გულწრფელობით დადებულს ფიცსა და ალთქმას იჯერებს ჩვენება და გულდამშვიდებული მიჰფრინავს ზეცას, ყოველივე სიზმარი და ლანდი ჰქრება და პოეტი ისევ ძველებურს სასონარკვეთილებას ეძღვევა:

არ დასდგა, განჰქრა, იხმარა ფრთები,  
ჰაერს შეერთო, გახდა მნათობლად,  
თან წარიტაცა ჩემი ფიქრები,  
აქვე დამაგდო მე ისევ ობლად...

მამია ცოტას სწერდა, უფრო ცოტას ჰბეჭდავდა. წერა და ბეჭდვა მისთვის ისე სასურველი არ იყო, როგორც საქმე. ხოლო, რადგან არც ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლებოდა, რაც „მის გულის საუნჯივად საიდუმლო სპეკალი“ ამოვიდოდა, არც წერასა და სიტყვას აძლევდა იმდენს მნიშვნელობას, როგორც თვით საქმეს, საქმე-კი, მისი სანატრელი საქმე, შეუძლებელი იყო დროთა ვითარების გამო, ამიტომ ჩვენი ძვირფასი პოეტი, დიდის ნიჭისა და მძლავრის სულის პატრონი ცდილობდა სხვაფრივ როგორმე მისცემოდა თავ-დავიწყებას. სევდა და ვარამი გულივად ველარ გადიგდო, ველარ მოიშორა. მისს გულში დაიბუდა ჭიამ საქმის გაკეთების ეჭვისა და უიმედობისამ, გრძნობამ სასონარკვეთილებისამ. მამიაზე სწორედ ისევ ითქმის, რაც გერცენმა სთქვა ბელინსკის შესახებ.

ბელინსკისავით მამიაც გასტეხა დიდმა მხნეობამ და მასთან შეუძლებლობამ საქმის გაკეთებისამ. გული მისი ჰგრძნობდა დიდს შემძლებელობას. საქმეში-კი, – ნამდვილს საქმეში და არა წერაში –

ვერ გამოიყენა ეს შემძლებლობა. ასეთს გარემოებაში ადამიანის ძალა გადაიქცევა ხოლმე შხამად, სანამლავად, რომელიც სტანჯავს, ცეცხლს უკიდებს კაცს.

აი ასეთი ტანჯული, ასეთი ცეცხლწაქიდებული იყო ეს ბოლმითა და ვარამით სავსე მგოსანი, გაბოროტებისაგან ცალკერძ მიმართულის მსჯელობითა, ფიქრითა და აზროვნებით. პოეტმა კარგად იცოდა, რომ ძალა აღმართსა ჰხნავს, მაგრამ მაინც არ შეუდრკა ძალას, არ მოუხარა ქედი გარემოებას, კრიჭაში უდგა ქვეყნის წაღმა-უკულმა ტრიალს, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, და, ვიდრე ცოცხალი იყო, ფეხი მთებზე ედგა ქვეყანად, ტინურად დამტკიცებული; ვითა ქარქვეტი ქართაგან ვერ იქმნა მოტაცებული.

[1891 წლის 3 აგვისტომდე]

### **<ევროპის პოლიტიკური დაჯგუფებები და ჩრდილო ამერიკის შტატები>**

რომ იტყვიან მონასტერი აირიანო, სწორედ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ითქმის. ცხადია, ორთა კავშირი ერთის მხრით და სამთა-კავშირი მეორის მხრით რალაც ღამის თევაშია დიდის ცვლილების დღისა წინაშე. მართალია, ჯერ ვერავის ვერ გაუგია, – ვინ ვის დაეძებს, ვინ ვის გაუზრბის, ვინ ვისთან ჰცდილობს ხელი-ხელ გადაბმას, ვინ ვის ხელიდამ ეცლება, მაგრამ რომ მინის ძვრას ამ კავშირთა ფეხ-ქვეშე, ამას-კი ადვილადა ჰგრძნობს ყველა ის, ვისაც ცოტა ოდნად მაინც თვალი ახილებული აქვს და ყურიდამ ბამბა აქვს გამოღებული. აშკარაა, იგი ნიადაგი, რომელზედაც დაითესა და ამოვიდა ეს ორმხრიული კავშირი, თავს ველარ იჭერს, შიგ რალაც ჭია გაუჩნდა და კავშირთა ფესვებს ერჩის და ჰღრღნის. აშკარაა, არც ერთი იგი კავშირი არ შეეფერება ეხლანდელ საქმეთა ვითარებას და ან უნდა შეეწონოს დღევანდელს გარემოებას და ან უნდა დაიფუშოს, როგორც არაფრის მაქნისი გაუქმებული ციხე-ბურჯი და სხვა აშენდეს. ორსავე შემთხვევაში ფერი და სახე უნდა შეიცვალოს და ეს, ჩვენის ფიქრით, სადღეხვალთა საქმეა მხოლოდ.

ერთიც და მეორეც ხსენებულ კავშირთაგანი გაჩნდა და დაიბადა ევროპის პოლიტიკის ნიადაგზე, მარტო შიდა ევროპის საქმეთა ავ-კარგაიანობამ გამოიწვია და ამიტომაც როგორც კავშირთა მონაწილენი, ისეც ღონისძიებანი ამ ავ-კარგაიანობას შეეფერნენ.

ევროპიელთ შინ ჰქონდათ ერთმანეთში გადახლართულნი საქმეები და ამ საქმეთა გასაძლიერად დაიბადა ერთი კავშირიც და მეორეც. ეხლა კი სულ სხვა ხანა დადგა. სიმწვავე საქმეებისა შიგ ევროპაში ცოტად თუ ბევრად განელდა, მისუსტდა. ევროპის თვალი მიიზიდა აფრიკამ, აზიამ, სახელდობრ, ჩინეთმა და ერთობ შორეულმა აღმოსავლეთმა. ეხლა ბრძოლა და დატაკება ინტერესებისა ევროპის გარედ არის. ევროპის გარედ-კი სულ სხვა ამბავია. რაც შიგ ევროპაში ერთმანეთს აკავშირებს, ევროპის გარედ აცალკევებს, ან სულ უქმად ჰხდის კავშირსა. ამიტომაც არა ერთი და ორი მაგალითია, რომ ევროპის სახელმწიფონი, რომელნიც შიგ ევროპაში ერთმანეთს მუშტს უღერებენ, ევროპის გარედ-კი ერთმანეთს მხარს აძლევენ. მაგალითებრ, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ერთად ჰმოქმედებდნენ ჩინეთ-იაპონიის შერიგების დროს და ეხლაც თითქმის სამნივე ერთად პირში უდგანან ინგლისს ჩინეთის გამო. ან, მაგალითად, თუნდა ავსტრია ავილოთ. შიგ ევროპაში ავსტრია იძულებულია გერმანიასთან კავშირი ჰქონდეს, რადგანაც ბალკანეთის საქმეთა გამო ძლიერი მომხრე ეჭირვება. ჩინეთში და ან აფრიკაში, საცა ეხლა გერმანია დიდ შარა-გზას იკეთებს, ავსტრიას არცა სცხელა და არცა სცივა და რამ უნდა აიძულოს გერმანიის მომხრეობა და ამისათვის თავს რად აიტიკვებს.

ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესები რომ ასე გულმოდგინებით შორეულ აღმოსავლეთს მიაჩემდა, ამან ერთი ფრიად დიდ მნიშვნელობიანი ამბავი მოახდინა ქვეყანაზე. გერმანიამ, რუსეთმა კარგა დიდი ადგილები ჩამოათალეს ჩინეთსა და ჩინეთის ზღვის პირებში კარგი ნავთსადგურები დაიჭირეს ჩინეთში შესასვლელად წყნარ ოკეანიდამ და წყნარს ოკეანეში სასვლელად. აქ ზღვის პირებში ბინა დაუდვეს კარგა მოზდილ ფლოტებს. საფრანგეთმა და ინგლისმაც სამაგიერო მოსთხოვა ჩინეთს და უძღურს ჩინეთს სხვა რა გზა ჰქონდა, რომ არ დამორჩილებულიყო. ამ სახით მთელი ოთხი დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპისა მიუახლოვდა ჩრდილო-ამერიკის შტატებს და ამ ამბავს, რა თქმა უნდა, ძლიერ უნდა ჩაეფიქრებინა იგი შტატები.

დღეს აქამომდე ჩრდილო-ამერიკის ძლიერი სახელმწიფო არ ერევა ამეებში. ამერიკა ამერიკისათვისაო, იძახოდა დღეს აქამომდე და ხმას არ იღებდა, ვიდრე ვინმე თვით ამერიკას არ მიესვოდა. ეხლა კი თვალწინ ამოუტყუდნენ ოთხნი დიდნი სახელმწიფონი ევროპისა და, მოძღვრება ამერიკა ამერიკისათვისაო, ცოტა არ იყოს შეირყა, შეტოკდა, ცოტად თუ ბევრად განსაცდელს მიეცა. ფრთხი-

ლსა და წინდახედულს ამერიკელებს მიეცათ შიში ამ განსაცდელისა და დღეს ვხედავთ, რომ ამერიკამაც იკადრა ფეხის გარედ გამოყოფა. მთელი ეს ომი ისპანიისა და ამერიკის შორის, ჩვენის ფიქრით, სათავეს და მიზეზს ამ გარემოებაში ჰპოულობს. კაცმა რომ გასინჯოს რუკა, ამპარად დაინახავს, რომ ის კუნძულები და ადგილები, რომელსაც ამერიკა ეხლა ართმევს ისპანიას, სწორედ გზის შესაკვერელი ადგილებია ამერიკის ხელში, ამერიკა თავისს მტერს ჯერ აქ დახვდება იარაღით ხელში, ჯერ აქ მოაფხანინებს თავს, აქ დაუნელებს მადას ამერიკაში შესევისას. ფილიპინის კუნძულებს ამ ანგარიშში ცოტა ადგილი არ უჭირავს და აი მიზეზი რისთვისაც ამერიკა ასე ცხარედ ედავება ამ კუნძულებს ისპანიას, რომელიც არა ნაკლების სიცხარით ეურჩება ასე, რომ ლამის პარიჟში შეკრებილი კონფერენცია ამერიკელებისა და ისპანიისა ამის გამო დაიშალოს და საქმე ახალ ომამდე მივიდეს.

ამერიკის გამოსვლამ მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე ყველას ყურები ააცქვევტინა. ხუმრობა კი არ არის ამისთანა თითქმის ყოვლად ძლიერის სახელმწიფოს ჩარევა ევროპიელთა პოლიტიკის საქმეებში. ჩვენა გვგონია, რომ ეს ერთი ისეთი უაღრესი ამბავია მეცხრამეტე საუკუნისა, რომლის თავსა და ბოლოს თვალი ადვილად ვერ გადასწვდება.

რალა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ბევრს დაატოვებინებს ძველს გზასა, და ძველს მეგობარს და ახალს მოანახვინებს ხელ-ახლად კავშირთა დანყობისათვის და ერთმანეთში გასვლა-გამოსვლისათვის.

ვისაც ეხლა ფეხზე მაგრად და შეურყვევლად დგომა უნდა შორეულ აღმოსავლეთში, არ შეიძლება ნატვრის თვალი ამერიკაზე არ მიაქციოს და მისი მომხრეობა და მეგობრობა არ მოინადინოს სულითა და გულით. რა თქმა უნდა, ეს ახალი გარემოება ქვა-კუთხედად დაედება ახალთა კავშირთა წყობას სულ სხვა განზრახვითა და სურვილითა, ვიდრე დღევანდელი კავშირთა წყობაა შიგ ევროპაში. აქ ერთმანეთში გასვლა-გამოსვლისათვის არა მცირე მნიშვნელობა ექმნება იაპონიასაც, რომელსაც მეტის-მეტად ამწარებს ევროპის ზოგიერთის დიდის სახელმწიფოების ჩადგომა ჩინეთში, იმიტომ რომ იაპონია ჩინეთზე ზედ-მოქმედებას მარტო თავისთვის გამოელოდა ჩინეთზე გამარჯვების შემდეგ და ეხლა ევროპიელნი შეეცილნენ და კრიჭაში ჩაუდგნენ. ბევრი ნიშნებია იმისი, რომ იაპონია, ამერიკა და ინგლისი ერთმანეთს მიუდგებიან იმიტომ, რომ ამ სამთა სახელმწიფოთა შორის უფრო ადვილად შესათანხმებელი და მოსარიგებელი ინტერესებია შორეულ აღმოსავლეთში, ვიდრე სხვა ვისთანმე.

თუ ეს ასე მოხდა, სხვა გზა არ არის, თუ არ ის, რომ ან საფრანგეთმა, გერმანიამ და რუსეთმა ერთმანეთს ხელი მიანოდონ საზავოდ და საკავშიროდ, ან ერთ-ერთი ამათგანი უნდა მიეკედლოს ინგლისს, იაპონიას და ამერიკას. ყოველივე ეს, მართალია, ძნელი საფიქრებელია, მაგრამ შესაძლებელი კი.

თუ შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა გარემოებამ ყოველივე ეს მოახდინა, ან არსებულნი კავშირნი ევროპის სახელმწიფოთა, უეჭველია უნდა შეიცვალოს, ან სრულიად დაირღვეს. ამ საქმეთა ვითარებაში, ამ ერთმანეთის მონყობაში დღეს ინგლისს თუ უპირველესი არა, უდიდესი ადგილი უჭირავს და ამით აიხსნება იგი გათამამებული საქციელი ინგლისისა, რომელმაც ასე უეცრად დააქვევითა საფრანგეთი და ფაშოდიდგან კუდი ამოაძუებინა. ამით აიხსნება იგი გაბედული რიხიც და ჭექა-ქუხილი, რომელსაც მოასწავებენ სალისბერიასა და ჩამბერლენის სიტყვები ამ ბოლოს ხანებში.

[1898 წლის 10 ნოემბერი]

### პატარა საშუბარი

„ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვიდგაო“, ბძანებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე<sup>2</sup> მართლადა, ფრიად საყურადღებო ხანა დაგვიდგა. საყურადღებო-მეთქი! საყურადღებო-კი არა, სწორედ სასწაულების ხანაა ეს ჩვენი ხანა, „ცნობის ფურცლის“ და არჩილ ჯორჯაძის წყალობითა.

მეტი სასწაულიანი ხანა-ლა გნებავთ, რომ კაცი ჰფიქრობდეს, ჰმოდრაობდეს, იღვნოდეს და იმავე დროს „უკვე მკვდარი“ იყოს და ველარა მოაბრუნებდეს-რა. აბა ერთი მანიშნეთ, – რომელი ხანა ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში იმისთანა, რომ ეს ასეთი სასწაული არამც თუ მომხდარიყოს, ფიქრად მოსვლოდეს ვისმე უიმისოდ, რომ თავი არ გადაეპარსათ და ცივი წყალი არ ესხათ.

მე რომ „კონსერვატორი“ და „რეაქციონერი“ არ ვიყო, თვითონ ბ-ნი ჯორჯაძე ღირს-გამხდიდა და დამემონებოდა, რომ ამისთანა სასწაული არამც თუ თავის დღეში არ მომხდარა, ფიქრადაც არავის მოსვლია. ჩვენში-კი დღეს ეს სასწაული მომხდარა და, თუ არ მომხდარა, ფიქრად ხომ მოსვლიათ და მოსვლიათ. მოდით და ამას იქით ნუ ბძანებთ არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, რომ დღეს „ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვდგომია“.

ვისი უნარია ეს ამისთანა სასწაული? ვის მოუვიდა ფიქრად, რომ შესაძლოა მკვდარიც იყოს და ჰფიქრობდეს, ჰმოდრაობდეს და ილ-

<sup>2</sup>(იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1720), ნერილი არჩილ ჯორჯაძისა.

ვნოდეს კიდევ? რა თქმა უნდა, ძველის მიმართულების კაცნი ამ სასწაულის ქმნას, თუ თქმას ვერც შეჰბედავდნენ, ვერც მოახერხებდნენ, რადგანაც არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი. ვინ მიაქვავათ ძველებს ამაების შნო და უნარი! დაილოცა ისევ ახალ მიმართულების ვაჟ-ბატონები და მათ შორის ჩვენი თავ-მონონებუ-ლი არჩილ ჯორჯაძე! ეს რომ არა ჰყავდეთ, სხვა უიმისო ვინ იტყოდა რიხით და გაბედვით, რომ შესაძლოა კაცი ჰფიქრობდეს, ჰმოდრაობდეს, იღვწოდეს და იმავე დროს „უკვე მკვდარი“ იყოს. ესეც თქვენი ახალი ფიზიოლოგია, არჩილ ჯორჯაძის მიერ შეთხზული და „ცნობის ფურცლისაგან“ გამოცემული.

იქნებ არ გჯერათ, რომ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ყოვლად-შემძლე-ბელმა და სულ ახალ-ახლად გამომცხვარმა მეცნიერებამ ხსენებუ-ლი სასწაული წინ გადაგვიშალა. აი, ბატონებო, თქვენის ბედნიერის თვალთ იხილეთ და თქვენის ბედნიერის ყურით მოისმინეთ იგი საოცარი და უცნაური ახალი, რომელიც მას თვისდა სასახელოდ აღ-მოუჩენია და რომელსაც, იმედია, არავინ შეეცილება.

„ჩვენის ცხოვრების ახალ მიმართულებასთან ერთად წარსული წესი ჰფიქრობს, ჰმოდრაობს და იღწვის. ეს მოვლენა ფრიად საგუ-ლისხმოა, რადგან ჩვენის ერის ცხოველ-მყოფელობის მაჩვენებელია“.

... „რას იზამთ? ასეთია „სულთა ბრძოლა“ ძველის წესისა! იგი უკვე მკვდარია, მას ვერც პლების მეცნიერება, ვერც ბ-ნ ტფილე-ლის პუბლიცისტიკა ვერ გამოაბრუნებს“.

ამ ორსავე ტირადას ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე კაცი სწერს და იგი კაცი არჩილ ჯორჯაძეა<sup>3</sup>. განა საოცარი არ არის ეს ნაჯეგ-უკუჯეგობა, ეს თქმა და იმავე დროს უკუთქმა, რომ სხვა მეტი არა ვთქვათ-რა!.. რას იზამთ? ასეთია თურმე ახალნი სამამა-ცონი ზნენი, ახალი შნო და უნარი არჩილ ჯორჯაძისებურ ახალ მი-მართულებისა. ჯერ გვეუბნება, რომ წარსული, ესე იგი, ძველი წესი ჰფიქრობს, ჰმოდრაობს, იღვწისო და მერე იქავ უმატებს, იგი, ძველი წესი, უკვე მკვდარია და ველარა გამოაბრუნებს-რაო. თუ ჰფიქრობს, ჰმოდრაობს და იღვწის, როგორი-ლა მკვდარია და თუ მკვდარია, როგორ-ლა ჰფიქრობს, ჰმოდრაობს და იღვწის? აბა, კოდელი ნინო, რამლი ჰყარე და ეს ამიცანა გამოიცან.

ახალ-მოსული.

[1902 წლის 19 თებერვლაშუაშუა]

<sup>3</sup> იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1720, წერილი არჩილ ჯორჯაძისა.



# ნანილი VII

## ზეპირი გამოსვლები

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკის წევრთა  
წლიური კრება

1872 წლის 27 ნოემბერი

**გამოსვლა:** „1867 წელსა თავად-აზნაურობამ გამოჰსთქვა სურვილი ბანკის დაწესებისა იმ აზრით, რომ დაისხნას ჩვენი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. იგი აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდ-სულოვანებითა და ნაყოფიერებითა. ამა ძვირფასის აზრის გონიერებითსა შესრულებაზედ დამოკიდებულია ჩვენის ეკონომიურის მოღვაწეობის იგი განცხოველება და განძლიერება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ ნივთიერ-კეთილდღეობამდე და სიმდიდრემდე და ამის გამო ზნეობის სიკეთემდეცა. აი, ამის გამო ღირსია გულითადის ჩვენის მადლობისა ღვანლი იმა ჩვენგანისა, რომელმაცა პირველად ჩაგვინერგა ეგ ნაყოფის მომცემი აზრი. არა-ნაკლებ მისა ღირსნი არიან გულითადის ჩვენის მადლობისა იგი ჩვენგანნი, რომელთაცა პირველსავე მონოდებაზედ მსწრაფლვე უდრტივნიველად დაემორჩილნენ თავად-აზნაურობის გადანყვეტილობასა და მსწრაფლვე შემოიტანეს მათგან მოთხოვნილი ნაწილი ყმების განთავისუფლებისათვის მიღებულის ფულისა, და ამით შემოგვწირეს სხვერპლი, რათა დაისხნან ჩვენი მშვენიერი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. არ შემოძლიან, ბატონებო, არ მოგაგონოთ ის, რომ ამ დიდსულოვანთა და პატიოსანთა შემომწირველთა შორის უფრო მრავალი ღარიბია და მათ შორის, რომელთაც არ ისურვეს იმა სხვერპლის მოტანა, უფრო ბევრნი – შედარებით – მდიდარნი არიან.

დიალ, მონყალენო ხელმწიფენო, ყოველთაგან დევნულმა სიღარიბემ აქაც გვაჩვენა ჩვენ, რომ იგი უფრო სულ-გრძელია ძლევა მოსილს სიმდიდრეზედა! „მე მინდა ჩემს თავს ნება მივცე და ჩემი სიტყვა მოვახსენო მათ, რომელთაც, სხვა და სხვა მიზეზთა გამო, მაგა სხვერპლის თავიდან აცდენა მოინდომეს. ვიქმნეთ ერთსულ და ერთგულ ამა ყოველთათვის ძვირფასის და სანატრელის აზრის აღსრულებაშია. მაგრამ მე იმისათვის კი არ გემუდარებით ერთგულებას და ერთსულობას, რომ ერთგულის გულმოდგინებით მივარდეთ და განვიწილოთ ის თექვსმეტი ათასი თუმანი, რომელიცა უმაღლესის მონყალეებით გვებოძა. აქ ყოველს ჩვენგანს ჩვენდა უთხოვნელა-

თაც გულმოდგინეთ ხელი გამოწვდილი აქვს, რათა ჩაიგდოს ხელში უდიდესი ლუკმა. არა, ბატონებო! ჩვენ გთხოვთ შევერთდეთ ერთის მშვენიერის და ჩვენდა ღირსეულის სურვილითა, რათა ერთმანეთს შევენიოთ ერთმანეთის სხვერპლის მოტანითა ჩვენის საყოველთა-ვო კეთილ დღეობისათვის. ვიქმნეთ ერთგულ და ერთსულ ჩვენის მრავალ-ტანჯულის სამშობლოსათვის, რომელიც აყვავდა მაგ ერთ-გულობითა და ერთსულობითა ჩვენის მინად-მომქმედთათვის, რომელთაცა კეთილ-დღეობაზედ დამყარებულია ყოველთა ქვეყანათა კეთილ-მდგომარეობა საზოგადოდ და ჩვენის ქვეყანისა საკუთრად, ჩვენის შთამომავლობისათვის მაინცა, რომელიცა ლოცვითა და კურთხევით მოგვისხენიებს ჩვენ.

ეს ჩემი სიტყვა მომართული თქვენდა გრძნობისადმი, ეს ჩემი სიტყვა მიქცეული ადამიანის ღვთიურის ნიჭისადმი, რომელიც მიიღებს ხოლმე ცხოველს აღბეჭდილებას მაღალ-ზნეობითის აზრისასა, – იქნება ზოგიერთმა მიიღოს უბრალო ყბედობად, ანუ ჩემდა პირად-აღტაცებად. მაგრამ ამით მე არ შევეკრთები, რადგანაც ვიცი, რომ მაგას იქმონენ მარტო იმისთანა კაცნი, რომელნიცა ისე ზნეობითად გაქსუებულან თავისის სიკეთისა და პირადის ბედნიერების უკან დევნაში, რომ ყოველს ზრუნვას საყოველთაო კეთილისათვის უსაქმო კაცის ოცნებადა ჰსთვლიან, იმისთანა კაცნი, ვამბობ მე, რომელნიცა მუდამ ტრიალებენ ვინრო-თავმოყვარეობის ვინრო სფერაშია, არასდროს არ აღწეულან თავისის პირადის სარგებლობის უმაღლეს და არ გამთბარან საზოგადოების სიკეთის სიყვარულითა, იმისთანა კაცნი, ვამბობ მე, რომელნიცა საკუთარის ინტერესის დათმობაში საყოველთაო სიკეთისათვის ხედვენ მარტო ცდომილებასა და ატაცებულებას გამოუცდელის ყმანვილ-კაცობისასა და არა ძლევა-მოსილებას კაცის ზნეობითის ბუნებისასა!

„მოგახსენეთ რა მე ესე ყოველი, მე მქონდა მარტო ერთი, იქნება თამამი, მაგრამ გულწრფელი სურვილი, რათა განვაძლიერო გულმოდგინება ჩვენი ამ საქმეში იმა მოვალეობისა და მოყვასთა სიყვარულის უწმინდესისა იდეიებითა, რომელნიცა ადამიანის შვილს არამც თუ გაასხნევიანებენ ხოლმე თავის ქისას საზოგადო საჭიროებისათვის, არამედ აქმნევიანებენ დიდსა და სახელოვანსა საქმეთაცა.

„თუ მაგოდენა შევიძელი მე, ამა კრებისა საქმეთა სიძნელე გაადვილდება, იმიტომ-რომ მარტო ზნეობითის აზრით სავსეს გულმოდგინებასა შეუძლიან შეჰსწყვიტოს უწმინდური ნყარო ყოვლისა ჩვენის სიბნელისა, უთანხმოებისა და შეცილებისა!“

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

1875 წლის 3 თებერვალი

**გამოსვლა:** წინა დღეების გაცხარებულმა ბაასმა ცხადათ გვაჩვენა ჩვენ, ბატონებო, რომ მრავალს ჩვენგანს ბანკის დანესების უმთავრესი საგანი ან არ უცვნიია, ან უცვნიია და შესაბამი ყურადღება არ მიუქცევია, ან კიდევ უამთა ვითარებისა გამო სრულად დავინწყები-სათვის მიუცია.

ბევრს ჩვენგანს ჰგონია, რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი, თვითეულთა პირთა სასარგებლოთ დაანესაო თავად-აზნაურობამ. ამიტომაც ყოველს წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმებოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ბიძაშვილს თევდორესაო არაფერს არ გვარგუნებს ბანკიდანაო. ამ თვითვეულთა პირთა სარგებლობაზედ აშენებულია ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მშიერნი ვართო, ბანკმა უნდა გაგვაძლოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისეც უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა, ბატონებო, ჩვენი ბანკი მშიერს ვერ გააძლობს, მწყურვალს თულუხჩად ვერ გაუხდება, თუ არ მტკიცე საბუთიდ, ვერავის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ეგენი ეკისრნა, პირველი რომ ქვეყანას სიცილად არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადააჰყვებოდა.

ეს წუთის სოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუკმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტილია. იმას შეიძლება ერთს დღეს, ან რამოდენიმე ხანს კაცმა კაცთ-მოყვარებით უშველოს, მაგრამ მას მერმედ მაინც ისევ მშიერია, ისევ გასაძლომია, – და ერთი გკითხავთ: როდემდის უნდა ვაძლოთ ჩვენ? მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, სულ რომ დღესვე დაფურიგოთ მცონარე მშივრებს, ხვალ უფრო ბევრი მშიერი მოგვადგება, – ხვალ რითლა გავცეთ პასუხი? ყმუბის განთავისუფლებამ რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ მეტი ფული შეგვძინა ჩვენ ყმების განთავისუფლებამ, – განა მაგან მოჰსპო ივანეს და პეტრეს შიმშილი?

ვინც თვითონ არ ჭირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი გაუნწყვეტლივ

ზედ მიუშვათ. რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენსაც დააკლებთ. თუ ჩვენგანი ვინმე ამისთანა გრძნეულს თანხას შეადგენს, ჩვენ იმისათვის დიდის სიხარულით გზა დაგვიცლია. ვიმეორებ: ერთხელ და ორჯელ რომ გააძღოთ მცონარე მშიერი, ეგ კაც-მოყვარებაა, მაგრამ მაინცა და მაინც ამით სამუდამოდ წყლულს ვერ გავიმთვლებთ, იმიტომ-რომ თავის თავის წყლული თვითონ მცონარე მშიერი არის. ან რად გვინდა, რომ ამ გვარ კაცთათვის ეგრე ვწუხვართ და ჩვენი მწუხარება იქამდინ მიგვყავს, რომ გვინდა ბანკი მაგ მწუხარებას ვანაცვალოთ. მცონარეობას რომ საზრდო მივსცეთ, ეგ მცონარეობის ნაქეზებასა და გამრავლებას მოასწავებს. ნაქეზება, ხელის გამართვა გაჭირებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყანისათვის ნაყოფიერი, – და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმოდენად დიდს პირს ალებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმოდენად აღარბებს ქვეყანასა. ჩვენის ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც ადრე მოვიშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობასა.

ვინც მაინც და მაინც ბანკს შეჭხარის მარტო თავისის პირადის სარგებლობისათვის, ის ბანკისაგან უნდა მოელოდდეს მხოლოდ იმას, რომ ბანკი ფულს ასესხებს, იმასაც დიდის სიფრთხილით, რომ ბანკს ფული არ დაეკარგოს. ამის მეტს თვითვეული ჩვენგანი ცალკე და საკუთრად ვერასფერს ვერ გამორჩება ჩვენს ბანკსა. ვწუხვარ, რომ ეს ასეა და უფრო ვწუხვარ, რომ შეუძლებელია ეს ასე არ იყოს.

დიახ, ბატონებო! შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითვეულს ჩვენგანს ცალკე სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს, მე ვამბობ, თვითვეულს ცალკე. მაგრამ უნინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ესე იგი, იმით რომ ფულს ასესხებს, კაცის ამშენებელიც არის და დამღუპავიცა. ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს. მაგისთანა კაცს არა სასტიკი კანონი, ბანკის სიმკვიდრის ქვა-კუთხედად დადებული, ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფთხობს, გულს წინადვე ვერ გაუხეთქს, იმიტომ-რომ მხნე და ბეჯითია. ბეჯითობა კიდევ თითქმის ყოვლად შემძლებელია, ანგარიშიანია, იცის, რომ ფულს წინდაუხედავად არავინ არ გაასესხებს, თუ ფულის დაღუპვა არ უნდა.

ამისთანა კაცს იმ ბეჯითობასთან, იმ მხნეობასთან, იმ შეუწყვეტელ შრომის სურვილთან ოღონდ ფულის შოვნის გზაც მიეცით და რაც უნდა ძნელი გზა იყოს, იგი იმ გზას უსათუოდ გადალახავს. მარტო ამისთანა კაცი უნდა შეჰხაროდეს ჩვენს ბანკსა და ჩვენც, მოწყალე-ნო ხელმწიფენო, მარტო მაგისთანა კაცს უნდა წაუხაროდეთ. კაცი ბეჯითი, მხნე შრომის მოყვარე რამოდენსაც თავის თავს შეჰმატებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაც: თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მოუმატოს, ჩვენი ქვეყანა უწინდელზედ ოცის კოდით უფრო მდიდარი შეიქმნება იმის მეოხებით და ჩვენის ბანკის შემწეობით. თუ შევსწუხდებით ვისთვისმე, სწორედ ამისთანა კაცისათვის უნდა ვინუხოთ. თუ ეს ასეა, მაშ ჩვენგან რამდენჯერმე წარმოთქმული მწუხარება მასზედ, რომ ბანკის კანონები სასტიკიანო, ნოტარიუსთან მეზარება მისვლათ და სხვა ამგვარი, – მეტია და სათაკილო ამისთანა კაცისათვისა. მეტყვიან, რომ თუ მართლა მარტო მაგისთანა კაცებს უნდა უხაროდეს ბანკი, მაგისთანა კაცები ჩვენში ცოტანი არიანო, მაშ ბანკი რაღად გვინდოდაო? მეც სრულის ჩემის გულის ტკივილით დაგეთანხმებით, რომ მაგისთანა კაცები ჩვენში ბევრნი არ არიან, მაგრამ ჩვენი უგულითადესი სურვილია, რომ მარტო მაგისთანანი გამრავლდნენ. სხვანი კი, ესე იგი, ისინი ვისაც ბანკი უხარიან მარტო იმისთვის რომ ფულებს მალე ვისესხებოდ და იმ ფულებით ქეიფს გავსწევო, იმათთვის არამც თუ ჩვენი ბანკი, ყოველ გვარი ბანკი წინაღვე გათხრილი სამარეა. ჩვენი ბანკი, მართალია, ამისთანა კაცსაც ფულს ასესხებს, რადგანაც ჩვენი ბანკი კაცს კი არ ანდობს ფულს, არამედ მის უძრავს ქონებას, მაგრამ ეგ სესხი მოუღებს კიდევ ბოლოს ამ გვარს კაცსა. სესხს მოშორება უნდა და ეგ მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაცი ნასესხს ფულს ხეირიანად მოიხმარებს. დახუბაჭო თუ არა და გაეყიდება მამული და ამით უკანასკნელი ლუკმა გამოეცლება პირიდანა. ამ გვარს კაცს არა ეშველებარა. ნურავის ნუ გვაქვს იმედი, რომ ამ რა გვარს კაცს ბანკმა უშველოს რამე. ვინც თავისის ხელით წყლულს ხელახლად იწყლულებს, იმას ვერა მოარჩენს რა სიკვდილის მეტი.

კიდევ განვიმეორებ, რომ ვინც მოვა და გვკითხავს, – საკუთრად მე, ცალკე რას მარგებს ბანკიო, იმას დაუმაღავად ვეტყვი: საკუთრად შენ, ცალკე ბანკი მარტო იმას გარგებს, რომ ფულს გასესხებს, ისიც დიდის სიფრთხილით, დიდის შორ-მხედველობით და დიდის ანგარიშით, რომ ბანკს ფული არ დაეკარგოს. ვიცი შეგანუხებთ მაგის-

თანა პასუხი და კიდევ გაჯავრებული მეტყვიით: მაშ რაღად გვინდოდა ბანკი? ეგ სხვა კითხვაა და მაგის პასუხად აი რას მოგახსენებთ:

ბანკი თავად-აზნაურობიდან დაანესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირულის ფულის ხუხხად მეოხებით მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებებზე საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურობის გამო სიღარიბეში ჩაცვივრულან და არა იმათ, ვინც გულდაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაულიათ და ჰყვირიან მასვით და მაჭამეთო. ერთის სიტყვით – ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რომელმაც ესეთი სამაგალითო სხვერპლი მოიტანა საერთო სიკეთისათვის, რომელმაც ეგრე კეთილშობილურად შეჰსწირა თავისის ქვეყნის სიკეთეს ის რაც შეეძლო და რომელიც, ჩვენდა სასიქადულოდ, ამაღლდა იმ ღვთიურს და ბრწყინვალე აზრამდე, რომ თვითვეული ყველასათვის უნდა იყოსო და ყველა თვითვეულისათვის, – ამ თავად-აზნაურობამ დაანესა ბანკი მარტო იმ უმთავრესის განზრახვით, რომ ბანკმა ჩვენს ფულს ფული მოაგებინოსო, ეს მოგება გაუნყვეტლივ იყოსო და ამ მოგებით შეუნყვეტელი, მუდამი წყარო გაუჩინოსო ჩვენს ქვეყანას საერთო გაჭირების სასხნელად, – და თუ ჩვენგანი ვინმე მოვაო და გეტყვითო, წაღები გამიცვდა და შემიკერეთო, ის ხარაზთან გაგზავნეთო.

ეს არის, ბატონებო, უმთავრესი აზრი, რომელიც თავად-აზნაურობამ ქვაკუთხედად დაუდვა ბანკსა და რომელმაც თავისის მშვენიერობით, დიდებულებით, თავისის მაღალ-ზნეობით მიიზიდა ყოველივე ჩვენი თანაგრძნობა. ამ აზრზედ არის დამყარებული ჩვენის გაჭირებისაგან, სიღარიბისაგან ხსნის იმედი. ნუ თუ ჩვენგანი ვინმე რაიმე პირადის ანგარიშისა გამო მოინდომებს, რომ ამ აზრს ელატოს?! ნუ თუ ეხლაც ცხადი არ არის რისთვის ცდილა ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, რომ ბანკის საქმე მკვიდრად, ფრთხილად და წინასწარ-მხედველობით წარმართულიყოს?! ჩვენ გვაშინებს ჩვენის ბანკის კანონების სისასტიკე!.. რად? ნუ თუ მათ რომ მარტო ეგ სისასტიკეა ჩვენი თავდები, რომ ბანკი არ დაგვეღუპება, მარტო ეგ სისასტიკეა თავდები, რომ ის ბრწყინვალე აზრი თავად-აზნაურობისა ყოვლად მხსნელ საქმედ გარდაიქცვა ყველასათვის ერთად და მაშასადამე თვითვეულისათვისაც ცალკედ?!

დიახ, ბატონებო, ზედამხედველ კომიტეტმა ჩემზედ უკედ გამოიკვლივა ის დიდებული აზრი თავად-აზნაურობისა და ამისთვისაც მთელი თვისი ყურადღება მიაქცია, რომ ეგ აზრი შესრულდეს. მაშასადამე ყველაზედ უწინარეს რაზედ უნდა ეფიქრნა კომიტეტსა? მასზედ რომ ბანკი არ დაგველუპოს, მასზედ რომ ბანკმა მოიგოს რამე, რადგანაც მარტო შემდეგ მოგებისა ინყობა ის მოვალეობა ბანკისა, რომლის მეოხებითაც ჩვენს საერთო ჭირს უნდა ეშველოს. რა არის ამისთვის საჭირო? მკვიდრად, სასტიკად, შეუცდომელად, დიდის სიფრთხილით, დიდის შორმხედველობით ბანკის საქმეთა სათავიდანვე დაწყობა და წარმოება. ყოველი თქვენგანი, რომელმაც კი ყურადღებით მოისმინა კომიტეტისაგან შედგენილი დაფასების წესდება, ის დამეთანხმება, რომ კომიტეტს ჩვენგან მინდობილი საქმე, ბანკის მკვიდრად დადგენის შესახებ, ღირსეულად და კაცთა შესაძლო წინასწარ-მხედველობით შეუსრულებია. ვჩივით, სასტიკიანო ეგ დაფასების წესდება. სწორედ მაგეთი უნდა იყოს რომ ჩვენი იმედი არ გაცუდდეს, რომ საერთოო საქმე ორიოდე მცონარე კაცის გამო არ დაგველუპოს.

დაფასება ბატონებო, ბანკისათვის ის არის, რაც ჰაერია ადამიანისათვის. მარტო პირუთვნელს, მართალს და რიგიანს დაფასებას შეუძლიან ჩვენის ბანკის ფეხზედ დაყენება. ეგ არის ფესვი, რომელმაც უნდა გამოზარდოს ნაყოფი ჩვენის ბანკისა, ეგ არის ქვითკირი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ჩვენის ბანკის დღეგრძელობა და კეთილ-დღეობა, ეგ არის აღმადგინებელი ჩვენის მამულების დაცემულის ფასისა. ეგ არის მოციქული ჩვენსა და ბირჟის შუა, ეგ არის ბირჟის თავდები, რომ იმის ნდობას ჩვენგან არ ელაღატება, რომ მისგან მონდობილი ფული ჩვენზედ არ დაიკარგება; ეგ არის ამწევი და დამწევი ჩვენის ბანკის ბილეთის (ზაკლადნოი ლისტების) ფასისა. მარტო წესიერად და სასტიკად მონყობილს დაფასებას შეუძლიან დაფუძნებაროხ მოახდინოს, რომ ყველა უშიშრად მოენდოს ჩვენის ბანკის ბილეთებს, რომ ყველამ უშიშრად სასარგებლოდ დაინახოს მაგ ბილეთების ყიდვა, – ერთის სიტყვით, დაფასებაზედ არის დამყარებული ყოველივე ჩვენი იმედი, ყოველივე ჩვენი სასოება.

დაფასებამ რომ ამისთანა მრავალ გვარი და აუცილებელი სამსახური გაგვიწიოს, ორი რამ არის საჭირო: ერთი დაფასების სასტიკი და რიგიანი წესდება და მეორე რიგიანი კაცების ამორჩევა დამფასებლებად. პირველი ღირსეულად შეგვისრულა ჩვენ ზედამხედველ კომიტეტმა, მეორე კი ჩვენთქვენზედ არის დამოკიდებული, დღეს

ამისათვის ვართ აქ მოწვეულნი. ვახსენოთ ღმერთი და ვინც მართლა და ღირსი გვეგონოს ჩვენის ნდობისა, ჩვენის იმედისა, მარტო ისინი ამოვირჩიოთ. ნუ აყვებით ნურც ძმობას, ნურც ნათესაობას, ნურც მეგობრობას, ნურც მტრობას და ნურც ვისიმე თხოვნასა. შევედგეთ ამორჩევას ისე როგორც ჩვენმა სინიდისმა გვაგონოს თვითვეულს ჩვენგანს საყოველთაო სიკეთისათვის. მერწმუნეთ, სინიდისი ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ შეგვაცდენს, ვიდრე სხვა რამე. ბატონებო, გულში ჩავინერგოთ, რომ დღეს ყოველს კენჭს ალაღბებზედ ჩაგდებულს ჩვენი ღალატიც შეუძლიან და ერთგულობაცა, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ დამფასებლებათ გვინდა კაცნი სიმართლის მოყვარენი, პირუთენელნი, კეთილ-სინიდისიანნი, მცოდნენი, ჭკვა-გონება გახსნილნი, ესე იგი, იმისთანანი რომელთაც ქალაქში თუ სოფლებში ნდობა აქვსთ და რიგიანობის სახელი და არა, იმისთანანი, რომელთ ამორჩევაზედაც ხვალ აქავე ბაზარში სიცილს დაიწყებენ. ვჰსთქვათ, ბანკისათვის არ ვიზრუნოთ, თქვენთვის საკუთრად მაინც რა სახეირო იქმნება ამოვარჩიოთ იმისთანა კაცნი, რომელთაც დაფასების მოვალეობის აღსრულება არ შეუძლიანთ. სულ იმასა ვჩივით, – საქმე ისე უნდა მოგვიწყობოთ, რომ ფული მალე მივიღოთო. ეგ სიჩქარე არასფერზედ არ არის დამოკიდებული ისე როგორც რიგიანს დაფასებაზედ. თუ დღეს იმისთანა კაცებს ამოვირჩევთ, რომელნიც რიგიანად ვერ შეასრულებენ თავის თანამდებობას, თქვენ დაგიპრკოლდებათ საქმე: ამგვარ კაცთაგან მიკონკილ-მოკონკილის სიის ძალით თქვენ ბანკი ფულს არ მოგცემთ. მაგ სიას ხელახლად მოუნდება შედგენა, ხელახლად მოუნდება გასინჯვა, – და იცით ეგ რაჟო ხელახლობა რამოდენა დროს დალუპავს. ერთის სიტყვით, – დღეს რომ აქ სინიდისს ელაღატოს, ელაღატება ჩვენს ბანკს, ელაღატება თავად-აზნაურობას, ელაღატება ჩვენს საკუთარს თავს, ჩვენს საკუთარს ოჯახს, ჩვენს საკუთარს ცოლ-შვილს, ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედს, ჩვენს სასოებას და ამ მშვენიერ ქვეყანას, რომლის შვილობაც და ერთგულება ყველა ჩვენგანისათვის სასიქადულო უნდა იყოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმისთანა მამა-პაპებისა, რომელთაც თავიც შეუწირავთ ამ ქვეყნისათვისა. ნუ თუ ჩვენ იმათი შთამომავალნი, იმათი სისხლ-ხორცინი მართლა ისე გავსწორდით მიწასთან, რომ სიმართლით კაცის ამორჩევაც აღარ შეგვიძლიან ქვეყნის საკეთილოდ?! ჩვენს მტერს ნუ დავანახვებთ მაგისთანა მაგალითის და ჩვენს მოყვარეს ნუ წარუუკვეთთ ჩვენდამი სასოებას!..“



## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

1876 წლის 18 მაისი

**გამოსვლა:** „ჩვენ, ბატონებო, ყველანი ძმები ვართ. ქართლი, კახეთი, თავადი, გლეხი – სულ ყველანი ქართველები არიან, სულ ყველანი ძმები არიან.

„ამას მე ეხლა კი არ ვამბობ, როგორც ზოგიერთი იფიქრებს, არამედ ხშირად უნინაც მითქვამს სიტყვითაც და ბეჭდვითაც. დღესაც ამას მოგახსენებთ და გთხოვთ. იმ მცირედს თუ დიდს სამდურავს, რომელიც ხშირად ჩვენში ჩამოვარდება ხოლმე, ყურს ნუ ვათხოვებთ: ის სამდურავი თავის გზაზე წავა და იმას თავისი ბოლო აქვს, ოღონდ კი განზრახ ნუ ვეცდებით განხეთქილების ჩამოგდებასა. გვეყო, ბატონებო, ამდენი არამც თუ განზრახული, არამედ განუზრახველი განხეთქილებაცა! განვიმეორებ და გთხოვთ: როცა საყოველთაო საგანზედ ვლაპარაკობთ, თვალ წინ ნუ გამოვისახებთ, რომ მე ქართველი ვარო, მე კახელი, მე თავადი და ის გლეხიო. ის ჩვენი მხსნელი აზრი გვახსოვდეს, რომ ყველანი ქართველნი ვართ, მაშასადამე ძმებიცა.

თუ ამ აზრით გავითბობთ გულსა და განვინათლებთ გონებას, მაშინ უსათუოდ ერთმანეთს დავეთანხმებით მასზედ, რასაც მაგ მოგებულის ფულის მოხმარებაზედ მოგახსენებთ ეხლა. აქ ამ საგანზედ ბევრი ისეთი დიდად საკეთილო აზრი წარმოსდგა, რომ მის გამომთქმელს დიდი პატივი და დიდება მართებს ჩვენგან. მაგალითებრ, ის აზრი, რომ ღარიბის თავად-აზნაურთა შვილებს სწავლისათვის ბინა, ლუკმა და სახსარი გავუჩინოთო. მე ჩემ თავად სრული ჩემი თაყვანება გამომიცხადებია ამ აზრისათვის. უკეთესად კაცი ფულს ვერ მოიხმარებს; მაგრამ ფული ჯერ ხანობით ცოტაა და ეგ მშვენიერი აზრი ჯერ-ჯერობით ვერ აღსრულდება ჩვენდა სამნუხაროდ. სულ ექვსასი თუმანია და ცოტა მეტი.

ბევრი სხვა გაჭირებაც გვადგია, რომელთაც, ჩვენდა საუბედუროდ, მეტად დიდი ყბა აქვსთ და ეგ ფული ლუკმათაც არ გაუხდებია. მაგრამ იმათგან ერთი საჭიროება არის, რომელსაც ეგ ფული დასაწყისად ეყოფა. ეგ საჭიროება იმაში მდგომარეობს რომ ჩვენს თავად-აზნაურობას და გლეხთა იმისთანა პატარა ბანკები გაფუმართოთ, შეძლებისამებრ, მათ სახლთა ახლო, რომ ათის, ხუთმეტის თუმნით ხელი გაუმართოს ხოლმე გაჭირებულსა უვირაოდ. ეს აზრი მე კარგა ხანია შემიტანია ერთს აქაურს კამიტეტში, რომელ-

შიაც მეც სხვათა შორის მწვერად ვარ და რომლის უფულითადესი საგანია ჩვენს სოფლებში მოჰფინოს წვრილ-წვრილი ბანკები გაჭირებულთათვის ხელ-და-ხელ ხელის გასამართავად.

„მაგ ექვსასის თუმნით შეიძლება ოთხი ამისთანა ბანკი გაიხსნას: ერთი გორისა, ერთი თელავისა, ერთი სიღნაღის და ერთი დუშეთის მაზრაშია. ტფილისისამ სულგრძელად მოგვითმინოს ჯერ, მით უფრო რომ ეგ მაზრა ახლო არის ქალაქზედ, საცა ამდენი ბანკებია.

თუ მომიწონებთ ამ აზრს და იმ მოგებულს ფულს ეგრე განანწილებთ, ჩვენვე, თუ გნებავთ, დაგვდეთ კისრად და იმისთანა ბანკების წესს შევიდგენთ. იმ წესს გავასინჯებთ იმ კამიტეტს, რომელზედაც წელან მოგახსენეთ და რომელშიაც ამ საგნის მცოდნენი არიან, სხვათა შორის, სხვა და სხვა ბანკების მოთავენი და გამგენი. ეს საქმის მცოდნე კამიტეტი რაც არ ევარგება შეჰსცვლის, რაც აკლია – ჩაუმატებს, რაც მეტია – მოჰსპობს. მას შემდეგ ეგრედ გასინჯულს და გასწორებულს წესდებას თვითვეულს მაზრას ცალკე გამოვუგზავნით. იქ, თვითვეულს მაზრაში ცალკე უნდა შეიკრიბონ ჩვენის დიდის ბანკის მწვერნი, მათ უნდა გასინჯონ ჩვენგან წარდგენილი წესდება. თუ საჭირო იქნება ზოგიერთის საგნის ასასხნელად ჩვენ მოგვიწოდონ, ჩვენ დაუზარებლივ ვიახლებთ იქ, საცა დაგვიბარებენ. როცა იგი კრება მოიწონებს იმ წესდებას, მაშინ თუნდა ისევე ჩვენ გადმოგვცენ, რომ მთავრობისაგან ნების დართვა ავიღოთ.

გთხოვთ ეს აზრი განიხილოთ ისე, როგორც შეჰფერის ერთობის სურვილით გულ გამთბარს ქართველსა და მის პატიოსანის გულის სულგრძელებასა.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

**1882 წლის 1 მაისი**

**გამოსვლა:** რაიცა შეეხება ზედამხედველ კომიტეტის მოწერილობას... ჩვენ მივცეთ სესხი ბბ. ტატიშვილებს, ეს მართალია: ბ. ტატიშვილმა, წესდების წინააღმდეგ, პირ-და-პირ ზედამხედველ კომიტეტში, და არა ჩვენის ე.ი. გამგეობის საშუალებით, წარადგინა საჩივარი და ამ კომიტეტმა მოგვწერა, რომ დავაკმაყოფილოთ ბ. ტატიანთ საჩივარი. მაგრამ ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ ეს მოთხოვნილება კომიტეტისა და ვერ დავაკმაყოფილეთ იმიტომ, რომ იმას უფლება არ ჰქონდა ამ საქმეში გარევისა. სესხის გაცემაში ჩვენ ვართ პასუხის მაგებელი, ეს მართო ჩვენი საქმეა და არა ზედამხედ-

ველ კომიტეტს არავითარი უფლება არა აქვს ძალა დაგვატანოს და გვითხრას – უეჭველად ამა-და-ამას მიეცით ფული და იმას ნუ მისცემთო. ზედამხ. კომიტეტს შეუძლიან გვიბრძანოს ეს, შეუძლიან სამართალში მიგცეს, მაგრამ არც იმას და არც არავითარ ძალას არ შეუძლიან ჩვენი სინიდისის და შეხედულობის წინააღმდეგ ჩაგვადენინოს რომელიმე საქმე, რომელიც პირ-და-პირ ჩვენს მოვალეობას შეადგენს!

**გამოსვლა 1:** წესდების პარაგრაფის სწორედ იმ სახით შეცვლა, როგორც მმართველობის მოხსენებაშია აღნიშნული, საჭიროა, რადგან ფინანსთა სამინისტრო იმ \$-სა, რომლითაც 35% წმინდა მოგებისა საზოგადო საქმეებსა ჰხმარდება, ხელშეუხებლად სთვლის და არა თანხმდება, რომ ეს 20%, რომელიც ეხლა დივიდენდად იხარჯება, იმ 35% მიემატოს. ამჟამად, როდესაც სრულიად მოშორებული გვაქვს თავიდან ქარვასლის გადაკეთების ხარჯი, ადვილად შეგვიძლიან უფრო გაძლიერებით გადავწყვიტოთ ბანკის ქარვასლის ვალი. იმის მაგიერ, რომ 2% მივიღოთ ხოლმე ჩვენის თავისუფალის ფულისა, რომელსაც სახელმწიფო ბანკში ვინახავთ, თუ ქარვასლის გარდახდას გაძლიერებით დავინყებთ, მაშინ 6% შემოსავალი დავრჩება ჩვენის ფულისა, რადგან გირავნობის ფურცლებს გამოვიხსნით. მმართველობა გთხოვთ, რომ ამის შეძლება და ღონე მოგვცეთ, ხოლო ამისთვის-კი დივიდენდის მოსპობაა საჭირო.

**გამოსვლა 2:** ბანკის წესდებით, მოგების განაწილების საქმე ხელ-შეუხებელი უფლებაა დამფუძნებელ წევრთა. ამ თანხიდან რომ ქარვასლის ვალი გავისტუმროთ, ამჟამად სახლიც ჩვენი საკუთრება იქნება. დანარჩენი თანხები იქნება პასუხის-მგებელი ბანკის მოვალეთა და არა ეს სახლი. ამიტომ ამ მხრით არავითარი შიში არ უნდა გვექონდეს.

**გამოსვლა 3:** მე აქაური ლაპარაკი მაკვირვებს. ჯერ შეძლება მოგვეცით ვალი გადავიხადოთ და დრო ბევრი გვაქვს იმის საფიქრებლად, რა ვუყოთ სახლს, როცა ვალისაგან განთავისუფლდება და ჩვენი საკუთრება შეიქმნებაო. ბანკი ამბობს, რომ ვალი მინდა მოვიშორო, რათა ეს სახლი უვალოდ გვექონდესო, და მეგობარი კალთიდგან მენევა, არა, ჯერ ის მითხარი, როცა ვალს მოიშორებ, უვალო სახლს რას უზამო? საკვირველი არის განა? აქ ლაპარაკია, ვალის მეტობით გადახდის უფლება მოგვეცითო, და არა სახლის ყიდვის შესახებ.

**გამოსვლა 4:** გარწმუნებთ, რომ აგენტი არამცთუ სარგებლობას არას მოგვიტანს, მავნებელიც – კი იქნება, სულ ვერაფერს გაუქვთებს მსესხებლებს. დიდი საქმეა, თუ ხუთის მამულის საქმე მოაგვა-

რა წელიწადში. აგერ რამდენი ხანია გამოვაცხადეთ, რომ ამისთანა შემთხვევაში მმართველობას მოჰმართონ მსესხებლებმაო. ხშირად ჩვენ ვშველით, ხან ბანკის მოხელეებს ვახმარებთ ხოლმე. თუ ამდენი ხალხი მაგდენს ვერაფერს ვახერხებთ, ერთმა კაცმა რა უნდა შეიძლოს?

**გამოსვლა 5:** რა ძალის ხმარებისას ჰბრძანებს ბ-ნი მუსხელიშვილი? თუ ჭკუის ძალის ხმარების შესახებ ჰლაპარაკობს, ეს ძალა ყველთვის ძალადვე დარჩება, იმას ვერაფრით მოსპობთ, ვერავითარის საშუალებით, თუნდა მთელი არტილერია დაუყენოთ წინ... ყოველთვის ეგრეა, როდესაც ორი ჭკუა შეხვდება ერთმანეთს, ერთი, რომელიც ძლიერია, მეორეს დასჩაგრავს და დაიმორჩილებს... ჩვენ აგენტი არა გვსურს, იმიტომ-რომ არ გვინდა მოგატყუოთ. აგენტს რომ სარგებლობის მოტანა რისამე შეეძლოს, პირიქით, ჩვენ უფრო ორივე ხელით მოვეჭიდებოდით, რადგან ჩვენც საქმეს შეგვიმსუბუქებდა და გაგვიადვილებდა. მაგრამ გვერწმუნეთ, რომ აგენტი, ზარალს-კი იქნება, მაგრამ სარგებლობას არაფერს მოგიტანთ.

## სათავადაზნაურო საადგილგამყოფო ბანკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 17 მაისი

**გამოსვლა 1:** არ შემეძლიან აქ გულითადი მწუხარება არ გამოვაცხადო, რომ ამ საგნის გასასინჯავად სხვა სანთელი მოაქვთ და სხვა ფერსა სდებენ საგანს. რა ბრალია ის ბრალი, რომ თავისდა სასარგებლოდ გამოიყენებენ შეღავათის მიცემის უფლებასაო. თუ არ ვარგვივართ, დეე ისინი, რომელნიც ჩვენა გვდებენ ბრალს, მობრძანდნენ და ჩვენს ადგილას დასხდნენ: მაშინაც იმას ვიტყვით, რასაც ეხლა ვამბობთ. გაგონილა, რომ ბანკს ვალად დააკისრონ, გინდა თუ არა, შეღავათი აძლიე მსესხებლებსაო; გაგონილა, რომ შეღავათი უნდა მიეცეთ ყველას, ვინც შეღავათს მოითხოვსო! ადვილია სათქმელად, მაგრამ ასრულება-კი ასევე ადვილი არ არის. ჩვენა გთხოვთ: უფლება მოგვეცით, რომ როცა ბანკი ღონისძიებას მოგვცემს, რაიმე უბედურებით დაზარალებულ მსესხებლებს შეღავათი აღმოუჩინოთო, თქვენ -კი გვეუბნებით: არა, მაგისთანა უფლებას ვერ მოგვცემთ, საშიშიაო. აი თუ გსურთ, ამას-კი სიამოვნებით დაგაკისრებთ და დაგავალბებთ, რომ ყველა მსესხებლებს აღმოუჩინოთ შეღავათი, სულ ერთია ჩვენთვის, შეიძლებთ ამ შეღავათის აღმოჩენას, თუ ვერაო! განა გაგონილა ამისთანა ამბავი? განა საბუთი არა გვაქვს ვსთქვათ,

რომ უმეცარი სიტყვაა ასეთი სიტყვაო! განა ამ თავითვე შეგვიძლიან ვსთქვთ, რომ ამდენის და ამდენის მსესხებელის შეღავათს შევიძლებთ? შეიძლება ისეთი წელიწადი დაგვიდგეს, რომ ბევრს მსესხებელს მივცეთ შეღავათი; ისეთი წელიწადიც დადგება, რომ ბევრის შეღავათის მიცემა ვერ შევიძლოთ. ერთი შენიშვნაც. აქ ამტკიცებენ, რომ ჯარიმის გარდახდევინება უნდა მოვსპოთო. ამასა გკითხავთ: ნუ თუ მთავრობა, რომელიც ასე ზრუნავს თავად-აზნაურთათვის, არ მოსპობდა ამ ჯარიმას, შესაძლებელი რომ იყოს? ჯარიმა, არამც თუ მოსპობილი არ არის, სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკშია ც-კია დატოვებული, ისე როგორც ყოველს სხვა ბანკში. თუ ესლაც-კი, თუმცა 12% ჯარიმა არსებობს, ხშირად 300,000 მანათამდე სავადო შემოსატანი დროზედ არ შემოაქვთ, მაშინ რალა იქნება, ამ ჯარიმის შიში რომ არა ჰქონდეთ? ვინ გვითავდებებს, რომ ეს რიცხვი ერთი ორად და სამად არ იმატებს? რითი უნდა გადავუხადოთ მერე ჩვენს ფულის მომნდობლებს ვალი? დაგვეხმარებიან-კი ისინი, რომელნიც ასე მამაცად ამხედრებულან ჯარიმის წინააღმდეგ?! ვინ ამბობს, სიმამაცე, ვაჟკაცობა კარგია, მაგრამ კეთილ-გონიერი ვაჟკაცობა და არა ვაჟკაცურ, უგუნურება. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისგანაო და საცა შიშია და საფრთხილებელია, იქ უნდა გავეცალოთ. არა, ბატონებო, ჯარიმა არ უნდა მოვსპოთ. თუნდა ლაგამი უწოდეთ, თუნდა მათრახი, მაგრამ მისი მოსპობა შეღავათი-კი არა, ხასიათის წახდენა იქნება, იმიტომ-რომ ვინც უპირობას გაუწევს ბანკს, იმან სასჯელიც უნდა გადიხადოს და ჯარიმა-კი სწორედ ეს სასჯელია. ვის გაუგონია, დამნაშავეს ჯილდო ვაძლიოთ დანაშაულობისთვის. ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენის სიკეთისა და თქვენთა შვილიშვილთა სიკეთისათვის ნუ ვიზამთ ამას!

**გამოსვლა 2:** კარგი, მაგრამ ეს „სხვებიც“ ხომ პატიოსნები უნდა იყვნენ.

**გამოსვლა 3:** სესხის გასაიაფებლად ფინანსთა მინისტრმა სააქციონერო ბანკებს მიჰმართა და ჰკითხა, არ შეგიძლიანთ, რომ 1 $\frac{1}{2}$ % დაუკლოთ იმ ფულს, რომელსაც ბანკის სასარგებლოდ ახდევინებთ მსესხებლებსაო. დაუკლეს კიდეც. მინისტრმა შემდეგ ამას დასძინა, რომ ამაზედ მეტი ბანკს დაკლება რისმე აღარ შეუძლიანო. იქნება კიდევ სთქვან ჩემზედ, რომ ტყუილად გვაშინებს მინისტრის სახელითაო. მოდი და ნუ შეგეშინდებთ, როცა ყოველიფერი იმის ხელთ არის. გირავნობის ფურცელთა ფასის მეტნაკლებობა ბირჟაზეა

დამოკიდებული: თუ ფული ბევრია ბირჟაზედ, იაფია, თუ ცოტა – ძვირია. მამასადამე, საადგილ-მამულო ბანკები ამ მხრივ უღონონი არიან. იმათ შეუძლიანთ მხოლოდ ის % შეუმცირონ, რომელსაც თავის სასარგებლოდ ახდევინებენ მსესხებლებს. თუმცა წარსულს წელს ჩვენი ოპოზიციელები ძალიან გვაშინებდნენ და გვინანსწარმეტყველებდნენ სრულს დაღუპვას ბანკისას, ჩვენ მაინც ეს პროცენტი ერთამდე დავაყენეთ, ესე იგი  $1\frac{1}{2}$  მაგიერ 1% ვახდევინებთ. ასეთმა გაიაფებამ სესხისამ კი არ დაჰლუპა ბანკი, როგორც ჰხედავთ, პირიქით, მსესხებლები შეჰმატა. წრეულს გვინდა კიდევ  $\frac{1}{4}$ % დავუკლოთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ ესეც საკეთილოდ იმოქმედებს ბანკისათვის. მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ დროებით ფულის შოვნა გაგვიჭირდეს კიდევ. და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც გვინდა, ეს  $\frac{1}{4}$ % დავუკლოთ, თქვენა გასურთ, ჯარიმის მოსპობაც კისერზედ აგვიკიდოთ, ერთის სიტყვით, გინდათ ეს საქმე ერთი ორად გაგვიძნელოთ. ჩვენა გთხოვთ, რომ ჯერ ეს საქმე შეგვაძლებინეთ, ჯერ ეს საქმე მოგვატრიალებინეთ და მერე ვნახოთ, რა იქნება.

**გამოსვლა 4:** მ. ვ. მაჩაბელი ამბობს, რომ სასამართლოში შეუძლიან იჩივლოს იმას, ვისაც მმართველობა სესხს დაუჭერს, და ძალათი გაიტანს სესხსაო. ამ სახით, შეიძლება ფულის პატრონი თუ ფულს არ გასესხებთ, ძალათ სასამართლოთი ფული სესხად მოაცემინოთ. აქ სამართლის მცოდნენი სხედან და აბა ჰკითხეთ: განა შესაძლებელია, ფიქრს მოსატანია ასეთი საქმე! ჩვენ ქართველები ვართ და სესხად ფულის აღება ძალიან გვიყვარს. ოღონდ-კი ვინმემ რომ ჩავვგძახოს, თქვენს სურვილს სასამართლოს შემწეობით აისრულებთო, სასამართლოს კარებს აღარ მოვშორდებით. მბ-ნს მაჩაბელსა ვსთხოვ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას დარწმუნებულთ ნუ დააბრუნებს სახლში, რომ ფულის პატრონს, თუ ნებით არა, სასამართლოს შემწეობით ძალად გამოაღებინებთ სასესხებლად ფულსაო...

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 18 მაისი

**გამოსვლა:** რადგან ის 3,000 მან. საშუალო სატეხნიკო სასწავლებლისათვის არის გადადებული და არა დაბალის სასწავლებლისათვის, ამიტომ, ჩემის აზრით, ადვილად შეგვიძლიან თელავის სასწავლებელს გადავცეთ.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 19 მაისი

**გამოსვლა:** როცა ეს თ. ჯანდიერების საქმე წამოაყენეს, აქ საქმეებში ჩახედული კაცი ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავდა: კრებას რა ხელი აქვს ამისთანა საქმეებთან? წინაღვე ნუ შემიშინდებით ამის თქმაზედ და ნუ იფიქრებთ, რომ რაკი ჩემი სიტყვა ამ მხრით მოვახვედრე ამ საქმეს, ვითომც მინდოდეს კრებას რაიმე მისდამი მინიჭებული უფლება ჩამოვართვა.

არა, ბატონებო, მე ამაზედ მეტად შორსა ვარ, და როცა ჩემს საკითხს თავის ჯეროვან სინათლეს ქვეშ დავაყენებ, იმედია, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეგ საკითხი უსაბუთო და უსაფუძვლო არ არის.

რაკი ნებას მივცემთ, ვისაც რა ჰსურს, იმაზე აალაპარაკოს და მოაციდინოს კრება, ერთმა და ორმა კაცმა, შორს-კი ჩვენგან ამისთანა კაცები, რომ მოინდომოს ჩვენი სასაცილოდ აგდება, ეგ უწესოება მიზეზს მისცემს, გზას გაუხსნის ჩვენდა სასაცილოდ აგდებისას. მაგალითებრ, ვსთქვათ ორმა და სამმა მასხარა კაცმა განიზრახეს, მოდი ერთი ქართველებს ამ კრებებს ნუ გავათავებინებთ; ხვალ მე ვიტყვი, ამა-და-ამ კაცს მამული გაუყიდეს, მე მგონია გამგეობამ უკანონობა მოახდინა და გთხოვთ გაარჩიეთ, თორემ ქვეყანა დაილუპაო. ავტეხთოთ ამაზედ ლაპარაკი და თუ ყოჩაღები ვართ, ისე ვწნოთ და ვგლიჯოთ ეს საგანი, რომ ერთი ოროიდე დღე მოვანდომოთ. ახლა მერე შენა სთქვი, რომ ეს ჩვენი გამგეობა მეტად უზრდელი რამ არის. წარმოიდგინეთ მე შევედი, ფეხზედ არ წამომიხტნენო. ახლა ამაზე ავაყაყანოთ ხალხი და ერთი ოროიდე დღეს ამაზე შევალევინოთ დრო და მოცალეობა. ახლა სხვა დღეს ავტეხთოთ: ამა-და-ამ კაცს, ჩვენის ფიქრით, ფული სესხად ბევრი მისცეს, ამასა და ამას ცოტა და გავაბათ ამეებზე გაუთავებელი მასლაათი. მაღლობა ღმერთს, ბანკი იმისთანა რთული რამ არის, რომ სალაპარაკო საგანი არ გამოგველევა და აგრე ვანონიალოთ კრება, მინამ ჩვენ თითონ არ მოგვეწყინება. რაკი ერთხელ იმ უწესოებამ ბინა დაიდვა, რომ ყველას ნება აქვს რაზედაც ჰსურს, იმაზე ამასლაათოს კრება, ჩვენ ვილა დაგვიშლის, ჩვენც მოვეყვით და გავაბათ გაუთავებელი ქსელიო.

მე ვსთქვი, რომ ეს ამისთანა ამბავი შეუძლიანთ მოახდინონ მასხარებმა. მაგრამ ზოგჯერ ჭკვიანი კაცებიც, როცა მეტი ილაჯი არ არის, მაგ ხერხსა ჰკიდებენ ხოლმე ხელს. როცა ირლანდიელებსა და ინგლისელებს შორის გამწვავდა საქმე და დაჩაგრული ირ-

ლანდიელები ვერას გახდნენ, ისინიც ამ უნესობის წყალობით პარლამენტს აცდენდნენ და ალაპარაკებდნენ იმისთანა საქმეებზედ, რომელიც ლაპარაკადაც არა ჰღირდა, და სხვა საჭირო საქმეებზე სჯისათვის მოცალეობას არ აძლევდნენ მე წინადავე ვიცოდი, რომ აქ ერთი კუნჭული კრებისა მე არ დამაცლის ლაპარაკსა, მაგრამ ამისი თადარიგი ჩვენცა გვაქვს დაჭერილი. კანონ-მდებელმა წინადავე იცოდა, შესაძლოა ამისთანა სასაცილოდ ავადება კრებისა, და ამიტომაც კრების შემოსავალ კარებში კანონი შუბით ხელში დააყენა, რომ აქ კრებაში ყოველივე საქმე მის მიერ აღნიშნულ გზით შემოვიდეს და არა თითოეულის ჩვენგანის სურვილითა. ინგლისელებმა-კი მერე დაინახეს ეს გზა და იქ უკვე გაღებული კარი ამ უნესობისა დაჰკეტეს და აქ-კი ჩვენ უკვე დაკეტილ კარს უნესობისას ეხლა ვაღებთ.

თ. ჯანდიერების საქმის ატეხა ეხლა უეცრად ჩვენში ერთი იმისთანა მაგალითია იმ უნესობისა, რომელიც დღეს ჩვენ ტყუილ-უბრალოდ გვაცდენს და დროს გვაკარგვინებს. ეს ერთი არა სასურველი მხარე ამ მაგალითისა. დავანებოთ ამას თავი. შევხედოთ წინ წამოყენებულ საქმეს ახლა სხვა მხრით. თ. ჯანდიერებს ბანკმა მამული გაუყიდა და, ზოგიერთების ფიქრით, უკანონოდ: „დაირღვაო უწმინდაესი უფლება მამულის პატრონისაო“, იძახიან მცველნი „უწმინდაესის უფლებისა“. ვსთქვათ, ჩვენდა საუბედუროდ, შეგვემთხვა მართლა ამისთანა საშინელი ამბავი „უწმინდაესის უფლების დარღვევისა“. ვითომ რაო? კრებას განა შეუძლიან ამ „უწმინდაესის უფლების“ აღდგენა, ამ დარღვეულის გამთელება, ესე იგი მამულის დაბრუნება პატრონისათვის? არა და არა! რატომ? მეორე „უწმინდაესი უფლების“ ძალით, რომელიც ამბობს: ყოველივე დარღვეული უფლება, უწმინდაესია, თუ არა-უწმინდაესი, უნდა აღდგენილ იქმნას დაწესებულ სამჯავროთაგანაო. მართალია, თქვენდა სასიამოვნოდ და ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგს თქვენში ჰგონია, რომ ჩვენი კრება, ვითარცა თავად-აზნაურთა კრება, ყოვლად შემძლებელია; რომ მას არც უფლება აქვს განსაზღვრული, არც მოვალეობა დაკისრებული. არა, ბატონებო, ქვეყნიერობაზედ არ არის იმისთანა სახელმწიფო, საცა ყოველს დაწესებულებას, პარლამენტიდამ დაწყებულს უკანასკნელ გოროდოვოიამდე, ყველას თავის უფლების წრე შემოფარგლული არა ჰქონდეს გაზომილის ფარგალითა. ამაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა თ. ავალიშვილმა გუშინწინ და მე აღარ შეგანუხებთ. ხოლო ამას დაუემატებ, რომ ყველა კაცი, თუ დაწესებულება მით

უფრო მაღალია და ღირსეული, როცა კანონს თავის თავზე მაღლა დააყენებს და თითონ ქვეშ დაუდგება. ამაზეა დამყარებული კაცთა საზოგადოების ბედნიერება და დღეგრძელობა.

იქნება არც თ. ავალიშვილს და არც მე ზოგიერთი თქვენგანი არ დაგვეთანხმოს ყველაფერში, მაგრამ ამაზედ-კი უარს ვერავინ იტყვის, რომ დარღვეულის უფლების აღდგენა მარტო სასამართლოს ხელ-შეუხებელი საქმეა და მაგისი ნება ჩვენს კრებას მინიჭებული არა აქვს და არა. ეხლა ვიკითხოთ: მამ რისთვის ვაცდენთ კრებას, უიმისადაც უკვე დაქანცულს ლაპარაკით, იმისთანა საქმეზედ, რომლის გასწორება არ შეუძლიან? რისთვის გვალაპარაკებენ თ. ჯანდიერების საქმეზედ, როცა, ჩვენდა და თქვენდა სამწუხაროდ, ვერც ჩვენ და ვერც თქვენ ტკივილს თ. ჯანდიერებისას ვერაფერს წამალს ვერ დავდებთ, გაყიდულს მამულს ვერ დავუბრუნებთ, რადგანაც ჯერ, პირველი, ამისი უფლება არა გვაქვს და მერე, მეორე, ამით დავარღვევთ „უნმინდაესე უფლებას“ მყიდველისას. თუნდ ეგეც არ იყოს, თქვენს გადაწყვეტილებას, ვსთქვათ, თქვენი გამგეობა დაემორჩილოს, განა მყიდველი შეინყნარებს და, რადგანაც არ შეინყნარებს, რა ძალი გაქვთ შეაწყნარებინოთ?

გარდა ამისა, ვინა სჩივის, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა მისი „უნმინდაესი უფლება“? ანბანია წესისა, რომ უნდა სჩიოდეს დაზარალებული ამ დარღვევისაგან. აქ ჩვენ დაზარალებულს, დარღვეულ უფლების პატრონს არა ვხედავთ. მგონია, ამ საგანზედ სიტყვა ჩამოაგდო თ. დ. ამილახვარმა და ამას მხარი დაუჭირა თ. ივ. მაჩაბელმა. კარგი და პატიოსანი. ხომ არც ერთი ამათგანი დაზარალებულნი არ არიან, არც დაზარალებულთა აპეკუნები, ან სხვაფრივ წარმომადგენელნი. მაშასადამე, ტკივილი დაზარალებისა დღეს ამ საქმეს უნდა ჩამოვათალოთ, რადგანაც ზარალი მამულის პატრონისა ჯერ მაინც ხმას არ იღებს. რაღა დარჩება ამ საქმეს, რომ ეს განგებ აკვიატებული ზარალის ტკივილი ჩამოვაცილოთ, გამოვაკლოთ. აი სწორედ ის ნაწილი საქმისა დარჩება, რომელიც თითონ საქმეს ჩვენის კრების უფლების წრეში ჩააყენებს და რომელიც მართლა კრებისათვის გამოსარკვევია და ღირს-საცნობი. ეს ნაწილი საქმისა გამგეობის მოქმედებაა ამ საქმეში. უკანონო მოქმედებააო, იძახიან. შესაძლებელია და რა-კი ესეა, უსათუოდ უნდა გამოძიებულ იქმნას თქვენ მიერ. თუმცა ამას თავისი წესი აქვს, – რა გზით უნდა მოსულიყო თქვენდა განსაკითხად ეს საქმე, და ეს წესი ამ შემთხვევაში არ შეუსრულებიათ, მაგრამ რაკი ბ-ნმა თავმჯდომარემ ნება მოგცათ



ამ საქმეზედ ლაპარაკისა, ჩვენ ამაზედ არა გვეთქმის-რა. ვისაც ეს განკარგულება ბ-ნ თავმჯდომარისა არა მოსწონს, შეუძლიან პროტესტი შეიტანოს, საცა ჯერ არს. ჩვენ-კი, მე და დანარჩენნი ორნი წევრნი გამგეობისა, ვემორჩილებით ბ-ნ თავმჯდომარის განკარგულებას ყოვლად უპროტესტოდ. სჯობია საქმე გამოქვეყნდეს და ამითი აღვირ-აშვებულს მითქმა-მოთქმას კრიჭა შეეკრას.

ამ სახით, დღეს ჩვენის სამართლის სასწორზე უნდა დაიდვას თ. ჯანდიერების საქმისა მარტო ის ნაწილი, რომელიც შეეხება გამგეობის მოქმედებას, რადგანაც ამ მოქმედების გამორკვევა დაგანახვებთ, თქვენი ამორჩეული კაცები როგორ ჰპატრონობენ და უვლიან თქვენ მიერ მინდობილს საქმეს. ამ მხრით თვალის ქერა და განკითხვა არამც თუ თქვენი ხელ-შეუხებელი უფლებაა, თქვენი უწმინდაესი მოვალეობაა. თ. ამილახვარს და მის მომხრეს თ. მაჩაბელს რომ მარტო ამ მხრით წამოეყენებინათ თ. ჯანდიერების საქმე, ვინ რას ეტყოდა. მე მომწონს ამისთანა გულის ტკივილი საზოგადო საქმისათვის, მე მომწონს ამისთანა გრძნობისაგან მოვლენილი და იძულებული განკითხვა. მაგრამ იმათ იქიდამ დაინყეს, რომ აქ „დაირღვაო უწმინდაესი უფლება მამულის პატრონისაო“. ეს ჩავიწეროთ ჩვენს სახსოვარს დავთარში და ამ სათავიდამ დაწყებულს ბოლო გამოფუჩხრიკოთ ამ საქმეს. ლახტი-კი ამ მხრით არის მოქმედი, როგორც თქვენვე ჰხედავთ, და ახლა ვნახოთ, ლახტის წვერი სადა წვდება და სადა სცემს. ვხედავთ, რომ ისარი ნასროლია, მშვილდი-კი დამალულია და ჯერ არა სჩანს.

თ. ჯანდიერების საქმეს რომ გულ-ღვიძლი გავუხინჯოთ, აი რას წარმოგვიდგენს. ოქტომბერში გამოცხადებული იყო გაზეთებში, რომ წლიურ შემოსატან ფულის წარმოუდგენლობის გამო გასასყიდლად დანიშნულია თ. ვლადიმირ ჯანდიერის მამული და თ. ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერებისაო. ესენი სამნივე ძმები არიან და ამათში თ. ვლადიმერს ცალკე აქვს ცალკე მამულზე გატანილი სესხი და ორს დანარჩენს ცალკე. ამ ორს მამულზე უნდა შემოეტანათ 387 მანეთი. 2-ს დეკემბერს მოგვივიდა თ. ზაალისაგან 89 მანათი და ინერება, მიიღეთ თ. ვლადიმირ, ალექსანდრე და ზაალის ვალშიაო. რადგანაც წიგნში ნაჩვენები არ იყო, ამ ფულიდამ ვის ვალში რამდენი მიგველო, ავიღეთ და ეგ ფული ჩავწერეთ „на переходная суммы“, ესე იგი იქ, საცა ინერება სხვათა შორის იმისთანა ფულიცა, რომელიც ფულის პატრონს გამოუგზავნია და არ აუხსნია-კი რომელს ანგარიშზე მივიღოთ, სად როგორ გავანაწილოთ. თ. ჯანდიერთაგან ჩვეულ ვიყავით,

რომ ფულსა ჰგზავნიდნენ და წიგნში არ იხსენიებდნენ განაწილებას ფულისას, ხოლო გვწერდნენ ხოლმე, რომ ფული მიიღეთ და როგორ გაანაწილოთ, თავის დროზედ გაცნობებთო. არა ერთი და ორი წიგნი მოგვსვლია წინადაც ამისთანა და საქმეშია ჩაკერებული. ჩვენც ამისთანა წიგნებს ჩვეულება ჩავწერეთ იგი 89 მანეთი “на переходных суммах” იმ იმედით, რომ თავის დროზე განაწილების ამბავსაც გვაცნობებდნენ და მერე ამ 89 მანეთს თავ-თავის ადგილს გადავიტანთო. თ. ზაალი ამასთანავე გვეკითხებოდა, რამდენია სულ შემოსატანი სამსავე ძმაზედაო. დეპეშა მივწერეთ და ვაცნობეთ, რომ კიდევ 298 მანეთია საჭირო. გაყიდვა დანიშნული იყო 14-ს დეკემბერს. 5-ს დეკემბერს წერილი მოგვივიდა თ. ვლადიმერ ჯანდიერისა. იუწყებოდა, რომ სეტყვამ დაგვაზარალა და გთხოვთ, შემოსატანი ფული მადროვოთო და მამული არ გამიყიდოთო. გამგეობას არავითარი უფლება არა აქვს შეეწყნარებინა ეს თხოვნა, თუმცა სეტყვით ზარალი დასაბუთებული იყო ჯეროვანის მოწმობითა. აი, ბატონებო, ჰნახეთ ბედის ტრიალი: ამ კრებაზედ ვითხოვეთ ჩვენ, რომ ნება მოგვეცით ამისთანა შემთხვევაში შეღავათი ვაძლიოთ ხოლმე დაზარალებულთა სეტყვისაგან და სხვა უბედურებისაგან და ისინი, ვინც გვეკიცხვენ დღეს, რომ არ მიეცით უკანონოდ შეღავათიო, მთელი ორი თუ სამი დღე გვეკიცხავდნენ ჩვენვე, რომ შეღავათის გაკანონიერებას ვთხოვლობდით. კანონით შეღავათსა უარს ჰყოფდნენ და უკანონოდ შეღავათს-კი გვიქადაგებენ ჩვენდა საკიცხავად. დეე, ესეც ჩაიწეროს სახსოვრის დავთარშია ნიშნად იმისა, თუ რა გულწრფელად და გულისტკივილით ეკიდებიან ზოგიერთნი თქვენს საზოგადო საქმეს.

ჩვენ თხოვნა თ. ვლადიმერ ჯანდიერისა გადავეცით ზედამხედველს კომიტეტს, რადგანაც იმის ხელთ არის იგი ფული, რომელიც ამისთანა შემთხვევისათვის არის კანონით გადადებული ცალკე დაზარალებულ წევრთა-დამფუძნებელთა ხელის გასამართავად. ამ სახით ჩვენ უარი ვუთხარით თ. ვლად. ჯანდიერს და თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით ვაცნობეთ. სწორედ 14 დეკემბერს მოგვდის დეპეშა, რომლითაც ფოსტის უფროსი თელავისა გვაუწყებს, რომ ვლადიმერ ჯანდიერმა ბანკში გამოსაგზავნად დღეს შემოიტანა 262 მანეთიო. იცით, ბატონებო, რა დღეა მამულების გაყიდვის დღე. სწორედ ჯოჯოხეთია. ვსთქვათ, მე გულ-ქვავი კაცი ვარ და არასა ვგრძნობ, მაგრამ ამ დღეს სხვა ჩემი ამხანაგები-კი სწორედ წამებულნი არიან. ათასი კაცი ირევა, ზოგი გვემუდარება, ნუ დამღუპავთ, წვრილ-შვილი ვარ, შემოსატანი დაგვაცალეთ, მამულს ნუ გამი-

ყიდითო; ზოგი გვევაჭრება ფული სრულად ველარსად მოვახერხე და ამა-და-ამ ნაწილს დაგვეჯერდითო; ზოგი ჰკითხულობს, ესა-და-ეს მამული მინდა ვიყიდო და საქმე გამასინჯეთო; ზოგს ფული შემოაქვს და კვიტანცია მომეცითო; ზოგი იხვენება ერთი ორიოდ საათი დამაცალეთ და ფულს მოვიტანო. ერთის სიტყვით, მთელი ბუღჭალტერია, კანცელარია, გამგეობა სულ ფეხზედა სდგას და ათას ნაირ ხვნეშა-მუდარებას, ათას ნაირ თხოვნას, ათას ნაირს საკითხს უძღვევა ღონე-მიხდილი და გაბრუებული. ამისთანა ვაი-ვაგლახში აუარებელი დეპეშა და წიგნი მოგვდის. ყველას გაძლოლა უნდა, ყველას ასეთი თუ ისეთი პასუხი, მერე საჩქაროდ და ხან დაუყოვნებლად. მოგვდის დეპეშა თ. ვლად. ჯანდიერისაც, როგორცა ზემოდა ვსთქვით. არას ინერება, გასანაწილებლად ჰგზავნის ძმების ვალისათვისაც, თუ მარტო თავის ვალში, ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მისი საკუთარი ვალი 244 მან იყო. ავიღეთ და დეპეშით ცნობილი 262 მანეთი მარტო თ. ვლად. ჯანდიერის ვალში მივიღეთ და 18 მანეთი ნარჩენი თავნიდამ მოვაშორეთ. სხვა რა უნდა გვექმნა? ან ჩვენ რა ნება გვექონდა თ. ვლადიმერისაგან გამოგზავნილი ფული მისდა უჩვენებლად აგველო და იმის ძმების ვალში ჩაგვერიცხა. ამბობენ, გამგეობას უნდა სცოდნოდა წინა მაგალითებიდამ, რომ ეს სამნი ძმანი ჯანდიერნი ერთმანეთისათვის ჰგზავნიდნენ ხოლმე ფულსაო. ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენ დალოცვილ ქართველობაში თუმცა ძმანი ბევრჯელ ერთმანეთის მოყვარულნი არიან, მაგრამ არა იშვიათია ისიც, რომ მტრებზე უარესები არიან. მეორე ისა, რომ ბუღჭალტერიამ არ მოგვაგონა ის 89 მანეთი, რომელიც წინად გამოგზავნილი იყო და, სწორედ მოგახსენოთ, აქ არც ბუღჭალტერიაა გასამტყუნარი: სად დაიხსომოს კაცმა, რომ ამა-და-ამ კაცის ფული ჩანერილია на переходные суммы? ყოვლად შეუძლებელია ამის დახსომება და ნამეტნავად ამის გახსენება იმისთანა ვაი-ვაგლახში, როგორც გაყიდვის დღეა, როცა კაცს თავის თავიც ავინყდება. ეგ იმისი მოვალეობაა მოგვაგონოს, ვინც ფულსა ჰგზავნის იმისდა უჩვენებლად, ვისთვის და რისთვის.

თუნდ ეგეც მოგვეგონებოდა, მაინც მამულის გაყიდვისაგან დახსნისათვის თ. ჯანდიერებს აკლდებოდათ 36 მანეთი სამსავე ძმას ერთად. კანონი გვაიძულებს მამული გავყიდოთ, თუნდ ერთი გროში აკლდეს შემოსატანს. მაშასადამე, აქ, რაკი 36 მანეთი აკლდათ საერთოდ თ. ჯანდიერებს, ვერავინ გვეტყვის, რომ უკანონოდ მოვიქცით, რომ მამული გავყიდეთ. სწორედ მოგახსენოთ, 36 მანეთის გულისათვის ამ შემთხვევაში მამულს არ გავყიდდით, ჩვენ თითონ,

გამგეობის წევრნი, ვიკისრებდით ამ 36 მანეთს, თუ თ. ჯანდიერნი მერე არ გამოგზავნიდნენ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ის 89 მანეთი ბულჰალტერიამ არ მოგვაგონა. ამ სახით, თ. ვლადიმერისაგან გამოგზავნილი 262 მანეთი იმის ვალში მივიღეთ და თ. ალექსანდრე და ზაალის მამული-კი გაიყიდა. იგი იყიდა თ. ვლადიმერ ჯანდიერისვე მეუღლემ და ჩვენ გვარწმუნებდა, რომ იმავე ჯანდიერებს დავუბრუნებო. ბოლოს, 24 დეკემბერს, ესე იგი, ათს დღეს შემდეგ, როცა მამული უკვე გაყიდული იყო, მოგვდის წერილი თ. ვლადიმერ ჯანდიერისა, რომ ჩემ მიერ გამოგზავნილი 262 მანეთი ამა-და-ამ რიგად გაანაწილეთო ჩემსა და ჩემთა ძმათა ვალთა შორისო. გვიან-ლა იყო, საქმეს აღარა ეშველებოდა-რა, ჩვენდა სამწუხაროდ.

მერე მოვიდა ბანკში თვით თ. ვლადიმერ ჯანდიერი და სამდურავი სთქვა: რად გაუყდეთ ჩემს ძმებს მამულიო. მოვიკითხეთ საქმე და საქმის გარემოება ავუხსენით. მას შემდეგ ბევრს შევეცადენით, რომ მყიდველს დაებრუნებინა პატრონისათვის მამული, შუაკაცად თვით თ. ლევან ჯანდიერი შევაყენეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ბოლოს ნოტარიუსისაგან მოვითხოვეთ ნასყიდობის ქალაღდი და ვთხოვეთ, ჯერ ნუ დაამტკიცებო. მოგვივიდა ნოტარიუსისაგან ნათხოვნი ქალაღდი, მოვიწვიეთ ჩვენი იურის-კონსულტი, ავუხსენით საქმის გარემოება და ვკითხეთ, შესაძლოა თუ არა როგორმე დაიშალოს ეს საქმე და პატრონს მამული დავუბრუნოთო. იურის-კონსულტმა გვიპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ყოველი წესიერება შესრულებულია და დარღვევა ნასყიდობისა ყოვლად შეუძლებელიაო. თ. ვლადიმერ ჯანდიერს ვაუწყეთ ეს პასუხი და ერთი რჩევა მივეცით შემდეგისათვის. იგი სრულიად კმაყოფილი წავიდა, რაკი ეს რჩევა მიიღო, და მას აქეთია მის მიერ არავითარი საჩივარი არ ისმის.

კიდევ ვიმეორებ, მამულის პატრონი თითონ არა სჩივის, არავისათვის მიუხდვია იჩივლოს და ამ საქმის ამტეხნი აქ რა შუაში არიან, არ ვიცი. თ. ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერნი მცირე წლოვანები არ არიან, ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებ ნასწავლნი არ არიან, ლაპარაკიც იციან და იგინი არას ამბობენ თავის „უწმინდაესის უფლების დარღვევის“ გამო და აქ სხვას რა ხელი აქვს. მგონი ერთი ამ ჯანდიერთაგანი აქა ბრძანდება და აბა ერთი ვკითხოთ: აქვს რაიმე პრეტენზია ბანკზედ ამ საქმის გამო და თუ აქვს, თითონ რატომ არას მოგახსენებთ?

აი, ბატონებო, სრული ვითარება ამ სამწუხარო ამბისა. ეხლა თქვენზეა და თქვენს სამართალზე დამოკიდებული გვითხარით: ეს

საქმე განა იმოდენად აწვიმებს, რამოდენადაც ზოგიერთებს აქუ-  
ხებს!..

### **დრამატული საზოგადოების საბანგებო კრება**

1892 წლის 4 ივნისი

**გამოსვლა 1:** წარსულმა კრებამ მეორე, უფრო დიდი უკანონობა ჩაიდინა. მოახდინა არჩევნები, რომელიც წინდანინვე გაზეთებში არ იყო გამოცხადებული და მაშასადამე არაფერი ვიცოდით, იქნებოდა კომიტეტის წევრების არჩევა, თუ არა. ასეთის საქციელით თქვენ დაარღვიეთ ჩვენი უფლება, როგორც საზოგადოების წევრთა.

**გამოსვლა 2:** გულ-მტკივნეულობა აქ რა შუაშია, ან რა მოსატა-  
ნია. თუ მაინცა და მაინც გნებავთ გულმტკივნეულობა, მე სწორეთ  
არჩევნებისთვის შემტკივა გული. ჩემთვის სრულებითაც არ არის  
ერთი, ვინ იქნება არჩეული კომიტეტის წევრად. ეს საგანი არ იყო  
გამოცხადებული გაზეთებში და შემედლო არც მოვსულიყავ, რად-  
გან ამ საგანზე სჯა ბაასი არ იქნებოდა. ამას გარდა, აქა ბძანეს, რომ  
დრამატიული საზოგადოება უკომიტეტოდ დარჩებოდაო და იმიტომ  
დავაჩქარეთ არჩევნების მოხდენაო. ეს საბუთი შესაწყნარებელი არ  
არის. სანამ ახალი კანონიერი არჩევნები მოხდება, ძველი კომიტეტი  
იქნებოდა სრულის უფლებით აღჭურვილი.

**გამოსვლა 3:** აქა ბძანეს, რომ წარსული არჩევნები კანონიერიც  
იყო და უკანონოცაო. არის იმისთანა საგნები, რომელთა შესახებ ყო-  
ვლად შეუძლებელია კაცმა ორი აზრი იქონიოს. მაგ. ეხლა ღამეა. ვინ  
იტყვის, რომ დღეაო. ბ-ნმა ა. ფურცელაძემ სთქვა, მე ვიყავი წევრი  
დამფუძნებელი და ამ რამდენსამე წლის განმავლობაში ფული არ შე-  
მომიტანიაო. კანონით ამის გამო წევრად აღარ უნდა ითვლებოდეს.  
მე-7 მუხლი ჩვენი წესდებისა ამბობს, წევრი დამფუძნებელი, რო-  
მელმაც ერთის წლის განმავლობაში არ შემოიტანა საწევრო ფული  
ერთი თუმანი, გამორიცხული უნდა იყოს წევრობიდანაო. ბ-ნს ა.  
ფურცელაძეს რამდენისამე წლის განმავლობაში არ შემოუტანია  
საწევრო ფული და როგორ უნდა ირიცხებოდეს ეხლა წევრად. განა  
ამაზე შეიძლება ორი აზრი იქონიოს კაცმა, როცა კანონი ასე ცხა-  
დად და გარკვევით ლაპარაკობს?

### **თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა საბანგებო კრება**

1892 წლის 11 აგვისტო

**გამოსვლა 1:** მართალსა ჰბრძანებს თავ. გურამიშვილი: წესის  
შეცვლა ამ შემთხვევაში ყოვლად შეუწყნარებელია. რაიცა შეეხება

მაზრის მარშლებს, იმათ შეუძლიანთ დიდი სიკეთე გაუწიონ ქვეყანას, თუ კი თავს იდებენ და მოუვლიან გაჭირვებულ სოფლებს. მივიდნენ, გაამხნეონ ხალხი, შეჰკრიბონ შემოწირულებანი და გაასუფთაონ სოფლები, როგორცა ჰმოქმედებენ სიღნაღის, ბორჩალოს და თელავის მარშლები. საუბედუროდ, გორის მაზრის მარშლისა არა ისმის-რა საქებური ამ მხრივ. აი, ჩვენა ვსთხოვოთ, რომ ყველანი შესაფერად გაისარჯნენ. თვით პანანა სოფლები ახერხებენ ორმოც სამოცის თუმნის გამოღებას, რომ შეებრძოლონ ხოლერას. ნუ თუ მარშლები ამისთანა საქმეს ვერ გააბედვინებენ ყველა სხვა სოფლებს, რომელთაც ესმით, რა დიდი უბედურებაა მათთვის ხოლერა?!

**გამოსვლა 2:** კაი ახალი ამბავია! როგორ თუ არა აქვს ბანკს ფულიო? მაშ ვისა აქვს, თუ არა ბანკს! ქარვასლის გადასაკეთებლად თხუთმეტი ათასი თუმანი დავხარჯეთ და აგერ ხუთის წლის განმავლობაში ეს ფული ერთიან დაიბრუნა ბანკმა უკანვე. თუ-კი ქარვასლებს მაგოდენა ფულს მოვანდომებთ, ნუ თუ ხალხის ჯანმრთელობა არა ღირს იმად, რომ დავხარჯოთ, რამდენიც დასჭირდება ამ საქმეს, და შემდეგ კვლავ აღვადგინოთ ეგ ფული!

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა საბანგებუო კრება

1893 წლის 15 თებერვალი

**გამოსვლა 1:** იმ წესს, რომელზედაც ბ-ნი კობიაშვილი ბრძანებს, ჩვენ ვერ დავებქდავდით, რადგანაც სამინისტრო წესის გადმობეჭდვა, საცენზურო წესდების ძალით, აღგვეკრძალებოდა.

**გამოსვლა 2:** მე-კი მგონია, რომ გადმობეჭდვის ნება არა გვაქვს. მაინცა და მაინც, არც ეგრე საჭირო იყო ცალკე გადაბეჭდვა წესდებისა. აი დაბეჭდილი აქ არის და, თუ გნებავთ, წავიკითხოთ. სულ რამდენიმე მუხლია.

**გამოსვლა 3:** სამოქმედო ფული ყოველი ის შემოსული ბანკში ფულია, რომელიც ვადამდე ბანკის მიერ არავისთვის გასაცემი არ არის. მაგალითებრ, თავნსა და სარგებელში შემოტანილი ფული. ეს ერთი. მეორე, რაც-კი თავისი ფული აქვს ბანკს, გარდა სათადარიგო თანხისა. ეს სულ ერთად სამოქმედო ფულია. ყოველ ამ სამოქმედო ფულიდამ სრულად თავისუფალი მარტო ბანკის ძირის ფულია და ბანკის მოგების ფული. აი მარტო ეს უკანასკნელი, ორნაირი ფული თავისუფალია, რადგანაც ვადაზედ არავისათვის მისაცემი არ არის და ბანკს ეკუთვნის.

**გამოსვლა 4:** მე მინდა ჩემკენ გამოსროლილი ქვები უკანვე დაფუზრუნო მსროლელთ. რაები არ დამნამეს. ვითომ მე მოვატყუე გამგეობა, ვითომ მე ტყუილის იმედებით ვანუგეშებდი, და სხვა ამისთანა ცოდვები. ჩვენ რომ მართლა საქმის სიყვარული გვექონდეს, თვით საქმის ვითარებას დავაკვირდებოდით და აბდა-უბდა ლაპარაკს არ გამოვუდგებოთ. რაკი ამისთანა უნარი არა გვაქვს, მეტი რა გზაა, ამისთანა უთავბოლო ლაპარაკით იძულებულნი ვართ ყური გამოვიჭედოთ. არ უნდა იყოს ასე, მაგრამ რა ვქნათ. საქმის შესახებ-კი მხოლოდ ამას მოგახსენებთ: ყველამ იცის, ვისაც-კი ნაკითხულის გაგება შეუძლიან, რომ 1891 წელს, იენისსა და ივლისში, გირავნობის ფურცლის ფასები მეტად დიდი იყო. ვინც საქმეში ჩახედულია, ესეც იცის, რომ ამ უკანასკნელ 7-8 წელიწადში ჩვენი გირავნობის ფურცლები სხვა ბანკების ფურცლებზედ  $1\% - 1\frac{1}{2}\%$  ნაკლებ ნაღდდებოდა ბირჟაზედ. რადგანაც 1891 წელს, იენისსა და ივლისში, სხვა ბანკების ფურცლები  $101\frac{3}{4}$  საღდებოდა და ორ-სამ შემთხვევაში 102-მდეც ავიდა, რა საკვირველი იყო, იმედი გვექონოდა, რომ ჩვენი გირავნობის ფურცლები 100 და  $100\frac{1}{2}$ -ად გაყიდულიყო. აქ არა არის დაუჯერებელი და უიმედო იმისათვის, ვინც-კი საქმეში ჩახედულია. ეგრე იყო 10 აგვისტომდე. 10 აგვისტოს ბირჟაზედ ხმა გავარდა, რომ რუსეთში შიმშილი ჩამოვარდა და ეს გარემოება ოფიციალურად ცნობილიაო. ამან ელდა დასცა ბირჟას, და დაიწყო ფასების კლებამ, ნამეტნავად გირავნობის ფურცლებისამ. ეს კლება იქამდე მივიდა, რომ იმ ბანკებსაც არ მისცეს ნება შემდეგის კონვერსიისა, რომელთაც უკვე ნებართვა ჰქონდათ და რომელთაც 1891 წლის ნახევარში მოახდინეს პირველი კონვერსია. მეორე ნახევრისათვის-კი, რაკი ფასები დაეცა, კონვერსია აუკრძალეს. ადვილად მისახვედრია, რისთვის მოხდა გირავნობის ფურცლების ფასების დაწევა. თითქმის 20 გუბერნიაში შიმშილი ჩამოვარდა. მაშასადამე ვალის ამლებ მემამულეებს ღონე აღარ უნდა ჰქონოდათ, ბანკის ვალს გასძლოლოდნენ. რაკი ბანკში შესატან ფულს ვერ შეიტანდნენ, აშკარაა, ბანკებსაც უნდა გასჭირებოდათ თავიანთ მოვალეების პასუხის გაცემა, იმიტომ რომ, თუ ბანკს თავნისა და სარგებელში შემოსასვლელი ფული არ შემოუვიდოდა, გირავნობის ფურცლების პატრონთაც გაუძნელებოდათ თავნისა და სარგებლის მიღება. აი რამ დააშინა გირავნობის ფურცლების პატრონები ცალკე და ბირჟა საერთოდ. ამას აი რა მოჰყვა: მაშინდელი ბირჟის უწყებანი რომ გასინჯოთ, ჰნახავთ რომ 13 აგვისტოდად დაწყებული ამ შიმშია გირავნობის ფურცლე-

ბის ფასები  $101\frac{3}{4}\%$  –  $102\%$ -დამ ჩამოახდინა ოქტომბერში  $95\%$ -მდე. ამისთანა ფასის დიდ დაწევისა ორ-სამ თვეში სხვა მაგალითი ძნელად მოიპოვება, ნამეტნავად გირავენობის ფურცლების კურსის ისტორიაში. აი მიზეზი, რამ დააბრკოლა, სხვათა შორის, ჩვენი კონვერსიაცა. გვეუბნებიან, რისთვის გარბოდით პეტერბურგში, თუ-კი კონვერსიას ვერ მოახდენდითო. ჩვენ აქ საყვედურის იმედი და სურვილი არ აგვისრულდა და კონვერსია ვერ მოვახდინეთ. არამც თუ ჩვენს ყურ-მოყრუებულს ბანკის მმართველობას, ანუ სხვა უკეთეს მმართველობას, რომელსაც თ. მაჩაბლისთანა მხნე და თავ-გამოდებული წევრები ეყოლებოდა, არამედ იდეალურ მმართველობასაც-კი არ შეეძლო მაშინ კონვერსია მოეხდინა, რადგანაც ჩვენ გირავენობის ფურცლებს დაბალი ფასი ედოთ წარსულ წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე. ეხლა-კი, როდესაც ფასმა 100 მანეთამდე აიწია, კონვერსია შესაძლებელია და ამისათვის გთხოვთ კიდევ, ნება მოგვეცით, დიდის ხნის თქვენი წადილი ავასრულოთ. მართალია, ამ ორის წლის წინად თქვენ დაგვრთეთ ნება, რომ კონვერსია მოგვეხდინა, მაგრამ წინად არ იყო ისე გამორკვეული კონვერსიის საქმე, როგორც ეხლა. მაშინ, მაგალითად, არც-კი ვიცოდით თუ სახელმწიფო ბანკის დახმარება შესაძლებელია. მაგას გარდა მაშინდელ თქვენის გარდაწყვეტილებით ჩვენ ნება გვეძლეოდა კონვერსია მოგვეხდინა იმ პირობით, რომ ჩვენი  $5\%$ -იანი ბილეთები განაღდებულყო 99 მანათად. მაშინ  $1\%$  მაინც ვალად დაედება მსესხებელთ. ეხლა-კი, იმედია ჩვენს ფურცლებს უფრო კარგს ფასად გავანაღდებთ და, თუ სახელმწიფო ბანკი მოგვეშველება, ისე, როგორც სხვა ბანკებს, მსესხებელთ გარდასახდელად აღარა დაედებათ-რა. ამისათვის გთხოვთ ახალ ნებართვას, თქვენსავე სასარგებლოდ, და ზოგი-კი წინააღმდეგობას გვიწევს, თითქოს საზარალო რასმე მოგახსენებდეთ. ახლა ორიოდე სიტყვაც ბ-ნ კობიაშვილისა. აქ საკვირველი და საუბედურო აზრების არე-დარევაა, ერთმანეთის სიტყვის ტყუილ-უბრალო ჩხრეკა და საქმის გაუგებრობა. რადა ჰგონიათ, რომ მამულის გადაგირავებით,  $6\%$  სესხის  $5\%$ -ად შეცვლით, იგივე გაკეთდება, რაც კონვერსიითაო. თუ მამული თავისუფალი არ არის კერძო ვალისაგან, მისი გადაგირავება კანონით-არ შეიძლება. ჩვენში იშვიათს მამულს არ აძევს კერძო ვალი და მამ კონვერსიას იშვიათი მამულის პატრონი ეღირსება. ხოლო კონვერსიას, კერძო ვალი რაც უნდა დიდი იყოს მამულზე, ვერ დააბრკოლებს. ვერც ის გამიგია, რად უარჰყოფენ კონვერსიას ბანკის თანხის დახმარებით. ჩვენ ვსცდილობთ და ვეცდებით კიდევ



ისეთს გზას დავადგეთ, რომელიც ჩვენთვის და მსესხებელთათვის უფრო სასარგებლოა. მაგრამ, თუ სხვაფრივ ვერ მოვახერხებთ, მეტი რა ღონეა, ჩვენს თანხას უნდა მიემართოთ. მართალია, დიდ ხანს გასტანს, ყველას ერთბაშად არ მიეცემა შეღავათი, მაგრამ, დღეს რომ ერთს გაეზუადვილოთ საქმე, ხვალ მეორესა და მესამეს, განა ეგ ნაწილი არ იქნება იმ დიდის კეთილისა, რომელსაც კონვერსიისაგან მოველით? განა ნაწილი კეთილისა იგივე კეთილი არ არის?

**გამოსვლა 5:** ღირსნი-კი არ ვიყავით, არამედ ქებისა იმათის მხრით, ვინც ამ საყვედურს გვეუბნება. ჩვენ ნავედით სამინისტროში იმ პროგრამის ძალით თ. ი. მაჩაბლისა, რომლის არ-ასრულება თითქმის მეორედ-მოსვლის ნიშნად ჩასთვალეს ზოგიერთებმა. ხომ გახსოვთ, რა ყოფა დამაწიეს მე! ვითომ ქვეყანა დავღუპე, იმიტომ რომ, როცა მინისტრი ბრძანდებოდა აქ, არა ვნახე და ჩვენის გულის დარდი 5%-იან გირავნობის ფურცლის გამოცემის გამო არ შევატყობინე. ესხა სამჯერ ნავედით, რომ ჩვენი დარდი კონვერსიის გამო შეგვეტყობინებინა და ამასაც ცოდვად გვითვლიან. იქ არ ნავედით – ცოდვად ჩავგვითვალეს, აქ ნავედით, რამდენჯერმეც, – და მაგასაც ცოდვად გვითვლიან. ესეც-კი ვიცით, რომ კონვერსიის საქმეზედ არ ნავსულიყავით, ახლა იმას გვისაყვედურებდნენ, რომ ნავსულიყავით, მინისტრი კონვერსიის ნებას მოგცემდათო. მოდით და გაიგეთ, ჩვენ მაყვედრებელთ როგორ მოვანონოთ თავი!

**გამოსვლა 6:** ეგ ცნობა საიდანა გაქვთ?

**გამოსვლა 7:** იქნება „Кавказ“-ში შეცდომით იყო. მე-კი ამას ვამტკიცებ, რომ 10, თუ 13 აგვისტოდამ ფასებმა ძალიან კლება დაიწყეს.

## ქახეთის მკვიანახეთა კრება ღვინით ვაჭროვის ამხანაგობის შეღებინაზედ

1893 წლის 11 ივნისი

**გამოსვლა 1:** ცხოვრება ჭიდილია, მე შენ გეჭიდები, შენ – მე და ორივენი ვსცდილობთ ურთიერთის დამარცხებას. თვითვეული ვსცდილობთ ცხოვრებაში მეტი ჩვენ ვირგუნოთ, შევიხვედროთ. საბრძოლველად ბევრნაირი იარაღი იხმარება. ყველა იარაღზედ ძლიერი იარაღი ფულია. დღეს „მე“ და „შენს“ ჭიდაობაში გამარჯვებულია ფული. დამარცხებულთ ფულისაგან ბევრი სხვა-და-სხვა იარაღი სცადეს ფულის წინააღმდეგ და ცდამ დაანახვათ, რომ ყველაზე საუკეთესო იარაღი ფულის წინააღმდეგ, არის შეერთებული ძალა, თუნდაც ეს შეერთებული ძალა ღარიბთა და ლატაკთაგან იყოს შემ-

დგარი, მაინც სანადელს წინააღმდეგობას უწევს ფულსა.

დღეს ჩვენგან გასასინჯი წესდების წინად მოსაზრება (პროექტი) სწორედ ამ აზრის განხორციელებას, საშუალებას წარმოადგენს. ყველამ კარგად ვიცით, რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩვენი ღვინის ვაჭრობა, იცით, სადამდის დაჩაგრულია ფულისაგან ღვინის მწარმოებელი და ამ საქმის გასასწორებლად საჭიროა ვენახის პატრონთა ერთად შეერთება. შეერთებულის ძალით უნდა ვეცადნეთ, რომ ვენახის პატრონიც და ღვინის მხმარებელიც მოგებაში იყვნენ. ამ საქმის გამგეთა წმინდა მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ვენახის პატრონმა, რაც შეიძლება, სრული და ღირსეული ფასი მიიღოს და ღვინის მხმარებელმაც, რაც შეიძლება, იაფად იშოვნოს ღვინო. მაშ, წავიკითხოთ წესდების წინად მოსაზრება და, რაც შეიძლება, საუკეთესო, სასარგებლო და მტკიცე საფუძველზე დავაწყართ ჩვენი საქმე.

**გამოსვლა 2:** მყიდველები ეტანებიან „თავადობის“ სახელს კი არა, თვით საქმის კეთილსინდისიანობას. თუ საქმეს რიგთანად მოვანყობთ და შევძლებთ კარგის საქონლის ბაზარში გატანას, მყიდველებიც ბევრი გვეყოლებიან და თუ საქმე არ იქნება კარგად მოწყობილი, სახელი „თავადი“ აქ არას გვიშველის, როგორც უნდა ავაჭრელოთ გვარებით. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ვაჭრობაში სავაჭრო ამხანაგობის სახელის გაგრძელება შეუფერებელი და ხელის შემშლელია, რადგანაც გძელი სახელი გძელი დასახსომებელია, მიწერ-მოწერაში დროს დამკარგავი და ამიტომ დამაბრკოლებელი.

**გამოსვლა 3:** რამდენიმე არა თავად-აზნაური, მაგრამ საჭირო არ არის მაგის ჩამატება.

**გამოსვლა 4:** ჩვენში მუდამ მოთავსებული და შეფერებულია ორი რამ: ერთი, ზრუნვა ჩვენის თავისათვის და მეორე, საზოგადოების სამსახური, საზოგადო მზრუნველობა. სამწუხაროდ, პირველი მუდამ გვახსოვს და მეორე-კი სრულიად გაყურებულია ჩვენში. გარდა ამისა, თვით საქმის კარგად წაყვანისათვის საჭიროა, რაც შეიძლება, ბევრი ღვინო შეგროვებულ იყოს რიგიან და სანდო დაწესებულების ხელში, ამიტომ ყველა ნოდებიდამ რომ მივიღოთ ამხანაგობაში, ისა სჯობია, რამდენათაც ბევრი ვიქნებით, იმდენად ძალაც მეტი გვექნება.

**გამოსვლა 5:** აქ გულისთქმას ადგილი არა აქვს. უნდა ვეცადნეთ, ყოველს ახალს საქმეს ისეთი თესლი ავურჩიოთ, რაც შეიძლება,

მეტი ნაყოფი გამოიღოს. თუ თესლი დაკვირვებით არ აირჩა, ნაყოფსაც რიგიანს ნუ ელოდებით. ავილოთ პურის მარცვალი, გავტეხოთ შუაზე და ისე დავთესოთ, იქნება ნატეხებიდამ მცენარე ამოვიდეს, მაგრამ მოსალოდნელ ნაყოფს კი არ გამოიღებს. აქ არევ-დარევა და გაცალ-კერძობა არ მოუხდება საქმეს. წელანაც მოგახსენეთ, რაც ბევრნი ვიქნებით, ისა სჯობია. მრავალთა ძალაც მრავალია – ღონიერი. ესეც რომ არ იყოს, ქვეყნის სამსახური მოითხოვს შეერთებასა. ამ მოვალეობისაგან არავინ არ არის თავისუფალი და მომატებულად თავად-აზნაურობისათვის პირდაპირი მოვალეობაა.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

1894 წლის 15 მაისი

**გამოსვლა:** მე უნდა, ბატონებო, ვისარგებლო იმ უფლებით, რა უფლებაც ყოველ მოწმეს კანონით მინიჭებული აქვს: როდესაც მას ჰკითხვენ ისეთი პირის შესახებ, ვისთანაც უსიამოვნება აქვს, ის თავის თავს გადაიყენებს. ამისათვის გთხოვთ ნუ მათქმევინებთ.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

1894 წლის 16 მაისი

**გამოსვლა:** ყველაზე, უფრო, ბატონებო, მ. მაჩაბელმა დამიკრა ტაში; ვიცი ეგ რაც არის, ძალიან კარგად ვიცი და ამისათვის უნდა მოგახსენოთ ჩემდა უნებურად აქეთ იქით მივიხედდე: დიდი სისულელე ხომ არა ვსთქვი რამეო!...

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

1894 წლის 23 მაისი

**გამოსვლა 1:** მე სრულიად თანახმა ვარ ბ. ტატიშვილის აზრისა ვექილობეების მოსპობის შესახებ; მაგაზედ უკეთესს, მე მგონია, ვერას მოვიგონებთ. მაგრამ ამას, ბ-ბ., ისიც დავსძინოთ, რომ დამფუძნებელ წევრად ჩანერა შეეძლოს, არა ყველას, ვისაც ერთი, ან და ნაკლები დღიური მიწა აქვს, არამედ მათ მხოლოდ, ვისაც ან ყმები ჰყავდა და ან 250 დღიური მიწა აქვს. ეს წესი განსვენებულმა დ. ყიფიანმა შამოილო; ჩვენ-კი ვითომ ეს დავინუნეთ და დავსძინეთ, რომ: არა! ვისაც ცოტაოდენი – მიწა-წყალი აქვს – იმასაც ექნეს დამფუძ-

ნებელ წევრად ჩანერის ნებაო; ეხლა კი სანანებლად შეგვექნა! ვინც არ გვეგონია და ვისაც ათი შაური შემოსავალი აქვს – მოდის და წევრად ინერება!.. ინერება არა იმისათვის, რომ მართლა გული სტკიოდეს, არამედ მისათვის, რომ კენჭი ჩააგდოს!.. აი, ბბ. ამას მოგახსენებთ, რომ ამათ კარები დაფუკეტოთ... ან ეხლავ და ან ვადა დაუდოთ და იმ ვადას იქით ნულარ მივიღებთ ხოლმე...

**გამოსვლა 2:** მე კიდევ ვიმეორებ, რომ ვექილობეების მოსპობა ძალიან კარგი და სამართლიანი იქნება!.. ამ ვექილობეებმა ძალიან აგვრიეს, ბევრი უსიამოვნება ჩამოაგდეს ჩვენს შორის, ბევრი ცუდი ხმები და იჭვები დაბადეს!... რომ ის ვექილობეები გადაარჩიოთ – ნახავთ, რომ 100-ზედ მეტი ვექილობა ერთი და იმავე ხელით არის დანერილი; უთუოდ სადღაც ქარხანაა ამ ვექილობის წერისა?.. გულმოდგინეთ, რომ დაუკვირდეთ – იქნება ერთი და ორი სისხლის სამართალსაც ვერ გადურჩენ!.. რად ვშვრებით ამას? რად გვინდა, რომ ჩვენი საზოგადოება ასეთს უკადრისს მდგომარეობამდის მივიყვანოთ!.. სხვა რომ არა იყოს რა – ეხლა მე არ დავასახელებ პირ და პირ – და საბუთი-კი ხელთა მაქვს, რომ ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის ერთი მასწავლებელი დადიოდა და ჩემის სახელით ვექილობებს აგროვებდა, რომელთაგანაც მე ერთიც არ მომსვლია!..

**გამოსვლა 3:** არა, თქვენ არა, ბატონებო!... ის ვერც იკითხავს ვინც არის...

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1894 წლის 24 მაისი

**გამოსვლა 1:** ამისათვის არის ცალკე კომისია და იქ უნდა მიიქცენ თხოვნით.

**გამოსვლა 2:** მ. მაჩაბლის სიტყვით მე შარშან სხვა აზრის ვიყავი და წრეულს სხვა აზრისა. თუ ეგ მართალია – ეს იმას ნიშნავს, რომ კაცმან ჭკუა უნდა ისწავლოს და სულ ერთს აზრს არ ადგეს თავის ჭირვეულობით...

**გამოსვლა 3:** ხელს მოვიჭრი, თუ ვინც „მართალია“ იძახის ესმის რაზედ იძახის... მე, თანახმად, თავადის ავალიშვილის აზრისა მოგახსენებთ, რომ ყოველი გარდამწყვეტილება, თუ სახსარი არა გვაქვს, არ შეგვიძლიან აღვასრულოთ... მაშასადამე ამას თავი დავანებოთ და ეხლავ იმ წყაროების მოპოებას შევეუდგეთ, თუ როგორ და რა გზით შევიძინოთ ეს მამული სკოლისთვის.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1894 წლის 26 მაისი

**გამოსვლა 1:** მე არავისთან სამედიატორე არცარა მქონია და არცა რა მაქვს. მეტადრე ბ. მაჩაბელთან... ვიცი ძალიან კარგად რითი თავდება ხოლმე ეს მედიატორეთა მსჯელობა აი, ბბ. ერთი წელიწადია თ. თარხნიშვილს ჰპირდებიან სამედიატორე მსჯელობაში გაყოლას და ჯერაც კაცი არ ამოურჩიეს.

მე მედიატორე არ მინდა, რადგან ვიმეორებ, მაჩაბელთან არც არაფერი გასაყოფი მაქვს, არც არაფერი საერთო და არც მინდა მქონდეს! მე ვთხოულობ თქვენგან ამორჩეულ კომისიას, რომელმაც მე უნდა გამასამართლოს! მე ამითი მინდა და მინდოდა გამომეცალა მაგათთვის ის ცხენი, რომელზედაც მაფრამუბითი ქორები აჰკიდეს!..

**გამოსვლა 2:** დამთანხდენ კომისიაზე და ეხლა გზაზე უხვევენ და სოროში მიძვრებიან, მაგრამ ისე ვერ გამისხლტებიან ხელიდამ, რომ მათი კვალი არ დარჩეს: მათი ბურტყელი ხელში მაქვს.

**გამოსვლა 3:** დიად მხიარულათ გახლავარ, როგორც ყოველთვის და ეს მხიარულება არც მომეშლება, სანამდის თქვენ აქ იქმნებით!.. დიად! იმას მოგახსენებთ, რომ კომისიასა გთხოვთ, კომისიის იმ უფლებით, როგორც ოქმში დასახელებულია და იმან უნდა უსათუოდ გაგვასამართლოს.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1895 წლის 15 მაისი

**გამოსვლა 1:** თქვენ მოგახსენეს აქ, ვითომც წელს საერთო სასარგებლო თანხას საშუალება აქვს დააკმაყოფილოს არა თუ სკოლების მოთხოვნილება, არამედ კიდევ დარჩება ფული. ეს სრულიად სიმართლეს მოკლებულია. 1895 წლის საერთო სასარგებლო თანხაში არის 54, 536 მან. და 15 კაპ., აქედგან სათავადაზნაურო სკოლა თხოულობს 51 ათას მანეთზედ ცოტა მეტს და 5000 მანეთს წინამძღვრიანთ-კარის სკოლა. ასე რომ ჩვენ გვაკლია ფული და არა მეტი გვაქვს, როგორც აქ მოგახსენეს.

**გამოსვლა 2:** სრულიადაც არა! სკოლა თხოულობს 51 ათას მანეთს იმის მიუხედავად, რაც მან შარშან მიიღო. ჩვენ გვაქვს უწინდელი დადგენილება, რომლის ძალით სკოლას მიეცემა ხოლმე ხარჯთ-ალრიცხვის მიუხედავად მომავალ წლის მოგებიდგან, რამდენიც

დასჭირდება, რაც შეეხება წინამძღვრიანთ კარის სკოლას, ამის შესახებ ამგვარივე დადგენილება არა გვაქვს და ბ. წინამძღვრიშვილს ყოველ წელს მხოლოდ 5000 მანეთი ერგება, ასე რომ 416 მანეთი წელს გამოერიცხება, რომ სკოლა წელს თხოულობს 51, 000 მანეთს, გარდა იმ 3 000 მანეთისა, რომელიც შარშან მიიღო, ამაში დაგვემონ-მება, თუ გნებავთ, ჰკითხეთ, კომიტეტის წევრი ბ. ცხვედაძე.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1895 წლის 16 მაისი**

**გამოსვლა 1:** ანგარიში რომ გადაგეფურცლათ მე-5 გვერდზედ, მაშინ გაიგებდით, რომ უთავბოლოა ანგარიში-კი არ უნდა სძებნოთ... აი სად არის....

**გამოსვლა 2:** მიზოძეთ სიტყვა

**გამოსვლა 3:** მე მეგონა ნება უნდა მომეცეს, რომ ვუპასუხო...

**გამოსვლა 4:** 3779 მანეთი მოგვთხოვა შარშან, 1894 წელს, სათავადაზნაურო სკოლამ იმ საჭიროებისათვის, რაიცა მას ჰქონდა იმ 1894 წ. გამგებამ კანონიერად იცნო ეს მოთხოვნილება და სკოლას მიეცა ნათხოვნი თანხა ამ 1895 წ. ბანკის ანგარიშზედ. ეს ფული ჩვენ უკვე დავიბრუნეთ. სასკოლო კომიტეტის მიერ წარმოდგენილის სმეტიდგან ცხადადა სჩანს, რომ ხსენებულს სკოლას ეხლა სჭირდება 51 ათასი და რამოდენიმე მანეთი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელსაც იგი მოელის პირველ იანვრიდგან ამა 1895 პირველ იანვრამდის მომავალის 1896 წლისა. ნუთუ აქედგან ცხადი არ არის, რომ 51 ათასიდგან 3779 მანეთის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგანაც ეს უკანასკნელი თანხა დაეხარჯა სკოლას შარშანდელის წლის საჭიროებისათვის და 51 ათასს-კი თხოულობს მდგომარე წლის ხარჯისათვის? თავადმა ივ. მაჩაბელმა სთქვა, რომ თუ გამოვრიცხავთ 3779 მანეთს 51 ათასიდგანა, ფული დაგვრჩება სხვა საჭიროებისათვისო. ბატონებო, ვინ არ იცის, რომ კიდევ მეტი რომ გამოვრიცხოთ იმ სკოლისათვის საჭირო 51 ათას მანეთიდგან, – უფრო მეტი დაგვრჩება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ 51 ათას მანეთიდგან, რომელიც სკოლას ამ წელიწადში სჭირდება, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება!

**გამოსვლა 5:** და სანამ თავ. მაჩაბელი უკარნახებს, ჩვენ გულხელდაკრებილებმა უნდა ვუცადოთ. შემოიტანოს წერილობითი პროტესტი.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1895 წლის 17 მაისი

**გამოსვლა 1:** აქ აღმოჩნდნენ მაჩაბლის დამცველები, დეე, მათ მის ბაასს პოეზია უწოდონ, ჩვენ ამ პოეზიას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მთლად მისი ბაასი შეურაცხყოფაა, შეურაცხყოფა, რომელსაც ეს რვა წელიწადია, რაც ვისმენტ, ის შეურაცხ-ჰყოფს მწერლობას, კრე-ბას და მისს თავმჯდომარეს. დასაგმობია თუ არა მაჩაბელისა და მის თანამოაზრეთა ამისთანა საქციელი? ჩემის აზრით, დასაგმობია. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მ. მაჩაბლის საქციელს თავის შესა-ფერს სახელს დავუძახებ, ამით კრებას შეურაცხვეყოფ.

**გამოსვლა 2:** მე ვთხოვ თავმჯდომარეს დახურულ კენჭის ყრით გამოირკვას, როგორ უყურებს კრება მიხილ მაჩაბლის განცხადე-ბას. საჭიროა ერთხელ და სამარადისოდ აღნიშნულ იქმნას, როგორ უნდა მოვიქცეთ ხოლმე ამისთანა შემთხვევებში.

**გამოსვლა 3:** არავის არა ჰქონია სახეში ვისიმე შეშინება. რო-გორც სთქვეს, მაჩაბლის საქციელი შედეგია მისის ძარღვების სი-სუსტისაო, ეს არავის არა გვხდის ვალდებულად, რომ ჩვენი ძარღვე-ბიც დავასუსტოთ. მე ვამბობ, რომ იმ უწესრიგობას, რომელიც ფეხს იკიდებს, უნდა ბოლო მოვუღოთ. კრების მოთმინება უზომოა: მაჩა-ბლის ყოველი სიტყვა მოსმენილია და დანერილი. ვიმეორებ, არავის არა ჰქონია აზრად ვისიმე შეშინება. დეე, კრებამ გამოსთქვას თავი-სი აზრი მიხილ მაჩაბლის შესახებ დახურულ კენჭის ყრით და მაშინ დავინახავთ, უმეტესობა რომლის მხარეზედ იქნება.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1895 წლის 18 მაისი

**გამოსვლა 1:** სარგებლის დაკლების შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს წინანდელის კრების დადგენილება, მაგრამ კრებას ვადა არ დაუნიშ-ნავს, როდის უნდა მოგვეხდინა ეს დაკლება. ვადის დანიშვნა კრე-ბამ მიანდო გამგეობას და ზედამხედველს კომიტეტს. ამ ჟამად  $\frac{0}{100}$  დაკლებას ორი გარემოება უშლის ხელს: 1) უნდა მოვახდინოთ კონ-ვერსია  $\frac{6}{100}$  ქალაქებისა და 2) უნდა დავეხმაროთ თავადაზნაურო-ბას ქარვასლის შექმნაში; ამიტომ გირჩევთ უწინდელი დადგენილება ძალაში დარჩეს. გაისად გამოირკვევა ყოველივე და მაშინ უტყუა-რად შეგვიძლია ვთქვათ, როდის შეიძლება  $\frac{0}{100}$ -ის დაკლება.

**გამოსვლა 2:** სარგებლის დაკლება დავინწყით უთუოდ პირველ ივლისიდან 1896 წლისა, ხოლო თუ მოხერხდა პირველ იანვრიდან.

**გამოსვლა 3:** სამიში არა არის-რა, მაგრამ სჯობს პირველი იანვარი დავნიშნოთ.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1895 წლის 20 მაისი

**გამოსვლა:** მაღლი გარდევუხადეთ მთელს კრებას; მაღლიერი დარჩა რევიზორი ჩვენიცა და მთელის წევრებისაც, რომელთაც ხელი-ხელ ჩაკიდებულთ ბანკის საქმე მშვენივრად მიჰყავთ. ასე რომ ნუ ეხარბება ბ-ნს მ. მაჩაბელს: მაღლობა მაგასაც ერგება როგორც ერთს წევრს კრებისას.

### <გამოსვლა სასამართლოს სსდოგაზე თედო სახოკიას სარჩელთან დაკავშირებით>

Обстоятельства, привлечшія меня къ отвѣтственности, слѣдующія: въ 1895 г. появилась маленькая брошюра подъ заглавіемъ: Остроты Акакія, собранныя и изданныя т. Сахокія. На оберткѣ красуется портретъ извѣстнаго грузинскаго поэта кн. Акакія Церетели. Брошюра снабжена предисловіемъ г. Сахокія, который, отдавая должную справедливость таланту кн. Ак. Церетели, увѣряетъ въ предисловіи, что эти остроумныя изрѣченія составляютъ настоящій кладъ для грузинской литературы изъ опасенія, чтобы онѣ со временемъ не исказились, и не были бы преданы забвенію и не ~~лиши~~ не изуродовались бы, переходя изъ устъ въ уста, и не потеряли ту красоту или изящество, которыми онѣ отличаются въ настоящее время, онъ г. Сахокія собралъ ихъ и издалъ пока первую книжку, а вторую такую же обѣщиваетъ издать въ продолженіи нѣсколькихъ мѣсяцовъ.

Рекламируя свое изданіе именемъ популярнѣйшаго изъ грузинскихъ поэтовъ кн. Ак. Церетели, г. Сахокія свойю ~~сборникъ~~ называетъ ~~собранный~~ брошюру не ~~стѣняется~~ рекомендуетъ публикѣ какъ сборникъ ~~жемчужинъ~~ или перловъ творчества, достойныхъ того, чтобы онѣ ихъ по рукамъ носили. Брошюра, значитъ, многозначенательна, какъ литературный кладъ, какъ сборникъ ~~славн~~ остроутовъ славнаго грузинскаго поэта представляющихъ собою жемчужины или перлы ~~творчество~~ художественнаго творчества.



~~Въ редактируемая мною газета заинтересовалась этими перлами и набросилась на эту брошюру, какъ на кладь, какъ на сборникъ перловъ какъ это не соблазнительно было прочесть эту брошюру Въѣдь и насладится этимъ сокровищемъ этими перлами творчества, не имѣя основанія не вѣрить увѣреніямъ г. Сахокія во всемъ этомъ. И что нашла вмѣсто этихъ перловъ и этого клада? Впрочемъ рѣчь объ этомъ будетъ дальше.~~

Кто могъ можетъ удержаться отъ соблазна прочесть эту брошюру и насладиться этимъ заключающимися въ ней литературнымъ сокровищемъ, и этими жемчужинами художественнаго творчества, г. Сахокія когда такъ самоувѣренно убѣждаетъ и въ томъ и другомъ. Хотя и малоизвѣстный г. Сахокія, но все же человекъ личность человѣческая личность, выступающая на поприще печатнаго слова.

~~Плодомъ этого соблазна явился въ моей газетѣ отзывъ объ этой брошю~~

Вотъ мы и соблазнились. Прочли, и вмѣсто обѣщанныхъ перловъ, обѣщаннаго сокровища нашли возмутительныя нѣшія вещи вещи, которыя представлю вашему вниманію своевременно не жалѣя ни себя, ни здесь присутствующихъ отъ пытки пытки, поражаемого необходимостью защиты, рисовать вамъ картины пытки и чувства гадливости и омерзения безнравственнаго и безстыднаго содержанія, выдаваемого г. Сахокія за перлы, а на самомъ дѣлѣ возбуждающаго чу лишь одно чувство гадливости и полнѣйшаго омерзѣнія. Въ чемъ задача въ этихъ случаяхъ появленія въ печати такого безобразія газетъ и журналовъ? Въ чемъ иномъ состоитъ задача газетъ и журналовъ вообще и всякаго работающаго съ перомъ въ рукахъ человека въ частности какъ не въ томъ чтобъ клеймить и позорить подобныя явленія въ мірѣ книжномъ? Вотъ авторъ статьи, которая привела меня къ скамѣ подсудимыхъ. Чувствомъ полного негодованія относя къ этой брошюрѣ и предоставилъ мнѣ ст ее для напечатанія въ газетѣ обрушился на эту салную брошюру и даль заслуженную оцѣнку дѣянію г. Сахокія:

[1895 წლის მაისი]

**თბილისის სათავადაზნაურო სააღრიგლმადგულო**

**ბანკის წევრთა კრება**

1896 წლის 21 აპრილი

**გამოსვლა:** ბევრი ისეთი კითხვებია ხსენებულ ქალაქებში, რომ

მათი განუმარტებლად და აუხსნელად მოხსენება კრების წინაშე შეუძლებელია.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 22 აპრილი**

**გამოსვლა:** მე უმორჩილესადა ვსთხოვ საზოგადო კრებას ერთად წაიკითხონ მინისტრის ქალაღი, რევიზორის მოხსენება, მაჩაბლის მოხსენება, პასუხი გამგეობისა და ყველას შესახებ მოგვცეთ ნება ვიქონიოთ მსჯელობა, რომ ყოველივე ნათელი იყოს, გარკვეული და გაგებული. თუ ბ. თავმჯდომარე, ანუ საზოგადო კრება ვერ სცნობს შესაძლოთ – ყოველივე ერთად წაიკითხონ და განსაჯონ, მაშინ უმორჩილესადა გთხოვთ მე და ჩემი ამხანაგები აღნიშნოთ დრო, თუ როდის შეგვეძლება ვიქონიოთ ამის შესახებ მსჯელობა.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 24 აპრილი**

**გამოსვლა 1.** თ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, რომ ჩვენი ღირსება მოითხოვს წესრიგის დაცვას, – მე სრულად ამის თანახმა ვარ. კეხელმა კი ის წარმოსთქვა, რომ თუ ჩოლოყაშვილი ზედამხედველის კომიტეტის წევრებთან არ დასვით, – გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ უწესობას მოვახდენო და ერთ სიტყვასაც არ ვათქმევინებო. მე ამაში ვხედავ, რომ ბ-ნმა კეხელმა დაიჩემა თავმჯდომარეობა და თქვენს უფლებას შეეხო და თქვენ-კი ამაზე თქვენი საყვედური არ უბრძანეთ.

**გამოსვლა 2.** მე არ გამიგონია; ჩემზე უფრო ახლოს სხედან სხვები თქვენთან, მაგრამ არც იმათ გაუგონიათ და თუ მაინცა და მაინც ბძანებთ, რომ თქვენ გააჩერეთ და შენიშვნა მიეცით კეხელს, მე ჩემი შენიშვნა უკანვე მიმაქვს.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო  
ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 25 აპრილი**

**გამოსვლა 1.** რაზედ ვილაპარაკოთ? ჯერ აღნიშნეთ საბაასო საგანი და მერე მოვახსენებთ კრებას, რაცა გვსურს.

**გამოსვლა 2.** აქ სამი საბაასო საგანია, სულ სხვა და სხვა გვარი; მინისტრის ქალაქი, რევიზორის მოხსენება და მოხსენება თ. მაჩაბლის და მის საპასუხოდ დაწერილი გამგეობის მოხსენება.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამგეობო  
ბანკის წევრთა კრება**

1896 წლის 27 აპრილი

**გამოსვლა 1:** გუშინ-წინ თავმჯდომარემ კრებისამ მომანიჭა უდიდესი ყურადღება, რადგანაც ნება დამართო შევეუდგე განმარტებას, აქ თქვენს წინაშე წაკითხულ საბუთებისას იმ რიგითა და წესით, როგორსაც მე აღვირჩევ. მე საჭიროდ ვსთვლი ყოველთ უწინარეს თქვენი ყურადღება მივაქციო მინისტრის ქალაქს, რომელიც შეადგენს სულსა და გულს რევიზიის შედეგისას. მე ავხსნი ყოველს გარემოებას ცალკე-ცალკე მუხლად, მით უმეტეს, რომ მხოლოდ ეს ქალაქია ჩვენთვის მახვილი დამოკლისა, რომელიც დაკიდულია თავსა ზედა ჩვენსა და ამიტომ მოითხოვს დაუყოვნებლივს განმარტებას.

**გამოსვლა 2:** არ შეიძლება კაცმა საქმე ბნელში დასტოვოს დროს მოგებისათვის. მოკლედ თქმა ამისთანა საქმეში თვით საქმის გადაფურჩევაა. „დარღვევა წესდებისა, რომელიც ბანკს აძლევს ნებას სესხი მხოლოდ უძრავ მამულთა თავდებობით, ცხადად გამოისახება იმაში, რომ მას 221,200 მანეთი გაუცია სესხად იმ უძრავ მამულეზე, რომელნიც მდებარეობენ აგარაკებსა და სამკურნალო ადგილებში“. ესლა ვსთხოვ ბ. თავმჯდომარეს წაკითხონ მეთვრამეტე გვერდი რევიზორის მოხსენებისა.

**გამოსვლა 3:** აი, რას უწოდებს რევიზორი წესდების დარღვევას. საქმე-კი აი, რაში იყო: აბასთუმნისა, ბორჯომისა კოჯორისა და სხვ. აგარაკთა პატრონებმა არა ერთხელ მოგვმართეს თხოვნით მიგვეცა მათთვის გრძელ ვადიანი სესხი, იმათი მამულები გირაოდ მიგველო. ჩვენ ვშუამდგომლობდით სამინისტროს წინაშე და ყოველთვის ვეუბნებოდით, რომ ეს აგარაკი და სამკურნალო ადგილებიაო და სამინისტროც ნებას გვაძლევდა სესხის გაცემისას. ამგვარად ჩვენ ვაძლევდით სესხს აგარაკებსა და სამკურნალო ადგილებში, მხოლოდ საკრედიტო კანცელარიისა და სამინისტროს ნება დართვით; უამისოდ სესხის გაცემა არც შეგვეძლო. თუ გნებავთ გადაათვალიერეთ სუყველა საქმე ამგვარის სესხისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველს თითოეულს შემთხვევაში არის ნებართვა საკრედიტო კანცელარიისა გირავნობის ფურცლების გამოსაცემად სესხის მი-

საცემად ასეთს მამულებზე. როდესაც საკრედიტო კანცელარიამ უარი გვითხრა გირავნობის ფურცლების გამოცემაზე სოფელ ახალქალაქის მამულის შესახებ, რომელიც ჩვენ აგარაკად ვაჩვენეთ, ჩვენ თავი დავანებეთ ამგვარ მამულებზე სესხის გაცემას. თქვენს ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომელიც რევიზორის მოხსენებითაც საბუთდება, რომ ჩვენ არა დაგვიკარგავს რა ამგვარის სესხის გაცემით; პირ-იქით ყოველწლიურს შემოსავალს ჩვენ მივუმატეთ სამი ათას (3000) მანეთამდის. ეხლა ეს უნდა ვიკითხო: რაში გამოისახება წესდების დარღვევა? ჩვენ მხოლოდ ისე ვიქცეოდით, როგორც სამინისტროს საკრედიტო კანცელარია ნებას გვაძლევდა და ვმოქმედობდით ბანკის სასარგებლოდ. მე მინდა ვიკითხო გამგეობის წევრებს: ამ საქმეში ხომ ყველანი ერთის აზრისა და თანახმანი ვიყავით?

**გამოსვლა 4:** არავის არას დროს არავისთვის არ დაუყვედრებია... მაშასადამე, ამ საგნის შესახებ ყველა ერთად ვმოქმედებდით? „დაფასება უძრავ მამულთა უმეტეს ნაწილად მოხდება ხოლმე ისე, რომ წმიდა შემოსავალი მამულისა ფასდება 6 % კვალობაზე (Капитализация) რაც არ შეიძლება არ მივიჩნიოთ ძალიან აღმატებულად და საგანსაცდელოდ, რადგანაც მსესხებელი, რომელიც მიიღებს ასეთის დაფასებით გაზვიადებულს სესხს, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, აღარა სცდილობს მამული ხელიდამ არ გაუშვას და თუ რამე შემაფერხებელი ოჯახისა და მამულის შემთხვევა მოევიდნა, უტოვებს დარბეულს მამულს ბანკს, რის გამოც ბანკს ეძლევა ხოლმე ასე, თუ ისე საგრძნობელი ზარალი.“

საქმე აი რაშია: 1878 წ. შემოსავალს თანხად ვაქცევდით ხოლმე 5% მიხედვით იმ ინსტრუქციისა დაგვარად, რომელიც საზოგადო კრებისაგან იყო დამტკიცებული, ე. ი. წმინდა შემოსავალს გავამრავლებდით ოცჯერ და ამნაირად ვაფასებდით მამულს. ამ წნიდამ-კი შემოსავალს თანხად ვაქცევდით ხოლმე 6% მიხედვით, რადგანაც მინისტრმა გვიბრძანა, რომ 20-ჯერ გამრავლება შემოსავლისა მეტად დიდიაო. ეს მოწერილობა შევატყობინეთ საზოგადო კრებას და საზოგადო კრებამ მიიღო იგი. ამგვარად, ჩვენ ყოველთვის ვაფასებდით მამულს იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც თქვენგან იყო მოწონებული და მინისტრისგან ნაბრძანები, და ვაფასებდით მამულს 6%-ის მიხედვით. თუ არა ვსცდები, მგონი დღესაც-კი მივიღეთ ნება-რთვა სესხის გაცემისა იმისთანა მამულზე, რომლის შემოსავალიც თანხად ვაქციეთ 6%-ის კვალობაზე. ზემოხსენებული მოწერი-

ლობა მინისტრისა ჩვენ მივიღეთ 18 მაისს 1877 წ., ხოლო 1878-დამ დღეინდელს დღემდე მამულის შემოსავალს თანხად ვაქცევთ ხოლმე 6% კვალობაზე. სად არის აქ დარღვევა კანონისა? ნუთუ დარღვევაა კანონისა ის, რომ ჩვენ ვიქცევოდით მინისტრის მონერილობის დაგვარად და თქვენ მიერ მონონებულის ინსტრუქციით ხელმძღვანელობდით. ეხლა მინისტრი გვიბრძანებს 7% კვალობაზე იანგარიშეთ თანხად შემოსავალიო. ამაზედ მერეც გვექნება ლაპარაკი. ეხლა-კი კიდევ ვეკითხები გამგეობის წევრებს – ვმოქმედობდით თუ არა ამ შემთხვევაში ყველანი ერთნაირად და თანხმად; ვინც წინააღმდეგი იყო, გამოაცხადოს.

**გამოსვლა 5:** განვაგრძობ: „სესხის გაცემა ქალაქის უძრავ მამულთა გირავნობით, რომელიც შეადგენს უმთავრესს საღსარს ბანკის შემოსავლისას, შედარებით სასოფლო მამულებზე გაცემულის ერთობილ სესხისა, მეტად გადაჭარბებულია. ამასთან გამგეობას უმთავრესად ისა აქვს ყურადღებაში მიღებული, რომ მოგების წმინდა შემოსავალმა დაფაროს მხოლოდ ბანკის სავადო გარდასახადები და სრულიად არა ზრუნავს იმაზე, რომ ესა, თუ ის ნაწილი წმინდა შემოსავლისა დარჩეს ხოლმე მსესხებელს დასაკმაყოფილებლად თავისის პირად საჭიროებათა; მაშინ როდესაც მხოლოდ ამ გარემოებას შეუძლიან აიძულოს მსესხებელი არ დაჰკარგოს დაგირავებული მამული. ამას გარდა ძალიან ხშირ შემთხვევაში, რომელიც რევიზიას შეუნიშნავს, ცნობები შემოსავლისა შესახებ ქალაქის მამულებისა, ხან-და-ხან დამყარებულია მოგონილსა და სინამდვილესთან დაშორებულ ციფრებზედ; მაგალითად ზოგიერთ მამულთა შესახებ დაფასების საფუძვლად მიუღიათ შემოსავალი, უფრო აღმატებული, ვინემ ქირა, რომელიც ეძლევა სახლის პატრონს მთავრობის დანესებულებათაგან პირობის ძალით. გარდა ამისა კიდევ წესდებისა და დამფასებელთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის წინააღმდეგ, დაზღვევა ქონებისა არ მიიღება ხოლმე სახეში მამულის გირაოდ მიღების დროს; იზღვევა მამული არამც თუ შემდეგ გამგეობის მიერ სესხის გარდამწყვეტისა, არამედ ხან-და-ხან შემდეგ ყურნალის გაგზავნისა გამგეობისგან განსაკუთრებულ განყოფილებაში საკრედიტო კანცელარიისა გირავნობის ფურცლების გამოსაცემად.

ასეთს წესს ის მოსდევს ხოლმე ხშირად, რომ დაგირავებულნი მამულნი ბანკსა რჩება და საგრძნობელი ზარალი მოსდის.

საზოგადოდ ასეთი უნესო მოქმედება ბანკისა ქალაქის მამულეების დაფასების შესახებ, როდესაც ფინანსთა სამინისტროსაგან ბან-

კი მაღავს მნიშვნელოვანთა და აუცილებელ გარემოებათ გირავნობის ფურცლებსათვის საჭიროს – უმართებულოა (неблаговидно)“.

ეს შენიშვნა მინისტრის მონერილობისა გამონვეულია სარაჯიშვილისა, ზუბალაშვილისა და ყორღანოვის მამულებზე გაცემულ სესხისა გამო, რომლებიც მოთავსებულია რევიზორის მოხსენებაში ამ რიგად:

„ისეც მოხდება ხოლმე, რომ დაფასდება და გაიცემა სესხი იმ შენობებზე, რომელთა აგება დამთავრებული არ არის, თუმცა სახურავი უკვე აქვს, მაგრამ ამასთანავე სესხის ნაწილს უკან იჭერენ, სანამ შენობა სრულიად არ დამთავრდება. ინსტრუქციის ის მუხლი, რომელიც თხოულობს, რომ დაფასების დროს მხედველობაში მიღებულ იქნეს დაზღვევის რაოდენობა, არასოდეს არ ასრულებულა. ტფილისისა, ბათუმისა, ბაქოსი, ქუთაისისა და განჯის სახლების დათვალიერებამ დაგვანახვა, რომ ზემოხსენებული ნაკლულევანება და განსაკუთრებით სინამდვილესთან დაშორებულად ფასდებიან სახლები უფრო ტფილისში, მაგალითად, სარაჯოვის სახლი, დაგირავებული 1891 წელს: თვით ადგილი დაფასებულია 149,000 მ., ხოლო შენობანი 360,000 მან., საერთო შემოსავლად ნაჩვენებია 62,000 მ., წმინდა შემოსავლად-კი 50,000 მან., დაფასებულია თვითონ მამული 500,000 მანათად და სესხის მიცემული 280,000 მან. ცნობათა შეკრების შემდეგ-კი აღმოჩნდა, რომ ხარჯთ გამოუკლებელი შემოსავალი 28,000 მან. ყოფილა და ადგილობრივ ფასების მიხედვით მამული ღირს 300,000 მანათამდე. ყორღანოვის სახლის ხარჯ-გამოუკლებელ შემოსავლად მიღებულია 15,000 მან., წმინდა შემოსავლად – 12,000 მან., სახლი დაფასებულია 145,000 მ. და 1894 წელს გაუციათ სესხი 87,000 მ., მართლა-კი აღმოჩნდა, რომ ხარჯ-გამოუკლებელი შემოსავალი ყოფილა 9000 მ.; კნ. ციციშვილის სახლი, რომელზედაც, დაფასების ოქმში, ხარჯ-გამოუკლებელ შემოსავლად მიღებულია 3350 მ., წმინდა შემოსავლად 2,680 მან., დაფასებულია 26,800 მ., სესხად-კი მიცემულია 16,000 მ., ნამდვილი ხარჯ-გამოუკლებელი შემოსავალი-კი ყოფილა 1600 მ.; გაზვიადებულად დაფასებულია აგრეთვე მამულები ქუთაისისა და ბათუმში; ბათუმის მამულების დაფასების გაზვიადება უნდა აიხსნას თვით ქალაქის საქმეების შეფერხებით ამ ბოლოს დროს; სხვა ქალაქებში-კი შემოსავალი არ არის გაზვიადებული, მაგრამ თუ მივიღეთ სახეში, რომ, ზოგიერთ შემთხვევის გარეშე, შენობანი არ არიან მკვიდრნი და გარეგნობითაც შელამაზებულნი, დაფასება უნდა ძალიან გაზვიადებულად ჩაითვა-

ლოს. იმის შესახებ, რომ სესხი – თანახმად წესდების მოთხოვნილები, უნდა შეადგენდეს 60% მამულის საღირაღსაო, ამაზე ლაპარაკიც უადგილოა; წესდების ამ მოთხოვნილებას ბანკის მმართველნი ყურადღებას არ აქცევენ და მხოლოდ იმით ხელმძღვანელობენ, რომ სესხი არ აღემატებოდეს მამულის ნამდვილს ფასს და რომ მამულის შემოსავალმა დაჰფაროს გარდასახადი და მამულის ხარჯი“.

აქ ნათქვამია, ვითომც, გამგეობას სახეში აქვს, რომ წმინდა შემოსავალი მამულისა ჰფარავდეს ხოლმე მარტო სავადო გარდასახადს და სრულიადაც არ ზრუნავს იმაზე, რომ მსესხებელს რაიმე დარჩეს შემოსავლიდამო. ქალაქის მამულებზე ჩვენს სესხს ვაძლევთ  $\frac{3}{5}$  მამულის საღირაღსას; საღირაღს-კი იმ გვარად ვანგარიშობთ, რომ წმინდა შემოსავალს ერთსა ათად ვანგარიშობთ და ამ სახით შემდგარის ჯამიდან ვაძლევთ 60% როგორც თხოულობს წესდება და ხან-და-ხან ნაკლებს. მაგრამ მეტს-კი არასოდეს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ბანკს ამ წესისათვის ეღალატებინოს. ყოველთვის გამგეობა მოქმედებდა თანახმად წესდებისა და იმ ინტრუქციის ძალით, რომელიც თქვენ მიერ დამტკიცებულია და წარდგენილია სამინისტროს საუწყებლად. მინისტრის ქალაღლდში სწერია, რომ ჩვენ წმინდა შემოსავალს ვაზვიადებთ. ეს აზრი დამყარებულია რევიზორის ჩვენებაზე, რომელმაც თვით, თავისის თვალთ ჩემისა და სხვების თანდასწრებით დაათვაღიერა ზოგიერთი მამული. სადგომის პატრონებმა, რომ დაინახეს „ჩინოვნიკი“, რომელიც კითხულობს თუ ვინ რა ქირას იხდის სახლისას, შესაძლოა ეფიქრათ, რომ იგი ცნობებს აგროვებს სადგომზე გარდასახადის დასადებად, და ვინ იცის იქნება ამის შიშით ნამდვილი შემოსავალი სწორედ არ ეჩვენებიათ და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში მათი ჩვენება არ იყოს სარწმუნო. ეს ამბავი კიდევ ვამცნე რევიზორს. ამის მიუხედავად მე მაინც არ უარ-ვყოფ რევიზორის ნათქვამს დამფასებელთა მიერ შემოსავლის გაზვიადებაზე და სრულიად ვეთანხმები, რომ ამგვარი გაზვიადება არის; მაგალითად რევიზორი აღნიშნავს ამგვარს გაზვიადებას შემოსვლისას სარაჯოვის მამულის შესახებ. ეს მამული ორჯერ იყო დაფასებული. პირველად 1882 წ. მისი შემოსავალი ორის დამფასებელისაგან იყო აღრიცხული ორმოც და ორ (42) ათას მანეთად. და მეორედ 1891 წელს, ესე იგი ათის წლის შემდეგ, სხვა დამფასებელთა: (ჩერქეზიშვილმა და სულხანიშვილმა) ახალის სესხის გაცემის დროს შემოსავალი იყო აღრიცხული ორმოც და ათი ათას მანეთად. რა შუაშია აქ გამგეობა? დაფასება მოახდინეს დამფასებელმა, დამ-

ტკიცებულია დამფასებელ კომისიისაგან და გამგეობამ დაამტკიცა, რადგანაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდა ეჭვი შეეტანა დამფასებელ კომისიის დასკვნაზე რომლის მოვალეობას შეადგენს შემომნება თითოეულის დამფასებლისაგან წარმოდგენილის ცნობებისა.

**გამოსვლა 6:** დიად, მართლაც რომ ბნელი ეფინება, რადგან თქვენ ჩაერიენით, ჩვენ ვმოქმედობდით იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც არსებობდა 1875 წლიდამ. საქმე ის-კი-არ არის კარგი იყო, თუ ცუდი ეს ინსტრუქცია, საქმე ის არის, რომ დღესაც დამფასებელნი არსებულ ინსტრუქციით ხელმძღვანელობენ. იგინი არჩეულნი პირნი არიან და თავის მოქმედებისა თვითვე არიან პასუხის მგებელნი. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვერწმუნოთ მათ, სანამ ბოროტ-მოქმედებას არ ჩაიდენენ. დავანებოთ ამას თავი და წარმოვიდგინოთ, რომ დაფასება გაზვიადებულია. გავსინჯოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი და ვნახოთ რამდენად მართალია ის, რომ სესხის სარგებელს უნდებოდა მთელი შემოსავალი და მსესხებელს არა რჩებოდათ რა, როგორც ამბობს მინისტრის ქალაქი და რევიზორის ანგარიში. ავიღოთ ციფრები თვით რევიზორის ანგარიშიდამ და სიტყვა საქმეს შევუმონმოთ.

ზუბალაშვილს გამგეობამ მისცა სესხად 60,000 მ. ყოველ წლიური შემოსავალია – 7,500 მ. სავადო გარდასახადად შემოაქვს 4,200 მ. სჩანს, რომ მსესხებელს რჩებოდა ხარჯ გამოუკლებელ შემოსავალიდან 3,300 მანეთი. მეორე მაგალითი. რევიზორის მაგალითით სარაჯიშვილის სახლი იძლევა 28.900 მან. სესხად მიცემული აქვს 280.000 მან. სავადო გარდასახადი შეადგენს 19.600 მან. წელიწადში – სჩანს, რომ ხარჯ გამოუკლებელ შემოსავლიდამ რჩება კიდე 9,300 მან. ყორღანოვის სახლი, როგორც რევიზორი აჩვენებს, 9,000 მანეთს იძლევა, სავადო გარდასახადი შეადგენს 6,090 მან. სჩანს ხარჯ გამოუკლებელ შემოსავლიდამ რჩება 2.910 მან. განა შესაძლებელია ამის მერე სთქვას კაცმა, რომ სავადო გარდასახადს უნდება მთელი შემოსავალი? შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში მსესხებელს თავისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ძალიან ცოტა რჩებოდეს, მაგრამ ცოტა და ბევრი ამ შემთხვევაში ძნელი გამოსარკვევია: ერთ-სა ჰყოფნის 1000 მან., მეორეს არც 10.000 მანეთი, ყოველს შემთხვევაში, შეუძლებელია სთქვას კაცმა, რომ სახლის პატრონებს არა რა რჩებოდეს თავისის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, გამგეობა შემოსავლის დასაფასებლად ხელმძღვანელობდა დამაფასებელთაგან შეკრებილის ცნობებით, რომელნიც წესდების



ძალით უნდა შეემონებია დამფასებელს კომისიას და იმდენს აძლევდა სესხად, რომ სახლის პატრონს უნდა რჩებოდეს  $\frac{2}{5}$  წმიდა შემოსავლისა და ასეც არის. ანგარიში ამბობს, რომ შემოსავალი გაზვიადებულია და არ ეთანხმება სინამდვილესო. მაგრამ ნუთუ გამგეობაა ამაში დამნაშავე? თუ აქ ვინმე არის დამნაშავე მარტო დამფასებელი კომისისია, რომელსაც ირჩევთ თქვენ და ჩვენ: აი ის კაცები, რომელთაც ჩვენ ვერწმუნებით და უნდა თქვენც ვერწმუნებოდეთო.

„გარდა ამისა წესდებისა და დამფასებელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის წინააღმდეგ მამულის დაზღვევა ყურადღებაში არ არის ხოლმე მიღებული, როცა ეს მამული ბანკში გირავდება; მამული იზღვევა არამც თუ შემდეგ გამგეობის დადგინებისა სესხის მიცემის შესახებ, არამედ ხანდახან მაშინაც-კი არ მიიღებენ ხოლმე სახეში, როცა ჟურნალს გაგზავნის ხოლმე ბანკი განსაკუთრებულ საკრედიტო კანცელარიაში.

თუ ამ სიტყვებით ჩვენ გვანიშნებენ, რომ დამფასების დროს დაზღვევა არ არის ხოლმე მიღებული მხედველობაში, ეს სწორედ ასეა. დაზღვევის რაოდენობით არ შეიძლება იხელმძღვანელოს კაცმა ქონების დასაფასებლად. დაზღვევა მეტად ძნელი სანდობია დაფასების დროს და ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა განცხადებული სამამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაზედ, ე. ი. იქ, სადაც შეკრებილნი არიან საქმესთან დაახლოებულნი პირნი, რომელთა სიტყვაც უფრო სარწმუნოა ამ შემთხვევაში. ხოლო თუ ამ სიტყვებით თხოულობენ ჩვენგან, რომ მამული დაზღვეული იყოს იმ დრომდე ვიდრე სესხის მიცემას გარდავსწყვეტდეთ, ამ მოთხოვნილებას ჩვენ არ ვასრულებთ. მსესხებელი თხოულობს სესხს და ყველაფერზედ უნინ ჰსურს გაიგოს რამდენს მისცემენ სესხად, რომ ამის-და გვარად წესდების მიხედვით დააზღვიოს მამული. თუ იგი ვერ მიიღებს იმ სესხს, რომელიც ითხოვა, რიღასთვის დააზღვიოს მამული, დაიღოს ამისი ხარჯი, როცა შეიძლება ეს მას არა ჰსურს, რადგანაც სესხი არც ხელს აძლევს. ჩვენ არა ვთხოულობთ ხოლმე სესხის გადანყვეტამდე არა თუ დაზღვევის ფურცელს, არც გირავნობის მოწმობას, მიტომ რომ თუ ის სესხი რომელსაც ჩვენ გარდავწყვეტთ, მას ჭკუაში არ მოსდის, რის შემდეგაც ხშირად მსესხებელნი უარს ამბობენ, – გირაოს მოწმობაში-კი 50 მან. დაეხარჯება, რისთვის დავახარჯვინოთ ეს ფული? რაიცა შეეხება დაზღვევას, წესდების ძალით დაზღვევის რაოდენობა იმდენი უნდა იყოს, რამდენ სესხსაც ვაძლევთ და ამას უნდა მიემატოს კიდევ ორი წლის ბანკში შესატანი ფული, რადგანაც

მსესხებელს არ ჰსურს ხოლმე ხშირად ამაზედ მეტად დააზღვიოს მამული, ჰსურს ყველაზედ პირველად გაიგოს სესხის რაოდენობა, რომ ტყუილად ხარჯი არ მოუვიდეს დაზღვევის გამო, თუ იმდენს სესხს არ გარდაუნყვეტს გამგეობა, რამდენიც ითხოვა და ან თუ სრულიად უარი ეთქვა. მაგრამ თუ გამგეობა გარდაუნყვეტს სესხს და მსესხებელიც დასთანხმდება ამ გარდანყვეტილებას, მაშინ ვიდრე ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის კანცელიარიაში გავგზავნიდეთ ჟურნალს, რომლითაც ვთხოულობთ ახალის გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება მოგვცენ, უსთუოდ მოვსთხოვთ ხოლმე დაზღვევის საბუთს, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული დაზღვევის რაოდენობა წესდების მიხედვით. რამდენადაც გვახსოვს, მხოლოდ ორჯერ გავგზავნიდეთ ჟურნალი გირავნობის ფურცლების გამოცემის სათხოვნელად. ხოლო ეს მხოლოდ კანცელარიის შეცდომაა. ხოლო არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ისე მიგვეცეს სესხი, თუ დაზღვევის საბუთი ხელში არა გვქონია. საქმე ხომ მხოლოდ მართო ის არის, რომ სესხი უზრუნველ ყოფილ იქმნეს დაზღვევის საბუთით. ყოველივე სხვა უბრალო ფორმა არის. ამ სახით, ასეა, თუ ისე რევიზიის ანგარიში ამბობს, რომ თუმცა გაზვიადებულია შემოსავალი გირაოდ მიღებულის მამულებისა, და ამისდა მიხედვით გაცემული სესხიც გარდამეტებულია, მაგრამ თვითვე დასძენს დღეს ყველა გაცემული სესხი ყოველს შიშს გარედ არის ჩვენს ბანკში.

ამის და მიუხედავად აი როგორ ათავებს მინისტრი ამ პუნქტს:

„ამგვარს წეს-რიგს ის შედეგი აქვს, რომ ძალიან ხშირად ბანკსა რჩება ეს მამულები და ბანკს თვალსაჩინო ზარალი ეძლევა. ხოლო ამგვარი არა კანონიერი მოქმედება ქალაქის გირაოს დაფასების შესახებ, და ის ამბავი, რომ ფინანსთა სამინისტროსათვის იმალება ფრიად საყურადღებო გარემოება, რომელიც მოითხოვება გირავნობის ფურცლების გამოცემისათვის, ეს უმართებულოაო (неблаговидно) ამბობს ბ-ნ მინისტრის ქალაქი.

მერე რა გარემოება დავმალეთ ისეთი, რომელიც ფრიად საყურადღებოა? ყოველივე ცნობა, რომელსაც კი თხოულობს საკრედიტო კანცელარია, ვატყობინებთ იმნაირად, როგორც ნაჩვენებია მისგანვე სამაგალითოდ მოცემულს ჟურნალში, და რომელშიაც მოხსენებულია ყველა საჭირო გარემოება, რაზედ ჰფუძნდება გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება-რთვა. აი ის სამაგალითო ჟურნალი, რომლითაც ვთხოულობთ სესხისათვის საჭირო გირავნობის ფურცლების გამოცემის ნებას. ამაში მოხენებულია ყველა გარემოება,

რომელსაც თხოულობს საკრედიტო კანცელარია. სასურველია გვიჩვენონ ისეთი ყურნალი, რომელშიაც ყველა საჭირო გარემოება არ იყოს ნაჩვენები. ამის შესახებ არც რევიზიის ანგარიშშია რამე ნათქვამი და საიდან გამოიყვანეს ეს დამალვა რაღაცა გარემოებისა ჩვენ არ ვიცით. ამის შემდეგ უმორჩილესადა გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „დამალვას“ და „неблаговидно“-ს. რაში ხედავენ ამ „დამალვას“ და „неблаговидно“-ს. რამდენად ეს დასკვნა შეესაბამება ზემოხსენებულს გამოძიებას რევიზორისას ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია ეს „დამალვა“ (укрытие) და „неблаговидно“ ის ლახტია, რომელსაც ჩვენ გვიჩვენებენ ჩვენი კეთილმყოფელნი, თუმც ეს არ დაგვიმსახურებია, მაგრამ ჩვენმა მეგობრებმა ესეც არ იკმარეს და „неблаговидно“-ი „ბინიერებად“ გვიქცის და ეს საქვეყნოდ განაცხადეს თავის წერილში რომელიც „ნოვოე ობოზრენიეში“ იყო დასტამბული. და იცით ვინ მოაწერა ამ წერილს ხელი? მაგრამ რა საჭიროა? ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, მე მათ სახელს არ ვიტყვი, ხოლო წარმოვიდგენ, რომ ჩვენი მოქმედება მართლა „неблаговидный“ ბინიერებას რაღა ადგილ აქვს აქა? неблаговидно-დამ ბინიერამდე ხომ დიდი მანძილია. თვით ამ წერილის დამწერთათვის მიმინდვია მისი განსჯა, თუ რამდენად „неблаговидность“-ის უქონლობა ნიშნავს ბინიერების ქონელობას.

**გამოსვლა 7:** ეხლა ავხსნათ მეოთხე მუხლი მინისტრის ქალაღდი-სა. აი, რას ამბობს იგი:

„უძრავ მამულთა, რომელნიც ბანკსა რჩება იმის გამო, რომ მეორე საჯარო ვაჭრობაზე მსყიდველნი არ აღმოჩნდნენ, არ ჰყიდის ბანკი ექვსის თთვის ვადაზე, რა ვადაც წესდების ძალით სავალდებულოა მათ გასასყიდად და ამასთანავე არ არიან დაცულნი სახაზინო ინტერესები, რადგანაც გასყიდვამდის ბანკი მათ თავისს სახელზე არ იმტკიცებს“.

ექვსის თთვის განმავლობაში გასყიდვა ბანკის მიერ იმა მამულთა, რომელნიც მას დარჩა, ბანკის დარბევაა. როდესაც საადგილ-მამულო ბანკთა წარმომადგენელთა კრება იყო – აღძრეს შუამდგომლობა ამ გვარს შემთხვევაში ვადის გაგრძელებისა და მართებლობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, მით, რომ აღასრულა თხოვნა რამოდენიმე ბანკთა. ჩვენც დაგვირდნენ და ამის შესახებ ქალაღდიცა გვაქვს სამინისტროსი. შუამდგომლობას შეინწყნარებენ. გაუწყებთ, რომ ვერც ერთი ბანკი ამ წესს ვერ შეითვისებს. არა ერთჯერ მოგვწერეს ამ ვადის გასვლამდე გაჰყიდეთ მამულებიო, მაგრამ

ჩვენ ეს ვერ შევასრულეთ, რადგანაც ამგვარის მოთხოვნის აღსრულება შეუძლებელია ისე, რომ ბანკს ზარალი არ მოუვიდეს. ჩვენ საჭიროების ძალით არ ვასრულებდით ამ შემთხვევაში წესდებას და ექვსს თვეზე უფრო მეტს ხანს ვიტოვებდით მამულებს. ეს საკრედიტო კანცელარიისათვისაც არ იყო საიდუმლო; იმან კარგად იცოდა ეს გარემოება; ის დარწმუნდა, რომ ასეთი მოკლე ვადა ბანკისათვის მოუხერხებელი და საზარალოა და ამისათვის საჭიროდ სცნო ფინანსთა სამინისტრომ კანონ-მდებლობის გზით ეშუამდგომლა ვადის გაგრძელება და ჩვენ, გიმეორებთ, დაგვპირდნენ ამას, და საბუთად ამისა სამინისტროს ქალაქი გვაქვს. რაც შეეხება მამულების ბანკის სახელზე დამტკიცებას ექვსის თვის ვადით, მე თუმცა დიდი მცოდნე არა ვარ კანონისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა კანონები რომ გაჩხრიკონ, ვერავინ გვაჩვენებს სახეს ისეთის სიგელისას, რომელიც დანიშნული იყოს სამტკიცად ექვსის თვის საკუთრებისა. ყველამ იცის, ერთი უპირატესი ნიშანი უძრავის ქონების კუთვნილებისა ის არის, რომ იგი საშვილიშვილოა და არა საექვსთთვიო. მე უარს არა ვყოფ, რომ საკრედიტო კანცელარიას უფლება აქვს ასეთი მოწერილობა გამოგვიგზავნოს, რადგანაც სენატიც იძულებულად ჰყოფს ბანკებს ექვსის თვის კუთვნილების შესაძენად მათ ხელთ ჰქონდესთ კანონიერი, დამტკიცებული სიგელი. ასეთმა მდგომარეობამ რამოდენიმეჯერ აიძულა წარმომადგენელნი საადგილ-მამულო ბანკთან ეშუამდგომლათ ამ საგნის შესახებ კრებების დროს. მაგრამ ამ ეშუამდგომლობას არ ეღირსა შეწყნარება. შეიძლება კიდევ ხელ-ახლად ამაზე ეშუამდგომლობა, თუ დაავალებთ გამგეობას.

მეხუთე მუხლი მინისტრის ქალაქისა შემდეგია:

„32 § წესდების წინააღმდეგ გამგეობა აძლევს ნებას გადაანინდონ მამული გარდაუხდელად ვალის ერთის მეხუთედის ( $\frac{1}{5}$ ). გარდა ამისა ამ შემთხვევაში, როცა გარდაანინდებენ მამულს და მსესხებელს ეძლევა დამატებითი სესხი, გამგეობა სამინისტროსა სთხოვს ნება-რთვას გირავნობის ფურცლების გამოცემისას, მაგრამ არა დამატებით სესხისას, არამედ მთელის გადაანინდებულის ვალის კვალობაზე. ამასთან გამგეობა თავისს ჟურნალებში ჰფარავს ამ საგნის შესახებ იმ გარემოებას, რომ ეს მამული წინათაც იყო დაგირავებული. ამისათვის, გარდა იმისა, რომ გამგეობა იცილებს თავიდან ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას ასეთის სესხის შესახებ, – ამ წესის პირდაპირი შედეგია დამძიმება თვით მსესხებელისა, რადგანაც ის ვალდებული არის ბანკის სასარგებლოდ გარდაიხადოს

ერთი (1)<sup>0</sup>/<sub>100</sub> მთელის გადაწინდებული ვალისა და არა მხოლოდ დამატებითი სესხის კვალობაზე“.

ძალითა § 32 წესდებისა, რომლის გამო ამ შემთხვევაში ბანკს ბრალსა სდებენ, არც ერთი სესხი არ გაცემულა. გადაწინდება არ მომხდარა ჩვენს ბანკში.

მამულები კი არ გადაწინდებოდნენ ხოლმე, არამედ ექვს პროცენტია სესხებში, გადაკეთდებოდნენ ხოლმე ხუთ პროცენტთანად, როგორც ამას ამტკიცებს თვით ბ-ნი რევიზორიც. და ამ გადაკეთებით მსესხებელთა შეღავათი ეძლეოდათ. გადაწინდება-კი შეიძლება მაშინ, როდესაც ერთი მეხუთედი სესხისა გარდახდილია და მსესხებელი თხოულობს გაუნაწილონ მას სესხი ახალის ვადით ასე, რომ ანუ ოთხი მეხუთედი დანაშთენი ვალი ახალ ვადით განაწილდეს ანუ გარდახდილის ვალის ნაწილიცა დაემატოს.

სესხის ასეთი გარდაცვლა მდგომარეობს იმაში, რომ 6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-იანი 5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ნად გარდაიქმნება. ამ გზით ჩვენ კონვერსია მოვახდინეთ სამ მილიონამდის, ესე იგი, მსესხებელთ ჩამოვაშორეთ ტვირთი ოც-და-ათიათასის (30000) მანეთისა ყოველ წლივ. რაიცა შეეხება მას, რომ დამატებითი სესხი, ვითომც და გაცემულიყოს თავდაპირველის სესხის რაოდენობის დამალვით, ეს სწორე არ არის, და ამას არც ასაბუთებს მოხსენება რევიზორისა. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც გვეთხოვოს მარტო დამატებითი სესხი აღუნიშვნელად გამგეობის ჟურნალში, რომელიც საკრედიტო კანცელარიას ეგზავნებოდა, თავდაპირველის ვალის რაოდენობისა. ეს თუ ასე არ არის, მე ვითხოვ გადაათვალიეროთ ყველა ჩვენი შუამდგომლობა დამატებითის სესხის შესახებ და, დეე, გვაჩვენონ ერთი შემთხვევა მაინც ამისი წინააღმდეგი თვით რევიზორიც ამ შემთხვევაში ამისთანას არას ამბობს და არ აღნიშნავს თვისს მოხსენებაში.

ჩვენ რომ არ ვაჩვენებდით იმ ვალს, რომელიც უკვე იყო მამულზედ, როცა 6<sup>0</sup>/<sub>100</sub> გირაოს 5<sup>0</sup>/<sub>100</sub> შეეცვლიდით ხოლმე, ეს იმიტომ, რომ არ არის მოხსენებული არც წესდებაში, არც ფინანსთა სამინისტროს რაიმე განკარგულებაში, რომ ამგვარს შემთხვევაში არსებული ვალი საჩვენებელი იყოს. ამისთანა ვალი ნაჩვენებია ხოლმე გირავნობის მოწმობაში და სანამ ეს ვალი გარდახდილი არ იქმნება, ახალი სესხი არ მიეცემა. თვით რევიზორის ანგარიში გვიჩვენებს, რომ გამგეობის მოქმედება ამ შემთხვევაში კეთილ-სინიდიისერია, ე. ი. ჯერ არსებულ ვალის გარდახდას თხოულობდნენ და როცა იგი გარდახდილი იქმნებოდა, მერე აძლევდნენ ახალს. გვიჩვენებენ, რომ ამგვა-

რის წესის გამო ფინანსთა სამინისტროს არ შეუძლიან თვალ ყური ადევნოს გირავნობის ფურცელთა რაოდენობასაო. ეს მგონი ასე უნდა გავიგოთ, რომ ერთისა და იმავე სესხის გამო არსებობს ერთსა და იმავე დროს ორი წყობა გირავნობის ფურცლებისა, რომელთაგან ერთი უკვე ტრიალებს საზოგადოებაში და მეორე გამოიცემა იმათ სამაგიეროდ. მართალია, მაგრამ განა შესაძლებელია თვალ-ყური ადევნოს კაცმა, მაგალითად, როცა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიდან ანუ ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებიდან გადმოაქვთ მამულები ჩვენს ბანკში დასაგირავებლად და ამის გამო ვითხოვთ ხოლმე გირავნობის ფურცლების გამოცემის ნებართვას. ამ შემთხვევაში ხომ გვაძლევენ ნებას, სესხის მისაცემათ მოვითხოვთ გირავნობის ფურცელი. აქ სრულიად ჩვეულებრივის წესით ორი წყობა გირავნობის ფურცლები ანუ ობლიგაციებისა მოდის: ერთი მაშინ, როცა ერთი იმ საკრედიტო დაწესებულებისაა, რომლიდანაც გადმოაქვთ და მეორე იმისი, სადაც გადააქვთ. აქ კონტროლი შეუძლებელია, რადგან არც წესდება თხოულობს და არც პრაქტიკა, რომ ამისთანა შემთხვევაში არსებულის ვალის რაოდენობა შევატყობინოთ საკრედიტო კანცელარიას, როცა ვითხოულობთ გირავნობის ახალის ფურცლების გამოცემის ნებართვას. კონტროლი მხოლოდ იმაში უნდა იხატებოდეს, რომ მთელი ჯამი გამოცემულის გირავნობის ფურცლებისა იმდენი იყოს, რამდენიც სესხია გაცემული ამა, თუ იმ საკრედიტო დაწესებულებისაგან. ეს სწორედ ასე სწერია § 49 ბანკის წესდებისა: „ჯამი გირავნობის გამოცემულის ფურცლებისა არ უნდა იყოს მეტი იმ ხანგრძლივ სესხზედ, რომელსაც იძლევა ბანკი უძრავს მამულზე.“ ეს ცნობები მოთავსებულია ანგარიშებში და ყოველთვიურს ბალანსებში, რომელიც წარედგინება ხოლმე საკრედიტო კანცელარიას.

შემდეგ მინისტრის ქალაქი ამბობს, რომ ეს წესი ამძიმებსო მსესხებელთ, რომელთაც უნდა გარდაიხადონ ბანკის სასარგებლოდ 1% პრემია ყველა გადაგირავების შემდეგ მიღებულის სესხისა და არა მარტო იმ სესხისა, რომელიც დამატებით ეძლევაო. როცა სესხი იცვლება, მამული ფასდება ისე, როგორც ახალი გირაო, გამოიცემა გირავნობის ახალი ფურცლები, ყოველსავე ამას მოჰყვება ხოლმე ახალი ხარჯი, და ამის შესავსებლად დაწესებულია წესდებაში ერთ ხან გადასახადად 1% მთელის სესხისა. მე იმის წინააღმდეგი არა მაქვს-რა, რომ სესხის შეცვლის დროს ამას არ ვახდევინებდეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პარაგრაფი წესდებაში არის და სანამ ეს ასეა,

ჩვენ არა გვაქვს ნება ასეთი შეღავათი მივსცეთ მსესხებელს როცა სესხს ვუცვლით, ე. ი. როცა ხელა-ხლად ვაფასებთ, ხელ-ახლად ვუმზადებთ და გირავნობის ახალს ფურცლებს ვაბეჭვდინებთ. რაიცა შეეხება იმას, რომ დამატებითის სესხის მიცემის დროს ახდევინებდნენ 1% მთელის ვალისაგან და არა მხოლოდ დამატებითის სესხისაგან, ეს ესე არ არის იმიტომ, რომ არ არის არც ერთი შემთხვევა, სადაც ეს გარდასახადი მოგვეთხოვოს მთელის ჯამიდან თავდაპირველისა და არა მარტო დამატებითის ვალისა. მთელი ეს ამბავი საქმისა იმაშია, რომ დამატებითი სესხი, გადაკეთება სესხისა და გადაგირავება ერთმანეთისაგან არ არის გამორჩეული.

**გამოსვლა 8:** ეხლა შევეუდგეთ სამინისტროს ქალაქის მეექვსე მუხლის განხილვას: „6) Запасный капитал вопреки § 91 устава банка, находится в большей своей части на текущих счетах в частных кредитных учреждениях, а не помещается, как-бы слѣдовало, в государственномъ банке или в государственныхъ % % бумагахъ“.

**გამოსვლა 9:** ნაკითხულ რევიზიის ანგარიშიდან სჩანს, რომ, იმ დროს, როდესაც კასსას რევიზია გაუკეთეს, სათადარიგო თანხა შესდგებოდა 226,147 მან. 21 კაპ.; ხოლო კასსაში, როგორც თვით რევიზორის ჩვენებიდანაცა სჩანს, სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები ყოფილა 89,000 მან. და ბანკის აგენტს, სახელდობრ ს. პეტერბურგის „Учетный и Ссудный“ ბანკს ჰქონია 149,000 მ. ამ რიგად სულ 238 ათასი მანეთის სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები აღმოჩენილა რევიზიის დროს, ე. ი. 13 ათასის მანეთით იმ თანხაზედ მეტი, რომელიც სათადარიგო თანხისათვის იყო საჭირო. გთხოვთ ეს კარგად დაიხსომოთ. ზემოდ აღნიშნული 149 ათასი მანეთის სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები, როგორც სამართლიანად შეჰნიშნავს თვითონ რევიზორიც, დროებით კონვერსიისათვის წინდნად იყო შეტანილი სამინისტროში. წესდების § 91 ამბობს: „ბანკის სათადარიგო თანხა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში უნდა ინახებოდეს, ან-და სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქებში“. ამრიგად, ბატონებო, როგორც ჰხედავთ, რევიზიის დროს სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები 13 ათასის მანეთით სათადარიგო თანხაზედ მეტი ყოფილა, თუნდაც ისიც არ ჩავთვალოთ, რომ 106,800 მან. ტფილისის საკომერციო ბანკში სპეციალურ ანგარიშით ყოფილა მიცემული. მაშასადამე, თუ საქმე იმაშია სათადარიგო თანხა სად, ან როგორ ინახებოდა, მაშინ ამ შემთხვევაში ზემოდ აღნიშნული გარემოება სრულიად კანონიერია, რადგანაც წესდების § 91 პირდაპირ

უფლებას იძლევა სათადარიგო თანხა სახელმწიფოს სარგებლიან ქალაქებში ინახებოდეს. მაგრამ იმ 149 ათას მანეთის შესახებ-კი, რომელიც კონვენსიისათვის გირაოდ იყო წარდგენილი დროებით, შეიძლება ეჭვი დაიბადოს: კანონიერია თუ არა სათადარიგო თანხის სარგებლიანი ქალაქები ასე მოიხმარონ. რას ნიშნავს კონვენსიისათვის გირაოს წარდგენა? ეს იმას ნიშნავს, რომ რაც სესხის გარდაცვლის გამო კონვენსიით ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელნი და მათი კუპონები ნაღდს ფულს მოითხოვენ, ის ნაღდი ფული წინააღმდეგ ხელთა ჰქონდეს სამინისტროს, რომ ამ მხრით უზრუნველ იყოს და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა და კუპონების თავისი საჭირო ნაღდი ფული ჰქონდეს გამოსახსნელად, თუ ბანკს სხვა სახსარი არ ექმნება ამისათვის. წესდების § 90 ამბობს, რომ სათადარიგო თანხა ყოველს შემთხვევაში, რომელიც ამ წესდების მუხლშია ნაჩვენები, დანიშნულია იმისათვის, რომ ეს თანხა ავენსად იხმაროს. ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა და კუპონების დასახსნელად. აქედამ ცხადადა სჩანს, რომ ის 149,000 მანეთი, რომელიც სახელმწიფო სარგებლიან ქალაქებში გვექონდა და წარდგენილი იყო სამინისტროში დროებით გირაოდ გამოსახსნელად ტირაჟში გამოსულ საკონვენსიო გირავნობის ფურცლებისა და კუპონებისა, თავის კანონიერ დანიშნულებას არ გარდასვლია. ეს გირაოდ წარდგენილი ქალაქები ეხლა სულ დახსნილია და ჩვენს ხელშია.

მაშ, რაშია აქ წესდების დარღვევა? მარტო იმაში თუ, რომ ხსენებულნი სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები არ იყვნენ ცალკე აღნიშნულნი ბალანსში, როგორც კუთვნილება სათადარიგო თანხისა, ანუ, რომ უფრო უკეთა ვსთქვათ, არ იწოდებოდნენ სარგებლიან ქალაქებად სათადარიგო თანხისა? თანახმა ვარ მისი, რომ ივინი უნდა მართლა იწოდებოდნენ ბალანსებსა და საბუღალტერო ნიგნებში სარგებლიან ქალაქებად სათადარიგო თანხისა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი არსება საქმისა ის არის, რომ სათადარიგო შენახული და დაცული იყო, რადგანაც სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქები, რომელშიაც სათადარიგო თანხა უნდა ინახებოდეს, იმაზე მეტი აღმოჩნდა, რაც საჭირო იყო. განა რა არის აქ წესდების დამარღვეველი? ვიმეორებ, მხოლოდ ის, რომ სარგებლიანი ქალაქები სათადარიგო თანხისა არ იყვნენ ცალკე აღნიშნულნი სპეციალურ მათის სახელით. მაგრამ ფულები კი ხომ უნაკლებოდ იყო და სათადარიგო თანხა კანონისამებრ სარგებლიან ქალაქებში მოქცეული, ესე იგი, თავის ადგილას. მადლობა ღმერთს. საქმეც ამაშია...



ეხლა ბატონები, ვნახოთ მეშვიდე მუხლი მინისტრის ქალაქისა რას გვაუწყებს:

„7) Дѣлопроизводство и счетоводство банка не находятся въ должномъ порядкѣ: дѣла не имѣють описей, черновыя бумаги не завѣряются; архива нѣтъ, книги банка ведутся небрежно, не имѣють между собою необходимой связи и не содержатъ ни итоговъ, ни транспортовъ“.

ეხლა ამასთანავე მოვიყვანოთ ის ადგილი რევიზორის მოხსენებში, რომელზედაც დამყარებულია ეს მეშვიდე მუხლი მინისტრის ქალაქისა:

„ნეს-რიგი ანგარიშის წარმოებისა, რომელიც ბანკსა აქვს სახელმძღვანელოდ შემოღებული, სწორი და კანონიერია; მათზე დაფუძნებულნი წიგნები სავსებით გვაუწყებენ ბანკის მოქმედებას და მისს ოპერაციებს, რომ იმათ ეტყობოდეს მეტი რიგიანობა და აკკურატნობა და ხმარებულ იყვნენ წესიერად, როგორც ამას თხოულობს ძირითადი წეს რიგი ყოველის საანგარიშო წიგნებისა. ამ მხრით ყველა წიგნები არ არიან ერთნაირის ღირსებისა. უმთავრესი წიგნი და ყველა არსებითი წიგნები, თუმცა გარეგნობის მხრით უნაკლები არ არიან (საერთო ჯამი ხანდახან არ არის ანუსხული და თუ არის, ისიც კარანდაშით), მაგრამ თვისის შინაარსით სრულიად მართლა არიან წარმოებულნი და მათის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბანკის ანგარიში, რომელიც ამ ზემოხსენებულ წიგნებზეა დამყარებული, ყოველის ეჭვის გარეშეა“. ბატონებო, ხედავთ, რომ ნეს-რიგი საანგარიშო წიგნებისა და წარმოებისა, რომელსაც ბანკი მისდევს, როგორც რევიზორის მოხსენება ამტკიცებს, ნამდვილია და წიგნებს, რომელნიც იმ ნეს-რიგზეა დაფუძნებული, შეუძლიანთ სავსებითა და შეუმცდარად აჩვენონ ბანკის მთელი მოქმედება და მისი ოპერაციები. თუ ეს ასეა, სხვა რაღა მოეთხოვება ანგარიშის წარმოებას? მინისტრის ქალაქი-კი ამბობს, რომ ბანკის საანგარიშო წიგნები და მათი წარმოება საჭიროებისა და-გვარად წესიერად არ არის დაცულიო. საიდან გამოდის ასეთი დასკვნა მაშინ, როდესაც, რაც სამთავრო წიგნებია, ყველა წესიერად არიან წარმოებულნი გარდა იმისა, რომ ზოგან ჯამი არ არის და ზოგან იგი ჯამი კარანდაშით არის აღნიშნული და არა მელნით. აი, საკითხავი!..

**გამოსვლა 10:** მეტია ჩემთვის მაგგვარი წინ-სწრობილი გაფრთხილება. მერწმუნეთ, რომ მე შევძლებ არ გარდავცდე ზრდილობის საზღვარს და იმ პატივისცემას, რომელიც თვითოეული ჩვენთაგანი მოვალეა იქონიოს ყოველ კანონიერ უფლების წარმომადგენელთა

მიმართ საერთოდ და ბატონ მინისტრის მიმართ განსაკუთრებით. მე ნებას არ მივცემ ჩემს თავს ისეთი რამ წარმოვსთქვა, რომლის განმეორებაც მინისტრისა და ყველას წინაშე არ შემეძლოს. მე აქ მხოლოდ დასკვნა პირდაპირ დაუყუყენე საბუთს და თუ დასკვნა არ შეეფერება საბუთს, ნუ თუ არ უნდა ვთქვა.

**გამოსვლა 11:** ნუ თუ თქვენ, ბ. კეზელო, მე უნდა მასწავლიდეთ ზრდილობასა?!

**გამოსვლა 12:** დიალ, ნავიკითხავ, მაგრამ, ვიცი, თქვენ თვითონ არ გაიმებათ.

**გამოსვლა 13:** „ყველა იმ წიგნით, რომელნიც უმთავრესს წიგნებს ჰშველიან, ისეთი უწესოება (небрежность) ეტყობათ, რომ ბუღალტერის თვალთ რომ შეხედოთ – მათ არავითარი ღირსება არა აქვთ; გარდა მცირე რაოდენობისა, ისინი უფრო შენიშვნებსა ჰგვანან ამა თუ იმ საჭირო წიგნის შესადგენად აღნიშნულს. ეს წიგნები ერთი-მეორესთან მოუხერხებლად შეკინძულნი არიან, ერთი მეორეს ვერა ჰხსნიან და ვერ ამონებენ, ჩანერილები ერთმანეთში არეულან და არსად არ არის აღნიშნული შემაერთებელი გადატანა (транспорт) და ჯამი“.

მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მას, რომ უმთავრესნი წიგნები წესიერად არიან შემდგარნი და განსაკუთრებული უწესოება (небрежность) ეტყობათ მხოლოდ საშველ წიგნთ. ვაჭრობის წესდების ძალით მხოლოდ უმთავრესნი წიგნები უნდა იყვნენ სავალდებულონი და ისინი, ბ-ნ რევიზორის სიტყვით, გარკვევითა და წესიერად შემდგარნი და წარმოებულნი, ხოლო ყველა დანარჩენთ-კი, რომელთაც საშველი წიგნები ეწოდება, თვით ბუღალტერი ადგენს, ანუ თავისის შეხედულობის და საჭიროების გვარად, ანუ გამგეობის მოთხოვნილებით. მხოლოდ მისათვის-კი, რომ მან მითი გაიადვილოს საბუღალტერო ანგარიშების წარმოება. აი, სწორედ ამ საშველ წიგნთ უწესოებაზე გვითითებს რევიზორის მოხსენება. და ამას მეც არ უარ-ვყოფ. მაგრამ, ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ აწარმოებდა ამ წიგნებს ასე უწესოდ? აი, ის უსიამოვნება ესრედ წოდებულის ოპოზიციისათვის, რის შესახებაც მე ზემოთა ვთქვი. ამათ ასე აწარმოებდა ოპოზიციის საყვარელი ბუღალტერი თ. ფავლენიშვილი, შრომის მოყვარე და სვინდისიანი კაცი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, – ცუდი ბუღალტერი. 1893 წ. გამგეობის გარდანყვეტილების ძალით იგი ბუღალტერი დავითხოვეთ. გაიხსენეთ ბატონებო, თუ რა ქექა-გრგვინვა ასტეხა ამაზე ოპოზიციამ და შეეხო იმ უფლებას

გამგეობისას, რომელიც მისთვის მიუნიჭებია თვით კანონს, ესე იგი, უფლებას, რომ სამსახურიდამ დაითხოვოს ის ბანკში მოსამსახურე, რომელიც კენჭით არ არის ამორჩეული. მე იძულებული მყვეს ამ ჭეჭა-გრგვინვის გამო აქ, თქვენს წინაშე საზოგადო კრებაში, მეჩვენებინა ყველა ის უნესობანი (непрежностъ) საშველ წიგნთა წარმოებისა, რომელზედაც რევიზორის მოხსენება ეხლა მიგვითითებს. ეს წიგნები აჭრელბულნი იყვნენ კალმითა და კარანდაშით უგზო-უკვლოდ ჩაწერილებისაგან, ყოველს სიგძე-სიგანეზე, ერთის მხრიდამ მეორემდე. იქ ჩაწერილებს მხოლოდ თ. ფავლენიშვილი გაიგებდა ხოლმე და სხვას ვერავის ვერ შეეძლო იქიდამ რაიმე ცნობა ამოეკითხა. ეს ჩაწერილები ხანდახან აქა-იქ მიმოფანტულს ქალაქის ნაკუნებზე იყვნენ ხოლმე აღნიშნულნი. ყველა ეს მე მოვახსენე მაშინდელს საზოგადო კრებას და თვით თ. ფავლენიშვილმა დაამოწმა მათ წინაშე ჭეშმარიტება ჩემის განცხადებისა. ესრედ წოდებულმა ოპოზიციამ კინალამ ბრალდებულთა მდგომარეობაში ჩამაყენა თ. ფავლენიშვილის სამსახურიდამ დათხოვნისათვის. და ეხლა-კი იგივე ოპოზიცია შეჰხარის რევიზორის სამართლიანს მოხსენებას საშველ წიგნთა უნესობის შესახებ და ის-კი ავიწყდება, რომ ყოველივე ეს იმას ეკუთვნის, ვისათვისაც ისინი თავ გამოდებულნი იყვნენ და ვინც ჩვენ სამსახურიდამ დავითხოვეთ.

რა-კი ახალი ბუგალტერი დავნიშნეთ, მას აქედ ზემო აღნიშნულნი წიგნები, როგორც თვით რევიზორის მოხსენება ამბობს, უმჯობესდებიან და წესიერება ეტყობათ; მაგრამ რომ ერთხელ და სამუდამოდ წიგნები, ოცის წლის განმავლობაში წარმოებულნი, წესიერებაში მოვიყვანოთ, საჭიროა დრო, რადგან ცნობასა და წესიერებაში მოყვანა ამოდენა ხნის საშველ წიგნთა, რომელნიც წარსულ წლებში ნაკუნ-ნაკუნ ქალაქდებად გარდამოსცა სამემკვიდროდ თ. ფავლენიშვილმა ახალს ბუგალტერს, ძალიან ძნელი საქმეა და დიდს დროს თხოულობს.

რაც შეეხება საქმეთა წარმოებას, ამაზე მინისტრის ქალაქდი გვეუბნება, რომ ვერც ეს არის რიგიანადო. საქმეებს სიები არა აქვთ შემდგარი შიგ ჩაკერებულ ქალაქდებისა, შავად დაწერილნი (черновыя) ქალაქდები ხელმოწერილნი, შემომნებულნი არ არიან და არ არის არხივიო. ყველა ეს მართალია. შავად დაწერილნი ქალაქდები ხელმოწერილნი არიან – დღეიდამ ხელს მოვანერთ; საქმეში ჩაკერებულ ქალაქდებს სიები არა აქვს – იმათაც შევადგენთ. გვეუბნებიან არხივი არა გაქვთო. მაგრამ რა არის, რომ ვსთქვათ,

ეს არხივი? ნუ თუ ეს ის ოთახია მართლა, რომლის კარებზედაც მიწერილი უნდა იყოს: „ესე არს არხივი“ და, სადაც განსაკუთრებული მოსამსახურე პირია, რომელსაც არხივარიუსი ეწოდება, თუ ეს წიგნთა და საბუთთა შესანახი ადგილია? მე მგონია, რომ არხივი წიგნთა და საბუთთა შესანახი ადგილია და ჩვენ ეს ადგილი გვაქვს. რამოდენიმე შკაფი გვაქვს ამისათვის ჩვენ, სადაც წიგნები და საბუთები რიგზედ არიან მოთავსებულნი. ყველა ამათ შეერთებულად, თუ თვითვეულს შკაფს ცალკე არხივი ერქმევა, თუ არა, – ეს სულ ერთია, რადგან ამისაგან არ იკარგება წიგნთა და საბუთთა შესანახავ ადგილის მნიშვნელობა. გინდათ მაინც და მაინც ცალკე ოთახი ამისათვის, – გვიბოძეთ ეს ცაკლე ოთახი, რომელიც ამ ჟამად ბანკის სადგურში არ არის, მოგვეცით მოსამსახურე პირი, რომელსაც ჩვენ არხივარიუსს დავუძახებთ, – და თქვენ გექნებათ არხივი გარეგანის მხრითაც მოწყობილი, რადგანაც საქმით ეხლაცა გაქვთ: ერთი სიტყვა ბრძანეთ და რომელი საქმეც გინდათ ეხლავ მოგართმევენ. და აი, ყველა ჩვენი შეცდომები ამ მუხლის შესახებ. მადლობა ღმერთს, ბატონებო, რომ მეტი ვერა აღმოჩნდა-რა და არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქმეთა წარმოებაში სხვა უფრო შესანიშნავი შეცდომა და წინდაუხედაობა არ არის.

შემდეგ ამისა უკანასკნელი მერვე მუხლი-ლა დაგვრჩა განსახილველად მინისტრის ქალაქისა, რომელიც აი რას გვაუწყებს:

„Убытки банка маскировались по балансамъ и отчетамъ показаніемъ ихъ возвратными расходами“.

აქვე აღვნიშნოთ ამის შესაფერი ადგილი რევიზორის მოხსენებისა, რომელიც საფუძვლად დაედვა ასეთს დასკვნას:

„ყოველი თითოეული ნაწილი ბალანსისა შემოწმებული იყო საჭირო წიგნებით და იმ მასალით, რომლის შესახებაც ნათქვამი იყო მოხსენების სხვა-და-სხვა მუხლებში და აგრეთვე ცნობები იყვნენ შეკრებილნი კორესპონდენტებისაგან. აღმოჩნდა, რომ ყოველი ნაწილი ბალანსისა სწორი იყო და შეთანხმებული კასასასთან საჭირო ცნობებით უმთავრესის წიგნისა. ამ შემთხვევაში ერთი უნდა შეინიშნოს შესახებ წარსულისა და აი რა: იყო დრო, როდესაც დიდის ხარჯების გამო, რომელიც ბანკს მოუვიდა ძმათა არწრუნის სახლის შესაკეთებლად და რომელიც აღემატებოდა ბანკის მაშინდელს შემოსავალს, თანხა ამ საგნისათვის დახარჯული, ბანკმა მოაქცია დასაბრუნებელ ხარჯთა რიცხვში, რის გამოც ეს ხარჯი წინანდელ ბალანსებში ნაჩვენები იყო დიდად და 1 იანვრის 1889 წლის ბალანსში

იგი გამოისახა დიდ ჯამად 177,070 მ. ამავე დროს ბანკი ყოველ წლივ, თანდათან იბრუნებდა ნაწილს ამგვარად დახარჯულისას და ეხლა სულ უკან დაბრუნებული აქვს. ზემო აღნიშნული მოქმედება ბანკისა უნდა ჩაითვალოს უწესურებად და ბანკის საქმის ნამდვილის ვითარების დამფარავად იმ დროს, რადგანაც ბანკი მაშინ მართლა და ზარალის ნაცვლად აღნიშნავდა ხოლმე მოგებას, რომელიც არ იყო. ამ გარემოებას ვნიშნავ მხოლოდ მისთვის, რომ ბანკის ბალანსების განხილვის დროს შეიძლება სასარგებლო შეიქმნეს ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ბალანსი უნდა ჩაითვალოს მართლ-მაჩვენებელად ბანკის ფინანსიურის მდგომარეობისა“.

მერვე მუხლში მინისტრის ქალაქისა ნათქვამია, რომ ზარალს „ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული“ (маскировались) მით, რომ ის ზარალი დასაბრუნებლად იყო ჩათვლილი, – ნათქვამია ძლიერ სასტიკად და მრისხანედ. მოქმედება, რომლის შესახებაც ეს ნათქვამია, სულაც არ ამართლებს იმ განსჯას, რომელიც ამ სიტყვაში იხატება. აქ არავითარი ნიღაბი არ არის. რევიზორის მოხსენებას აღნიშნული აქვს მხოლოდ ერთი შემთხვევა დასაბრუნებელ ხარჯისა თეატრის გაკეთებისათვის მომხდარისა, რომელიც წარსულს შეეხება და იგი ხარჯიც დღეს სრულებით უკანვეა დაბრუნებული. საქმე აი ასე იყო: თეატრის ასაშენებლად, მთელის ქარვასლის სადგომის შესაკეთებლად და სხვა-და-სხვა შენობისა და ცვლილებისათვის განწესებულზე მეტი დახარჯა, სულ 150,000 მანეთამდის, შეიძლება ცოტა მეტი, თუ ნაკლები. ამ საგნის შესახებ გამგეობამ შეადგინა ვრცელი მოხსენება და წარმოგიდგინათ თქვენ, ესე იგი, საზოგადო კრებას. ეს ხარჯი საზოგადო კრებამ მიიღო და დაამტკიცა; მხოლოდ იმის შესახებ თქვენს კრებაში აღიძრა შემდეგი კითხვა: მთელი ეს ხარჯი გამოვრიცხოთ ერთბამად ბანკის ერთის წლის შემოსავლიდამ, თუ ნაწილ-ნაწილ გამოვსწეროთ რამდენისამე წლის განმავლობაშიო? შეიქნა საშინელი კამათი – ზოგი ამტკიცებდა, რომ ერთბამად უნდა გამოვსწეროთ იმ წლის მოგებისაგან, როდესაც დავხარჯეთო; ზოგი-კი ურჩევდა, რომ გავანაწილოთ და რამდენისამე წლის განმავლობაში დავიბრუნოთ ბანკის მოგებიდამაო. ამ უკანასკნელ მრჩეველთ შორის მეც ვიყავი. თუმცა მაშინაც საბუთიანად მიმანდა და ეხლაც მიმანია მათი აზრი, ვინც ამბობდა, რომ ერთბამად გამოვსწეროთ ეს ხარჯიო, მაგრამ აღსრულებას ამ საბუთიანის მოთხოვნისას მოჰყვებოდა დახურვა სააზნაურო სკოლისა, რა-

დგანაც ამ სკოლის შესანახად აღარ დარჩებოდა საკმარისი თანხა მოგებისაგან, რომლიდანაც შესდგება საყოველთაო სასარგებლო თანხა და ამგვარად ორასზე მეტი ბავშვი ქუჩაში უნდა გარდაგვეგედო. მე ეს არ შემეძლო და ამისათვის ვსთხოვე საზოგადო კრებას ეს 150,000 მან. დასაბრუნებელ ხარჯში ჩაერიცხათ, გაენანილებინათ ხუთის წლით და წელიწადში 30,000 მანეთი გამოენერთ მოგებიდამ. საზოგადო კრებამ იმ უკიდურესის მდგომარეობის გამო, რომ არ დაეგდოთ სააზნაურო სკოლა არსებობის ყოველს სალსარს მოკლებულად, შეინყნარა ჩემი სარჩიელი სრულად და მას შემდეგ მთელი ეს ჯამი აღინიშნებოდა ხოლმე ბალანსებში დასაბრუნებელ ხარჯად. მაშ სად უნდა ჩავგენერა, რადგანაც დასაბრუნებლად ჩავსთვალეთ და სად არის აქ „ნილაბი“? განა ბალანსებში სადმე და ვისგანმე დასაბრუნებელ ხარჯთა შორის ნაჩვენებია მთელის ჯამის შემადგენელი ნაწილი ამგვარის ხარჯებისა? მხოლოდ ამის აღუნიშვნელობას შეეძლო მიზეზი მიეცა ეთქვათ, რომ ამ შემთხვევაში რალაცას ნილაბს აფარებენო და აი, ეხლაც ჩვენს ბალანსში დასაბრუნებელ ხარჯთა რიცხვში ნაჩვენებია თანხა საერთოდ შემდგარი და ის-კი არ არის ნაჩვენები, თუ რა ნაწილებისაგან შესდგა მაგრამ ამ გარემოებას ვერავინ ვერ უწოდებს ნილაბის ჩამოფარებას. ბოლოს ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რევიზორს აქვს აღნიშნული, რომ ეს ხარჯი ეხლა სრულიად უკანვე დაბრუნებული აქვთო. რევიზორი ამბობს, რომ ამგვარად ჩვენ გავაზვიადეთ მოგება ერთის წლისა. სრულიად მართალია. მაგრამ როდესაც შემდეგს წლებში ჩვენ ამ ანგარიშით ყოველ წლივ 30,000 მანეთს ვიბრუნებდით უკან და მოგებას ვაკლებდით, ცხადია, რომ ბოლოს გასული ხარჯი მოგებიდამ შემოსულმა გაასწორა და ამ სახით მიწუსი და პლიუსი გასწორდა. აი, თქვენს წინაშე აიხსნა ეს ნილაბიც... ეს არავისთვის საიდუმლო არ იყო. ყველამ იცოდით, რომ რაც დავხარჯეთ ქარვასლის გადაკეთებაზე თქვენისვე ნებართვით მიღებული იყო და ჩანერილი დასაბრუნებელ ხარჯად და ყველამ იცით, რომ თანახმად თქვენისავე გარდაწყვეტილებისა დაბრუნებული იქმნა იმ ხანის განმავლობაში, რაიც თქვენვე დაგვიწინეთ. ეხლა გკითხავთ: რას ჰქონდა ჩამოფარებული ნილაბი?

**გამოსვლა 14:** აი, ეს არის სულ, რაც შენიშნა მინისტრმა და აღნიშნა წესდების დარღვევად. თქვენ თვითონ ხედავთ, ბატონებო, რომ არც ერთი ამ მუხლთაგანი არ გვითითებს იმ, ვითომ-და, წესდების დარღვევასა და აღუსრულებლობაზე, რომელიც აღნიშნულია მოხსენებაში თ. ივ. გ. მაჩაბლისა. აქედამ იმ დასკვნამდის მივდივარ,

რომ, მიუხედავად იმისა, რომ თავ. ივ. გ. მაჩაბელს თავისი მოსაზრებანი „მეურყეველნი“ ჰგონია, – მის მიერ აღნიშნულთ წესდების, ვითომ-და, დარღვევათ და აღუსრულებლობათ ვერ მიიქციეს სამინისტროს ყურადღება; და ეს-კი საყურადღებოა, მითი რომ, რადგანაც სამინისტრომ, როგორც წესდების დარღვევას, გამგეობის ყურადღება მიაქცია, სხვათა შორის მას, რომ გადასაწერ ქალაქებს ხელს არ აწეროთ, რომ ქალაქდები აღნუსხულნი არ არიან, რომ არხივი არ მოიძევა ბანკშიო, – ის გარემოება არ დაავინყდებოდა ეთქვა, მაგალითად, რომ გირავნობის ფურცლების ხელად მიუცემლობა მსესხებელისათვის წესდების დარღვევას შეადგენსო. ამაზე მივაქცევ თქვენს განსაკუთრებულს ყურადღებას იმისათვის, რომ რევიზორის მოხსენებაში ეს განკარგულება გამგეობისა განსაკუთრებით არის აღნიშნული: რევიზორი ამ განკარგულებას უკანონოდა სთვლის და სასარგებლოდ მიაჩნია ამ საგნის შესახებ ბანკს მიეცეს საჭირო განმარტება. ჩვენ რომ მსესხებელთ არ ვაძლევთ ხელად გირავნობის ფურცლებს, ამ საგანზე თ. მაჩაბელმა, გარდა თავისის მოხსენებისა, შეაწუხა ყველა და ყოველი, რადგანაც ეს გარემოება თავის ამხანაგთა შესახებ უმთავრეს მუხლად ბრალდებისა აღიარა. რასაკვირველია, თ. ივ. მაჩაბელმა არ დაჰკარგა შემთხვევა თავი გაემართლებინა სამინისტროს ქალაქდის მეშვიდე მუხლის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მაშველნი წიგნები უწესოდ (неиспречно) შემდგარნი არიანო, ქალაქდები არ აღუნუსხავთ და გადასაწერს საბუთებზე ხელი არ მოუწერიათო, მაგრამ რით დაავიკრგინებს ეს თავის მართლებას – ეს მისი საქმეა. აქ მხოლოდ ვიტყვი, რომ ყოველივე ზემო აღნიშნული წესის ფორმალურად დარღვევაა და არა არსებითად, რადგანაც, რაც ანგარიშთა აღრიცხვას შეეხება, რევიზორის მოხსენება გვისაბუთებს, რომ უმთავრესნი წიგნები ბუღალტერისა სწორნი არიან, სავსებით და სიმართლით ხსნიან ბანკის მოქმედებასა და მისს ოპერაციებს და ეს არის საჭირო ანგარიშის წარმოებისათვის. დანარჩენი წიგნები კი ბუღალტერის საქმის გასაადვილებლად არის მოგონილი. გვიჩვენენ, რომ ანგარიშის წარმოება იმ წესით შემოვიდოთ, რა წესითაც ყველა სხვა გრძელ ვადიან სესხის გამცემ დაწესებულებათ აქვთ შემოღებული. ჩვენ აღვასრულებთ ამას შეძლებისა-და გვარად, მაგრამ ერთს გარემოებას მოგაგონებთ: ერთს საკრედიტო დაწესებულებას მთავრობამ რევიზია მოუხდინა, ნახა ჩინებული საქმის წარმოება, ჩინებული ანგარიშის წარმოება, მაგრამ ფული-კი, თითქმის ერთი გროშიც არ აღმოაჩნდა, და ჩვენ

საქმის წარმოებაშიაცა გვაქვს ნაკლი, უწესოთაც არიან შემდგარნი საშველნი წიგნები ანგარიშის წარმოების შემახებელნი, მაგრამ რაც საჭიროა – ნაღდად გვაქვს და ამას რევიზორის მოხსენებაც ამტკიცებს. მაგრამ, ბატონებო, ეს, რასაკვირველია, მაინც არ გვაძლევს ნებას საქმეების წესიერად წარმოებას გვერდი ავუაროთ, მეტად ჩავთვალოთ. ამაზედაც უნდა ვიზრუნოთ. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენის საქმისა და ანგარიშის წარმოებას ეტყობა ფორმალური შეცდომები; მაგრამ, აბა, გვიჩვენეთ ისეთი დაწესებულება, სადაც ეს არ იყოს. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს, – იმას არ ვიტყვი, რომ გვექონდეს ისეთი სამუშაო, რომელსაც ვერ მოვერიოთ, მაგრამ რთულია და თავის სატეხი. რომ გავაუმჯობესოთ საქმისა და ანგარიშის წარმოება – საჭიროა დღევანდელზედ მომეტებული მუშა ხელი, ესე იგი, ის, რაც აღნიშნა რევიზორმა და რასაც ჩვენვე გეუბნებოდით წინად.

დასასრულ სამინისტრო გვეუბნება:

1) Означенный отчетъ представить на обсуждение общаго собрания членовъ тифлискаго дворянскаго земельного банка, которое должно бытъ созвано въ самомъ непродолжительномъ по возможности времени.

2) Все остающіяся нынѣ въ вѣдѣніи банка свыше уставнаго срока недвижимыя имущества продать въ теченіе полугода со дня полученія правленіемъ настоящаго предложенія.

3) принять надлежащія мѣры къ упорядоченію оценокъ какъ земельныхъ, такъ, главнымъ образомъ, городскихъ недвижимыхъ имуществъ капитализируя чистый доходъ первыхъ не мѣнее какъ изъ 7<sup>0</sup>/<sub>0</sub>, чистый-же доходъ по городскимъ имуществамъ выводить на основаніи точныхъ данныхъ о дѣйствительной доходности имущества, скидывая изъ таковой для опредѣленія чистаго дохода, сверхъ суммы, потребной на уплату повинностей, во всякомъ случаѣ, не менѣе 30<sup>0</sup>/<sub>0</sub> на расходы по содержанию въ исправности имущества и простой квартиръ – по каменнымъ строеніямъ, и по деревяннымъ – не менѣе 40<sup>0</sup>/<sub>0</sub> валоваго дохода, и затемъ уже доходъ этотъ исчислять согласно § 11 оцѣночной инструкціи, а равно не допускать на будущее время всѣхъ вышеуказанныхъ по этому предмету отступленій отъ устава и отступленій отъ правилъ, установленныхъ министерствомъ финансовъ для контроля по выпуску закладныхъ листовъ.

4) Озаботиться приведеніемъ въ порядокъ счетоводства и дѣлопроизводства банка, по образцу, принятому во всехъ учрежденіяхъ долгосрочнаго кредита.



и 5) Немедленно вслѣдъ за переходомъ въ собственность банка имѣній, оставшихся непроданными на вторичныхъ торгахъ, совершать на эти именія надлежащія крепостные акты.

О мѣрахъ, которыя будутъ приняты правленіемъ къ исполненію настоящаго предложенія и о результатѣ обсуждения общимъ собраніемъ отчета ревизора предлагается донести министерству финансовъ”.

პირველი ამ მუხლთაგანი ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვასრულოთ მითი, რომ, თანახმად 82 § წესდებისა რევიზორის მოხსენების შესახებ, ჯერ გამგეობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და შემდეგ ზედამხედველმა კომიტეტმა; როდესაც ეს ორი ორგანო ბანკისა თავისს აზრს გამოსთქვამს, მაშინ რევიზორის მოხსენება ამ აზრებთან ერთად უნდა კრებას წარედგინოს განსასჯელად. რომ წესდება არ დავარღვიოთ, საჭიროა ეს რიგი დავიცვათ. რადგანაც მინისტრის ქალაქი ჩვენ 16 აპრილს მივიღეთ და საზოგადო კრება-კი 20-თვის იყო მოწვეული, – თქვენც მიხვდებით, რომ ასე მოკლე დროში არ შეგვეძლო აღსრულება ამ წესისა. გარდა ამისა იმ საგანთა რიცხვში, რომელნიც ამ კრებამ უნდა განიხილოს, არ არის გამოცხადებული განსჯა რევიზორის მოხსენებისა და, მაშასადამე, ამ კრებას იგი უნდა მოხსენდეს მხოლოდ სახეში მისაღებად და არა რომელიმე განაჩენის დასადგენად. ზედამხედველი კომიტეტი თავის დროზე, თანახმად 82 § წესდებისა, განკარგულებას მოახდენს და მოიწვევს საგანგებო კრებას.

მეორე, მეოთხე და მეხუთე მუხლები ვალდებულნი ვართ აღვასრულოთ დაუყოვნებლად და განუსჯელად. მესამე მუხლის შესახებ-კი ამას ვერ ვიტყვი. ეს მუხლი გვიჩვენებს მივიღოთ საჭირო ზომები, როგორც მიწების, ეგრეთვე უმთავრესად ქალაქის მამულების დაფასებათა გაუმჯობესობის შესახებ. უნდა გავაუმჯობესოთ, მაგრამ როგორ? ამას განსაკუთრებით განვიხილავთ, როდესაც საქმე დამფასებელთა ინსტრუქციაზე მივარდება, რადგანაც ხსენებულის ინსტრუქციის განხილვა აღნიშნულია ამ საზოგადო კრების განსასჯელ საგანთა შორის. სამინისტრო გვეუბნება მამულების წმიდა შემოსავალი აღვრიცხოთ 7<sup>0</sup>/<sub>10</sub>-ის კვალობაზე (капитализировать) და ქალაქის მამულების მთელის შემოსავლის აღრიცხვას ჩამოვაკლოთ 30 და 40<sup>0</sup>/<sub>10</sub> მამულის რიგიანად შესანახავად და სადგომთა გასაუმჯობესებლად. ჩვენი წესდება, რომელიც ნებადართულია, ვისგანაც ჯერ არს, თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენისა, (44 §) ამბობს, რომ ინსტრუქციის შედგენისა

უფლება ეკუთვნის ზედამხედველ კომიტეტს ისე-კი, რომ მხოლოდ თქვენ მიერ იქმნეს დამტკიცებული და არავის სხვისაგან. მაშასადამე, განსაზღვრა ამა, თუ იმ % მამულების შემოსავლის კვალობაზე და აგრეთვე განსაზღვრა % ქალაქის მამულების რიგიანად შესანახავად და სადგომთა გასაუმჯობესებლად სავსებით გეკუთვნისთ თქვენ, ესე იგი საზოგადო კრებას, რადგანაც ეს შეადგენს არსებითსა და უმთავრესს საფუძველს დასადგენად მამულის საღირაღისა, გირჩევთ ამ საზღვრებთ შორის სცნოთ თავი თქვენი უძლეველ, სანამდის ამ უფლებას ინსტრუქციის შედგენისას და დამტკიცებისას თქვენი საზოგადო კრება არ იქნება მოკლებული იმ წესითვე, რა წესითაც იგი თქვენ მონიჭებული გაქვთ. ჩემი აზრი კი ის არის, რომ ნუ შესცვლით 6% კვალობაზე მამულის შემოსავლის აღრიცხვას 7%-ად, რადგანაც ეს ცვლილება საგრძნობელად დასცემს ჩვენის სოფლის მამულების ფასს. ამგვარადვე გირჩევთ არ მოუმატოთ % ჩამოკლებას ქალაქის მამულების სრულის შემოსავლიდამ, არამედ ისე მოვიქცეთ, როგორც აქამომდე, ესე იგი მხოლოდ 20% გამოვაკლოთ შემოსავალს, რადგანაც ამაზე მეტი ჩამოკლება დაუკარგავს ფასს ქალაქის მამულებს. ამგვარის შემოსავლის კვალობაზე % აღრიცხვის (Капитализация) შემოღება როგორსაც სამინისტრო გვირჩევს და % ჩამოკლება ქალაქის მამულებიდან ის იქნება, რომ ჩვენის ბანკის ყველა ოპერაციები გაცემულის სესხისა მოისპოს, რადგანაც იქ, სადაც ჩვენი ბანკი მოქმედებს – მოქმედებენ: სოფლის მამულების შესახებ – სახელმწიფო, სააზნაურო ბანკი და ქალაქის მამულების შესახებ – ტფილისის საქალაქო საკრედიტო დანესებულება. მათგან პირველი მამულის ფასს აღრიცხავს მამულის შემოსავლის ძლიერ დაკლებულის % კვალობაზე და მეორე ქალაქების სახლების რიგიანად შენახვისათვის და სადგომების გაუმჯობესებისათვის უკლებს შემოსავლიდამ 30 და 40% ნაკლებს. ნუ დაივინყებთ, ბატონებო, რომ რამოდენადაც პროცენტი კაპიტალიზაციისა ნაკლებია, იმოდენად დიდია ფასი მამულისა. (процентъ капитализації обратно пропорціоналенъ стоимости имения), ესე იგი რაც უფრო დაკლებულია % შემოსავლის კვალობაზედ, მით უფრო მეტია მამულის ფასიც. ამგვარად, ჩვენს ბანკს არ ექნება თანასწორი უფლებანი სხვა ამგვარ საკრედიტო დანესებულებასთან, რომელნიც იქვე მოქმედებენ, სადაც ჩვენი ბანკი. ეს უფლებათა უთანასწორობა, გიმეორებთ, იგივე იქნება, რომ ჩვენ გაცემულ სესხთა ოპერაციები უნდა მოვსპოთ მაშინ, როდესაც უმთავრესად ამითი სულდგმულობს ჩვენი ბან-

კი. აქ ვიქნები გამგეობაში, თუ თქვენთან, საზოგადო კრების წევრ-  
თა შორის, – მთელს ჩემს სულიერს ღონეს და კანონიერ საშუალებას  
ვიხმარ, რომ თქვენ დაგარწმუნოთ, დაგათანხმოთ – უმდაბლესის  
თხოვნით მივმართოთ ბ-ნს მინისტრს მოგვეცეს ნება დაგვარჩინოს  
უმალღესად მონიჭებულის უფლებათა წრეში და იმ ინსტრუქციით  
გვამოქმედოს, რომელიც ზედამხედველის კომიტეტის მიერ შედგე-  
ნილი იქნება და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული.

მე განვმარტე, შეძლებისა-და-გვარად, რაც-კი იყო მინისტრის ქა-  
ლადში. რამოდენად მინისტრის მიერ ნაჩვენები წესდების ჩვენის  
მხრით დარღვევა და მისი აღუსრულებლობა ღირსნი არიან ასეთის  
სასტიკის სახელწოდებისა, როგორც უმართებულო (неблаговидный)  
– თქვენ თვით განსაჯეთ. მაგრამ კიდევ გიმეორებთ, ბატონებო,  
რომ ჩვენმა კეთილისმყოფელებმა ბეჭდვითის სიტყვის შემწეობით  
განუმარტეს მთელს ქვეყანას, რომ აღნიშნულნი წესდების დარღ-  
ვევანი არამც თუ უმართებულოა, არამედ ბინიერიც. მისმა აღმა-  
ტებულებამ დ. ი. მუსხელაშვილმა, რომელიც თქვენ მიერ აღრჩეუ-  
ლია ამ საზოგადო კრების თავმჯდომარედ, საჭიროდ სცნო, თუმცა  
თავმჯდომარედ აღრჩევამდის-კი, ეთქვა, რომ საჭირო იქნება ჩვენი  
სამართალში მიცემაც-კი, ან კრებისა და ან სასამართლოს წინაშე  
პასუხის საგებად. დაიღ, ბატონებო, თ. ნ. ორბელიანმა და მისმა აღ-  
მატებულებამ დ. ი. მუსხელაშვილმა ბეჭდვისთვის სიტყვით თავის  
ხელის მოწერით, გამოაცხადეს, რომ ჩვენის ბანკის გამგეობის მო-  
ქმედება ბინიერია. ეს ხმა, ეს ცნობა შამოიბენს მთელს ქვეყანას,  
მიაღწევს ბირჟამდისინ, რომელიც ფრთხილია, ყურ-მახვილი და  
ადვილად ამყოლი ყოველის ამგვარად მოუფიქრებლად წარმოშო-  
ბილის ხმებისა და შეიძლება ძალიან დიდხანს მოგვინდეს ბრძოლა  
აღსადგენად პატიოსანის სახელის თქვენის საკრედიტო დაწესებუ-  
ლებისა და მისდამი ნდობისა. ჩვენ გვემოქრებიან და გვაშინებენ  
სასამართლოთი, სასურველია აღასრულონ ეს მუქარა, მაშინ მაინც,  
სრულიად გარეშე პირნი, რომელთაც არავითარი კავშირი ჩვენ ბანკ-  
თან არა აქვთ, პირნი სახელმწიფო და, მაშასადამე, მიუდგომელის  
სამსაჯულოისა, იტყვიან თავისს უკანასკნელს სიტყვას და მითი  
ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს იმ საზიზღარს, ცილის  
დამწამებელს ხმებს, რომელთაც ჩვენს შესახებ ავრცელებენ ჩვენნი  
და თქვენნი კეთილის-მსურველნი. საქმეთა მიმდინარეობა დადგება  
თავისს დონეზედ და აღარ იქნება ის წანწალი აზრისა, რაც, აი, მეექ-  
ვსე დღეა ხელს გვიშლის ბანკის საქმეების შესახებ გარდავსდგათ

თუნდ ერთი მაინც ნაბიჯი. არ არის ქვეყნად საკრედიტო დაწესებულება, რომლის საზოგადო კრება, რომელიც იმა დაწესებულების საქმიანობის განსახილველად მოწოდებულია, ასე ხანგრძლივ და უნესოდ სცილდებოდეს თავისს პირდაპირ გასარჩევ საგნებს. ვინც არის ამაში დამნაშავე, დაე მან პასუხი გასცეს თავისს საკუთარს სინდისს!

**გამოსვლა 15:** თ. ნ. ორბელიანიმა განაცხადა, რომ სიტყვა „ბინიერება“ ვიხმარე იმ აზრით, რომ გამგეობის მოქმედება უკანონო არისო; მაგრამ ეს განმარტება სრულიად უსაფუძვლოა. შეიძლება, მაგალითად, რომ ვისამე მაშენიკი უწოდოთ და შემდეგ თავი მითი იმართლოთ, რომ მე შენ მაშენიკი იმ აზრით გინოდე, რომ შენ ერთი ფინჯანი ყავა დალიეო. სიგარას რომ პაპიროსი უწოდო, იმითი განა სიგარა სიგარად არ დარჩება? სიტყვა „ბინიერება“ ამცირებს და ლაქასა სცხებს ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას. მინისტრის ქალაღდმა, რომელიც თქვენ წინ განვმარტე, დაგარნმუნათ – თუ თქვენი ქმედება რაოდენად ბინიერია. მე სრულიად არ მეშინიან ამისაგან გამონვეულის მუქარის, რომ მე გავბედე და განვმარტე მინისტრის ქალაღდი როგორც მესმის. მე არავითარი უკადრისობა არ მითქვამს და თუ მე მინისტრის აზრს არ ვეთანხმები, ეს არაფერი უმართებულობაა, რადგანაც თვით მინისტრი სრულიად არ თხოულ-ობს, რომ ჩვენ მისი მოწერილობა ბრმად აღვასრულოთ. თუ ვისამე ჩემი სიტყვები, ჩემ მიერ მინისტრის ქალაღდის განმარტება მოეჩვენა უმართებულოდ, დაე, ჩასწერონ ყოველივე ოქმში და დამასმინონ სადაც ჯერ არს, რადგან ეს გზა უკვე გაკვერილია და ჩვეულებაც უკვე შემოღებული და გამტკიცებული.

## **თბილისის სათავაღაზნაშრო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 28 აპრილი**

**გამოსვლა 1:** თ. ნ. ორბელიანი იმოდენად წინდახედული იყო გუშინდელ შემთხვევის შესახებ, რომ სთქვა: „თ. ჭავჭავაძემ ბოღიში უნდა მოითხოვოს, თუ მართლა თ. მაჩაბელს „დანოსჩიკი“ დაუძახაო“. საქმეც მაგაშია – მართალია, თუ არა. გუშინ ჩემი სიტყვა ასე დავაბოლოვე: თუ ვინმე უკმაყოფილოა ჩემის სიტყვებისა, დაე, ჩასწერონ ოქმში და დამასმინონ სადაც ჯერ არს, მით უმეტეს, რომ გზა ამისათვის უკვე გაკვერილია მეთქი და ჩვეულებაც აღძრული და დამოკიდებული. როდესაც სხდომა [დამთავრდა თ. მაჩაბელი მივიდა] თავმჯდომარესთან და უთხრა, რომ დასმენა „დანოს“-ს

ნიშნავსო და გთხოვთ ეს სიტყვა ჩასწეროთ პროტოკოლში. მე იქვე ახლოს ვიდექი რამოდენიმე პირთან ერთად, რომელნიც არ მაგონდებიან, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომელნიც ჩემის სიტყვების ჭეშმარიტებას დაამონებენ, – და როდესაც გავიგონე სიტყვები თ. ივ. მაჩაბლისა, რომლითაც მან თავმჯდომარეს კრებისას მიმართა, დავეთანხმე, რომ დასმენა სწორედ „დანოს“-ს ნიშნავს მეთქი. შემდეგ ამისა, თ. მაჩაბელმა დაიწყო ყვირილი, რომ მე მას „დანოსჩიკი“ დავუძახე და რომ მე ვარ „დანოსჩიკი“ და არა ის. ასე იყო თუ არა, თქვენო აღმატებულებავ?

**გამოსვლა 2:** ვსთქვი მე სიტყვა „დანოსჩიკი“?

**გამოსვლა 3:** აი, ბატონებო, ხომ ხედავთ რა უმართლოდ და უსაფუძვლოდ დამწამა ეს თ. მაჩაბელმა, მე-კი არ დავუძახე თ. მაჩაბელს „დანოსჩიკი“, არამედ მან დამიძახა. მე ერთხელ ჩემს სიცოცხლეში დავეთანხმე მისს აზრს და ამანაც-კი დავიდარაბა ასტეხა და საბოდიშოთ გამიხადა საქმე. ამას ჰქვია: „ჩემი შენ გითხარ – გული მოგიკალო“.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1896 წლის 8 მაისი

**გამოსვლა 1:** აქ შვიდს მაისს მ. მაჩაბელი შეეხო...

**გამოსვლა 2:** როცა შეეხება მინისტრის ქალაქს, თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ, ბატონებო, დაგვავალოთ მიიღეთ, ანუ ნუ მიიღებთო. ის უსათუოდ მისაღებია. მაგალითად რომ დაგვავალოთ ნუ მიიღებთო, ჩვენ თქვენს გარდანყვეტილებას ვერ აღვასრულებთ, მხოლოდ მესამე მისის მუხლის შესახებ, რომელიც მამულის შემოსავლის დაფასებას 7%-ს კვალობაზე გვირჩევს, უნდა ვიშუამდგომლოთ უმაღლესად მონიჭებული ჩვენი უფლება დაიცვან და მოგვცენ ნება იმ ინსტრუქციით ვიმოქმედოთ, რომელსაც ზედამხედველი კომიტეტი გარდმოგვცემს სახელმძღვანელოდ და რომელსაც კრება დაამტკიცებს. ვერც ერთის წლით გარდავსდებთ ამ საგნის განხილვას, როგორც ზოგიერთები თხოულობენ, რადგანაც მინისტრი ბრძანებს დაუყოვნებლივ შევასრულოთ. ეს საგანი ვერ [...] კრების თავმჯდომარისაგან. ჩვენ ვერავითარს გარდანყვეტილებას ეხლა მის შესახებ ვერ დავადგენთ, რადგანაც, როგორც წესდება მოითხოვს, ეს საგანი არ იყო გამოცხადებული წინ-დანინ სხვათა განსახილველ საგანთა შორის. სჯობს ეხლა შევეუდგეთ მორიგ საგნებს.

**გამოსვლა 3:** კრება მოწმეა მისი, რომ აქ წაიკითხეს ჩემი წერილები მეგობრებთან მიწერილი, გადაასხვაფერეს ფაქტები, კრებას მოახსენეს რაც არ ყოფილა და როდესაც მე ჭეშმარიტების აღსადგენად სიტყვის თქმის ნება მოგთხოვეთ თქვენ უარი განაცხადეთ ამაზე. მე ჩემი ბ-ნ თავმჯდომარის პირუთვნელობის მფარველობის ქვეშ დავაყენე და ეხლა თვითონ საქმე ამტკიცებს რამოდენად გამიმართლდა იმედი მფარველობისა.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

1896 წლის 9 მაისი

**გამოსვლა 1:** ბატონო თავმჯდომარე, უმორჩილესადაა გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, რომ სანამდის ჯაბადარი რაიმეს მოახსენებდა კრებას, თქვენ გაუკეთეთ მას რეკომენდაცია, რომ იგი ნასწავლი, განათლებული და ჭკვიანი კაცია.

**გამოსვლა 2:** თქვენის წყალობით არაფერი!

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

1897 წლის 23 იანვარი

**გამოსვლა 1:** ქართველები ამბობენ, რომ ზარალი და მოგება და-ძმანი არიანო. ბანკი იმისთანა ბუნების და თვისების საქმეა, რომ დღეს რომ მოგება ჰქონდეს, ხვალ შესაძლოა ზარალი. იგი თავნი – ფული, რომელიც ბანკის კრებას ნება აქვს წესდების ძალით მოახმაროს ან საერთო საჭიროებას, ან სამეურნეოს რასმე, მარტო მოგებიდამ შესდგება. თუ მოგება არ არის, არც ღონისძიება ექნება ბანკსა ამ მხრით შემწეობა გაუწიოს თავად-აზნაურობას, თუნდ ბანკის კრებამაც მოინდომოს. ბევრ-ნაირი, წინად დაუხანავი მიზეზია, რომელიც ასე თუ ისე ბანკს ხელს უშლის ხოლმე. აი, მაგალითად, ერთი უეცრად ომი რომ ასტყდეს, სარგებლიანის ქალაქების ფასი ძირს დაიწვეს საზოგადოდ და გირავნობის ფურცელი ცალკე. არავინ ინებებს გაიფეხულ სარგებლიან ქალაქდით ვალი აიკიდოს და მერე ნაღდის ფულით იშოროს მანეთი მანეთზე. ამ მიზეზით, სესხის გაცემა დაბრკოლდება და ბანკის მოგება ამ სესხის გაძლიერებაზეა დამოკიდებული უფრო, ვიდრე სხვა რაზედმე. გარდა ამისა ამ ბოლოს ხანებში ჩვენის ბანკის საქმე ისე აწენა ერთმა ნაწილმა ჩვენის თავად-აზნაურობისამ, რომ ლამის ბანკი უსაქმოდ დარჩეს. შარშან

ბ-ნმა მინისტრმა ისეთი პირობა დაგვიდგა მამულების დაფასებისათვის, რომ იმედი სესხის გაძლიერებისა თითქმის მოგვისპო. გამგეობა ბანკისა ჰცდილობდა და დღესაც ჰცდილობს ბ-ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ისევ უწინდელ დაფასების წესით ნება მოგვცეს ვიმოქმედოთ და დავვიხსნას ახალის პირობებისაგან, რომელიც არამც თუ გვაპრკოლებს, არამედ თითქმის შეუძლებლად გვიხდის ბანკის საქმეთა გაძლიერებას მოგებისათვის. იმის მაგიერ რომ თავად-აზნაურობას აქ შემწეობა რომ აღმოეჩინა ბანკისათვის, რომლის მეოხებითაც ცოტად თუ ბევრად ჩვენს საერთო ჭირ-ბოროტს უჭიდვებით, ავიღეთ და საჩივარი შევიტანეთ სამინისტროში და ჩვენვე ვთხოვთ უბძანეთ ბანკს მისი სულთა-მხუთავი პირობები, თქვენ მიერ ნაბძანები, მტკიცედ აასრულოსო. გაგიგონიათ სადმე ამისთანა ამბები! ამის შემდეგ მოდიხართ და გვეკითხებით: ბანკი რა იმედს იძლევაო? რა იმედი უნდა მოგცეთ ბანკმა, რომელსაც თქვენვე ძირს უთხრით, გზას უღობავთ წარმატებისას და ამაების მომქმედებს ბარაქალასაც ეუბნებით. ყველა გვარი საჩივარი შესაძლებელია, ხოლო მოჩივარი თხოულობდეს გზები შეგვიკარით, რომ ბანკმა ხელი ვეღარ გასძრასო, განა ხეირს დააყრის ბანკსა. ბანკი თქვენ ვერაფერს იმედს მოგცემთ ძალიანაც რომ ჰსურდეს. იმედი მოგებაზე უნდა იყოს დამყარებული და მოგება-კი სხვა-და-სხვა მიზეზზეა დამოკიდებული. აბა, წინად ვინ იტყვის, ხვალ რა პოლიტიკური ამბავი როგორ იმოქმედებს ფულის აღებ-მიცემობაზე, როგორ ასწევს და დასწევს სარგებლიან ქაღალდების ფასებს საერთოდ და გირავნობის ფურცლებისას ცალკე და ეს ყოველი რამოდენად შესაძლოდ გახდის სესხის გაცემას. ან ვინ იცის როგორ გადასწყვეტს ბ-ნი მინისტრი თქვენსავე თხოვნას, რომელიც იმაზეა სხვათა-შორის მიმართული, რომ ბანკი თავისს საქმეს წინ ვეღარ წასწევს, თუ მთხოვნელთ სურვილი აუხსრულდათ და იგი დაფასების წესი სამუდამოდ სავალდებულო გაუხდება ბანკსა, რომელიც შარშან ბ-ნმა მინისტრმა დაავალა ბანკსა და მთხოველნივე ეხვეწებიან ამ საქმეში უფრო მაგრად მოეკიდე ბანკსაო. განა შეიძლება ბანკმა, ამდენს განსაცდელში მყოფმა რაიმე იმედი მოგცეთ? ბანკის მოგებაზე დაფუძნებული საქმე მაგრად დაყენებული საქმე არ არის. მოგება დღეს არის, ხვალ შეიძლება, არ იყოს. ჯერ ბანკი იმასაც ძლივ უძღვება რაც მძიმე ტვირთად აწევს. იგი ინახავს სათავად-აზნაურო სკოლას, რომელსაც თითქმის ხუთი ათას თუმნამდე ხარჯი უნდება ყოველ წლივ. აქაც ბანკი ისე გაჭირებულია, რომ იძულებულია ზოგჯერ წინად აძლიოს სკოლის

სახარჯოდ ფული, მოგებიდამ კი არა, მოგების იმედიდამ. თქვენი საჩივარი, რომელიც დღეს სამინისტროშია გასარჩევად, ამასაც-კი ამხელს და ცოდვად უთვლის ბანკის გამგეობას. რა თქმა უნდა, ბანკის გამგეობა ამისთანა გასამხელს საქმეს აღარ ჩაიდენს შემდეგში, რაც გინდ სათავად-აზნაურო სკოლას გაუჭირდეს. აი წელს სწორედ იმისთანა წელიწადია, როცა სკოლას ამისთანა გაჭირების დღე დაადგება. წლევეანდელი საერთო საჭიროებისათვის გადასადები იმოდენა არ იქნება, რომ სკოლის ხარჯს რამდენისამე თთვით ეყოს. ჯერ შარშან დეკემბერში ამისთანა გაჭირების დღე დაადგა სკოლას და რადგანაც ბანკმა უარი უთხრა, გამგენი სკოლისანი იძულებულ იქმნენ ქარვასლის შემოსავლიდამ ხუთასი თუმანი ესესხნათ. წელს კი კარგა ბლომა ფული მოგინდებათ, რომ სკოლა შეინახოთ. დღესვე რომ შეუდგეთ ამისათვის ზრუნვას, მეტი არ იქნება. ბანკი ვეღარ გაბედავს მომავლის მოგების იმედით სახარჯო რამ აძლიოს სკოლას. ჭკუის სასწავლებლად ისიც ეყოფა ბანკს, რომ ჯერ ეხვეწებით გვიშველეთო და როცა გშველით, თქვენგანნივე სჩივიან სამინისტროში, რომ უკანონოდ გშველიანო. წელსვე, მოგახსენებთ, საჭიროა ბანკის ფულს მიაშველოთ თქვენი ფულიცა, რომ სათავად-აზნაურო სკოლა შეინახოთ. დასამალავი აქ არა არის-რა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ და წელსვე იფიქროთ საიდან რას გახდებით, რომ სკოლამ იცხოვროს და თავი შეინახოს. ეს დღევანდელი გაჭირება სკოლისა პირდაპირ გეუბნებათ რა სახიფათოა ბანკის მოგებაზე იმედების აგება და აშენება. რა თქმა უნდა, თუ ბანკს ექნება რამე, სწავლა-განათლებისათვის არ დაჰზოგამს, ხოლო წინადგე ამის აღთქმას ვერავინ მოგცემთ.

**გამოსვლა 2:** მე ეგ არ მომიხსენებია. მე ვთქვი, რომ ბანკის მოგებაზე იმედის დამყარება ყინულზე დაწერილი თამასუქია-მეთქი, რადგანაც ბანკის მოგება სათუო და სავინიცობაოა.

**გამოსვლა 3:** მადლობას მოგახსენებთ, მე არ შემიძლიან კამიტეტში მონაწილეობა მივიღო. ნება მიბოძეთ, ამ საგანზე ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. ვთქვათ, ამოვირჩიეთ, კამიტეტი, მერე მაგით რაო! განა გვეგულება სადმე ოქროს მადნები, რომ იმათ აღმოგვიჩინონ და ჩვენ ეხლა ვერა ვხედავდეთ. ჩვენი ქონება და ავლადიდება ცხადია. ახალს რას გვეტყვის კამიტეტი? ერთი გულშემამტკივარი კაცი გამოსულა და გვეუბნება: მინა-წყალი გვაქვს, მამულები გვაქვს და ხელიდამ მიგვდის. ხელიდამ მიგვდის ის, რაც ჩვენ ლუკმა პურს გვანვდის, ჩვენს ცოლ-შვილსა ჰკვებავს, გვაცხოვრებს, რასაც



დედა-მინას ვეძახით და რის წყალობითაც ჩვენის ქვეყნის პატრონები ვართო. ნუ დაგვარგავთ ამ დიდს განძს, რომლითაც ვსულდგმულობთო. ამისი სახსარი სწავლა ცოდნაა, იგი სწავლა-ცოდნა, რომლის შემწეობითაც შესაძლოაა გავმაგრდეთ ჩვენ ჩვენს მიწაზე და ბინა არ მოვიშალოთ და მტვრად არ ვიქმნათო აღგვილი. რომ ეს სწავლა-ცოდნა შევიძინოთ, ამისათვის სკოლააო საჭირო. გავიჭიროთ საქმე და ამ აუცილებელს და ჩვენს მხსნელს სახსარს მივმართოთო ჩვენი ძალ-ღონე. მე მარტო ჩამოვდივარ ამისათვის მამულს ხუთი ათასის თუმნის ღირებულებისასაო. თქვენც თქვენის მხრით შესწირეთ რამეო, და მადლობის მაგიერად რა პასუხს ვაძლევთ? НЕВЫГОДНО-ო! გაგონილა! რატომ? იმიტომ – რომ ჩვენგანაც ეს საქმე შეწირვას რისამე თხოვლობს! თუ ერთმა კაცმა, თავისს სასახელოდ, ამოდენა შემოგვწირა, ნუ თუ ესოდენი თავად-აზნაურობა უღონოა, რომ თავისის ჯიბიდან გაიმეტოს რამე. Не выгодно-ო, იმიტომ – რომ თვითეულს ჩვენგანს გროშების გამოღება მოგვინდება და ამასა ვზარობთ. მაშ ზარმაცი კაციც მართალი იქნება, რომ დიდი მამული უძღვნას ვინმე და ამან-კი პასუხად შეუთვალოს: ახლა მაგოდენა მამულის მოვლისათვის თავი გინდა ამატკივოო. სასაცილო არ არის ამისთანა პასუხი! სწორედ ეგრე მოგვდის ამ საქმეშიაც. ამოდენა მამულს გვწირავს ერთი, ჩვენ დანარჩენები, ჯერ ღვთის მადლით, კარგა ბლომად ვართ და რა გახდება, რომ თვითეულმა ჩვენგანმა ცოტა იქნება, თუ ბევრი შეძლებისა-დაგვარად ფული გამოიღოს და ამ საჭირო საქმეს მოახმაროს. ეს კარგა ხანია, რაც თავად-აზნაურობამ სწავლა-განათლების საჭიროებისათვის ფული გაიწერა თავისს სასახელოდ, სად არის ახლა ეს საქმე? რატომ არ მოიკითხავთ? რატომ აღსრულებაში არ მოჰყავთ იმათ, ვისთვისაც ჯერ არს? ეს საქმე დაძინებულია, გააღვიძეთ და აი ეს საქმე მოადენს იმ წყაროს, რომლისათვისაც დღეს ამაოდა ვნაღლობთ და რომელიც სამუდამოდ იქმნება. ჩვენ ჩვენის მხრით ჩვენისავე ხსნისათვის არა გვემეტება-რა და იმასაც-კი საქმეს ვუჯანჯლებთ, გზას ვუხლართავთ, ვინც ამოდენა მამულს იმეტებს ჩვენთვისა, ჩვენის ხსნისათვის. რაც გინდ კომიტეტები ამოირჩიოთ, თუ რიგიანად და საფუძვლიანად ჩაიხედვენ საქმეში, ამ ერთად-ერთს სახსარს ვერ წაუვლენ.

**გამოსვლა 4:** მაგას რაღა კამიტეტი უნდა? ავილოთ და მკვდარი საქმე გავაცოცხლოთ.

## თვილისის სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების კრება

1897 წლის 23 მარტი

**გამოსვლა 1:** ბ-ნ სავანელის მიერ თქმული საყურადღებოა და მაგას ორ ნაირი პასუხი აქვს. ერთი ის არის, რომ საზოგადო და კერძო კანონითაც, თუ კრება მის მიერ მინიჭებულ უფლებას არ გადავა და დაადგენს რასმე, ყველა წევრთათვის სავალდებულოა. ამ შემთხვევაში ბ-ნ სავანელის სიტყვა უქმია და უადგილო. სულ სხვაა, როცა ყოველს აქ დადგენილ განაჩენს კანონის თვალთ გავესინჯავთ, ესე იგი, ვიკითხავთ: საგანი, რომლის გამოც ჩვენი განაჩენი შესდგა, ექვემდებარება კრებას, თუ არა. თუ არ ექვემდებარება, ყოველივე განაჩენი თუნდ ერთხმად დადგენილი, უკანონო იქნება და, მაშასადამე, არც სავალდებულო არავისათვის. ჩვენის საზოგადოების წესდებაში მარტო ერთი წყაროა ნაჩვენები, საიდანაც უნდა შესდგეს სათადარიგო თავნი: იქა სწერია, წმინდა მოგებიდამაო. აი ყველა წევრნი მოვალენი არიან მოგებიდამ ფული გადასდონ ასის თავზე არანაკლებ ათისა სათადარიგო თავნის შესადგენად. სხვა მოვალეობას ამ თავნის შესადგენად კრება ჩვენი ვერ აკისრებინებს ვერავის. ამ მხრივ სიტყვა ბ-ნ სავანელისა საბუთიანია. ბ-ნ პ. რ. ყფიანის აზრს მე ვეთანხმები მარტო იმაში, რომ იმ გზით შეგროვება სათადარიგო თავნისა უსაფუძვლოა. ხოლო მის მიერ ნაჩვენები გზაც კანონიერი არ არის. შესაძლოა, რასაკვირველია, გასესხებულ ფულს სარგებელი მეტი დავადოთ, ხოლო წესდებით ის ნამეტანი მთლად და პირდაპირ ვერ მიეცემა სათადარიგო თავნს. იგი ერთობ მოგებაში უნდა ჩაითვალოს, აქედამ ყოველი ხარჯი და ზარალი გასტუმრებულ იქმნას და რაც ძირს დარჩება წმინდა მოგება, იქიდან წესდებაში ნაჩვენები პროცენტი გადიდვას სათადარიგო თავნად.

**გამოსვლა 2:** მართალია, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ეგ ათს პროცენტზე მეტი მაინც წმინდა მოგებიდამ უნდა გადიდვას და არა ცალკე რომელიმე წყაროდამ. თუ წმინდა მოგება ოცი ათასი მანეთი იქნება, შეგვიძლიან სულ ოცი ათასი მანეთი მაგ თავნისათვის გადავდოთ. ხოლო წამატებული სარგებელი თუნდ ოცი ათასი თუმანიც იყოს, აქედამ ერთს გროშსაც ვერ გადავდებთ სათადარიგო თავნისათვის, თუ მოგება ან სულ არ არის, ან ნაკლებია. გარდა ამისა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ სათადარიგო თავნი თუმცა კარგია რომ გექონდეს, მაგრამ მარტო მაგითი არ იკვებება იგი ნდობა, რომელიც მოიზიდავს ხოლმე ბანკში ფულებს მოსაბარებლად და რომელიც ერთობ ესტიბარს უკეთებს ბანკსა. აქ საჭიროა საზოგადოების რწ-

მენაც, რომ გამგენი ბანკისანი არა რისათვის არ გადავლენ კანონს, გულ-მოდგინეთ ჰპატრონობენ და უვლიან მათთვის რწმუნებულს საქმეს, საქმეს გაგებით, სიფრთხილით და ცოდნით უძღვებიან. ყოველივე ეს, თუ მეტი არა, სათადარიგო თავნზე ნაკლებ სამსახურს არ უწევს საკრედიტო დაწესებულებას ესტიბარის მკვიდრად დადგენისათვის და ნდობის გაძლიერებისათვის. მე მგონია, ყოველივე ეს თვისება და ღირსება გამგეობისა, თუნდ სათადარიგო თავნიც არ უყოს, შემძლებელია საკრედიტო დაწესებულება მაგარს ნიადაგზე დააყენოს. ამიტომაც მე ვეთანხმები ბ-ნ-ს კობაიშვილს, რომ სათადარიგო თავნი ისე საჭირო არ არის, რომ მისის გულისათვის იმ ზომიერებას მოვკიდოთ ხელი, რომელსაც გამგეობა გვირჩევს.

**გამოსვლა 3:** თუ ეგ სადმე მომხდარა, იქ ფული მზად ყოფილა. ჩვენც რომ ფული მზადა გვქონდეს, მისს დადებას სათადარიგო თავნად ჩვენც არავინ დაგვიშლის. აი ერთი ოცი ათასი მანეთი რომ მქონდეს და მე შევიტანო ჩვენ ბანკში სათადარიგო თავნის შესადგენად, ამას კანონი წინ არ აღუდგება. ხოლო ამ შემთხვევაში, რომელზედაც ჩვენ დღეს საუბარი გვაქვს, ფული არ არის და უნდა ჩვენ შორის მოგროვდეს, მაშასადამე, უნდა ყველამ გავინეროთ. ეს გარემოება სულ სხვაა. კანონიერი იქნება ეს განერა თუ არა, და თუ იქნება, რა გზით უნდა ასრულდეს, თუ ზოგიერთმა უარი სთქვა და არ შემოიტანა? ძალად ხომ ვერავის ვერა გზით ვერ შემოატანიებთ და ან კრედიტში ხომ არ უანგარიშებთ?

**გამოსვლა 4:** ჩემთავად არავითარის საბუთის და მიზეზის მოსმენა არ მინდა. იმიტომ, რომ საბუთი ხელთა მაქვს და შორს წასვლა საჭირო აღარ არის. ჩემის საკუთარის განაჩენისათვის საკმაო მართო ის, რომ თხოვნაზე სხვათა შორის ხელი უწერია იმისთანა კაცსაც, როგორც ბ-ნი დ. კეზელია...

**გამოსვლა 5:** შებღალულია ბ-ნი კეზელი თუ არა, – ამას თავისს დროზე სასამართლო გამოაჩენს. ეხლა-კი ბ-ნი კეზელის სახელი უამისოდაც ჩემთვის დიდი და უტყუარი საბუთია, რომ იმ თხოვნას, საცა სხვათა შორის ამასაც ხელი უწერია, სრულის ძაგებით მოვექცე. ბ-მა კეზელმა გაგვიუპატიურა ოთხი ჩვენ მიერ ამორჩეული კაცი უსაბუთოდ, უმიზეზოდ და აქ შეურაცხ-ყოფას არა ჰხედავს და ჩემს სიტყვებში-კი შეურაცხ-ყოფა დაინახა თავისის თავისა. კადნიერად და უმართებულოდ სხვას ნუ მოექცევინ და არც სხვა მოექცევა. აბა რასა ჰგავს? გამოსულან და საქვეყნოდ იძახიან: ეს თქვენი ამორ-

ჩეული კაცები არ ვარგანან, გაყარეთ მაინდამაო და საჭიროდაც არ დაუნახავთ გვიტხრან, რა საბუთით თხოულობენ ასე გაუპატიურებას მთელის ოთხის ჩვენ მიერ ამორჩეულ კაცისას. არ გვეუბნებიან მიზეზს და საბუთს, რადგანაც არც ერთი აქვთ და არც მეორე. გამოდის, ბ-ნ კეზელის აზრით, რომ სხვის ღირსების შეგინება არაფერია და თავისას-კი ძალიან ცხარედ ესარჩლება და უფროთხილდება. ვინც დ. კეზელს იცნობს, იმისთვის განა სასაცილო არ არის, რომ გაკადნიერებულა და სხვებთან ერთად იძახის: მე დ. კეზელს ცარიელი სიტყვა დამიჯერეთ, რომ ჩვენს თხოვნაში დასახელებულნი კაცნი ყოველად უვარგისნი არიანო. სხვისა არ ვიცი და ეს ამისთანა სამარცხვინო კადნიერება და საქციელი გაუპატიურებაა ყველასი ერთად და საკუთრად ჩემიც, იმიტომ-რომ საქვეყნოდ თავზე ლაფს ასხმენ ჩვენ მიერ და მაშასადამე ჩემ მიერაც ამორჩეულ კაცებს იმ უფლებით, რომ ბ-ნს კეზელს სხვათა შორის ეგრე მოუწონებია. მე მრცხვენიან, რომ ჩვენში ამისთანა საქციელის კაცნი არიან და ბ-ნ კეზელსავით წმინდა საზოგადო საქმეში თავისს საკუთარს ღვარძლს ურევენ. ბ-ნს კეზელს თავისი საკუთარი საქციელი შეურაცხყოფს და არა მე, რომელიც მარტო მისს საქციელს ვასახელებ. ბატონებო, ჩვენი სამეურნეო-საკრედიტო დანესებულება ახალი საქმეა და ნუ მისცემთ ნებას საძაგელი აბლაბუდები აქაც გააბან. საცა არის, იქაც გვეყოფა ამისთანა სამარცხვინო ქსელების გაბმა და ხლართვა. ამიტომაც გირჩევთ სამარცხვინო დალი დაასვათ ამ მართლა და სამარცხვინო თხოვნას და სრულის ძაგებით უარ-ჰყოთ. ამას ითხოვს ღირსება კრებისა, ღირსება საზოგადოებისა, რომლის შელახვა ეგრე თამამად გაჰბედეს მთხოვნელთა. ერთხელ და უკანასკნელად აცოდინეთ ყველას, რომ ადამიანთა ღირსებას ბ-ნ კეზელისთანა კაცებს ჩვენი საზოგადოება უსაბუთოდ არ შეაგინებინებს და სრულის ძაგებით ამისთანა საქციელს სამარცხვინო დალით დასდაღავს...

**გამოსვლა 6:** თუ რამ დამიშავებია კრებისათვის, მე მზადა ვარ ყოველთვის ბოდიში მოვიხადო. ხოლო ბ-ნ კეზელის წინაშე-კი არასოდეს. თ. ჭავჭავაძეს მტრობით მოუვიდა ჩემი ავად ხსენებაო, ბძანა ბ-ნმა კეზელმა. ბ-ნ დ. კეზელთან არას დროს შემთხვევა არა მქონია რაშიმე და სადმე საერთო რამ მქონოდეს და იმედი მაქვს არც თავისს დღეში მექნება ჩემდა სასახლოდ. აქ ჩემი მისდამი მტრობა-კი არ ჰლაპარაკობს, არამედ მისი საქციელი, რომელიც შეუწყნარებელია ყოველ რიგიან კაცისაგან.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1897 წლის 31 მაისი

**გამოსვლა:** აქ დაასახელეს, ეს შუამდგომლობა იმიტომ არ იქნა შეწყნარებული, რომ ერთს შემთხვევაში ვითხოვთ ზოგიერთი გარდასახადიდგან განგვათავისუფლეთო და მეორე შემთხვევაში-კი, პირ-იქით, გაგვანერეთო. ჰო-და, სწორედ იმიტომ გვინდა ფული გავინეროთ, რომ ღარიბები ვართ. მდიდარს მუდამ შეუძლიან თავისის თავისათვის იზრუნოს, ღარიბს-კი არა, ამიტომ უნდა მოკრიბონ ერთმანეთში ფული, რომ თავიანთი საჭიროებანი დააკმაყოფილონ.

### **<საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსის მისასალმებელი სიტყვა>**

Дворянство Грузии во главѣ своего предводителя имѣть честь привѣтствовать ваше прибытіе въ край, божественнымъ промысломъ удостоенный быть удѣломъ божіей Матери. Здѣсь покоится святыня Христіанства, хитонъ Господній, здѣсь пятнадцать послѣднихъ вѣковъ не переставала раздаваться благовѣсть святаго евангелія въ духѣ истиннаго православія.

Чуть-ли не каждая пядь земли, на которой вы вступили по державной волѣ Государя Императора, представляетъ могилу мученика положившаго жизнь свою за вѣру православную. Эта горсть грузинскаго народа, являясь какъ бы оазисомъ православія среди могущественныхъ враждебныхъ Христіанству народовъ, выдержала, или, вернѣе сказать, выстрадала мученическую жизнью въ 15 вѣковой борьбѣ за вѣру, свое право на уваженіе, на любовь, миръ и успокоеніе.

Нѣтъ другого народа въ мірѣ, кромѣ Грузинскаго, которому промыслъ божій предназначилъ нести столь тяжелый крестъ спасителя міра жизни во имя спасителя міра и ради торжества его благовѣсти. Богу угодно было, чтобъ этотъ народъ на длинномъ пространствѣ пути 15 вѣковой исторіи только отстаивалъ и защищалъ кровью своихъ сыновъ право свое вѣровать и следовать вѣликимъ истинамъ евангельскаго ученія. Это отстаиваніе и защита вѣры составляетъ все содержаніе нашей исторіи.

Въ полутора тысячелѣтнемъ своемъ существованіи Грузія не имѣла другой задачи кромѣ охраненія вѣры своихъ православной, другого знамени кромѣ хоръ священной хоругви Христа. Для грузина вѣра значило все: она воплощала въ себѣ и идею отечества, идею свободы и идею національной самобытности. Даже чувство самоохраненія. Всѣ

эти понятія неразрывно сливались въ одно понятіе вѣры. Даже чувство самосохраненія въ отстаиваніи вѣры искало и находило свое успокоеніе и удовлетвореніе.

Ею одною жила и дышала Грузія, ею одною воодушевлялась Гр она для борьбы, лишь ради ея посылала она своихъ сыновъ на жизнь и на смерть и ради ея одной изнемогла въ непосильной борьбѣ, но все же сохранила ее, и священную хоругвь божественнаго искупителя пронесла на пространствѣ 15 вѣковъ во всей своей первоначальной чистотѣ, сквозь смертоносные огонь и мечъ враговъ Христіанства.

Вся исторія Грузіи есть лишь правдивая лѣтопись однихъ мученическихъ подвиговъ и самопожертвованія за вѣру, за благовѣсть Христа, за крестъ божественнаго спасителя.

Я утуждаю всѣмъ этимъ благосклонное вниманіе В.-ва не для того, чтобы славить Грузію. Подвиги ея сыновъ внесены неизгладимыми буквами въ лѣтописяхъ православной вѣры не только одной Грузіи, но и всего Кавказа. Приступая къ изученію ихъ безъ предубѣжденія и современныхъ предразсудковъ изслѣдователь старины и безъ нашихъ словъ пойметъ всю силу и значеніе этихъ подвиговъ. Но если я упоминаю ихъ, то лишь ради того, чтобы неподкупнымъ и правдивымъ свидѣтельствомъ исторіи опровергнуть циркулирующее въ нѣкоторой части нашего общества мнѣніе, что народъ грузинскій равнодушенъ къ вопросамъ религіознымъ.

Нѣтъ, народъ, созидавшій при всей своей бѣдности столько величественныхъ и чудныхъ храмовъ для славы и торжества исповедуемой имъ вѣры, во все продолженіе полутора тысячелѣтнаго существованія своею беззавѣтною любовью жертвованій всѣмъ для защиты ея, народъ, положившій почти всю жизнь и все свое земное достояніе за вѣру не можетъ быть попрекаемъ въ равнодушіи къ вѣрѣ.

Правда, наблюдается, къ несчастью, нѣкоторое охлажденіе но ни къ вѣрѣ, а лишь къ церковному богослуженію, обстановка котораго какъ бы закрыла путь церковной благодати къ сердцу чадъ церкви. Нѣтъ достойнаго благопѣнія въ церквахъ въ особенности деревенскихъ, нѣтъ умѣнія вѣщать божественный глаголь священнаго писанія, нѣтъ умѣнія благоговѣннаго правозглашенія истинъ евангельскаго ученія, нѣтъ поученія церковнаго, нѣтъ священнаго пѣнопѣнія. Пастырь церкви представляется народу лицомъ лишь берущимъ дань съ своей паствы и ничего не дающимъ взамѣнъ взимаемаго. Нѣтъ общенія церкви съ ея чадами, нѣтъ единенія.

Причину охлаждения слѣдуетъ искать именно въ отсут въ условіяхъ неблагопріятствующихъ этому единенію, сила и мощь котораго созидается не на одинообразі[яхъ] а на на единодушій порождаетъ любовью и милосердіемъ и питаемъ истинами вѣры, которая сама себѣ цѣль и не можетъ быть обращена въ орудіе чего бы то ни было безъ потрясенія и ослабленія.

[1898 წლის 28 მარტამდე]

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკის წევრთა წლიური კრება

### 1898 წლის 19 აპრილი

**გამოსვლა 1:** „მოკლე ვადიანი სესხის გასაცემი თანხა 1 იანვრისთვის 1897 წლისა 272, 101 მან...“

**გამოსვლა 2:** ანგარიშში მხოლოდ მოხსენებულია ჯამი, სრული თანხა და ბანკის წიგნებში – კი დანვრილებითი ანგარიშია, თუ საიდან რა შემოვიდა ამ თანხაში. ბ-ნ ა. ი. კობიაშვილის სურვილს რომ დავადგეთ, მაშინ ანგარიში ასე პატარა წიგნათ-კი არ დაიბეჭდებოდა, არამედ მთელის ბუღალტერიის წიგნების ოდენა – ჩვენის წესდების ძალით (34 მუხ.) მოკლე ვადიანი სესხის გასაცემი თანხა უნდა შესდგეს სხვა-და-სხვა წყაროებიდან... ეს ამ მუხლში მოყვანილია... წინა წლების ანგარიშებში ჩვენ დანვრილებით არ გვქონდა წიგნებში აღნიშნული ეს სხვა-და-სხვა წყაროები და ახლა-კი, რევიზორის თანახმად, ყოველივე მოხსენებულია.

**გამოსვლა 3:** ეგ ახირებულია... ჩვენი თანხები გვაძლევენ სარგებელს... ეს სარგებელი მამ სად წავილოთ? თუ არაფერზე დაგვიხარჯავს – წმინდა მოგებას შეადგენს. სათადარიგო თანხის სარგებელს თავდაპირველად ჩვენ ვხმარობთ წესდებისამებრ ცალკე მოკლე ვადიანი სესხის გასაცემად, მაგრამ ამ ოპერაციასაც ხომ მოაქვს ჩვენთვის სარგებელი. სწორედ ეს სარგებელი იქნება წმინდა მოგება. თუ ეს ასე არ ვქენით და სარგებელი ამ თანხას ვუმატეთ ყოველ წელს, მაშინ შესდგება უძრავი თანხა – ფონდს რომ ეტყვიან და ამის თაობაზე არც ჩვენს წესდებაში არის რამ და რევიზორსაც არა შეუნიშნავს რა.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკის წევრთა წლიური კრება

### 1898 წლის 20 აპრილი

**გამოსვლა 1:** ოფიციალურად ჯერ არც სახელმწიფო რჩევის გადწვევტილება ვიცით და არც სხვა საგნებზე. ჩვენ მხოლოდ ცნობა

მოგვივიდა, რომ ჩვენი შუამდგომლობა, გარდა წარმომადგენლობისა, შეწყნარებულია, რაც შეეხება საყვედურს ბ. მამაცაშვილი გვიან წავიდაო, ეგ უსაფუძვლოა, რადგან ჩემის აზრით, ადრეც რომ წასულიყო, სახელმწიფო რჩევაში იმას არ მიიწვევდნენ საქმის გადასაწყვეტათ.

**გამოსვლა 2:** სრულიად კანონიერი მოთხოვნილებაა. წესდება მზათ არის და რატომ არ გავაცნოთ კრებას?

**გამოსვლა 3:** ძალიან ადვილად შეიძლება, რომ მეოთხე დირექტორი ბაქოში გავგზავნოთ. იქნება დამფასებელიც იქ ვიყოლიოთ ყოველთვის... საჭირო იქნება სახლის დაქირავება, მწერლები და სხვა ხარჯები. ამისათვის ვთხოულობთ 3,500 მან.

**გამოსვლა 4:** სწორედ იმიტომ დავინახეთ საჭიროდ აგენტურის დაარსება, რადგანაც ბაქოში თავის ბანკს აარსებენ. უნდა ვიყოლიოთ იქ მოხერხებული კაცი, რომელმაც მთხოვნელებს გაუადვილოს საქმე, აუხსნას, თხოვნა მიიღოს და სხვა და სხვ.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1898 წლის 21 აპრილი

**გამოსვლა 1:** სკოლის ხარჯთაღრიცხვის მოსმენა ჩვენ არას გვიშველის. ამ საგნის გადაწყვეტით, რაცა გვაქვს, იმაზე მეტს ხომ ვერ მივსცემთ, თუმცა იმათ ხარჯი მეტი აქვსთ...

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება**

1901 წლის 22-23 მაისი

**გამოსვლა 1:** ყოფილს აგენტს ბაქოსას უნდა შემოეტანა, არ გადაუხდია და ამიტომ მიღებულია, როგორც ზარალი.

**გამოსვლა 2:** აქ შეუძლებელი არა არის-რა; ჩვენ ნება გვაქვს ავირჩიოთ არმცთუ კომიტეტის რომელიმე წევრი, არამედ გაგეობისაც; წესდება ამაზე არაფერს გვეუბნება, და რაც შეეხება მას, თუ რამდენად უხერხულია ამ შემთხვევაში ბ. თულაშვილის, როგორც კომიტეტის წევრის, თავმჯდომარეობა, უნდა აღვნიშნო, რომ გუშინ თავ. ჩოლოყაშვილმა მიჰმართა თავმჯდომარეს ასეთი სიტყვებით – არ გერწმუნებითო. საჭიროა, ბ-ნებო, პირადობას უფრო პატივისცემდეთ და ასეთი კილოთი თავმოყვარეობას არ შევლახავდეთ.



**გამოსვლა 3:** სამინისტრო მცირე ვადიან სესხის გაცემის შესახებ ამბობს, რომ შეადგინეთ ხოლმე ანგარიში ისე, როგორც სხვა სააღ-გულ-მამულო ბანკები ადგენენო, ე, ი., მოიქეციეთ ისე, როგორც წეს-დების მე-33 მუხლი გიჩვენებთო. სხვათა შორის, გუშინაც აღვნიშ-ნეთ კიდეც, რომ 8, 000 მან. აკლდება სათადარიგო თანხას. ამის გარდა, 20,000 დავკარგეთ ამ საკითხის სხვა რიგად გადაწყვეტით. თავ. მიქელაძე ამბობს, ეს დაკარგვა არ არის, როცა ერთი ჯობიდან მეორეში გადავიტანთო, მაგრამ ერთ ჯობეს ხომ დააკლდება და ამა-საც მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის?! რაც შეეხება თავ. მიქელაძის განცხადებას, ვითომც ჩვენ 2000 მან. ვხარჯავდეთ სამრეწველო გარდასახადზე, ეს ასე არის; ნამდვილად ჩვენ ვიხდით 174 მანეთს. წესდების 96-ე მუხლში ერთი სიტყვაც არ არის ნაჩვენები რალაც განსაკუთრებულ თანხაზე მოკლევადიან სესხის გადასაცემად და არ ვიცით, რა საჭიროა ასე ხელოვნურად ამ თანხის შედგენა, როცა შედეგი ჩვენთვის ხელ საყრელი არ არის.

**გამოსვლა 4:** არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ უარი გვეთ-ქვას ვისთვისმე, რადგანაც მოკლე ვადიან სესხს როცა გავცემთ, მა-ლევე უკან ვლბებულობთ და ასე კმაყოფილდება მთხოვნელი; ხოლო ასეთ სესხზე ჩვენ უარი ვუთხარით შარშან, რადგანაც გადადებულ იქმნა 80,000 მან. დამფუძნებელთათვის უკან დასაბრუნებლად. ასე-თი შემთხვევა კიდეც შესაძლებელია ცოტა ხანს, ვიდრე აღნიშნულ ფულს უკან მოგებით დავიბრუნებდეთ; ყოველ შემთხვევაში გა-სასესხებლად იქნება საკმარისი ფული ჯერ ერთი მით რომ მოკლე ვადიანი სესხი მალევე უკან ბრუნდება და მეორე პირდაპირ იმ საქ-მისათვის დანიშნულ თანხის გარდა არის სხვა თანხა, საიდანაც ვი-სარგებლებთ ამ სესხის მოთხოვნილების დროს.

### **თბილისის სათავადაზნაურო სააღგულმამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება**

1901 წლის 25 მაისი

**გამოსვლა:** როდესაც ბანკის გამგეობამ გარდასწყვიტა საზოგა-დო საჭიროების თანხიდან 1000 მან დრამატულს საზოგადოებას არ მისცემოდა, ამით ის კი არ უნდა გამოეხატა, რომ მას თანაგრძნობა არა აქვს დრამატულ საზოგადოებისადმი; პირიქით, ეს არის ერთი ჩვენი სიმპატიური დაწესებულება და მასთან სასწავლებელიც. მხო-ლოდ ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი მატერიალური ძალა არ დანაწილე-ბულიყო. რათა აღნიშნული პრინციპი მთელი იქნეს და დრამატულ

საზოგადოებას შემწეობა მიეცეს, ასე უნდა მოვიქცეთ: ვსთხოვოთ ზედამხედველ კომიტეტს, რომლის განკარგულებაშიაც არის ექსტრაორდინალური თანხა 28,000, აქედან ასესხოს დრამატულ საზოგადოებას მომავალ წლამდე.

## **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება**

1902 წლის 10 დეკემბერი

**გამოსვლა:** ყველგან, ჩვენშიც და ევროპაშიაც, კრედიტის გახსნა დამყარებულია ნივთიერ სანინდარზე. თუ-კი სანინდარი მომეპოვება, თუ-კი მამულ-დედული მაქვს, რასაკვირველია კრედიტის გახსნა ამ შემთხვევაში ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ თუ არც ერთი და არც მეორე არა მაქვს, ახლანდელ კრედიტის ორგანიზაციის პირობებით ამ უკანასკნელებს კრედიტი მოსპობილი აქვს, საქმე ისაა კრედიტი მას უნდა გაუხსნა, ვისაც სანინდარი და მამული არა აქვს, ასეთს კაცებს უნდა მისცე შეღავათი კრედიტის საშუალებით, თორემ თუ შეძლება მაქვს, კრედიტის გახსნა არაფერი დიდი ვაჟკაცობაა. ჩვენის აზრით კრედიტის გაცემის საქმეს საჩუღად უნდა დაედოს შრომის მოყვარეობა, ვინც შრომის მოყვარეა, ვისაც შრომის უნარი აქვს, მათზე გაცემული სესხი თავის დღეში არ დაიკარგება. შრომა, შრომის მოყვარეობა უფრო სანდო გარანტიაა კრედიტისა, სანამ რომელიმე ნივთიერი სანინდარი. წვრილი კრედიტის საქმე საზღვარგარეთაც, გერმანიაში, ისეთ პირობებში იყო, როგორშიაც ამჟამად ჩვენშია. კრედიტის განვითარების საქმეს არც იქ უწყობდა ხელს ხალხის თვითმოქმედება, მაგრამ საკრედიტო დაწესებულებანი ამის და მიუხედავად მაინც აღორძინდნენ გერმანიაში. შულცე დელიჩის მიერ დაარსებულ საკრედიტო დაწესებულებათ უმთავრეს საფუძვლად შრომის მოყვარეობა დაედო. შულცე დელიჩის საკრედიტო დაწესებულებანი დამყარებულია პაებისაგან შემოსულ თანხაზე, და არა მთავრობის დახმარებაზე. შრომის მოყვარეობა, თვითმართველობა და თვით-დახმარება – აი უმთავრესი საფუძველნი, რომელზედაც მჭიდროდ აგებულია შულცე დელიჩის საკრედიტო დაწესებულებანი. შულცე დელიჩის აზრით სახელმწიფო სრულიად არ უნდა ერეოდეს საქმეში. რაფაიზენი ფიქრობს, რომ საკრედიტო თანხის პაების საშუალებით შემოსულ ფულებზე დამყარება ეგოისტური მისწრაფებაა. ამ შემთხვევაში, რაფაიზენის აზრით, საკრედიტო დაწესებულების წევრებად ისევ კაპიტალისტები ხდებიან; ამიტომ სესხს ღებულობს მხოლოდ ის, ვისაც ეს კაპიტალისტები ენდობიან.

რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებებმა ეს მხარე თავიდან აიცილეს და უმთავრეს სესხის გაცემის საფუძვლად შრომის მოყვარეობა მიიჩნიეს; საოპერაციო რაიონი შეამცირეს, რის გამო თვითუღი გამგეობის წევრი კარგათ იცნობს ფულის მსესხებელს. რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებანი გრძელვადიან სესხს იძლევა, მსესხებლების მდგომარეობას ყოველს დროს, თუნდაც სესხის გატანის შემდეგაც, თვალყურს ადევნებს თუ ვინიცობაა მსესხებელმა ნასესხ ფულს რიგიანი დანიშნულება არ მისცა, გატანილ ფულს უკანვე აბრუნებინებენ. ამ ტიპის დაწესებულებანი სახელმწიფო დახმარებას უარს არა ყოფენ, ურთიერთ შორის თავდებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებათათვის. შულცე დელიჩის და რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებათა შუათანა ადგილი უჭირავს ექიმი გააზის საკრედიტო დაწესებულებათ, რომელთაც ძრიელ დიდი ცხოველ-ყოფილობა გამოიჩინეს ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის ვითარება რომ განვიხილოდ ახლა ამ მხრით, დავინახავთ, რომ კავკასია საურთიერთო საკრედიტო დაწესებულებას და ლომბარდებს ვერ განშორებია, წვრილმანი კოოპერატიული ამხანაგობანი ვერა ხეირობენ. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა ისაა, რომ ნასესხების ფულების გადახდის ვადა ძრიელ მოკლეა. გლეხ-კაცს ისეთი საქმისათვის აქვს ჩაჭედილი ხელი, რომ ეს საქმე ბანკების ვადიანობას ვერ ეწყობა. სულ სხვაა ვაჭრის საქმე, ამ უკანასკნელს ექვსი თვის განმავლობაშიაც შეუძლიან დაიბრუნოს დახარჯული ფული და ბანკებთან პირ-ნათლად გამოვიდეს. გლეხი-კი სულ სხვა პირობებშია, მეურნეობის ვითარება ისეთია, რომ ამა თუ იმ ვადაზედ ფულის დაბრუნება შეუძლებელია. მცოდნე კაცთაგან გამოანგარიშებულია, რომ პირუტყვის მოვლა-მოშენებაზედ დახარჯული ფული თავის სარგებლით მხოლოდ 18 წლის შემდეგ შესაძლოა დაიბრუნოს მწარმოებელმა. ექვსი თვის განმავლობაში რა უნდა მოახერხოს სოფლის მეურნემ, როგორ უნდა დაიბრუნოს საქმეში გაბანდული ფული! სესხის გაცემის ვადა 10 წლით მაინც უნდა განისაზღვრებოდეს. ამასთანავე საჭიროა, რომ სესხი თანდა-თანობით უნდა იქმნას გადახდილი. ამას დიდი მნიშვნელობა ექმნება გლეხისათვის. ჩვენ მიერ ყველა ზემო აღწერილ საკრედიტო დაწესებულებას საფუძვლად უდევს თვით-მართველობა, თვით-მოქმედება და თვით-დახმარება. თ. ვლ. მიქელაძემ-კი უმთავრეს ფაქტორებს სრულიად ყურადღება არ მიაქცია. ამისდამაგვირად თ-დი მიქელაძე ბიუროკრატიულ წეს-წყობილებაზედ გვითითებს ხელს, ჩემის აზრით თავ. მიქელაძის

პროექტი უარ-ყოფილი უნდა იქმნეს. კრედიტი ცოცხალი საქმეა; თუ გინდათ ეს ცოცხალი საქმე ცოცხლადვე დარჩეს უთუოდ საჭიროა, რომ ცოცხალი, მოძრავი საფუძველი უნდა დაუდვას სარჩულად. ამ გვარ ცოცხალ საფუძველად უნდა ჩაითვალოს თვით-მმართველობა, თვით-დახმარება და თვით-მოქმედება. მთავრობის დახმარება საჭიროა მხოლოდ ფულით. სოფელი ღონიერი. ამიტომ მთავრობა ყოველთვის ენდობა სოფლელების ურთიერთ თავდებობას და ფულსაც მისცემს.

**Докладъ объ увеличеніи состава оцѣночной Коммисіи еще двумя членами**

**собранію уполномочен представленный въ 1903 г. на усмотр Правленіемъ банка на усмотрѣніе Собранія уполномоченныхъ 1903 г.**

27<sup>го</sup> Ноября 1902 г. Наблюдательный Комитетъ разсмотрѣлъ письменное предложеніе члена своего г. Д. Журули отъ 26<sup>го</sup> Ноября тогоже 1902 г. въ которомъ состоящее въ томъ между прочимъ, что съ цѣлью усиленія операций нашего банка по Кутаисской Губерніи, Батумской области и Сухумскаго отдѣла является крайняя необходимость принять мѣры къ облегченію сношеній съ нашимъ банкомъ заемщикамъ и вообще нуждающимся въ кредитъ этихъ отдаленныхъ ра сравнительно районовъ. Сношеній съ нашимъ банкомъ. Для у

Для удовлетворенія этой необходимости онъ г. Журули предлагаетъ учредить агентуру на подобіе Бакинской въ Батумѣ, какъ въ центръ указанныхъ выше областей въ коихъ находятся столь сильно прогрессирующіе города какъ Батумъ, Поты, Сухумъ. и

Правленіе банка, вполнѣ соглашаясь съ мнѣніемъ г<sup>на</sup> Журули относительно дѣйствительной крайней необходимости установленія болѣе легкаго и близкаго сношенія нашего банка съ заемщиками и вообще нуждающимся въ кредитъ. Полагаетъ признать таковую же необходимость и относительно Эриванской Губерніи которая, съ проведеніемъ желѣзной дороги стала на путь сильнаго экономическаго развитія и представляетъ собо[й] полѣе для поле для широкаго распространенія ипотечнаго кредита нашего банка съ нашимъ банкамъ. Хотя но Хотя предлагаемая г. Журули мѣра и отвѣчаетъ указанной необходимости, но только отчасти, ибо въ дѣлѣ болѣе успѣшнаго развитія операций банка болѣе существенное развитіе значеніе имѣетъ быстрое удовлетвореніе потребности въ кредитъ. Практика банка доказала, что агенты тщатны-всякія агенты

его и даже агентства на по Бакинская и въ оказались несостоятельными въ относительно быстроты удовлетворенія потребностей въ кредитѣ, ибо ~~быстрота~~ быстрота завершения дѣла о выдачѣ ссуды до главнымъ образомъ зависитъ отъ быстроты производства оцѣночныхъ дѣйствій. При всемъ желаніи правленія такихъ дѣйствій ни агентъ и ни агентства подобная бакинской а Хотя Правленіе и полагало прежде соединить обязанности агента съ обязанностями возложить на агента и обязанности оцѣнщика, что значительно сократило бы время, необходимое для мѣстнаго осмотра и повѣрки данныхъ для оцѣнки, но практика показала, что этого достигнуть нельзя при настоящемъ положеніи дѣлъ ибо трудно было правленію принять на себя отвѣтственность въ выборѣ благонадежныхъ для этого лицъ при посредствѣ лицъ, не имѣющихъ той или другой внутренней связи съ интъ съ нашимъ банкомъ, кромѣ какъ связи агента при посредствѣ лицъ не получаю должествующихъ считать при посредствѣ лицъ, нынѣ дѣйствующихъ агентовъ т. е. лицъ не исключительно занятыхъ дѣлами банка какими являются наши агенты а занимающихся ими между прочимъ какъ побочнымъ дѣломъ. ж

\* \* \*

А потому учрежденіе агентуръ на подобіе Бакинской въ Батумѣ и Эривани для достиженія вышеозначенныхъ цѣлей и задачъ правленіе считаетъ и дорогимъ и не вполне цѣлесообразнымъ. Въ видахъ экономіи въ расходахъ и большей цѣлесообразности Правленія предлагаетъ усилить составъ Ком оцѣночной Коммиссіи еще двумя членами, одно изъ коихъ местомъ постоянного служенія назначить Эривань, а другому Батумъ, возложивъ на нихъ обязанности агента банка по особой [...] по этому предмету инструкціи, а равно и производство оцѣночныхъ дѣйствій въ районахъ ихъ слѣ каждому изъ нихъ предназначени назначенныхъ Правленіемъ а всѣхъ нынѣ дѣйствующихъ агентовъ устранить.

Хотя предлагаемое увеличеніе состава оцѣночной Коммиссіи увеличиваетъ смѣтный расходъ на 3480 руб., но принимая въ соображеніе: 1) что на расходы двухъ агентуръ на подобіе Бакинской потребуются ежегодно болѣе 10,000 руб. 2) что эти два члена оцѣночной Коммиссіи, постоянно пребывая въ назначенномъ каждому изъ нихъ районѣ, вполне могутъ замѣнить нынѣ дѣйствующихъ мѣстныхъ агентовъ, которыя въ теченіе двухъ мѣнѣ чѣмъ двухъ лѣтъ стоили банку свыше 6000 руб. и что и, слѣд., предлагаемый порядокъ повлечетъ за собою сокращеніе въ расходахъ и по этой статьѣ, 3<sup>вс</sup>) что вслѣдствіе опять таки постоянн[омъ]

пребывании члена оценочной Комиссии в центре района послѣдуетъ значительное сокращеніе расходовъ издержекъ на прогоны и суточные по на поѣздки, нынѣ предпринимаемой изъ Тифлиса. И на конецъ Главнымъ же образомъ такой порядокъ вещей дастъ возможность банку быстро каждому изъ этихъ двухъ оценщиковъ немедленно по зая по полученіи заявленія о желаніи получить ссуду приступить и завершить оценочныя дѣйствія въ районѣ имъ назна в предѣлахъ своего района.

[1903 წლის 30 აპრილამდე]

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამგულო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება**

1903 წლის 30 აპრილი

**გამოსვლა 1:** სანამ შეერთებული სხდომა ამ წესს შეიმუშავებდეს, კრებამ დაავალოს ბანკის დამფასებლებს ბანკზე დარჩენილის მამულების თვალ-ყურის გდებაო.

**გამოსვლა 2:** როგორ არ შეუძლია კრებას დაავალოს მოვალეობა იმ კაცს, რომელსაც თვითონ ირჩევს და შრომის სასყიდელსაც აძლევს? ბანკში ყოველი მოსამსახურე მოვალეა ხელი შეუწყოს ბანკის საქმეების წარმატებას; დამფასებელი – კი უფრო მეტი მოვალეა ბანკზე დარჩენილ მამულს თვალ-ყური ადევნოს, რადგან დარჩენილი მამული იმისგანვე შეფასებულია.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამგულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1903 წლის 11 მაისი

**გამოსვლა:** ბატონებო! მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ ბანკის წარმართვაში დიდი შრომა მიუძღვით ყველა იმ მოსამსახურეთ დიდისა, თუ პატარა თანამდებობისას ბანკის პირველ დღიდან დაარსებისა. ამიტომ ეს მადლობა და პატივისცემა ეკუთვნის ყოველს იქ ნამსახურს და ან მოსამსახურესაც.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამგულო ბანკის წევრთა კრება**

1905 წლის 1 აპრილი

**გამოსვლა:** ხალხის სახელით ვინც რასმე ითხოვს, ის უნდა იცნობდეს ხალხს და იცოდეს მისი აზრი. ჩვენც სწორედ მაგას ვთხოულობთ, რომ მოგვეცეს ნება ხალხისა და მისი აზრების გაცნობისა. ყველა

დასი, რა მიმართულებისაც უნდა იყვეს იგი, ერთ და იგივეს უნდა თხოულობდეს: მოგვეცით საშუალება, ხალხის სურვილი გავიგოთ.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება**

1905 წლის 12-13 ივნისი

**გამოსვლა:** არჩეულმა კომისიამ ნამდვილ მიზეზის მაგივრად ბანკში რალაც რეჟიმი გამოსჩხრიკა და ყველაფერს ამ რეჟიმს აბრალებს. მე კი ვამბობ, რომ ცოტა ჩვენა ვართ დამნაშავე, ცოტა დამფასებელი კომისია, ბევრად კი დამნაშავეა სხვა გარემოება.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

1905 წლის 16 ივნისი

**გამოსვლა:** არ მესმის, რაზე გვაცვით ჯვარზე. ჩვენ ისეთი აზრი გვაქვს, რომ დამფასებელი კომისია საკუთრივ უნდა მოქმედებდეს. დამცინიან აგრეთვე, რომ მე, თავის გასამართლებლად, გერმანიისა და სხვა ბანკებზე ვუთითებ და მაგალითები მომყავს... 'მე ჩემს საკუთარს აზრს ვამბობ და მარტო იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი მსჯელობა მაქვს, ბოროტ-მომქმედი ვარ? ბატონებო, დღესვე დავანებებ სამსახურს თავს, თუ ჩვენ მავნე პირებადა გვთვლით!..

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება**

1905 წლის 17-18 ივნისი

**გამოსვლა 1:** როგორც მითქვამს, კანტროლი დღესაც არის, ხოლო ისეთ კანტროლის განევა, როგორსაც რწმუნებულნი თხოულობენ, არც შეიძლება და არც ნება გვაქვს. ამ საქმეს დიდი სიფრთხილე უნდა და ნუ ავჩქარდებით. ჩემის აზრით, ბევრად უმჯობესი იქნება, კრედიტის საქმის კარგად მცოდნეთაგან შევადგინოთ კომისია და მას მივანდოთ საკითხი.

**გამოსვლა 2:** კომისიას ათას მანეთამდე ხარჯად მიეცა, საშუალება ჰქონდა უფრო, რიგიანი მოხსენება წარმოედგინა. იმან კი კონტროლის საჭიროების მეტი ვერა აღმოაჩინა-რა. 700 მანეთი ამ კომისიის წევრებმა ერთმანეთს გაუნაწილეს, ხოლო 50 მანეთი გზის ქირად მოიხმარეს, განა შეიძლებოდა, ამნაირად კომისიას საფუძვლიანი რამ გაეკეთებინა.

**ՀԱՆՔԻՆ ԳԱՅՑՈՒՄՈՒ ՇՅՆՈՒԹՅԱՆ ՏՄԵՆԱՆՏՈՒՆ  
ԸՆԿՅՈՒՆՈՒՄԻ ՆԱՐՄՈՆԱՏԻՄԵՒԼԻ ՆԻՇՅՅԱՅ**

Исходною точкою всѣх моихъ посильныхъ сужденій по отношенію кредитныхъ учреждений вообще и нашего банка въ частности всегда было и будетъ то, по моему крайнему разумѣнію, по[ло]женіе, что, каждый органъ ихъ управления, будетъ-ли онъ въ видѣ оцѣночной К-сіи, правленія и наблюдательнаго комитета въ ипотечномъ кредитномъ учрежденіи[и], или правленія, совѣта учетнаго и пріемнаго к-та въ учрежденіяхъ комерческаго кредита – долженъ быть свободенъ и независимъ отъ друго[г]о въ предѣлахъ отправленія своихъ функцій на всемъ пространствѣ своихъ уставныхъ т. е. правъ и обязанностей. На этомъ основаніи между органами управления не должно быть никакого бюрократически-ієрархическаго *взаимо-отношенія* и бюрократически-инстанціоннаго *взаимо-отношенія*. Каждаго отдѣльнаго органа

Это и понятно, ибо дѣло кредита дѣло живое, не любящее и не терпящее бѣготни замедленія, а въ особенности бѣготни изъ инстанціи въ инстанцію отъ стола къ столу съ нумеромъ бум препроводительныхъ бумага въ рукахъ.

Почти

Господа, мы съ такимъ восторгомъ привѣтствуемъ восторгомъ и вмѣ благовѣйнымъ восторгомъ рукоплещемъ каждому малѣйшему успѣху великаго освободительнаго движенія, нынѣ нами переживаемаго.

~~Это плодотворное начало свободы и независимости органовъ въ сонмѣ органы управления того или другого учреждения нигдѣ не было примѣнено въ Россіи съ такою полнотою, съ такою какъ къ дѣлу установленія и порожденія частнаго кредита кредитныхъ учреждений по частъ народившихся по частной инициативѣ и предприимчивости, послѣ~~

Послѣ того какъ созиданіе и управленіе кредитными установленіями при подѣ давленіемъ общественнаго мнѣнія перестало быть привилегією однаго лишь правительства и пр то и другое предо-сдѣлалось предметомъ стало достояніемъ частной инициативы и предприимчивости, это начало свободы и независимости органовъ въ сонмѣ управления того или другого устан учреждения нигдѣ не было примѣняемо съ такою полнотою какъ къ дѣлу созиданія *учре-установленія* и веденія кредитнаго установленія. Это и понятно, ибо *возл-б* мысль о предоставленіи дѣла, кредитнаго обращенія частной инициативѣ и предприимчивости *возникла въ пер-въ* возникла въ первые года царствованія Александра II. т. е. въ эпоху



увлечения либеральными идеями и реформамы, а потому начало, с это начало и съ тѣхъ поръ ютится въ скромныхъ уголкахъ кредитныхъ установлений, безъ тревогъ и упрековъ, пережитыхъ

Не странно-ли, Господа, выбывать изъ этихъ скромныхъ уголковъ эту свободу и независимость въ моментъ великаго освободительнаго движенія, нами переживаемаго. которому въ моментъ, когда каждый гимназистъ подчиненный органъ управления требуетъ себя свободы и независимости въ области своихъ специальныхъ занятій свободы, конечно, не произвола, и нарушенія

Въ этой свободѣ и независимости я вижу всю благотворное благотворность и плодотворность действий каждаго отдѣльнаго органа банковскаго управления банка ибо только который одна только преданность интересамъ котораго должна служить связующимъ звеномъ этихъ органовъ

Скажавъ это

Но это я оставляю въ сторонѣ и позволю себя обратить ваше вниманіе на такую сторону дѣла спорнаго, съ которой никто изъ ораторовъ не подходилъ. Прочитанные намъ вчера проекты, задавшись цѣлью реорг[ан]изовать наб. ко-тѣ предлагаютъ ввести въ правленіе банка одного изъ членовъ Комитета съ правомъ по-сеунымъ дѣламъ, налагать veto veto въ томъ или другомъ видѣ veto на рѣшеніе правленія и этимъ путемъ полагаютъ предупредить оградить банкъ отъ убытковъ.

Что это значить, если вникнуть въ сущность этого пред[ло]женія, то это значить, что [до]вѣріемъ нашимъ облеченные члѣ четыре члена правленія не заслуживаютъ довѣрія. Это что-то не вяжется съ логикою вещей: разъ они избранники наши, то этимъ самимъ они облечены нашимъ довѣріемъ

[1905 წლის 17 ივნისამდე]

### პასილი ველიჩკოსადმი წარმოთქმული სიტყვა

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო?... „თქვაო ჩვენმა პოეტმა გ. ორბელიანმა, რომელმაც შეუდარებლათ ანერა მშვენიერება ჩვენი ქვეყნისაო. წარჩინებულ რუსეთის პოეტებმა პუშკინმა და ლერმონტოვმა უცხოთ შეამკეს საქართველოს ბუნება, მაგრამ რა არის ბუნების მშვენიერება უკაცოთ?.. არც პუშკინი, არც ლერმონტოვი და არც სხვები მათი მიმყოლნი არ შეხებიან საქართველოს ერის გულს, არ ჩაუხედნიათ მის გულის სიღრმეში, თუ

რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინვენ შიგ. ეს მოვალეობა წილად გხვდათ თქვენ. შეისწავლეთ ქართველი ერის ბუნება, გააცნეთ იგი თქვენს ხალხს და, აი, ნამდვილი პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა მაშინ დაარსდება ამ ორ ერთა შორის. ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენ სულ წინ და წინ გეგლოსთ ამ გზაზე“...

[1895 წლის 4 თებერვალი]

### **<საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მოსხენების ფრაგმენტი>**

Въ дополненіе только-что прочитанному имѣю честь доложить, что мы явились предстать предъ В. С. Не въ качествѣ уполномоченныхъ отъ кого-бы то ни было, а въ качествѣ мірянъ, глубоко сознавшихъ свой долгъ гражданина, обязаннаго въ эти трудныя, нынѣ переживаемыя минуты быть искренними выразителями своихъ личныхъ чувствъ и думъ, могущихъ по нашему мнѣнію, помочь разобраться въ трудномъ и сложномъ дѣлѣ умиротворенія Грузіи.

12) Гизо, Тьери, Минье давно объявили, что исторія является борьбою различныхъ классовъ или слоевъ общества. (Бельтовъ, стр. 17 до 26).

13) «Необходимость установить общественный контроль надъ иѣвестной силой природы для ея эксплуатаціи въ большихъ размѣрахъ, для подчиненія человѣку посредствомъ организованныхъ человѣческихъ усилій, играть самую рѣшительную роль въ исторіи промышленности». (Бельтовъ стр. 136) (Марксъ, Капиталь, 524-526 стр. Нѣмецкаго изданія). (Бельтовъ, 131).

Обезземелѣніе крестьянъ (სოფლის  
გაქალაქება) ведетъ приливу рабочихъ рукъ на фабрику, а это поведетъ къ пониженію заработной платы. Объединеніе населенія ведетъ къ оскуднѣнію покупательныхъ силъ, а это порождаетъ уменьшеніе спроса на фабричные продукты, а отсюда происходитъ изгнаніе рабочихъ изъ фабрикъ.

14) Такъ какъ экономическое движеніе каждо общества имѣеть самобытный видъ, вслѣдствіе самобытности условій, среди которыхъ оно совершается, то не можетъ быть никакой формулы прогресса, охватывающей прошедшее и предсказывающей будущее экономическое движеніе всѣхъ обществъ. (255).

15) «Если Россія будетъ продолжать идти путемъ, избраннымъ ею послѣ 1861 г., она потеряетъ одинъ изъ самыхъ удобныхъ случаевъ, который когда-либо историческій ходъ давалъ народу для минованія всѣхъ перипетій капиталистическаго развитія». (Письмо Маркса къ редактору Отеч. записокъ, см. Бельтовъ 255).

16) Чѣмъ больше совершенствуется крупная промышленность, тѣмъ болѣе растетъ безработица, тѣмъ менѣе становится число занятыхъ въ промышленныхъ предпріятіяхъ рабочихъ. Что это действительно такъ, доказывается тѣмъ обстоятельствомъ, что указанныя бѣдствія имѣють мѣсто только въ промышленныхъ странахъ, земледельческія же государства ихъ не знаютъ. (270)

17) Берлинскій писатель Л. Буль в своемъ сочиненіи *Andeutungen* и т. д. ставитъ себѣ вопросъ: въ состояніи ли какой-нибудь союзъ искоренить бѣдность рабочаго класса?

[**ბრა უაღრეს 1895 წლისა**]

### **Вліяніе капитала**

1) Въ то время когда капиталъ въ отдѣльныхъ заводахъ вводитъ однообразіе, порядокъ и экономію тѣмъ сильнымъ толчкомъ, какой получаетъ техника вслѣдствіе улучшения продукта и регулированія ~~продукт~~ производства, тѣмъ самымъ уничтожаетъ сферы производства въ маломъ размѣрѣ и домашній трудъ, тѣмъ самымъ уничтожаетъ послѣднія убѣжища для лицъ дѣлающихся потомъ батраками. 438 – М – сѣ

2) Напримѣръ въ Кембриджскомъ 440.

3) Такимъ образомъ капитал-кое про-ство развиваетъ только технику и комбинацію общаго процесса производства, подкапывая въ то же время источникъ происхожденія всѣхъ богатствъ: землю и работника 441, 442.

4) Когда вслѣдствіе благоприятныхъ условій прибыль отъ какой либо отрасли промышленности становится выше средней, капиталъ устремляется въ эту промышленность, пока она не насытится капиталомъ; 550.

5) Какъ только капиталъ овладѣваетъ земледѣліемъ запросъ на сельское населеніе абсолютно понижается. (553)

6) Накопленіе богатства на одномъ полюсѣ, производить въ то же время на другомъ полюсѣ т. е. на сторонѣ производящаго класса накопленіе нищеты, тягостей труда, рабства невѣжества огрубенія и нравственнаго униженія (556 см тамъ же) избытокъ благъ у однихъ всегда равняется отсутствію ихъ въ другихъ. (557)

7) О земледѣліи 580, 582, 594

8) Капиталистическое производство есть процессъ отдѣленія производителя отъ средствъ производства.

Гладстонъ 561. 562.

Общія	Деньги
<p>1) Люди относятся къ другъ другу въ качествѣ владѣльцевъ товаровъ. Кромѣ этого отношенія мы до сихъ поръ не знаемъ ни одного экономического отношенія, въ которомъ присваивался бы продуктъ чужаго труда посредствомъ отчужденія собственнаго. 55 М – съ.</p> <p>2) Товаръ можетъ перепродаваться нѣсколько разъ, но съ послѣднею продажою онъ всетаки переходитъ изъ сферы обращенія въ сферу потребления (61).</p> <p>3) Цѣна тов-ровъ, ежегодно покупаемыхъ и продаваемыхъ въ какой-нибудь странѣ, требуетъ опредѣленнаго количества денегъ для своего обращенія и распредѣленія между настоящими потребителями, и не можетъ дать употребленіе большему кол-ству.</p>	<p>1) Результатъ обращенія товаровъ – замѣна одного товара другимъ – обуславливается не переменною ихъ формы, а функціей денегъ, какъ средства обращенія. Поэтому хотя движеніе денегъ и представляетъ только выраженіе товарнаго обращенія, само товарное обращеніе является</p>

<p>а) (о платежах натурою 83)  б) о капиталѣ д-т-д. (89)  4) Истинное богатство состоитъ изъ потребительных стоимостей, Стоимость {способность (101) удовлетворить} вещи по отношенію къ нашимъ потребностямъ есть ея потребительная стоимость, такъ какъ конечная цѣль всякаго продукта есть непосредственное потребление. Въ меночной торговлѣ господствуетъ потребительная стоимость. Поскольку дѣло идетъ о потребительной стоимости, оба лица, участвующія въ обмѣнѣ могутъ выиграть. (см. 99. (см. 94). Поэтому потребительная стоимость никогда не можетъ быть разсматриваема какъ непосредственная цѣль капиталиста.  5) Покупка для продажи съ барышомъ для продажи по болѣе дорогой цѣнѣ, свойственно, по-видимому, одному только роду капитала купеческому, но и промышленный таковъ и ростовщическій.  6) Никакой продавецъ не можетъ постоянно продавать свои товары выше ихъ стоимости, не подчиняясь въ то же время необходимости самому платить дороже за товары другихъ продавцевъ, точно такъ же никакой потребитель и т. д. Примѣръ Римъ и малоазіатцы (см. 105).  6) Капиталъ торговый и ростовщическій (106).  7) Обращеніе есть сумма всѣхъ взаимныхъ отношеній владѣльцевъ товаровъ.  8) Невозможность создавать самовозрастающую стоимость (примѣръ 108).  9) Причина происхожденія рабочей силы какъ товара (110, 112). Роль капитала.</p> <p style="text-align: center;">Мануфактура</p> <p>290. 310. (Цеховое производство въ отличіе отъ Ману-го) 314. Послѣдствія М-ной про-нности 316. 317. 320. 438 (примѣры Англій 440, 441).</p>	<p>только результатомъ движенія денегъ. (61).  2) Сумма цѣнъ товаровъ, раздѣленная на число оборотовъ одной монеты, – количеству денегъ, служащихъ средствами обращенія. Поэтому если число оборотовъ денегъ увеличивается, то уменьшается количество ихъ, находящееся въ обращеніи и наоборотъ. (65, 64). При замедленныхъ денежныхъ оборотахъ, деньги рѣже показываются, ибо исчезаютъ на всѣхъ пунктахъ сферы обращенія и публика склонна объяснить это явленіе недостаткомъ денегъ (см. 66).  3) Цѣна товаровъ ежегодно покупаемыхъ и продаваемыхъ.</p> <p>Только избытокъ продуктовъ обращается въ товары. 312.</p>
---	--

[არა უაღრეს 1897]

## Маркс – Энгельс, Русское богатство №9 (12) 1899 г.

1) По мнѣнію Бернштейна, экономическій матеріализмъ извѣстенъ въ двухъ различныхъ формахъ. Первая это та форма, которую первоначально придали экономическому матеріализму его родоначальники Марксъ и Энгельсъ. Вторая, эта послѣдняя, окончательная, форма, зрѣлая форма, которая постепенно вырабатывалась путемъ различныхъ дополненій, важнѣйшія изъ которыхъ, содержатся въ письмахъ Энгельса Конраду Шмидту, опубликованныхъ «Der S. Akademiker» 1895, Сентябрь. (Есть русскій переводъ этихъ писемъ въ журналъ «Миръ Божій» 1897 г. №1) (стр. 157).

2) Въ предисловіи къ своей «Zur Kritik der politischen Oeconomie» Марксъ, по мнѣнію Бернштейна, характеризуетъ производственныя отношенія, какъ «независимыя отъ воли» людей, приводя въ доказательство фразу Маркса: «не сознаніе людей опредѣляетъ формы ихъ бытія, а наоборотъ ихъ формы общественнаго бытія опредѣляютъ формы ихъ сознанія» (стр. 157).

3) По мнѣнію указанію Бернштейна Марксъ говоритъ: «вообще отъ способа производства находится въ полной зависимости ходъ общественной, политической и духовной жизни.» (Предисловіе „къ критикѣ Политической экономіи»), стр. 158. Рус. Бог.)

4) По его же указанію Марксъ въ предисловіи къ первому тому Капитала говоритъ: «объ естественныхъ законахъ капиталистическаго развитія», какъ о тенденціяхъ, дѣйствующихъ и осуществляющихся съ желѣзною необходимостью. Бернштейнъ полагаетъ, что эту формулировку, не трудно ввести въ заблужденіе: «здѣсь такъ рѣзко, говоритъ онъ, противопологаются другъ другу сознаніе и бытіе, что легко вывести заключеніе, будто люди разсматриваются лишь какъ одушевленные агенты историческихъ силъ, дѣло которыхъ они творятъ помимо собственной воли и сознанія».

въ—по Впослѣдствіи Марксъ видѣлъ эту ошибку ходячаго матеріализма и въ статьѣ о Фейербахѣ, недописанной, только набросалъ тѣ основные тезисы, которые онъ собирался развить въ этой статьѣ и одинъ изъ этихъ тезисовъ гласитъ: «Матеріалистическое ученіе о томъ, что люди представляютъ продуктъ обстоятельствъ... забыва[ю]тъ, что обстоятельства измѣняются именно людьми» («Р. Бог, 158).

5) Интересная аналогія между Марксомъ и Дарвиномъ (см. Рус. Богатство 1899 г. №9 (12), стр. 158 и 159).

6) Марксъ въ тезисахъ статьи о Фейербахѣ видитъ главный недостатокъ ~~еще~~ созерцательнаго (теоретическаго) матеріализма въ томъ, что онъ (матеріализмъ теоретическій) разсматриваетъ міръ «Лишь

въ формѣ объекта, или въ формѣ созерцанія, а не въ формѣ конкретной человѣческой дѣятельности, не въ формѣ практики, не субъективно».

7) «Фабричное законодательство, говоритъ Марксъ (Капиталь, т. I, стр. 420) – это первое сознательное и цѣлесообразное воздѣйствіе общества на самопроизвольныя возникшія формы процесса производства». (см. Бернштейнъ, пунктъ 3<sup>и</sup>).

(это и есть неэкономическій факторъ (мое замѣчаніе)).

8) Первымъ «неэкономическимъ факторомъ» является политическая сила, которая по Марксу (Капиталь I, 645) есть ничто иное, какъ «непосредственная сила, принадлежащая внѣ экономической сферѣ» (стр. 165).

Въ другомъ мѣстѣ (Капиталь, III, 653) Марксъ вновь указываетъ, что политическая власть является не только «надстройкою» надъ экономикою, но и «экономическимъ дѣятелемъ», говоря: «особенная хозяйственная форма, въ которой неоплаченный прибавочный трудъ извлекается изъ непосредственныхъ производителей, выпн опредѣляетъ отношеніе господства и подчиненія, какъ оно возникаетъ непосредственно изъ самага производства и съ своей стороны оказываетъ опредѣляющее вліяніе на послѣднее». (стр. 165).

9) Энгельсъ по мнѣнію Бернштейна, говоритъ то же самое. «Въ письмѣ къ Конраду Шмидту, говоритъ Бернштейнъ: Фридрихъ Энгельсъ прекрасно выяснилъ, – какимъ образомъ общественныя учрежденія, сами являясь продуктами экономическаго развитія, въ свою очередь дѣлаются самостоятельными социальными силами, съ своею собственною эволюціею, оказываютъ обратное вліяніе на экономическое развитіе и могутъ то ускорять его, то тормозить, направлять по другому пути». (стр. 165)

10) Марксъ: «фабричное законодательство — это первое сознательное и цѣлесообразное воздѣйствіе общества на самопроизвольно возникшія формы процесса производства (Капиталь I, стр. 420)

10) Марксъ: «Капиталистическое производство не можетъ существовать безъ внѣшней торговли». Капиталь, т. II, стр. 359 (см. «Рус. Бог.» № 5(8) 1899 г. статью: «Условія развитія внутренняго рынка», стр. 53.)

11) Марксъ: «Мораль, которую мы можемъ извлечь изъ изслѣдованія земледѣлія, заключается въ томъ, что капиталистическая система противодѣйствуетъ рациональному земледѣлію, или что рациональное земледѣліе не совмѣстимо съ капиталистическою системою и требуетъ рукъ или самостоятельныхъ мелкихъ крестьянъ, или контроля, объединившихся производителей». Капиталь III, стр. 83 (см. Рус. Бог. за 1899 г. ст. № 5(8), стр. 69).

[არა უბეწი 1899]



# ნაწილი X

## სხვათაგან ჩავირად გადმოსცემული ტექსტების ჩანაწერები

### ლოცვანი ხევისურთა დაწერილნი 1865 წელსა ხევისურის სიტყვითა

I

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება და გამარჯვება შენდა! რაც ღვთის დანაბადებს, – გეხვენები შენ, შენის ბატონობისაგან, შენ მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს – შენს მეხვენურსა, ჩოქის მომყრელსა, მადლის მამთხოველსა, შენ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. რაც რომ გულზედ და მხარზედ გიძახებდეს, იმაზე გაუგონე. შენ შენის ბატონობის, შენ შენი მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს მეხვენურსა, ჩოქის მომყრელსა, მადლის მამთხოველსა.

II

ველთ გასულს გიძახებდეს, შეიხვენე, მგზავრობა მშვიდობისა მიე, ავდარს გაუდარე, ლალს მტერთან ჩაუფარე, მიწრიელ დაულაგმე, შინ მშვიდობით მაიყვანე. თუ რამ გამოვიდოდეს, ღვთის კარზედ გამოშვებული ღვთის იასაული ხორციელთ ბეგრებდეს, ყალანს ზიდევდეს, მაგის ყუდროს ნუ მაჰკერძებ, სხვა ყუდრო ალაგს მიასწავლე. შენ შენის ბატონობის მოხრილი ჩოქი, მოთხოვნილი მადლი. რაცა მხარზედ და გულზედ გიძახებდეს კაცისა, საქონლისა მეხვენური, ნაშვრალ ნამუშავარისა მეშველი მწყალობელიც იყავი.

III

სამკდრო ლოცვა.

ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა; ღმერთო, დიდებისა და მადლის მეტი შენ არა მოგეხსენებარა. შენგანაა გაჩენილი ყოველი სამართალი, ხვენება კაცისა, ბარება სულისა. ღმერთო, იურვე, იხოიშნე; ღმერთო, რაც დაჰკლებია, ნულარას დააკლებ; ღმერთო, დაცემული აღადგინე, ატირდომილი გააცინე. საცა ქრისტე პურობს, საცა ანგელოზი ჟამობს, ცოდვიანი ნანობსო, მადლიანი გაისვენებს. შამოვიდა ანგელოზი ფეხითა ქრისტესითა. ქრისტეო, დასწერე ჯვარი სულს ამას და სუფრას იმას. ცაო ქერებისაო, ღრუბელო ნათელისაო, სხვათა არ მასწავებელო, დედაო დიდის მეუფა-

საო, ალაღად და მთავრად აცხონე სული მისა, ვისიც სახელედების, სანთელ ენთების.

IV

ქორწინების ლოცვა.

ღმერთო, გეხვეწები, – ცარგელის გამჩენო, ოქროს ტახტის დამდგმელო, სანთელ გვირგვინის გამჩენო, გეხვეწები იესო ქრისტესა, ცოლქმობის გამჩენსა, ერთმანეთს შეაბუნდუ, ბედიანი ჰქენ, დოვლათიანი.

**მოსავეური სიმღერანი – დანერილნი სტაფან-წმინდას  
22-ს მარტსა, 1871 წელ.**

I

ვაჟკაცსა გული რკინისა, ქვეშ მუხლნი უნდა მგლისაო,  
თვალნი (ქორულებ) ქორებულ შექმნილნი, ზედ მხარნი  
შავარდნისაო.

II

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა სამნი ბატონის ყმანიო,  
მოგვნივა მძიმე ლაშქარი, სწორებს გვეცადა თავიო,  
მალლიდამ გადმოაცქირა ლამაზი ქალის ჯარიო;  
ბევრს ქალს კი შესძულდებოდა თვალად ლამაზი ქმარიო,  
ბევრს ქალს კი შეჰყვარდებოდა პირად ჯულუერი ქმარიო.

III

არც ვარგა ქალი ქურდ-ბოზი, ვაჟი სოფელში მკვეხარი,  
გაუჭირდება, დადგება, როგორც ულელში მჭლე ხარი.

IV

კარგი ყრმა მაშინ კარგია, ხმალნი რო შეველენ (შეიქმს) ელვასა,  
მოციქულობენ ისარნი, მშვილდნი აძლევენ (აგდებენ) ენასა.

V

ლაშარის ჯვარსა ჰკიდია ლალის ჯურხაის ფარიო,  
მოუვლის ომის სურვილი, ხანდისხან შეჰსძრავს ქარიო.

VI

კარგი ყრმა ლაშქარს მოკვდება სწორების ჯობინობაზედ,  
გონჯაჲ კი ბოსლის კარებზედ ქალების ლოდინობაზედ.

VII

გაგვიძელ, ბერო მინდიაჲ, მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

VIII

ვაჟკაცს დიაცის დამდოსა სამარემც დაეკვეთება,  
დღეს ერთი უყვარს, ხვალე სხვა, ხვალეზედ სხვა ეკეთება.

IX

ძმამ, რა ჰსჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა,  
ძმა მაშინ მოგაგონდება, ორნი რო გცემდნენ მარტოსა.

X

ბლოვს ბერდია და ხინჩლა სონეს შაყრილან სმაზედა,  
მტერობა ჩამოვარდნიათ ადრინდალ მტერობაზედა.  
ბერდიამ უთხრა ხინჩლასა . . . . .  
მოგიკვდა შენი ბერდია, ვერ შაგეყარე გზაზედა,  
ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვათამაშე შა(ე)ნზედა.  
იყურე, ძმამ ბერდია, სონეს ლუდი ვსვათ ჯანზედა,  
ეგ საუბარი მაშინ ხამს, რომ შევიყარნეთ გზაზედა,  
არ გყვანდეს მაშველებელი, თითო დაუკრათ ფარზედა.  
სხვას კი ვერ გალაღებულა ბებრის ხირჩლაის თავზედა.

ანდაზად თქმული:

საჭირ-ბოროტოია შაკაზმულ ცხენ, დაილოც შიშვალ ცხენ, – ფეკ  
გადასწვდიდი და გადასჯდიდი.

**გიორგი ბაბრატიონ-მუხრანელისგან ჩანერილი**

გიორგი მუხრანსკის გაეგონა ეს ლექსი ერთის გლეხისაგან და  
იმან მე მითხრა:

როსტომ ჰსთქვა, სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდაო.  
ჯაჭვის პერანგი გავცვიოთ, ეხლა აღეზაც გაჭირდა.  
ასსა ლიტრასა რკინასა კბილს მოუჭირებ, კნატს უზამო,  
იქით მთასა და აქეთსა ხელს მოუჭირებ, რახტს უზამო,  
ალაზანსა და იორსა დავენაფები, ყლაპს უზამო,  
თავსა გასულსა დიაცსა, მე იმას ვერას უზამო.

[არა უაღრეს 1871 წლის 22 მარტისა]

**გიორგი ერისთავისა ეძსარონტაგი**

(ღენერალ ოტინფანტერისა)

|

მელანია ნასწავლია, მრავალ წიგნთა ნაჩიტანა,  
მე ისა ატენს მეწვია, ამოივლო ნაჩი ტანა,

იქიდან გორს გამოვიდა, ბროლივითა მომიტანა,  
მე იმას ვერა დავაკელ, ისევ უკან ნაიტანა.

II

მელანიამ წამოაბსა წისქვილისა ღარივითა,  
ჩემმა ყლემ ამოურბინა კუდა მეძებარვითა.

III

მელანია შეჯდა ვირსა, მე უკანა შემომისვა,  
თავისი თეთრი კურტუმი წამისო და წამომისვა.

[არა უადრეს 1871 წლის 22 მარტისა]

### **ღუშეთის ტარტირასაგან შვიტიყვია 1871 წ. 18 ოქტომ.**

20) ნეტავი ნატვრა მანატრა, ის ნატვრა ამიხდინაო,  
მუხრან-ბატონი ყმად მომცა, კახის ბატონის ბინაო,  
მამცა ყეინის უღური (ბედი, ილბალი), ხონთქართან გამიდინაო,  
ჭავჭავაძის კარგი ღვინო მილით შინ მამიდინაო.

### **ილია აბხაზისაგან**

I. სვანეთის სამთავროში, ციოყ დადიშკილიანის სახლში არის  
დღემდე თამარის ბეჭედი, რომელსაც აწერია:

I

ღვთისშობელს ვესავ მისი ამარი  
და ძესა მისსა ჰმონებს თამარი.

II

ლამაზის ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძალლი ფთხილი,  
ან უნდა ძალლი ფთხილობდეს, ან იმისი დედამთილი.

III

ვაი თუ მოვკვდე ნეტავი მოვკვდე ხის ძირსა, ფოთოლი დამედი-  
ნოსა,

მოვიდეს ქალი ლამაზი, თვალს ცრემლი მოედინოსა.

IV

ლამაზო, შენსა ხვევნასა  
ღილი შემანყდა პერანგსა;  
მიპოვნე, გამომიგზავნე,  
მაგ შენის ძმების ღხენასა.

V

აღალ მე, შენი ჭირიმე,  
დაღალ მე გამათხოვესო,  
ნითელი კაბა ჩამაცვეს,  
საყდარში წამიყვანესო.

[არა უაღრეს 1871 წლის 18 ოქტომბრისა]

### პარღანახში

I

ქალმა თქვა, სიზმარი ვნახე დამდეგ ენკენისთვესაო:  
ცა ნითლად, ყვითლად ელავდა, სეტყვას ისვრიდა ქვისასა,  
თავზედ მაქცევდა ჩარდახსა, დახურულ ყავარისასა,  
წინა სანთელსა მიქრობდა ჩამოსხმულ კელაპტრისასა,  
ბალში ხეხილსა მიმტვრევდა დარგულსა ალვის ხისასა, –  
ნეტა ვიცოდე, რა არის, სიკვდილს იტყვიან ქრმისასა.

II

ა, ქალო, მძივი, რა მძივი,  
სათმეურისა მინაო!..  
არ მინდა, შენი ჭირიმე,  
მიჯავრდებიან შინაო,  
ქმარი მცემს, მაზლი მამწარებს,  
მული მიღესავეს დანასო,  
თუ დედამთილმა შემიტყო,  
გამომასალმებს ყველასო.

III

კარგსა დროსა ჰსჯობს სიკვდილი,  
ავ დროსა შემოსწრებასა,  
ომის დღისივ ჰსჯობს შესწრება,  
ცრუსთან ლხინის შესწრებასა.

IV

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა  
ცოლსა ფლიდსა (ყბედსა) და მძინარსა,  
ის მოჰკლავს (შეშლის), ის დააბერებს,  
ის შერთავს წყალსა მძინარსა.

V

ამალამდელი ღამეო,  
ნუ გათენდები მალეო,  
ვეხვევი ბროლისა ყელსა,  
ველარ ვიპოვი ხვალეო.

VI

ყიზილბაში შემოვიდა, რა ვქნათ, როგორ გაუვიდოდა გაუვიდეთ,  
მუტელს ხელი დავაფაროთ, ტრაკებს ჯანი ნაუვიდეთ.

[არა უაღრეს 1871 წლის 18 ოქტომბრისა]

### გამოცანები

I

თავს დაჯდება მეითარი, მოუჯდება მას თარხანი,  
დაირაზმის, დაინყობის, გამოუვათ კარგა ხანი.  
აშლილობა შეექმნებათ მათ, გახდება კარგა-ხანი თავთა ხრანი,  
თქვენ ამას ვერ გამოიცნობთ, გამოგივათ კარგა ხანი.

სინაქსე

II

პატარა და პი!..

სამსტ

III

ერთსა პატარა ველზედა სახლობს ოცდაათი კაცი,  
ადგილს იყოფენ თვის თვისად ხუთხუთ, სამსამ, ოროლი,  
შუაზედ დარბის შეთირი, მუდამ შებმისა მომდომი,  
ვინც იმათ შებმას უყურებს, ლხინია უსაზომელი.

სამსტ

IV

ორნი ფრინველნი ჩვენთანა დასაბამითვე სხდებიან,  
ამ წამსა ჩვენთან არიან, იმ წამსა გაფრინდებიან,  
შვილდნი, მონანი გვერდს ახლავს, მუდამ მათკენა ხლდებიან,  
სხვისას აქებენ ჯაფასა, თავისას ვერ მიხვდებიან.

სინაქსე

[არა უაღრეს 1871 წლის 18 ოქტომბრისა]

### ბიორბი ჯორჯაძისაბან

I

ჩავარდი საგონებელსა, ვით რომ კამეჩი მორევსა,  
ვინევ და ვერ ამოვსულვარ, ვაიმე ჩემსა ღონესა.

II

ირემო, მთასა მყვირალო, რად ჩამოვარდი ბარადა?  
მეუღლე ჩემი მომიკლეს, დევეხეტები ცალადა.

III

### თუშური

ა.

თუში ვარ, გოგოლაური, ნუ მყურობ ტალავარზედა,  
დავკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ-გალავანზედა,  
ხუთიც ვერ მოვკლა ხმალ და ხმალ, გამცვალეთ კახის ქალზედა.

IV

ბ.

პატრონ თქვა: ხმალო, გაგყიდი, ვაჭარი ამიჩენია!..  
ხმალმა თქვა: პატრონ, რად მყიდი? რა წუნი შაგიჩნევია?  
მამიკლავს შენი მამკვლეელი, სხვა რა დამიშავებია.

V

ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა,  
პურადობა და ვაჭრობა ქართველთა არ ეძრახვისა,  
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა.

VI

### სოლომონ მსაჯულისა:

რუსეთი ვნახე, მთანი, ვაკენი,  
ქალნი უნიფხო, კაცნი მაკენი,  
თავს ედვათ ჩაჩი,  
ვირს შეჰსცეს ნაჩი,  
მათი საქმენი საარაკენი.

VII

არ უნდა ჭირში გატეხვა, თუ კაცი გონიერია,  
წავა და ყველგან დარჩება სოფელი ღონიერია.

[არა უაღრეს 1871 წლის 18 ოქტომბრისა]

# ბექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-19 ტომში იბეჭდება სხვადასხვა სახის საარქივო მასალა, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ არქივში. საარქივო მასალის გარდა, ტომში შედის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე არსებული ავტოგრაფული მინაწერები, მწერლის სიცოცხლისდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები და ის პირადი და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც გამოორჩენილია მწერლის თხზულებათა ოცტომეულის წინა ტომებიდან. ჩანაწერები, რომლებიც დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში, გამოქვეყნებულია ამ მუზეუმის საარქივო გამოცემაში, რამდენიმე ტექსტი, ავტოგრაფების მონაცემების გაუთვალისწინებლად, ნაბეჭდი წყაროებისა და ასლების საფუძველზე, შეტანილია თხზულებათა ოცტომეულის წინა ტომებში. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე არსებული მინაწერების ნაწილი დაბეჭდილია თამარ მაჭავარიანის (ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი“, 1957), ეთერ იმნაძისა და გიული რამიშვილის (ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, 1987)“ მიერ მომზადებულ წიგნებში, მაგრამ ტექსტების უდიდესი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია. ეს არის ძალზე მრავალფეროვანი, შეუსწავლელი მასალა, რომელიც აუცილებლად დაინტერესებთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის მკვლევრებსაც და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიის სპეციალისტებსაც.

რამდენადაც ტომში ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული მასალაა შესული, ისინი ცალ-ცალკე გამოვყავით. პირველ ნაწილში შევიტანეთ განცხადებები, მიმართვები, განმარტებითი ბარათები,



ხელწერილები, მინდობილობები, ხელშეკრულებები, შესაგებლები, განჩინებები და სხვა სახის იურიდიული დოკუმენტები, მეორეში – მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე, ინსტრუქციები, პროექტები და ნარკვევები, მესამეში – უბის წიგნაკები, მეოთხეში – ჩანაწერები, მეხუთესა და მეექვსეში – გამოცემის წინა ტომებიდან გამორჩენილი მასალა: პირადი და პუბლიცისტური წერილები და მიმოხილვები, მეშვიდეში – ზეპირი გამოსვლები, მერვეში – მინაწერები წიგნებსა და სხვათა ტექსტებზე, მეცხრეში – ამონაწერები სხვათა ნაშრომებიდან, წიგნებიდან, დოკუმენტებიდან და პერიოდული გამოცემებიდან და მეთექვსმეტეში – სხვათაგან ზეპირად გადმოცემული ტექსტების ჩანაწერები.

პირველსა და მეორე ნაწილებში შეტანილი ტექსტები, ძირითადად, რაობის მითითების, აღწერისა და ერთმანეთისაგან გამოცალკევების გარეშე არის დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ეს ერთმანეთში არეული ფურცლები კვლევის საფუძველზე დაყვავით ტექსტებად და გამოყვავით ვარიანტები. ტომის პირველ ორ ნაწილში ასევე შეტანილია ისეთი შავი მონახაზები და ჩანაწერები, რომლებსაც ეტყობა, რომ ამავე ტიპის ტექსტების შესაქმნელად ჰქონდა მწერალს მომზადებული.

ტომის მესამე ნაწილში შეტანილია უბის წიგნაკების ჩანაწერები. უბის წიგნაკი, როგორც სუბსტრატი, ილია ჭავჭავაძეს საკუთარი ლექსების კრებულებისთვისაც აქვს გამოყენებული, მაგრამ წინამდებარე ტომში შეტანილია მხოლოდ ის უბის წიგნაკები, რომლებშიც საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სხვა სახის ჩანაწერებია. მიუხედავად იმისა, რომ უბის წიგნაკების ჩანაწერები არსებითად ისეთივეა, როგორც ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული, ისინი, ჩვეულებრივ, დროის ერთ ინტერვალშია მოქცეული და აქვს საერთო ისტორიული და ბიოგრაფიული კონტექსტი. შესაბამისად, მათში გაერთიანებული ის ტექსტები, რომლებიც თარიღიანია, გვეხმარება სხვათა დათარიღებაში. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ უბის წიგნაკები გამოცემაში შეგვეტანა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად და გამოგვეყო ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული ჩანაწერებისაგან.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია განსხვავებული ტიპის ჩანაწერების შემცველი უბის წიგნაკების 14 ერთეული, რომელთაგან თითოეულში ათობით ჩანაწერია. უბის წიგნაკის, როგორც ერთეულის, თარიღები გამოცემაში დროის ინტერვალის სახით არის

ნარმოდგენილი, ქრონოლოგიის საყრდენად მიჩნეულია ზედა ზღვარი და თუ ორ ჩანანერში ეს წელი ერთმანეთს ემთხვევა, უფრო წინ მოთავსებულია ის უბის ნიგნაკი, რომლის ქვედა დროითი ზღვარი უფრო ადრეულია. ასეთი დალაგების შედეგად მასალამ შემდეგი სახე მიიღო: №1 = C, №63 (1864-1871), №2 = C, №59 (1884-1886), №3 = C, №61 (1875-1888), №4 = C, №64 (1886-1888), NN№5 = C, №698 ა (1877-1889), №6 = C, №№696 (2) (1887-1892), №7 = C, №58 (1879-1894), №8 = C, №62 (1894 შემდეგ), №9 = C, №56 (1884-1896), №10 = C, №60 (1891-1900), №11 = C, №698 ბ (1898-1900); №12 = C, №696 ა, (1887-1902), №13 = C, №65 (1900-1903), №14 = C, №57 (1882-1904).

როგორც ვხედავთ, უბის ნიგნაკებს საარქივო ნომრები ქრონოლოგიის მიხედვით არა აქვს მინიჭებული. ამიტომ ჩვენ მიერ დადგენილი თანმიმდევრობა არ მიჰყვება ამ ნომრების რიგს.

ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ უბის ნიგნაკებში ხშირად ჩადებულია ცალკეული ფურცლები სხვა უბის ნიგნაკებიდან. კვლევის შედეგად შევძელით ზოგიერთი მათგანის დაკავშირება სხვა უბის ნიგნაკებთან, მაგრამ ისინი, რომლებიც ფურცლის ზომით, ფერით, დახაზულობით და ტექსტის შინაარსით არ შეესაბამება ჩვენამდე შეკრული სახით მოღწეული არცერთი უბის ნიგნაკისას, მოათავსეთ ჩანანერების ნაწილში.

ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, გამოცემაში რა სახით შეგვეტანა უბის ნიგნაკის ჩანანერები. როდესაც უბის ნიგნაკს ფიზიკურად ხედავ და კითხულობ, სანერი საშუალების, ასოების ზომისა და ხელნერის სტილის ცვალებადობის მიხედვით მეტწილად უცებვე ამჩნევ, სად მთავრდება ერთი ჩანანერი და იწყება მეორე, მაგრამ ეს მასალა სტრუქტურირების გარეშე, ერთმანეთის მიყოლებით რომ შეგვეტანა გამოცემაში, მკითხველს არ ექნებოდა ამ მიჯნების გარკვევის საშუალება. ამასთანავე, ზოგი ჩანანერი ისეთი მცირე ზომისაა, რომ დასათაურება ალოგიკური იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩანანერები ერთმანეთისგან გაგვეცალკევებინა და დაგვენომრა, ტომის ამ ნაწილის სამეცნიერო აპარატისთვის კი დაგვემატებინა რუბრიკა „თემა“, რომელშიც მოკლედ აღვნიშნავდით, რას ეხება ჩანანერი. იმ შემთხვევაში, როდესაც სანერი საშუალება, ტექსტის ენა და წერის სტილი მომიჯნავე ჩანანერებში განსხვავებული იყო, მათი ერთმანეთისგან გამოცალკეება არ გვიჭირდა, მაგრამ ზოგჯერ ამას საფუძვლიანი კვლევა სჭირდებოდა. მაგალითად, №58 უბის ნიგნაკში გვექონდა შემთხვევა, როდესაც ავტორს დანყებული ჰქონდა იმის

წერა, თუ თავის მამულში სად როგორი და რამდენი ღვინო აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შემოეღია ცარიელი ფურცლები, ამოატრიალა უბის წიგნაკი და მეორე მხრიდან, რომელ გვერდზეც იყო პატარა-პატარა თავისუფალი ადგილები, იქ გააგრძელა ჩამონათვალი. ამ მასალის თანმიმდევრობის დადგენაში დაგვეხმარა ჩამონერილი მუხლების ავტორისეული ნუმერაცია. იყო შემთხვევები, როდესაც ქართულ და რუსულ ენებზე ან განსხვავებული საწერი საშუალებებით შესრულებული ჩანაწერები ავტორმა საერთო ნუმერაციით თავადვე გააერთიანა. იყო შემთხვევები, როდესაც გადაშლილ უბის წიგნაკში ავტორი ჯერ ორივე მომიჯნავე გვერდის ზედა ნაწილებზე წერდა და, როცა ადგილი შემოეღია, ქვედა ნაწილები გამოიყენა, ამან კი ჩანაწერების თანმიმდევრობა დაარღვია. ავტოგრაფზე მუშაობამ ამ ყველაფრის გათვალისწინების საშუალება მოგვცა. შესაბამისად, მკითხველს ვთავაზობთ კვლევის შედეგად გამოყოფილ და ქრონოლოგიურად დალაგებულ ტექსტებს.

უბის წიგნაკების უმეტესობაში ჩანაწერები განლაგებულია ორივე მხრიდან – ნაღმიდანაც და უკუღმიდანაც. ზოგჯერ უბის წიგნაკიც ისეთია, რომ ზედა და ქვედა ნაწილი მსგავსი აქვს. კვლევამ გვაჩვენა, რომ სხვადასხვა მხრიდან ჩანაწერები შეიძლება სხვადასხვა დროით ინტერვალს ეკუთვნოდეს, მაგრამ ერთი კონკრეტული მხარის ჩანაწერები, დროითი თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულია. მაგალითად, №60 უბის წიგნაკში ერთი მხარის ჩანაწერები აშკარად 1891 წლისაა, როდესაც ილია ჭავჭავაძე სამკურნალოდ იმყოფებოდა რუსეთში, მეორე მხარისა კი – ბევრად უფრო გვიანდელია, რადგან მათში 1900 წლის პუბლიკაციები იხსენიება. რამდენადაც აკადემიურ გამოცემაში მასალა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ლაგდება, ასეთი უბის წიგნაკებიდან ჯერ განვათავსეთ ის ტექსტები, რომლებიც ერთი მხრიდან გვხვდება და უფრო ადრეულია და შემდეგ ისინი, რომლებიც მეორე მხრიდან წერია. ამასთანავე, ისიც მივუთითეთ, თუ საიდან იწყება მეორე მხრიდან ჩანაწერილი ტექსტები.

ტომის მეოთხე ნაწილში შეტანილი ჩანაწერები უმეტესად ცალკეულ ფურცლებზეა შესრულებული, ზოგჯერ არქივში ასეთი ფურცლები მექანიკურად არის გაერთიანებული ერთი ნომრის ქვეშ, მაგრამ ფურცლის ზომა, ხარისხი, დახაზულობა და სხვა მახასიათებლები აშკარად მოწმობს, რომ ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ამავდროულად მივაკუთვნეთ ჩანაწერები, რომლებიც მიწერილია სხვა ტექსტის შემცველ სუბსტრატებზე.

ტომის მეხუთე და მეექვსე ნაწილებში წარმოდგენილია მწერლის თხზულებათა გამოცემებში დღემდე გამოუქვეყნებელი პუბლიცისტიური და პირადი წერილები და დეპეშა, რომელიც თხზულებათა ამავე გამოცემაში შეტანილია, მაგრამ არა ავტოგრაფის, არამედ ასლის მიხედვით. რამდენადაც ავტოგრაფის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტის ატრიბუციისათვის და რამდენადაც გამოქვეყნებულ ტექსტთან მიმართებით გარკვეული სხვაობა არსებობს, მივიჩნით, რომ ტექსტის ეს ვერსიაც აუცილებლად უნდა შესულიყო გამოცემაში. დიდ მადლობას მოვასხენებთ საქართველოს ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელს – ბატონ არჩილ გელოვანს და გენერალურ დირექტორს – ბატონ გიორგი კალანდიას, ილია ჭავჭავაძის მიერ ნიკო ნიკოლაძისთვის გაგზავნილი დღემდე უცნობი წერილის მოწოდებისთვის.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში მისი ვრცელი ზეპირი გამოსვლები პუბლიცისტიკასთან ერთად, წლების მიხედვით არის დაბეჭდილი, მაგრამ ზოგიერთი ტექსტი გამორჩენილია, ხოლო ფრაგმენტული გამოსვლების პუბლიკაცია თხზულებათა ოცტომეულის გეგმა-პროსპექტის შედგენისას განზრახულიც არ ყოფილა. რამდენადაც კლასიკოსთა თხზულებების სრულ გამოცემებში იბეჭდება მათი ყველა ტექსტი: მხატვრულიც და დოკუმენტურიც, დასრულებულიც და დაუსრულებელიც, ცალსახად მისიც და „სავარაუდოც“, გადაუნყვიტეთ, რომ წინამდებარე ტომში შეგვეტანა ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა სხდომასა და თავყრილობაზე წარმოთქმული ფრაგმენტული გამოსვლების ციტირებები იმდროინდელი საგაზეთო რეპორტაჟებიდან, ანგარიშებიდან და მიმოხილვებიდან, მით უფრო, რომ ეს მასალა ხშირ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია.

ეს არ არის კლასიკური გაგებით „საჯარო გამოსვლები“ და მათ ავტოგრაფები არ მოეპოვება. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ციტირებების აბსოლუტურ სიზუსტეში დარწმუნებულები ვერ ვიქნებით, ვითვალისწინებთ იმას, რომ მწერლის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები ავთენტურ წყაროებად მიიჩნევა, ეს საგაზეთო პუბლიკაციები კი ასევე სიცოცხლისდროინდელია და მწერლის აზრის არასწორად გადმოცემის შემთხვევაში, იგი აუცილებლად მოახდენდა რეაგირებას. 1876 წლის 7 მარტს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი ამ გაზეთის მიერ მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაციის გამო; 1876 წლის 23 მაისს გაზეთ „დროებაში“ ასეთივე პრეტენ-

ზია გამოთქვა რუსულ გაზეთ „კავკაზის“ წინააღმდეგ; 1907 წლის 30 მარტს გაზეთ „ზაკავკაზიეში“ დაბეჭდილ წერილში გააპროტესტა გაზეთ „რუსში“ დაბეჭდილი ინფორმაცია, თითქოს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს სესიაზე სიტყვით გამოსვლას აპირებდა კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის გრიგოლ გოლიცინის ხსოვნის საპატივცემულოდ. ამ არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა მის წინაშე ბოდიშის მოხდა არა მხოლოდ გაზეთ „რუსისგან“, არამედ სხვა გაზეთებისგანაც, რომლებმაც ეს ინფორმაცია გადაუმონწებლად გადაბეჭდეს. 1905 წლის 9 მარტს, როდესაც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი უკვე გრიგოლ ყიფშიძე იყო, მასში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის საპროტესტო წერილი ამავე გაზეთის წინა დღის ნომერში გამოქვეყნებულ სიტყვასთან დაკავშირებით, რომელიც მან ვითომდა წარმოთქვა თავადაზნაურთა თათბირზე.

საგულისხმოა, რომ თბილისის თავადაზნაურობის 1897 წლის 23 იანვრის სხდომის ანგარიშის არასწორი პუბლიკაციის გამო ილია ჭავჭავაძე არ მოერიდა საკუთარი რედაქტორობით გამომავალ გაზეთსაც. როდესაც „ივერიის“ თანამშრომლებმა მასალა მასთან გადაუმონწებლად არასწორად გამოაქვეყნეს, შემდეგ ნომერში მიმოხილვის ტექსტი სწორებებითა და დამატებებით ხელახლა დააბეჭდვინა და ასეთი შენიშვნა დაურთო: „გუშინდელს „ივერიაში“ დაბეჭდილა თავად-აზნაურთა საგანგებო კრების ანგარიში, მოყვანილია სხვადასხვა ორატორის სიტყვები და ამ სიტყვებში ისეთი შეცდომებია, რომ გეგონება, ესამოვნოთ იმათ, ვისი სახელით არის ნათქვამი. ზოგი სიტყვა მთლად არ არის მოყვანილი და ზოგიც სულაც არ ჩაურთავს რეპორტიორს, თუმცა საყურადღებონი არიან. იტყვიან, თუ ეგრეა, რედაქტორმა რად მისცა ნება, რომ ამისთანა ანგარიში დაებეჭდაო. საყვედური სამართლიანია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს რედაქტორის უნებურად მოხდა: ანგარიში ისე მიეცათ სტამბაში ასანყობად, რომ რედაქტორისთვის არ უჩვენებიათ, არც ეს არის შესაწყნარებელი მიზეზი, არც ეს არის საბუთი გამართლებისა, მაგრამ რას იზამთ? ნათქვამი აქვთ რედაქციაში თანამშრომელთ, რომ არავითარი სხვის შესახები ამბავი არ დაიბეჭდოს რედაქტორის დაუკითხავად. მაინც და მაინც ისე გამოვიდა, რომ ეს ანგარიში დაუკითხავად დაიბეჭდა და რედაქტორი იძულებულია, ყველას ბოდიში მოუხადოს“. ხსენებულ სხდომაზე ილია ჭავჭავაძე ოთხჯერ გამოვიდა სიტყვით და წინამდებარე ტომში ამ ტექსტების პუბლიკაციისას, რა

თქმა უნდა, ვისარგებლეთ სწორედ ხელმეორედ გამოქვეყნებული, ჩასწორებული და შევსებული ტექსტით. ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავადასტუროთ, რომ ილია ჭავჭავაძე თავად ამონებდა თავის გაზეთში გამოსაქვეყნებელ სხდომათა ანგარიშებს და, მისგან დამოუკიდებლად რაიმე არასწორად რომ დაებეჭდათ, ამას რეაგირების გარეშე არ დატოვებდა.

როდესაც ერთსა და იმავე სხდომაზე ილია ჭავჭავაძეს ბევრჯერ უხდებოდა გამოსვლა, მიმომხილველები მისი სიტყვების ნაწილს ციტატის და ნაწილს პერიფრაზის სახით ბეჭდავენ, რადგან საგაზეთო სივრცე სხდომის მსვლელობის სრულ ანგარიშს ვერ დაიტევდა. აკადემიური გამოცემის პრინციპებიდან გამომდინარე, ტომში არ ვბეჭდავთ იმ სიტყვებს, რომლებიც მიმომხილველში პერიფრაზის სახით არის გამოქვეყნებული, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ პუბლიკაციებში დაცულ ინფორმაციას ვიყენებთ ციტატების კომენტარებისას.

რამდენადაც სხდომებზე, რომელთა ფრაგმენტული გამოსვლებიც იბეჭდება ტომის მეშვიდე ნაწილში, ხშირად რამდენიმე საკითხი განიხილებოდა, ძნელი იყო ამ ტექსტებისთვის საერთო სათაურის მიცემა. ამიტომ სათაურებად გავიტანეთ ის, თუ რა სხდომასა ან თავყრილობაზე წარმოითქვა ესა თუ ის სიტყვა და ერთმანეთისგან განსასხვავებლად მივუწერეთ სხდომის თარიღი, ტექსტი კი წარმოვადგინეთ გამოსვლების სახით და დავნომრეთ. რამდენადაც თითოეული გამოსვლა ტომში აღმოჩნდა კონტექსტის გარეშე, რაც მის აღქმას აუცილებლად შეუშლიდა ხელს, ტომის ამ ნაწილის სამეცნიერო აპარატში შევიტანეთ რუბრიკა „შენიშვნა“, რომელშიც აღვწერეთ, რა ვითარებაში მოხდა გამოსვლა. რამდენადაც ზოგჯერ რეპლიკის სახით წარმოთქმულ ერთ ფრაზასაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, სიმცირის გამო გამოცემის გარეთ არცერთი სიტყვა არ დაგვიტოვებია.

ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გარდა, მეშვიდე ნაწილში ვბეჭდავთ მწერლის არქივში დაცული რამდენიმე შავი ავტოგრაფის ტექსტსაც, რომლებიც ზეპირი გამოსვლებისთვის იყო განკუთვნილი.

ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში დაცულ ნიგნებზე ხშირია მწერლისეული აღნიშვნები და მინაწერები. ისეთი აღნიშვნები, როგორებიცაა ტექსტის გარკვეული მონაკვეთის ხაზგასმა, აბზაცის გასწვრივ ვერტიკალური ხაზის ჩამოსმა და სხვ., ძალიან ბევრია, მაგრამ, რამდენადაც მხოლოდ ასეთი მინიშნებები ბევრს ვერაფერს

გვეუბნება მწერლის დამოკიდებულებაზე ამ პასაჟებისადმი, ისინი გამოცემაში არ შეგვაქვს. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წიგნის გარეკანზე, მეტწილად თავში ან ბოლოში, გვხვდება იმ გვერდების ჩამონათვალი, რომლებზეც ილია ჭავჭავაძეს გარკვეული სახის მინიშნებები დაუტანია. ტომის მერვე ნაწილში ასეთ მასალას წარმოვადგენთ როგორც დამოუკიდებელ მინაწერს და კომენტარებში ვუთითებთ, არის თუ არა რაიმე აღნიშვნები მითითებულ გვერდებზე.

მინაწერების პუბლიკაციისას, შევეცადეთ განგვესაზღვრა, ტექსტის რა ნაწილს ეხება თითოეული მათგანი. წიგნიდან ამონაწერ ფრაზას ტომის ძირითად ნაწილში წარმოვადგენთ თავ-ბოლოში მრავალწერტილებით, ხოლო ილია ჭავჭავაძის მინაწერს – ჩარჩოში. სამეცნიერო აპარატში, საკომენტარო მასალის წინ, აქაც, ისევე, როგორც წიგნის სხვა ნაწილებში, ვუთითებთ წინამდებარე გამოცემის გვერდს და სტრიქონს, რომელზეც საკომენტარო ფრაზა წერია (მაგ.: 130.4), შემდეგ კი ვუთითებთ იმ წიგნის გვერდს, რომელზეც შესრულებულია ილია ჭავჭავაძის მინაწერი (მაგ.: გვ. 17). სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მინაწერებიანი წიგნების ერთი ნაწილისთვის ფურცლების დაზიანების გამო კიდევები მექანიკურად ჩამოუჭრიათ, რასაც შეენირა წიგნის ველებზე ილია ჭავჭავაძისეული მინაწერების ერთი ნაწილის საწყისი და ბოლო მარცვლები.

ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის მინაწერების ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოქვეყნებულია, მაგრამ პუბლიკაციებში მასალა სრულად არ არის წარმოდგენილი და არ ახლავს სამეცნიერო აპარატი. მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსს – ქალბატონ შორენა ოსიპოვას, რომელმაც საშუალება მოგვცა, გაგვეგრძელებინა მუშაობა მწერლის პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე და შეგვევსო წინა გამოცემებიდან გამოტოვებული მასალით. ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია მინაწერების გამოქვეყნება მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში, მაგრამ მკითხველმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასალის სპეციფიკა. ეს არის წაკითხული ტექსტის სწრაფი რეფლექსირებისა და მასთან დაკავშირებით აღძრული ასოციაციების ამსახველი მოკლე ფრაზები ან ცალკეული სიტყვები, რომლებსაც მწერალი თავისთვის აკეთებდა და არ იყო გამიზნული გამოსაქვეყნებლად.

რაც შეეხება მეცხრე და მეთათე ნაწილებში შეტანილ მასალას, სხვათა ნაშრომებიდან და გამოცემიდან ილია ჭავჭავაძის ამონაწერები,

იშვიათად წარმოადგენს მხოლოდ ციტირებას. წყაროების მითითებასთან ერთად, მათ ხშირად ახლავს საკუთარი შენიშვნებიც, სხვათა ზეპირად გადმოცემული ტექსტების ჩანაწერებთან კი მწერალი უთითებს ხოლმე იმ პირის ვინაობას, ვისგანაც აქვს ტექსტი მოსმენილი.

რამდენადაც ტომში წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი რუსულენოვანია, საძიებლების გაერთიანების მიზნით, რუსულ საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებს წინ ვუწერთ ქართულ ვარიანტებს, ფრჩხილებში კი ვათავსებთ ინფორმაციას, თუ რა სახით (შემოკლებით, ფსევდონიმით და სხვ.) არის იგი წარმოდგენილი ტექსტში. ამის შემდეგ ყველაფერს ვალაგებთ ქართულ ანბანურ რიგზე.

\* \* \*

რამდენადაც ტომში წარმოდგენილია ისეთი მასალა, რომელიც უფრო პროფესიონალი მკითხველებისა და სამეცნიერო კვლევებისთვის არის განკუთვნილი, წინა ტომებისაგან განსხვავებით, მეაცრად ვიცავთ აკადემიურ პრინციპებს, ტექსტებს ვაქვეყნებთ ზუსტად ისეთი სახით, როგორითაც ავტოგრაფშია, უცვლელად ვტოვებთ მართლწერასა და ორთოგრაფიას, მექანიკური შეცდომების შესახებ კი ინფორმაცია შეგვაქვს სამეცნიერო აპარატში.

ძირითად ტექსტში სიტყვების ქვეშ გასმული სწორი ან კლაკნილი ხაზები ავტოგრაფისეულია.

იქ, სადაც ავტოგრაფის მონაკვეთებს შორის არის წყვეტა, ძირითად ტექსტში ამ მონაკვეთებს ერთმანეთისგან გამოვყოფთ სამი ფიფქით.

უსათაურო ტექსტების ჩვენეული სათაურები ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში.

ჩანართები, რომლებიც ნაბეჭდი ტექსტის გასწვრივ, გვერდის თავისუფალ ველზეა მიწერილი, მაგრამ ავტორს არ მიუნიშნებია, რომელი ეპიზოდის გაგრძელებაა, გამოცემაში ჩასმულია იმ ხაზის ან წინადადების ბოლოს, რომლის გასწვრივაც გვხვდება ან შინაარსიდან გამომდინარე ყველაზე ლოგიკურ ადგილას და ჩასმულია ფიგურულ ფრჩხილებში.

ილია ჭავჭავაძისეული მოკლე ჩანართები მის მიერ ამოწერილ სხვა ავტორთა ვრცელ ტექსტებში ჩასმულია ჩარჩოში.

მწერლის არქივში, მისი ავტოგრაფების გარდა, დაცულია სხვათა ვრცელი ჩანაწერები, რომლებსაც დართული აქვს ილია ჭავჭავაძის



მოკლე მინაწერები. გამოცემის ძირითად ნაწილში იბეჭდება მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ტექსტები, ის მასალა კი, რომელიც მისი ხელით არ არის ნაწერი, ანოტაციების სახით არის წარმოდგენილი სამეცნიერო აპარატში.

რამდენადაც წიგნის ბეჭდვის თანამედროვე ტექნოლოგიები ამის საშუალებას გვაძლევს, ავტოგრაფისეულ გადახაზულ ადგილებს გამოცემაში წარმოვადგენთ ასეთივე – გადახაზული სახით. თუ ტექსტის რალაც მონაკვეთი ორჯერ არის გადახაზული, ერთხელ სიტყვების დონეზე, ჰორიზონტალური ხაზებით, მეორედ კი ჯვარედინად, მთელ აბზაცთან ერთად, გამოცემაში, მას გადახაზული და დახრილი ფორმით წარმოვადგენთ.

შავი ავტოგრაფების კვლევამ დაგვარწმუნა, რომ როდესაც ილია ჭავჭავაძე სიტყვას გადახაზავდა და შემდეგ მის აღდგენას განაწყვეტდა, ქვეშ უსვამდა კლაკნილ ხაზს. შესაბამისად, გადახაზული და ქვეშ კლაკნილხაზგასმული სიტყვები ჩვეულებრივად წარმოვადგინეთ.

გამოცემაში გამოყენებულია შემდეგი ლიტერები: C – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, M – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, A – საქართველოს ეროვნული არქივი, L – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

**მაია წინიძე**

# ნანილი I

**განცხადებები, მიმართვები, განმარტებითი ბარათები, ხელწერილები, მინდობილობები, ხელშეკრულებები, შესაგებლები, განჩინებები და სხვა სახის იურიდიული დოკუმენტები**

**<მინდობილობა ზაალ ჭავჭავაძის სახელზე გამწვანების  
სანდოებო სიგელის შესადგენად> (გვ. 5)**

**ავტოგრაფი:** A, ფონდი №31, საქ. 6, ფურც, 2.

**აღწერილობა:** მინდობილობა სუფთად არის ნაწერი შავი მელნით.

**დათარილება:** ტექსტიდან ჩანს, რომ მინდობილობა დაწერილია 1866 წლის 29 ივლისს.

5. 8 „Зал Ношрванович“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის შორეულ ნათესავზე ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძეზე.

5. 20 „Георгий Цинамдзгваров“ – გიორგი წინამძღვრიშვილის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

5. 21 „Михаил Луарсабович Сумбатов“ – საუბარია შემდგომში გენერალ მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბათაშვილზე.

**<დუშეთის მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი სტაფანა  
ელიკოვის საჩივარზე> (გვ. 5)**

**ავტოგრაფი:** A, ფონდი, №133, საქ. 73, 26, გვ. 1, 6.

**აღწერილობა:** სასამართლო სხდომის ოქმის უმეტესი ნაწილი სხვისი, განაჩენი კი ილია ჭავჭავაძის ხელით არის ნაწერი.

**დათარილება:** განაჩენი გამოტანილ იქნა 1868 წლის 16 დეკემბერს.

5. 29 „Степань Арютиновъ Эгиковъ... Семень Коіава“ – დუშეთის მაზრის მცხოვრებლებს: სტეფან არუთინის ძე ელიკოვისა და სიმონ ქოიავას შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

6. 3 „настоящее время“ – ამ სიტყვებს მოჰყვება სხვისი ხელით ქართულად ნაწერი ტექსტი.

**<დუშეთის მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი იოსებ  
კლიმიაშვილის საჩივარზე> (გვ. 6)**

**ავტოგრაფი:** A, ფონდი №133, საქ. 634, ფურც, 2.

**აღწერილობა:** სასამართლო სხდომის ოქმის უმეტესი ნაწილი სხვისი, განაჩენი კი ილია ჭავჭავაძის ხელით არის ნაწერი.

**დათარილება:** განაჩენი გამოტანილ იქნა 1869 წლის 18 სექტემბერს.

6. 20-21 „Иосифа Климиева... Гио Цулиაშვილი“ – დუშეთის მაზრის მცხოვრებლების: იოსებ კლიმიაშვილისა და გიო წულიაშვილის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

**<დუშეთის მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი გომილა ეკალაძის საჩივარზე> (გვ. 6)**

**ავტოგრაფი:** А, ფონდი №133, საქ. 222, ფურც, 16.

**აღწერილობა:** სასამართლო სხდომის ოქმის უმეტესი ნაწილი სხვისი, განაჩენი კი ილია ჭავჭავაძის ხელით არის ნაწერი.

**დათარილება:** განაჩენი გამოტანილ იქნა 1870 წლის 10 ნოემბერს.

7. 2-4 „Гогила Шиоева Экаладзе... Зурабомъ Ревазовымъ и Елиазаромъ Соломоновымъ Алексѣевымъ“ – დუშეთის მაზრის მცხოვრებლების: გოგილა შიოს ძე ეკალაძის, ზურაბ, რევაზ და ელიზბარ სოლომონის ძე ალექსიშვილების შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

**<დუშეთის მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი დათიკა წამალაძის საჩივარზე> (გვ. 7)**

**ავტოგრაფი:** А, ფონდი №133, საქ. 2163, ფურც, 5.

**აღწერილობა:** სასამართლო სხდომის ოქმის უმეტესი ნაწილი სხვისი, განაჩენი კი – ილია ჭავჭავაძის ხელით არის ნაწერი.

**დათარილება:** განაჩენი გამოტანილ იქნა 1872 წლის 11 სექტემბერს.

7. 24 „Датика Цамаладзе... Георгія Иванова Химшіева“ – დუშეთის მაზრის მცხოვრებლების: დათიკა წამალაძისა და გიორგი ივანეს ძე ხიმშიაშვილის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

**<მიმართვა დუშეთის მომრიგებელი მოსამართლისადმი> (გვ. 8)**

**ავტოგრაფი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 11რ.

**აღწერილობა:** ტექსტი ილია ჭავჭავაძის მიერ თავადაზნაურობის წინამძღოლის სახელით არის დაწერილი. ოფიციალური მიმართვის შავი ვარიანტი, ნაწერია თაბახის ფურცელზე ფანქრით.

**დათარილება:** რამდენადაც წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ნიანვარს გარდაიცვალა თადეოზ გურამიშვილი, ეს კი მოხდა 1875 წელს, მიმართვა 1875 წლის 6 იანვრის შემდეგ მალევე უნდა იყოს დაწერილი.

8. 4 „Губ. Пред. Дворянства“ – 1856-1864 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

8. 5 „князь Фадей Звхарьевич Гурамовъ“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის სიმამრზე, თადეოზ ზაალის ძე გურამიშვილზე.

8 9-10 „княгиня Ольга Фадеевна Чавчавадзе“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის მეუღლეზე, ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე.

8. 10 „Генераль-Маіора Староселскаго“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის ქვისლზე, დიმიტრი სტაროსელსკიზე.

8. 10-11 „Екатерина Фадеевна“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის ცოლის-დაზე – ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისაზე.

8. 11 „находятся въ Баку“ – 1872-1876 წლებში ილია ჭავჭავაძის ქვისლი, დიმიტრი სტაროსელსკი ბაქოს გუბერნატორი იყო და მწერლის მეუღლე – ოლღა გურამიშვილი მათთან სტუმრად იმყოფებოდა.

### **<თბილისის მიხეილის ბანკისა და აქტივუბრში მოქმედი მოსკოვის ბანკის ხელშეკრულება> (გვ. 8)**

**ავტოგრაფი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 25-26r.v., 27r.; 24r.v.

**აღწერილობა:** ტექსტის ძირითადი ნაწილი შავი მელნით არის ნაწერი თაბახის ფურცლებზე, გვერდის ხან მარცხენა და ხან მარჯვენა მხარეს, განიერ სვეტად და ნასწორებია. აქვს სხვისი ხელით შესრულებული მინაწერები. პირველსავე გვერდზე მარჯვენა ველზე წერია: „Правление Московского Дворянского Земельного Банка въ г. Кутаисѣ“. ტექსტში სხვაგანაც თბილისის ნაცვლად ამავე უცხო ხელით ჩაწერილია ქუთაისი. Марта „ „ днѣ – თარიღი გამოტოვებულია და ბრჭყალებით მინიშნებულია, რომ უნდა ჩაიწეროს. ტექსტის მეორე ნაწილში, რომელიც თაბახის ფურცლის ორივე მხარეს მთელ სიგანეზეა ნაწერი, მოცემულია დამატებები სხვადასხვა მუხლზე. ეს ნაწილი ბევრად უფრო ინტენსიურად არის ნასწორები.

**დათარიღება:** ტექსტის მიხედვით ხელშეკრულება შედგენილია 1884 წლის მარტში.

9. 17 „г. Вавельберга“ – საუბარია ბანკირ იპოლიტ ვაველბერგზე.

10. 32 „Мѣсяцовъ“ – მრავლობით რიცხვში ეს სიტყვა ავტოგრაფებში ასე წერია.

### **<ეკატერინე მისხთან დაღებული ხელშეკრულება ბაზაით „ივერიის“ აქტივუბაზე> (გვ. 13)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №11.

**აღწერილობა:** ტექსტი სხვისი ხელით არის დაწერილი, რუსულ ენაზე, მაგრამ ძალიან ბევრი სწორებაა შეტანილი ილია ჭავჭავაძის ხელით. გამოცემაში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის მიერ ჩასწორებული და ჩამატებული მუხლები.

**დათარილება:** რამდენადაც ეკატერინე მელიქიშვილ-მესხის საოჯახო სტამბაში გაზეთი „ივერია“ იბეჭდებოდა 1888 წლის 25 მაისიდან, ეს ხელშეკრულება მანამდე უნდა იყოს შედგენილი.

13. 26 „Екатерины Месхи“ – საუბარია სერგეი მესხის მეუღლეზე, იმუამად გამომცემლობის მფლობელ ეკატერინე მელიქიშვილ-მესხისაზე.

### **<ხელშეკრულება ელისაბედ საგინაშვილის სახლის აშენებაზე> (გვ. 13)**

**ავტოგრაფი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 29r.v. (A); №203, 31 v.; 30r.v. (B)

**აღწერილობა:** А ხელნაწერი შავი მელნით სუფთად არის შესრულებული გვერდის მთელ სიგანეზე და მსუბუქად არის ნასწორები, მაგრამ დაუსრულებელია. В არის თავდაპირველი შავი პირი, გვერდის მარცხენა ნაწილში ვინრო სვეტად ნაწერი და ძლიერ ნასწორები.

**დათარილება:** დოკუმენტის შექმნის დრო, 1889 წლის 1 აგვისტო ტექსტშივე არის მითითებული.

13. 30 „Елизаветы Григорьевны Сагиновой“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის დაზე, ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

13. 31-32 „подрядчикъ Уста Мамедъ Али Мамедъ Мирза Оглы“ – საუბარია ხელოსანთა არტელის უფროსზე, რომელსაც შეუკვეთა ილია ჭავჭავაძემ სახლის მშენებლობა.

### **В წყარო:**

Тысяча восемьсотъ восемьдесятаго года Августа 1<sup>го</sup> дня повѣренный Генералъ Адъютантъ лейтенантъши Елизаветы Григорьевны Сагиновой Князь Илья Григорьевичъ Чавчавадзе съ одной стороны и съ другой подрядчикъ Уста Мамедъ Али Мамедъ Мирза Оглы заключили сие условіе въ томъ, что изъ насъ повѣренный Князь Чавчавадзе сдалъ на подрядъ, а Али Мамедъ Мирза Оглы принялъ постройку трехэтажнаго дома зданія на землѣ, находящейся на Авчальской улицѣ рядомъ с домомъ нынѣ пріобрѣтеннымъ Согиновою на торгахъ Тифлискаго Дворянскаго Земельнаго Банка, на нижеслѣдующихъ условіяхъ: 1) Я, Мамедъ, обязуюсь: а) выложить фундаментъ въ главномъ корпусѣ и флигелѣ на бутовомъ камнѣ со своими рабочими и матеріаломъ, за исключеніемъ песку и извести, доставка коихъ лежитъ на обязанности владѣлицы Сагиновой. Сагинова же обязана уплатить за кубическую сажень тридцать четыре руб. б) вывести на этомъ фундаментѣ капитальныя стѣны на известковомъ

растворъ въ четыре кирпича для перваго этажа, для втораго въ три кирпича и для третьяго въ два съ половиною кирпича, за что Сагинова обязана платить за кубическую сажень ф сорокъ два рубля во флигелъ перваго этажа по 47 сорокъ семь руб.; Въ корридоръ по тридцать четыре руб., во 2<sup>м</sup> этажъ по пятьдесятъ по два руб. а во флигелъ этого

Сверхъ всего вышеуказаннаго Я Мамедъ принимая на себя

2) Всѣ вышеуказанныя работы, Я, Мамедъ, обязанъ выполнить аккуратно, добросовѣстно и во время хода этихъ работъ вовесть подчиняться завѣдывающаго работами. Въ случаѣ если какая либо работа не будетъ одобрена завѣдывающимъ работами, Я, Мамедъ, обязуюсь немедленно исправить согласно указанію завѣдывающаго работами. 3) В-

2) Я, Мамедъ, принимаю на себя штукатурку потолковъ по одному рублю и тридцати коп. за квад. сажень, штукатурку простѣнковъ и каменныхъ стѣнъ по одному рублю двадцати коп., подуги по два руб. за квад саже сажень. *Выемку*

3) Нрн Я, Мамедъ, принимаю на себя на себя и слѣдующія работы какія только окажутся необходимыми какъ зданіи; уже въ зданіи, уже имѣюшемся такъ и вновь строящемся: сдѣлать и настлать полы по одному руб. двадцати коп. кв. сажень, сдѣлать сдѣлать и установить балконъ со своими балками съ поломъ съ обшивкою, со столбами, съ балаясниками, угольниками по тому образцу рисунка, который будетъ данъ завѣдывающимъ работами, за что Сагинова обязана уплатить за пространства отъ столба до столба по семи руб.; за нает

4) Я, Мамедъ, принимаю на себя на стилку чернаго пола квад по восьмидесяти коп. за каж квад. сажень.

5) Я, Мамедъ, принимаю на себя уета приготовления и установку стропиль по пяти руб. отъ ноги до ноги, т. е. отъ стропиль до стропиль, во флигелъ же устанавливаю стропилы по три рубля отъ но отъ ноги до ноги. 6) Я, Мамедъ, принимаю на себя укладку балокъ на стѣнахъ, настилку чернаго пола и пошивку потолковъ по девяносто коп. за кв. сажень.

6) Всѣ вышеуказанныя работы указанныя выше каменные работы и плотничныя работы въ новомъ зданіи 1) э концу работы въ новомъ зданіи Я, Мамедъ, обязанъ окончить къ 15<sup>м</sup> Сентября къ 1<sup>м</sup> Октября сего 1889 года плотничныя же въ этомъ же зданіи плотничныя же и штукатурныя работы въ старомъ зданіи не позже 15<sup>м</sup> Сентября. Всѣ же вообще работы Я, Мамедъ, обязанъ выполнить аккуратно, добросовѣстно, соблюдишемъ условія прочности о доброкачественности и во время хода этихъ работъ обязанъ подчиняться во всемъ указаніямъ завѣдывающаго работами,

который по усмотрению своему в правѣ отъ меня, Мамеда, требовать увеличенія числа мастеровъ и рабочихъ. Въ случаѣ по своему его Въ случаѣ если какая-либо работа не будетъ одобрена Завѣдывающимъ работами, Я, Мамедъ, обязуюсь немедленно исправить по его указанію. 7) Сагинова за исключеніемъ песку и извести ни каки обязывается доставить лишь песокъ и известь, а ровно и лѣсной материалъ, на и за и съ а все касающаеся до мастеровъ и рабочихъ все это прочи до другихъ материаловъ, а равно до расходовъ на мастеровъ и рабочихъ, а равно и то все это лежитъ на исключительной обязанности Мамеда. 8) Сагинова обязывается производить Мамеду уплату денегъ по условленнымъ выше цѣнамъ съ такимъ разчетомъ по квитанціямъ выдаваемымъ Мамеду по мѣрѣ работъ каждый разъ орпедѣленной квитанціями отъ завѣдывающаго работами, но съ такимъ разчетомъ, что Сагинова удерживаетъ въ видѣ залога тридцать процентовъ впредь до доведенія работъ съ суммы слѣдующей Мамеду по квитанціямъ впредь до выполненія работъ на половину а затѣмъ съ этою же целью удерживается два двадцать процентовъ впредь до окончанія всѣхъ работъ и сдачу ихъ. По одобреніи завѣдывающимъ работами всѣхъ работъ, произведенныхъ по сему договору Мамедомъ, сей Сагинова обязана уплатить уже всю слѣдующее остальную сумму за уже выданными все слѣдующее подрядчику Мамеду за исключеніемъ уже выданныхъ до того по квитанціямъ и сверхъ того ста восьмидесяти рублей, которые Мамедъ обязанъ исключить съ общей заповрядженной суммы въ пользу Сагиновой. 8) Каждая уплата, Мамеду, удостоверяется подписью его на семь договорѣ. 9) Въ случаѣ нарушенія сего договора въ чемъ либо и съ чьей-либо стороны, нарушившая сторона платитъ правой тысячу рублей штрафа.

10) Договоръ подлинный этотъ въ подлинн составленъ въ двухъ экземплярахъ для каждой изъ сторонъ.

### **შენიშვნები В წყაროსთან დაკავშირებით:**

„восемьдесятая года,“ მექანიკური შეცდომაა. უნდა იყოს  
**154. 7 „ბინოკლი ერისთავისა“** – გაურკვეველია, რომელ ერისთავზეა საუბარი.

#### **ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №61, 3 v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** შინაური ცხოველების რაოდენობა.

**დათარიღება:** რადგან წინა ჩანაწერები 1886 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმავე თარიღისაა.

#### **ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №61, 4r.

**აღწერილობა:** ნაწერია ღია ყავისფერი მელნით, რუსულად.

**თემა:** ლალის შესახებ პუბლიკაციის ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

**დათარიღება:** რადგან უურნალი 1886 წლის ოქტომბრისაა, ჩანაწერი უფრო ადრეული ვერ იქნება.

**154. 18 „О чиншѣ:“** – საუბარია გადასახადზე, რომელსაც მებატონეს მისივე მიწით მოსარგებლე გლეხები უხდიდნენ პროდუქტების ან ფულის სახით.

#### **ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №61, 4r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, რუსულად.

**თემა:** სტატიების ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

**დათარიღება:** რადგან ერთ-ერთი სტატია 1888 წლის იანვრისაა, ჩანაწერი უფრო ადრეული ვერ იქნება.

**154. 20 „Критика Брандеса“** – საუბარი უნდა იყოს ებრაელ საბავშვო მწერალ გეორგ მორის ბრანდესზე, რომელიც 1887 წელს ეწვია რუსეთს.

#### **ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №61, 4v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რადგან წინა ჩანაწერი 1888 წელზე ადრეული ვერ იქნება, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც იმავე თარიღისაა.

154. 25 „ბაჩუნაშვილს თხა მოუპარავს“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 12**

**ხელნაწერი:** C №61, 4v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, რუსულად.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც წინა და მომდევნო ჩანაწერები 1888 წლისაა, უფრო ადრეული ვერც ეს ჩანაწერი იქნება.

154. 27 „P. M.“ – იგულისხმება ჟურნალი „Русская мысль“.

154. 28 „Гѣнь“ – საუბარი უნდა იყოს ფრანგ ფილოსოფოს იპოლიტ ტენზე.

154. 29 „Джордж“ – საუბარია ამერიკელ ეკონომისტ ჰენრი ჯორჯზე.

154. 30 „Лудвиг Гольбергъ“ – საუბარია ნორვეგიელ მწერალ ლუდვიგ ჰოლბერგზე.

154. 31 „Брандесъ“ – საუბარი უნდა იყოს ებრაელ საბავშვო მწერალ გეორგ მორის ბრანდესზე.

154. 31 „В. Ев.“ – იგულისხმება ჟურნალი „Вестник Европы“.

**ჩანაწერი 13**

**ხელნაწერი:** C №61, 5r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** ტერმინის მნიშვნელობა.

**დათარილება:** რამდენადაც წინა და მომდევნო ჩანაწერები 1888 წლისაა, უფრო ადრეული ვერც ეს ჩანაწერი იქნება.

**ჩანაწერი 14**

**ხელნაწერი:** C №61, 5r.

**აღწერილობა:** ნაწერია ყავისფერი მელნით, რუსულად.

**თემა:** სტატიის სათაური.

**დათარილება:** რადგან სტატია 1888 წლის ოქტომბრისაა, ჩანაწერი უფრო ადრეული ვერ იქნება.

155. 4 „Письмо К. Маркса“ – საუბარია კარლ მარქსზე.

**ჩანაწერი 15**

**ხელნაწერი:** C №61, 6r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ფელეტონის გეგმა.

**დათარილება:** რადგან წინა ჩანაწერები 1888 წელზე ადრეული ვერ იქნება, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც იმავე თარიღისაა.

**155. 9 „დ. ერისთავი“** – შესაძლოა იგულისხმებოდეს დრამატურგი დავით გიორგის ძე ერისთავი.

#### **ჩანაწერი 16**

**ხელნაწერი:** C №61, 0.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად. ეს ფურცელი უბის წიგნაკიდან ამოვარდნილია და ზუსტად ვერ ვიტყვით, სად არის ჩასასმელი.

**თემა:** მისამართები და გასაგზავნი თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც არ ვიცით, ეს ფურცელი უბის წიგნაკის რა ადგილიდან არის ამოვარდნილი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით მისი დაწერის დროს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ უბის წიგნაკში ძირითადად 1886-1888 წლები იხსენიება, ესეც 1880-იანი წლების მეორე ნახევრისა უნდა იყოს.

**155. 13 „Ник. Зах. Авалову“** – საუბარია სანიორელ თავად ნიკოლოზ ზაქარიას ძე ავალიშვილზე.

**155. 14 „Георг. Георгиевичу Христову“** – პირის შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

#### **ჩანაწერი 17**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** სიტყვის მნიშვნელობა.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

#### **ჩანაწერი 18**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით..

**თემა:** პუბლიკაცია.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 19**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** წინდებულები.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 20**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია მოწითალო მეღვინით.

**თემა:** გრამატიკა.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 21**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მეღვინით.

**თემა:** გრამატიკული ფორმები.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 22**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** სიტყვის თარგმანი.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 23**

**ხელნაწერი:** C №61, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** გაურკვეველი.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

#### **ჩანაწერი 24**

**ხელნაწერი:** C №61, 1v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით და ფანქრით რუსულად.

**თემა:** გაურკვეველი.

**დათარილება:** რადგან უბის წიგნაკში ძირითადად 1880-იანი წლების მეორე ნახევრის ჩანაწერებია, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერიც ამ პერიოდისა უნდა იყოს.

#### **ჩანაწერი 25**

**ხელნაწერი:** C №61, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, რუსულად.

**თემა:** წიგნის დასახელება.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში ნახსენებია 1886 წელს გამოცემული წიგნი, ეს ჩანაწერი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**156. 10 „О. Д-ъ Шрадеръ“** – საუბარია დოქტორ ოტო შრადერის 1886 წელს გამოცემულ წიგნზე.

#### **ჩანაწერი 26**

**ხელნაწერი:** C №61, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** წიგნები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში ნახსენებია 1886 წელს გამოცემული წიგნი, ვერც ეს ჩანაწერი იქნება 1886 წელზე ადრეული.

**156. 13 „Сакунтала“** – საუბარია კალიდასის დრამაზე, რომელიც 1879 წელს გამოიცა მოსკოვში.

**156. 13 „перев. Путіяты“** – საუბარია ალექსეი დიმიტრის ძე პუტი-ატაზე.

**156. 15 „Кирпичникова“** – საუბარია ალექსანდრ ივანეს ძე კირპიჩნიკოვის 1873 წელს გამოცემულ წიგნზე.

**156. 16 „Фламаріонъ“** – საუბარია კამილ ფლამარიონის 1875 წელს გამოცემულ წიგნზე.

#### **ჩანაწერი 27**

**ხელნაწერი:** C №61, 2v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად. ბრანდესის გვარი შეცდომით წერია „Бранесъ“.

**თემა:** პუბლიკაციები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერში ნახსენებია 1887 წლის პუბლიკაცია, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**156. 18 „О сентнефѣ“** – საუბარია ლიტერატურათმცოდნე შარლ ოგიუსტ სენტ ბიოვზე.

**156. 18 „Тэнъ и Бранесъ“** – სავარაუდოდ, საუბარია იპოლიტ ტენსა და გეორგ მორის ბრანდესზე.

#### **ჩანანერი 28**

**ხელნაწერი:** C №61, 3v.

**აღწერილობა:** ნანერია ფანქრით.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანანერში ნახსენებია 1887 წლის პუბლიკაცია, ვერც ეს ჩანანერი იქნება უფრო ადრეული.

#### **ჩანანერი 29**

**ხელნაწერი:** C №61, 4r.

**აღწერილობა:** ნანერია ფანქრით და შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** პუბლიკაციები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნები, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**157. 2 „Загрусскій“** – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიოლოგ ლეონიდ ნიკოლოზის ძე ზაგურსკიზე.

**157. 2 „Елизаѡ.“** – შესაძლოა იგულისხმებოდეს ელიზავეტოპოლის (ამჟამად განჯა) გუბერნია.

#### **ჩანანერი 30**

**ხელნაწერი:** C №61, 5r.

**აღწერილობა:** ნანერია ფანქრით რუსულად.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანანერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნი, ვერც ეს ჩანანერი იქნება უფრო ადრეული.

**157. 4 „Исторія Вебера“** – საუბარია გეორგ ვებერის 1885 წელს გამოცემულ წიგნზე „Всеобщая исторiя“.

**157. 4 „Джанашвили“** – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილზე.

#### **ჩანანერი 31**

**ხელნაწერი:** C №61, 5r.

**აღწერილობა:** ნანერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** გაურკვეველი.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნი, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

157. 6 „Белаши: Эмильяновъ“ – შესაძლოა იგულისხმებოდეს უკრაინული სოფელი ბალაში და მისი მკვიდრი, რომლის შესახებაც დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

### ჩანაწერი 32

**ხელნაწერი:** С №61, 5r.

**აღწერილობა:** შავი მელნით.

**თემა:** წიგნის განათხოვრება.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნი, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

157. 8 „წიგნი ბაირონისა ნაილო ა. ლულაძემ.“ – საუბარია ინგლისელ პოეტ ჯორჯ გორდონ ბაირონსა და ანდრია ლულაძეზე.

### ჩანაწერი 33

**ხელნაწერი:** С №61, 5r.

**აღწერილობა:** ნაწერია ყავისფერი მელნით, რუსულად.

**თემა:** წიგნების განათხოვრება.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნები, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

157. 10 „Шлоссеръ II т. Пурцеладзе“. – სავარაუდოდ, საუბარია ფრიდრიხ შლოსერის წიგნის „Всемирная история“ 1864 წელს გამოსულ მეორე ტომზე და ანტონ ფურცელაძეზე.

157. 11 „5 и 6 т. Вебера“ – სავარაუდოდ, საუბარია გეორგ ვებერის წიგნის „Всеобщая история“ 1887 წელს გამოცემულ მე-5 და მე-6 ტომებზე.

### ჩანაწერი 34

**ხელნაწერი:** С №61, 5r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, რუსულად.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

157. 13 „Человѣческая трагикомедія Чконія“ – საუბარია იოჰან შერის 1877 წელს გამოცემულ წიგნზე და ალექსანდრე ჭყონიაზე.

### ჩანაწერი 35

**ხელნაწერი:** C №61, 5v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** წიგნის განათხოვრება.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში ნახსენებია 1887 წელს გამოცემული წიგნები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

157. 15 „Исторія литературы среднихъ вѣковъ. 4 Хизановъ“ – მე-19 საუკუნეში ზუსტად ასეთი სათაურის მქონე ერთადერთი გამოცემა არსებობდა – აბელ ფრანსუა ვილმენის 1836 წელს გამოცემული სამტომეული. შესაძლოა, ეს წიგნები და ნიკოლოზ ხიზანიშვილი იგულისხმებოდეს, მაგრამ, შესაძლოა, წიგნის სათაური უბის წიგნაკში არასწორად იყოს მითითებული, რადგან ამ გამოცემას მეოთხე ტომი არა აქვს.

### ჩანაწერი 36

**ხელნაწერი:** C №61, 6r.v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** სპექტაკლის შთაბეჭდილებები.

**დათარიღება:** რამდენადაც ილია ჭავჭავაძე ქართულ თეატრში შექსპირის ჰამლეტის წარმოდგენას 1887 წლის 15 თებერვალს დაესწრო, ჩანაწერი ამ დღეს ან მის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

157. 19-20 „მარცელო... გორაციო... პრინციო“ – საუბარია შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟებზე.

### ჩანაწერი 37

**ხელნაწერი:** C №61, 7v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** აპარატის ფასი.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1887 წლის 15 თებერვლის შემდეგდროინდელია, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

157. 25 „Аппаратъ братьевъ Галлиѣ“ – შესაძლოა საუბარი იყოს მხატვრული მინის წარმოების რეფორმატორ ემილ გალიესა და მასთან დაკავშირებულ „ძმების სახლზე“.

### ჩანაწერი 38

**ხელნაწერი:** C №61, 8r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** წიგნის განათხოვრება.



**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1887 წლის 15 თებერვლის შემდეგდროინდელია, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

**157. 27 „Сандро Челокаевъ Логика Милля 2 т“** – საუბარი უნდა იყოს ჯონ სტიუარტ მილის წიგნის „Система логики“ 1867 წელს გამოცემულ მეორე ტომზე და ალექსანდრე ჩოლოყაშვილზე.

**ჩანაწერი 39**

**ხელნაწერი:** C №61, 9r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, ქართულად და რუსულად.

**თემა:** ტერმინის მნიშვნელობა.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1887 წლის 15 თებერვლის შემდეგდროინდელია, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

**ჩანაწერი 40**

**ხელნაწერი:** C №61, 9v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1887 წლის 15 თებერვლის შემდეგდროინდელია, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

**<უბის წიგნაკი №4> (გვ. 158)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №64.

**აღწერილობა:** უბის წიგნაკი ვერტიკალური წითელი ხაზებით, რომლებიც ხუთ სხვადასხვა ზომის სვეტს ქმნის, საქმიანი ჩანაწერებისთვის არის განკუთვნილი. რამდენიმე გვერდზე: 2 v., 3 v. 4 v. 5 v. და 8r.-ს პირველი სამი ხაზი, სხვისი ჩანაწერია, შემოტანილ და შემოსატან თანხებთან დაკავშირებით. 5r-ზე „თუმანი“-ს ნაცვლად წერია „მუნანი“. 7r-ზე ილია ჭავჭავაძის ხელრთვაა. ფურცელი 9 r.,v. 1886 წლის ფაქტებს ასახავს და, სავარაუდოდ, ის უბის წიგნაკში 1888 წლის ჩანაწერების (3r.). წინ უნდა ყოფილიყო.

**დათარილება:** უბის წიგნაკში 1886 და 1888 წლების მოვლენები ნახსენები და, სავარაუდოდ, ამ პერიოდისაა.

**ჩანაწერი 1**

**ხელნაწერი:** C №63, 0v.

**აღწერილობა:** ნაწერია გარეკანის საცავ გვერდზე, წითელი და შავი მელნით.

**თემა:** გრამატიკული ფორმები.

**დათარილება:** რამდენადაც ამ უბის წიგნაკში ყველაზე ადრეული ინფორმაცია 1886 წლის 6 ივნისისაა, ეს ჩანაწერი კი პირველსავე ფურცელზეა, იგი უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 2**

**ხელნაწერი:** C №63, 1r.

**აღწერილობა:** წითელი და შავი მელნით. ნუმერაცია ავტორისეულია, შესაბამისად, ჩანაწერი ნამდვილად ერთიანია.

**თემა:** მეთაური სტატიების თემები.

**დათარილება:** რამდენადაც ამ უბის წიგნაკში ყველაზე ადრეული ინფორმაცია 1886 წლის 6 ივნისისაა, ეს ჩანაწერი კი პირველსავე ფურცელზეა, იგი უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 3**

**ხელნაწერი:** C №63, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, დიდი ასოებით, რუსულად.

**თემა:** მითითება სტატიაზე.

**დათარილება:** რამდენადაც ამ უბის წიგნაკში ყველაზე ადრეული ინფორმაცია 1886 წლის 6 ივნისისაა, ეს ჩანაწერი კი პირველსავე ფურცელზეა, იგი უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 4**

**ხელნაწერი:** C №63, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია მოყავისფრო და შავი მელნით. პირველი სიტყვიდან ერთი „ი“ გამორჩენილია. უნდა იყოს „იტალიის“.

**თემა:** უცხოეთის ამბები.

**დათარილება:** რამდენადაც ამ უბის წიგნაკში ყველაზე ადრეული ინფორმაცია 1886 წლის 6 ივნისისაა, ეს ჩანაწერი კი პირველსავე ფურცელზეა, იგი უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 5**

**ხელნაწერი:** C №63, 9r.,v.

**აღწერილობა:** ნაწერია გარეკანის საცავ გვერდზე, წითელი და შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარილება:** ჩანაწერი მოიცავს ინტერვალს 1886 წლის 6 ივნისიდან 11 ნოემბრის ჩათვლით. შესაბამისად, ის 1886 წლის 11 ნოემბერზე ადრეული ვერ იქნება.

**159. 7 „ციციანოვს მივეცი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ილია ჭავჭავაძის მოურავი დავით ციციშვილი.

**159. 11-18 „ზურაბას... მიხას... ხოხეს... რამაზას“** – სავარაუდოდ, საუბარია გლეხებსა და ხელოსნებზე.

**ჩანაწერი 6**

**ხელნაწერი:** C №63, 11r.

**აღწერილობა:** ნაწერია გარეკანის საცავ გვერდზე, წითელი და შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1886 წლის 11 ნოემბრის შემდეგ არის გაკეთებული, ამას კი 29 აპრილი აწერია, სავარაუდოდ, 1887 წლის 29 აპრილზე ადრეული არ უნდა იყოს.

**159. 25 „მიხაკა. დურგალი“** – სხვა ცნობები პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

**ჩანაწერი 7**

**ხელნაწერი:** C №63, 3r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, ქართულად.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** ჩანაწერი მოიცავს დროის ინტერვალს 1888 წლის 8 იანვრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, იგი 1888 წლის 28 დეკემბერზე ადრეული ვერ იქნება.

**159 33 „ნათლაძესაგან“** – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №63, 4r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** ჩანაწერთან თარიღები წლის აღნიშვნის გარეშეა მიწერილი. რამდენადაც წინა ჩანაწერები 1888 წლისაა, თუ ფურცელი თავის ადგილას არის ჩაკრული, ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 1888 წლის 9 მაისიდან და დასრულებული უნდა იყოს არა უადრეს 12 სექტემბრისა.

**160. 8 „ჭილაძისაგან“** – საუბარია წიგნების გამომცემელ ვარლამ ივანეს ძე ჭილაძეზე.

**ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №63, 5r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** ჩანაწერთან თარიღები წლის აღნიშვნის გარეშეა მიწერილი. რამდენადაც წინა ჩანაწერები 1888 წლისაა, თუ ფურცელი თავის ადგილას არის ჩაკრული, ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 1888 წლის 18 იანვრის შემდეგ და დასრულებული არა უადრეს 27 დეკემბრისა.

**160.** 20 „მგალობლიშვილისაგან“ – შესაძლოა იგულისხმებოდეს სოფრომ მგალობლიშვილი.

**ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №63, 6r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1888 წლის 27 დეკემბერზე ადრეული არ უნდა იყოს, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

**161.** 9 „ბერიშვილისა“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №63, 11r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხის შემოსავალ-გასავალი.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1888 წლის 27 დეკემბერზე ადრეული არ უნდა იყოს, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

**161.** 13 „წერეთლისაგან ნესტორ“ – საუბარია სოფელ კუხის მკვიდრზე, რომელმაც 1883 წელს სკოლა დააარსა.

### **<უბის ნიგნაკი №5> (გვ. 161)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა.

**აღწერილობა:** ნომრით – 698 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საქმიანი ჩანაწერებისთვის განკუთვნილი, სქელ მუყაოს ყდაში ჩასმული ორი უბის ნიგნაკი, ვერტიკალური წითელი ხაზებით, რომლებიც თითოეულ გვერდს შვიდ სვეტად ჰყოფს. მათი ზომა არის 20X18,5. რამდენადაც ეს უბის ნიგნაკები გამოცემაში ცალ-ცალკე უნდა წარმოგვედგინა, იძულებული გავხდით, ერთმანეთისგან განსახვავებლად უფრო ადრეული მოგვეხსენიებინა ლიტერით „ა“ და მეორე – ლიტერით „ბ“. №698 ა-ში 254-255 r. v.-ზე არის ე. ზუბალამ-

ვილის ჩანაწერები, რომლებშიც დადასტურებულია 1886 წლის სხვადასხვა თვეში ილია ჭავჭავაძისგან თანხების მიღება. საუბარი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მიერ ზუბალაშვილებისგან შესყიდული შენობის გადასახადზე. მასში მწერალი 1885 წლიდან ცხოვრობდა, მოგვიანებით კი იქვე განათავსა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაც.

**დათარილება:** ჩანაწერები მოიცავს ინფორმაციას 1877-1890 წლების მოვლენების შესახებ.

#### **ჩანაწერი 1**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 216 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** წიგნის განათხოვრება.

**დათარილება:** ჩანაწერში საუბარია ჰერბერტ სპენსერის წიგნზე „სოციოლოგიის საფუძვლები“ და სხვისი ხელით მიწერილია „წიგნი III“, რომელიც გამოქვეყნდა 1877 წელს. შესაბამისად, ჩანაწერი ამ თარიღზე ადრეული ვერ იქნება.

**161. 20 „გაბაევისა“** – სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

**161. 21 „ნაწიეშვილმა წაიღო“** – საუბარი უნდა იყოს მწერალსა და პუბლიცისტ ალექსანდრე ნაწიეშვილზე.

**161. 22 „სპენსერის სოციოლოგია“** – საუბარია ჰერბერტ სპენსერზე.

#### **ჩანაწერი 2**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 217 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1877 წელზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

#### **ჩანაწერი 3**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 219 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1877 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

#### **ჩანაწერი 4**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 221 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1877 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

#### ჩანაწერი 5

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 225 რ., v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1877 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

161. 31-162. 21 „**ლევანასი... ლუარსაბისთვის... მიხას... ილუასი...**“ – სავარაუდოდ, საუბარია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმებულ გლეხებზე.

#### ჩანაწერი 6

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 226 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1877 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

#### ჩანაწერი 7

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 226 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს პერიოდს 1879 წლის 7 ივნისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით, იგი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება.

163. 8-31 „**პეტრეასათვის... ლევანამ... ზურაბას**“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 8

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 228 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით და შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ამაზე ადრეული არ უნდა იყოს ესეც.

**164. 2-16 „სოლო... გიორგა... ქორია... გიგო... მისას ძმა გიორგა... ლევანას... ილუამ... რამაზა“** – სავარაუდოდ, საუბარია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმებულ გლეხებზე.

**ჩანაწერი 9**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 229 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხის მიღება.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

**164. 19 „სტაროსელსკისა“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ილია ჭავჭავაძის ქვისლ დიმიტრი სტაროსელსკიზე.

**ჩანაწერი 10**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 230 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სახელი.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

**164. 22 „იასე“** – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 11**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 231 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გასაცემი და მისაღები თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

**164. 24 „დარისპანა“** – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 12**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 232 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გასაცემი თანხა.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

**164. 27 „ივანესი“** – საუბარი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მიერ დაქირავებულ პირზე, რადგან ჩანს, რომ ჯამაგირს თვითურად უხდიდა.

### ჩანაწერი 13

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 233 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

165. 2 „რაჟდენა“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

### ჩანაწერი 14

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 234 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ქონება.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ჩანაწერი 1879 წლის 30 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, ესეც ამაზე ადრეული არ უნდა იყოს.

### ჩანაწერი 15

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 236 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, ქართულად.

**თემა:** სახლის ქირა წლების და თვეების მიხედვით.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1884 წლის 1 აპრილამდე მომხდარი ფაქტებია აღწერილი, იგი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.

### ჩანაწერი 16

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 243 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით. მის მოკლე ჩანაწერს მოსდევს დურგლის რამდენიმე ჩანაწერი, რომლებშიც ადასტურებს ილია ჭავჭავაძისგან თანხის მიღებას.

**თემა:** დურგლისთვის გადახდილი თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1884 წლის 1 აპრილზე ადრეული ვერ იქნება, სავარაუდოდ, ასევე უნდა იყოს ესეც.

### ჩანაწერი 17

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 244 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ხარჯი.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1883 წლის მაისი წარსულშია ნახსენები, იგი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.



### ჩანაწერი 18

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 245 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** პირუტყვის და ქონების აღწერა.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1883 წლის 10 აპრილი წარსულშია ნახსენები, იგი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.

### ჩანაწერი 19

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 246-247 რ., v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1885 წლის 25 მაისი წარსულშია ნახსენები, იგი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.

166. 24-168. 12 „ილია... სიმონას... ანდრია... მაქსიმე... სფირიდონი... პრასკოვია“ – სავარაუდოდ, საუბარია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმებულ გლეხებზე.

### ჩანაწერი 20

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 248 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში 1885 წლის 25 მაისი წარსულშია ნახსენები, ამ დროზე ადრეული ვერც ეს ჩანაწერი იქნება.

169. 3-10 „მიხას... ივანე ხაბაზს... მიხას... რამაზას... ხოხეს... ბესოს“ – სავარაუდოდ, საუბარია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმებულ გლეხებზე.

169. 11-12 „კნ. დავითს“ – სავარაუდოდ, საუბარია მოურავ დავით ციციშვილზე.

### ჩანაწერი 21

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 250 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხა.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1885 წლის 26 ივლისი წარსულშია ნახსენები, იგი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.

169. 14 „ციციანოვს“ – სავარაუდოდ, საუბარია მოურავ დავით ციციშვილზე.

## ჩანაწერი 22

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 251 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, ქართულად.

**თემა:** ერბოს შესასყიდად გაცემული თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1884 წლის მოვლენებია აღწერილი, ის ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

**169. 21-32 „უდელა თიღილაური... მამუკა ჩეკურაშვილი... ლაგაზი გიგნაშვილი, ქავთარი ჩიტაური... ივანე თედელაური... ხუმარა ბატატაური“** – სავარაუდოდ, საუბარია ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელთაგანაც ყიდულობდა ერბოს.

## ჩანაწერი 23

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 257 რ., v, 258 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით და ფანქრით.

**თემა:** გიგო გაბაშვილისთვის გაგზავნილი თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ამ ჩანაწერში 1887 წლის 27 აპრილი წარსულშია მოხსენიებული, იგი ამ თარიღზე ადრეული არ უნდა იყოს, მაგრამ რაც შეეხება გიგო გაბაშვილისთვის თანხების გაგზავნას და მის მიერ ამის ხელმოწერით დადასტურებას, ეს გრძელდება 1885 წლის 26 ოქტომბრიდან 1890 წლის 30 მაისის ჩათვლით.

**170. 3 „გაუგზავნე“** – ჩანაწერიდან არ ჩანს, ვისთან გაგზავნილ თანხებზეა საუბარი, მაგრამ უბის წიგნაკში ამ ჩანაწერების წინაც №698 ა, 256 რ., v. და შემდეგაც №698, 258- 259 რ.v. გიგო გაბაშვილის ხელით გაკეთებული ჩანაწერებია, რომლებითაც ის ადასტურებს ილია ჭავჭავაძისგან სხვადასხვა წლის სხვადასხვა დროს თანხების მიღებას. ზოგი ჩანაწერიდან ჩანს ისიც, რომ ილია ჭავჭავაძეს მისთვის გასაგზავნად ამ თანხებს ილია ოქრომჭედლიშვილი აძლევდა.

## ჩანაწერი 24

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ა, 257 რ., v, 261 v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** მისამართი.

**დათარიღება:** რამდენადაც ილია ჭავჭავაძემ ძმისწულის ეს მისამართი საზღვარგარეთ მყოფ თავის დას – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას გაუგზავნა 1889 წლის 22 სექტემბერს, რომ სამშობლოში წამოსვლისას გზად მასთან გაეველო, ჩანაწერი ამ თარიღამდე უნდა იყოს გაკეთებული.

171. 3 „Адресъ Сени Чавчава[ძვე]:“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის ძმი-სწულზე – სიმონ (სენო) კონსტანტინეს ძე ჭავჭავაძეზე.

### <უბის ნიგნაკი №6> (გვ. 171)

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №696 (2).

**აღწერილობა:** უბის ნიგნაკი, აკინძული, სპეციალური დანიშნულების საქმიანი ჩანაწერებისთვის, დახაზული 5 სვეტად.

**დათარილება:** უბის ნიგნაკში აღწუსებულია 1887-1892 წლის ფაქტები. იგი ძირითადად სხვისი ნაწერია, მაგრამ ცალკეულ ფურცლებზე გვხვდება ილია ჭავჭავაძის ხელი.

#### ჩანაწერი 1

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 4.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარილება:** ჩანაწერში ჯერ 1888 წლის 8 თებერვალი და შემდეგ 5 აპრილია ნახსენები. შესაბამისად, იგი 1888 წლის 5 აპრილზე ადრეული ვერ იქნება.

171. 7-12 „იაკობი... გიორგა“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 2

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 5.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარილება:** ჩანაწერში 1887 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია მოხსენიებული, შესაბამისად, იგი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

171. 14 „პავლე დადგა“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 3

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 6.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარილება:** ამავე გვერდის მომდევნო ჩანაწერში 1892 წლის მაისია ნახსენები. შესაბამისად, ამ ჩანაწერში ნახსენები 17 აპრილიც 1892 წლისა უნდა იყოს და ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

171. 17 „სეფე დადგა“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 4

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 7.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** შვეიცარიის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარიღება:** დათარიღება ვერ ხერხდება.

#### ჩანაწერი 5

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 8.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1887 წლის 18 აპრილი წარსულ დროშია მოხსენიებული, იგი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

171. 25 „**არტემა დადგა**“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 6

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 9.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარიღება:** დათარიღება ვერ ხერხდება.

171. 29 „**ზალიკა... დადგა**“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 7

**ფურცელი:** C №696 (2), გვ. 10.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით.

**თემა:** მუშის დაქირავება და ანაზღაურება.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1890 წლის თებერვალი წარსულ დროშია მოხსენიებული, იგი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

172. 6 „**ალექსი დადგა**“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

### **<უზის ნიგნაკი №7> (გვ. 172)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №58.

**აღწერილობა:** უზის ნიგნაკის ყდას წითელი ატლასი აქვს გადაკრული, ფურცლები ხორცისფერი და უხაზოა.

**დათარიღება:** შესაძლოა, რომ პირველი სამი ჩანაწერი 1879 წლის 21 ნოემბრამდე იყოს გაკეთებული, მაგრამ ყველაზე გვიანდელი ჩანაწერები არა უადრეს 1894 წლისებია.

### **ჩანაწერი 1**

**ხელნაწერი:** C №58, 01.

**აღწერილობა:** ნახაზი შესრულებულია ფანქრით და იქვეა მიწერილი ციფრები.

**თემა:** ოთახების გეგმა, ესკიზი.

**დათარილება:** რამდენადაც ორი ჩანაწერის შემდეგ 1879 წლის 21 ნოემბერია ნახსენები, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერი უფრო ადრეული უნდა იყოს.

### **ჩანაწერი 2**

**ხელნაწერი:** C №58, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** თანხების შემოსავალ-გასავალი.

**დათარილება:** რამდენადაც მომდევნო ფურცელზე 1879 წლის 21 ნოემბერია ნახსენები, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერი უფრო ადრეული უნდა იყოს.

172. 20 „**დათიკო ბარათოვმა**“ – სავარაუდოდ, საუბარია დავით ზაქარიას (ზაალის) ძე ბარათაშვილზე.

172. 21 „**კოლა ერისთავი**“ – საუბარი უნდა იყოს ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავზე.

172. 22 „**რევაზ ვაჩნაძემ**“ – საუბარი უნდა იყოს რევაზ იოსების ძე ვაჩნაძეზე.

172. 23 „**ავალოვის სახლში**“ – შესაძლოა საუბარი იყოს დავით ივანეს ძე ავალიშვილზე.

172. 24 „**დათიკო სუმბათოვმა**“ – საუბარი უნდა იყოს დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე.

172. 25 „**შარვაშიძემ**“ – სახელი მითითებული არ არის და ძნელი სათქმელია, რომელი შარვაშიძე იგულისხმება

172. 26 „**ფისუნმა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრ ალექსეის ძე ფისუნზე.

### **ჩანაწერი 3**

**ხელნაწერი:** C №58, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, ფანქრით.

**თემა:** სესხების ანგარიშები.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე გვერდზე 1879 წლის 21 ნოემბერია ნახსენები, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერი უფრო ადრეული უნდა იყოს.

#### **ჩანაწერი 4**

**ხელნაწერი:** C №58, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, ყავისფერი მელნით.

**თემა:** საკრედიტო საზოგადოებიდან გატანილი თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 5**

**ხელნაწერი:** C №58, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია ქართულ ენაზე, ბაცი ყავისფერი მელნით.

**თემა:** საბანკო ბილეთის ნომერი.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე გვერდზე გაკეთებულ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 6**

**ხელნაწერი:** C №58, 2v.

**აღწერილობა:** ნაწერია ქართულ ენაზე, ყავისფერი მელნით.

**თემა:** თანხების გაცემაზე.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე ფურცლის წინა გვერდზე 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

173. 5 „პავლეს უესტის დამხურავს“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### **ჩანაწერი 7**

**ხელნაწერი:** C №58, 2v.

**აღწერილობა:** ნაწერია ქართულ ენაზე, ყავისფერი მელნით.

**თემა:** თანხების გაცემაზე.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ფურცლის ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

#### **ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №58, 4r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, ყავისფერი მელნით.

**თემა:** თანხის აღებ-მიცემა.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

173. 16 „Отъ Левана Джандиери“ – საუბარია ლევან გიორგის ძე ჯანდიერზე.

**ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №58, 5v.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, ფანქრით.

**თემა:** გაზეთ „დროების“ შემოსავალი.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

**ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №58, 5v.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, შავი მელნით.

**თემა:** მისამართი.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

173. 21 „Васо адреса“ – სავარაუდოდ, საუბარია ვასილ მაჩაბელზე, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა.

**ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №58, 5v.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, შავი მელნით.

**თემა:** მისაღები თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

173. 29 „სოსიკო შალიკოვზეა“ – სავარაუდოდ, საუბარია იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილზე.

173. 30 „კოლა ერისთავზე“ – საუბარი უნდა იყოს ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავზე.

173. 31 „იასე ჭავჭავაძეზე“ – სავარაუდოდ, საუბარია იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძეზე.

173. 32 „რავაზ ვაჩნაძეზე“ – საუბარი უნდა იყოს რევაზ იოსების ძე ვაჩნაძეზე.

173. 33 „კონია მუხრანსკიზედ“ – სავარაუდოდ, საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

**173. 34 „ვანო ორბელიანზე“** – სავარაუდოდ, საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

**173. 35 „დათიკო სუმბათოვზე“** – საუბარი უნდა იყოს დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე.

#### **ჩანაწერი 12**

**ხელნაწერი:** C №58, 6r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ ენაზე, შავი მელნით.

**თემა:** თანხა.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1879 წლის 27 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც უფრო ადრეული ვერ იქნება.

**173. 37 „Ив. Мар.“** – შესაძლოა ეწეროს ივანე მაღალაშვილი, მაგრამ პირის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

#### **ჩანაწერი 13**

**ხელნაწერი:** C №58, 8v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** საკუთარი ღვინოების რაოდენობა.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1880 წლის 24 ნოემბერი წარსულშია ნახსენები, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

**174. 2 „Читахова“** – სახელი არ არის ნახსენები და პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### **ჩანაწერი 14**

**ხელნაწერი:** C №58, 8v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** ღვინოების რაოდენობა.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში 1880 წლის 24 ნოემბერი წარსულშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც იმაზე ადრეული არ უნდა იყოს.

#### **ჩანაწერი 15**

**ხელნაწერი:** C №58, 11r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულ და ქართულ ენებზე, ფანქრით.

**თემა:** სხვადასხვა.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა მხარის ბოლო ჩანაწერები 1880 წლის 24 ნოემბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა დათარიღდეს ეს ჩანაწერიც.



174. 24 „Доде“ – საუბარია ფრანგ მწერალ ალფონს დოდეზე.

174. 25 „ჯუარი ქეთოს“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 16

ხელნაწერი: С №58, 11r.

აღწერილობა: ნაწერია რუსულ ენაზე, ფანქრით.

თემა: სხვადასხვა.

დათარიღება: რამდენადაც წინა მხარის ბოლო ჩანაწერები 1880 წლის 24 ნოემბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა დათარიღდეს ეს ჩანაწერიც.

174. 29 „Худадь Худадову“ – პირის ვინაობა დაუდგენელია.

#### ჩანაწერი 17

ხელნაწერი: С №58, 9v.

აღწერილობა: ნაწერია რუსულ ენაზე, ფანქრით.

თემა: ასაღები და მისაცემი თანხები.

დათარიღება: რამდენადაც 1894 წლის მაისი წარსულ დროშია ნახსენები, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

174. 33 „Шаликовъ“ – სავარაუდოდ, საუბარია იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილზე.

174. 34 „Кипіани“ – შესაძლოა, საუბარი იყოს დიმიტრი ყიფიანზე.

174. 35 „Гогчаевъ“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

174. 37 „Джандієри“ – საუბარია ლევან გიორგის ძე ჯანდიერზე.

175. 2 „за Шервашидзе“ – გაურკვეველია, რომელ შერვაშიძეზეა საუბარი.

175. 3 „за Кено“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

175. 8 „Захарію Джор“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძეზე.

175. 9 „Александръ Ив. Полторацкій“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ილია ჭავჭავაძის მეგობრის, ივანე პოლტარაცკის ვაჟზე.

175. 10 „Симонъ Гогоберидзе“ – სავარაუდოდ, საუბარია სიმონ ბესარიონის ძე ლოლობერიძეზე.

#### ჩანაწერი 18

ხელნაწერი: С №58, 9 r.

აღწერილობა: ნაწერია . ფანქრით.

თემა: ფურების ყიდვაზე.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე ფურცლის მეორე გვერდზე ჩანანერია, რომელიც 1894 წლის მაისზე ადრეული ვერ იქნება, ამაზე ადრეული არ უნდა იყოს არც ეს ჩანანერი.

**175. 12 „ყურბან ასახოლო“** – ჩანს, რომ საუბარია ყასაბზე. სხვა ინფორმაცია მის შესახებ არ მოგვეპოვება.

#### **ჩანანერი 19**

**ხელნაწერი:** C №58, 9 რ.

**აღწერილობა:** ნანერია რუსულად, ფანქრით.

**თემა:** ყურნალის ხარჯები.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე ფურცლის მეორე გვერდზე ჩანანერია, რომელიც 1894 წლის მაისზე ადრეული ვერ იქნება, ამაზე ადრეული არ უნდა იყოს არც ეს ჩანანერი.

#### **ჩანანერი 20**

**ხელნაწერი:** C №58, 8v.

**აღწერილობა:** ნანერია რუსულად, ფანქრით.

**თემა:** სიტყვების მნიშვნელობა.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანანერში 1894 წლის მაისი წარსულ დროშია ნახსენები, არც ეს ჩანანერი უნდა იყოს ამაზე ადრეული.

#### **ჩანანერი 21**

**ხელნაწერი:** C №58, 9v. რ., 3 რ. v.

**აღწერილობა:** ნანერია . ფანქრით. როგორც ჩანს, თავდაპირველად წერა დაუნყო უბის წიგნაკის უკანა მხრიდან და მე-9 მუხლიდან, როდესაც უბის წიგნაკში ცარიელი ფურცლები გაუთავდა, გადმოაბრუნა და ნაღმა მხრიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე გააგრძელა. ამას ადასტურებს მუხლების ავტორისეული ნუმერაცია.

**თემა:** საკუთარი ყვარლის ღვინოების რაოდენობები.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანანერში 1894 წლის მაისი წარსულ დროშია ნახსენები, არც ეს ჩანანერი უნდა იყოს ამაზე ადრეული.

**175. 22 „ერთი ურმიანი“** – ურმიანს უწოდებენ ქვევრს, რომელშიც ჩადის ერთი ურემი ყურძნისგან დაწურული ღვინო.

**175. 31 „ზოკოს ქვევრი“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ზოკო ხევში დაკრეფილი ყურძნით სავსე ქვევრზე.

## ჩანაწერი 22

**ხელნაწერი:** C №58, 8r.

**აღწერილობა:** ნაწერია ქართულად და რუსულად, ფანქრით.

**თემა:** სარემონტო მასალა.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1894 წლის მაისი წარსულ დროშია ნახსენები, არც ეს ჩანაწერი უნდა იყოს ამაზე ადრეული.

## ჩანაწერი 23

**ხელნაწერი:** C №58, 7v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** ასაღები და მისაცემი თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1894 წლის მაისი წარსულ დროშია ნახსენები, არც ეს ჩანაწერი უნდა იყოს ამაზე ადრეული.

176. 8 „ავალოვზეა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დავით ივანეს ძე ავალიშვილი.

176. 10 „მგალობელოვისა“ – შესაძლოა იგულისხმებოდეს სოფ-რომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი.

## <უბის წიგნაკი №8> (გვ. 176)

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №62, №57, 15-16 r., v.

**აღწერილობა:** მუქი ფერის ყდამი ჩასმული უბის წიგნაკი, ხორცის-ფერი, უხაზო ფურცლებით. ამ უბის წიგნაკის რამდენიმე ფურცელი ჩადებულია №57 უბის წიგნაკში, რომელსაც არ შეესაბამება არც ფერით, არც ფორმით და არც ხარისხით. ამიტომ მათ ვბეჭდავთ ამ უბის წიგნაკის მასალებთან.

**დათარიღება:** ჩანაწერებში უბის წიგნაკის ორივე მხრიდან მოხსენიებულია 1894 წლის პუბლიკაციები. შესაბამისად, ჩანაწერები ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

## ჩანაწერი 1

**ხელნაწერი:** C №62, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ამონარიდი გრიგოლ ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერი იმავე გვერდზეა შესრულებული, რომელიც არა უადრეს 1894 წლით თარიღდება, ესეც იმავე პერიოდისა უნდა იყოს.

## ჩანაწერი 2

**ხელნაწერი:** С №62, 1-7r.v., 8 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად და შიგადაშიგ გადახაზულია წითელი ფანქერით.

**თემა:** ბანკის საქმეები.

**დათარიღება:** ჩანაწერში 1894 წლის ჟურნალები არის მოხსენიებული, შესაბამისად, ამაზე ადრეული ვერ იქნება.

**176.** 33-34 „заявленія Андроникова Георгія“ – შესაძლოა საუბარი იყოს პოეტსა და მთარგმნელ გიორგი სოლომონის ძე ანდრონიკაშვილზე.

**176.** 35 „Д. И. Кипіани“ – საუბარია დიმიტრის ივანეს ძე ყიფიანზე.

**177.** 5 „Мач-ли – საუბარია ცნობილ მთარგმნელ ივანე გიორგის ძე მაჩაბელზე.

**177.** 28 „Луки Евст. Тарханова“ – საუბარია ლუარსაბ (ლუკა) ესტატეს ძე თარხან-მოურავზე.

**177.** 33 „дома Корганова“ – გაურკვეველია, რომელი ყორღანაშვილის სახლზეა საუბარი.

**178.** 6 „Арцруновскаго имения“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ არწრუნის ქარვასლაზე.

**178.** 8 „Шаликова продано – გაურკვეველია, რომელ შალიკაშვილზეა საუბარი.

**178.** 9 „Мириманова... Поракова... Андрушкевича“... – საუბარია იმ პირებზე, რომელთა მამულებიც გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

**178.** 10 „Амиллахвари Ив. Теймуразовича“ – საუბარია ივანე თეიმურაზის ძე ამილახვარზე.

**178.** 12 „Домъ Амирова“ – საუბარია პირზე, რომელსაც სახლი ჰქონდა ბანკში დაგირავებული.

**178.** 17 „Мирзоева – საუბარია პირზე, რომელსაც სახლი ჰქონდა ბანკში დაგირავებული.

**178.** 21 „по дѣлу Зиалова – საუბარია პირზე, რომელსაც სახლი ჰქონდა ბანკში დაგირავებული.

**178.** 26-27 „Прокоповича... Мирзаханова“ – საუბარია იმ პირებზე, რომელთა მამულებიც ბანკს დარჩა ვალის გადაუხდელობის გამო.

**178.** 28 „предложеніе Кобиева“ – სავარაუდოდ, საუბარია ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრ ალექსანდრე იოსების ძე კობიაშვილზე.

**180.** 18 „Амбриева и Мамаджанова“ – საუბარია იმ პირებზე, რომელთა მამულებიც ბანკს დარჩა ვალის გადაუხდელობის გამო.

180. 20 „по дѣлу Платадзе“ – საუბარია პირზე, რომლის მამულიც ბანკს დარჩა ვალის გადაუხდელობის გამო.

### **ჩანაწერი 3**

**ხელნაწერი:** C №57, 16 r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, რუსულად. ფურცლის ფორმა, ფერი და ხარისხი შეესაბამებოდა №62, და არა №57 უბის წიგნაკისას, რომელშიც ის დევს და ამიტომ გადმოვიტანეთ №62-ის ტექსტებთან.

**თემა:** საბანკო დაანგარიშება.

**დათარილება:** რამდენადაც ფურცელი უბის წიგნაკიდან ამოვარდნილია, ტექსტების თანმიმდევრობის მიხედვით მისი დათარილება ვერ ხერხდება.

### **ჩანაწერი 4**

**ხელნაწერი:** C №57, 16 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად. ფურცლის ფორმა, ფერი და ხარისხი შეესაბამებოდა №62, და არა №57 უბის წიგნაკისას, რომელშიც ის დევს და ამიტომ გადმოვიტანეთ №62-ის ტექსტებთან.

**თემა:** საბანკო დაანგარიშება.

**დათარილება:** რამდენადაც ფურცელი უბის წიგნაკიდან ამოვარდნილია, ტექსტების თანმიმდევრობის მიხედვით მისი დათარილება ვერ ხერხდება.

### **ჩანაწერი 5**

**ხელნაწერი:** C №57, 16v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით და შავი მელნით. ფურცლის ფორმა, ფერი და ხარისხი შეესაბამებოდა №62, და არა №57 უბის წიგნაკისას, რომელშიც ის დევს და ამიტომ გადმოვიტანეთ №62-ის ტექსტებთან.

**თემა:** აქციების კურსი.

**დათარილება:** რამდენადაც ფურცელი უბის წიგნაკიდან ამოვარდნილია, ტექსტების თანმიმდევრობის მიხედვით მისი დათარილება ვერ ხერხდება.

### **ჩანაწერი 6**

**ხელნაწერი:** C №57, 15r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით და შავი მელნით. ფურცლის ფორმა, ფერი და ხარისხი შეესაბამებოდა №62, და არა №57 უბის

ნიგნაკისას, რომელშიც ის დევს და ამიტომ გადმოვიტანეთ №62-ის ტექსტებთან.

**თემა:** ცალკეული საბანკო საქმეები.

**დათარიღება:** რამდენადაც ტექსტში 1888 წლის ფაქტია მოხსენიებული, იგი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

**182. 11 „Дѣлу Татиѣва“** – სავარაუდოდ, საუბარია პირზე, რომელსაც მამული ჰქონდა დაგირავებული ბანკში.

**182. 13 „Семенова и Амирова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირებზე, რომლებსაც მამულები ჰქონდათ დაგირავებული ბანკში.

**182. 18 Онъ Эрвѣ** – სავარაუდოდ, საუბარია პირზე, რომელსაც მამული ჰქონდა დაგირავებული ბანკში.

### **ჩანაწერი 7**

**ხელნაწერი:** C №57, 15v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით. ფურცლის ფორმა, ფერი და ხარისხი შეესაბამებოდა №62, და არა №57 უბის ნიგნაკისას, რომელშიც ის დევს და ამიტომ გადმოვიტანეთ №62-ის ტექსტებთან.

**თემა:** ციფრები.

**დათარიღება:** რამდენადაც ფურცლის მეორე გვერდზე 1888 წლის ფაქტია მოხსენიებული, ესეც არ უნდა იყოს ამ წელზე ადრეული.

### **ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №62, 8 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით და წითელი ფანქრით, რუსულად.

**თემა:** მოხსენების შესახებ.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1883 წელი წარსულშია მოხსენიებული, ის ამაზე ადრეული ვერ იქნება.

### **ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №62, 8 r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით და შავი მელნით.

**თემა:** წიგნები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერიდან ჩანს ივანე მაჩაბელთან დაპირისპირება, იგი 1891 წლამდე უნდა იყოს დაწერილი.

**183. 8 „მ. მაჩაბლის თქმული“** – საუბარია მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელზე.

**183. 8 „ვანო მაჩაბელს მიანდეს“** – საუბარია ივანე გიორგის ძე მაჩაბელზე.

**183. 17 „ანდრონიკაშვილის საქმისა“** – შესაძლოა საუბარი იყოს პოეტსა და მთარგმნელ გიორგი სოლომონის ძე ანდრონიკაშვილზე.

**ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №62, 8 v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** წიგნები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1891 წელზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №62, 9 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად და ქართულად.

**თემა:** წიგნები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1891 წელზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**183. 23 „Г. Андрониковъ“** – შესაძლოა საუბარი იყოს პოეტსა და მთარგმნელ გიორგი სოლომონის ძე ანდრონიკაშვილზე.

**183. 24-27 „Автандилов... Рейтеръ... Манановъ... Аваловъ“** – პირთა მხოლოდ გვარებია დასახელებული და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

**183. 28 „М. Грузинскій“** – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრუზინსკიზე.

**183. 29 „П. Грузинскій“** – სავარაუდოდ, საუბარია პეტრე გრუზინსკიზე.

**183. 30 „А. Орбеляни“** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ორბელიანზე.

**183. 32-33 „ზაქარა მეველეს... მარტიას ძმას“** – მხოლოდ სახელებია დასახელებული და პირთა ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 12**

**ხელნაწერი:** C №62, 13v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** სხვადასხვა.

**დათარილება:** რამდენადაც ამავე გვერდზე მოთავსებულ მეორე ჩანაწერში 1894 წლის წიგნია ნახსენები, ეს ჩანაწერიც ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

184. 3 „По дѣлу Мирзоева“ – გაურკვეველია, რომელ მირზოევზე არის საუბარი.

184. 5 „Д-ръ Покровскій, Лагранжъ, Котельманъ и Дюбуа-Реймонъ“ – საუბარია ექიმ იაგორ არსენის ძე პოკროვსკიზე, ფერდინანდ ლაგრანჟზე, ლუდვიგ ვილჰელმის ძე კოტელმანსა და ემილ ჰენრიხ დიუბუა-რეიმონზე.

### ჩანაწერი 13

**ხელნაწერი:** С №62, 13v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად. პრეიერის გვარი არასწორად წერია. უნდა იყოს „Преиер“.

**თემა:** წიგნები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1894 წლის წიგნია ნახსენები, ის ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

184. 9 „Преиеръ“ – საუბარია უილიამ პრეიერის 1894 წელს გამოცემულ წიგნზე.

184. 9 „Каптерова“ – საუბარია პეტრე თეოდორეს ძე კოპტერეევზე.

184. 11 „Ланглюа“ – საუბარია შარლ ვიქტორ ლანგლუას 1893 წელს გამოცემულ წიგნზე.

184. 12 „Марьежоль“ – საუბარია ჟან იპოლიტ მარიეჟოლის 1893 წელს გამოცემულ წიგნზე.

184. 13 „В. Коптеревъ“ – ინიციალი არასწორად არის მითითებული. აქაც საუბარია პეტრე თეოდორეს ძე კოპტერეევზე და მის 1883 წელს გამოცემულ წიგნზე.

### ჩანაწერი 14

**ხელნაწერი:** С №62, 13r., 11 r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით და შავი მელნით რუსულად და ქართულად. ფურცლებს შორის ჩადებულია სხვა ფურცელი, რომელიც ამჟამად სხვა ადგილიდან არის ამოვარდნილი. ამას მოწმობს მისი ადრეული პაგინაციაც.

**თემა:** ასალები და გასაცემი თანხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერი არა უადრეს 1894 წლის ჩანაწერებს შორის არის მოქცეული, ესეც არ უნდა იყოს ამაზე ადრეული.

184. 15-16 „Агмурову... Рейтеру“... – პირთა მხოლოდ გვარებია ნახსენები და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.



184. 17-18 „Сумбатову... Казарову“ – შესაძლოა საუბარი იყოს დავით სუმბათაშვილსა და არტო ყაზაროვზე.

184. 19 Мамиконову“ – პირთა მხოლოდ გვარებია ნახსენები და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

184. 21 „საშაზე“... – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანზე.

184. 22 „სერგოზე“... – შესაძლოა საუბარი იყოს თბილისელ ექიმ სერგეი ბოგდანის ძე ხალათოვზე.

184. 23 „გივზე“ – პირის მხოლოდ სახელია ნახსენები და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

184. 24 „ანტონზე“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძეზე.

184. 25 „გ. ანდრონიკოვზე“ – შესაძლოა საუბარი იყოს გიორგი სოლომონის ძე ანდრონიკაშვილზე.

184. 28-30 „კომახიძეს... გიორგის... გელაძე“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

185. 1 „არტემის“ – სავარაუდოდ, საუბარია არტემ ახნაზაროვზე.

185. 2 „მანსვეტოვზე“ – სავარაუდოდ, საუბარია იაკობ მანსვეტაშვილზე.

185. 3 „ავალოვზე“ – შესაძლოა საუბარი იყოს ბანკის დირექტორ დავით ივანეს ძე ავალიშვილზე.

185. 5 „პეტ. გრუზინსკიზე“ – სავარაუდოდ, საუბარია პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკიზე.

185. 14 „ალექ. შადინოვზე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე გრიგოლის ძე შადინოვზე.

185. 16 „მ. გრუზინსკიზე“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრუზინსკიზე.

185. 17 „გ. თარხანოვზე“ – შესაძლოა, საუბარი იყოს გიორგი იორამის ძე თარხანიშვილზე.

185. 18 „დ. მელიქოვზე“ – სავარაუდოდ, საუბარია დავით ალექსანდრეს ძე მელიქიშვილზე.

185. 19 „ვ. მანანოვზე“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

185. 20 „დ. ბარათოვზე“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

**ჩანაწერი 15**

**ხელნაწერი:** C №62, 11 v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ზმნის ფორმები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერი არა უადრეს 1894 წლის ჩანანერებს შორის არის მოქცეული, ესეც არ უნდა იყოს ამაზე ადრეული.

**ჩანანერი 16**

**ხელნაწერი:** C №62, 12 r.

**აღწერილობა:** ნანერია შავი მელნით.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერი არა უადრეს 1894 წლის ჩანანერებს შორის არის მოქცეული, ესეც არ უნდა იყოს ამაზე ადრეული.

**ჩანანერი 17**

**ხელნაწერი:** C №62, 12 r.

**აღწერილობა:** ნანერია ფანქრით, რუსულად.

**თემა:** საბანკო გამოთვლები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერი არა უადრეს 1894 წლის ჩანანერებს შორის არის მოქცეული, ესეც არ უნდა იყოს ამაზე ადრეული.

**ჩანანერი 18**

**ხელნაწერი:** C №62, 12 v.

**აღწერილობა:** ნანერია შავი მელნით, რუსულად.

**თემა:** კონტროლიორის ვინაობა.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერი არა უადრეს 1894 წლის ჩანანერებს შორის არის მოქცეული, ესეც არ უნდა იყოს ამაზე ადრეული.

**186. 9 „Николай Николаевич Николаев“** – აქვე მითითებულია, რომ იყო აქციზების მთავარი კონტროლიორი, სხვა ცნობები კი მის შესახებ არ მოგვეპოვება.

**ჩანანერი 19**

**ხელნაწერი:** C №62, 10 v.

**აღწერილობა:** ნანერია ფანქრით და შავი მელნით. ფურცელი უბის ნიგნაკიდან ამოვარდნილია და არასწორ ადგილას დევს.

**თემა:** ასალები ან მისაცემი თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანანერში 1893 წელია ნახსენები, ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**186. 13 „ჩიკვაიძეს“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაიძე.

## ჩანაწერი 20

**ხელნაწერი:** C №62, 10 v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით. ფურცელი უბის წიგნაკიდან ამოვარდნილია და არასწორ ადგილას დევს.

**თემა:** ასალები ან მისაცემი თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1894 წლის 11 მარტის ფაქტებია ნახსენები, ამ თარიღზე ადრეული ვერ იქნება.

**186. 17 „ავალოვს“** – შესაძლოა საუბარი იყოს დავით ივანეს ძე ავალიშვილზე.

**186. 18 „ან. ფურცელაძეს“** – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ფურცელაძეზე.

**186. 19 „მ. გრუზინსკის“** – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრუზინსკიზე.

**186. 20 „შალიკოვს“** – სავარაუდოდ, საუბარია იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილზე.

**186. 21 „მარტიას“** – პირის ვინაობა გაურკვეველია.

**186. 22 „მანსვეტოვს“** – სავარაუდოდ, საუბარია იაკობ მანსვეტაშვილზე.

## ჩანაწერი 21

**ხელნაწერი:** C №62, 9. r.v., 10 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით, რუსულად. ზოგიერთი მუხლი წითელი ფანქრით არის მონიშნული.

**თემა:** საბანკო საკითხები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1894 წელი წარსულშია მოხსენიებული, ის ამაზე ადრეული ვერ იქნება.

**187. 8 „Дѣло Туманова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირზე, რომელსაც ბანკში მამული ჰქონდა დაგირავებული.

**187. 9 „оцѣнкѣ Мирзоева и Амирова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირებზე, რომლებსაც ბანკში მამულები ჰქონდათ დაგირავებული.

**187. 10 „оцѣнкѣ Мириманова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირზე, რომელსაც ბანკში მამული ჰქონდა დაგირავებული.

**187. 11 „Дѣло Корганова-Прокоповича“** – სავარაუდოდ, საუბარია პირებზე, რომლებსაც ბანკში მამულები ჰქონდათ დაგირავებული.

**187. 14 „Протоколь о Мирзашвили и Магалова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირებზე, რომლებსაც ბანკში მამულები ჰქონდათ დაგირავებული.

**187. 21 „Семенова и Амирова“** – სავარაუდოდ, საუბარია პირებზე, რომლებსაც ბანკში მამულები ჰქონდათ დაგირავებული.

187. 22 „Боровик гражд. Законы“ – უნდა იგულისხმებოდეს მოსამართლე ალექსანდრ ლევის ძე ბოროვიკოვსკი, რომელსაც ეკუთვნის სამოქალაქო სასამართლო საქმისწარმოების წესდება და სამოქალაქო კანონების Mმე-10 ტომი.

### **<უბის წიგნაკი №9> (გვ. 187)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №56. C №62, 2 r.v.

**აღწერილობა:** ყავისფერ ტყავის ყდაში ჩასმული უბის წიგნაკი, წერილუჯრებიანი ფურცლებით; ზომა: 11,5X17,5, 80 ფურცელი, აქედან დაუნერელია 18-76 ფურცლები. ახლად რესტავრირებული, რესტავრაციის დროს ჩასმულია მოშინდისფრო-მოყავისფრო კოლენკორის ყდაში, ფურცელთა კიდეები ტონირებულია წითელი ფერის საღებავით. კიდეებდაზიანებული და აღდგენილი სარესტავრაციო ქალაღდით. პირველი ფურცლის კიდის დაზიანების გამო ძნელად იკითხება რამდენიმე სიტყვა. უბის წიგნაკში, 31-ე გვერდზე უკანა მხრიდან, გვხვდება 1904 წლის 20 იანვრისა და 27 მაისის სხვისი ხელით შესრულებული 2 ჩანაწერი, ფაქსიმილით. საუბარია იმის თაობაზე, რომ ამ პირს ილია ჭავჭავაძემ ორჯერ (პირველად 400, შემდეგ კი 100 მანეთი) გადაუხადა ნაქირავები ბინის საფასურად. გამოცემაში სხვისი ნაწერები არ იბეჭდება. ამავე უბის წიგნაკს უნდა ეკუთვნოდეს და გადმოვიტანეთ №62 უბის წიგნაკში ჩადებული ილია ჭავჭავაძის მიერ ნაწერი ერთი ფურცელი.

**დათარიღება:** ჩანაწერები შესრულებულია სხვადასხვა დროს, დაწყებული არა უადრეს 1884 წლისა და დამთავრებული არა უადრეს 1896 წლით.

### **ჩანაწერი 1**

**ხელნაწერი:** C №56, 1 r.v.

**აღწერილობა:** ნაწერი ქართულ და რუსულ ენებზე და დანომრილი. პუნქტი 1-12 შესრულებულია r, 13-24 კი – v-ზე. პუნქტი 1-16 ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით, 17-24 კი – ფანქრით. მოგვიანებით მელნით ნაწერშიც ავტორის მიერვე ჩამატებულია ციფრები ფანქრით, წითელი ფანქრით ხაზგასმულია ცალკეული სიტყვები: 4) გული; 5) ძალღებს; 12) ბაბილონსა; 18) ზენდ-ავესტა; 19) Басни. არ იკითხება რამდენიმე სიტყვა r გვერდის კიდის დაზიანების გამო

**თემა:** ამონაწერები მსოფლიო ისტორიის შესახებ დაუდგენელი გამოცემიდან და საკუთარი რეფლექსიები, დაკავშირება ქართულთან.

**დათარილება:** რამდენადაც მომდევნო ჩანაწერში ნახსენებია 1884 წლების გამოცემა, ეს ჩანაწერიც უნდა დათარიღდეს არა უადრეს 1884 წლით.

**187. 25 „[თ]ამმუზი ბაბილონისა“** – გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი უძველესი ბაბილონური ღმერთი.

**188. 3 „თეორია კურციუსისა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ცნობილი ისტორიკოსი ერნსტ კურციუსი.

**188. 10 „Мойсей 1491-1457“** – საუბარი უნდა იყოს მოსე წინასწარმეტყველზე. ზოგიერთი კვლევით, 1491 წელს ღმერთმა მოსეს აარონი გაუგზავნა, რომ მისი პირით ექადაგა. სავარაუდოდ, 1457 წელიც მასთან დაკავშირებულ რაიმე მოვლენას უკავშირდება.

## ჩანაწერი 2

**ხელნაწერი:** C №56, 2 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით რუსულ ენაზე.

**თემა:** შესასყიდი ან გამოსაწერი წიგნების ნუსხა.

**დათარილება:** რამდენადაც ჩამონათვალისგან ყველაზე გვიან გამოცემული წიგნი 1884 წლისაა, ჩანაწერი უნდა დათარიღდეს არა-უადრეს 1884 წლით.

**188. 13 „Ванденбергъ Основы мусульманскаго права“** – საუბარია ლუდვიგ ვილჰელმ ქრისტიან ვან დენ ბერგის წიგნზე, რომლის ზუსტი დასახელებაა „Основные начала мусульманскаго права, согласно учению имамов Абу Ханифы и Шафии“ და გამოცემულია 1882 წელს.

**188. 13 „перев. проф. Гиргаса“** – saubaria aRmosavleTmcodne vladimer Teodores Ze girgasze.

**188. 14 „Джонъ Фентонъ: Древнѣйшая жизнь евреевъ“** – სავარაუდოდ, საუბარია ბიბლიის მკვლევარ ჯონ ანტონი ჰორტ ფენტონზე და 1884 წელს რუსულად თარგმნილ მის წიგნზე.

**188. 15 „Краткая исторія Востока van den berg“** – საუბარია ლუდვიგ ვილჰელმ ქრისტიან ვან დენ ბერგის 1880 წელს გამოცემულ წიგნზე.

**188. 16 „Астафьевъ: Древности Вавилоно-Ассирийскія по новѣйшимъ открытіямъ“** – საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ასტაფიევის 1882 წელს გამოცემულ წიგნზე.

## ჩანაწერი 3

**ხელნაწერი:** C №56, 2 რ.

**აღწერილობა:** ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით ფრანგულად. „E. Okromtcredloff“ – გვარის ჩანერისას მწერალს ასოთშეერთება tch-ის ნაცვლად დაწერია – tcr .

**თემა:** მისამართი შენევაში.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე გვერდის დასაწყისში ჩამონათვალიდან ერთ-ერთი წიგნი 1884 წელს არის გამოცემული, ჩანაწერი უნდა დათარიღდეს არა უადრეს 1884 წლით.

**188. 19 „Geneve, Champel“** – საუბარია შვეიცარიაში, შენევის შემოგარენში მდებარე ადგილზე, რომელიც ცნობილია თავისი რეკრეაციული ზონებით.

**188. 20 „E. Okromtredloff“** – ოქრომჭედლიშვილის მხოლოდ ინიციალია მითითებული და გაურკვეველია, კონკრეტულად ვინ იგულისხმება, მაგრამ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ოქრომჭედლიშვილის ოჯახთან.

#### **ჩანაწერი 4**

**ხელნაწერი:** C №56, 2v.

**აღწერილობა:** ფანქრით ნაწერი.

**თემა:** წიგნის დასახელება, ავტორისა და ფასის მითითებით.

**დათარიღება:** რამდენადაც მითითებული წიგნი 1887 წელს არის გამოცემული, ჩანაწერი ამ დროზე ადრეული არ უნდა იყოს.

**188. 22 „Скифскія древности... Лаппо-Данилевскаго“** – საუბარია ალექსანდრ სერგეის ძე ლაპო-დანილევსკის 1887 წელს გამოცემულ წიგნზე.

#### **ჩანაწერი 5**

**ხელნაწერი:** C №56, 2v.

**აღწერილობა:** ფანქრით ნაწერი.

**თემა:** პირის სახელი, გვარი და მამის სახელი.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე გვერდზე მითითებული წიგნი 1887 წელს არის გამოცემული, ჩანაწერი ამ დროზე ადრეული არ უნდა იყოს.

**188. 24 „Егоръ Григ. Придановъ“** – ჩანაწერი ყოველგვარი კონტექსტის გარეშეა და პიროვნების ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება.

#### **ჩანაწერი 6**

**ხელნაწერი:** C №56, 2v.

**აღწერილობა:** ფანქრით ნაწერი.

**თემა:** კარ-ფანჯრის ზომები.

**დათარიღება:** ცნობილია, რომ 1889 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძემ და მისმა დამ, ელისაბედმა შეიძინეს შენობა, რომელიც მიხეილ გრუზინსკის ეკუთვნოდა და ვალში გაიყიდა. ეს ორსართულიანი

სახლი მდებარეობდა ნიკოლოზის ქუჩის № 21-ში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქ. № 7). ხელშეკრულება სახლის სარემონტო სამუშაოების შესახებ 22 ივლისამდეა გაფორმებული და კარ-ფანჯრების ზომებიც მანამდე დასჭირდებოდა.

#### **ჩანაწერი 7**

**ხელნაწერი:** C №56, 3 რ.

**აღწერილობა:** ფანქრით ნაწერი.

**თემა:** ხვესურული სიტყვა, განმარტებით.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა და მომდევნო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მწერლის დას – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას იმჟამინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე სახლი უკვე შეძენილი აქვს, ეს კი 1889 წლის ზაფხულში მოხდა, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

#### **ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №62, 2 რ.

**აღწერილობა:** მოყავისფრო მელნითა და შიგადაშიგ ფანქრით ნაწერი.

№56 უბის წიგნაკის ეს ფურცელი ამჟამად №62 უბის წიგნაკშია ჩაკერებული, მაგრამ №56 უბის წიგნაკის 3 v.-ზე დამჩნეული მელნის ლაქებიც, უჯრედებიანი ფურცელი და მისი ზომაც და მომდევნო ჩანაწერთან შინაარსობრივი თანხვედრაც მონიშნავს, რომ ეს ფურცელი ამ უბის წიგნაკის ამ ადგილიდან არის ამოვარდნილი.

**თემა:** „პ“ პრეფიქსის ხმარებების მაგალითები და ქართულ-რუსული სალექსიკონო მასალა.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა და მომდევნო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მწერლის დას – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას იმჟამინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე სახლი უკვე შეძენილი აქვს, ეს კი 1889 წლის ზაფხულში მოხდა, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**189. 8 „სამოციქულო პეტრესი მ. 21 თ. 2“** – იგულისხმება პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლეს მე-2 თავის 21-ე მუხლი.

**189. 11 „პავლე მოციქული (თ. 9. მ. 10“** – იგულისხმება პავლე მოციქულის ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ, თავი 9, მუხლი 10.

#### **ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №62, 2 v.

**აღწერილობა:** მოყავისფრო მელნით ნაწერი. №56 უბის წიგნაკის ეს ფურცელი ამჟამად №62 უბის წიგნაკშია ჩაკერებული, მაგრამ

№56 უბის წიგნაკის 3 v.-ზე დამჩნეული მეღვინის ლაქებიც, უჯრედები-ანი ფურცელი და მისი ზომაც და მომდევნო ჩანაწერთან შინაარსობრივი თანხვედრაც მონიშნავს, რომ ეს ფურცელი ამ უბის წიგნაკის ამ ადგილიდან არის ამოვარდნილი.

**თემა:** თავისი დის, ელისაბედისთვის მიცემული თანხა და განეუ-ლი ხარჯები.

**დათარიღება:** რამდენადაც ტექსტიდან ჩანს, რომ მწერლის დას – ელისაბედ ქავეჭავაძე-საგინაშვილისას იმჟამინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე მიხეილ გრუზინსკისგან სახლი უკვე შეძენილი უნდა ჰქონდეს, ეს კი 1889 წლის ზაფხულში მოხდა, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**189. 24 „ლიზოს მივეცი“** – იგულისხმება მწერლის და, ელისაბედ ქავეჭავაძე-საგინაშვილისა.

**189. 29 „გრუზინსკის მივეცი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მიხეილ ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომლისგანაც შეიძინა ილიას დამ – ელისაბედმა სახლი ნიკოლოზის ქუჩაზე (ამჟამად ჯავახიშვილის ქ.№7).

#### **ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №56, 4 r.v., 5r.

**აღწერილობა:** ფანქრით და მოყავისფრო მეღვინით ნაწერი. პირველ ხაზზე სიტყვა „ქალაღისა“ გვიან არის მიწერილი პატარა ასოებით და, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს, რომ ეს თანხაც ლიზას ფულიდან არის გაღებული.

**თემა:** თავისი დის, ელისაბედისთვის მიცემული თანხა და განეუ-ლი ხარჯები.

**დათარიღება:** რამდენადაც ტექსტიდან ჩანს, რომ მწერლის დას – ელისაბედ ქავეჭავაძე-საგინაშვილისას იმჟამინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე მიხეილ გრუზინსკისგან სახლი უკვე შეძენილი უნდა ჰქონდეს, ეს კი 1889 წლის ზაფხულში მოხდა, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული. რამდენადაც იქვე მითითებული თარიღებისა და კვირის დღეების მიხედვით (20 აგვისტო – კვირა; 3 სექტემბერი – კვირა) ჩანს, რომ საუბარია იმავე 1889 წელზე და ბოლო თარიღი, რაც არის ნახსენები, 17 სექტემბერია, ეს ჩანაწერი 1889 წლის 17 სექტემბრის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**190. 2 „ოლიკოს მიუცი“** – ბოლოში „ა“ აკლია.

**190. 3 „კიდევ მიუცი“** – ბოლოში „ია“ აკლია.

**190. 7 „დოვერენოსტი“** – იგულისხმება მინდობილობა.



**190. 8 „ვოლნილისტი“** – იგულისხმება ყმობიდან გათავისუფლების დამადასტურებელი ფურცელი.

**190. 9 „ზალოგოვი მონმობისათვის“** – საუბარია გირავნობის მონმობაზე.

**190. 13 „მელიქას მივეცი“** – სავარაუდოდ, საუბარია ხელოსანზე.

**190. 14 „მღებრიშვილს“** – სახელი არ წერია და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

**190. 16 „მაქსიმეს“** – მხოლოდ სახელი წერია და პირის ვინაობა დაუდგენელია.

**190. 17 „ილიას“** – გაურკვეველია, რომელ ილიაზეა საუბარი.

**190. 19 „Никитѣ“** – სავარაუდოდ, საუბარია ხელოსანზე.

### **ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №56, 5v.

**აღწერილობა:** ღია ყავისფერი მელნით ნაწერი.

**თემა:** ხეებზე გაჩენილი პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალების რეცეპტი.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე ფურცლის წინა გვერდის ტექსტი თარიღისა და კვირის დღის მიხედვით დადგენილი წლისა და მოხსენიებული ყველაზე გვიანდელი თარიღის მიხედვით 1889 წლის 17 სექტემბრის შემდეგ არის დაწერილი, ეს ჩანაწერიც ამ დროის შემდგომი უნდა იყოს.

**190. 36 „დაუჭრელი წეკვა“** – საუბარია თამბაქოს ფოთლების დანულ კონაზე.

### **ჩანაწერი 12**

**ხელნაწერი:** C №56, 6 r.v.

**აღწერილობა:** ყავისფერი მელნით ნაწერი.

**თემა:** სახლის გასარემონტებელი ფასები.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე ბლოკნოტის წინა ფურცლები 1889 წლის 17 სექტემბრის შემდეგ არის ნაწერი, ეს ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

### **ჩანაწერი 13**

**ხელნაწერი:** C №56, 6v.

**აღწერილობა:** ყავისფერი მელნით ნაწერი. „სანდრო მივეცი“ – პირველ სიტყვას „ს“ აკლია.

**თემა:** ვალის გადახდა.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე ბლოკნოტის წინა ფურცლები 1889 წლის 17 სექტემბრის შემდეგ არის ნაწერი, ეს ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**191. 22 „სანდრო“** – რამდენადაც ჩანს, რომ ამ სანდროს ვალი ჰქონდა, შესაძლოა საუბარი იყოს ბანკის ერთ-ერთ დირექტორ ალექსანდრე ჩოლოყაშვილზე.

#### **ჩანაწერი 14**

**ხელნაწერი:** С №56, 7-9 г.в.

**აღწერილობა:** მუქი ყავისფერი მელნით ნაწერი და ნასწორები. „только половина имѣний оказалась“ – ტექსტში ასე წერია.

**თემა:** საბანკო ოპერაციების ფორმულები და ანგარიშები.

**დათარიღება:** უბის ნიგნაკის პირველი ნაწილი, სავარაუდოდ, 1891 წლის 1 ივლისამდე უნდა იყოს დაწერილი, რადგან 1890 წელი წარსულშია ნახსენები „доходъ банка за 1890 годъ простирался“, 1891 წლის 1 ივლისი კი – მომავალში „если уменьшение срочныхъ платежей допускать съ 1<sup>го</sup> Июля 1891 года, то чистая прибыль за 1891 годъ будетъ“.

**192. 20 „пеня на нихъ“** – იგულისხმება საჯარიმო სანქცია.

#### **ჩანაწერი 15**

**ხელნაწერი:** С №56, 9v, 10 г.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით, 9v-ზე ტექსტი განთავსებულია წინა ჩანაწერისგან თავისუფალ ადგილებზე, ისე, რომ მელნით ნაწერი შეჭრილია ფანქრით ნაწერში.

**თემა:** საბანკო საკითხები.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში 1890 წელი წარსულშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც 1891 წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

**193. 25 „Боровиковскій страница“** – საუბარი უნდა იყოს იურისტ ალექსანდრ ლევის ძე ბოროვიკოვსკიზე

**194. 6 „Оцѣнка имѣнія Магалова“** – მაღალაშვილის მამულთან დაკავშირებული საქმე, როგორც ჩანს, განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რაკი ილია ჭავჭავაძეს ის ხშირად მოჰყავს მაგალითად.

#### **ჩანაწერი 16**

**ხელნაწერი:** С №56, 10 v. 11-12 г.в. 13 г.

**აღწერილობა:** ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით. „7) Чтобъ сколько нибудь“ – ამ ჩანაწერში მეოთხე მუხლის შემდეგ, რომელიც წინა

გვერდზე იწყება, მოდის მეშვიდე მუხლი. როგორც ჩანს, მწერალმა წინა გვერდზე აღარ გადაშალა და მუხლის ნომერი ზეპირად დანერა. ფურცელი ერთი და იგივეა და ტექსტიც ლოგიკურად გრძელდება, ასე რომ, შუაში რაიმეს გამოტოვება გამორიცხებულია.

**თემა:** საბანკო საკითხები.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერში 1890 წელი წარსულშია ნახსენები, ეს ჩანაწერიც 1891 წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

**194.** 30 „половина имѣній оказался принадлежащимъ“ – ტექსტი გადადის გვერდიდან გვერდზე და გრამატიკული წყობა გაუმართავია.

**195.** 1-2 „Мнѣніе Гинзбурга“ – საუბარია ცნობილ ფრანგ ბანკირ ჟაკ გინზბურგზე.

#### ჩანაწერი 17

**ხელნაწერი:** С №56, 13v.

**აღწერილობა:** ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით.

**თემა:** ერთი საბანკო საქმის შესახებ.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1896 წლის 16 იანვარი გასული ჩანს, იგი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**195.** 31 „Дѣло Касрадзе“ – საუბარია უნდა იყოს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მომხმარებელზე.

**195.** 32 „М-ли полагаеть“ – საუბარია უნდა იყოს ბანკის ერთ-ერთ დირექტორზე, ივანე მაჩაბელზე.

#### ჩანაწერი 18

**ხელნაწერი:** С №56, 14v., 15r.

**აღწერილობა:** ყავისფერი მელნით და ფანქრით ნაწერი.

**თემა:** საბანკო საკითხები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერი უბის წიგნაკში მოთავსებულია 1896 წლის 16 იანვრის შემდგომი ჩანაწერის შემდეგ, ესეც უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

**196.** 10 „Предусмотрительность Челокаева“ – სავარაუდოდ, საუბარია სათავადაზნაურო ბანკის დირექტორ ალექსანდრე ჩოლოყაშვილზე.

#### ჩანაწერი 19

**ხელნაწერი:** С №56, 19v.

**აღწერილობა:** ფანქრით და მუქი ყავისფერი მელნით ნაწერი. სიტყვათა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით გვარები, შემოკლებულია.

**თემა:** წიგნების ნუსხა, რომელთა გასწვრივაც მიწერილია ილია ჭავჭავაძის თანამშრომლების სახელები და გვარები. რამდენადაც

ეს ნიგნები არც ისე ახალი გამოსულია, ვფიქრობთ, მათ შექენაზე არ უნდა იყოს მინიშნება. შესაძლოა, ამ პირებს ეს ნიგნები ნათხოვარი ჰქონდათ ილია ჭავჭავაძისგან და ის, რომ ზოგი მათგანი გადახაზულია, შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ დაუბრუნეს.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანანერში 1890 წელს გამოცემული ნიგნი იხსენიება, იგი ამ წელზე ადრინდელი ვერ იქნება.

**196. 14 „Свобода воли Пурцел“** – სავარაუდოდ, საუბარია არტურ შოპენჰაუერის 1886 წელს გამოცემულ ნიგნზე „Свобода воли и основы морали“ და, როგორც ჩანს, ეს ნიგნი სჭირდებოდა ანტონ ფურცელაძისთვის.

**196. 15 „Арх. путешествие Хизано“** – შესაძლოა საუბარი იყოს დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1878 წელს გამოცემულ ნიგნზე „Археологическое путешествие по Гурии и Адчаре“ და ნიკოლოზ ხიზანიშვილზე.

**196. 16 „Цагарели – Мосе.“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ალექსანდრე ცაგარელი და მისე ჯანაშვილი.

**196. 17 „Фламаріонъ – Мансвѣтовъ“** – სავარაუდოდ, საუბარია კამილ ფლამარიონის ნიგნის „Исторія неба“ 1875 წელს გამოცემულ რუსულ თარგმანზე და იაკობ მანსვეტაშვილზე.

**196. 18 „[III] томъ Шлосера“** – სავარაუდოდ, საუბარია ფრიდრიხ შლოსერის 1870 წელს გამოცემული ნიგნის „Всемирная исторія“ მესამე ტომზე.

**196. 19 „Тейлоръ II т.“** – სავარაუდოდ, საუბარია ედუარდ ბერნეტ ტეილორის ნიგნის „Первобытная культура : изслѣдованія развитія мифологіи, философіи, религіи, искусства и обычаев“ მეორე ტომზე, რომელიც 1873 წელს გამოიცა.

**196. 20 „Община Мена Хизановъ“.** – იგულისხმება ჰენრი ჯეიმს მენი, ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სამართლის სოციოლოგი და მისი ნაშრომი „Деревенская общины на востоке и западе“, რომელიც რამდენჯერმე აქვს გამოყენებული ნიკო ხიზანიშვილს (ურბნელს) თავის იურიდიულ მონოგრაფიაში „ძეგლის დადება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, გამოცემულია 1890 წელს.

**196. 21 „Баратаева и Кирѣва Исторія. ჭრელაშვილი“** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ისტორიკოს სულხან გრიგოლის ძე ბარათაშვილსა და 1865-1871 წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ მის ნიგნზე „საქართველოს ისტორია“. ასევე შესაძლოა იგულისხმებოდეს ალექსანდრ ალექსეის ძე კირევეის რომელიმე ნიგნი და „ივერიის“ თანამშრომელი სტეფანე ჭრელაშვილი.

196. 22 „Исторія Петрова Нанейшв.“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მიხეილ ნაზარეს ძე პეტროვის მიერ 1882 წელს გამოცემული წიგნი „ნარკვევები მსოფლიო ისტორიიდან“ და ჟურნალისტი ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი.

196. 23 „Оллендорфъ Фран. Хизанов.“ – შესაძლოა იგულისხმებოდეს ჰენრიხ გოტფრიდ ოლენდორფის წიგნი „ფრანგულად წერის, კითხვისა და საუბრის შესწავლის ახალი მეთოდი“, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა 1877 წელს. ასევე საუბარი უნდა იყოს ნიკოლოზ თაღეიშვილის ძე ხიზანიშვილზე.

196. 24 „Мевеле собствен – сть Хизанов.“ – „მეველე“ დავით მიქელაძის ფსევდონიმია. საუბარი უნდა იყოს მასზე და ნიკოლოზ ხიზანიშვილზე.

196. 25 „Шиллеръ Т. I. Микелазе Дага.“ – საუბარი უნდა იყოს ფრიდრიხ შილერის თხზულებათა პირველ ტომზე, რომელიც 1863 წელს გამოიცა.

#### **ჩანაწერი 20**

**ხელნაწერი:** С №56, 19г.

**აღწერილობა:** მოშავო მელნით არის ნაწერი და ჩამონათვალი დანომრილია.

**თემა:** შესაძენი წიგნების ნუსხა, ზოგან გამოცემის წლისა და ფასების მითითებით.

**დათარიღება:** მართალია, ამ ჩამონათვალში ნახსენებია ყველაზე გვიან 1889 წელს გამოცემული წიგნები, მაგრამ რამდენადაც წინა ჩანაწერში არის 1890 წელს გამოცემულიც, სავარაუდოდ, არც ეს ჩანაწერი უნდა იყოს 1890 წელზე ადრეული.

196. 27 „Филологическія записки.“ – სავარაუდოდ, საუბარია ანდრეი აკიმის ძე ივანოვის მიერ 1878 წელს გამოცემულ წიგნზე.

196. 28 „Дубровскій Н.“ – საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დუბროვსკის წიგნზე „Полный толковый словарь иностранных слов, вошедших в русский язык, с указанием корней“, რომელიც 1871 წლიდან თითქმის ყოველ წელს გამოდიოდა.

196. 30 „Культура плодовых деревъ въ горшках или въ кадкахъ. Соч. [Ри]верса.“ – საუბარია თომას რივერსის წიგნზე, რომელიც რუსულ ენაზე 1889 წელს გამოიცა.

196. 32 „Федоровъ В. Абисинія Историко-географическій очеркъ“ – საუბარია ვლადიმერ ვასილის ძე ფედოროვის წიგნზე, რომელიც 1889 წელს გამოიცა.

196. 33 „Комнатное цветководство соч. М. Ю. Петрова.“ – საუბარია 1881 წელს გამოცემულ წიგნზე, რომლის ავტორი ქალია, მაგრამ ინიციალების გაშიფრვა ვერ ხერხდება, რადგან მის არცერთ წიგნზე სახელი სრულად არ არის მინერილი.

196. 34 „книжный магазинъ Тузова.“ – საუბარია მ. ი. პეტროვას წიგნის „ოთახის მეყვავილეობა“ გამომცემელზე, ეგნატე ლუკას ძე ტუზოვსა და მის წიგნის მალაზიაზე.

#### **ჩანაწერი 21**

**ხელნაწერი:** С №56, 18гв.

**აღწერილობა:** ფანქრით არის ნაწერი და ჩამონათვალი დანომრილია.

**თემა:** ისტორიული ფაქტებისა და ჩვეულებების ამონაწერი, გვერდების მითითებით ჰერბერტ სპენსერისა და ედუარდ ტეილორის წიგნებიდან.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1890 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

197. 2 „Спенсеръ“ – საუბარია უნდა იყოს ჰერბერტ სპენსერის 1876-1877 წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნზე „Основания социологии“.

197. 4 „Карль Великий“ – საუბარია ფრანკთა მეფე კარლოს დიდზე.

197. 15 „Тейлоръ Культура“ – ამონაწერები გაკეთებულია ედუარდ ბერნეტ ტეილორის 1872-1873 წლებში გამოცემული ორტომიულიდან „პირველყოფილი კულტურა“.

#### **ჩანაწერი 22**

**ხელნაწერი:** С №56, 17г.

**აღწერილობა:** მოყავისფრო მელნით ნაწერი.

**თემა:** ციტირება.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1890 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

197. 25 „Альфонсъ Каррь“ – საუბარია ფრანგ მწერალ ალფონს კარზე.

#### **ჩანაწერი 23**

**ხელნაწერი:** С №56, 17г.

**აღწერილობა:** მოშავო მელნით ნაწერი.

**თემა:** ჩანაწერი.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთ წინა ჩანაწერში 1890 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული. საგულისხმოა ისიც, რომ გიორგი წერეთელი ბათუმში სამუშაოდ სწორედ 1890 წელს გადავიდა.

**197. 29 „агентъ въ Батумѣ Г. Ц-III“** – შესაძლოა, საუბარი იყოს გიორგი წერეთელზე, რომელიც 1890 წლიდან ბათუმში ქართველ მუშათა არტელს ხელმძღვანელობდა.

### **<უბის წიგნაკი №10> (გვ. 197)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №60.

**აღწერილობა:** მოყავისფრო ყდაში ჩასმული ვიწრო უბის წიგნაკი, ლურჯად დახაზული უჯრებიანი ფურცლებით.

**დათარილება:** უბის წიგნაკის ერთი მხრიდან დასაწყისში 1891 წლის ზაფხულის ფაქტებია მოხსენიებული და თან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე რუსეთში იმყოფება, მეორე მხრიდან კი – ბევრად უფრო გვიანდელი მოვლენებია, 1900 წლის ჩათვლით. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ უბის წიგნაკის გვერდები არასწორად არის დანომრილი საპირისპირო მხრიდან და გამოცემაში ტექსტებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვალაგებთ.

### **ჩანაწერი 1**

**ხელნაწერი:** C №60, 24v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით რუსულად. დანომვრისას მუხლი „2“ გამოტოვებულია.

**თემა:** მისამართები.

**დათარილება:** რამდენადაც ტექსტიდან ჩანს, რომ 1891 10 ივლისი გასულია, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

**197. 32 „Бергъ“** – სახელი მითითებული არ არის და პირის ვინაობა დაუდგენელია.

**197. 33 „Вольнрюкъ и к“** – მე-19 საუკუნეში რუსეთში არსებობდა ამ დასახელების სავაჭრო სახლი.

**197. 33 „Гебгарт“** – გერმანული გვარია. სახელი მითითებული არ არის და პირის ვინაობა დაუდგენელია.

**198. 1 „Трубачевъ“** – სახელი მითითებული არ არის და პირის ვინაობა დაუდგენელია.

**198. 3-4 „Вознесенский (шубы)“** – სავარაუდოდ, საუბარია ბენვეულის მაღაზიის მისამართზე.

**198. 5 „На углу Звенигородской и кабинетской.“** – პეტერბურგის ქუჩებია.

198. 6 „Митрофановское кладбище“ – ვორონეჟის მიტროპოლიტის, წმინდანად შერაცხილი მიტროფანეს სასაფლაო მდებარეობდა პეტერბურგში.

198. 7 „Акакий“ – გაურკვეველია, ვინ იგულისხმება.

198. 9 „Баронъ фонъ Витте“ – შესაძლოა საუბარი იყოს იული თევდორეს ძე ვიტეზე.

## ჩანაწერი 2

ხელნაწერი: С №60, 23v.

აღწერილობა: ნაწერია ფანქრით რუსულად.

თემა: სხვადასხვა.

დათარიღება: ჩანაწერი მამია გურიელის გარდაცვალების, 1891 წლის 25 ივლისის მომდევნო დღეებში უნდა იყოს გაკეთებული, რადგან სწორედ იმ დროს იმყოფებოდა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში.

198. 14 „Ковако“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ანა ქაიხოსროს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეზე, ალექსანდრ ნიკოლოზის ძე კოვაკოზე.

198. 15 „Мамия“ – სავარაუდოდ, საუბარია პოეტ მამია გურიელზე. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იყო, როდესაც ის გარდაიცვალა და მისდამი მიძღვნილი სტატია „ივერიაში“ დასაბეჭდად იქიდან გამოაგზავნა.

198. 16 „Озерки дача Лісев[ск]аго“ – „ოზერკი“ ქალაქ პეტერბურგის ძველი რაიონია, ლისევსკის სახელი კი მითითებული არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

## ჩანაწერი 3

ხელნაწერი: С №60, 23v.

აღწერილობა: ნაწერია ფანქრით და ყავისფერი მელნით, რუსულად.

თემა: პუბლიკაციები.

დათარიღება: რამდენადაც წინა ჩანაწერი 1891 წლის 25 ივლისის მომდევნო დღეებშია გაკეთებული, ესეც ამაზე ადრეული ვერ იქნება.

## ჩანაწერი 4

ხელნაწერი: С №60, 22v., 23 r.

აღწერილობა: ნაწერია ფანქრით რუსულად.

თემა: წაგებული და მოგებული თანხები.



**დათარილება:** რამდენადაც 11 ნომბერი წარსულ დროშია მოხსენიებული, წინა ჩანაწერები კი 1891 წლის ივლისის არის, სავარაუდოდ, ეს ჩანაწერი 1891 წლის 11 ნომბრის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

**198.** 21-23 „у Коли... Агмурова“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

**198.** 26 „Зах. Чавчава[дзе]“ – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეზე.

#### **ჩანაწერი 5**

**ხელნაწერი:** C №60, 22r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1891 წლის 11 ნომბრის შემდეგდროინდელია, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

**199.** 4 „მიუღია პაშას“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### **ჩანაწერი 6**

**ხელნაწერი:** C №60, 21v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1891 წლის 11 ნომბრის შემდეგდროინდელია, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

**199.** 17 „Карагашвили получил“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### **ჩანაწერი 7**

**ხელნაწერი:** C №60, 21v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად.

**თემა:** ციფრები.

**დათარილება:** რამდენადაც 13 ნომბერი წარსულ დროშია მოხსენიებული, წინა ჩანაწერები კი 1891 წლისაა, ეს ჩანაწერი 1891 წლის 13 ნომბრის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

**199.** 25-28 „ტონისათვის... კახუაშვილისათვის... გაბოსათვის“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია. სავარაუდოდ, საუბარია მეზობელ გლეხებზე.

#### **ჩანაწერი 8**

**ხელნაწერი:** C №60, 19v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერები 1891 წლის 13 ნოემბრის შემდეგდროინდელია, ეს უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

**199.** 32-33 – **200.** 1 „დავიდოვს... დათას... გიგას“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

**200.** 4-5 „მაქსიმეს... სტრიქონების ფული“ – სავარაუდოდ, საუბარია მესტამბე მაქსიმე შარაძეზე.

**ჩანაწერი 9**

**ხელნაწერი:** C №60, 19v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით .

**თემა:** გაცემული თანხები.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერები 1891 წლის 13 ნოემბრის შემდეგდროინდელია, ეს უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

**200.** 12 „ლიზასი“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მწერლის და – ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა.

**ჩანაწერი 10**

**ხელნაწერი:** C №60, 18r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად.

**თემა:** ციტატა.

**დათარილება:** ჩანაწერში 1898 წელია ნახსენები და, შესაბამისად, ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

**ჩანაწერი 11**

**ხელნაწერი:** C №60, 16v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** საბანკო საქმე.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1898 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს..

**201.** 4-5 „Теръ органезова... Налицианцъ“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია. შესაძლოა, მეორე გვარი არასწორად ეწეროს და იგულისხმებოდეს „ნალბანდიანი“. სავარაუდოდ, ბანკის მომხმარებლები უნდა იყვნენ.

**ჩანაწერი 12**

**ხელნაწერი:** C №60, 16v.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** საბანკო საქმე.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1898 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს..

**201. 7.** „Теръ -Акоповъ Асагуръ Петровъ“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

**ჩანაწერი 13**

**ხელნაწერი:** C №60, 16r.

**აღწერილობა:** ნაწერია ფანქრით.

**თემა:** ხალხური ლექსი.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1898 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს..

**ჩანაწერი 14**

**ხელნაწერი:** C №60, 15v.

**აღწერილობა:** ნაწერია უბრალო და ლურჯი ფანქრით.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1898 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს..

**ჩანაწერი 15**

**ხელნაწერი:** C №60, 15r.

**აღწერილობა:** ნაწერია უბრალო და ლურჯი ფანქრით რუსულად.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1898 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს..

**202. 4** „Отъ кн. Грузинскогo“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრუზინსკიზე.

**ჩანაწერი 16**

**ხელნაწერი:** C №60, 15r., 14v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად.

**თემა:** სამეურნეო.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1900 წელს გამოცემული წიგნებია ნახსენები, ის ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**202. 12** „Домъ Дрепе“ – საუბარია უნდა იყოს ცნობილი ფრანგი მელვინის – კამილ ფილიპ დეპრეს სახლზე, რომელშიც განთავსებული იყო წიგნის მაღაზია.

**202. 13** „Коссе П“ – საუბარია ლუიჯი კოსეს / კოსას 1900 წელს გამოცემულ წიგნზე.

202. 14 „Русские во Франции“ – საუბარია კლო-აშასის 1900 წელს გამოცემულ წიგნზე.

202. 17. „О. Н. Штейнбергомъ“ – საუბარია ოვსეი ნაუმის ძე შტეინბერგის 1900 წელს გამოცემულ წიგნზე.

#### ჩანაწერი 17

**ხელნაწერი:** С №60, 1r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მელნით, განივად, ყდის სამაგრ ფურცელზე.

**თემა:** მისამართი.

**დათარილება:** რამდენადაც მინაწერი გაკეთებულია ყდის საცავ ფურცელზე, იგი, სავარაუდოდ, უბის ნიგნაკის სხვა ჩანაწერებზე გვიან უნდა იყოს შესრულებული.

202. 22 „дом... Дешре“ – საუბარი უნდა იყოს ცნობილი ფრანგი მეღვინის – კამილ ფილიპ დეპრეს სახლზე, რომელშიც განთავსებული იყო წიგნის მალაზია.

#### ჩანაწერი 18

**ხელნაწერი:** С №60, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მელნით და ფანქრით. დანომრილია ფანქრით.

**თემა:** სიახლეები.

**დათარილება:** რამდენადაც ჩანაწერში 1892 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

202. 24 „Самоннтолевые постройки“ – უბის ნიგნაკში ბროშურის სათაური არასწორად არის ჩანერილი. უნდა იყოს: „Постройка самоннтолевых огнеупорных зданий“. მისი ავტორია კონსტანტინე ივანეს ძე მასლიანნიკოვი და გამოცემულია 1892 წელს. როგორც ჩანს, ამ სათაურს იღია ვილაცის კარნახით იწერდა და ამიტომ არის სიტყვები არასწორად დაყოფილი. ბროშურაში საუბარია ალიზითა (მზეზე გამოშრალი გამოუნვაი აგური) და ტოლით (კუპრით გაჟღენთილი მუყაოს მასალა, რომელსაც იყენებდნენ შენობების გადასახურავად) აგებულ შენობებზე.

202. 25-26 „Инжинера Степанова“ – საუბარი უნდა იყოს ინჟინერ ფილიპ პეტრეს ძე სტეპანოვზე.

202. 27 „постройки Грудистона“ – იგულისხმება მიხეილ გრუდისტოვი, ავტორი წიგნისა „Дешевые нестрогаемые постройки“. უბის ნიგნაკში შეცდომით არის ჩანერილი გამოცემის ავტორის გვარი.

### ჩანაწერი 19

**ხელნაწერი:** C №60, 2r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მეღვინით. ამ ჩანაწერით მუშაზეა გაყოფილი წინა ჩანაწერი, რომელსაც საერთო ნუმერაცია აქვს.

**თემა:** თხოვნა.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე გვერდზე გაკეთებულ წინა ჩანაწერში 1892 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება უფრო ადრეული.

**202.** 29 „Иосифъ Карамановичъ Зааловъ“ – შესაძლოა საუბარი იყოს ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის – მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილის ძმაზე.

### ჩანაწერი 20

**ხელნაწერი:** C №60, 3r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მეღვინით.

**თემა:** თხოვნა.

**დათარიღება:** რამდენადაც 1893 წლის 9 სექტემბრის გაზეთია ნახსენები, ჩანაწერი უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

### ჩანაწერი 21

**ხელნაწერი:** C №60, 3r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად ფანქრით.

**თემა:** საინტერესო გამოცემები.

**დათარიღება:** რამდენადაც 1894 წლის წიგნია ნახსენები, ჩანაწერი ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

**203.** 3 „Робертъ Овѣнь оъ образованіи характера“ – საუბარია ინგლისელ ფილოსოფოსსა და პედაგოგ რობერტ ოუენსა და მის წიგნზე „Об образовании человеческого характера“, რომელიც მოსკოვში 1893 წელს გამოიცა.

**203.** 4 „Альбомъ цитатъ“ – საუბარი უნდა იყოს ალექსეი ნიკოლოზის ძე ოსტროგორსკის მიერ 1885-1887 წლებში გამოცემულ ალბომებზე, რომლებშიც ცნობილ ადამიანთა გამონათქვამები იბეჭდებოდა.

**203.** 5 „Самоучитель двойной бухгалтеріи Скубица“ – საუბარია ფრიდრიხ სკუბიცის წიგნზე, რომელიც 1894 წელს გამოიცა.

### ჩანაწერი 22

**ხელნაწერი:** C №60, 4 r.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად ფანქრით.

**თემა:** ციტატა.

**დათარილება:** რამდენადაც წინა და მომდევნო ჩანაწერებში 1894 წელს გამოცემული წიგნებია ნახსენები, ვერც ეს ჩანაწერი იქნება ამ წელზე ადრეული.

**203. 7 „Изречения Веллингтона“:** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ინგლისელ მხედართმთავარზე ჰერცოგ არტურ უელსლი ველონგტონზე.

**203. 7 „Demandez un boeuf pour avoir un oeuf“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ფრანგული ანდაზა „Demander un boeuf pour avoir un oeuf“ (კვერცხს გასცემს და ხარს მოელის).

### **ჩანაწერი 23**

**ხელნაწერი:** С №60, 4 г.в., 5г., 6г.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მელნით და ფანქრით.

**თემა:** წიგნების ჩამონათვალი.

**დათარილება:** რამდენადაც ჩამოთვლილი წიგნებიდან ყველაზე გვიანდელი 1896 წელს არის გამოცემული, ჩანაწერი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**203. 9 „Дѣтство и юность великих людей. ... Кнолера. – საუბარია ფრანგ პოეტ ქალზე რევიოლ ლუიზა კოლეზე (Louise Colet / Луиза Коле) აღნიშნული წიგნი პირველად პარიზში 1865 წელს ფრანგულ ენაზე, რუსულად კი 1894 წელს გამოვიდა. უბის წიგნაკში ავტორის გვარი არასწორად არის მითითებული.**

**203. 10 „Крихлеръ... Дрессировка собакъ“** – იგულისხმება ფრანგ კრიხლერის წიგნი – „Породы собакъ (Hunderassen): Описание всѣхъ породъ собакъ: охотничьихъ, сторожевыхъ, защитныхъ и комнатныхъ. Дрессировка собакъ. Лѣчебникъ собакъ“. 1895 წელს გამოცემული. ჩანაწერში სათაურის ნაცვლად ქვესათაურია მითითებული.

**203. 11 „Лагранж“** – იგულისხმება ფერნანდ ლაგრანჟი. მისი წიგნის შიშმარევასეული რუსული თარგმანი, რომელზეც საუბარია ჩანაწერში, 1896 წელს არის გამოცემული სანქტ-პეტერბურგში.

**203. 13 „Сказки, предания и легенды всехъ временъ и народов, Владимирова“** – საუბარია ალექსანდრა კონსტანტინეს ასულ პავლოვა-ვეროპუუსის მიერ 1894 წელს გამოცემულ წიგნზე.

**203. 15 „ж. пѣио,“** – იგულისხმება ჟიულ პეიო.

**203. 15 „перев. съ фран. Шишмаревой“** – იგულისხმება მთარგმნელი მარია ანდრეის ასული შიშმარევა.

**203. 16 „Маурръ Людвигъ“** – საუბარია გეორგ ლუდვიგ მაურერის წიგნზე. ავტორის გვარი ჩანაწერში არასწორად არის.

203. 17 „Пер. Корша“ – საუბარია მთარგმნელ ევგენი თეოდორის ძე კორშზე.

203. 19 „В. Пашкевича“ – საუბარია ბიოლოგ ვასილი ვასილის ძე პაშკევიჩზე.

203. 20 „Струве. П.“ – საუბარია პეტრე ბერნგარდის ძე სტრუვეს 1894 წელს გამოცემულ წიგნზე.

203. 22 „человечество Шопенгауера“ – სავარაუდოდ, იგულისხმება პირველი ნაწილი არტურ შოპენჰაუერის წიგნისა, რომელიც 1894 წელს გამოიცა მოსკოვში.

#### ჩანაწერი 24

**ხელნაწერი:** С №60, 6 г. v., 7г.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად შავი მელნით და ერთგან მინანური აქვს წითელი ფანქრით.

**თემა:** რეფლექსიები იოსებ ეკშტეინის წიგნზე „**Честь в философии и в правѣ**“ და მისი დაკავშირება პრესასთან.

**დათარიღება:** აქ ნახსენები წიგნი პირველად 1895 წელს გამოიცა, მაგრამ, რამდენადაც წინა ჩანაწერი 1896 წელზე ადრეული ვერ იქნება, ეს ჩანაწერიც იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

204. 1 „въ положеніи Донъ Кихота“ – უშედეგო ბრძოლის კუთხით შედარებულია სერვანტესის გმირთან.

204. 3 „Честь въ философии и правѣ“ – მითითებული გვერდები ემთხვევა იოსებ ეკშტეინის 1895 წელს რუსულად გამოცემული წიგნისას.

#### ჩანაწერი 25

**ხელნაწერი:** С №60, 7. v., 8г. v, 9г.

**აღწერილობა:** ნაწერია რუსულად გრაფიტით, შავი მელნით და წითელი ფანქრით. მუხლის ნომერი „11“ შეცდომით ორჯერ მეორდება.

**თემა:** წიგნები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩამონათვალში 1897 წელს გამოცემული რამდენიმე წიგნია, იგი ამ წელზე ადრინდელი ვერ იქნება.

204. 19 „Описательная Астрономія Хандрикова“ – იგულისხმება მიტროფანე თეოდორეს ძე ხანდრიკოვის წიგნი „Описательная астрономія, элементарно изложенная“, გამოცემული კიევიში 1896 წელს.

204. 20 „Путеводитель по небу. Покровскаго“ – იგულისხმება კონსტანტინ პოკროვსკის წიგნი „Путеводитель по небу: практическое руководство“. გამოცემული მოსკოვში 1894 წელს.

**204.** 21-22 „Пер. съ нѣмецкаго. Дрентельна.“ – საუბარია სიმონ ნიუ-კომის ნიგნზე, რომელიც თარგმნა ნიკოლოზ სერგეის ძე დრენტელნმა და გამოიკა 1896 წელს.

**204.** 23 „Армань Рено: Героизмъ.“ – იგულისხმება არმან რენოს ნიგნი „Героизм: Примеры героизма и нравственной энергии из истории всех времен и народов“, გამოცემული პეტერბურგში 1896 წელს, რომელიც უთარგმნია და რუსული მაგალითებით გაუმდიდრებია ვ. დ. ვლადიმეროვს.

**204.** 24 „Левисъ и Рамбо“ – საუბარია ერნესტ ლევისისა (ლავისი) და ალფრედ რამბოს ნიგნზე, რომელიც 1897 წელს გამოიკა.

**204.** 26 „Дружбинъ“ – საუბარია პავლე ვასილის ძე ფილონოვის (ფსევდონიმი – დრუჟბინი) მიერ 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 28 „Бюхеръ“ – საუბარია კარლ ბიუხერის 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 29 „Д’эстурნел де-Констанъ“ – საუბარია პოლ ანრი ბენჟამენ დესტურნელ დე-კონსტანისა 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 30 „Л. Уордъ“ – საუბარია ლესტერ ფრანკ უორდის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 31 „Тэнь“ – საუბარია იპოლიტ ტენის 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 32 „Орелкинъ“ – საუბარია პეტრე თეოდორეს ძე ორელკინის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 33 „Лѣчебникъ домашнихъ животныхъ“ – საუბარია იაკობ მარკის ძე შმულევიჩის ნიგნზე, რომელიც 1896 წელს გამოიკა.

**204.** 34 „Лангстротъ“ – საუბარია ლორენც-ლორენ ლანგსტროტის 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**204.** 35 „Общедоступный ското-лѣчебникъ, составленный Я. М. Шмулевичемъ“ – ინფორმაცია არასწორია შმულევიჩის ნიგნს ერქვა „Общедоступный лечебникъ домашнихъ животныхъ“.

**205.** 1 „Густава-Адольфа Гирна“ – საუბარია გუსტავ ადოლფ გირნის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

**205.** 2 „Переводъ С. И. Старынскаго“ – მთარგმნელის გვარი უბის ნიგნაკში არასწორად არის მითითებული. ნიგნს მთარგმნელის წინასიტყვაობის ბოლოს აწერია С. Старынкевич, კატალოგში მითითებულია С.И. Старынкевич და, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს სოკრატ ივანეს ძე სტარინკევიჩზე.

**205.** 3 „Генри Джорджа“ – საუბარია ჰენრი ჯორჯის 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.



## ჩანაწერი 26

**ხელნაწერი:** С №60, 9r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** სამეურნეო რჩევები.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანაწერი 1897 წელზე ადრინდელი ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**205. 8 „გალლანდიის საჟსა“** – მოძველებული ტერმინი, შავი საღებავი, რომელიც გამოყენება ფერწერასა და პოლიგრაფიაში, ასევე ასანთის თავების დამზადებაში.

## ჩანაწერი 27

**ხელნაწერი:** С №60, 9v., 17 v. r., 10r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად. უბის წიგნაკის ამ ადგილიდან ამოვარდნილია ფურცელი, რომელიც სხვაგან არის ჩადებული, მაგრამ წიგნების ავტორისეული ნუმერაციით დავადგინეთ, რომ ამ ტექსტის შუა ნაწილი იყო.

**თემა:** წიგნები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩამონათვალში 1899 წლის წიგნებიც არის, ის ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

**205. 15 „Ределинь“** – საუბარია გ. რედელინის 1898 წელს გამოცემულ წიგნზე „Руководство къ разведенію шампиньонов, составленное по новейшим научным и практическим данным“.

**205. 16 „Карль Бюхеръ“** – საუბარია კარლ ბიუხერის 1897 წელს გამოცემულ წიგნზე „Происхождение народного хозяйства и образование общественных классов-“.

**205. 18 „переводъ съ нѣмец. Булгакова“** – საუბარია სერგეი ნიკოლოზის ძე ბულგაკოვის თარგმანზე.

**205. 19 „Антоніо Лабріола“** – საუბარია ანტონიო ლაბრიოლას 1898 წელს გამოცემულ წიგნზე.

**205. 22 „Я. Нѣмецъ“** – საუბარია იაროსლავ იოსების ძე ნემეცის 1898 წელს გამოცემულ წიგნზე.

**205. 23 „Эмиль де Лавеле“** – საუბარია ემილ ლუი ვიქტორ დე ლაველეს წიგნზე.

**205. 24 „подъ редакціей Антоновича“** – სავარაუდოდ, საუბარია რუს ფილოსოფოსსა და ლიტერატურის კრიტიკოს მაქსიმ ალექსის ძე ანტონოვიჩზე.

**205. 25 „Ингремъ“** – საუბარია ჯონ კელს ინგრემის 1897 წელს გამოცემულ წიგნზე.

205. 26 „А. Миклашевскаго“ – საუბარია ალექსანდრ ნიკოლოზის ძე მიკლაშევსკიზე.

205. 27 „Шмоллеръ“ – საუბარია გუსტავ ფრიდრიხ შმოლერის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

205. 28 „Котляревскаго“ – სავარაუდოდ, საუბარია ეკატერინე ნიკოლოზის ასულ ორლოვა-კოტლიარევსკაიაზე.

205. 29 „Карль Менгеръ“ – საუბარია კარლ მენგერის 1894 წელს გამოცემულ ნიგნზე, რომლის ზუსტი სათაურია „Исследования о методах социальных наук и политической экономии в особенности“.

205. 30 „Подъ редакцію А. Гурьева“ – საუბარია ეკონომისტ ალექსანდრ ნიკოლოზის ძე გურევეზე.

205. 31 „Дж. Гобсонъ“ – საუბარია ჯონ ატკინსონ გობსონის 1898 წელს გამოცემულ ნიგნზე.

205. 32-33 „А. Свирщевскаго“ – საუბარია ალექსანდრ რაფაილის ძე სვირშჩევსკიზე.

206. 1 „У. Дж. Эшли“ – საუბარია უილიამ ჯეიმს ეშლის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 2 Петрушевскаго“ – საუბარია დიმიტრი მოსეს ძე პეტრუშევსკიზე.

206. 3 „Чупровъ“ – საუბარია ალექსანდრ ივანეს ძე ჩუპროვის 1892 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 4 „Г. Гиббинсъ“ – საუბარია ჰენრი გიბბინსის 1895 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 5 „А. В. Каменскаго“ – საუბარია ანდრეი ვასილის ძე კამენსკიზე.

206. 6 „Шиншель“ – საუბარია მაქს შიპელის 1897 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 7 „редакцию П. Струве“ – საუბარია პეტრე ბერნგარდის ძე სტრუვეზე.

206. 8 „Ж. Блондель“ – საუბარია ჟორჟ ბლონდელის 1899 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 9 „Р. Гвоздовъ“ – საუბარია რომან ემილის ძე ციმერმანის მიერ „გვოზდოვის“ ფსევდონიმით 1898 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 11 „Шарль Латурно“ – საუბარია შარლ ლატურნოს 1899 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 13 „Вотье“ – საუბარია მორის ვოტიეს 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

206. 15 „Пер. Водовозова“ – საუბარი უნდა იყოს ვასილი ვასილის ძე ვოდოვოზოვიზე.

206. 16 „Гуго“ – საუბარია 1898 წელს გამოცემული წიგნის „Новѣйшія теченія въ англискомъ городскомъ самоуправленіи“ ავტორზე, ჰუგო ლინდემანზე.

206. 17 „Пер. Протопопова“ – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი დიმიტრის ძე პროტოპოპოვზე.

206. 18 „Шоу“ – საუბარია ალბერტ შოუს 1898 წელს გამოცემულ წიგნზე.

206. 18 „Пер. Бяловескаго“ – საუბარია ადამ ვასილის ძე ბი-ალოვესკის თარგმანზე.

### ჩანაწერი 28

**ხელნაწერი:** С №60, 10v., 11r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად. „смазывать утромъ“ – უბის წიგნაკში სიტყვა „смазывать“ ორჯერ წერია. ტექსტის ბოლოში იწყებდა ახალ სიტყვას, წერია დიდი ასო „Д“ და აღარ გრძელდება. „также приготовить и и так же“ – წინადადება დაუსრულებელია. სავარაუდოდ, აპირებდა კიდევ სიტყვის „применить“ დამატებას.

**თემა:** სამკურნალო რეცეპტები.

**დათარიღება:** რამდენადაც ტექსტის დასაწყისი ნაწერია იმავე ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზეც 1899 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ეს ჩანაწერიც ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

### ჩანაწერი 29

**ხელნაწერი:** С №60, 11v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით.

**თემა:** გრამატიკული ფორმები.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე გვერდზე ნახსენებია 1899 წელს გამოცემული წიგნი, ჩანაწერიც ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

### ჩანაწერი 30

**ხელნაწერი:** С №60, 11v.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად.

ავტორის გვარი არასწორად წერია. უნდა იყოს „Каннингем“.

**თემა:** წიგნები.

**დათარიღება:** რამდენადაც ჩანაწერში 1899 წელს გამოცემული წიგნებია ნახსენები, იგიც ამ წელზე ადრეული ვერ იქნება..

207. 4 „Ланге“ – საუბარია ფრიდრიხ ალბერტ ლანგეს 1899 წელს გამოცემულ წიგნზე.

207. 7 „В. Кеннингама“ – საუბარია უილიამ კანინგემის 1899 წელს გამოცემულ ნიგნზე „Основные черты современной цивилизации“.

**ჩანაწერი 31**

**ხელნაწერი:** С №60, 11v.

**აღწერილობა:** ნაწერია ლურჯი ფანქრით რუსულად.

**თემა:** ნიგნები.

**დათარილება:** რამდენადაც ტექსტის დასაწყისი ნაწერია იმავე ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზეც 1899 წელს გამოცემული ნიგნია ნახსენები, ეს ჩანაწერიც ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

207. 9 „Библиотѣка экономистовъ“ – ამ სერიით 1895 წლიდან 11 ნიგნი გამოიცა და, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე მათით დაინტერესდა.

207. 10 „Брентано 1896 Святловскаго“ – საუბარია ვლადიმერ ვლადიმერის ძე სვიატლოვსკის ნიგნზე ეკონომისტ ლიუდვიგ იოსებ ბრენტანოს შესახებ „Л. Brentano, его жизнь, воззрѣнія и школа“.

**ჩანაწერი 32**

**ხელნაწერი:** С №60, 11v., 12 r.v., 13 r.

**აღწერილობა:** ნაწერია შავი მელნით რუსულად. ავტორის გვარი არასწორად წერია. უნდა იყოს „Бем-Баверк“.

**თემა:** ნიგნები.

**დათარილება:** ნიგნებს შორის ყველაზე გვიანდელია 1900 წელს გამოცემული, შესაბამისად, ჩანაწერი ამ დროზე ადრეული ვერ იქნება.

207. 12 „Бем-Баверкъ“ – საუბარია ოიგენ ბიომ-ბავერკის 1896 წელს გამოცემულ ნიგნზე.

207. 12 „теория К. Маркса“ – საუბარია კარლ მარქსზე.

207. 13 „Фр. Иодль“ – საუბარია ფრიდრიხ იოდლის 1895 წელს გამოცემულ ნიგნზე.

207. 15 „Паргамина“ – საუბარია მანუს ნუზიმის ძე პარგამინის 1899 წელს გამოცემულ ნიგნზე „Сознательность, любовь и семейная жизнь у животных“.

207. 17 „П. Арндта“ – საუბარია პაულ არნდტის 1900 წელს გამოცემულ ნიგნზე.

207. 18 „В. Зомбарта“ – საუბარია ვერნერ ზომბარტის 1900 წელს გამოცემულ ნიგნზე.

207. 19 „Турава“ – საუბარია ბორის ალექსანდრეს ძე ტურაევის 1900 წელს გამოცემულ ნიგნზე.

207. 20 „Морганъ“ – საუბარია ლუის ჰენრი მორგანის 1900 წელს გამოცემულ წიგნზე.

207. 22 „перев. Румянцева.“ – უნდა იგულისხმებოდეს პეტრე პეტრეს ძე რუმინაცევი.

207. 23 „Симоненко Г. Ф.“ – საუბარია გრიგოლ თეოდორეს ძე სიმონენკოს 1900 წელს გამოცემულ წიგნზე.

### <უბის წიგნაკი №11> (გვ. 207)

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №698 ბ.

**აღწერილობა:** ნომრით – 698 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საქმიანი ჩანაწერებისთვის განკუთვნილი, სქელ მუყაოს ყდაში ჩასმული ორი უბის წიგნაკი, ვერტიკალური წითელი ხაზებით, რომლებიც თითოეულ გვერდს შვიდ სვეტად ჰყოფს. მათი ზომა არის 20X18,5. რამდენადაც ეს უბის წიგნაკები გამოცემაში ცალ-ცალკე უნდა წარმოგვედგინა, იძულებული გავხდით, ერთმანეთისგან განსასხვავებლად უფრო ადრეული მოგვეხსენიებინა ლიტერით „ა“ და მეორე – ლიტერით „ბ“. №698 ბ-ში დასაწყისის 21 გვერდი ამოჭრილია და ყუას შერჩენილი აქვს ამ გვერდების 05-დან 2 სანტიმეტრამდე სიგანის დანომრილი კიდეები. სხვადასხვა ჩანაწერში მასალა იშვიათად არის განთავსებული შვიდსავე სვეტში. ამიტომ, ცხრილები შევადგინეთ თითოეული ჩანაწერის საჭიროების შესაბამისად. უბის წიგნაკის ბოლოს ჩადებულია იმავე ზომის ნ ფურცელი, სავარაუდოდ, სხვა უბის წიგნაკიდან.

**დათარილება:** უბის წიგნაკის ყველაზე ადრინდელი თარიღია 1898 წლის აგვისტო, ყველაზე გვიანდელი კი – 1900 წლის აპრილი.

### ჩანაწერი 1

**ფურცელი:** C №698 ბ, 4v.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ხუთმუხლიანი ჩანაწერი, ცისფერი ფანქრით. გვერდის ბოლოს სხვისი ხელით დაწერილი ციფრები დაჯამებულია და ილია ჭავჭავაძის ხელით, ცისფერივე ფანქრით მიწერილია „49“.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო შემოსავლის აღრიცხვა.

**დათარილება:** რაკი ჩანაწერი წინ უძღვის 1898 წლის 20 სექტემბრისას, უნდა დავთარილოთ 1898 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდით.

207. 29 „მამკოდელისა“ – იგულისხმება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდის მკვიდრი, მაგრამ ვინაობა არ ჩანს.

207. 30-33 „მოსიკას... ანდრუასათვის... ზაქაროსათვის... პავლეურას... კოპიასათვის“ – სავარაუდოდ, საუბარია მსახურებსა ან დაქირავებულ მუშებზე.

#### ჩანაწერი 2

**ფურცელი:** C №698 ბ, 5v.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ოთხმუხლიანი ჩანაწერი. პირველი სამი შესრულებულია შავი მელნით, ბოლო კი – ფანქრით.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო შემოსავლის აღრიცხვა.

**დათარიღება:** დავთარში ჩანერილია 1898 წლის 14, 21, 22 ოქტომბრის მონაცემები.

208. 2-9 „სიმონა ნიკლაური... გაბო გზირიშვილისაგან... სოლო ფირადაშვილისაგან... ილია ჩალაურისაგან“ – სავარაუდოდ, საუბარია იმ პირებზე, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მიწებით სარგებლობდნენ.

#### ჩანაწერი 3

**ფურცელი:** C №698 ბ, 7r

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ხუთმუხლიანი ჩანაწერი. მეხუთე გადახაზულია.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 22 ოქტომბერი.

208. 11 „სოლიკოსათვის მიუცია“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

208. 16 „ბეზმენტი უყიდნია“ – სავარაუდოდ, საუბარია მარტივ, ხელის სასწორზე,

208. 17 „მართას პურის საცხობი“ – პირის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

208. 18 „მერაბზე დარჩა“ – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 4

**ფურცელი:** C №698 ბ, 7r.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ჩანაწერი. შესრულებულია ფანქრით და გადახაზულია.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**დათარიღება:** რაკი ილია ჭავჭავაძისვე ხელით შესრულებული წინა ჩანაწერი 22 ოქტომბრისაა, მომდევნო სხვისი ხელით შესრულებულია.

ბული კი – 23 ოქტომბრისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჩანაწერიც 22 ოქტომბრისაა.

**208. 20 „მერაბაზე რჩება“** – პირის ვინაობა გაურკვეველია.

#### ჩანაწერი 5

**ფურცელი:** C №698 ბ, 8 რ.

**აღწერილობა:** ილია ჭავჭავაძის მინაწერი სხვისი ხელით შესრულებულ ჩანაწერზე იმის შესახებ, რომ ალექსამ მიიღო 5 მანეთი ბედ ფარეხის გასაკეთებლად. დაწერილია ფანქრით.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 29 ოქტომბერი.

**208. 22 „მე მივეცი“** – სიტყვები ახლავს უცხო პირის ჩანაწერს, რომ ალექსას მისცა ხუთი მანეთი ბედ ფარეხის გასაკეთებლად.

#### ჩანაწერი 6

**ფურცელი:** C №698 ბ, 9 v.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ორმუხლიანი ჩანაწერი.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო შემოსავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 23 ნოემბერი.

#### ჩანაწერი 7

**ფურცელი:** C №698 ბ, 12 რ.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ორმუხლიანი ჩანაწერი. ახლავს ილია ჭავჭავაძის ფაქსიმილე.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 23 ნოემბერი.

**208. 28 „მოურავმა დახარჯა“** – მოურავის სახელი ნახსენები არ არის.

#### ჩანაწერი 8

**ფურცელი:** C №698 ბ, 14 რ.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული სამმუხლიანი ჩანაწერი.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 23 ნოემბერი.

### ჩანაწერი 9

**ფურცელი:** C №698 ბ, 14v.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ორმუხლიანი ჩანაწერი.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

**დათარილება:** რაკი ჩანაწერში 1898 წლის 12 აგვისტოდან 1 იანვრამდე შემოსავალია აღწერილი, უნდა იგულისხმებოდეს 1899 წლის 1 იანვარი და ჩანაწერი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული. მართალია, შემდეგი ჩანაწერი 4 დეკემბრით არის დათარიღებული, მაგრამ შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვები ცალ-ცალკე გვერდებზე წერია და სხვადასხვა კატეგორიის ჩანაწერში ქრონოლოგიის დარღვევა შესაძლებელია.

### ჩანაწერი 10

**ფურცელი:** C №698 ბ, 16 r.

**აღწერილობა:** ილია ჭავჭავაძის მინაწერი სხვისი ხელით შესრულებულზე იმის შესახებ, რომ ჩანაწერის ავტორმა, სავარაუდოდ, მოურავმა, აქსისის ჩინოვნიკს მისცა ოთხი აბაზი მარკის ფული, ასევე გადაიხადა ცხენოსნის ხარჯი. დაწერილია ფანქრით.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1898 წლის 4 დეკემბერი.

**209. 12 „ორჯერ უწერია“** – სიტყვები მოსდევს უცხო პირი ჩანაწერს, რომ აქსისის ჩინოვნიკს მისცა ოთხი აბაზი მარკის ფული და ასევე გადაიხადა ცხენოსნის ხარჯი.

### ჩანაწერი 11

**ფურცელი:** C №698 ბ, 22 r.

**აღწერილობა:** ილია ჭავჭავაძის მინაწერი სხვისი ხელით შესრულებულზე იმის შესახებ, რომ ჩანაწერის ავტორმა, სავარაუდოდ, მოურავმა, გოგია კახუაშვილს მისცა რვა მანეთი საბალახედ, ხუთი მანეთი და ათი შაური – ხე-ტყის მოსატანად, სამი მანეთი და ათი შაური კი – ბაკის გასაკეთებლად. ფანქრით ნაწერი.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1899 წლის 9 იანვარი.

**209. 14 „შემოსავალში, მგონი, ორჯერ უწერია“** – სიტყვები მოსდევს უცხო პირი ჩანაწერს, რომ გოგია კახუაშვილს მისცა რვა მანეთი საბალახედ, ხუთი მანეთი და ათი შაური ხე-ტყის მოსატანად, სამი მანეთი და ათი შაური ბაკის გასაკეთებლად.



## **ჩანაწერი 12**

**ფურცელი:** C №698 ბ, 22 v.

**აღწერილობა:** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებულ სხვათა ჩანაწერებს შორის მოქცეული ორმუხლიანი ჩანაწერი.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო შემოსავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1899 წლის 8 თებერვალი.

**209. 16 „გიორგი ქადაგიშვილი“** – უნდა იყოს „ქადაგიშვილი“. პირის ვინაობა გაურკვეველია.

## **ჩანაწერი 13**

**ფურცელი:** C №698 ბ, 23 r.

**აღწერილობა:** ილია ჭავჭავაძის მიერ ფანქრით შესრულებული მინაწერი სხვის ტექსტზე იმის შესახებ, რომ ჩანაწერის ავტორმა, სავარაუდოდ, მოურავმა, პეტრე შარმადინს მისცა თექვსმეტი მანეთი და ათი შაური.

**თემა:** საოჯახო-სამეურნეო გასავლის აღრიცხვა.

**თარიღი:** 1899 წლის 10 იანვარი.

**314. 26 „предложенія Г. Бердаева – Кіевскаго З. б.“** – იგულისხმება კიევის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე, ალექსანდრ მიხეილის ძე ბერდიაევი.

**314. 34 „уровень экономическаго благосостоянія обусловливающая обиліе“** – ტექსტის გვერდიდან გვერდზე გადასვლის გამო გრამატიკული წყობა გაუმართავია.

## თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო განკის საზოგადო წლიური კრება

1885 წლის 27 აპრილი (გვ. 315)

**წყარო:** „დროება.“ 1885 წ. 30 აპრილი, №91, გვ. 1-2;

**შენიშვნა:** კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს, ბანკის რომელი თანხებიდან რა ოპერაციების შესრულება შეიძლება.

**315. 33 „კრებას აქვს უფლება დაჰფაროს თავის ზარალი, როგორც სათადარიგო თანხიდან, ისე სხვა თანხებიდან“** – ეს არის პასუხი დავით ავალიშვილის შენიშვნაზე, რომ გამგეობას არავითარი უფლება არ ჰქონდა, მოგება დაეფარა იმ ფულიდან, რომელსაც სრულიად სხვა დანიშნულება აქვს და არა სათადარიგო თანხიდან.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკის წევრთა კრება

1892 წლის 13 მაისი (გვ. 316)

**წყარო:** „ივერია.“ 1892 წ. 20 მაისი, №103, გვ. 2-3.

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს საკითხები ბანკის მმართველი ორგანოსთვის მეოთხე წევრის დამატებისა და ბათუმსა და ბაქოში სააგენტოების გამართვის შესახებ.

**316. 15 „ბ-ნმა გაბაშვილმა რამდენიმე მაგალითი დაასახელა“** – სავარაუდოდ, საუბარია მომხსენებელ გრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილზე, რომელმაც კრებაზე მოიყვანა დონის, ბესარაბიის და სხვა ბანკების მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, რომ მათ გამგეობის იმდენივე ან ორიოდ წევრით მეტი ჰყავდათ და ქართულ ბანკთან შედარებით ბევრად დიდი რაოდენობით საბანკო ოპერაციებს ატარებდნენ.

**316. 21 „ვისაც მაგალითი მოჰყავს, იმან ყოველ მხრივ უნდა გაგვითვალისწინოს ეს მაგალითი“** – შენიშვნა ეხება გრიგოლ გაბაშვილს და მის მიერ მოყვანილ ცალმხრივ მაგალითს.

**316. 34-35 „კრებაში ვილაცა თავმჯდომარეობს და არავის არაფერს ათქმევინებს“** – კრებას თავმჯდომარეობდა ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და, როგორც ჩანს, ზოგიერთებს სიტყვა არ ათქმევინა.

**316. 35-36 „ზოგიერთმა განაცხადა“** – იგულისხმება ივანე მაჩაბელი, რომელმაც განაცხადა, რომ ბანკის მოგება 5 000 მანეთია.

**317. 2 „ბ-ნმა ხუდადოვმა განიმეორა სხვისი სიტყვები“** – საუბარია იმაზე, რომ კრებაზე წარმოდგენილი ორი ძირითადი მოხსენებიდან ერთ-ერთის ავტორმა – ექიმმა ნიკოლოზ ალექსის ძე ხუდადოვმა გაიმეორა ივანე მაჩაბლის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ბანკის მოგება 5 000 მანეთი იყო.

317. 7 „ვეგონებ ოდნავაც არის გადააჭარბებს“ – ავტორი იუმორით საუბრობს ივანე. მაჩაბლის მიერ ბანკის წლიურ მოგებად 42 000-ის ნაცვლად დასახელებულ 5 000 მანეთზე.

317. 10 „ესრედ წოდებული ნორმალური დაფასება“ – იგულისხმება საბანკო სარგებლობაში არსებული მიწების სტანდარტული შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც რუსეთის ყველა რეგიონის მინას განსაზღვრული კატეგორია ჰქონდა მინიჭებული.

317. 12 „მმართველობას ისე არა აქვს გაძნელებული საქმე“ – საუბარია რუსეთის ბანკების მმართველების უფრო მსუბუქ მდგომარეობაზე იმის გამო, რომ იქ მიწის შეფასების სტანდარტული სისტემა მოქმედებდა, ქართულ ბანკში კი მსგავსი სისტემატიზაცია არ არსებობდა და დამფასებელს მის გარეშე უნდა განესაზღვრა ფასი.

317. 13-14 „მინის საკუთრების საბუთები... უდავოა“ – რუსულ სინამდვილეში საბანკო საქმეს ისიც ამარტივებდა, რომ მონესრიგებული იყო მინის საკუთრების დოკუმენტაცია, საქართველოში კი ამ საკითხის გარკვევის პასუხისმგებლობაც მინის შემფასებელს ეკისრებოდა.

317. 16 „თ. ვაჩნაძემ სთქვა“ – საუბარი უნდა იყოს არტილერიის პოლკოვნიკ ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძეზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ელენე მაჩაბელი.

317. 23 „სულელთა რიცხვში ჩარევისა“ – ამ ფრაზას გამოცემამო მიმოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვა „სიცილია“.

## თბილისის სათავადაზნაურო სააღმკვიდრეო პანკის წევრთა კრება

1892 წლის 14 მაისი (გვ. 317)

წყარო: „ივერია.“ 1892 წ. 21 მაისი, №104, გვ. 2-3; 23 მაისი, №105, გვ. 1-3

შენიშვნა: კრებაზე განიხილეს მამულების შეფასების სისტემის პრინციპები, ასევე საკითხი მსესხებულებისთვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

317. 27 „არ იყო რიგიანად შემუშავებული წესები დაფასებისა“ – საუბარია იმაზე, რომ რუსეთში 1884 წლამდე არ არსებობდა მიწის შეფასების ერთიანი სტანდარტი.

318. 3-4 „მინისტრისაგან იქმნა დამტკიცებული – 1887 წლიდან 1892 წლის 30 აგვისტომდე რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო ივან ალექსის ძე ვიშნეგრადსკი.

318. 19 „315 დაფასებისა – სავარაუდოდ, აქ კორექტურული შეცდომაა, მაგრამ საშუალება არ გვაქვს, აღვადგინოთ, რა უნდა ენეროს.

318. 30 „სასურველია, რომ შეინყნართ საყოველთაოდ მიღებული წესები“ – იგულისხმება მიწის შეფასების პეტერბურგის ბანკების მიერ შემუშავებული და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესები.

319. 4 „ინსტრუქცია კი არ განიხილოს, არამედ განსაჯოს მხოლოდ ის ცვლილება“ – ბანკს განსახილველად წარედგინა მიწის შეფასების რუსეთის ბანკების მიერ შემუშავებული ინსტრუქცია, რომელშიც შესული იყო ცვლილებები ქართული რეალობის გათვალისწინებით. ილია მხოლოდ ამ ცვლილებების განხილვას სთავაზობს კრებას.

319. 21 „ეს შიში, ეს სასჯელი ჩვენი კეთილის-მყოფელია“ – საუბარია ჯარიმის შიშზე, რაც აიძულებს მსესხებელს, დროულად გადაიხადოს ვალი.

319. 31 „აქ დავასახელებ აზრს ბლიოხისას“ – იგულისხმება პოლონური წარმოშობის რუსი ბანკირის ივანე სტანისლავის ძე ბლიოხის მოსაზრება.

320. 10 „როტშილდმა სთქვა“ – უნდა გულისხმობდეს ნათანაელ როტშილდს, ბრიტანელ ბანკირს და პოლიტიკოსს.

320. 18 „არღა დაგვებრუნდება“ – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვა „სიცილია“.

320. 21 „მოგვთხოვოს ხოლმე“ – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვა „სიცილია“.

320. 22 „მაგისტანა ბანკები შეუძლებელია – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ხანგრძლივი ტაშის ცემაა“.

320. 23 „ხშირად მხედება ხოლმე წილად... სურვილს ფრთები შევაკვეცო“ – საუბარია ბანკის ზოგიერთი წევრის ლიბერალურ მიდგომებზე ჯარიმებისა თუ სხვა საბანკო სანქციების შემსუბუქების თაობაზე, რომელთა არარაციონალურობის გამო ილიას ხშირად უნევს მათ წინააღმდეგ გამოსვლა.

320. 29 „წაჯექ-უკუჯექობის თამაშობა... ჰოცა და არაც ხომ არ ითქმის“ – საუბარია საბანკო ვალდებულების შეუსრულებლობისა და კისრებული ჯარიმების შემცირება-გაზრდისადმი არარაციონალურ დამოკიდებულებაზე.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 16 მაისი (გვ.321)

წყარო: „ივერია.“ 1892 წ. 24 მაისი, №106, გვ. 2-3, 27 მაისი, №107, გვ. 3-4.

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ბანკის მმართველობის მოხსენება დივიდენდის გაუქმების შესახებ, ასევე 1892 წლის ბანკის ხარჯთაღრიცხვა და შუამავლის (აგენტის) საჭიროების საკითხი.

**321. 6 „წესდების პარაგრაფის სწორედ იმ სახით შეცვლა... აღნიშნული“** – საუბარია ბანკის მმართველთა მოხსენებაზე წესდების იმ პარაგრაფის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ წმინდა მოგების 20%, რომელიც ადრე მმართველობის წევრებსა და ბანკის მოსამსახურეებს ეძლეოდათ, ცვლილების შედეგად უნდა გადანაწილებულიყო ასე: 5% წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დანარჩენი 15% კი იმ ფონდს უნდა გადასცემოდა, რომელიც დააკმაყოფილებდა თბილისის გუბერნიის მინათმფლობელთა და მინათმოქმედთა საჭიროებებს.

**321. 12 „ქარვასლის გადაკეთების ხარჯი“** – ბანკს გადასახდელი ჰქონდა მის მფლობელობაში გადასული არწრუნის ქარვასლის ვალი, რომელსაც ყოველწლიური მოგებიდან ფარავდა.

**321. 26 „მე აქაური ლაპარაკი მაკვირვებს“** – იგულისხმება წინა გამოხვედელთა: გიორგი თარხნიშვილისა და ივანე მაჩაბლის მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ მართონ ქარვასლა მას შემდეგ, რაც ვალებს გადაიხდიან და შენობა ბანკის საკუთრებაში გადავა.

**321. 34 „აგენტი არამცთუ სარგებლობას არას მოგვიტანს“** – საუბარია ბანკის მიერ ახალი თანამშრომლების, აგენტების აყვანაზე, რომელთა მოვალეობაშიც იქნებოდა ბანკისთვის მსესხებლების მოზიდვა.

**321. 36 „დიდი საქმეა, თუ ხუთის მამულის საქმე მოაგვარა წელიწადში“** – საუბარია პოტენციური აგენტის საქმიანობის არაეფექტიანობაზე, რადგან ხშირად ზოგიერთი საბანკო ოპერაციის შესრულებას მთელი ჯგუფი უნდებოდა.

**322. 6-7 „რა ძალის ხმარებისას ჰბრძანებს ბ-ნი მუსხელიშვილი“** – ფრაზა პასუხია თავად დიმიტრი მუსხელიშვილის რეპლიკაზე: „მე აქა ვხედავ, რომ კრებაზედ ძალასაც ჰხმარობენ“. დიმიტრი მუსხელიშვილმა ამ სხდომაზე პირველმა წამოაყენა წინადადება ბანკის მიერ აგენტების აყვანის შესახებ, რასაც ილია ჭავჭავაძემ ძლიერი არგუმენტები დაუპირისპირა. სწორედ არგუმენტების სიმყარე იყო ის

ძალა, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა სხდომის მონაწილეებზე და რომელიც არ მოეწონა დიმიტრი მუსხელიშვილს.

**322. 9 „თუნდა მთელი არტილერია დაუყენოთ წინ“** – დიმიტრი მუსხელიშვილის პროფესიაზე (ის არტილერიის გენერალი იყო) მინიმუმებით ილია ჭავჭავაძემ საზი გაუსვა, რომ ლოგიკაში მას არტილერიის გენერალი ვერ აჯობებდა.

**322. 11. დასწავრავს და დაიმორჩილებს...** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვა „სიცილია“.

### სათავადაზნაურო საადგილმამულო განაკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 17 მაისი (გვ. 322)

**წყარო:** „ივერია.“ 1892 წ. 28 მაისი, №108, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს დაზარალებული მსესხებლებისთვის შეღავათიანი პირობების შემოღების საკითხი.

**322. 22 „სხვა ფერსა სდებენ საგანს“** – საუბარია დაზარალებული მსესხებლებისთვის არარაციონალური საშეღავათო პირობების დაწესებაზე, რასაც მოითხოვდნენ წინა გამომსვლელები: დიმიტრი მუსხელიშვილი და, ნაწილობრივ, მიხეილ მაჩაბელი.

**323. 27 „ნუ ვიზამთ ამას!“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები “ტამის ცემაა”.

**323. 34 „ალარ შეუძლიანო...“** – სხდომის მიმობილვაში წერია, რომ ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თვით მინისტრის სიტყვები.

**324. 16 „მერე ვნახოთ, რა იქნება.“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები “ტამის ცემაა”.

**324. 17 „მ. ვ. მაჩაბელი ამბობს“** – საუბარია მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელზე.

**324. 28 „გამოაღებინებთ სასესხებლად ფულსაო...“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვა „სიცილია“.

### თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განაკის წევრთა წლიური კრება

1892 წლის 18 მაისი (გვ. 324)

**წყარო:** „ივერია.“ 1892 წ. 29 მაისი, №109, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს მმართველობის მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განაწილდეს საზოგადოდ სასარგებლო თანხა.

**324. 32 „ის 3, 000 მან. საშუალო სატენიკო... და არა დაბალის სასწავლებლისათვის“** – ბანკის საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, თბილისში საშუალო ტექნიკური სასწავლებლის დაარსება გადაიდო. ამიტომ ვასილ მაჩაბელი გამოვიდა წინადადებით, რომ ამისთვის 1891 წელს გამოყოფილი თანხა მოეხმარათ თელავში გადატანილი საცხენისის ორკლასიანი სასწავლებლისათვის და ილია ჭავჭავაძემ მის ინიციატივას მხარი დაუჭირა.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1892 წლის 19 მაისი (გვ. 325)

**წყარო:** „ივერია.“ 1892 წ. 30 მაისი, №110, გვ. 1-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ძმების – ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერების მამულის ბანკის მიერ გაყიდვის საქმე.

**325. 4 „ჯანდიერების საქმე“** – საუბარია ძმების – ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერების მამულის გაყიდვაზე.

**325. 23-24 „უზრდელი რამ არის“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ერთი კუნჭული კრებისა: გვეყოფათ, გვეყოფათ“.

**326. 4 „მოცალობას არ აძლევდნენ“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ერთი კუნჭული კრებისა: არ გვინდა, გვეყოფა, ირლანდია აქ რა მოსატანია“.

**326. 4 „მე წინადგე ვიცოდი, რომ... არ დამაცლის ლაპარაკს“** – ამ ფრაზას წინ უძღვის „ივერიის“ მიმომხილველის შემდეგი ჩანართი: „ერთი კუნჭული კრებისა: „არ გვინდა, გვეყოფა, ირლანდია აქ რა მოსატანია“. კრების წევრთა ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია ილიას მაგალითმა ბრიტანეთისა და ირლანდიის ურთიერთობებიდან. დარბაზის რეაქციის მიუხედავად, ავტორი ამ მაგალითზე საუბარს არ წყვეტს და აზრს ასრულებს. როგორც ჩანს, მისთვის სიტყვის შეწყვეტინების მცდელობა იშვიათი არ უნდა ყოფილიყო.

**326. 36 „სიტყვა წარმოსთქვა თ. ავალიშვილმა“** – საუბარია ბანკის დირექტორ დავით ავალიშვილზე.

327. 23 „სიტყვა ჩამოაგდო თ. დ. ამილახვარმა“ – სავარაუდოდ, საუბარია თავად დიმიტრი ამილახვარზე, მაგრამ კრების ანგარიშიდან არ ჩანს, რომ ეს წინადადება მას წამოეყენებინოს. ნათქვამია, რომ 18 მაისს ივანე მაჩაბელმა ითხოვა, რომ მომდევნო დღეს მისთვის მიეცათ ამ თემაზე საუბრის საშუალება.

327. 23-24 „მხარი დაუჭირა თ. ივ. მაჩაბელმა“ – საუბარია ცნობილ მთარგმნელსა და პუბლიცისტ ივანე მაჩაბელზე, რომელმაც ბანკის წევრებს გააცნო ჯანდიერების საქმე.

327. 37 „თავმჯდომარემ ნება მოგცათ“ – კრების თავმჯდომარე იყო ლუარსაბ (შაქრო) მალალაშვილი.

328. 20 „ლახტი-კი ამ მხრით არის მოქნეული“ – საუბარია ბანკის მხრიდან ჯანდიერებისადმი ვითომდა არაგულისხმიერი მიდგომის შესახებ ივანე მაჩაბლის ბრალდებებზე, რომელთა ადრესატადაც ილია საკუთარ თავს მიიჩნევს.

328. 27 „თ. ვლადიმირ ჯანდიერის მამული და თ. ალექსანდრე და ზაალ ჯანდიერებისაო.“ – საუბარია სამ ძმაზე.

328. 34 „на переходные суммы“ – სპეციალური ტერმინი, რომელიც შემოსული თანხის ზუსტი მიზნობრიობის გარკვევამდე მის გადადებისას, გადანახვას გულისხმობს.

332. 1 „ზოგიერთებს აქუხებს!..“ – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ხანგრძლივი ტაშის ცემა“.

### დრამატული საზოგადოების საბანკებო კრება

1892 წლის 4 ივნისი (გვ. 332)

წყარო: „ივერია.“ 1892 წ. 7 ივნისი, №117, გვ. 2-3

შენიშვნა: კრებაზე განიხილეს დრამატული კომიტეტის წევრთა არჩევის კანონიერების საკითხი.

332. 10 „გულ-მტკივნეულობა აქ რა შუაშია“ – ეს რეპლიკა მოჰყვა ივანე მაჩაბლის სიტყვებს: „ვისაც გული შესტკივა ჩვენის თეატრისთვის, შეეძლო კვირას მობრძანებულიყო და თავისი სურვილი გამოეცხადებინა“.

332. 20 „აქა ბრძანეს, რომ წარსულის არჩევნები კანონიერიც იყო და უკანონოცაო“ – იგულისხმება კრების წევრთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება დრამატული საზოგადოების კომიტეტის წევრთა არჩევნების მიმართ.

332. 23 „ა. ფურცელაძემასტქვა“ – საუბარია ანტონ ფურცელაძეზე.



## თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

1892 წლის 11 აგვისტო (გვ. 332)

**წყარო:** „ივერია.“ 1892 წ. 14 აგვისტო, №172, გვ. 2; 15 აგვისტო, №173, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს თბილისის გუბერნიის სოფლებში გავრცელებულ ქოლერასთან საბრძოლველად ბანკის მიერ 12 000 მანეთის გამოყოფის საკითხი.

**332.** 35 „მართალსა ჰბრძანებს თავ. გურამიშვილი“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილზე. ის შეეწინააღმდეგა დავით ავალიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გუბერნიაში ქოლერასთან ბრძოლის საზოგადოების ხელმძღვანელს – პეტრე გრუზინსკის მაზრების მარშლებისთვის გადაენაწილებინა ბანკის მიერ გამოყოფილი თანხები.

**333.** 11 „კაი ახალი ამბავია! როგორ თუ არა აქვს ბანკს ფულიო?“ – საუბარია იმაზე, რომ თავადმა ვლადიმერ ვაჩნაძემ მკვეთრი პროტესტი გამოთქვა პ. გრუზინსკის, გუბერნიაში ქოლერასთან ბრძოლის საზოგადოების ხელმძღვანელის, მოსაზრებაზე, ბანკს დამატებითი თანხები გამოეყო ქოლერასთან საბრძოლველად, როგორც საექიმო მომსახურებისა და წამლების შესაძენად, ისე სოფლების სადეზინფექციო საშუალებებით უზრუნველსაყოფად. თავადმა ვაჩნაძემ გააპროტესტა ბანკის დიდი რაოდენობით თანხების ხარჯვა ამ შემთხვევაში ქოლერის აღმოსაფხვრელად, ზოგადად კი საქვეყნო საჭიროებებისთვის. ვაჩნაძის მოსაზრებას მხარი დაუჭირა ალექსანდრე მირზაშვილმა და იკითხა, სად არის ამდენი ფული, ასე თამამად რომ ფლანგავთო. ილიას ეს ფრაზა სწორედ მის გამოსვლას მოჰყვა.

**333.** 12-13 „ქარვასლის გადასაკეთებლად თხუთმეტი ათასი თუმანი დავხარჯეთ... დაიბრუნა ბანკმა უკანვე.“ – ილია პასუხობს თავად ვლადიმერ ვაჩნაძის ბრალდებას იმის თაობაზე, რომ ბანკმა თავად-აზნაურების დაუკითხავად ქარვასლის გადაკეთებაზე 15 000 მანეთი დახარჯა.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

1893 წლის 15 თებერვალი (გვ. 333)

**წყარო:** „ივერია.“ 1893 წ. 23 თებერვალი, №39, გვ. 2-3; 24 თებერვალი, №40, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს მმართველობის მოხსენება კონვენციის შესახებ. ილია ჭავჭავაძის მეხუთე გამოსვლის წინ პუბლიკაცია-

ში მისი გვარი მითითებული არ არის, მაგრამ კონტექსტიდან ირკვევა, რომ მომდევნო სიტყვები მას ეკუთვნის.

**333. 21 „იმ წესს, რომელზედაც... ჩვენ ვერ დავბეჭდავით“** – იგულისხმება ალექსანდრე კობიაშვილის გამოსვლაში ნახსენები ფაქტი იმის თაობაზე, რომ ზედამხედველ კომიტეტს მოუნდომებია კონვენსიის წესის დაბეჭდვა, ბანკის მმართველობას კი ეს არ შეუსრულებია.

**333. 24 „მე-კი მგონია, რომ გადმობეჭდვის ნება არა გვაქვს“** – საუბარია კონვენსიის წესდებაზე.

**334. 1 „მე მინდა ჩემკენ გამოსროლილი ქვები... მსროლელთ“** – იგულისხმება ივანე მაჩაბლის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ პეტერბურგში კონვენსიის მოთხოვნით გამგზავრებულ ილიასათვის ობიექტურ პირობებს (გირავნობის ფურცლების ფასების სიმცირეს ან სხვა რამეს) კი არ შეუშლია ხელი, არამედ – დაუდევრობას, უზრუნველობასა და საქმის უცოდინარობას. თ. ნ. დიასამიძემ კი აქვე განაცხადა: „1891 წელს თავმჯდომარე ბანკისა ნაბრძანდა პეტერბურგში განგებ ამ საქმის თაობაზე და იქიდან რას იწერება, კუჭის წვამ მიკლო და მადა კარგი მაქვს“. სწორედ ამ პირთა გამოსვლებს უნდა გულისხმობდეს ილია ჭავჭავაძე მისდამი გასროლილ ქვებად.

**334. 2 „რაები არ დამინამეს. ვითომ მე... სხვა ამისთანა ცოდვები“** – საუბარია ბრალდებებზე იმის გამო, რომ ილია 1891 წლის ზაფხულში პეტერბურგიდან კონვენსიის საკითხზე იმედიან წერილებს გზავნიდა, სინამდვილეში კი ეს საკითხი მაშინ ვერ მოგვარდა.

**334. 26 კონვენსია** – სესხის ან ფასიანი ქალაქის პირობების ცვლილება (პროცენტის შემცირება, ვადის გაზრდა და ა. შ.).

**335. 8-9 „არამც თუ ჩვენს ყურ-მოყრუებულს ბანკის მმართველობას... იდეალურ მმართველობასაც-კი არ შეეძლო მაშინ კონვენსია მოეხდინა“** – საუბარია სესხების კონვენსიის შემაფერხებელ ობიექტურ ფაქტორებზე, იმაზე, რომ 1891 წლის ივნისიდან 10 აგვისტომდე, რუსეთში შიმშილობის ჩამოვარდნამდე, გირავნობის ფურცლის ფასები მეტად მაღალი იყო. ილიას აზრით, ეს იყო კონვენსიის პროცესის შეფერხების მიზეზი და მას იდეალური მმართველობაც ვერ აღუდგებოდა წინ.

**335. 9 „თ. მაჩაბლისთანა მხნე“** – საუბარია ივანე მაჩაბელზე.

**335. 27-28 „ახლა ორიოდ სიტყვაც ბ-ნ კობიაშვილისა“** – არსებობს კონვენსიის ორი გზა: სახელმწიფო ბანკის დახმარებით, ძირითადად, სუბსიდირებით, და ბანკის საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულის ხარჯზე. ალექსანდრე კობიაშვილი ეწინააღმდეგება მეორე გზას. მისი აზრით, ის საშიშიც არის და ამ რაოდენობის ფული სათ-

ავადაზნაურო ბანკს არ აქვს. ილია კი მეორე გზის თანდათანობით სარგებელზე საუბრობს, თუმცა არ უარყოფს კონვერსიას სახელმწიფო ბანკის თანხის დახმარებითაც.

**336. 7 „განა ნაწილი კეთილისა იგივე კეთილი არ არის?“** – ნაგულისხმევია ბანკის თავისუფალი ფულის ხარჯზე კონვერსიის შედეგად სარგებლის მიღებაზე, რაც ხანგრძლივი პროცესია, ყველას ერთბაშად ვერ მისცემს შედეგს, მაგრამ ეტაპობრივად ყველა მიიღებს შელავას.

**336. 22 „ეგ ცნობა საიღამა გაქვთ?“** – საუბარია ივანე მაჩაბლის მიერ კრების წევრებისთვის მიწოდებულ ცნობაზე 1891 წლის ივნის-ივლისში პეტერბურგის ბირჟაზე გირავნობის ფურცლების ფასების შესახებ, რაც არ ემთხვევა ილიას მონაცემს.

### **კახეთის მევენახეთა კრება ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის შეღებინაზე**

1893 წლის 11 ივნისი (გვ. 336)

**წყარო:** „ივერია.“ 1893 წ. 16 ივნისი, №125, გვ. 2-3; 18 ივნისი, №127, გვ. 2-3;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წესდება. თავად-აზნაურები და მევენახეები შეიკრიბნენ თელავის სათეატრო დარბაზში. სხდომას თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. ამ სხდომაზე ილია ჭავჭავაძის ბოლო სამი გამოსვლა გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მე-12 ტომში, აქ კი ვაქვეყნებთ იმ გამოსვლებს, რომლებიც გამოცემაში შეტანილი არ არის.

**337. 2 „დღეს ჩვენგან გასასინჯი წესდების წინადადება (პროექტი)“** – ნაგულისხმევია კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წესდების პროექტი.

**337. 15 „მყიდველები ეტანებიან „თავადობის“ სახელს კი არა...“** – საუბარია იმ ფაქტზე, რომ წესდების პროექტში სიტყვები „ვენახის პატრონები“ ჩაუნაცვლებიან სიტყვით „თავად-აზნაურები“. ამ ცვლილებას დაეთანხმა თავადი გიგო მყაყვილი იმ არგუმენტით, რომ სიტყვა „თავადებს“ უფრო მეტი ღირსება აქვს და მყიდველები მას უფრო ეტანებიან.

**337. 25 „საჭირო არ არის მაგის ჩამატება“** – ილია ჭავჭავაძე აკონკრეტებს, რომ ამ ამხანაგობაში არათავად-აზნაურებიც იქნებიან, მაგრამ არ არის აუცილებელი წესდებაში ამ ინფორმაციის ჩამატება.

**337. 34 „რამდენათაც ბევრი ვიქნებით, იმდენად ძალაც მეტი გვექნება“** – ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს მოსდევს უკმაყოფილო შეძახილები დარბაზიდან: „გლეხების შემორევა საქმეს შეგვირევს. გლეხებს

კარგი ღვინო არ მოსდით და არც იმდენი მოსდით, რომ ღირდეს მათთან ამხანაგობა.“

**338. 9 „პირდაპირი მოვალეობა“** – ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს მიმოხილვაში მოსდევს შენიშვნა: „(ერთხმად დაიგრილა ხალხმა: „მართალია, მართალია“ და მუხლი დარჩა პირველ სახედ.)“.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1894 წლის 15 მაისი (გვ. 338)**

**წყარო:** „ივერია.“ 1894 წ. 17 მაისი, №102, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ბანკის მიერ გაყიდული ერთ-ერთი მამულის საქმე, რომლის არასწორად შეფასებაშიც გარკვეული ბრალი ივანე მაჩაბელს მიუძღოდა.

**338. 13-14 „რა უფლებაც ყოველ მონემს კანონით მინიჭებული აქვს“** – საუბარია დუმილის უფლებაზე.

**338. 14-15 „როდესაც მას ჰკითხავენ ისეთი პირის შესახებ, ვისთანაც უსიამოვნება აქვს“** – ამ პირში იგულისხმება ივანე მაჩაბელი, რომელსაც უშუალოდ უკავშირდებოდა სხდომაზე განხილული საქმე.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1894 წლის 16 მაისი (გვ. 338)**

**წყარო:** „ივერია.“ 1894 წ. 17 მაისი, №102, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ოპოზიციური დაჯგუფებების წევრთა გამოსვლები. მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე ივანე მაჩაბლის ბრალდებების შემდეგ გამოვიდა ვრცელი სიტყვით, რომელშიც მუხლობრივად უარყო ეს ბრალდებები, მაგრამ ეს ვრცელი სიტყვა ციტირებული არ არის.

**338. 20 „ყველაზე, უფრო, ბატონებო, მ. მაჩაბელმა დამიკრა ტაში“** – საუბარია ბანკის მმართველობის ოპოზიციური დაჯგუფების ერთ-ერთ აქტიურ წევრზე – მიხეილ მაჩაბელზე, რომელიც, ივანე მაჩაბელთან ერთად, ტაშით შეხვდა ილია ჭავჭავაძის ინიციატივას, შექმნილიყო საგანგებო კომისია მისი და ივანე მაჩაბლის – ორი დაპირისპირებული დაჯგუფების საქმიანობის შესაფასებლად, იმ პირობით, რომ ვინც გამტყუნდებოდა, საზოგადოებრივი ასპარეზიდან უნდა წასულიყო.

**338. 23 „არა ვსთქვი რამეო!..“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „კიდევ საშინელი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი“.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1894 წლის 23 მაისი (გვ. 338)

**წყარო:** „ივერია.“ 1894 წ. 25 მაისი, №110, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე იმსჯელეს მიმდინარე საბანკო საქმეებსა და მინდობილობების გაუქმების მიზანშეწონილობაზე.

**338. 27 „მე სრულიად თანახმა ვარ ბ. ტატიშვილის აზრისა“** – საუბარია სხდომების ერთ-ერთ მონაწილეზე – ტატიშვილზე, რომელმაც წამოაყენა ეს წინადადება და რომლის სახელიც მითითებული არ არის. სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ბანკის სხდომების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეზე – გიორგი ტატიშვილზე.

**338. 28 „ვექილობების მოსპობის შესახებ“** – საუბარია ბანკის დამფუძნებელ წევრთა მიერ ისეთი მინდობილობების გაცემის აკრძალვაზე, რომელიც გულისხმობდა თვისი ხმის უფლების სხვისთვის გადაბარებას და რომელსაც ბანკის გამგეობის ოპოზიცია ძალიან აქტიურად იყენებდა.

**339. 32-33 „ეს წესი განსვენებულმა დ. ყიფიანმა შამოილო“** – საუბარია დიმიტრი ყიფიანზე, რომელიც იყო სათავადაზნაურო ბანკის დაარსების იდეის ავტორი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი.

**339. 12 „ვექილობის წერისა?..“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „სიცილია ხალხში“.

**339. 19 „ერთიც არ მომსვლია!..“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ხალხში საშინელი დრტვინვა“.

**339. 20 „არა, თქვენ არა, ბატონებო!..“** – როდესაც ილია ჭავჭავაძემ ახსენა სათავადაზნაურო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის მიერ მისი სახელით ვითომდა მის სასარგებლოდ ხმების შეგროვება, ამ სკოლის რამდენიმე თანამშრომელმა, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, წამოიძახა, რომ ეს მათ არ გაუკეთებიათ. ილია ჭავჭავაძის ეს რეპლიკა მიმართული იყო სწორედ იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც, მართლაც, არაფერ შუაში არ იყვნენ.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1894 წლის 24 მაისი (გვ. 339)

**წყარო:** „ივერია.“ 1894 წ. 25 მაისი, №110, გვ. 3-4.

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ვენახის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისა და სათავადაზნაურო სკოლისთვის სკრის მამულის შექმნის საკითხები.

339. 25 „ამისათვის არის ცალკე კომისია“ – ამ სიტყვებით უპასუხა სხდომის ერთ-ერთი მონაწილის თხოვნას, რომ ბანკი, კახეთისა და ქართლის მსგავსად, ვენახის დაავადებებთან საბრძოლველად დუშეთის რაიონსაც დახმარებოდა 1000 მანეთით.

339. 27 „მ. მაჩაბლის სიტყვით მე შარშან სხვა აზრის ვიყავი და წერულს სხვა აზრისა“ – ილია ჭავჭავაძემ სხდომას მოახსენა, რომ ბანკის მიერ სკრის მამულის შესყიდვა სათავადაზნაურო სკოლისთვის გონივრულად მიაჩნდა და ცოტა ზარალი რომც მიეღო ბანკს, ეს მომავალი თაობის განათლების მიზნით გაღებული ხარკი იქნებოდა და მაინც გამართლებული იყო. მის ამ გამოსვლას მოჰყვა მიხეილ მაჩაბლის საყვედური. მან ილია ჭავჭავაძეს შეახსენა, რომ წინა წელს როდესაც თვითონ საუბრობდა ამ მამულის სკოლისთვის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ, ილიამ მხარი არ აუბა და ამ მიწის თავადაზნაურთა საკუთრებაში გადასვლას დაუჭირა მხარი, რომელთაც მასზე სამეურნეო სკოლის გახსნა სურდათ.

339. 31 „ხელს მოვიჭრი, თუ ვინც „მართალია“ იძახის ესმის რაზედ იძახის...“ – საუბარია დამსწრეთა შექაჩილზე: „მართალია“, რაც მოჰყვა მიხეილ მაჩაბლის რეპლიკას – „გააჩერეთ თ. ჭავჭავაძე“.

339. 32 „მე, თანახმად, თავადის ავალიშვილის აზრისა მოგახსენებთ“ – იგულისხმება ბანკის ერთ-ერთი დირექტორის დავით ავალიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზედამხედველი კომიტეტის თანხმობა საკმარისი ვერ იქნებოდა მამულის შესასყიდად, თუ ბანკს სათანადო სახსრები არ გამოუჩნდებოდა.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1894 წლის 26 მაისი (გვ. 340)

წყარო: „ივერია.“ 1894 წ. 28 მაისი, №112, გვ. 2-3

შენიშვნა: კრებაზე იმსჯელეს იმ კომისიის არჩევის შესახებ, რომელსაც უნდა შეეფასებინა ბანკში ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

340. 4 „მე არავისთან სამედიატორე არცარა მქონია და არცა რა მაქვს“ – ილიამ ბანკში მისი და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი დაჯგუფების საქმიანობის შესასწავლად საგანგებო კომისიის შექმნის წინადადება წამოაყენა, რასაც ივანე მაჩაბელი ტაშით შეხვდა, შემდეგ კი გადაიფიქრა და ამჯერად სამედიატორო სასამართლო მოითხოვა, რომელიც ორივე მხარის სამ-სამი წარმომადგენლისა და მათ მიერ ამორჩეული კიდევ ერთი წევრისაგან უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებულიყო.

**340. 6 „ერთი წელიწადია თ. თარხნიშვილს ჰპირდებიან“** – იმის საინტერესოდ, რომ სამედიცინო სასამართლოს მუშაობა შეიძლება დროში უსასრულოდ გაინელოს, ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს თავად თარხნიშვილის მაგალითი, რომელსაც ასევე მოსთხოვეს სამედიცინო სასამართლოში საქმის განხილვა და ერთი წლის განმავლობაში სასამართლოს წევრებიც კი ვერ აირჩიეს. სავარაუდოდ, საუბარია ბანკის ერთ-ერთ დირექტორ გიორგი თარხნიშვილზე.

**340. 7 „კაცი არ ამოურჩიეს.“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „საშინელი ხმაურობაა: სიცრუეა, სიცრუეა! ამას უფრო ხმა მაღლა მ. მაჩაბელი გაიძახის“.

**340. 8-9 „მაჩაბელთან არც არაფერი გასაყოფი მაქვს“** – ნაგულისხმევია ივანე მაჩაბელი.

**340. 16 „დიად მხიარულათ გახლავარ“** – პასუხია მიხეილ მაჩაბლის რეპლიკაზე – „რა მხიარულადა ბრძანდებით, ბატონო კნიაზო, გუშინდელს აქეთ“, რომელშიც მინიშნებაა წინა დღეს ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძის არჩევაზე 989 ხმით 334-ის წინააღმდეგ.

**340. 18-20 „კომისიის იმ უფლებათ... გაგვასამართლოს“** – ეს წინადადება წყაროში გაუმართავია, მაგრამ აზრი მისახვედრია.

## **თბილისის სათავადაზნაურო სააღბილმაგულო ბანკის წევრთა კრება**

1895 წლის 15 მაისი (გვ. 340)

**წყარო:** „ივერია.“ 1895 წ. 17 მაისი, №102, გვ. 2

**შენიშვნა:** კრებაზე იმსჯელეს ბანკის საზოგადო სასარგებლო თანხის განკარგვის შესახებ.

**340. 24 „თქვენ მოგახსენეს აქ“** – იგულისხმება ივანე მაჩაბლის გამოსვლა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის საზოგადო სასარგებლო თანხა ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ სავაუო სკოლები და დრამატული საზოგადოება, არამედ საქალებო სკოლის კომიტეტსაც მისცეს ათას შვიდას მანეთზე მეტი.

**340. 32 „სრულიადაც არა!“** – პასუხია ივანე მაჩაბლის ახსნა-განმარტებაზე იმის თაობაზე, რომ ბანკის იმწლევანდელი სახსრები დააკმაყოფილებს სათავადაზნაურო სკოლის მიერ მოთხოვნილ 51 ათას მანეთს, რადგან 3 ათასი მანეთი ჯერ კიდევ შარშანდელი მოგებიდან აქვს დარიცხული, ისე როგორც წინამძღვრიანთკარის სკოლას გამოერიცხება შარშანდელი 416 მანეთი. ადრე დარიცხული თანხების გა-

თვალისწინებით კი ბანკი სრულად გაუმკლავდება სკოლების მოთხოვნებს.

**341. 2 „ბ. წინამძღვრიშვილს... 5000 მანეთი ერგება“** – საუბარია ილია წინამძღვრიშვილსა და მის სამეურნეო სკოლაზე.

**341. 5-6 „ამაში დაგვემონება... ბ. ცხვედაძე“** – საუბარია სათავადაზნაურო სკოლის ზედამხედველი კომიტეტის წევრ ნიკოლოზ ცხვედაძეზე.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1895 წლის 16 მაისი (გვ. 341)**

**წყარო:** „ივერია.“ 1895 წ. 18 მაისი, №103, გვ. 2

**შენიშვნა:** კრებაზე იმსჯელეს სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსების შესახებ.

**341. 10 „ანგარიში რომ გადაგეფურცლათ მე-5 გვერდზედ“** – მიუთითებს დიმიტრი მუსხელიშვილს, რომელიც კრების ანგარიშში ვერ პოულობს ადგილს, სადაც საუბარია ვენახების მოვლისთვის განკუთვნილ 700 მანეთზე.

**341. „აი სად არის!“** – ამ სიტყვების თქმის შემდეგ ილია ჭავჭავაძე უკითხავს დიმიტრი მუსხელიშვილს მისთვის საინტერესო ამონარიდს კრების ანგარიშიდან.

**341. 13 „მიზოდეთ სიტყვა“** – ილია ჭავჭავაძემ სიტყვა მოითხოვა ივანე მაჩაბლის გამოსვლის შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ სათავადაზნაურო სკოლისთვის მისაცემი თანხიდან უნდა გამოერიცხათ მათ მიერ უკვე აღებული 3700 მანეთი. ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვა ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები “ხალხში დიდი ჩოჩქოლი შეიქნება”.

**341. 14 „მე მეგონა ნება უნდა მომეცეს, რომ ვუპასუხო“** – ეს რეპლიკა მოჰყვა სხდომის თავმჯდომარის სიტყვებს: “მოითმინეთ, თავ. ილია გრიგორის ძე”, რომლითაც მიმართა მან ილია ჭავჭავაძეს, როცა მან სიტყვა ითხოვა.

**341. 24 „თავადმა ივ. მაჩაბელმა სთქვა“** – იგულისხმება ივანე მაჩაბელი.

**341. 30 „და სანამ თავ. მაჩაბელი უკარნახებს“** – საუბარია მიხეილ მაჩაბელზე, რომელსაც კრებაზე სიტყვის თქმის უფლება არ მისცეს და სხდომის მდივანს თავის პროტესტს აწერიხებდა ოქმში.

**341. 31-32 „წერილობითი პროტესტი.“** – ამ ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული, დარბაზის რეაქციის გამომხატველი, სიტყვები „ხალხში ხმაურობა შეიქნება“.



## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1895 წლის 17 მაისი (გვ. 342)

**წყარო:** „ივერია“, „თავადაზნაურთა ბანკის კრება“. 1895 წ. 20 მაისი, №104, გვ. 1-2.

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს მიხეილ მაჩაბლის პროტესტის შემცველი განცხადება იმის გამო, რომ მას სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით სიტყვის წარმოთქმის ნება არ მისცეს. გამოსვლას წინ უძღვის ანგარიშის ავტორის ეს შენიშვნა („აღშფოთებული“). როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე აღშფოთებულია იმით, რომ ვლადიმერ ვაჩნაძე კვლავ ითხოვს, მიხეილ მაჩაბლის პროტესტის წაკითხვას, რომელშიც ის უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ 16 მაისის სხდომაზე სიტყვა არ მისცეს.

**342. 4 „აქ აღმოჩნდნენ მაჩაბლის დამცველები“** – ნაგულისხმევია მიხეილ მაჩაბელი, ქმნ-კვ საზოგადოების რწმუნებული ყვირილაში, რომელიც, ერთი მხრივ, სხდომის თავმჯდომარეს და, მეორე მხრივ, გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას და სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით მას სიტყვის წარმოთქმის ნება არ მოსცეს. „მაჩაბლის დამცველებში“ ილია ჭავჭავაძე ვლადიმერ ვაჩნაძეს გულისხმობს.

**342. 8-9 „დასაგმობია თუ არა მაჩაბელისა და მის თანამოაზრეთა ამისთანა საქციელი?“** – ნაგულისხმევია მიხეილ მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის მეგობარი.

**342. 9 „ჩემის აზრით, დასაგმობია“** – გამოსვლაში ჩართულია მიომიხილველის შენიშვნა: „(მართალია, უეჭველად!)“

**342. 10 „მ. მაჩაბლის საქციელს თავის შესაფერს სახელს დაუფიქრებ“** – ნაგულისხმევია მიხეილ მაჩაბელი, ქმნ-კვ საზოგადოების რწმუნებული ყვირილაში, ივანე მაჩაბლის მეგობარი.

**342. 12 „ვთხოვ თავმჯდომარეს“** – ნაგულისხმევია კრების თავმჯდომარე დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილი.

**342. 13 „როგორ უყურებს კრება მიხეილ მაჩაბლის განცხადებას“** – ნაგულისხმებია მიხეილ მაჩაბლის პროტესტის შემცველი განცხადება იმის გამო, რომ მას სათავადაზნაურო სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებით სიტყვის წარმოთქმის ნება არ მისცეს.

**342. 17 „მაჩაბლის საქციელი შედეგია მისი ძარღვების სისუსტისაო“** – ნაგულისხმევია მიხეილ მაჩაბელი, რომელმაც კრების თავ-

მჯდომარის ცილისწამებისთვის სხდომის წევრებმა სასტიკად გააკიცხეს და რომელსაც გამოეუქომაგა თავისი მეგობარი ივანე მაჩაბელი იმ არგუმენტებით, რომ, ჯერ ერთი, უმართებულოა ასეთი მოპყრობა კრების წევრისადმი, მეორე, მას ძარღვების სისუსტე აწუხებს და მისი საქციელი შესაძლოა, ამითაც იყოს გამონწვეული.

**342.** 20-21 „**მაჩაბლის ყოველი სიტყვა მოსმენილია**“ – ნაგულისხმევია მიხეილ მაჩაბელი.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1895 წლის 18 მაისი (გვ. 342)**

**წყარო:** „ივერია“, „თავადაზნაურთა ბანკის კრება“. 1895 წ. 20 მაისი, №104, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს თბილისის მცხოვრებთათვის საბანკო სარგებლის შემცირების საკითხი.

**342.** 33 „**უნდა მოვახდინოთ კონვერსია**“ – ნაგულისხმევია საბანკო ოპერაცია – სესხის ან ფასიანი ქალაქის პირობების ცვლილება (პროცენტის შემცირება, ვადის გაზრდა და ა. შ.).

**343.** 1 „**სარგებლის დაკლება დავიწყოთ უთუოდ პირველი ივლისიდან**“ – საუბარია თბილისის მცხოვრებთათვის საბანკო სარგებლის შემცირებაზე.

**343.** 3 „**საშიში არა არის-რა**“ – პასუხობს გიორგი თარხნიშვილი, სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დირექტორის, ფრთხილ ვარაუდს იმის შესახებ, რომ შესაძლოა 1896 წლის იანვარში, მით უფრო, ივლისში საბანკო სარგებლის შემცირებაზე საუბარი საფრთხის შემცველი იყოს.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1895 წლის 20 მაისი (გვ. 343)**

**წყარო:** „ივერია.“ 1895 წ. 24 მაისი, №106, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს სამინისტროს მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგები.

**343.** 11 „**ნუ ეხარბება ბ-ნს მ. მაჩაბელს**“ – სამინისტროს რევიზიის დადებითი დასკვნის მოსმენის შემდეგ კრებამ გადაუხადა ბანკის გამგეობას, რაზედაც მიხეილ მაჩაბელმა განაცხადა, რომ მადლობა ბანკის წევრებს ეკუთვნის და არა გამგეობას. ილია ჭავჭავაძის სიტყვები პასუხი იყო მიხეილ მაჩაბლის ამ გამოსვლაზე.

## **«გამოსვლა სასამართლოს სხდომაზე თედო სახოკიას**

### **სარჩელთან დაკავშირებით» (გვ. 343)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 92 r. v.

**აღწერილობა:** თაბახის ფურცლებზე შავი მელნით ნაწერი ვიწრო სვეტად, გვერდის მარცხენა ნაწილში, ნასწორები.

**დათარიღება:** არტემ ახნაზაროვის სტატია, რომლის გამოც უჩივლა თედო სახოკიამ ილია ჭავჭავაძეს, გამოქვეყნდა 1895 წლის 16 აპრილს. ამავე წლის 25 მაისს „ივერიაში“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომლიდანაც ჩანს, რომ სახოკიას საჩივარი შეტანილი აქვს, მაგრამ სასამართლოს სხდომა ჯერ არ ჩატარებულა და „მოკლე ხანში“ გაიმართება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სხდომაზე გამოსასვლელი სიტყვის ეს ჩანაწერები 1895 წლის მაისში უნდა იყოს გაკეთებული.

**343.** 17 „изданныя Т. Сахokia“ – ხელნაწერში სახოკიას სახელის ინიციალი „თ“ ქართულად წერია. საუბარია ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე, თედო ტიმოტეს ძე სახოკიაზე.

**343.** 20 „поэта кн. Акакия Церетели“ – საუბარია ქართველ პოეტზე, აკაკი როსტომის ძე წერეთელზე.

**344.** 28 „авторъ статьи“ – საუბარია არტემ ახნაზაროვზე, რომელიც გამოეხმაურა ამ ბროშურას.

## **თვილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო პანკის წივრთა კრება**

1896 წლის 21 აპრილი (გვ. 344)

**წყარო:** „ივერია.“ 1896 წ. 23 აპრილი, №88, გვ. 1-3

**შენიშვნა:** სხდომაზე განიხილეს, როდის და რა ფორმით ემსჯელათ მინისტრის მოწერილობასა და რევიზორის მოხსენებაზე.

**344.** 36 „ხსენებულ ქალაქებში“ – საუბარია მინისტრის მოწერილობაზე, რევიზორის მოხსენებაზე სამინისტროს წინაშე და გამგეობის მოხსენებაზე რევიზიის შესახებ.

## **თვილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო პანკის წივრთა კრება**

1896 წლის 22 აპრილი (გვ. 345)

**წყარო:** „ივერია.“ 1896 წ. 23 აპრილი, №88, გვ. 3

**შენიშვნა:** კრებამ განიხილა, როდის და რა ფორმით ემსჯელათ მინისტრისა და რევიზორის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებზე.

**345.** 7 „მინისტრის ქალაქი, რევიზორის მოხსენება, მაჩაბლის მოხსენება, პასუხი გამგეობისა“ – საუბარია რუსეთის იმპერიის იმუა-

მინდელი ფინანსთა მინისტრის სერგეი ვიტეს მონერილობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკისადმი, ამ ბანკში მოვლინებული რევიზორის – ევსტათი დობეცკის მიერ სამინისტროში წაკითხულ მოხსენებაზე, დობეცკის თბილისიდან გამგზავრების წინ ივანე მაჩაბლის მიერ მისთვის გადაცემულ მოხსენებით ბარათსა და ილია ჭავჭავაძის მიერ ბანკის გამგეობის სახელით გაგზავნილ განმარტებით ბარათზე.

**345. 10 „თუ ბ. თავმჯდომარე... ვერ სცნობს შესაძლოთ“** – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილზე, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ კრებას.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 24 აპრილი (გვ. 345)**

**წყარო:** „ივერია“ 1896 წ. №89, 25 აპრილი, გვ. 3

**შენიშვნა:** კრება მიეძღვნა ფინანსთა მინისტრისა და რევიზორის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტების განხილვას.

**345. 17 „თ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა სთქვა“** – საუბარი უნდა იყოს ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლოყაშვილზე.

**345. 24 „კეზელმა კი ის წარმოსთქვა“** – საუბარია დავით ივანეს ძე კეზელზე.

**345. 27 „მე არ გამიგონია“** – ეხმაურება კრების თავმჯდომარის ნათქვამს იმის შესახებ, რომ მან უკვე მისცა შენიშვნა დავით კეზელს.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 25 აპრილი (გვ. 345)**

**წყარო:** „ივერია“ 1896 წ. №91, 27 აპრილი, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრება მიეძღვნა ფინანსთა მინისტრისა და რევიზორის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტების განხილვას.

**345. 34 „რაზედ ვილაპარაკოთ?“** – ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები მოჰყვა კრების თავმჯდომარის მიმართვას ბანკის გამგეობისადმი, თქვენი რიგია და სთქვით, რაც გინდათო.

**346. 2-3 „მოხსენება თ. მაჩაბლის“** – საუბარია თავად ივანე მაჩაბელზე.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება**

**1896 წლის 27 აპრილი (გვ. 346)**

**წყარო:** გრ. აბაშიძის მიმოხილვა: „ივერია“ 1896 წ. №93, 1 მაისი, გვ. 1-2; №94, 2 მაისი, გვ. 1-2; №95, 4 მაისი, გვ. 2-3; №96, 5 მაისი, გვ. 2-4; №97 8 მაისი, გვ. 2-3.

**შენიშვნა:** კრებაზე ილია ჭავჭავაძე კითხულობს ფინანსთა მინისტრის პასუხს გამგეობის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე, განიხილავს რევიზორის იმ შენიშვნებს, რომლებსაც ეყრდნობა მინისტრის დოკუმენტი და განმარტავს მუხლობრივად.

**346. 16 „არ შეიძლება კაცმა საქმე ბნელში დასტოვოს დროს მოგებისათვის“** – პასუხს სცემს კრების თავმჯდომარეს, რომელიც მიუთითებს, რომ არ გააგრძელოს სიტყვა და დოკუმენტის ხელმეორედ წაკითხვით არ გააჭიანუროს საქმე.

**346. 17-18 „თვით საქმის გადაფურჩეება“** – ამ ფრაზას გამოცემაში ახლავს კომენტარი („კითხულობს მინისტრის ქალაქი: „დარღვევა წესდებისა, რომელიც“)...

**346. 22 „ვსთხოვ ბ. თავმჯდომარეს“** – საუბარია დიმიტრი მუსხელიშვილზე.

„რევიზორის მოხსენებისა“ – ფრაზას ახლავს ფრჩხილებში ჩანერილი სიტყვა („კითხულობენ“).

**346. 24 „რას უწოდებს რევიზორი“** – იგულისხმება რევიზორი ევსტათი დობეცკი.

**347. 14 „არავის არას დროს არავისთვის არ დაუყვედრებია“...** – ნაგულისხმევია ივანე მაჩაბელი, რომელიც ამბობს, რომ მას ხშირად საყვედურობენ კერძო აზრის ქონის გამო.

**347. 15 „ყველა ერთად ვმოქმედებით?“** – ფრაზას გამოცემაში მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები: (აგრძობს მინისტრის ქალაქის კითხვას): „დაფასება უძრავ მამულთა“...

**348. 11 „განვაგრძობ“** – სიტყვას მოჰყვება ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა: („კითხულობს:“) „სესხის გაცემა ქალაქის უძრავ მამულთა“...

**349. 3-4 „სარაჯიშვილისა, ზუბალაშვილისა და ყორღანოვის მამულებზე“** – საუბარია ბანკის მომხმარებლებზე.

**350. 31 „სარაჯოვის მამულის შესახებ“** – საუბარი დავით სარაჯიშვილის მამულზე.

**350. 33 „ათას მანეთად“** – სიტყვებს ახლავს შენიშვნა, რომ თ. ვლ. მიქელაძემ იკითხა, ვინ დააფასა ეს სახლიო და მიუგეს, რომ პირველად თ. ივანე მაჩაბელმა და კონსტანტინე ფურცელაძემ.

**350. 34-35 „ათის წლის შემდეგ, სხვა დამფასებელთა: (ჩერქეზიშვილი და სულხანიშვილი)“** – საუბარია მამულის ღირებულების განმსაზღვრელებზე, დამფასებლებზე – ჩერქეზიშვილსა და სულხანიშვილზე.

**351. 5 „მართლაც რომ ბნელი ეფინება“** – ფრაზა მოჰყვება მიხეილ მაჩაბლის კომენტარს, რომ დამფასებლები უნდა გათავისუფლდნენ

პასუხისგებისაგან, რადგან ნამდვილი ინსტრუქცია არ არსებობს და აქ საგანს ბნელი ეფინება.

**351. 19 „ზუბალაშვილს გამგეობამ მისცა“...** სახელი არ არის მითითებული და ვერ ვიტყვით, რომელ ზუბალაშვილზეა საუბარი.

**352. 7 „უნდა თქვენც ერწმუნებოდეთ“...** ამ ფრაზას მიმოხილვაში მოსდევს სიტყვები: კითხულობს კვლავ მინისტრის დოკუმენტს: „გარდა ამისა წესდებისა და დამფასებელთა“...

**354. 21 „მეხუთე მუხლი მინისტრის ქალაქისა შემდეგია:“** – ამ სიტყვების შემდეგ კითხულობს ამონარიდს: 32 § წესდების წინააღმდეგ გამგეობა აძლევს ნებას“...

**352. 22 „აი როგორ ათავებს მინისტრი ამ პუნქტს“** – ამ სიტყვების შემდეგ კითხულობს ამონარიდს: „ამგვარს წეს-რიგს ის შედეგი აქვს, რომ“...

**354. 22 „აი, რას ამბობს იგი:“** – ამ სიტყვების შემდეგ კითხულობს ამონარიდს: „უძრავ მამულთა, რომელნიც ბანკსა რჩება“...

**358. 11 „სამინისტროს ქალაქის მეექვსე მუხლის განხილვას:“** – ამ სიტყვების შემდეგ კითხულობს ამონარიდს: „6) Западный капиталъ вопреки“.

**360. 1 „მეშვიდე მუხლი მინისტრის ქალაქისა რას გვაუწყებს:“** + „7) Делопроизводство и счетоводство банка“.

**360. 8-9 „ეს მეშვიდე მუხლი მინისტრის ქალაქისა:“** – ამ სიტყვების შემდეგ კითხულობს ამონარიდს: „წეს-რიგი ანგარიშის წარმოებისა“...

**360. 34 „მეტია ჩემთვის ამგვარი წინ-სწრობილი გაფრთხილება“** – პასუხს სცემს კრების თავმჯდომარის დიმიტრი მუსხელაშვილის მითითებას: ნუ დაივინყებს, რომ მინისტრის დოკუმენტის შესახებ საუბრობს და პატივისცემით მოეკიდოს მას.

**361. 6 „ნუ თუ თქვენ, ბ. კეზელი, მე უნდა მასწავლიდეთ ზრდილობასა“** – პასუხია დავით კეზელის რეპლიკაზე: „დაუცინებლად, თავად“.

**361. 8 „დიაღ, წავიკითხავ, მაგრამ, ვიცი, თქვენ თვითონ არ გიამებათ“** – პასუხს სცემს ოპოზიციის მოთხოვნას, რევიზორის მოხსენებიდან ამოიკითხოს ფრაგმენტი ანგარიშის წარმოების შესახებ.

**361. 8-9 „თქვენ თვითონ არ გიამებათ“** ამ ფრაზის შემდეგ კითხულობს შემდეგ ფრაგმენტს რევიზორის მოხსენებიდან: „ყველა იმ წიგნთ, რომელნიც უმთავრესს წიგნებს ჰშველიან“...

**361. 10 „ყველა იმ წიგნთ, რომელნიც“** – სიტყვებს გამოცემაში წინ უსწრებს შენიშვნა, რომ კითხულობს შემდეგს ადგილს რევიზორის მოხსენებისას:

361. 33 „**ოპოზიციის საყვარელი ბუგალტერი თ. ფავლენიშვილი**“ – საუბარია დიმიტრი ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილზე.

363. 25 „**საფუძვლად დაედვა ასეთს დასკვნას**“ – ამ ფრაზის შემდეგ კითხულობს ამონარიდს: „ყოველი თითოეული ნაწილი ბალანსისა...“

365. 35-36 „**ვითომ-და, წესდების დარღვევასა.. მოხსენებაში თ. ივ. გ. მაჩაბლისა**“ – საუბარია იმაზე, რომ ილიას მოსაზრების თანახმად, მინისტრის მიერ წესდების დარღვევად მიჩნეული არც ერთი მუხლი არ ემთხვევა ივანე მაჩაბლის მოხსენებაში აღნიშნულ დარღვევებს. გროშიც არ აღმოაჩნდა – ამ სიტყვების შემდეგ მიმოხილვაში არის დარბაზის რეაქციის გამომხატველი მინიშნება (სიცილი)

367. 14 „**დასასრულ სამინისტრო გვეუბნება**“ ამ სიტყვების შემდეგ ისევ კითხულობს ამონარიდს: „1) Означенный отчетъ представить на обсуждение общаго собрания“.

367. 32 „**отступленийъ отъ устава**“ – კორექტურული შეცდომა იყო. ეწერა „**установа**“

370. 20 „**თ. ნ. ორბელიანმა და მისმა აღმატებულებამ დ. ი. მუსხელიაშვილმა. ბანკის გამგეობის მოქმედება ბინიერია**“ – საუბარია იმაზე, რომ ნიკოლოზ ორბელიანისა და დიმიტრი მუსხელიაშვილის გამოსვლები, რომლებშიც უსაშველოდ არის გაზვიადებული მინისტრის მიერ მოცემული შენიშვნები, ვრცელდება პრესის მეშვეობით და ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე.

371. 5 „**საკუთარს სინდისს!**“ – სიტყვებს მოსდევს დარბაზის რეაქციის გამომხატველი მინიშნება: „ხანგრძლივი ტაში“

371. 6-7 „**თ. ნ. ორბელიანმა განაცხადა, რომ სიტყვა „ბინიერება“ ვინმარე იმ აზრით**“ – საუბარია ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანზე, რომელმაც პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა, ილიას მოსაზრებით, მცდარი შეხედულება, თითქოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში ბანკის მდგომარეობა „უფსკრულის პირას მისულად“, ბანკის გამგეობის საქმიანობა კი „ბინიერებად“ იყოს შეფასებული. წყაროში ორბელიანის სახელის მხოლოდ ინიციალია მითითებული, მაგრამ რამდენადაც ბანკის სხდომებზე აქტიურად გამოდიოდა ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი (მაგ.: იხ. „ივერია“, 1895.11 მაისი. №98, გვ.2; 31 მაისი, №111, გვ.3-4), ვფიქრობთ, აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს.

371. 11 „**ყავა დალიეო.**“ – ამ სიტყვებს მოჰყვება დარბაზის რეაქციის გამომხატველი სიტყვა: „სიცილი“.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1896 წლის 28 აპრილი ()

**წყარო:** „ივერია“, გრ. აბაშიძე, „ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება“. 1896 წ. 10 მაისი, №99, გვ. 1-2.

**შენიშვნა:** კრებაზე უნდა განეხილათ ფინანსთა მინისტრის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტი, მაგრამ ძირითადი ნაწილი დაეთმო ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის წინა დღეს მომხდარი გაუგებრობის გარკვევას.

**371. 28 „თ. ნ. ორბელიანი იმოდენად წინდახედული იყო გუშინდელ შემთხვევის შესახებ“** – საუბარია ნიკოლოზ ორბელიანზე, რომელმაც ივანე მაჩაბლის არასაკადრისი ეპითეტიც მოხსენიებისთვის ილია ჭავჭავაძისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

**372. 5 „რომლითაც მან თავმჯდომარეს კრებისას მიმართა“** – ნაგულისხმევია კრების თავმჯდომარე დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილი.

**372. 8-9 „ასე იყო თუ არა, თქვენო აღმატებულებავ?“** – მიმართავს კრების თავმჯდომარეს დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილს, როგორც წინა დღეს მასა და ივანე მაჩაბელს შორის უთანხმოების შემსწრეს.

**372. 10 „ვსთქვი მე სიტყვა „დანოსჩიკი“?“** – მხედველობაში აქვს ნიკოლოზ ორბელიანის ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მან ივანე მაჩაბელს „დამსმენი“ უწოდა.

**372. 8 „და არა ის.“** – ამ სიტყვებით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს.

**372. 12 „თუ მართლა თ. მაჩაბელს „დანოსჩიკი“ დაუძახაო“** – ნაგულისხმევია ივანე მაჩაბელი და მოხმობილია ნიკოლოზ ორბელიანის ნათქვამი.

**372. 13 „დაე, ჩასწერონ ოქმში და დამასმინონ სადაც ჯერ არს, მით უმეტეს, რომ გზა ამისათვის უკვე გაკვერილია მეთქი“** – გულისხმობს იმას, რომ დასმენა ივანე მაჩაბლისთვის უჩვეულო არ იქნებოდა.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრება

1896 წლის 28 8 მაისი (გვ. 372)

**წყარო:** „ივერია“, გრ. აბაშიძე, „ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება“. 1896 წ. 10 მაისი, №99, გვ. 2.



**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს 1892 წლის 30 აგვისტოდან 1903 წლის 29 აგვისტომდე რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრის – სერგეი იულის ძე ვიტეს მიმართვა.

**372. 20 „აქ შეიღს მაისს მ. მაჩაბელი შეეხო...“ – ვფიქრობთ, აქ ინიციალი შეცდომით უნდა იყოს და უნდა იგულისხმებოდეს ივანე მაჩაბლის გამოსვლა 7 მაისის სხდომაზე. თავმჯდომარემ ილია ჭავჭავაძეს წინადადება არ დაამთავრებინა, მაგაზე ლაპარაკის ნებას ვერ მოგცემთ, პირდაპირ საქმეს შეუდექითო.**

**372. 31 „როგორც ზოგიერთები თხოულობენ“ – ტექსტში დაზუსტებით არ არის მითითებული, მინისტრის საბუთის განხილვას ვინ ემხრობოდა და ვინ – არა. „ამის შესახებ სხვა-და-სხვა აზრი გამოიტყვა, ზოგი იმ აზრისა იყვნენ, რომ კომისია ამოვირჩიოთ და იმას მივანდოთ ამისი განხილვა და განსჯაო და ზოგი კი ამტკიცებდა, რომ მინისტრის ქალაქს ჩვენ ვერ განვიხილავთ ამ კრებაშიო – ვკითხულობთ „ივერიაში“.**

**372. 31-32 „მინისტრი ბრძანებს დაუყოვნებლივ შევასრულოთ“ – ნაგულისხმევია ფინანსთა მინისტრი სერგეი ვიტე.**

**372. 32 „ეს საგანი ვერ“ – ამ სიტყვების შემდეგ გაზეთი დაზიანებულია და სიტყვები არ იკითხება.**

**372. 32 „კრების თავმჯდომარისაგან“ – ნაგულისხმევია კრების თავმჯდომარე დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილი.**

**372. 36 „შევუდგეთ მორიგ საგნებს.“ – ამ ფრაზის შემდეგ თავმჯდომარე აწყვეტინებს და მიუთითებს, რომ მოკლედ ილაპარაკოს.**

**373. 4-5 „მე ჩემი ბ-ნ თავმჯდომარის პირუთვნელობის მფარველობის ქვეშ დავაყენე“ – გულისხმობს კრების თავმჯდომარეს დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილს, რომლის პირუთვნელობას, ამ საკითხთან მიმართებით, ეჭვქვეშ აყენებს.**

**373. 7 „იმედი მფარველობისა“ – ამ სიტყვების შემდეგ მიმომხილველი აღწერს დარბაზის რეაქციას: (საშინელი ყვირილია: მიეცით სიტყვა ჭავჭავაძეს!) და აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამისა, მას სიტყვას არ აძლევენ, ხალხი ამის გამო უკმაყოფილებას გამოხატავს და ყვირის. გაბრაზებული თავმჯდომარე აცხადებს, რომ სხდომას წყვეტს და არ განაახლებს, სანამ არ დაემორჩილებიან.**

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკის წევრთა კრება**

1896 წლის 9 მაისი (გვ. 373)

**წყარო:** „ივერია“, „თავადაზნაურთა ბანკის კრება“. 1896 წ. 11 მაისი, №100, გვ. 1-2

**შენიშვნა:** კრებაზე გააგრძელეს საუბარი რევიზიის შედეგებსა და მინისტრის წერილზე.

**373. 12 „სანამდის ჯაბადარი რაიმეს მოახსენებდა“** – ამ სიტყვების წინ ჯაბადარმა კრებას მიმართა, რომ რევიზორის მოხსენების ის მუხლები მიიღოს მხედველობაში, რომელიც წესდების დარღვევას ეხება და სანამ ის ამას იტყოდა, კრების თავმჯდომარემ – დიმიტრი მუსხელიშვილმა თქვა: „ერთი ჩვენი კრების ღირსეული წევრი, კაცი მომზადებული, ნასწავლი და ნიჭიერი ეს მეორედ ლაპარაკობს და თქვენ არ აცლით თავისი სასარგებლო აზრი წარმოთქვას“.

**373. 15 „თქვენის წყალობით არაფერი!“** – როდესაც ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა, ოქმში შეეტანათ, როგორი რეკომენდაცია გაუკეთა სხდომის თავმჯდომარემ ჯაბადარს, თავმჯდომარემ ჰკითხა, სხვა არაფერი შევიტანო ოქმშიო? და ეს სიტყვები მწერალმა ამას მოაყოლა.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილგაფულო განკის წევრთა კრება

1897 წლის 23 იანვარი (გვ. 373)

**წყარო:** „ივერიის“, „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება“,

1897 წ. 25 იანვარი №8, გვ. 2-3; 26 იანვარი, №9, გვ. 2-3 (A); „ცნობის ფურცელი“, 1897 წ. 24 იანვარი, №94, გვ. 2 (B).

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს სოფელ ოძისში ზაქარია ერისთავისეულ მამულში სამეურნეო სკოლის დაარსების საკითხი. ანგარიში გამოქვეყნებული იყო 24 იანვრის ნომერშიც, მაგრამ გამომსვლელთა სიტყვების ხარვეზით დაბეჭდვისა და ზოგიერთ შემთხვევაში გამოტოვების გამო, „ივერიის“ 25 იანვრის №8-ში ხელახლა გამოქვეყნდა თავადაზნაურთა საგანგებო კრების ანგარიში და ძირითად ტექსტად მას წარმოვადგენთ. ამ სხდომის ანგარიში დაიბეჭდა „ცნობის ფურცელშიც“. აქ არის „ივერიის“ პუბლიკაციისგან განსხვავებული გამოსვლებიც. ამიტომ ამ მასალას, შედარებისთვის, წარმოვადგენთ სამეცნიერო აპარატში B ვარიანტად.

**373. 1-2 „თქვენი საჩივარი, რომელიც დღეს სამინისტროში გასარჩევად“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანის მიერ ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი საჩივარი თბილისის ბანკთან დაკავშირებით.

**374. 1 „ბ-ნმა მინისტრმა“** – იგულისხმება რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი სერგეი ვიტე.

**375. 26 „მე ეგ არ მომიხსენებია“** – ეხმაურება თავისივე ნათქვამის გუბერნიის მარშლის, კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ მოყვანილ პერიფრაზს, თ. ილია ჭავჭავაძემ სთქვა, რომ ბანკს ფულია არა აქვსო...

**375. 29 „მადლობას მოგახსენებთ, მე არ შემიძლიან კამიტეტში მონაწილეობა მივიღო“** – საუბარია გუბერნიის მარშლის, კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის გადანყვეტილებაზე, ოდისის სკოლის საკითხთან დაკავშირებით შექმნან საგანგებო კომიტეტი ზაქარია ერისთავის თავმჯდომარეობით და ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით.

**376. 8 „მე მარტო ჩამოვდივარ ამისათვის მამულს ხუთი ათასის თუმნის ღირებულებისასაო“** – მხედველობაში აქვს ზაქარია ერისთავის გადანყვეტილება, რომელსაც სურს სამეურნეო სკოლის დასაარსებლად საკუთარი მამული შესწიროს ბანკს.

**376. 10 „მადლობის მაგიერად რა პასუხს ვაძლევთ? Невыгодно-о!“** – ნაგულისხმევია ბანკის წევრთა საორჭოფო მიდგომა ზაქარია ერისთავის პირობისადმი, რომლის თანახმადაც ის ბანკს უთმობს საკუთარ მამულს იქ სამეურნეო სკოლის დასაარსებლად. ბანკის წევრები შიშობენ, რომ ვერ მოიძიებენ ოდისის სკოლის გასამართავად და შესაძინარჩუნებლად საჭირო სტაბილურ მატერიალურ წყაროს და ზაქარია ერისთავის შემოთავაზებას „არამომგებიანს“ უწოდებენ.

**376. 36 „მაგას რაღა კამიტეტი უნდა?“** – საუბარია საგანგებო კომიტეტზე, რომელსაც უნდა განეხილა ზაქარია ერისთავის მამულში სკოლის დაარსების საკითხი. პასუხი მოჰყვა რეპლიკას: „მაგ საქმეს გამორაკვევს კომიტეტი“.

**376. 36-37 „მკვდარი საქმე გავაცოცხლოთ“** – ილია ჭავჭავაძე გულისხმობს იმას, რომ ათი წლით ადრე თავადაზნაურობა აპირებდა გამოეყო თანხა მსგავსი საჭიროებებისთვის და შეადგინა დოკუმენტი, რომლისთვისაც შემდეგ მსვლელობა არ მიუწყიათ.

### **В ვარიანტი:**

**გამოსვლა 1:** სახლი გვაძლევს 10-12 ათას მანათს წელიწადში, ამას გარდა არის ბანკის თანხებში თანხა სამეურნეო საჭიროებისათვის. ყველა ეს ფულები მოვანხმართ თავ. ზაქარიასაგან მოცემულ მამულში სკოლის დაარსებას... ისა სჯობია, რომ სახლს ჯერ ვალი ედოს, რადგან ვალსაც ყოფნის იმის შემოსავალი და კიდევ რჩება, ვინემ საჩუქარზედ უარი ვსთქვათ და სკოლა დავკარგოთ.

**გამოსვლა 2:** 46 ათასი მანათი გვეჭირება თავდაპირველი ხარჯისათვის – ვინ დაგვიშლის, რომ რაც შემოსავალი გვაქვს, იგი დავხ-

არჯოთ. მაგალ. ყოველ წელიწადს დაჯიჯიჯოთ 12-16 ათასი მანათი, ოთხ წელიწადში საქმეს გავმართავთ და სკოლაც მაშინ გავხსნათ.

**გამოსვლა 3:** თავად-აზნაურობას მოესხენება, რომ მოგება და წაგება ტყუილები არიან... განა შემოიძლიან ახლა ვსთქვა, რომ ყოველთვის მოგება გვექნება და ქვეყანას ავაშენებთ. შეიძლება ომი ასტყედეს, საქმეები ცუდათ წავა და არა დაგვრჩება რა... ამას გარდა თვითონ ჩვენი ზოგიერთნი თავადაზნაურნი ცდილობენ, რომ ბანკის მოქმედება შემცირდეს – ესა სჩანს სამინისტროში მიწერილ ქაღალდებიდან, და რაკი მოქმედება შემცირდება, შემოსავალიც იკლებს. თქვენ თვითონ ტაშს უკრავთ ამისთანა მოქმედებას და მევე მეკითხებით, რომ რას მივსცემთ ამ სკოლას... რასაკვირველია, თუ კი რომ გვექნება, უარს ვერ ვეტყვით და არც სათქმელია, მივსცეთ; მაგრამ გვექნება კი რამ? ამის თავდები მე არა ვარ... უნდა სხვა სახსარიც მოვიგონოთ რამ ამ საქმის საშველად; რატომ ის თავად-აზნაურობის განაჩენი არა სრულდება, ის განაჩენი, რომელიც ფულების განერვას შეეხება... უნდა მოვაგონოთ ის განაჩენი თავად აზნაურობას, გამოვიღოთ თანხა და მაშინ, ლაპარაკიც, არ უნდა ყველაფერი გაკეთდება.

**გამოსვლა 4:** მე მგონია აჯობებს, ამოვირჩიოთ კომიტეტი, რომელმაც გამოძებნოს სახსარი და საშვალეება, თუ როგორ დაარსდეს ეს სკოლა...

### **თბილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების კრება**

1897 წლის 23 მარტი (გვ. 377)

**წყარო:** „ივერია“, „ტფილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების წლისთავის კრება“, 1897 წ. 27 მარტი, №58, გვ. 2-3; 28 მარტი, №59, გვ. 2-3 (A); „ცნობის ფურცელი“, 1897 წ. 24 მარტი, №152, გვ. 2 (B).

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს წმინდა მოგებისა და სათადარიგო თავნის გაზრდის საკითხი. ამ კრების ანგარიში გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელშიც“, რომელსაც შედარებისთვის, წარმოვადგენთ სამეცნიერო აპარატში B ვარიანტად.

**377. 3 „ბ-ნ სავანელის მიერ თქმული საყურადღებოა“** — სავანელის სახელი წყაროში არ არის მითითებული და მისი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. კრებაზე მან დასვა კითხვა, სავალდებულო იქნება თუ არა ბანკის ყოველი წევრისთვის სათადარიგო თავნის გასაზრდელად კრედიტის თანხიდან დამატებითი ათი პროცენტის შეტანა.

**377. 18 „ბ-ნ პ. რ. ყიფიანის აზრს მე ვეთანხმები მარტო იმაში, რომ... კანონიერი არ არის“** — საუბარია პავლე როსტომის ძე ყიფიანის

მოსაზრებაზე იმის თაობაზე, რომ უსაფუძვლოა ვერსია სათადარიგო თავნის გასაზრდელად საკრედიტო გადასახადის ყოველწლიურად ათი პროცენტით გაზრდის შესახებ. ამის სანაცვლოდ მან შესთავაზა ბანკიდან გასესხებული ფულის სარგებლის ერთი პროცენტით გაზრდა.

**377. 27 „მართალია, მაგრამ ნუ გავინყდებით“** – ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძემ მოაყოლა პავლე ყიფიანის განცხადებას, რომ წესდების მიხედვით საჭიროა არანაკლებ 10 პროცენტის გადადება, რაც არ გამოიციხავს მეტის გადადებას.

**378. 9 „ვეთანხმები ბ-ნ-ს კობიაშვილს“** – საუბარია იმაზე, რომ ალექსანდრე კობიაშვილმა საერთოდ უარყო სათადარიგო თავნის საჭიროება.

**378. 12 „თუ ეგ სადმე მომხდარა“** – ნაგულისხმევია კ. მიქელაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება: მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების წესდებაში მხოლოდ მითითებული გზითაა შესაძლებელი სათადარიგო თავნის დადგენა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მსგავს საკრედიტო დაწესებულებებს საკრედიტო თავნი სხვა გზითაც აუღიათ.

**378. 24 „არავითარის საბუთის და მიზეზის მოსმენა არ მინდა“** – ილია ჭავჭავაძე გულისხმობს წინა მომხსენებლის მოთხოვნას, რომ საზოგადოების იმ თხუთმეტ წევრს, რომლებიც წერილობით ითხოვდნენ გამგეობის წევრების: მიქელაძის, საგინაშვილის, თულაშვილისა და ხიზანიშვილის გადაყენებას, თავიანთი მოთხოვნა დაესაბუთებინათ.

**378. 27 „თხოვნაზე სხვათა შორის ხელი უწერია იმისთანა კაცსაც... ბ-ნი კეზელია“** – საუბარია კრების თხუთმეტი წევრის დაუსაბუთებელ მოთხოვნაზე, ხელახლა აირჩიონ გამგეობის ოთხივე წევრი და მის ერთ-ერთ ხელისმომწერზე – დავით კეზელზე. ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს დარბაზში მოჰყვა ხმაური, ტაშის კვრა და ძახილი: „მართალია, მართალი!“.

**378. 29 „შებლალულია ბ-ნი კეზელი თუ არა“** – ეს სიტყვები მოჰყვა დავით კეზელის რეპლიკას, რომ ის ქართველი აზნაურია და ჯერ არაფრით არის შებლალული და ილია ჭავჭავაძემ თავისი სიტყვებით გააუპატიურა არა მხოლოდ ის, არამედ მთელი კრება.

**378. 33 „გაგვიუპატიურა ოთხი ჩვენ მიერ ამორჩეული კაცი“** – იგულისხმება გამგეობის წევრები: მიქელაძე, თულაშვილი, საგინაშვილი და ხიზანიშვილი, რომელთა გადაყენებასაც ითხოვდნენ დავით კეზელი და საზოგადოების კიდევ 14 წევრი.

379. 29 „**დალით დასდალავს...**“ – სიტყვებს მოჰყვება კრების მონაწილეთა ხმაური და შეძახილები: „მართალია, მართალია!“ თავმჯდომარემ კი 5 წუთით შეწყვიტა კრება.

**ბ ვარიანტი:**

**გამოსვლა 1:** კრებას არა აქვს უფლება რაიმე ზომები შემოიღოს სათადარიგო თანხის შედგენის თაობაზე, რადგან ჩვენს „ნესდებაში“ მხოლოდ ერთი საშუალებაა ნაჩვენები წმინდა მოგების მოხმარებისა და განაწილებისა; ამისათვის, თუ ბანკის „ნესდება“ არ შეეცვალა, ისე ჩვენი განაჩენი უკანონო იქნება და, მაშასადამე არც, ნევრთათვის იქმნება სავალდებულო. ყოველ შემთხვევაში მე ვეთანხმები პ. რ. ყიფიანის აზრს თანხის შედგენის წეს-რიგის შესახებ.

**გამოსვლა 2:** პ. რ. ყიფიანს უსაფუძვლოდ მოჰყავს ნესდების მე-90 მუხლი. კრებას არა აქვს უფლება განიხილოს ეგ საგანი. ნესდების ძალით ჩვენ არ შეგვიძლიან ეს უკანონობა ჩავიდინოთ.

**„მე ვეთანხმები პ. რ. ყიფიანის აზრს თანხის შედგენის წეს-რიგის შესახებ“** – იგულისხმება პავლე როსტომის ძე ყიფიანის გამოსვლა სათადარიგო თანხის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის ურჩევს კრებას, ამ საქმეში იხელმძღვანელონ თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში დამკვიდრებული პრინციპებით.

**„ნესდების ძალით ჩვენ არ შეგვიძლიან ეს უკანონობა ჩავიდინოთ“** – იგულისხმება წმინდა მოგებიდან არა ნაკლებ ერთი მეათედი ნაწილის სათადარიგო თანხად ჩარიცხვის ვალდებულება.

**თბილისის სათავადაზნაურო სააღვრილაშულო პანკის წევრთა კრება**

1897 წლის 31 მაისი (გვ. 380)

**წყარო:** „ივერია“, „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება“, 1897 წ. 4 ივნისი, №107, გვ. 2-3

**შენიშვნა:** კრებაზე შეეხნენ ოძისში სკოლის დაარსების საკითხს.

380. 4 **„ეს შუამდგომლობა იმიტომ არ იქნა შეწყნარებული, რომ...“** – საუბარია თბილისის თავად-აზნაურთა შუამდგომლობაზე უმაღლესი მთავრობის წინაშე სკოლის სასარგებლოდ თანხის გამოყოფის შესახებ.

**<საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსის მისასალმებელი**

**სიტყვა> (გვ. 380)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 93 r. v., 94 r.

**აღწერილობა:** თაბახის ფურცლებზე შავი მელნით ნაწერი გვერდის მარცხენა მხარეს და ნასწორები.

**დათარილება:** ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს სიტყვა, მიმართული რუსეთიდან ჩამოსული უმაღლესი სასულიერო იერარქისადმი, ეგზარქოსისადმი. რამდენადაც პერიოდული გამოცემებიდან ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე 1898 წლის 28 მარტს მცხეთაში შეხვდა საქართველოს ეგზარქოსად იმხანად ახალდანიშნულ ფლავიანეს, ვფიქრობთ, ეს ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს მისი მისასალმებელი სიტყვისთვის.

**380. 13 „во главѣ своего предводителя“** – 1894-1900 წლებში თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

**380. 14 „привѣтствовать ваше прибытіе“** – სავარაუდოდ, იგულისხმება საქართველოს ეგზარქოსი ფლავიანე გოროდეცკი.

**380. 20 „Государя Императора“** – 1898 წელს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ II.

**381. 7 „божественнаго искупителя“** – ტექსტში მექანიკური შეცდომაა, წერია „божественнаго искупителя“.

**381. 34 „хоругви Христа“** – საუბარია ბაირალზე მაცხოვრის გამოსახულებით.

## **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1898 წლის 19 აპრილი (გვ. 382)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. 21 აპრილი, №512, გვ. 4;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს გამგეობის მოხსენება ბანკის წლიური საქმიანობის ანგარიშის შესახებ, იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ გადანაწილებულიყო ბანკის მოგება სათავადაზნაურო სკოლას, თელავის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელსა და ქართულ დრამატულ საზოგადოებას შორის.

**382. 11 „მოკლე ვადიანი სესხის გასაცემი თანხა“** – ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძე კითხულობს გამგეობის ანგარიშიდან, რადგან კრების ერთ-ერთმა წევრმა – ალექსანდრე კობიაშვილმა განაცხადა, ანგარიში ხარვეზიანად არის შედგენილი და იქ საერთოდ არ არის ნაჩვენები თანხა, რომლიდანაც გაიცემა მოკლევადიანი სესხიო.

**382. 15 „ბ-ნ ა. ი. კობიაშვილის სურვილს რომ დავადგეთ“** – იგულისხმება ალექსანდრე კობიაშვილის სურვილი იმის თაობაზე, რომ ანგარიშში დაწვრილებით იყოს ახსნილი, თუ რომელი წყაროებიდან გაიცემა მოკლევადიანი სესხები.

**382. 20-21 „რევიზორის თანახმად“** – იგულისხმება რევიზორ ევსტათი დობეცკის მიერ შედგენილი სარევიზიო აქტი.

**382. 22 „ეგ ახირებულია“** – ეს გამოსვლა მოჰყვა ალექსანდრე კობიაშვილის სიტყვებს, რომ არ შეიძლება სათავადარსიგო თანხის სარგებელი წმინდა მოგებად აღინიშნოს ანგარიშის წიგნებში.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1898 წლის 20 აპრილი (გვ. 382)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. 22 აპრილი, №513, გვ. 2-3;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის – კონსტანტინე მამაცაშვილის პეტერბურგში გამგზავრების მიზეზები და შედეგები.

**382. 34 „ოფიციალურად ვერ არც სახელმწიფო რჩევის გადაწყვეტილება“** – ფრაზას წინ უძღვის თავად შალიკაშვილის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მამაცაშვილს დაუგვიანია, რადგან წარმომადგენლობის შემოღების საკითხი მის ჩასვლამდე გადაუწყვეტიათ.

**383. 1 „ჩვენი შუამდგომლობა, გარდა წარმომადგენლობისა, შეწყნარებულია“** – იგულისხმება პეტერბურგში განხილული სხვა საკითხები – მოკლევადიანი სესხის გაცემა აგარაკებზე, გირავნობის ფურცლების კონვერსია და ქალაქის მამულების დაფასების საქმეში ცვლილების შეტანა.

**383. 2 „რაც შეეხება საყვედურს ბ. მამაცაშვილი გვიან წავიდაო“** – ეს საყვედური წინა მომხსენებელმა შალიკაშვილმა იმის გამო გამოთქვა, რომ, მისი აზრით, პეტერბურგში ვერ გადაწყდა ბანკისთვის უმთავრესი – წარმომადგენლობის საკითხი.

**383. 6 „სრულიად კანონიერი მოთხოვნა“** – ფრაზა ეხება საპენსიო სალაროსთვის წლიურად 5000 მანეთის გაღების საკითხს და თავად შალიკაშვილის კანონიერ მოთხოვნას, იცოდეს ამ თანხის ასავალ-დასავალი.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება**

1898 წლის 21 აპრილი (გვ. 383)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. 23 აპრილი, №514, გვ. 3-4;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ბანკის მოგების განკარგვის საკითხი. იმსჯელეს, როგორ გადანაწილებულიყო თანხა სათავადაზნაურო სკოლას, დრამატულ საზოგადოებასა და თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელს შორის.



383. 19 „სკოლის ხარჯთაღრიცხვის მოსმენა ჩვენ არას გვიშველის“ – ეხმიანება თავად იოსებ შალიკაშვილის მოთხოვნას, თავდაპირველად განიხილონ სათავადაზნაურო სკოლის ხარჯთაღრიცხვა.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის  
რწმუნებულთა მორიგი კრება**

1901 წლის 22-23 მაისი (გვ. 383)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი.“ 1901 წ. 23 მაისი, №1472, გვ. 1; 24 მაისი, №1473, გვ. 1-2;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს და დამტკიცეს ბანკის გამგეობის მიერ შედგენილი 1900 წლის ანგარიში. მსჯელობისას განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა მოკლევადიანი სესხების გაცემის პირობებზე.

**383. 25-26 „ყოფილს... ზარალი.“** – გამოსვლა პასუხია ექიმ გაბაშვილის კითხვაზე „ანგარიშში ნახსენებია ბაქოს სააგენტოს 6,000 მან. ზარალი; შეგვატყობინეთ, ეს რა ზარალია?“

**383. 29-30 „თუ რამდენად უხერხულია ამ შემთხვევაში ბ. თულაშვილის, ...თავმჯდომარეობა“** – ნაგულისხმევია ი. გ. თულაშვილის მდგომარეობა, რომელიც, როგორც ბანკის რწმუნებულთა ამ კრების თავმჯდომარე, თავს უხერხულად გრძნობს იმის გამო, რომ, პარალელურად, როგორც ზედამხედველი კომიტეტის წევრი, უფლებამოსილია, იმსჯელოს არაერთ საკითხზე, რაც თავმჯდომარეობასთან შეუთავსებლად მიაჩნია.

**383. 32 „თავ. ჩოლოყაშვილმა“** – ტექსტიდან არ ჩანს, რომელ ჩოლოყაშვილზეა საუბარი.

**384. 7 „თავ. მიქელაძე ამბობს“** – ნაგულისხმევია თავად ვლადიმერ მიქელაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოკლევადიანი სესხების გასაცემი ფონდის შესადგენად აუცილებელია, სათადარიგო თანხის წლიურ მოგებას დაემატოს სხვა თანხა, რომელშიც ის მოიაზრებს ხაზინისთვის გადახდილ სამრეწველო გადასახადს.

**384. 16 „არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა“** – გამოსვლას უძღვის ნიკოლოზ ხუდადოვის თხოვნა ილია ჭავჭავაძისადმი, ახსნას, რა მოთხოვნები არსებობს მოკლევადიანი სესხების მისაღებად.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის  
რწმუნებულთა საზოგადო კრება**

1901 წლის 25 მაისი (გვ. 384)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი.“ 1901 წ. 27 მაისი, №1476, გვ. 1-2;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ბანკის 1901 წლის დასაწყისის ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები.

**384. 30-31 „როდესაც ბანკის გამგეობამ გარდასწყვიტა ...1000 მან დრამატულს საზოგადოებას არ მისცემოდა“** – გამოსვლაში საუბარია იმ გარემოებაზე, რომ ბანკის თანხის „საზოგადო საჭიროებებისთვის“ გადანაწილების ორი ვარიანტი არსებობდა: ზედამხედველი კომიტეტისა, რომელშიც 1000 მანეთი დრამატული საზოგადოებისთვის იყო გათვალისწინებული და ბანკის გამგეობისა, რომელშიც ამ მიმართულებით თანხა არ იდო. ილია ჭავჭავაძემ, როგორც ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ, თავის გამოსვლაში დრამატული საზოგადოების დაუფინანსებლობის ფაქტს სრულიად განსხვავებული განმარტება მისცა.

### **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება**

1902 წლის 10 დეკემბერი (გვ. 385)

**წყარო:** „ივერია“, „სამეურნეო საზოგადოების კრება“, 1902 წ. 13 დეკემბერი, №267, გვ. 2

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს ვლადიმერ მიქელაძის პროექტი წვრილი კრედიტის გაცემის შესახებ.

**385. 23 „შულცე დელიჩის მიერ დაარსებულ საკრედიტო დანესებულებათ“** – საუბარია გერმანელ ეკონომისტსა და პოლიტიკოს გერმან შულცე-დელიჩზე.

**385. 26 „პაებისაგან შემოსულ თანხაზე“** – ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს მფლობელის წილს გარკვეულ საკუთრებაზე.

**385. 31 „რაფაიზენი ფიქრობს“** – საუბარია ფრიდრიხ ვილჰელმ რაიფაიზენზე, რომელიც შულჩე-დელიჩთან ერთად აარსებდა კოოპერატივებს.

**385. 13 „ექიმი გააზის საკრედიტო დანესებულებათ“** – საუბარია გერმანიაში კოოპერატივების კიდევ ერთ ფუძემდებელზე, კარლ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰაასზე.

**385. 35 „თ. ვლ. მიქელაძემ-კი უმთავრეს ფაქტორებს სრულიად ყურადღება არ მიაქცია“** – საუბარია ვლადიმერ მიქელაძეზე, რომლის მოსაზრების თანახმადაც, მცირე კრედიტებისთვის ფულადი ფონდის შექმნაზე უნდა იზრუნოს მთავრობამ. ამ თანხამ რომ ნამდვილად მოაგვაროს ხალხის საჭიროებები, ის განსაკარგავად საგლეხო საქმეთა მმართველობის წევრების, მომრიგებელი შუამავლების, მაზრის უფროსებისგან შემდგარ „მცირე კრედიტის მომწესრიგებელ კომიტეტს“ უნდა გადაეცეს.

385. 36-37 „თ-დი მიქელაძე ბიუროკრატიულ წეს-წყობილებაზედ გვითითებს ხელს“ – გულისხმობს ვლადიმერ მიქელაძის მოსაზრებას მცირე კრედიტებისთვის ფონდის არა ცოცხალი თვითმოქმედების გზით, არამედ ხელოვნურად, მთავრობის მატერიალური დახმარების საშუალებით ფორმირების შესახებ.

**Докладъ объ увеличеніи состава оцѣночной Коммисіи еще двумя членами (გვ. 387)**

**ავტოგრაფი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 148г.v. 150г.v. (A);  
С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №210, 5 г., 6 г. (B).

**აღწერილობა:** А ტექსტი შავი მელნით ვინრო სვეტად არის ნაწერი თაბახის ფურცლებზე და საკმაოდ ნასწორებია. ასევეა В წყაროც, რომელიც ტექსტის ერთ ეპიზოდზე მუშაობის პროცესს ასახავს.

**დათარილება:** რამდენადაც ცნობილია, რომ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის კრებაზე მამულების შემფასებელთათვის კიდევ ორი წევრის დამატებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე სიტყვით გამოვიდა 1903 წლის 30 აპრილს, ეს ტექსტი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

**387. 14 „Д. Журули“** – სავარაუდოდ, საუბარია დურმიშხან ჟურულზე.  
**В წყარო:**

А потому и принимая въ соображеніе: 1) что учрежденіе въ Батумѣ и Эривани агентуръ подобно бакинской будетъ обходится банку ежегодно болѣе 10 000 руб. 2<sup>ю</sup>) что опредѣльные агенты въ продолженіи времени отъ Іюля 1901 г. до Марта 1903 г. стоили банку свыше 6 000 руб., 3<sup>ю</sup>)

\* \* \*

А потому и принимая во вниманіе: 1<sup>ю</sup> что уета учрежденіе въ Батумѣ и въ Эривани агентуръ на подобіе бакинской будетъ обходится банку, ежегодно не менѣе 10 000 руб. и 2<sup>ю</sup> что отдѣльные агенты въ продоженіи времени отъ 1901 г. до М 22<sup>го</sup> Марта 1903 г. стоили банку болѣе чѣмъ 6500 не менѣе 6500 руб., правленіе банка полагаетъ: въ видахъ сохраненія экономіи въ расходахъ и большей цѣлесообразности въ достиженіи желаемого предложить собранію уполномоченныхъ усилить составъ оцѣночной Коммисіи еще двумя именами, одному изъ коихъ мѣстомъ постояннаго пр служенія назначить Батумъ, а другому Эриванъ возложивъ на нихъ всѣ права и обязанности агента банка, а равно и производство оцѣночныхъ дѣйствій первой въ въ районахъ ихъ служенія в передъ въ районахъ ихъ служенія, а всѣхъ нынѣ дѣйствующихъ агентовъ устранить.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკარგვის ნაწილის ნაწილი

1903 წლის 30 აპრილი (გვ. 389)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 1 მაისი, №2138, გვ. 4.

**შენიშვნა:** კრებაზე ისაუბრეს იმჟამად განკარგვის ჩაბარებული და მის ანგარიშზე დარჩენილი 9 გაუყიდავი მამულის მართვისა და განკარგვის შესახებ.

389. 12 „სანამ შეერთებული სხდომა ამ წესს შეიმუშავებდეს“ – იგულისხმება განკარგვის ანგარიშზე დარჩენილი მამულების განკარგვის წესი,

389. 15-16 „როგორ არ შეუძლია კრებას დავალოს მოვალეობა იმ კაცს, რომელსაც თვითონ ირჩევს და შრომის სასყიდელსაც აძლევს?“ – იგულისხმება ილია ჭავჭავაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სანამ განკარგვის ანგარიშზე დარჩენილი მამულების განკარგვის წესი შეიმუშავდება, ამ მამულებზე თვალ-ყურის დევნება დაევალოს დამფასებელი კომისიის წევრებს, რაც, თავის მხრივ, გააპროტესტა მისმა წინა გამომსვლელმა ვლადიმერ მიქელაძემ. მან უკანონოდ მიიჩნია დამფასებელთათვის დამატებით ახალი მოვალეობის დაკისრება.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკარგვის ნაწილის ნაწილი

1903 წლის 11 მაისი (გვ. 389)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 13 მაისი, №2150, გვ. 3-4;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს თბილისში პოლიტექნიკუმის, უნივერსიტეტის თუ სამეურნეო სასწავლებლის გახსნის მიზანშეწონილობისა და განკარგვის შემოსავლის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხარჯვის საკითხები. 30 წლის განმავლობაში განკარგვის საქმიანობის წარმატებით ხელმძღვანელობისთვის მადლობა გადაუხადეს ილია ჭავჭავაძეს.

389. 24 „ბატონებო! მადლობელი ვარ პატივისცემისათვის“ – ილია ჭავჭავაძის ამ გამოსვლას წინ უძღვის მიმომხილველის ტექსტი იმის თაობაზე, რომ კრების თავმჯდომარის სიტყვებს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ღვაწლს საგანგებოდ გაუსვა ხაზი, მოჰყვა საზოგადოების ფეხზე ადგომა და ტაში.

## თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო განკარგვის ნაწილის ნაწილი

1905 წლის 1 აპრილი (გვ. 389)

**წყარო:** „ივერია“, 1905 წ. 2 აპრილი, №43, გვ. 1 (A); „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 3 აპრილი, №2788, გვ. 2 (B).

**შენიშვნა:** კრებაზე დამტკიცდა სახელმწიფოსთვის წარსადგენი ადრესი საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით. ტექსტი „ივერიის“ გარდა გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელშიც“ და შედარებისთვის მასაც წარმოვადგენთ სამეცნიერო აპარატში.

**389. 32 „ხალხის სახელით ვინც რასმე ითხოვს“** – სიტყვები ეხმიანება მიხეილ გედევანიშვილის მიერ კრების დაწყების წინ გაკეთებულ განცხადებას, რომ თუმცა არც ერთ ჯგუფს არა აქვს უფლება ხალხის სახელით ილაპარაკოს, მაგრამ შეიძლება ვიცოდეთ, რა სჭირდება ხალხს.

**ბ წყარო:**

თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რამე, უნდა გავიცნოთ ხალხი და იმისი აზრი. იმას ვთხოვლობთ, რომ მოგვეცეს საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმისი აზრები და მოთხოვნილება. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასები, მიმართულების განურჩევლად.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამაშლო ბანკის  
რწმუნებულთა საზოგადო კრება**

1905 წლის 12-13 ივნისი (გვ. 390)

**წყარო:** „ივერია.“ 1905 წ. 15 ივნისი, №100, გვ. 3-4;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს 1904 წელს ბანკის მიერ გამართული საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავად დარჩენილი მამულების საკითხი.

**390. 6 „არჩეულმა კომისიამ“** – ნაგულისხმევია საგანგებო კომისია, რომელიც არჩეული იყო დამფასებელი კომისიის ხარვეზების დასადგენად. ამ კომისიას დაუთვალა იერებია პრობლემური მამულები და დაუნერია რომ დამფასებელთა მიერ შეფასებული მამულები იმაზე ბევრად ნაკლები ღირდა, ვიდრე შეუფასებიათ.

**390. 7 „რეჟიმი გამოსჩხრიკა“** – სავარაუდოდ, ნაგულისხმევია დამფასებელი კომისიისა და პრობლემური მამულების საკითხის შესასწავლად შექმნილი საგანგებო კომისიის დასკვნა, რომ ბოლო დროს გამდიდრების მსურველები საგანგებოდ ბანკისთვის მისაგირაველად სწრაფად და ზერელედ აშენებდნენ სახლებს და ბანკიდან გამოტანილი დიდი სესხის სანაცვლოდ მას ბანკსვე უტოვებდნენ.

**თბილისის სათავადაზნაურო საადგილგამაშლო ბანკის წევრთა  
კრება**

1905 წლის 16 ივნისი (გვ. 390)

**წყარო:** „ივერია“, 1905 წ. 18 ივნისი, №103, გვ. 4.

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილავდნენ საკითხს, უნდა აკონტროლებდეს თუ არა გამგეობა დამფასებელ კომისიას.

**390. 15 „დამფასებელი კომისია საკუთრივ უნდა მოქმედებდეს“** – ილია ჭავჭავაძის ეს ფრაზა ეხმიანება ალექსანდრე სარაჯიშვილის სიტყვებს, რომ გამგეობა ცდება, როდესაც ამბობს, რომ დამფასებელი კომისიის მოქმედებას კონტროლს ვერ გაუწევს. ილია ჭავჭავაძე სხვაგანაც არაერთგზის აღნიშნავს, რომ გამგეობას არ შეუძლია თავზე აილოს ეს მოვალეობა, რადგან ისედაც ბევრი საქმე აქვს და გამგეობის წევრებმა რომ კონტროლის გასაწევად აქეთ-იქით იარონ, სხვას ველარაფერს გააკეთებენ. მთელი ქვეყნის ბანკები იმ საკითხის გამო, რომ მამულები მეტ ფასში არ გირავდებოდეს, თავს იმტვრევენ, მაგრამ ვერაფერი გამოუგონიათ. თუ თვითონ დამფასებელი პატიოსანი და მცოდნე კაცი არაა, ბანკი ყოველთვის იზარალებს.

### **თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება**

1905 წლის 17-18 ივნისი (გვ. 390)

**წყარო:** „ცნობის ფურცელი.“ 1905 წ. 19 ივნისი, №2848, გვ. 3;

**შენიშვნა:** კრებაზე განიხილეს საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა ბანკის გამგეობას უფლება, ფაქტობრივი კონტროლი გაუწიოს დამფასებელი კომისიის მოქმედებას.

**390. 24 „კანტროლი დღესაც არის“** – საუბარია იმაზე, ბანკის გამგეობას აქვს თუ არა უფლება, აკონტროლოს დამფასებელი კომისია.

**390. 30 „კომისიას ათას მანეთამდე ხარჯად მიეცა“** – საუბარია უძრავი ქონების დამფასებელ კომისიაზე.

### **<ბანკის გამგეობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წარმოსათქმელი სიტყვა> (გვ. 391)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №203, 135 v., 136 r. v. (A); 137 r. (B).

**აღწერილობა:** თაბახის ფურცლებზე შავი მელნით ნაწერი გვერდის მარცხენა მხარეს, ნასწორები. A ხელნაწერი უფრო გვიანდელია, რადგან მასში გათვალისწინებულია B-ში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება. ტექსტი, სავარაუდოდ, წარმოადგენს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე წარმოსათქმელი სიტყვის შავი ვარიანტის ფრაგმენტს.

**დათარიღება:** ამ ტექსტით ილია ჭავჭავაძე უპირისპირდება სხვების მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომლითაც სამეთვალყურეო კომიტეტის ერთი წევრი უნდა შესულიყო ბანკის გამგეობაში და ჰქონოდა გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება. მსგავს თე-

მეგზე საუბარი იყო 1905 წლის 17 ივნისის სხდომაზე და, ვფიქრობთ, მოხსენების ეს ფრაგმენტი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

**391. 37 „царствования Александра II“** – საუბარია რუსეთის იმპერატორზე, რომელიც იმპერიას მართავდა 1855-1881 წლებში.

### **В წყარო:**

Исходной точкой всех моих сильных суждений по отношению кредитных учреждений вообще и нашего банка в частности было и будет то, по моему крайнему разумению положение, что, каждый орган их управления, будет ли он и т. д. должен быть свободен и независим от другого в пределах отправления ~~существом~~ ~~своих~~ ~~законам~~ ~~определенных~~ по соображению с существом ~~дѣла~~ своих функций на всем пространстве прав и обязанностей, установленных законом по соображению с существом и потребностям ~~дѣла~~.

Это ныне сознается всем и каждым, ибо в настоящее время нет ни одного подчиненного органа в сонме Управления какого бы то ни было учреждения, чтобы не стремилось добиться этой свободы и независимости в области своей компетенции и ~~обихода~~ круга действий. Нет гимназиста, который не заявлял бы о необходимости приобретения свободы и независимости в пределах своего маленького жизненного обихода. Чуть-ли ни это начало свободы и независимости составляет одну из существенных частей содержания того великого освободительного движения, которое мы ныне переживаем и каждому малейшему успеху которого ~~такъ~~ ~~за~~ относимся с таким заслуженным восторгом и благоговением. Не цель-ли этого освободительного движения ~~привонить~~ предоставить каждому, будут-ли оно физическое или юридическое лицо, ~~пр~~ свободу и самостоятельность действия в пределах присущих им прав и обязанностей.

И вот в этот именно момент мы являемся с проектом

### **პასილი ვეიჩოკოსადმი წარმოთქმული სიტყვა (გვ. 392)**

**წყარო:** „ივერია.“ 1895 წ. 10 ოქტომბერი, №217, გვ. 2-3.

**შენიშვნა:** სიტყვა ციტირების სახით არის დაბეჭდილი მიმოხილვაში სათაურით „პოეტის ველიჩკოს პატივსაცემად გამართული ნადიმი“.

**დათარიღება:** მიმოხილვაში წერია რომ ეს გამოსვლა მოხდა 4 ოქტომბერს.

**392. 31 „პოეტმა გ. ორბელიანმა“** – ციტატა მოხმობილია გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან.

392. 33 „პუშკინმა და ლერმონტოვმა“ – სუბარია რუს პოეტებზე – ალექსანდრ პუშკინსა და მიხეილ ლერმონტოვზე.

393. 1-2 „წილად გხვდათ თქვენ“ – ნერილის ადრესატია რუსი პოეტი ვასილი ლვოვის ძე ველიჩკო და ამ მიმართვაში ის იგულისხმება.

**<საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მოხსენების ფრაგმენტი> (გვ. 393)**

**ხელნაწერი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №202.

**აღწერილობა:** ნაწერია თაბახის ფურცლებზე, ზომა: 22X35,5, შავი მელნით.

**დათარიღება:** პირველი ოფიციალური საუბარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეს მოუხდა 1905 წლის 11 ოქტომბერს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან შეხვედრისას. ამის შემდეგ იგი არაერთხელ გამოსულა სიტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით და, რამდენადაც არ ვიცით, რომელი სიტყვის ფრაგმენტია, ვათარიღებთ არა უადრეს 1905 წლის 11 ოქტომბრით.

393. 10 „предъ В. С.“ – ზუსტად ვერ ვიცყვით, ვინ არის ამ სიტყვების ადრესატი, შესაძლოა ეს იყოს კავკასიის მეფისნაცვალი 1905-1916 წლებში – ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი ალექსი ობოლენსკი ან სხვა.

**ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის წევრთა პირველი კრება**

1906 წლის 20 მაისი (გვ. 394)

**წყარო:** „შრომა.“ 1906 წ. 21 მაისი, №38, გვ. 2; „განათლება“, 1908 წ. №3-4, გვ. 121-125

**შენიშვნა:** ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის პირველი კრება გაიმართა პეტერბურგში, ტავრიდის სასახლეში. აქ ილია ჭავჭავაძე წევრის უფლებით მიიწვია ავტონომისტთა საპარლამენტო ფრაქციამ. ეს სიტყვები მას კრების შემდგომ შეხვედრაზე წარმოუთქვამს.

394. 7 „თორემ ყველა ეს ვაჟბატონები ჩინეთის იმპერიას უფრო იცნობენ“ – ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის წევრთა შორის იყვნენ უკრაინელები, პოლონელები, ლიტველები, თურქები, ებრაელები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს ვითარებას კარგად არ იცნობდნენ.



394. 13 „დეპუტატი ლენინცკია“ – საუბარია ავტონომისტ-ფედრალისტთა კავშირის თავმჯდომარეზე, ცნობილ მოსკოველ ვექილსა და დეპუტატ ალექსანდრ ლენინცკიზე.

394. 20-21 „თოფჩიბაშევი სოციალისტს მეძახის...“ – სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხთა წარმდგენი კომისიის წევრობის კანდიდატებად ილია ჭავჭავაძისა და იოსებ ბარათაშვილის დასახელება გააპროტესტა თბილისში დაბადებულმა, იმჟამად კი ბაქოში მცხოვრებმა ალიმარდან თოფჩიბაშეევმა, თუ ქართველებს ირჩევთ, ჩვენი წარმომადგენელიც უნდა იყოს კომისიაშიო, ქართველებს მიწის სოციალიზაცია სურთ, ჩვენ კი სულ სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნა გვაქვსო.

394. 22 „რაკი ბარათაშვილი აქ არის“ – საუბარია იოსებ ბარათაშვილზე, რომელიც ილია ჭავჭავაძესთან ერთად სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხთა წარმდგენი კომისიის წევრობის კანდიდატად დაასახელეს.

### სიკვდილისათვის (გვ. 394)

**ხელნაწერი:** M, 17513-ბ.

**აღწერილობა:** ტექსტი ნაწერია მოყვითალო თაბახის ფურცლებზე შავი მელნით და ფანქრით ქართულად და რუსულად.

**დათარილება:** რამდენადაც რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სიკვდილით დასჯის პროექტის განხილვა 1906 წლის 23 ივნისისთვის იყო დანიშნული, ეს ჩანაწერები მანამდე უნდა იყოს გაკეთებული.

394. 26 „შექსპირმა“ – იგულისხმება დიდი ინგლისელი დრამატურგი.

395. 5 „ჰენეს სიტყვა“ – იგულისხმება გერმანელი პოეტი. მისი ციტატა ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის პოზიციას და, შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის ამ შავ ჩანაწერში მოხმობილია არა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, არამედ ორი საპირისპირო პოზიციის ჭიდილში საკუთარის ჩამოსაყალიბებლად.

# ნანილი VIII

## მინაწერები წიგნებსა და სხვათა ტექსტებზე

### <მინაწერები თომას მაკოლეის წიგნის „Полное собрание сочинений“ პირველ ტომზე> (გვ. 396)

წყარო: L, TS 2917.

**შენიშვნა:** ტომი გამოიცა 1860 წელს პეტერბურგში.

მინაწერი გაკეთებულია წიგნის ბოლოს, ცარიელ ფურცელზე.

**396. 5 „7“** – ამ გვერდზე ცისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ სიტყვა „პოეზიაში“ ჩვენ ვგულისხმობთ სიტყვათა ისე გამოყენების ხელოვნებას, რომ ისინი იწვევდეს წარმოსახვის ილუზიას. პოეზია არის ხელოვნება, სიტყვების მეშვეობით შექმნას ის, რასაც ფერმწერი ქმნის საღებავების მეშვეობით.

**396. 5 „9“** – ამ გვერდზე ცისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ პოეზია ქმნის გონებრივი თვალის ილუზიას ზუსტად ისე, როგორც ჯადოსნური ფანარი ფიზიკურისას. ის ისევე საუკეთესოდ მოქმედებს ბნელ საუკუნეში, როგორც ჯადოსნური ფანარი – სიბნელეში.

### <მინაწერები თომას მაკოლეის წიგნის „Полное собрание сочинений“ მესამე ტომზე> (გვ. 396)

წყარო: L, TS 2917.

**შენიშვნა:** ტომი გამოიცა 1862 წელს პეტერბურგში.

მინაწერი გაკეთებულია სარჩევის მეორე გვერდზე.

**396. 9 „Гамлетъ 366“**. – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია ვრცელი პასაჟი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ადამიანის მჭვრეტელობის საუკეთესო საგანი თავად ადამიანია. აქვე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Грядя царскихъ кудрей“ და საუბარია იმის შესახებ, თუ რა მოგვწონს ჰამლეტში, რატომ დაგდევართ ამ წარმოდგენაზე, – მეფის კულულების საყურებლად თუ იმ ძლიერი, დაუოკებელი სულის შესამეცნებლად, რომელიც ჩვენ წინაშე ბოლომდე, საკრალურ კუთხე-კუნჭულებიანად შიშვლდება.

**396. 9 „привѣденіе 363“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Если это такъ, то изображать“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ვრცელი აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ,

რომ არაცნობიერი, რომელსაც ცნობიერთან არავითარი კავშირი არა აქვს, ნაკლებად მოქმედებს ადამიანის ემოციებზე, ამიტომ შეიძლება, ჩვენ ღმერთის უფრო ნაკლებად გვემინოდეს, ვიდრე მოჩვენების. მართალია, პირველის არსებობის უფრო გვეჯერა, მაგრამ არ გვეშინია იმის, რომ ის მოგვევლინება რაიმე ხელშესახები, ალქმადი სახით. თუ ეს ასეა, ზებუნებრივი არსებების ადამიანური ენით აღწერა და მათთვის ადამიანური ქმედებების მიწერა ადამიანის გრძნობებზე ზემოქმედების ერთადერთი ხერხია.

**<მინანარიპი ნიგნუა „Основанiя политической экономiи“>**  
(გვ. 396)

**წყარო:** L, TS 3089.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ჰენრი მაკლეოდი და იგი გამოიცა 1865 წელს პეტერბურგში.

**მინანარი 1**

**396. 13 „[აღ]ებ-მიცემობის ღირებულება“** – 22-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია საქონლის გაცვლა-გამოცვლასა და მენურ ღირებულებაზე, რომელიც არ იცვლება მანამ, სანამ მისი შექმნისთვის საჭიროა ერთი და იმავე მოცულობის შრომა.

**მინანარი 2**

**396. 15 „ფასის დაწევა.“** – 22-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია საქონლის გაცვლაზე, ნაკლები რაოდენობის სხვა საქონელზე, რაც იწვევს ფასის დაწევას.

**მინანარი 3**

**396. 17 „ფასის აწევა.“** – 23-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მიწერილია ნიგნის ქვეთავის (Определения и объяснения) გასწვრივ, რომელშიც მოყვანილია რუსული შესატყვისი ფრაზისა – ფასის აწევა.

**მინანარი 4**

**396. 19 „[კ]ახში-ვალი“** – 24-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის

გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ საქონლის გაცვლის დროს ვალის გამომწვევი შეიძლება გახდეს არათანაბარი ღირებულების საქონლის გაცვლა.

#### **მინაწერი 5**

**396. 21 „მოარული ფულის ნიშანი.“** – 25-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ვალის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, მოვალეს მოსთხოვოს ცნობილი მომსახურება, გადავა ხელიდან ხელში ან მოიპოვებს მიმოქცევის თვისებას, სწორედ ამ თვისებიდან იღებს საგანი მოარული ფულის ნიშნის (currency) სახელწოდებას.

#### **მინაწერი 6**

**396. 23 „He вѣрно.“** – 27-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ფულის ნიშნების გამოყენება იწვევს არა გაცვლის შემსუბუქებას, არამედ მის აღმოფხვრას.

#### **მინაწერი 7**

**396. 26 „ნიშანი ქალაქის ფულისა, ან უკეთ ქალაქის ფული.“** – 29-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც გამოყენებულია შესაბამისი რუსული და ინგლისური ტერმინები.

#### **მინაწერი 8**

**396. 29 „წარმომადგენელი ვალისა“** – 30-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც გამოყენებულია შესაბამისი რუსული და ინგლისური ფრაზები.

#### **მინაწერი 9**

**396. 32-33 „ფასის დაცემა ანუ დანევა და ღირებულების დაკლება.“** – 31-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც გამოყენებულია შესაბამისი რუსული და ინგლისური ტერმინები.

#### **მინაწერი 10**

**397. 2 „ნახდენა“** – 31-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვა მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც გამოყენებულია შესაბამისი რუსული და ინგლისური ტერმინი.

#### **მინაწერი 11**

**397. 4 „ფულის ტრიალი, [ცვლა“** – 32-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაზას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც გამოყენებულია შესაბამისი რუსული და ინგლისური ტერმინები.

### **<მინაწერები ნიბნზე „Научныя, политическія и философскія опыты“> (გვ. 397)**

**წყარო:** L, TS 3251.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ჰერბერტ სპენსერი და იგი გამოიცა 1866 წელს პეტერბურგში.

#### **მინაწერი 1**

**397. 8-9 „გონებითი გარჯა“** – 62-ე გვერდზე სიტყვები წითელი ფანქრით მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის ზემოთ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ იდეები წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სახით, რომ მათი გაგება შეიძლებოდეს რაც შეიძლება ნაკლები გონებითი გარჯით. ეს არის დეზიდერატა (სასურველი რამ), რომლისკენაც ისწრაფვის ზემოთ ხსენებული კანონები. მინაწერში ილია ჭავჭავაძეს მოხმობილი აქვს ტერმინის ქართული შესატყვისი.

#### **მინაწერი 2**

**397. 12-13 „გარემოებანი, გარემოებადი“** – 64-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ სასურველია აზრის გამოხატვა არა მხოლოდ სიტყვათა, არამედ მარცვალთა მინიმალური რაოდენობითაც.

#### **მინაწერი 3**

**397. 17-18 „დიდი-დიდებული, ზვიადი-გაზვიადებული, ამაყი-გაამაყებული“** – 65-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ზოგჯერ განსაკუთრებული ეფექტის მისაღებად უმჯობესია გრძელი სიტყვის გამოყენება.

## **<მინაწერი 1 ნიშნა „Всемирная история“> (გვ. 397)**

**წყარო:** L, TS 2610.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ფრიდრიხ შლოსერი და იგი გამოიცა 1869 წელს პეტერბურგში, ტომი II.

### **მინაწერი 1**

**397. 22** „Как будто это не одно“ – 269-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ბერძენი იმპერატორის იუსტინიანეს შესახებ, რომელიც იძულებული გახდა, სპარსელებთან დათმობაზე წასულიყო, დაედო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოწინააღმდეგეებს თანხა გადაუხადა და მთიანი კოლხეთისა და ლაზეთის სადავო ტერიტორია დაუთმო. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ეჭვქვეშ აყენებს ნიგნის ავტორის მიერ ერთი და იმავე ტერიტორიის ორი სახელით (Лазовъ или Колхиды) მოხსენიებას.

### **მინაწერი 2**

**397. 24** „შარუხი“ – 274-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ჰერაკლეს საბრძოლო მოქმედებებზე მცირე აზიაში და სპარსეთის მეფის თავრიზის ნაცვლად მისი ვაჟის გამეფებაზე. შესაძლოა, ილია ჭავჭავაძემ ახალი მემკვიდრის, შირუეხის სახელი დააკავშირა ვისრამიანში ამოკითხულ სიტყვასთან „შარუხი“, რაც ბულბულის მსგავს ფრინველს ნიშნავს.

### **მინაწერი 3**

**397. 28** „ჟორდანია.“ – 276-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. ორი პარალელური ხაზით მონიშნულ მონაკვეთში ნახსენები ინფორმაცია, სავარაუდოდ, დაინტერესებდა ისტორიკოს თევდორე ჟორდანიას.

### **მინაწერი 4**

**397. 31** „ჯიონი“ – 311-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. ორი პარალელური ხაზით მონიშნულ მონაკვეთში საუბარია არაბთა ხალიფის მარვან მეორის ლაშქრობაზე კავკასიაში და მის მიერ დარუბანდის მიმდებარე ტერიტორიის დაპყრობაზე. ჯიონი ცენტრალური აზიის უდიდესი მდინარის, ამუდარიას არაბული სახელწოდებაა.

## მინაწერი 5

**397. 34 „მალრიბი (ვეფხვ-ტყ)“** – 326-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია არაბთა აჯანყებაზე აბასიდების წინააღმდეგ 785 წელს. არაბული მალრების ამოკითხვისას, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს გაახსენდა „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები ეს სიტყვა, რომელიც არაბულ ენაზე „დასავლეთს“ ნიშნავს.

## მინაწერი 6

**397. 36 „ხოტბა“** – 339-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ხორასანში თავგრიდების დინასტიის დამფუძნებლის მიერ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ლოცვებიდან ხალიფას სადიდებლის ამოღებაზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიიქცია იმან, რომ ტექსტში საზოგადოებრივი ლოცვა „ხოტბად“ არის მოხსენიებული.

## მინაწერი 7

**398. 2 „ჯორჯანი (ვის-რამ)“** – 339-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია სეფარიდების მიერ ხორასანის დაპყრობაზე და წინამძღოლთა იაკუბისა და მისი წინაპრის – ალი ჰასანის მიერ თავგრიდებისთვის ჯორჯანის და თბარისტანის მიტაცებაზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ამ ეპიზოდის ნაკითხვისას გაახსენდა „ვისრამიანში“ არაერთგზის ნახსენები „ჯორჯანი“.

## მინაწერი 8

**398. 4 „ბასრის ხმალი“** – 342-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია აბუ ტაგერის მიერ ქალაქ ბასრას აღებისა და გაძარცვის შესახებ. ბასრა ერაცის ქალაქია და, როგორც ჩანს, საქართველოში ცნობილი უნდა ყოფილიყო იქაური ნაკეთობის ხმალი.

## მინაწერი 9

**398. 6 „?“** – 347-ე გვერდზე მიწერილია კითხვის ნიშანი, რომელიც მიემართება ტექსტში ხაზგასმულ სიტყვას „ДИЛЕМИТОВЪ“, რომელიც წერია ნაცვლად სიტყვისა „ДИЛЕМИТОВЪ“, რადგან საუბარია დილემიტების თურქულ ტომზე. აქ ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს კორექტურულ შეცდომას.

### **მინაწერი 10**

**398. 8 „?“** – 348-ე გვერდზე ხაზგასმული სიტყვების გასწვრივ მიწერილია კითხვის ნიშანი. ფრაგმენტში საუბარია ბალდადის მმართველ ადხად ედ დაუნზე (976-983) და ქრისტიანების მიმართ შემწყნარებლურ მის მმართველობაზე.

### **მინაწერი 11**

**398. 10 „ლაზნა“** – 349-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიწერილია იმ ფრაგმენტის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ავღანეთის ამ ქალაქის აღებაზე.

### **მინაწერი 12**

**398. 13 „Не отсюда ли г. Нуха?“** – 350-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით გვერდის ზედა აშიაზე შესრულებული წინადადება, შესაბამისი ტექნიკური ნიშნით, მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე, იმავე ტექნიკური ნიშნით მონიშნულ ფრაგმენტს. მონაკვეთში საუბარია სამანიდების ამირა ნუხ მეორეზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს აინტერესებს, ხომ არ არის კავშირი ამ პირის სახელსა და აზერბაიჯანის ქალაქ შაქის ძველ სახელწოდებას ნუხას შორის.

### **მინაწერი 13**

**398. 15 „Аму-дарія ჯიონი“** – 351-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ცენტრალური აზიის უდიდესი მდინარის, ამუდარიის ძველ არაბულ სახელწოდებაზე – ჯიონი.

### **მინაწერი 14**

**398. 17 „შამი?“** – 358-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. ორი პარალელური ხაზით მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ბალდადისა და შემასიის შესახებ. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე აზუსტებს ტოპონიმს – იყო თუ არა დამასკოს უძველესი სახელწოდება შამი.

### **მინაწერი 15**

**398. 20-21 „интересно въ такомъ случаѣ, аткуда грузинскія ноты X вѣка?“** – 361-ე გვერდის ქვედა აშიაზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული წინადადება, შესაბამისი ტექნიკური ნიშნით, მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე, იმავე ტექნიკური ნიშნით მონიშნულ ფრაგმენტს. მონაკვეთში საუბარია ევროპაში სანოტო სისტემის შემოღების შესახებ. წიგნის ამ ადგილას გვიდო არეცოს,



მუსიკის მეათე საუკუნის იტალიელი თეორეტიკოსის, გვარი წერია არასწორად – გვიდო არველ.

#### **მინაწერი 16**

**398. 24 „Словянское имя“** – 411-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში ნახსენებია ფრანკთა მეფის ხლოდვიგ პირველის ვაჟი.

#### **მინაწერი 17**

**398. 26 „ქარუმა“** – 474-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ბიზანტიის იმპერატორ ლეონ მეხუთე სომხის მიერ ბულგარეთის მმართველ კრუმის დამარცხებაზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძისთვის სხვა წყაროებიდან „კრუმი“ „ქარუმად“ იყო ცნობილი.

#### **მინაწერი 18**

**398. 30 „почему?“** – 476-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია იმ წინადადების ქვეშ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბულგარელები ველარ გააგრძელებდნენ ძარცვას. ილია ჭავჭავაძის მინაწერი („რატომ?“), შესაძლოა, გაპირობებული იყოს იმით, რომ ისტორიულად, ქრისტიანული აღმსარებლობის მიუხედავად, ცალკეული რუსი სასულიერო პირები მაინც ახერხებდნენ ქართული ეკლესიის ძარცვას.

#### **მინაწერი 19**

**398. 33 „(1) Русские [...] Ярославль или Мстиславъ“** – 478-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი უკავშირდება წიგნის იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია ბიზანტიის იმპერიაზე და 865 წელს როსების სახელით ცნობილ ნორმანთა ტომების, დნეპრისა და შავიზღვისპირეთის გავლით, საბერძნეთზე თავდასხმებზე. ვერ დავადგინეთ, რის საფუძველზე დააკავშირა ილია ჭავჭავაძემ ძმების – იაროსლავისა და მსტისლავის ისტორია ბიზანტიის ისტორიასთან. ერთადერთი მსგავსება, რომელიც შევნიშნეთ, არის ის, რომ მსტისლავი დაუპირისპირდა თავის ძმას, კიევის მმართველ იაროსლავს, წიგნის ამ მონაკვეთში კი საუბარია იმაზე, თუ როგორ უღალატა ბიზანტიის იმპერატორ მიხეილს მის მიერვე კეისრად დანიშნულმა ბასილი მაკედონელმა.

#### **მინაწერი 20**

**398. 35-36 „უნდა შეამონმოს ქართულს ნოტებს მეათე საუკუნისას.“** – 545-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია გვიდო

არეცოს, მუსიკის მეათე საუკუნის იტალიელი თეორეტიკოსის, მიერ სანოტო სისტემის შემოღებაზე, რომელშიც გამოყენებული იყო ხაზები მათზე თუ მათ შორის განთავსებული წერტილებით მანამდე გავრცელებული ასოებისა და სხვადასხვა მოუხერხებელი აღნიშვნის ნაცვლად.

#### **მინაწერი 21**

**398. 39 „право!“** – 546-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც მონიშნულია ორი პარალელური ვერტიკალური ხაზით და საუბარია ბრიტანულ და ფრანგულ ისტორიოგრაფიაზე, რომელიც დაწერილია ლათინურ ენაზე. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ უცხო ენაზე წერა მათ ხელს უშლიდა ნაგრძობისა და ნაფიქრალ-ნააზრევის სრულად გამოვლენაში. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ ეს ფაქტიც დააკავშირა რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ენის აკრძალვასთან.

#### **მინაწერი 22**

**399. 3-4 „Не происходить ли наше слово колоубани отъ св. Колумбана,** ибо много церквей въ Грузии носящихъ это названіе.“ – 547-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით გვერდის ქვედა ამოზე შესრულებული წინადადება, შესაბამისი ტექნიკური ნიშნით, მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე, იმავე ტექნიკური ნიშნით მონიშნულ ფრაგმენტს. მონაკვეთში საუბარია იონა ბოგბიელის მიერ წმინდა კოლუმბანის ცხოვრების აღწერაზე. ილია ჭავჭავაძე ინტერესდება, ხომ არ უკავშირდება ამ წმინდანის სახელი ქართულ სიტყვას „კალოუბანი“, რადგან საქართველოში ამ დასახელების არაერთი ეკლესიაა.

#### **მინაწერი 23**

**399. 6 „ქსენონი“** – 570-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც მონიშნულია ვერტიკალური ხაზით და საუბარია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მეცხრეს მიერ აშენებულ უზარმაზარ დანესებულებაზე, რომელშიც განთავსებული იყო მონასტერი, უცხოთა მისაღები და მოხუცთა თავშესაფარი.

#### **მინაწერი 24**

**399. 9 „арабъ?“** – 628-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ფილოსოფიის განვითარებაზე, შუა საუკუნეების ფილოსოფოსის იოან ერიგენას წვლილსა და არაბთა გამოკვლევებზე არისტოტელეს შესახებ.

#### **მინაწერი 25**

**399. 13-14 „ხვარაზმმა, ჯიონი“** – 640-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტებს, რომლებშიც საუბარია მაჰმუდ ლაზნელის ხელქვეითების მიერ შევიწროებული სელჩუკების მიგრაციაზე მდინარე ამუდარიიდან ხორასნის სამფლობელოებამდე. ილია ჭავჭავაძის მიერ მინერილი სიტყვა „ჯიონი“ მდინარე ამუდარიის ძველი სახელია. ხვარაზმმა კი ხორაზმის/ხვარაზმის მმართველს ნიშნავს.

#### **მინაწერი 26**

**399. 16 „ლაზნა-ლაზნელი.“** – 640-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ავღანეთში, ქაბულის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ლაზნაზე და მაჰმუდ ლაზნელის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილების დაპირისპირებაზე სამფლობელოების გაყოფასთან დაკავშირებით.

#### **მინაწერი 27**

**399. 18 „пали“** – წიგნის 641-ე გვერდზე გვერდზე ეწერა სიტყვა отняли (წაართვეს), ნაცვლად სიტყვისა отпали (ჩამოსცილდნენ). როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე წინადადების გრამატიკული წყობის საფუძველზე მიხვდა, რომ მექანიკური შეცდომა იყო, გადახაზა სიტყვის მარცვალი -няли და იქვე, ველზე მიაწერა -пали.

#### **მინაწერი 28**

**399. 20 „ქართ[...]"** – 642 -ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია სელჩუკთა მეორე სულთან ალფ-არსლან ბეგ ჩალრიზე, რომელმაც საქართველო ორჯერ დალაშქრა.

#### **მინაწერი 29**

**399. 23 „?!“** – 643-ე გვერდზე წინადადება გაუმართავია, რაც ილია ჭავჭავაძეს კითხვისა და ძახილის ნიშნებით აღუნიშნავს.

#### **მინაწერი 30**

**399. 25 „И“** – 643-ე გვერდზე კავშირი წიგნის ამ მონაკვეთში არასწორად იყო ჩასმული. ილია ჭავჭავაძემ ის გადახაზა და ერთი სიტყვის შემდეგ ჩასვა.

#### **მინაწერი 31**

**399. 27 „Мервь“ მარავი** – 643-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით მინერილი სიტყვებით ილია ჭავჭავაძე აზუსტებს ქალაქის სახელს, სადაც დაკრძალულია ალფ-არსლანი.

### **მინაწერი 32**

**399. 29 „[ჰერათი]“** – 644-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ავღანეთის ქალაქ ჰერათში სასწავლებლების გახსნაზე. სიტყვა ჩამოჭრილია

### **მინაწერი 33**

**399. 32 „ქიზიყი? Не отсюда ли это слово?“** – 644-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია იკონია-ნიკეის სამეფოს დამაარსებელ სოლიმან პირველზე, რომელმაც სელჩუკთა წინამძღოლის მალექ შაჰისგან მიიღო მცირე აზიის მიწები, მათ შორის ქიზიყი, რომლებიც ადრე საბერძნეთის იმპერიას ეკუთვნოდა.

### **მინაწერი 34**

**399. 34 „ქერმანი“** – 644-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია სელჩუკთა წინამძღოლის მალექ შაჰის მიერ ქერმანის დაპყრობაზე, მისი მეფის, კადერის მკვლელობასა და შემდეგ ამ ტერიტორიის კადერის ვაჟის სულთან შაჰისთვის დაბრუნებაზე.

### **მინაწერი 35**

**399. 37 „Не конопля, а макъ“** – 665-ე გვერდის ქვედა აშიაზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული წინადადება, შესაბამისი ტექნიკური ნიშნით, მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე, იმავე ტექნიკური ნიშნით მონიშნულ ფრაგმენტს. ამ მონაკვეთში საუბარია ეგვიპტეში ასასინთა სექტის დამაარსებლის ჰასან ბენ საბაჰისა და მისი სექტის მიერ ჰაშიმის გამოყენებაზე. ილია ჭავჭავაძე აზუსტებს, რომ მათ მიერ გამოყენებული ნარკოტიკული საშუალება მიიღებოდა ყაყაჩოსა და არა კანაფისგან.

### **მინაწერი 36**

**399. 39 „ქართული“** – 669-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. მონიშნულ მონაკვეთში საუბარია ამირა ზენგის მიერ სირიის ტერიტორიის დაპყრობაზე მდინარე ორონტის ნაპირებამდე.

**<მინაწერები ლუდვიგ ბარნს ნიგზეი „Сочинения“> (გვ. 400)**

**წყარო:** L, TS 2654.

**შენიშვნა:** ნიგნი გამოიცა 1869 წელს პეტერბურგში.

## მინაწერი 1

400. 4 „Прекрасно!“ – 65-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია წიგნის ქვეთავის (Менцель французсѣдъ) იმ მონაკვეთში, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ გერმანელი დევნილები იღვნიან გონებრივად და ფიზიკურად, რაც კიდევ უფრო კეთილშობილურია.

## მინაწერი 2

400. 6-7 „Вникните въ смыслъ этого монолога вы, отступенки отъ роднаго языка“ – 116-ე გვერდზე ფრაზა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია წიგნის ქვეთავის „Сумашедшій въ гостиницѣ „белаго лебедя““ იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც მშობლიური ენა დედასთან არის შედარებული და ავტორი ემოციურად საუბრობს მის მნიშვნელობაზე.

## <მინაწერი ფარდინანდ ლასალის წიგნზე „Сочиненія“> (გვ. 400)

წყარო: L, TS 3182

შენიშვნა: წიგნის ავტორია ფერდინანდ ლასალი და იგი გამოიცა 1870 წელს პეტერბურგში, ორ ტომად.

400. 10 „Вѣрно“ – მე-11 გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვებს: „легальные преобразования“, „безсилія простирающагося“, „революціонный путь“, „практической цѣли“. ამ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ პერიოდში ლეგალურ გარდაქმნებს, უპირატესობებთან ერთად, ახლავს არაერთი ნაკლი, ის საჭიროებს ხანგრძლივ დროს, შესაძლოა, ასწლეულსაც. რაც შეეხება რევოლუციურ გზას, მას არაერთი სირთულის მიუხედავად, სწრაფი და ენერგიული პრაქტიკული შედეგი მოაქვს.

## <მინაწერიები წიგნზე „Первобытная культура: Изслѣдованія развитія мифологіи, философіи, религіи, искусства и обычаевъ“>

(გვ. 400)

წყარო: L, TS 2574.

შენიშვნა: წიგნის ავტორია ედუარდ ბერნეტ ტეილორი და იგი გამოიცა 1872 წელს 2 ტომად.

## მინაწერი 1

400. 16 „წილისყრა“ – 74-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. წიგნის იმ აბზაცში, რომელთანაც სიტყვაა მიწერილი,

საუბარია იმაზე, ძველი იტალიელი ან იმჟამინდელი ინდუსთა მისნები როგორ აგვარებდნენ უთანხმოებებს წილისყრით.

#### **მინაწერი 2**

**400. 18 „თავის ქერქში არა დგება“** – მე-80 გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას, როგორც მისი ქართული შესატყვისი.

#### **მინაწერი 3**

**400. 20 „ვასი გავექეცი, ვუის შევეყარო.“** – 83 -ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითლითვე ხაზგასმულ სიტყვას, როგორც მისი ქართული შესატყვისი.

#### **მინაწერი 4**

**400. 22 „ბატონები“** – 92-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას, როგორც მისი ქართული შესატყვისი.

#### **მინაწერი 5**

**400. 24 „[ბექი]“** – 116-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას, როგორც მისი ქართული შესატყვისი.

#### **მინაწერი 6**

**400. 26 „ფისო“** – 166-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით მინაწერი შესრულებულია მოყვანილი ფრაგმენტის გასწვრივ. კატის აღმნიშვნელ ძველ კელტურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ფისოსთან“.

#### **მინაწერი 7**

**400. 29 „[...]ლალა“** – 174-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. სასიხარულო შეძახილის გამომხატველ ზულუსურ და ტიბეტურ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 8**

**400. 31 „იარე“** – 176-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითელი ფერითვე ხაზგასმულ სიტყვას. ჯორების გადევნის აღმნიშვნელი ესპანური სიტყვის ძირს აკავშირებს ქართულ „იარესთან“.

#### **მინაწერი 9**

**400. 33 „არი-ს“** – 177-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ინდიელი კერქუას ტომის სიტყვას, რომელიც აღმნიშნავს „ნამდვილად“ „ნამდვილად ასეა“, აკავშირებს ქართულ ზმნასთან „არის“.

### **მინაწერი 10**

**400. 36 „ხო“** – 179-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულ სიტყვას. სამხრეთ ამერიკელი აბიპონების თანხმობის აღმნიშვნელ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

### **მინაწერი 11**

**401. 2 „სუ!“** – 181-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. დუმილის აღმნიშვნელ თურქულ და ოსურ სიტყვებს აკავშირებს ქართულ „სუ“-სთან.

### **მინაწერი 12**

**401. 4 „ფუ!“** – 182-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულ სიტყვას. აყროლებულის და საძულველის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვებს აკავშირებს ქართულ „ფუ“-სთან.

### **მინაწერი 13**

**401. 6 „თო-ფი“** – 187-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. აფრიკელი ამაქსოზების თოფის აღმნიშვნელ სიტყვას „პი“ აკავშირებს ქართულ „თოფთან“.

### **მინაწერი 14**

**401. 8 „[ს]როლა“** – 188-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სროლის აღმნიშვნელ სლავური სიტყვას ძირს აკავშირებს ქართულ „სროლასთან“.

### **მინაწერი 15**

**401. 10 „პიშტო“** – 188-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. რეკოლვერის აღმნიშვნელ სიტყვას ევროპულ სალაპა-რაკო ენებში აკავშირებს ქართულ „პიშტოსთან“.

### **მინაწერი 16**

**401. 12 „[გუ]და ფშუტა“** – 188-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მინერილია სქოლიოს გასწვრივ, ამავე სახეობის სოკოს აღმნიშვნელი რუსული და ლათინური სიტყვების ქვეშ. სქოლიო უკავშირდება ტექსტის იმ ადგილს, სადაც საუბარია თოფის აღმნიშვნელი სიტყვისა და შებერვის აღმნიშვნელი ზმნის ურთიერთკავშირზე ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის ტომებში.

#### **მინაწერი 17**

**401. 14 „[დ]აფდაფი“** – 192-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებულ და ნითელი ფანქრით ხაზგასმული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ინდიელთა ენაზე დოლის აღმნიშვნელ სიტყვას აკავშირებს ქართულ „დაფდაფთან“.

#### **მინაწერი 18**

**401. 16 „ხე[რხი“** – 194-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ხერხის აღმნიშვნელ სანსკრიტულ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ფუძის გაორმაგებით არის შექმნილი, აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 19**

**401. 18 „ბობოლა“** – 197-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ანტილოპას აღმნიშვნელ ძველ ინგლისურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ბობოლასთან“.

#### **მინაწერი 20**

**401. 20 „ოცი“** – 227-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა მიწერილია იმ ფრაგმენტის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ინდიელთა ენაზე ოცამდე და ოცის შემდეგ ციფრების გამოხატვაზე.

#### **მინაწერი 21**

**401. 22 „ორ მოვრჩი“** – 229-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვები მიწერილია წიგნის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია, როგორ გამოხატავდნენ ძველი ინდიელები სიტყვას „ორმოცი“.

#### **მინაწერი 22**

**401. 24 „[მშ]ვიდი“** – 232-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა მიწერილია წიგნის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია იმაზე, როგორ უკავშირდებოდა ციფრების აღმნიშვნელი სიტყვები რალაც მნიშვნელოვანს, რაც იმ რაოდენობასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ბრძენი – რიცხვს შვიდი.

#### **მინაწერი 23**

**401. 26 „ლუნი, ოც“** – 235-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგას-



მულ სიტყვას. სიტყვები მიწერილია წიგნის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია თვლის წყვილობით სისტემაზე.

#### **მინაწერი 24**

**401. 28 „ერი“** – 236-ე გვერდზე ნითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნითელი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ჯარის აღმნიშვნელ ძველსკანდინავიურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ერთან“.

#### **მინაწერი 25**

**401. 30 „ნახევარი“** – 236-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინაწერის გასწვრივ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ გალასებს არ ჰქონდათ წილადის აღმნიშვნელი სიტყვა. მის ნაცვლად იყენებდნენ მარლის ჩამონატეხის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც გამოიყენებოდა ალებ-მიცემობისას. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ სიტყვა „ნახევარიც“ დააკავშირა „ხევასთან“.

#### **მინაწერი 26**

**401. 33 „პირველი“** – 236-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული და ნითელი ფანქრით ხაზგასმული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ზოგიერთი რიგობითი რიცხვითი სახელი არ არის წარმოებული რადენობითის ძირისგან.

#### **მინაწერი 27**

**401. 36 „ორთაშუა“** – 241-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მაღალგანვითარებულმა ხალხებმა უარი თქვეს ხუთობით და ოცობით სისტემაზე და აირჩიეს ათობითი.

#### **მინაწერი 28**

**401. 38 „თ-ვლა“** 241-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულებს. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია, რომ თვლა ზოგიერთ ენაში უკავშირდება სისტემის სახელს, ამ შემთხვევაში – ათობითს (ათვლა, ათობით სიარული).

#### **მინაწერი 29**

**401. 40 „ოცი – კაცი“** – 248-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზ-

გასმულ სიტყვებს. ქართული სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ძველი ხალხები ოცის აღსანიშნად იყენებდნენ სიტყვას „აღამიანი“, იმიტომ, რომ მას კიდურებზე ოცი თითი ჰქონდა. შესაბამისად, ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებს „ოცი“ და „კაცი“.

**მინაწერი 30**

**402. 2 „ნავი“** – 278-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. „ნავის“ აღმნიშვნელ ლათინურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**მინაწერი 31**

**402. 4 „მგელ-კაცი“** – 288-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. „მგელკაცის“ აღმნიშვნელ ძველ ინგლისურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**წიგნის დამატებითი ნაწილი**

**მინაწერი 32**

**402. 7 „ჩრდილი, აჩრდილი“** – მე-12 გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ქართული სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ტასმანიურ ენაზე „სულს და „ჩრდილს“ აღნიშნავს ერთი და იგივე სიტყვა. ამასთან აკავშირებს ჩრდილისა და აჩრდილის საერთო ძირს და სიტყვას „აჩრდილი“, როგორც ჩანს, იყენებს სულის მნიშვნელობით.

**მინაწერი 33**

**402. 9 „[მო]ბრუნდა“** – მე-18 გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ქართული სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ აღამიანის ავად ყოფნა აღიქმებოდა მისი ჩრდილის სხეულთან განშორებად და მისი გამოჯანმრთელება – ჩრდილის სხეულთან დაბრუნებად.

**მინაწერი 34**

**402. 11 „ქელეხი“** – 53-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითელი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ქართული სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ აღინიშნება კარენულ ენაზე მცენარეთა და ცხოველთა სული/ჩრდილი, რომელიც შეიძლება განეშოროს მას, რაც იწვევს სიკვდილს.

### მინაწერი 35

402. 13 „ბენვის ხი[დი]“ – 71-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ქართული სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ნარმართულ ლეგენდაზე, რომელშიც ბენვის ხიდე გადასვლა უკავშირდება იმქვეყნიურ სამყაროში შესვლას.

### მინაწერი 36

402. 15 „40 იბს Ирландіи“ – სიტყვები მინერილია წიგნის უკანა ყდის შიდა მხარეზე წითელი ფანქრით. სავარაუდოდ, იგულისხმება ამავე წიგნის მე-40 გვერდზე მოხმობილი ტექსტი მე-17 საუკუნის ირლანდიის ყოფა-ცხოვრების ველური პირობების შესახებ.

### <მინაწერები ნიბნზა „Сочиненія Лорда Байрона“> (გვ. 402)

წყარო: L, TS 2679.

შენიშვნა: ჯორჯ ბაირონის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი გამოიცა 1874 წელს პეტერბურგში.

### მინაწერი 1

402. 26 „Дивно“ – 101-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება პოემა „გიაურის“ ცისფერი ვერტიკალური ხაზითვე მონიშნულ ორ სტროფს.

### მინაწერი 2

მინაწერი შესრულებულია ცისფერი ფანქრით უკანა ყდაზე.

402. 28 „116“ – ამ გვერდზე დაბეჭდილია პოემა „გიაური“, მაგრამ არ გვხვდება ილია ჭავჭავაძისეული მონიშვნა.

402. 28 „150“ – ამ გვერდზე ცისფერი ვერტიკალური ხაზებით მონიშნულია შემდეგი ტაეპები ჯორჯ ბაირონის პოემიდან „აზიდოსელი საცოლე“: „Лети, лети въ ковчегъ мятежный мой,/Какъ благодать, какъ голубъ примиренья!“

402. 28 „37“ – ამ გვერდზე ცისფერი ვერტიკალური ხაზებით მონიშნულია შემდეგი ტაეპები ჯორჯ ბაირონის უსათაურო ლექსიდან: „И безнадежныхъ думъ приливъ къ душѣ моей –/ Въ той чашѣ налитой напитокъ/ Быть долженъ крѣпче и сильнѣй“ და „И если бѣ у меня ты въ сердцѣ не жила/ Какаѣ бѣ пустота въ немъ страшная была!/ И кто бы твой почтилъ надгробный камень?“

### <მინაწერები ნიბნზა „Первобытная собственность“> (გვ. 402)

წყარო: L, TS 2820

შენიშვნა: წიგნის ავტორია ემილ ლაველე და იგი გამოიცა 1875 წელს პეტერბურგში.

### **მინაწერი 1**

**402. 32 „[...]ბლის [...]ემული“** – 78-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები, რომელთა დასაწყისები ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია გერმანიაში ძველად არსებულ მიწის ნაკვეთების განაწილების სისტემაზე.

### **მინაწერი 2**

**402. 34-35 „საკომლო [...] ან 30, 20, 6 [...] დღისა“** – 88-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები, რომელთა დასაწყისები ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ერთი გუთნით იხვნებოდა და ეკუთვნოდა ერთ ოჯახს.

### **მინაწერი 3**

**403. 2 „[...]რიგოლობა დუშეთში“** – 90-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები, რომელთა დასაწყისები ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ბავარიულ ტრადიციაზე, რომელიც გულისხმობდა წელიწადში ორჯერ მიწის ნაკვეთის ცხენით შემოვლას და გადამონმებას, რაც შემდეგ რელიგიურ რიტუალად იქცა. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ამ ტრადიციამ დუშეთში გავრცელებული შესაბამისი ჩვეულება გაახსენა.

### **მინაწერი 4**

**403. 4 „ნაფუძარი“** – 106-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ადამიანთა მფლობელობაში არსებულ სახლსა და მიწის ნაკვეთზე.

### **მინაწერი 5**

**403. 6 „ხიზანი“** – 109-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია მიწის დამუშავების პირობაზე, რომელიც გულისხმობს შრომის ანაზღაურების მიღებას მონეული მოსავლიდან.

### **მინაწერი 6**

**403. 8 „ფული-ფური“** – 143-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია საქონლისა და ფულის აღმნიშვნელი სიტყვების ეტიმოლოგიურ კავშირზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემაც ამიტომ დააკავშირა ერთმანეთს ეს სიტყვები.

#### **მინაწერი 7**

**403. 10 „სალოცავი“** – 187-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა, რომლის დასასრული ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ყოველ ოჯახს ჰყავდა საკუთარი კულტი, ღმერთები, კანონები, სასამართლო და მთავრობა. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ აქ მიანიშნა, რომ ჩვენშიაც ოჯახს ჰქონდა თავისი სალოცავი.

#### **მინაწერი 8**

**403. 12 „ზედსიძე, ძმადნაფიცი“** – 217-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები, რომელთა დასაწყისები ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია თემში უცხო ადამიანების შემოყვანაზე.

#### **მინაწერი 9**

**403. 14 „ხიზნები“** – 245-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა, რომლის დასაწყისი ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ლალაზე და მიწის გადასახადთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებზე.

#### **მინაწერი 10**

**403. 16 „ხიზანი“** – 253-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა, რომლის დასასრული ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია მიწათმოფლობელის უფლებაზე, ხელშეკრულების პირობების საფუძველზე გაეთავისუფლებინა ხელშეკრულებით აყვანილი პირი.

#### **მინაწერი 11**

**403. 19 „ჩვენშიაც“** – 270-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა, რომლის დასაწყისი ჩამოჭრილია, მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია თემის შიგნით სოფლების ურთიერთობაზე.

#### **მინაწერი 12**

**403. 22 „ხმალი არესი“** – 187-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ძველ გერმანელთა ჩვეულებაზე, ღმერთების – მარსის, არესის და სხვების ნაცვლად, გამოესახათ მათი ატრიბუტები.

#### **<მინაწერი ნიგნჯი „Основанія соціології“> (მპ. 403)**

**წყარო:** L, TS 2768

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ჰერბერტ სპენსერი და იგი გამოიცა 1876 წელს პეტერბურგში.

403. 25 „См. §. 85“ – 278-ე გვერდზე მინანერი წითელი ფანქრით შესრულებულია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ინდური ტომების ჩვეულებებზე, გარდაცვლილის საფლავთან, პატივისცემის ნიშნად, დანვან ირმის ხორცი და რამდენიმე დღის ან მთელი წლის განმავლობაში მიიტანონ ხოლმე იქ საკვები.

**<მინანერი ნიშნა „Сборник материалов, справокъ и свѣдений по вопросамъ, подлежащимъ обсужденію IV-го сѣзда представителей учреждений русскаго земельного кредита“> (გვ. 403)**  
წყარო: L, TS 3124

**შენიშვნა:** რუსეთის სამინათმოქმედო კრედიტის დაწესებულებების სხდომათა კომიტეტის 1879 წლის გამოცემა, პეტერბურგი.

403. 30 „о сверхсрочномъ погашеніи 93 и т. д. стр. и 1 стр. постановленій IV сѣзда“ – მინანერი გაკეთებულია შმუცტიტულზე შავი ფერის მელნით.

**<მინანერი ნიშნა „Стенографическій отчетъ общихъ собраний четвертаго сѣзда представителей учреждений русскаго земельного кредита въ 1879 г.“> (გვ. 403)**

წყარო: L, TS 3044.

**შენიშვნა:** რუსეთის სამინათმოქმედო კრედიტის დაწესებულება-თა ყრილობის კომიტეტის 1879 წლის გამოცემა, პეტერბურგი.

403. 35 „отвѣтъ на 13 вопр[...]“ – 67-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნული ფრაგმენტს, რომელშიც მოცემულია რუსეთის სამინათმოქმედო კრედიტის დაწესებულებათა მეოთხე ყრილობის მონაწილე ივანოვის გამოსვლა იმის შესახებ, რომ, პირველ შემთხვევაში, გირავნობის მონმობის გაცემასა და სესხის გაცემას შორის პერიოდში მესაკუთრეს ეკრძალება თავისი ქონების განკარგვა. მეორე შემთხვევაში კი, ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, რადგან მამული უკვე ბანკის სახელზეა და მისი გასხვისება შეუძლებელია.

**<მინანერები ნიშნა „Ассиро-Вавилонская литература“>**  
(გვ. 404)

წყარო: L, TS 2666.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია არჩიზალდ ჰენრი სეისი და იგი გამოიცა 1879 წელს პეტერბურგში.

მინანერი გაკეთებულია წიგნის ბოლო სუფთა ფურცელზე.

**404. 2 „5. I. царь богъ“** – ნიგნის ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნული აბზაცში საუბარია ქალდეველებზე, რომლებმაც შექმნეს ბაბილონი, გამოიგონეს ლურსმული დამწერლობა და საფუძველი ჩაუყარეს იმ ხელოვნებასა და ცივილიზაციას, რომლის მემკვიდრეებიც შემდეგ გახდნენ ასირიელები. აქვე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები: „и міра греческихъ боговъ“, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ქალდეურიდან მომდინარეობს ბერძნული ხელოვნება, შესაბამისად, ბერძნული ღმერთებიც და გმირებიც.

**404. 2 „17. Мосхи“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „ближайшихъ окрестностейъ Ниневіа“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ როდესაც ასურეთში ტახტზე ავიდოდა ნაკლებად ენერგიული მეფე, მონარქიის საზღვრები მაშინვე ვიწროვდებოდა და აღწევდა ნინევიის მოსადგომებამდე. აქვე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Мошей и Тибареновъ“. აქ საუბარია ასურეთის მეფეზე ტიგლათფილესერზე, რომელიც ცხოვრებას ბრძოლებში, ნადირობასა და მშენებლობაში ატარებდა, რომელსაც ბაძავდნენ მისი მომდევნო მეფეები და რომელმაც აწარმოა ბრძოლები მცირე აზიაში და გზად დაიპყრო ბიბლიაში ნახსენები მოსხებისა და ტიბარენების ტომები.

**404. 2 „Гоимъ 18. 19“** – ნიგნის აქ მითითებულ მე-18 გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Гоимъ“. აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ასირია ოდესღაც, სანამ ეს სახელი დაერქმეოდა თავისი დედაქალაქის, ასურას პატივსაცემად, იყო ვრცელი ბარბაროსული ქვეყნის გუთიუმის – გოიმის ნაწილი, რომელსაც, დაბადების ნიგნის მიხედვით, მართავდა ტიდალი ან ტურდალი. შემდეგ აქ ხაზგასმულია სიტყვები „въ Урѣ“. აქ საუბარია ქალდეველთა იმ მმართველების შესახებ, რომელთაც ჰქონდათ სუმირთა და აქადთა მეფის წოდება. ლიგერგასის და მისი ვაჟის დუნდის მმართველობის დროს მათ დაიმორჩილეს ბაბილონის მცირე სახელმწიფოები და აწარმოეს გრანდიოზული მშენებლობები, მაგალითად, ურში ააშენეს მთვარის ღვთაების ტაძარი. მინანქრში მითითებულ მე-19 გვერდზე კი ხაზგასმულია სიტყვები „Издубарѣ“ და „Этанны и Нера“. აქ საუბარია ნინევიელთა დიდებულ, მზიურ გმირზე, რომელსაც იბდუბარს უწოდებდნენ, ეთანისა და ნერას უზარმაზარ ფიგურებზე, რომელთა ჩრდილიც ქვესკნელშიც კი სწვდებოდა.

**404. 2-3 „преисподня 20, Заключительная строка“** – ნიგნის ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „ѡтѡ“ და ცისფერივე ვერტიკალური ხაზით მონიშნულია აბზაცი, რომელშიც საუბარ-

ია ვრცელ ბაბილონურ საგმირო პოემაზე, რომელიც აქადურ პერიოდში შექმნილად მიაჩნიათ. ამ აზრს განამტკიცებს ის, რომ ყოველი წიგნის დასაწყისში ასირიელი გადამწერი იმეორებს წინა წიგნის დამამთავრებელ ხაზს. ეს თავისებურება ახასიათებს აქადური წიგნსაცავის ტექსტებს. აქვე, როგორც მინანქრშია მითითებული, წიგნის გვერდის ბოლო სტრიქონზე ხაზგასმულია სიტყვები „Гѣа, то бо жеству солнца, то наконецъ“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ზემოთ ხსენებულ პოემაში წარღვნა მიეწერება ხან დედამიწის ღვთაება გეას, ხან მზის ღმერთს, ხან ცის ღმერთ ბაალს.

**404. 3 „19, 21 Издубарь“** – მინანქრში მითითებულ პირველ (19) გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Издубарь“ და „Этанны и Нера“. საუბარია ნინევიელთა დიდებულ, მზიურ გმირზე, რომელსაც იზდუბარს უწოდებდნენ, ეთანისა და ნერას უზარმაზარ ფიგურებზე, რომელთა ჩრდილიც ქვესკნელშიც კი სწვდებოდა. წიგნის 21-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „одинъ изъ солнечныхъ“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ იზდუბარი არის ერთ-ერთი მზიური გმირი. მისი 12 გმირობა, ჰერაკლეს 12 გმირობის მსგავსად, აღნიშნავს მზის მოძრაობას 12 თვის განმავლობაში. ამავე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „греческого Геркулеса“, აქ ნათქვამია, რომ იზდუბარი აშკარად იყო ბერძნული ჰერკულესის წინასახე. წითელი ფანქრით ხაზგასმულია „Гѣа-нани“, აქ საუბარია იმის შესახებ, რომ იზდუბარის თითო გმირობა ხდება ზოდიაქოს თითო ნიშნის ქვეშ. წინასწარმეტყველი ნახევრად ხარი და ნახევრად ადამიანი, გეა-ბანი მას ხვდება აქადური წლის მეორე თვეში. კეთილი ხარის თვე კი სწორედ ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანია. ამავე გვერდის იმ ადგილის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ იზდუბარის ტირილი გეა-ბამის ცხედარზე უკავშირდება წლის ბოლო „პირქუშ თვეს“ ადარას, როდესაც ტყუპები, „გეას თევზები“ ახლავს მზეს, წიგნის მარჯვენა ველზე ნაცრისფერი ფანქრით მიხატულია ორი პლანეტა და მზე.

**404. 3 „30 и 31 главное“** – წიგნის 30-ე გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „семи дней“, აქ საუბარია იმის შესახებ, რომ თვის ბოლო მეოთხედში, 7 თვის განმავლობაში პლანეტას უბრუნდება ნათება, რომელიც დაკარგული ჰქონდა. შემდეგ წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „къ богу огня“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ პოეტი, რომელმაც ჰიმნი უძღვნა ცეცხლის ღმერთს და დაგვიტოვა მონათხრობები თამუზისა და ქვესკნელის ხის შესახებ, წარმოშობით ასევე ქალაქ ერიდუდანაა (წიგნში შეცდომით წერია „Эриду“).



ამავე გვერდზე წითელი ფანქრით ხასგასმულია სიტყვები „Богъ Цу“ და წითელი და ნაცრისფერი ფანქრებით მონიშნულია აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ღმერთმა ცუმ ღმერთების მამას გელს მოჰპარა თავისი დიდების გვირგვინი, მისი ღვთაებრიობის სამოსი, ბედის ფილები და სხვა საიდუმლოებები. ეს ფაქტი შედარებულია პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცებასთან. 31-ე გვერდზე კი წითელი ფანქრით ხასგასმულია სიტყვები „постепенно стали“. ამ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ გალექსილი ბაბილონური მითები საერთო ენის დაკარგვის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას, გადადიოდა ბერძნულ, ფინიკიურ, ებრაულ და სხვა ნყაროებში და გახდა მთელი კაცობრიობის მონაპოვარი.

**<მინაწერები ნიზნუა „Главныя теченія литературы  
девятнадцатаго столѣтія“> (გვ. 404)**

**წყარო:** L, TS 2927.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია გეორგ ბრანდესი და იგი გამოიცა 1881 წელს მოსკოვში.

**მინაწერი 1**

**404. 9 „მიტკა“** – 36-ე გვერდზე სიტყვა წითელი ფანქრით მიწერილია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ეტიენ პივერ დე სენანკურის რომანზე „ობერმანი“. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ პროფესიული საქმიანობა ადამიანს აქცევს რაღაც ჩარჩოებში და ზღუდავს. შესაძლოა, ილია ჭავჭავაძე აკავშირებდეს ამას ფონ ვიზინის პერსონაჟთან, მიტროფანუშკასთან.

**მინაწერი 2**

**404. 12 „თინათინი“** – მე-60 გვერდზე სიტყვა წითელი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ბენუჟამენ კონსტანის რომანის „ადოლფის“ გმირზე, ელეონორაზე და ახალი მწერლობის ტენდენციებზე, წარმოაჩინოს გონიერი, ნებისყოფიანი, აქტიური ქალები.

**მინაწერი 3**

**404. 14 „ქართველობა“** – 68-ე გვერდზე სიტყვა წითელი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ჯორჯ ბაირონის გამომხმაურებაზე ადოლფის პერსონაჟის შესახებ. მისი მტკიცებით, ყველა მამაკაცი როდი ჰგავს ადოლფს. ამასთან, თავის შემოქმედებაში ის ხშირად და დაბეჯითებით იმეორებს, რომ ბედნიერება არ არის ქორწინებაში.

#### **მინაწერი 4**

**404. 16 „ავთანდილ[ი] ტარიელ[ი]“** – 69-ე გვერდზე სიტყვები წითელი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც ნაწარმოების პერსონაჟი ვნებას აკავშირებს არა ვალის, არამედ – ბედნიერების ცნებასთან და განიხილავს მას კეთილდღეობის გადასახედიდან.

#### **მინაწერი 5**

**404. 18 „ნესტან[...] და ტარიელის გამარჯვება“** – 69-ე გვერდზე სიტყვები წითელი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მთავარია გული და რომ სიტყვა გულის მოგების ერთადერთი საშუალებაა.

#### **მინაწერი 6**

**404. 20 „ნაი.“** – 140-ე გვერდზე სიტყვები წითელი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია უფსკრულზე განათლებულსა და გაუნათლებელ კლასებს შორის.

### **<მინაწერი ნიგნჯი „ღავითიანი თქმული გურამის-შვილის ღავითისაგან“> (გვ. 404)**

**წყარო:** L, FS 5231.

**შენიშვნა:** დავით გურამიშვილის პოემის გიორგი ზალიკალიანი-სეული გამოცემა, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, გამოიცა 1881 წელს თბილისში.

**404. 24 „უნდა“** – 166-ე გვერდზე სიტყვა მიწერილია ვერტიკალური ხაზებით გადახაზული ერთ-ერთი სტროფის გასწვრივ და ამავე და მომდევნო სტროფებთან მიწერილია პლიუსები. რამდენადაც ეს ნიგნი 1881 წელს გამოიცა, შესაძლოა, ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა 1894 წელს დავითიანის მეორე, ზაქარია ჭიჭინაძისეული გამოცემის მომზადებაში. სავარაუდოდ, ეს სტროფი, რომელიც თავდაპირველად საექვოდ ითვლებოდა და გადახაზული იყო, მან ამ მიწინაწერით აღადგინა.

### **<მინაწერები ნიგნჯი „Сельскій бытъ и сельское хозяйство въ Россiи“> (გვ. 404)**

**წყარო:** L, TS 2605.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ალექსანდრე ვასილჩიკოვი და იგი გამოიცა 1881 წელს პეტერბურგში.

მინაწერი გაკეთებულია ყდის შიდა გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**404. 28 „6“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ერთგან ხაზგას-  
მულია სიტყვები „снереженія“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით  
მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ  
ცივილიზაციის განვითარება წინ უსწრებს მასების მატერიალური  
კეთილდღეობის ხარისხის ამაღლებას. მართალია, ვითარდება წარ-  
მოება, ხელფასები, მუშათა პირადი შესაძლებლობები, მაგრამ მათი  
საჭიროებები ასევე, ან უფრო სწრაფად იზრდება და შედეგად, არავი-  
თარი დანაზოგი არ რჩებათ შავი დღისთვის. მეორეგან ნაცრისფერი  
ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარ-  
ია იმის შესახებ, რომ დაბალი კლასები იგრძნობენ, რომ მათი შესა-  
ძლებლობები არ იზრდება ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილე-  
ბების, კეთილმოწყობისა და კულტურის პროპორციულად.

**404. 28 „7“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მო-  
ნიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ მას  
შემდეგ, რაც მიწები და უძრავი ქონება დაურიგდა ღარიბებს, რომელ-  
თა დიდი ნაწილი ნაკლებად განათლებულია, სახელმწიფოსა და საზო-  
გადოების მხრიდან აუცილებელი გახდა გარკვეული ჩარევა სამეურ-  
ნეო ურთიერთობების მოწესრიგებაში.

**404. 28 „8“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მო-  
ნიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ  
აუცილებელია ისეთი ცალკე უწყების ჩამოყალიბება, რომლის უშუალო  
ამოცანა იქნება ქვეყნისა და ხალხის სამეურნეო ინტერესების დაცვა.

**404. 28 „10“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით  
მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ  
მოსახლეობის ზრდასთან ერთად იკლებს თავისუფალი სივრცეები:  
იჩეხება ტყეები, იხვნება მიწები, ვინროვდება საძოვრები, ძველი სა-  
ვარგულები აღარ იძლევა ისეთ მოსავალს, როგორსაც ყამირი. საჭ-  
იროა მეტი შრომა და მეტი დანახარჯი.

**404. 28 „11“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით  
მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ  
ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რუსეთში გაბა-  
ტონებულმა უწესრიგობამ განაპირობა ის, რომ ნებისმიერი მოთხოვ-  
ნა, წარმოადგინონ ცნობა სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, მოსახ-  
ლეობაში ინვესს უნდობლობას და ეჭვს, რომ შეიძლება დაეკისროთ  
რაიმე ახალი გადასახადი ან აღიქმება მმართველთა მხრიდან მათ პი-  
რად საოჯახო ცხოვრებაში მომაბეზრებელ ჩარევად.

**404. 28 „12“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით  
მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ

დაბალი ფენის წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის კვლევა სირთულეებთან არის დაკავშირებული, უცხო ადამიანებთან ამ წოდების წარმომადგენლები გახსნილები არ არიან, არ მოუყვებიან თავიანთი სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. თავიანთ უბედურებასა და დანაკარგზე მოუყვებიან, მაგრამ თუ რაიმე მოგება ჰქონდათ – არა. კარგი შემოსავალიც რომ ჰქონდეთ, ღარიბად მოაჩვენებენ თავს იმისთვის, რომ თანასოფლელები დახმარებისთვის არ მიადგნენ ან სესხის მოთხოვნისას უარი არ მიიღონ.

**404. 28 „13“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ გლეხები არ ზომავენ და არ წონიან თავიანთ შემოსავალს და ამიტომ არ იციან მისი ზუსტი რაოდენობა.

**404. 28 „19“** – ამ გვერდზე აბზაცის მონიშვნა ილია ჭავჭავაძეს გამოეჩინა.

**404. 28 „23“** – ამ გვერდზე თავდაპირველად ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობას მისდევენ ფერმერები და აქვთ გრძელვადიანი კონტრაქტები მეიჯარეებთან, სადაც მრეწველობა მსხვილი კაპიტალისტების ხელშია, რენტისა და ხელფასების რაოდენობის გამოთვლა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. მეორეგან ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთში, სადაც მიწის გრძელვადიანი იჯარა ნაკლებად გვხვდება, თან ოფიციალურად არ არის გაფორმებული, რენტისა და ხელფასის გამოთვლა და საშუალო არითმეტიკულის დადგენა რთულდება. მესამეგან ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთი, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული, აერთიანებს ძალზე განსხვავებულ კლიმატურ ზონებს.

**404. 28 „24“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთის მიწების ეს თავისებურება გლეხების ხასიათზეც ახდენს გავლენას. მართალია, ისინი როცა საქმეს შეუდგებიან, ხელებდაკაპინებით მუშაობენ, მაგრამ არა გულდადებით, არ ფიქრობენ ხვალინდელ დღესა და მომავალზე.

**404. 28 „30“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია რუსეთში გაბატონებულ სისტემაზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერი-

ალური შესაძლებლობების გათვალისწინებას მათთვის ფულადი ან ნივთიერი დახმარების განევისას და ხდება ისე, რომ ეს დახმარება ხშირად ეძლევა ისეთ ადამიანებს, რომლებიც მას სრულებით არ საჭიროებენ.

**<მინაწერი ნიბნუა „Записка представленная Его  
Высокопревосходительству Господину Министру финансовъ по  
вопросу объ удешевлении кредита въ акціонерныхъ земельныхъ  
банкахъ“> (გვ. 404)**

**წყარო:** L, TS 3127.

**შენიშვნა:** რუსეთის სამინათმოქმედო კრედიტის დაწესებულებების სხდომათა კომიტეტის 1884 წლის გამოცემა, პეტერბურგი.

**404. 33 „Тиф В. н. пол[...]"** – 7-ე გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ბანკებმა არაერთხელ მოითხოვეს უფლება, გირავნობის ფურცლებზე არ დაეტანათ მათი დაფარვის თარიღები, მაგრამ ამის ნებართვა დღემდე ვერ მიიღეს.

**<მინაწერები ნიბნუა „Всеобщая исторія литературы“> (გვ. 405)**

**წყარო:** L, TS 2823.

**შენიშვნა:** წიგნი შედგენილია წყაროებისა და უახლესი გამოკვლევების საფუძველზე, დასაწყისში ვ. ფ. კორშის, შემდეგ კი ა. კირპინიკოვის რედაქციით 1885 წელს პეტერბურგში.

**მინაწერი 1**

მინაწერი გაკეთებულია მესამე, ცარიელი ფურცელზე ნაცრისფერი ფანქრით. იგი ყდის შიდა მხრეს ზუსტად იმ პრინციპით არის შესრულებული, როგორსაც ილია ჭავჭავაძე მიმართავდა (ჩამოთვლილია გვერდები, რომლებზეც გვერდის აღმნიშვნელი ციფრები ქვეშ ხაზგასმულია და მონიშნულია მისთვის საინტერესო ადგილები). მინაწერი ვილაცის მიერ ფანქრითვე არის გაცხოველებული, რის გამოც გრაფემების საბოლოო ფორმა ილია ჭავჭავაძისას არ ჰგავს, მაგრამ გამოსახულების გადიდებით კარგად ჩანს, რომ ფანქარი ძველ ნაწერზე ზუსტად არ არის გადატარებული და მის ფორმებს არ იმეორებს. ამიტომ ჩავთვალებთ, რომ ეს მინაწერიც, რომელიც შემდეგ გაცხოველებულია, ილია ჭავჭავაძისეულია.

**405. 3 „115“** – ამ გვერდზე წითელი ფერის ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „періодъ“, რომლითაც მონიშნულია აზნაცი, საიდანაც იწყება

შუა საუკუნეების განხილვა. მეორეგან ხაზგასმულია სიტყვა „НИКОГДА“ და მონიშნულია წიგნის ის ადგილი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ საეკლესიო ხელისუფლების ცენტრალიზება სრულებით არ უწყობს ხელს მის შინაგან სრულყოფილებას. პირიქით – პაპის ტახტი ისეთი დამდაბლებული არასოდეს ყოფილა, როგორც ამ დროს.

**405. 3 „503“** – ამ გვერდზე ნითელი ფერის ფანქრით ხაზგასმულია სქოლიოს ნიშანი – \*) და სქოლიო. მინიშნებულია წიგნის მეხუთე თავზე, რომელშიც საუბარია, რომ არაბთა შემოსევამდე მეცნიერება ესპანეთში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მეორეგან ნითელი ფერის ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „VIII вѣка“ და მონიშნულია მონაკვეთი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ მერვე საუკუნის დასაწყისში ესპანეთის გოთური სახელმწიფო განიცდიდა ზნეობრივ და პოლიტიკურ რღვევას.

**405. 3 „593“** – ამ გვერდზე ნითელი ფერის ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „что пантера-опряхъ“ და მიემართება იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია მე-14 საუკუნის ანონიმი ავტორის ფრანგულ პოემაზე „რომანი ავაზის შესახებ“, რომელშიც ცხოველი განასახიერებს პოეტის საყვარელ ქალს, მისი მტერი დრაკონი კი – შურიან და ჭორიკანა ადამიანებს, რომლებიც შეყვარებულებს ემტერებიან.

## **მინაწერი 2**

**405. 5 „[...]ავთ[...]“** – 504-ე გვერდზე სიტყვა მინერილი წიგნის იმ აბზაცის გასწვრივ, რომელშიც ხაზგასმული სიტყვებია: „пелаго“... „ультра-героический“... „искренний пафосъ“... „единоначалие“. აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ თავდამსხმელი მაჰმადიანებისგან თავის ასარიდებლად გოთების უკანასკნელი მეფის ნათესავმა პელაგომ ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო და შუა საუკუნეების დასასრულამდე გამუდმებულ ჯვაროსნულ ომებში იყო ჩაბმული. ამან განაპირობა მის მცხოვრებთა გარკვეული გონებრივი ჩამორჩენილობა, ეროვნული პოეზიის ულტრა-ჰეროიკული ხასიათი და საეკლესიო წერილობითი ტექსტების გულწრფელი პათოსი. მუდმივი ბრძოლები მოითხოვს ხელისუფლების ცენტრალიზებას, რამაც გამოიწვია ესპანეთში მონარქიული პრინციპების განმტკიცება.

**<მინაწერი 2 ნიშნა „Исторія общественности“> (გვ. 405)**

**წყარო:** L, TS 3051.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ალექსანდრ სტრონინი და იგი გამოიცა 1885 წელს პეტერბურგში.

## მინანერი 1

მინანერი შესრულებულია ყდის შიდა გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**405. 9 „643“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „неколлебный и безукоризненный“ და საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოების ზნე-ჩვეულებები და ადათ-ნესები წარმოადგენს თანაცხოვრების ხელშეუხებელ და ურყევ მასშტაბებს. შესაბამისად, არავითარი არგუმენტი არ გვაქვს საიმისოდ, რომ ისინი გამოვრიცხოთ მეცნიერებიდან.

**405. 9 „652“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „возвѣщенный“ და „сомнѣваясь“, ნაცრისფერი ფანქრით კი – მთელი აბზაცი, რომელში საუბარია იმის შესახებ, რომ ფიზიკური ბუნების საოცრებების აღარავის სჯერა და ეს გამოიხატა სკეპტიციზმში. ამის შესახებ ლუთერმა რელიგიაში, დეკარტმა ფილოსოფიაში, ბეკონმა კი მეცნიერებაში გვაუწყა და შემდეგ მოიცვა მთელი საზოგადოება. სკეპტიციზმი ისეთია, რომლისთვისაც არ არსებობს ცოდნის უპირატესი სისტემა. ის გულისხმობს რწმენას იმდენად, რამდენადაც ფილოსოფია, ფილოსოფია იმდენად, რამდენადაც – მეცნიერებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წყალობით, ამჟამად არავინ მიაწერს შიმშილობას და ფართოდ გავრცელებულ დაავადებებს ავსულებს, ომებს, ცოდვებს... გამარჯვებებს კი – კომეტებს. მაგრამ სკეპტიციზმს აქვს დადებითი მხარეც: ყველაფერში დაეჭვებით, რაც მეცნიერებით არ მტკიცდება, სკეპტიციზმმა იგივე სულისკვეთება შემოიტანა ბუნებიდან საზოგადოებაში. საზოგადოებაში, რომელშიც მეცნიერების მიერ არაფერია დადასტურებული ან უარყოფილი, კარგი ნიადაგი ჰპოვა მისტიციზმმა. ბუნებიდან განდევნილმა აქ იპოვა ნოყიერი ნიადაგი და ჩამოყალიბდა უტოპიზმად.

**405. 9 „58“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია მთელი პასაჟი, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ რელიგიას ამთავრებს ფილოსოფია, მაშინ ფილოსოფიას დასაბამს აძლევს რელიგია. ამავე გვერდზე ხაზგასმულია აბზაცი, რომელშიც ნათქვამია, რომ ფილოსოფია იწყება იმ დროიდან, როცა იწყება რელიგია. წარმოუდგენელია რაიმეს რწმენა ცოტაოდენი გააზრების გარეშე, ისევე როგორც გააზრება რწმენის გარეშე. მაშინვე, როგორც კი მიწამ, ცამ და სიზმრებმა მიიქცია პირველყოფილი ადამიანის ყურადღება, დაიწყო რწმენისა და აზროვნების ისტორია. მესამეგან ხაზგასმულია აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რწმენისაგან დამოუკიდებელი აზროვნება განვითარდა ბევრად უფრო გვიან, ვიდრე პასიური რწმენა,

ამიტომ, მართალია, ფილოსოფია და რელიგია ერთად იღებს სათავეს, მაგრამ ფილოსოფია ბევრად უფრო გვიან ვითარდება და გვიან ჩამოსცილება რელიგიას, თავდაპირველად ისინი არსებითად ერთი და იგივე იყო.

**405. 9 „123“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Такъ, наприѣръ“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, გვაქვს თუ არა აუცილებელი მიზეზები იმისათვის, რომ მოვიპოვოთ სიმდიდრე. ამისათვის არსებობს საზოგადოებრივი მიზეზები, მაგრამ არ არის ფსიქოლოგიური მიზეზები, არ არიან განმხორციელებლები, რომლებმაც იციან, როგორ მოჰკიდონ ხელი საქმეს, მაშინ ეს მიზანი ვერ მიიღწევა.

**405. 9 „129“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Пантеизмъ возводитъ“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ თითქმის მთლიან გვერდზე საუბარია იმის შესახებ, რომ ფილოსოფიური პანთეიზმი იგივეა, რაც ფეტიშიზმი, მაგრამ მონეს-რიგებული და ინტეგრირებული. თუ პირველში ხდებოდა საგნების ცალ-ცაკლე გაფეტიშება, მეორეში ეს ხდება ერთობლიობაში. რამდენადაც ფეტიშიზმი ადამიანის მსოფლმხედველობათაგან უძველესია, ის ყველაზე ადრე მუშავდება ფილოსოფიურად. შემდეგ საუბარია ფილოსოფიური თეიზმის შესახებ, რა არის ფილოსოფიური თეიზმი, თუ არა პოლითეიზმი, მაგრამ სისტემატიზებული. ამიტომ რელიგიის პოლითეიზმი აუცილებლად თეიზმით დასრულდება. მეორე მხრივ, პოლითეიზმი უპირისპირდება ფეტიშიზმს, როგორც საზოგადოების რელიგია – ბუნებისას. პანთეიზმი აღმერთებს ობიექტურობას, თეიზმი – სუბიექტურობას. ადამიანის გონებას ახასიათებს უკიდურესობიდან უკიდურესობაში გადასვლა, სანამ ვერ მოახერხებს მათ ერთმანეთთან მორიგებას. ასეა რელიგიაშიც, ფილოსოფიასა და მეცნიერებაშიც, ამიტომ მოჰყვა პანთეიზმს თეისტური ფილოსოფია. ყველაზე საინტერესო არის ათეიზმის ლოგიკა. ის ოპოზიციამია რელიგიურ მონოთეიზმთან და ვერანაირად ვერ ქმნის მის საპირწონეს. რეალურად კი ის არის მისი ანარეკლი. მონოთეიზმი არის ადამიანის რელიგია, მაგრამ ათეიზმიც ადამიანისკენ ბრუნდება, რადგან უარყოფს ყოველგვარ ღვთაებრივს. იგი ღვთაებრივს მხოლოდ ადამიანის გონებაში ეძებს.

**405. 9 „143“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Правда, все это“, ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ თითქმის მთელ გვერდზე საუბარია სოციალური ფსიქოლოგიის შესახებ, რომლის ყურადღების მიღმა რჩება ადამიანის შინაგანი სამყა-



რო, მისი შინაგანი ძალების ჭიდილი და პირადი ისტორია. სოციალური მეცნიერებები აღწერს ადამიანს საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ისტორიაში, მაგრამ ვერ ასახავს, თუ როგორ იხსნება ის თავის საკუთარ ბიოგრაფიაში. ამ ასპექტს მეცნიერების არც ერთი ზემოთ ხსენებული დარგი არ ასახავს, არადა, ეს მნიშვნელოვანია, ამის გარეშე წარმოუდგენელია თვითშემეცნება, ესაა გვირგვინი და მიზანი ყველა სხვა საკითხისა. მხოლოდ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას შეუძლია, მისცეს თითოეულ პირს შესაძლებლობა, შეადგინოს თავისი მეცნიერული ავტობიოგრაფია, რომელსაც შეეძლება მიგვანიშნოს, რა შეიძლება მოხდეს ან რა – არა მომავალში. რეალური არსებობა სამყაროში ეკუთვნის არა ზოგადად ადამიანს, არა ადამიანთა საზოგადოებას, არამედ კერძო პირს. ამიტომ აუცილებელია როგორც სოციალური, ისე ინდივიდუალური ფსიქოლოგია.

**405. 9 „229“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Что, говорить“ და „Вместь с этимъ“. ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში კი საუბარია იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთში მინათმოქმედთა საზოგადოებრივი მდგომარეობა უფრო მაღალია, ვიდრე ვაჭართა. სწორედ ამას უკავშირდება ის, რომ ამ ქვეყნებში ყვაოდა მინათმოქმედება. ქალდეელებმა მინდვრების განოყიერებასა და მორწყვაში ისეთ შედეგებს მიაღწიეს, როგორსაც თანამედროვე ხალხებიც კი ინატრებდნენ. ისინი რწყავდნენ ისეთ ტერიტორიებს, სადაც წვიმა საერთოდ არ მოდიოდა და, შესაბამისად, შემთხვევითობაზე დამოკიდებულები არ იყვნენ. მინათმოქმედებას მისდევდნენ ყველაზე მდიდარი ადამიანებიც კი და ის თითქმის მეცნიერების სიმალემდე აჰყავდათ.

**405. 9 „258“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „состояние“. ამ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ომის მდგომარეობა იმდენად წინ წამოწეული იყო, რომ ხალხების ისტორია აღიქმებოდა ომების ისტორიად.

**405. 9 „272“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „второбрачя“. ამ აბზაცში საუბარია პარტრიარქალურ წყობაში მეორედ ქორწინების მიუღებლობისა და ქალების მიერ გარდაცვალილი ქმრებისთვის თავის მსხვერპლად შეწირვის შესახებ.

**405. 9 „485“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Съ XVI же“. ამ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან ჩნდება აზრი, რომ ომიანობა უკავშირდება სახელმწიფოებს და არა საზოგადოებებს. ეს არის დაპირისპირება მმართველობებს და არა მოქალაქეებს შორის, ეს არის შეიარაღებული არმიები და არა უიარაღო მოქალაქეების შერკინება.

**405. 9 „735“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Въ герѣ жѣ“, ნაცრისფერი ვერტიკალური და მის პარალელურად შედარებით მოკლე წითელი ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ გრძნობადი და ზეგრძნობადი ერთმანეთთან უკუ-პროპორციულ დამოკიდებულებაშია. ესთეტიკური ზნე-ჩვეულებები კავშირშია როგორც გრძნობადთან, ისე ზეგრძნობადთან. ამიტომ მათში ხშირად არის ანტაგონიზმი. ცალკეულ ინდივიდშიც კი აზრი და გრძნობა კავშირშია შესატყვისა და სიტყვასთან და მათი ერთმანეთისგან დაცილება ინდივიდის არანორმალურობაზე მიგვანიშნებს. ისტორიული გმირში წარმოუდგენელია წინააღმდეგობა ზნე-ჩვეულებას, ტრადიციასა და გადმოცემებს შორის. რაც მეტია მიმიკა, ფორმა, სხეულის მოძრაობა, რიტუალური წესი, მით ნაკლებია ლიტერატურა, ენა, სკოლა და ოჯახი და პირიქით.

**405. 9-10 „231 О презрѣніи торговли“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Греки“, „у Аристотеля“, „о мелкой“. ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ბერძნები ხელობას მოქალაქის დამამცირებელ საქმიანობად აღიქვამდნენ. სპარტაში ხელობა აკრძალული იყო. სახელმწიფო თანამდებობაზე არ დაიშვებოდა ადამიანი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ცოტა ხნით მაინც ხელობით ირჩენდა თავს. იგივე ეხებოდა ხელოვნებასაც, თუ იგი საარსებო საშუალებად გამოიყენებოდა. ამავე დროს ასეთ აკრძალვებს არ ექვემდებარებოდა სახელოსნოს ფლობა, თუ მფლობელი საქმეში თავად არ ერეოდა. ხელოსნები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არასრულყოფილებიანი მოქალაქეები, უცხოელები, უმთავრესად კი – მონები. მსხვილი ვაჭრობა არ იყო დამამცირებელი, წვრილი – კი. არისტოტელესთან ხელოსნობისადმი ზიზღი იმდენად დიდია, რომ იქ, სადაც ის ადამიანებს ყოფს მბრძანებლებად და დამორჩილებულებად, თავისუფალ ადამიანებად და მონებად, ამ უკანასკნელთა რიცხვში მოიაზრებს ყველა ხელობის ადამიანს. მხოლოდ დემოკრატიულ ათენში კანონმა ნება მისცა იმ ადამიანებს, რომლებიც ხელობით ირჩენდნენ თავს, არჩეული ყოფილიყვნენ სახელმწიფო თანამდებობაზე. ციცერონი ხელოსნობას მოიხსენიებს, როგორც სახეცვლილ მონობას. ამ რიცხვში ის არ მოიაზრებს მხოლოდ მსხვილ ვაჭრობას. რაც შეეხება წვრილ ვაჭრობას, მას მიაჩნია, რომ წარმოუდგენელია, დახლთან მდგომს კეთილშობილური აზრი გაუჩნდეს.

**405. 10 „377 (обычай)“** – ამ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Говоря съ“ და საუბარია იმის შესახებ, რომ მეფეს-

თან ლაპარაკისას პირზე ხელი უნდა აეფარებინათ, რომ სუნთქვისას პირიდან ამოსულ ჰაერს მოსაუბრემდე ვერ მიეღწია.

**405. 10 „169 поэзия“** – ამ გვერდზე ნითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Поэзия“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ პოეზიას, როგორც გამომსახველობით საშუალებას, ყველაზე უკეთ შეუძლია გამოხატოს ეპოქის სული.

### **მინაწერი 2**

**405. 12 „Троица наша“** – 36-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ბრაჰმანიზმის სამ მთავარ ღვთაებაზე – რამუზე, ვიშნუსა და შივაზე.

### **მინაწერი 3**

**405. 14 „Тоже троица“** – 37-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ფინიკიურ ღმერთებზე, რომლებიც გაერთიანდა სამ სახეში: ვაალ თამუზი – შემოქმედი, ვაალ-ხონი – მფარველი და ვაალ-მოლოხი – დამანგრეველი. ეს სამი ვაალი კი გაერთიანებულია ერთში, რომელსაც ეწოდება ელი, აბსოლუტური არსება.

## **<მინაწერები ნიბზმა „Поэтика. Исторический сборник статей о поэзии“> (გვ. 405)**

**წყარო:** L, TS 2616.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ვასილი ვოსკრესენსკი და იგი გამოიცა 1885 წელს პეტერბურგში.

### **მინაწერი 1**

მინაწერი გაკეთებულია ბოლო გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**405. 19 „24“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „дѣйствіямъ людей низкихъ“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პოეტების ტიპის მიხედვით პოეზია იყოფა ორ ნაწილად – პოეტების ერთი ნაწილი ჰბაძავს დიდ ადამიანებს, მეორე კი – მდაბლებს, პირველნი თხზავენ სადიდებლებს, მეორენი კი – საღანძღავს.

**405. 19 „36“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Третіе“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში საუბარია გაგების მესამე ტიპზე, რომელიც გულისხმობს გაგებას მეხსიერების დახმარებით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც რალაცის დანახვა რალაცას გვაგონებს და ინვესს შესაბამის ემოციებს.

**405. 19 „37“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „для даровитого человека или для страстного“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პოეზიის შექმნა შეუძლიათ ან ნიჭიერ, ან ვნებიან ადამიანებს. ვნებიანები იოლად შედიან ყველანაირ მდგომარეობაში, ნიჭიერებს კი შეუძლიათ იმსჯელონ ყველაფერზე და აღიქვან როგორც გადმოცემები, ისე გამონაგონი. პოეტმა ჯერ თავად უნდა გააცნობიეროს სათქმელი და შემდეგ სრულყოს.

**405. 19 „40“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „различаются же трояко“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია არისტოტელეს პოეზიის გვარებისა და სახეების შესახებ. აგრეთვე საუბარია იმაზე, რომ იყენებენ მრავალ გვარსა და სახეს, მაგრამ მათ შორის განსხვავება არის სამგვარი.

**405. 19 „41“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ერთგან ხაზგასმულია სიტყვები „Аристотель не различал“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ არისტოტელე მკაცრად არ მიჯნავდა ერთმანეთისგან ტრაგედიას და ეპოპეას. მეორეგან ხაზგასმულია სიტყვები „или посредством, или по предметам, или по“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია ხელოვნების დარგებს შორის არსებულ განსხვავებაზე, რაც ეფუძნება ბაძვის საშუალებებს, ბაძვის საგნებს, ბაძვის ხერხებს შორის განსხვავებას.

**405. 19 „46“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „и Амасий“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ახლობლების გასაჭირთან დაკავშირებით ჩვენ გვიჩნდება ძრწოლა, რომელიც თანაგრძნობას კლავს და ამიტომ ჩვენი რეაქცია ნაცნობის გასაჭირზე შეიძლება უფრო მკვეთრი იყოს, ვიდრე ახლობლისაზე. მაგალითად მოყვანილია ის, რომ ამასიას ცრემლი არ გადმოვარდნია, როდესაც მისი შვილი სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ და ატირდა, როდესაც დაინახა, როგორ ითხოვდა თავისი მეგობარი მოწყალეობას.

**405. 19 „50“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „чувствительность“ და „как возмуждать“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ, არისტოტელეს აზრით, თანაგრძნობა (და, ზოგადად, მგრძნობელობა) ზრდილი ადამიანის თვისებაა. შესაბამისად,

ცხადია, რატომ არის საჭირო ხელოვნურად შიშისა და თანაგრძნობის გამონევა: ვინც არ გრძნობს, ის არ არის ადამიანი და დასმულია კითხვა, როგორ აღვძრათ ადამიანში ეს გრძნობები. ამავე გვერდზე ვერტიკალური ხაზით მონიშნულია სქოლიო. ის უკავშირდება ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია ტრაგედიის განმმენდელ თვისებაზე და ადამიანის მიერ საკუთარი და სხვისი უბედურების განცდის უნარის დაკარგვაზე. სქოლიოში შესაძარებლად მოხმობილია გოგოლის პიესის ეპილოგი, რომელშიც გმირი ზეციური სამყაროსგან ითხოვს, კვლავ მოუვლინოს ტანჯა, რომ ისევ იგრძნოს სი-ცოცხლე და ისევ შეეძლოს ცრემლის ღვრა.

**405. 19 „54“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „около одного лица“. საუბარია იმის შესახებ, რომ როდესაც ნანარმოებში ერთი გმირის ირგვლივ ტრიალებს ყველაფერი, მთლიანობა ირღვევა. გამონაგონის ყველა ნაწილი თავის ადგილას უნდა იყოს და იმდენად ორგანულად უნდა ერწყმოდეს დანარჩენს, რომ ნებისმიერი მათგანის გადაადგილებით ან გამოკლებით მთლიანობა უნდა ირღვეოდეს.

**405. 19 „55“** – ამ გვერდზე პირველ შემთხვევაში ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პოეტის მიერ შექმნილი სახეები – აქილეესი, აგამემნონი, ოდისეესი, ლირი, ჰამლეტი, რომეო და სხვა, უფრო ნამდვილი და ჭეშმარიტია, ვიდრე ისტორიულად არსებული ათასობით მეფისა და შეყვარებულის სახე. მეორე შემთხვევაში ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც მოხმობილია ლესინგის სიტყვები: ტრაგიკოსი იმდენად იყენებს ისტორიულ ჭეშმარიტებას, რამდენადაც ის ჰგავს კარგად მოფიქრებულ ფაბულას და შეესაბამება მის მიზანს. მას ისტორიული მოვლენა სჭირდება არა იმის დასადასტურებლად, რომ ეს მოხდა, არამედ იმისთვის, რომ, რაც მოხდა, იმაზე უკეთესს თავად ვერ მოიფიქრებდა თავისი მიზნის მისაღწევად.

**405. 19 „71“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Грекъ не иначе постигалъ и мысль“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პოეზია გადატვირთული იყო სახეებით და არა აზრებით, ბერძენი აზრსაც აღიქვამდა მხოლოდ სახეებით. ამიტომ ბერძნულად სინონიმება სიტყვები: „აზრი“ და „სახე“.

**405. 19 „73“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით მონიშნულია ამონარიდები კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსის თხზულებდან „პოეზი-

ის მეცნიერება“, რომელშიც ნათქვამია, რომ მწერალმა საგანი უნდა შეარჩიოს სტილის შესაბამისად, უნდა დაფიქრდეს, შეძლებს თუ არა მწერლობის მძიმე ტვირთის ტარებას, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი წესრიგში და ნათელი იქნება. მწერალმა უნდა იცოდეს, სად რა თქვას, რა დაწეროს და რაზე თქვას უარი. არ არის საჭირო მრავალსიტყვაობა, სჯობს, იყოს მომჭირნე და შეეძლოს შერჩევა.

## **მინაწერი 2**

**405. 21 „[...]სა უნდა უგალობდეს, რუსთაველი“** – 54-ე გვერდზე მინაწერი გაკეთებულია წიგნის იმ გვერდის ზედა აშიაზე, რომელზეც საუბარია არისტოტელეს პოეტიკასა და იმაზე, რომ პოეზია ისტორიისაგან განსხვავდება არა მხოლოდ გამოხატვის ფორმებით, არამედ იმითაც, რომ ის აღწერს იმასაც, რაც შეიძლება მოხდეს და არა მხოლოდ იმას, რაც მოხდა.

## **<მინაწერები წიგნზე „Всеобщая История“> (გვ. 405)**

**წყარო:** L, TS 2578.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია გეორგ ვებერი და იგი გამოიცა 1885 წელს მოსკოვში.

## **მინაწერი 1**

**405. 25 „ლარსი“** – 429-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ძველ შუმერულ ქალაქებზე, მათ შორის ლარსზე, რომელიც მდებარეობდა სამხრეთ ერაყის ქალაქ ტელ-სენკერეს ტერიტორიაზე.

## **მინაწერი 2**

**405. 27 „ტირძნისი [...]“** – 496-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც ხაზგასმულია სიტყვა „СИДОНЪ“ და საუბარია სიდონსა და ტიროსზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ამ უკანასკნელს აკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს სოფელ ტირძნისის სახელწოდებასთან.

## **მინაწერი 3**

**405. 29 „ალაგირ“** – 524-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც ხაზგასმულია ტოპონიმი „Алжиръ“. შესაძლოა, ილია ჭავჭავაძე მას აკავშირებდეს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ალაგირთან.

## **მინაწერი 4**

**405. 31 „თენგის“** – 524-ე გვერდზე სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ქალაქ ტინგისზე, თანამედროვე მაროკოს ტერიტორიაზე.

#### **მინაწერი 5**

**405. 33 „თურდო“** – 525-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც ნახსენებია „Турдетанія“. როგორ ჩანს, ილია ჭავჭავაძე ამ ტოპონიმს აკავშირებს მდინარე თურდოს სახელთან.

#### **მინაწერი 6**

**405. 35 „ტარტესი“** – 525-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია მდინარე ტარტესზე (Тартесъ).

#### **მინაწერი 7**

**406. 2 „სოფელი“** – 526-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც ნახსენებია ფინიკიური Сѣѣла, რომელიც ნიშნავს დაბლობს.

#### **მინაწერი 8**

**406. 4 „სოფელი“** – 542-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ძველსემიტურ ქალღმერთ აშერასა და მის კავშირზე ბუნების ნაყოფიერებასთან. აშურიანი კი ველია კასპის რაიონში.

#### **მინაწერი 9**

**406. 6 „ბრონეული“** – 543-ე გვერდზე სიტყვა მიწერილია რუსული შესატყვისის, ცისფერი ფანქრით ხაზგასმული სიტყვების – „гранатовое яблоко“ – გასწვრივ.

#### **მინაწერი 10**

**406. 8 „ალვანა“** – 543-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ლიბანის მთიან ტომებზე.

#### **მინაწერი 11**

**406. 10 „ოჭუ[მა]რე“** – 543-ე გვერდზე სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია აშერის დღესასწაულებზე, რომლებზეც იმართებოდა ორგიები. „ოჭუმარე“ მეგრულად განთიადს ნიშნავს, მაგრამ სიტყვა გარკვევით არ იკითხება და მისი კავშირიც ტექსტთან დაუდგენელია.

#### **მინაწერი 12**

**406. 12 „ბობ[...]ა“** – 543-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ბიბლოსში გამართულ აფროდიტას ორგიებზე.

### მინაწერი 13

406. 14 „დიდან“ – 545-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ კართაგენში სიყვარულისა და ძალაუფლების ბერძნულ ქალღმერთს ასტრატას დიდონს უწოდებდნენ.

### მინაწერი 14

406. 16 „მელქართი“ – 546-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ფინიკიური ღმერთის შესახებ, რომელიც გაიგივებული იყო ჰერაკლესთან.

## **<მინაწერები ნიშნზე „Сравнительное языковѣдение и первобытная история: Лингвистическо-Исторические материалы для изследованія индогерманской древности“> (გვ. 406)**

წყარო: L, TS 3249

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ოტო შრადერი და იგი გამოიცა 1886 წელს. იმის გამო, რომ წიგნის ამ ეგზემპლარის კიდეები ჩამოჭრილია, რექტორ გვედებზე ილია ჭავჭავაძის მინაწერების დამამთავრებელი, ვერსო გვერდებზე კი დასაწყისი მარცვლები აღარ არსებობს.

### მინაწერი 1

406. 22 „აჩუა“ – 45-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სანსკრიტულ სიტყვას, რომელიც დაახლოებით ისევე უღერს, როგორც ქართული „აჩუა“.

### მინაწერი 2

406. 24 „თევი“ – 177-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სანსკრიტულ სიტყვას matsya.

### მინაწერი 3

406. 26 „გველთე[ვზა]“ – 177-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ ლათინურ სიტყვას Anguilla.

### მინაწერი 4

406. 28 „მელანი“ – 179 -ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სანსკრიტულ სიტყვას malina და ლეტო-ლიტვურ (ჟმუდურ) სიტყვას melna.



#### **მინაწერი 5**

**406. 30 „ქეერი“** – 182-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულს, როგორც მისი შესატყვისი.

#### **მინაწერი 6**

**406. 32 „წვერი“** – 183-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა „წვერის“ აღმნიშვნელ გერმანულ და რუსულ სიტყვებს აკავშირებს სიტყვასთან *нритва*.

#### **მინაწერი 7**

**406. 34 „[...]წერაქვი“** – 186-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. წერაქვს ადარებს სანსკრიტულ სიტყვას, რომელიც ნიშნავს „ამოჭრას“.

#### **მინაწერი 8**

**406. 36 „ძველი“** – 187-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით მინაწერი შესრულებულია ლათინური სიტყვის გასწვრივ. საუბარია ლათინურ სიტყვაზე *vetus* და ძველ სლავურზე *ветѣхъ*, რაც ნიშნავს „ძველს“.

#### **მინაწერი 9**

**407. 2 „ბატონი“** – 189-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით მინაწერი შესრულებულია რუსული სიტყვის გასწვრივ. სანსკრიტულ სიტყვას *patni* („ქალბატონი“) აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 10**

**407. 4 „წმინდა“** – 190-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ირანულ სიტყვას *spenta* აკავშირებს ქართულთან (შესაძლოა გულისხმობს სიტყვას „სპეტაკი“).

#### **მინაწერი 11**

**407. 6 „ჩვეულება“** – 191-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სანსკრიტულ სიტყვას ადარებს ქართულთან (სავარაუდოდ, სიტყვასთან „ჩვევა“).

#### **მინაწერი 12**

**407. 8 „თე-სე[ა]“** – 191-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ლათინურ სიტყვას *sero, se-vi* „თესვა“ აკავშირებს ქართულთან.

### მინაწერი 13

407. 10 „ზამ-[თარი]“ – 197-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ზენდურ სიტყვებს zim, zima აკავშირებს ქართულთან.

### მინაწერი 14

407. 12 „ღამ-ე“ – 197-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ძველირლანდიურ სიტყვას gam (ზამთარი) აკავშირებს ქართულთან.

### მინაწერი 15

407. 14 „[...]ლო“ – 198-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. [...]ლო – სანსკრიტულ სიტყვას khala აკავშირებს ქართულთან, მაგრამ წიგნის კიდე ჩამოჭრილია და სიტყვის დასაწყისი არ იკითხება.

### მინაწერი 16

407. 16 „მუხ-[ა]“ – 203-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. გერმანულ სიტყვას uche და რუსულ სიტყვას „дучь“ აკავშირებს ქართულ „მუხასთან“.

### მინაწერი 17

407. 18 „კურ[ო]“ – 213-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ლიტვურ სიტყვას kurwa, რაც მეძავს ნიშნავს, აკავშირებს ქართულ კუროსთან. მაგრამ სიტყვა ბოლომდე არ იკითხება. ბილო ნაწილი წიგნის აშის კიდიდან ჩამოჭრილია.

### მინაწერი 18

407. 20 „ჭედვა“ – 233-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. რუსული სიტყვების „ковать“ „кузнецъ“ ძირების ურთიერთმიმართებას ამსგავსებს ქართული ჭედვისა და მჭედლის მსგავსებასთან.

### მინაწერი 19

407. 22 „ოქრო – oxp[a]“ – 247-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით მინაწერი შესრულებულია წიგნის ერთერთი ქვეთავის „ჰოლო“ დასაწყისში ერთმანეთთან აკავშირებს ამ ქართულ და რუსულ სიტყვებს, რომლებიც მომდინარეობს მოყვითალო ფერის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან (Ochros).

#### **მინაწერი 20**

**407. 24 „სირმა ვერცხლი“** – 269-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ვერცხლის და კაპიტალის აღმნიშვნელ თურქულ და სერბულ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 21**

**407. 26 „Py6.“** 271-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ბოშების მიერ შემოტანილ სიტყვებს აკავშირებს რუსულ „რუბლთან“.

#### **მინაწერი 22**

**407. 28 „რკინა“** – 277-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სპილენძის აღმნიშვნელ სიტყვას აკავშირებს ქართულ რკინასთან.

#### **მინაწერი 23**

**407. 30 „პიტალო [ოქრო“** – 278-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ნაცრისფრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ბრინჯაოს აღმნიშვნელ ინდურ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 24**

**407. 32 „თუჯი“** – 291-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითელი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ბრინჯაოს აღმნიშვნელ ბულგარულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 25**

**407. 34 „ფოლადი“** – 298-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ფოლადის აღმნიშვნელ სპარსულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 26**

**407. 36 „აბუი“** – 299-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ფოლადის აღმნიშვნელ ქურთულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 27**

**407. 38 „დუქა-[რდი“** – 307-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე

ხაზგასმულ სიტყვას. რკინის დანის აღმნიშვნელ ოსურ სიტყვას აკავშირებს ცხვრის გასაპარსი დიდი მაკრატლის აღმნიშვნელ სიტყვასთან („დუ“ – ორი, „ქარდ“ – დანა“).

#### **მინაწერი 28**

**408. 2 „ისარი“** – 324-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ისრის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 29**

**408. 4 „დაშ[ნა]“** – 325-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. საბრძოლო ცულის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „დამნასთან“.

#### **მინაწერი 30**

**408. 6 „ფა[რი]“** – 325-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ფარის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 31**

**408. 8 „გორდა, ხმალი“** – 329-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ხმლის აღმნიშვნელ ძველ სლავურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 32**

**408. 10 „[...]ინდი-მშვილდი“** – 342-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. მშვილდის დასამზადებლად გამოყენებულ ურთხელის აღმნიშვნელ რუსულ სიტყვას **тис** და მის ჩრდილო-გერმანულ შესატყვისებს აკავშირებს „მშვილდთან“. მინაწერის ორივე სიტყვის დასაწყისი ჩამოჭრილია, არ გამოვრიცხავთ, რომ პირველი იყოს „შინდი“, რამდენადაც ისიც გამოიყენებოდა ისრების დასამზადებლად.

#### **მინაწერი 33**

**408. 12 „ძგერა“** – 345-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. შუბის აღმნიშვნელ ჩრდილო-გერმანულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 34**

**408. 14 „[მა]ხვილი“** – 348-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ხმლის აღმნიშვნელ გოთურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 35**

**408. 16 „დაშნა, დანა.“** – 349-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ძველ სლავურშიც და ქართულშიც ამ წყვილ ცნებებს ერთი ძირი ჰქონდა.

#### **მინანერი 36**

**408. 18 „[ხ]ბო“** – 362-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ხბოს აღმნიშვნელ ირლანდიურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 37**

**408. 20 „[ვ]აცი“** – 362-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ვაცის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 38**

**408. 22 „ლო[რი]“** – 363-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ღორის აღმნიშვნელ ახალ სპარსულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 39**

**408. 24 „[ა]ჩუა“** – 364-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „აჩუასთან“.

#### **მინანერი 40**

**408. 26 „[ც]ხენი“** – 366-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ცხენის აღმნიშვნელ ეგვიპტურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 41**

**408. 28 „[ხ]არი“** – 368-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ

სიტყვას. ხარის აღმნიშვნელ ზენდურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**მინაწერი 42**

**408. 30 „აქლემი“** – 368 -ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითელი ფერითვე ხაზგასმულ სიტყვას. აქლემის აღმნიშვნელ ლათინურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**მინაწერი 43**

**408. 32 „ძუ, ძუ[კნა]“** – 369-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ძალის აღმნიშვნელ ლიტვურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**მინაწერი 44**

**408. 34 „ქათა-მი“** – 372-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ქათმის აღმნიშვნელ ავესტურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

**მინაწერი 45**

**408. 36 „ბატი“** – 373-ე გვერდზე წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში წითელი ფერითვე ხაზგასმულ სიტყვას. იხვის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ ბატთან.

**მინაწერი 46**

**408. 38 „კ[კ]ალო.“** – 378-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. გუთნის აღმნიშვნელ ძველ სლავურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „კალოსთან“.

**მინაწერი 47**

**409. 2 „[თე]სვა“** – 378-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ნათესის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „თესვასთან“.

**მინაწერი 48**

**409. 4 „პური“** – 381-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვებს. ხორბლის აღმნიშვნელ ლიტვურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „პურთან“.

#### **მინანერი 49**

**409. 6 „[...]სლი“** – 382-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინანერს აკეთებს ტექსტის იმ ადგილზე, სადაც შვრიის აღმნიშვნელი სიტყვების ძირი ევროპულ ენებში დაკავშირებულია ცხვარსა და თხასთან, მაგრამ მინანერი სრულად არ იკითხება.

#### **მინანერი 50**

**409. 8 „[ლ]ობიო“** – 384-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. პარკოსანთა კულტურის მარცვლის აღმნიშვნელ სლავურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ლობიოსთან“.

#### **მინანერი 51**

**409. 10 „[კა]ნაფი“** – 384-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. კანაფის აღმნიშვნელ ლათინურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 52**

**409. 12 „ერქვანი“** – 387-ე გვერდზე მინანერი შესრულებულია შავი ფერის მელნით, ტექსტში სიტყვა ხაზგასმულია წითელი ფანქრით, წითელი ფანქრითვე აშიაზე მოზრდილი ვერტიკალური ხაზია გავლებული, სავარაუდოდ, საგულისხმო ფრაგმენტის მოსანიშნად. მინანერი და ხაზგასმა ტექსტში, როგორც ჩანს, არათანადროულია. ერქვანი – დაკავშირებულია ტექსტის იმ ნაწილთან, სადაც საუბარია ხის ერთი, მთლიანი ნაჭრისგან გამოთლილ გუთანზე.

#### **მინანერი 53**

**409. 14 „ქლია[ვი]“** – 389-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრით ხაზგასმულ სიტყვას. ქლიავის აღმნიშვნელ სლავურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინანერი 54**

**409. 16 „[ჩ]ენშიაც“** – გვ. 394-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინანერი დაკავშირებულია ტექსტის იმ მონაკვეთთან, სადაც საუბარია იმაზე, რომ ძველ ინდო-გერმანულ ტრადიციაში ფრინველი მსხვერპლად არ იწირებოდა და ეს ახსნილია იმით, რომ მათ არ ჰყავდათ შინაური ფრინველები.

#### **მინანერი 55**

**409. 18 „დო“** – 397-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სი-

ტყვას. აზიურ ქვეყნებში საქონლის „წველის“ აღმნიშვნელი სიტყვის ძირთან აკავშირებს სიტყვას „დო“.

**მინაწერი 56**

**409. 20 „მადა, ს[...]“** – 399-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. თრობის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „მადასთან“.

**მინაწერი 57**

**409. 22 „სმა“** – 399-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. თაფლისგან დამზადებული სასმელის აღმნიშვნელ არიულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „სმასთან“.

**მინაწერი 58**

**409. 24 „სახლს“** – 419-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა „სახლს“ აკავშირებს ოჯახის აღმნიშვნელ ინდოგერმანულ და რომაულ სიტყვებთან.

**მინაწერი 59**

**409. 26 „[...]სე-ხე [...]რი“** – 420-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინაწერი შესრულებულია ტექსტის იმ ეპიზოდის გასწვრივ, სადაც საუბარია, რომ მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიმოფანტული მოსახლეობა თავს მოიყრიდა ერთად და შექმნიდა მეტ-ნაკლებად დიდ დასახლებას. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია ოდისევსის მონის ევმეოსის მაგალითი, რომელიც განმარტოებულ ქოხში ცხოვრობდა. მინაწერის მარცხენა კიდე ჩამოჭრილია და სრულად არ იკითხება.

**მინაწერი 60**

**409. 28 „ქალა[მანი]“** – 421-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით მინაწერი შესრულებულია ცისფრითვე ხაზგასმული ფრაგმენტის გასწვრივ. „ოდისეას“ მე-14 სიმღერიდან მოხმობილ ციტატაში ხაზგასმულია სიტყვები, სადაც საუბარია, როგორ იკერავს ხარის ტყავისგან ფეხსაცემელს ოდისევსის მონა ევმეოსი. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს აკავშირებს ქალამნის კერვის ქართულ ტრადიციასთან.

**მინაწერი 61**

**409. 30 „ტარი“** – 423-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგას-



მულ სიტყვას. თითისტარის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ტართან“ (თითისტარი).

#### **მინაწერი 62**

**409. 32 „[ქს]ოვა“** – 424-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ქსოვის აღმნიშვნელ ფინურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 63**

**409. 35 „ჩოხა, თეჟა“** – 427-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით მინაწერი შესრულებულია მოყვანილი ციტატის გასწვრივ. სიტყვები მიწერილია ტექსტის იმ ადგილის გასწვრივ, სადაც საუბარია ძველ რომაელთა სამოსზე – ტოგასა და ტუნიკზე.

#### **მინაწერი 64**

**409. 37 „[ფია]ლა“** – 428-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ფინჯნის აღმნიშვნელ სანსკრიტულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან. სიტყვის დასაწყისი ჩამოჭრილია და არ იკითხება, მაგრამ, სავარაუდოდ, უნდა იყოს „ფიალა“.

#### **მინაწერი 65**

**410. 2 „[ტ]აშტი“** – 428-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას ფინჯნის აღმნიშვნელ ზენდურ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 66**

**410. 2 „[ო]თახი“** – 428-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სახლის აღმნიშვნელ ძველ ჩრდილო ევროპულ სიტყვას აკავშირებს ქართულ „ოთახთან“.

#### **მინაწერი 67**

**410. 6 „უღე-[ლი]“** – 431-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ღერძის აღმნიშვნელ ლათინურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „უღელთან“.

#### **მინაწერი 68**

**410. 8 „კარი“** – 432-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ურმის ჩარდახის აღმნიშვნელ ძველ ირლანდიურ სიტყვას აკავშირებს ქართულ „კართან“.

#### **მინაწერი 69**

**410. 10 „ოც[ი]“** – 433-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინაწერი შესრულებულია იქ, სადაც საუბარია ინდოგერმანული ტომების თვლის ათობით სისტემაზე. სავარაუდოდ, გულისხმობს ქართულ ოცობით სისტემას.

#### **მინაწერი 70**

**410. 12 „მთე-[ლი]“** – 435-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. „გამთელების“ აღმნიშვნელ ლათინურ ძირს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 71**

**410. 14 „ზღვე-[ვა]“** – 437-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მკვლელობის, გამოსყიდვის აღმნიშვნელ სანსკრიტულ და მედიურ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 72**

**410. 16 „[ხე]ლი“** – 444-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ხელის აღმნიშვნელ თურქულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 73**

**410. 18 „[ი]-არე“** – 446-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიარულის აღმნიშვნელ ინდოგერმანული სიტყვების ძირს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 74**

**410. 20 „[ან]-იავე“** – 446-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. დაბერვასთან, დანიავებასთან დაკავშირებულ ინდოგერმანულ ძირს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 75**

**410. 22 „რ-წერა“** – 446-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. წერის აღმნიშვნელი სემიტური სიტყვების მთავარ თანხმოვანს აკავშირებს ქართულ „რ“-სთან

#### **მინაწერი 76**

**410. 24 „ლ-კვლა“** – 446-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგას-

მულ სიტყვას. მკვლევლობის აღმნიშვნელი სემიოტური სიტყვების მთავარ თანხმოვანს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 77**

**410. 26 „ჩქარ-ჩქარ“** – 448-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სწრაფად, გვერდის ავლით მოქმედების აღმნიშვნელ ებრაულ სიტყვებს აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 78**

**410. 28 „კაც[ი]“** – 449-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. იაკუტური ფრაზის („აღამიანი კეთილი“) პირველ სიტყვას აკავშირებს ქართულ „კაცთან“.

#### **მინაწერი 79**

**410. 30 „ცა“** – 459-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. ცის აღმნიშვნელი გერმანულ სიტყვას აკავშირებს ქართულთან.

#### **მინაწერი 80**

**410. 32 „ა-თე[ნა]“** – 461-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ათინას თაყვანისცემა შესაძლოა უკავშირდებოდეს განთიადის (გათენება) თაყვანისცემას. სიტყვის ბოლო ნაწილი ჩამოჭრილია და არ იკითხება.

#### **მინაწერი 81**

**410. 34 „დედა-მინა“** – 463-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია, რომ ინდოგერმანულ ენებში მინა უკავშირდებოდა დედას და ცა – მამას.

#### **მინაწერი 82**

**410. 36** მინაწერი გაკეთებულია უკანა ყდის შიდა მხარეზე წითელი და ლურჯი ფანქრით და შავი მელნით. მინაწერთან მინიშნებულ გვერდთაგან ერთზე საუბარია კვერის და პურის აღმნიშვნელ ინდურ სიტყვაზე, სხვაგან კი ქერის აღმნიშვნელ გერმანული სიტყვაზე.

**<მინანარიები ნიბნზა „Уставъ акціонерныхъ земельныхъ банковъ съ разъясненіемъ вопросовъ, возникшихъ на практикѣ при его примѣненіи“> (ზვ. 411)**

**წყარო:** L, TS 2830.

**შენიშვნა:** ნიგნი გამოიცა 1886 წელს პეტერბურგში.

მინანერი გაკეთებულია ტექსტის ბოლო გვერდზე შავი კალმით და შავი ფანქრით, მაგრამ მითითებულ გვერდებზე არ გვხვდება ილია ქავჭავაძისეული მონიშვნები.

**<მინანარიები ნიბნზა „Исторія французской литературы. средніе вѣка – переходное время“> (ზვ. 411)**

**წყარო:** L, TS 2743.

**შენიშვნა:** ნიგნის შემდგენელია ჟაკ კლოდ დემოგეოტი და იგი გამოიცა 1887 წელს პეტერბურგში.

**მინანარი 1**

მინანერი გაკეთებულია ბოლო გვერდის ზედა მარცხენა აშიაზე ცისფერი და წითელი ფანქრით.

**411. 10 „15“** – ამ გვერდზე პირველად წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „единственный сохранившійся“ და წითელი ფერისვე ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ შვეიცარიის ერთ-ერთ რეგიონში – გრუბიუნდენში შემორჩენილი იყო ენა, რომელიც გამოიყენებოდა რომის იმპერიის პროვინცია რეციაში. მეორეგან კი ცისფერი ფანქრით ხაზგასმული სიტყვა „хуря“, ცისფერივე ფერის ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში კი საუბარია იმის შესახებ, რომ ლათინური ენის დიალექტი „ხურა“, გერმანიზაციის ძლიერი ტენდენციის მიუხედავად, შეინარჩუნა ერთმა ტომმა ალემანების და ბავარიელების მიერ დაპყრობამდე.

**411. 10 „17“** – ამ გვერდზე პირველად წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „имѣющее исходнымъ“ და წითელი ფერისვე ფანქრით ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ტერმინის – „Романія“ ქვეშ გაერთიანებული იყო ხალხები, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებდა არა სისხლით ნათესაობა, არამედ – კულტურა. აქვე ნათქვამია, რომ ხალხთა ასეთი ერთობა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე რასობრივი ერთობა, რომელიც დამყარებულია ფიზიოლოგიურ საფუძველზე. მეორეგან წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „тоническое удареніе“ და წითელი ფერისვე ფანქრით ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი,

რომელშიც საუბარია ტონურ მახვილზე, რომელიც აქვს თითოეულ ლათინურ სიტყვას.

**411. 10 „20“** – ამ გვერდზე წითელი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ლიტერატურის განვითარება აუცილებლად გულისხმობს საზოგადოებას, მცხოვრებს ჩამოყალიბებული, მრავალმხრივი, სწორი ცხოვრების წესით. აქვე განხილულია, თუ რა გავლენა იქონია ფრანგულ ლიტერატურაზე სხვადასხვა ისტორიულმა ეტაპმა, მათ შორის, ფეოდალური წყობის ჩამოყალიბებამ.

**<მინაწერი 1 ნიშნა „Введение въ курсъ исторіи древняго Востока“> (გვ. 411)**

**წყარო:** L, TS 2961.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ნიკოლოზ კარეევი და იგი გამოიცა 1887 წელს პეტერბურგში.

**მინაწერი 1**

მინაწერი გაკეთებულია თავფურცელზე.

**411. 15 „41“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია მონაკვეთი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ არიელები თავიანთი თავდაპირველი ტერიტორიიდან, პამირიდან გავრცელდნენ ვრცელ აზიურ ტერიტორიაზე – ინდოსტანიდან ირანი-სა და არმენიის გავლით მცირე აზიამდე. ამ მონაკვეთში ხაზგასმულია სიტყვა „Арменію“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია აგრეთვე სიტყვა „туранцами“. საუბარია იმის შესახებ, რომ ავტორი ისტორიაში მთავარ რასებად მიიჩნევს სემიტებს და არიელებს, რადგან ქამიტების, თურანელებისა და კუშიტების მიერ შექმნილი ცივილიზაციები იქამდე დაეცა, სანამ სემიტებისა და არიელების ცივილიზაციების მსგავსად გავრცელდებოდა.

**411. 15 „6... 47“** – ამ გვერდებზე ცისფერი და ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „туранскаго“ (2-ჯერ) და „туранцы“ და საუბარია იმაზე, რომ აზიის ცალკეული ქვეყნები თურანული წარმომავლობისაა.

**411. 16 „38 Берозъ“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია „жрецъ Берозъ“. საუბარია ბიბლიაში მოთხრობილ ისტორიაზე ენების აღრევის შესახებ და ნათქვამია, რომ ქალდეველი ქურუმის – ბეროზის მინიშნებით, თავდაპირველად ბაბილონში სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა და მათ შორის პირველი ფენა იყო თურანული.

**411. 17 „49 Семиты=Арменія“** – წიგნის ამ გვერდზე, სადაც ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები: „ныла Арменія“, საუბარია იმის შესახებ, რომ სემიტების პირველი დადასტურებული საცხოვრებელი ადგილი, მათი თავდაპირველი სამშობლოდან წამოსვლის შემდეგ, იყო არმენია, არარატის მთის მისადგომები, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებს შორის, საიდანაც ისინი გავრცელდნენ სამხრეთისაკენ მესოპოტამიაში და იქიდან – სირიაში.

#### **მინაწერი 2**

**411. 19 „არი“** – მე-40 გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია წიგნის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ მიდიელები და სპარსელები ირანში შეჭრამდე, არიელთა მესამე აზიურ შტოსთან ერთად, რომლებიც მოგვიანებით დასახლდნენ ინდისა და განგის სანაპიროებზე, წარმოადგენდნენ ერთ ხალხს, რომელიც ცხოვრობდა მდინარე ოქსის (ამუდარია) სათავეებთან და თავის თავს უწოდებდა „არიას“, ანუ კეთილშობილს. ეს გვერდი (40) მითითებულია პირველ ჩანაწერშიც.

#### **<მინაწერები ნიბნზე „Народоведение“> (გვ. 411)**

**წყარო:** L, TS 2983.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ოსკარ პაშელი და იგი გამოიცა 1890 წელს პეტერბურგში.

#### **მინაწერი 1**

მინაწერი გაკეთებულია შმუცტიტულზე. პირველი სტრიქონის ნაწილი (15, 24, 43, 121), მეხუთე სტრიქონი სრულად და მეექვსე სტრიქონის ნაწილი (361 (ყორული) შესრულებული წითელი, მინაწერის დანარჩენი ტექსტი კი – ცისფერი ფანქრით.

**411. 23 „15“** – ამ გვერდზე არ გვხვდება ილია ჭავჭავაძისეული მონიშვნები.

**411. 23 „24“** – ამ გვერდზე წითელი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია დაიაკების ქვით ჩაქოლვის ტრადიციაზე. ხაზგასმულია სიტყვები „Иверійцахъ“. საუბარია კორსიკასა და ესპანეთის იბერიაში არსებულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვითაც მელოგინე ქალის ქმარი წვებოდა სანოლში და განასახიერებდა ბავშვის გაჩენის სცენას.

**411. 23 „43“** – ამ გვერდზე წითელი ფერის ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „11646 лѣтъ до нашей эры“. ამ მონაკვეთში საუბარია იმის შესახებ, რომ ნილოსის ნაპირებზე თიხის ჭურჭელს წვავდნენ ჯერ კიდევ 11646 წელს ჩვენს ერამდე.

**411. 23 „121“** – ამ გვერდზე წითელი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ კავშირშია ერთმანეთთან სხვადასხვა ენათა მაღალგანვითარებულობა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურის დონესთან.

**411. 23 „146“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „одежды скарлатинозных“ და ცისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პორტუგალიელები ბრაზილიელების მიწაზე ტოვებდნენ ქუნთრუშითა და ყვავილით დაავადებული ადამიანების ტანსაცმელს ამ ეპიდემიების გასაავრცელებლად.

**411. 24 „252, 252 (და[ბლა]“** – ამ გვერდზე, რომელზეც ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Фетишом“, საუბარია სხვადასხვა ხალხის ფეტიშებზე. სქოლიოში კი მოცემულია სიტყვა „ფეტიშის“ განმარტება, რომ ის პორტუგალიური ძირიდან მომდინარეობს და აღნიშნავს ხელით დამზადებულს, ხელოვნურს. მას მე-15 საუკუნის მეზღვაურები იყენებდნენ დასავლეთ აფრიკელი ტომების თაყვანისცემის საგნების აღსანიშნავად.

**411. 25 „263 (Зевса=ზეცა)“** – ამ გვერდზე, რომელზეც წითელი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „женшинъ земля“ და „древнiе персы“, ცისფერი ფანქრით კი – „Зевсомъ“. აქ საუბარია იმაზე, რომ ლათინურში ცის და ღმერთის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენებოდა და ზეციურ დასს ზევსს უწოდებდნენ.

**411. 26 „269 (ქადაგი)“** – ამ გვერდზე საუბარია შამანებსა და მათ ხრიკებზე. მონაკვეთი მონიშნულია ცისფერი ფანქრით გავლებული ვერტიკალური ხაზით და მიწერილია ასო ქ.

**411. 27 „273 (дуали)“** – ამ გვერდზე, რომელზეც ლურჯი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები – „современной дуали“, მოხმობილია იაკობ გრიმის აზრი იმის თაობაზე, რომ დუელიც არის ღვთის სამსჯავროს ერთგვარი სახე, რომელიც სჯის დამნაშავეს.

**411. 28 „359 (არახჩინით თავის შეკვრა)“** – ამ გვერდზე წითელი ფერის ვერტიკალური ხაზით მონიშნულია აბზაცის ის ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ სამოსის კუნძულების მცხოვრებლებს თავის ბრტყელი მოყვანილობა თავიანთ პრიორიტეტულ მახასიათებლად მიაჩნდათ და იმისათვის, რომ მათ შვილებსაც გამორჩეულად ბრტყელი თავი ჰქონოდათ, თავზე ნაჭერს ახვევდნენ და ლავის ნატეხებს შორის მოუქცევდნენ ხოლმე. არახჩინი კი აზერბაიჯანელთა მჭიდრო ეროვნული თავსაბურავია.

**411. 29 „361 (ყორული)“** – ამ გვერდის იმ მონაკვეთში, რომელიც წითელი ფერის ვერტიკალური ხაზითაა მონიშნული, საუბარია ტაბუსა და იმის შესახებ, თუ როგორ მონიშნავდნენ ხოლმე ტერიტორიას, რომელზეც საქონლის შესვლა არ შეიძლებოდა. „ყორული“ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ნიშნავდა სათიბ ან ნათეს მიწებს, სადაც საქონლის შესვლა არ შეიძლებოდა.

**411. 29 „370 (უღვთობა)“** – ამ გვერდის იმ მონაკვეთში, რომელიც ცისფერი ვერტიკალური ხაზითაა მონიშნული, საუბარია სხვადასხვა ხალხის მიერ ერთმანეთის მიუღებლობაზე, რომლისკენაც მათ არც ერთი რელიგია არ მოუწოდებს. მოხმობილია შემთხვევაც, ჩინეთში მყოფ ბრიტანელ მოგზაურებს ადგილობრივები როგორ აყენებდნენ შეურაცხყოფას ნივთების სროლით, ლანძღვით და დაცინვით. ნათქვამია, ასევე, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ერთ-ერთმა მოგზაურმა გამართულ ჩინურ ენაზე მათ შეახსენა კონფუციის სიტყვები, რომ სხვას არ უნდა გაუკეთო ის, რასაც თავად არ ისურვებდი. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე სხვათა შეუწყნარებლობას უღვთობასთან აკავშირებს.

**411. 29 „394 (ყრი-ვენგია)“** – ამ გვერდის იმ მონაკვეთში, რომელიც ცისფერი ვერტიკალური ხაზითაა მონიშნული და ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულია სიტყვა „УГРОВЪ“, საუბარია ხალხთა ერთ-ერთ ფინურ ჯგუფზე, რომლის შემადგენლობაში შედიან უგრები. ილია ჭავჭავაძე ამ ძირს აკავშირებს უნგრელებთან.

**411. 30 „521 (ივერია-ევერა)“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Евѣре“, ნაცრისფერი ფანქრით კი – „Альбакъ“. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ებრაელები თავიანთ წინაპრად მიიჩნევენ ართაკშადის შვილიშვილ ევერეს. ართაკშადს, ანუ არაპაპიდიისს, პტოლომეოსი უწოდებდა არარატის მიმდებარე ტერიტორიას, რომელსაც შემდეგ ალბაკი ეწოდა. შესაძლოა, ილია ჭავჭავაძე ამ ევერეს ივერიასთან აკავშირებდეს.

## **მინანერი 2**

მინანერი გაკეთებულია ბოლო გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**411. 32 „523“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „калдійцами“. გვერდის ამ მონაკვეთში საუბარია იმის შესახებ, რომ ასირიული წარწერების მიხედვით, ბაბილონში მცხოვრებლებს ქალდეველები ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, სულ ცოტა, 900 წლით ადრე ეწოდებოდათ.

**411. 32 „527 ღრმეთი, ღმერთი“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Эль – сильный“ და ნაცრისფერი ვერტი-



კალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ სემიტები თავიანთ ღმერთებს არქმევდნენ სახელებს აბსტრაქტული თვისებების მიხედვით. სავარაუდოდ, ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტმა სიტყვა „ღმერთის“ ეტიმოლოგიაზე დააფიქრა.

**411. 32 „543“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „*фрингійскимъ языкомъ*“ და „*бага*“ და ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ სომხური ენა უკავშირდება დიდი ხნის წინ გამქრალ ფრიგიულ ენას და რომ ღმერთის აღმნიშვნელ ფრიგიულ სიტყვას უკავშირდება ძველსპარსული *bagā* და ძველსლავური *Богъ*.

### **<მინანური ნიშნა „Антропология“> (გვ. 412)**

**წყარო:** L, TS 2641.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ედუარდ პეტრი და იგი გამოიცა 1890 წელს პეტერბურგში.

მინანური გაკეთებულია ბოლო გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**412. 3 „საქოლავი-129“** – სიტყვასთან მითითებულია ნიგნის გვერდი, რომელზეც ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში საუბარია ბორნეოს კუნძულზე დაიაკების ტრადიციის შესახებ, რომლის თანახმადაც, ისინი ტყუილსა ან სიტყვის გატეხაში მხილებულ ადამიანებს ქოლავდნენ, რასაც ადასტურებს ქვის გროვეზი მათი ჩაქოლვის ადგილებზე.

**412. 4 „შვილების კვლა ევროპაში“** – ფრაზასთან მიწერილია ნიგნის ის გვერდები, რომლებზეც ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტებში საუბარია სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ ფაქტებზე, რომლებიც უკავშირდება ჩვილი ბავშვების კვლას ან ბედის ანაბარად მიტოვებას. საუბარია ასევე გერმანელებისა და და სლავების მიერ მშობლების მიტოვების ისტორიულად დადასტურებულ ტრადიციებზე.

**412. 5 „კაცისმჭამლობა – 133“** – სიტყვასთან მითითებულია ნიგნის გვერდი, რომელზეც ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში საუბარია კანიბალიზმზე წინარეისტორიულ ევროპაში, შედარებულია იგი გვიანდელი პერიოდის სისასტიკეებთან და ნათქვამია, რომ კულტურული საზოგადოებისთვის ეს უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ველურებისთვის, რომლებიც ვერ აცნობიერებენ თავიანთ საქციელს.

**412. 6 „Кулишеръ – 314“** – გვერდის ბოლოს, სქოლიოს ნაწილში, ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ის მონაკვეთი, რო-

მელშიც ნახსენებია მიხეილ კულიშერის წიგნი „Очерки сравнительной этнографии и культуры. стр. 9“.

**412. 7 „სისხლის სმა – 316“** – ფრაზასთან მითითებულია წიგნის გვერდი, რომელზეც ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში საუბარია მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მოღწეულ ყირგიზულ ტრადიციაზე, რომლის თანახმადაც, შურისძიება გულისხმობდა მკვლელის დასჯას იმავე ხერხით, რომლითაც მან ჩაიდინა დანაშაული და მისი სისხლის დაღვევას.

**412. 8-10 „თავისა და ხელის მოჭრა მტრისა ერთი და იმავე აზრის არ არის? – 320“** – ფრაზასთან მიწერილია წიგნის ის გვერდი, რომელზეც ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ ფრაგმენტში საუბარია მაღაიელთა ტრადიციაში ადამიანის მოკვეთილი თავის ქალის რიტუალურ დანიშნულებაზე. მას პატივისცემის ნიშნად მიართმევდნენ ხოლმე ახალ ხელისუფალს, ამით ულოცავდნენ დღესასწაულებს, ატანდნენ საფლავეში და სხვა. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს აკავშირებს მტრის მკლავის მოჭრის ტრადიციასთან, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოს მთაში.

**<მინაწერები ნიშნა „Разговоры Гете собранные Эккерманомъ“>**  
**(გვ. 412)**

**წყარო:** L, TS 2621

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია იოჰან ეკერმანი და იგი გამოიცა 1891 წელს პეტერბურგში.

**მინაწერი 1**

**412. 14 „Руста[вели]“** – 273-ე გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც გოეთესთან დაკავშირებით საუბარია იმის შესახებ, რომ მხოლოდ პოეტურ გიგანტს აქვს უნარი, სათანადოდ ფლობდეს სიუჟეტს, თავს იკავებდეს გადახრებისგან და კონცენტრირებული იყოს მხოლოდ აუცილებელზე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ ეს თვისებები დაინახა რუსთაველშიც და მინაწერიც ამან განაპირობა.

**მინაწერი 2**

მინაწერი გაკეთებულია ბოლო გვერდზე. იმის გამო, რომ წიგნის მარცხენა აშია ჩამოჭრილია, ძირითად შემთხვევებში მწერლისთვის საინტერესო ფრაზებზე მიმანიშნებელი გვერდების ნომრები დაკარგულია. სრულად ჩანს მხოლოდ ორი გვერდი, მათგან ერთზე (273) გვხვდება მინაწერი 1, ხოლო 284-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „что у Любых“ და ვერტიკალური ხაზით მო-

ნიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია ერთი საღამოს ჩანერილ დღიურზე, როდესაც 10 წლის შვილიშვილი – ვოლფი გოეთეს ეთამაშებოდა, მხრებზე აძვრებოდა და საკმაოდ აწუხებდა. იქვე სტუმრად მყოფი გრაფინიას თხოვნაზე, ნუ აწუხებდა დალლილ ბაბუას, ბავშვმა უპასუხა, რომ ის მალე წავიდოდა დასაძინებლად და ბაბუას დრო ექნებოდა დასასვენებლად. ამაზე გოეთემ შენიშნა, რომ სიყვარულს, ყველაფერთან ერთად, რამდენადმე კადნიერი ბუნება აქვს.

### **<მინაწერიები ნიბნზე „თხზულებანი“> (გვ. 412)**

**წყარო:** L, FS 5188.

**შენიშვნა:** ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის 1892 წლის გამოცემა. თბილისი. ტომი პირველი.

**412. 33 „ოლოკოს...“** – მეუღლის – ოლლა გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ეს მინაწერი შესრულებულია შავი მელნით ცალკე ფურცელზე. ამჟამად კი ამოჭრილია ბარათიდან და დაწებებულია ნიგნზე.

### **<მინაწერიები ნიბნზე „Промышленная история Англии“> (გვ. 413)**

**წყარო:** L, TS 2643

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ჰენრი გიბინსი და იგი გამოიცა 1895 წელს პეტერბურგში.

#### **მინაწერი 1**

**413. 4-5 „(См. 64 страницу) Насильственное обращение населения въ проле[...]“** – სიტყვები ცისფერი ფანქრით მიწერილია 63-ე გვერდზე, რომელზეც საუბარია ჰენრი VIII–ს მიერ გატარებულ მინათმონყობის პოლიტიკაზე, რომელიც ითვალისწინებდა მიწის წვრილი მოიჯარეების გასახლებას და ვრცელი ტერიტორიების საძოვრებად ქცევას. მითითებულ და მომდევნო გვერდებზე კი საუბარია იმ აჯანყებებზე, რომლებიც ამ პოლიტიკამ გამოიწვია.

#### **მინაწერი 2**

**413. 8-9 „Бесплодность установления вывозной премии“** – 144-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია 1688 წელს ინგლისის ხელი-სუფლებების მიერ დაწესებულ პრემიაზე, რომელიც გაიცემოდა ხორბლის ექსპორტირებისთვის.

#### **მინაწერი 3**

**413. 12 „Америка – страна землѣдѣлія“** – 150-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ამერიკის მინათმოქმედებაზე.

**<მინაწერიები ნიგნჯა „Записка о малой Азии“> (გვ. 413)**

**წყარო:** L, TS 2634.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია დ. ვ. პუტიატა და იგი გამოიცა 1896 წელს პეტერბურგში.

**მინაწერი 1**

**413. 17 „ბადალი“** – 62-ე გვერდზე სიტყვა ნაცრისფერი ფანქრით მინერილია რუსეთის იმპერიაში 1917 წლამდე არსებული გადასახადის ნედჟ-ის შესატყვისად. ამ გადასახადს იხდიდნენ სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, ფეოდალურ საქართველოში კი ბადალი ერქვა სხვის ნაცვლად სამხედრო სამსახურის მომხდელ პირს.

**მინაწერი 2**

**413. 19 „хеты“** – 63-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული სიტყვა, სავარაუდოდ, გამოყენებულია ნიგნში ხალიბებთან ერთად ნახსენები ხალხის – გიტიტების შესატყვისად, რომელთა შესახებაც აქვე ნათქვამია, რომ ეს იდუმალი ტომი, შესაძლოა, რომელიმე ქურთული ტომის წინაპარი ყოფილიყო.

**<მინაწერიები ნიგნჯა „Психические факторы цивилизації“> (გვ. 413)**

**წყარო:** L, TS 2647.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ლესტერ უორდი. იგი გამოიცა 1897 წელს მოსკოვში.

**მინაწერი 1**

მინაწერი გაკეთებულია სატიტულო გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით.

**413. 23 „133“** – ამ გვერდზე ცისფერი ხაზებია ჩამოსმული იმ ორი აბზაცის გვერდით, რომლებშიც შედარებულია ბუნებრივი სტიქიები და ადამიანური ვნებები. სტიქია შეიძლება იყოს დამანგრეველი, მაგალითად, როდესაც გემს ახეთქებს კლდოვან ნაპირებს, მაგრამ შეიძლება იყოს სასარგებლოც, როცა აფრებს ბერავს და გემი წინ მიჰყავს. მეცნიერული მიდგომებით ზუსტად ასევე შეიძლება ვნებების დამანგრეველი ძალის გაუვნებელყოფაც.

**413. 23 „135“** – ამ გვერდზე ცისფერი ხაზია ჩამოსმული იმ აბზაცის გვერდით, რომელშიც გადმოცემულია ჯონ კლარკის აზრები ნიგნიდან „სიმდიდრის ფილოსოფია“. მითითებულ მონაკვეთში ნათქვამია, რომ შრომა კი არ უზიჯებს სამყაროს წინსვლისკენ, არამედ სიმდიდრე, რომელიც სირენასავით იწვევს მას წინ. ადამიანი ყოველთვის შრომობს სიმდიდრის მოპოვების მიზნით, მაგრამ შრომა ყოველთვის

არ ხდება სიმდიდრის საფუძველი. ბუნება, რომელსაც ადამიანი იქვე-მდებარებს და ისაკუთრებს, შეადგენს სიმდიდრეს. ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების საშუალება კი არის შრომა.

**413. 23 „145“** – ამ გვერდზე ცისფერი ხაზია ჩამოსმული იმ აბზაცის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ თითოეულ საგანს აქვს არაერთი თვისება და როდესაც მათგან მხოლოდ ზოგიერთს აღვიქვამთ, გონება თითოეულ აღქმულ კომპონენტს აკავშირებს წარმოდგენასთან მთლიანი საგნის შესახებ.

**413. 23 „241“** – ამ ამ გვერდზე ცისფერი ხაზია ჩამოსმული იმ აბზაცის გვერდით, რომელშიც მოხმობილია აზრები ლესტერ უორდის ნიგნიდან „დინამიური სოციოლოგია“ („Dynamic Sociology“) იმის შესახებ, რომ თუკი ადამიანის ფიზიკური მოთხოვნილებები, სოციალური და სქესობრივი ურთიერთობები დაკმაყოფილებულია, პრაქტიკული ხელოვნება, ინდუსტრიული ხასიათი და ცივი საქმიანი შტრისები, რომლებიც ახასიათებს ადამიანის ცხოვრებას, ქვეითდება და დამყოლი ხდება ხელოვნების, მუსიკისა და პოეზიის მარადიული მშვენიერების ძალით.

### **მინაწერი 2**

**413. 25-26 „ჩვენებური ხელით ჭამა“** – 25-ე გვერდზე სიტყვები ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ნიგნის ქვეთავის „субъективная психология“ იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია შეხების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე.

### **მინაწერი 3**

**413. 28 „ჭკუით-მხედველობა“** – 248-ე გვერდზე სიტყვა ცისფერი ფანქრით მიწერილია ნიგნის ქვეთავის სათაურის ქართულ შესატყვისად. გვერდის ბოლოს ცისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია ის მონაკვეთი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ზებუნებრივი მოვლენების ახსნის მცდელობამ ადამიანი თეოლოგიის საფუძვლებამდე მიიყვანა. ამავე ფერის ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები: „начало теологии“.

## **<მინაწერები ნიგნზე „Основания социологии“> (გვ. 413)**

**წყარო:** L, TS 2554.

**შენიშვნა:** ნიგნის ავტორია ფრანკლინ ჰენრი გილინგსი. იგი გამოიცა 1898 წელს ხარკოვში.

### **მინაწერი**

მინაწერი გაკეთებულია ტექსტის ბოლოს სუფთა ფურცელზე ნაცრისფერი ფანქრით.

413. 32 „233“ – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია ფრაზა „социализма и индивидуализма“ და საუბარია იმის შესახებ, რომ სოციალისტები მართლები არიან, როდესაც ამბობენ, რომ სახელმწიფოს შეუძლია ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმის განხორციელება საზოგადოების ჩართულობით.

413. 32 „238“ – ამ გვერდზე ცისფერი ხაზია ჩამოსმული იმ აბზაცის გვერდით, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ ინვესტს ცოცხალი სამყაროს დაჯგუფებები ფლორისა და ფაუნის ცვლილებებს.

413. 32 „285“ – ამ გვერდზე პირველი ცისფერი ხაზი ჩამოსმულია იმ აბზაცის გვერდით, რომელშიც საუბარია ანთროპოგენურ ასოციაციაზე, რომელიც ადამიანს ეხმარება ქცევების ჩამოყალიბებაში. ამავე გვერდზე ასევე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია ფრაზა „умственного интереса“. ამ მონაკვეთში საუბარია იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილებასა და მის გარე მიზეზებს შორის კავშირი გახდა გონებრივი ინტერესის საგანი. მესამე ცისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია მონაკვეთი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ სარგებლობისა და ღირებულების თავდაპირველი იდეები თანდათანობით გაიზიარა საზოგადოებამ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა ისინი სიმდიდრის ცნებას, რადგანაც სასურველ ნივთს რომ სიმდიდრეს ვუნოდებთ, ეს შეფასებული უნდა იყოს მთელი საზოგადოების და არა ინდივიდის მიერ.

413. 32 „287“ – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით პირველად ხაზგასმულია სიტყვები „которые образовали“. აბზაცში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა პირველყოფილ საზოგადოებაში ეკონომიკური იდეებიდან სასარგებლო და პროდუქტიული ხელოვნება. ამავე გვერდზე ცისფერივე ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „животным“ და კონტექსტში საუბარია იმის შესახებ, რომ ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანმა შეძლო, შეექმნა და დაეხვეწა შრომის იარაღები. ამავე გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულია აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ხელოვნება არის იდეებისა და შექმნილი უნარების ნაზავი, რომელიც არსებობს მხოლოდ გონებაში, კუნთებსა და ნერვებში.

413. 32 „303“ ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „животный разум“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულია აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ასოციაციებმა ძალიან დიდი როლი ითამაშა პირველყოფილი ადამიანის ცხოველური გონების და სხეულის ადამიანურად გარდაქმნაში. ამავე გვერდზე

ცისფერი ფანქრითვე გახაზულია სიტყვები „как умственная“ და საუბარია იმის შესახებ, რომ ადამიანის ფსიქოლოგიური ევოლუციისა და ფიზიკური განვითარების დასრულების შემდეგ, სხვა ცოცხალ არსებებზე უპირატესობების შესანარჩუნებლად, მას ეხმარებოდა როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური ევოლუცია.

**413. 32 „361“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია „Контъ основываль“, ამავე ფერის ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ კონტმა ისტორიის კანონი დააფუძნა წმინდად გონებრივ პროგრესზე. მართალია, ტექსტში ნახსენებია კონტი, მაგრამ 1795 წელს გამოცემულ ნიგნზე „ადამიანის გონებრივი განვითარების ისტორიული სურათი“ ავტორად მითითებულია ფრანგი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ეკონომისტი ჟან ანტუან (ნიკოლას) კონდორსე. როგორც ჩანს, ნიგნის ავტორს ერთმანეთში აერია გვარები: „Condorcet“ და „Comte“.

**413. 32 „363“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Индустриализм“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ინდუსტრიალიზმი არის თავისუფლების მიზეზი და არა მისი შედეგი.

**413. 32 „364“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „возникает“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ სამი უმთავრესი საზოგადოებრივი ტრადიციიდან პირველად ჩნდება ეკონომიკური, შემდეგ იურიდიული და ბოლოს პოლიტიკური.

**413. 32 „367“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Наконец“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ევოლუციიდან გამომდინარეობს ეთიკური ევოლუცია და მეცნიერების განვითარება. ამ უკანასკნელთა ევოლუცია კი აძლევს საშუალებას ეკონომიკურს, წინ წავიდეს და ბოლომდე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

**413. 32 „376“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Теперь начинается“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დიფერენციაციის სანყისების შესახებ.

**413. 32 „412“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ განათლებული ადამიანების მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიული იდეები თანდათანობით გარდაქმნის საზოგადოებრივ აზრს და ქმნის სახალხო იდეალებს.

**413. 32 „422“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „материалистических целей“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში, რომელიც ორიენტირებულია მატერიალურ ღირებულებებსა და მიზნებზე და რომელშიც წარმატების საზომად მიიჩნევა ფულის მოხვეჭა, ყოველთვის იქნება მკვეთრი განსხვავება წარმატებულებსა და წარუმატებლებს შორის და ღარიბთა ჩაგვრა მდიდრების მიერ.

**413. 32 „426“** – ამ გვერდზე პირველად ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „материальный прогресс“. ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში კი საუბარია მატერიალურ პროგრესზე, ადამიანის ფსიქიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებასა და მათ ურთიერთმიმართებაზე. აქვე ხაზგასმულია სიტყვები „умственных и нравственных“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოების მატერიალური განვითარება ვერ მიიღწევა პროგრესის გონებრივი და ზნეობრივი ელემენტების გარეშე. ვერტიკალური ხაზით ასევე მონიშნულია აბზაცი, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს პროგრესი სუბიექტური და ობიექტური თვალსაზრისით.

**413. 33 „443“** – ამ გვერდზე პირველად ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „всякая общественная“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია საზოგადოებრივ რეფორმებზე, რომელთა მიზანია კლასთა აღრევა და რომლებიც იმთავითვე განწირულია. ასევე ხაზგასმულია სიტყვები „в начале“. ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში კი საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეობა ერთმანეთთან იმთავითვე არ იყო დაკავშირებული.

**413. 33 „472“** – ამ გვერდზე პირველად ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „материальный прогресс“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში, ერთი მხრივ, საუბარია ერების იდეალებისა და მისწრაფებების შესახებ, რომლებიც პატრიოტულ ენთუზიაზმს აღვიძებს და, მეორე მხრივ, ოჯახური ურთიერთობების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია ადამიანის ბუნების სრულყოფილი განვითარებისათვის.

**413. 33 „500“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Общество“ და „Результат“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოება არის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს, ნაწილობრივ, არაცნობიერი ევოლუციის და, ნაწილობრივ, ცნობიერი გეგმის პროდუქტს და რომ



ის არის რთული ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს ევოლუციის სხვადასხვა ფაზა.

**413. 34 „317“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „поэтому“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია პირველყოფილ საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობის შესახებ. ხაზგასმულია, რომ ისინი ყოველთვის არ იყვნენ დამონებულ მდგომარეობაში, ზოგიერთ შემთხვევაში მათ მამაკაცთა თანასწორი უფლებები ჰქონდათ.

**413. 34 „397“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Общество“ და „Рездление труда“, ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში კი მოხმობილია ადამ სმიტის ციტატა იმის შესახებ, რომ შრომის განაწილებას განაპირობებს ბაზარი, ხოლო სიმდიდრეს – შრომის განაწილება.

**413. 34 „401“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Спенсера, что“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია სპენსერის მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ ინდივიდუალურ განვითარებასთან ერთად იკლებს შობადობის დონე.

**413. 34 „403“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ამერიკაში, როგორც აბორიგენები, ისე ახალმოსახლეები საქმიანობათაგან უპირატესობას მინათმოქმედებას ანიჭებდნენ.

**413. 34 „405“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „земледѣліе“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ მინათმოქმედება, მეთევზეობა, სატყეო და სამთო საქმე, რკინიგზაზე მუშაობასთან შედარებით, ნაკლებ სახიფათოა სიცოცხლისთვის.

**413. 34 „407“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ მოზრდილ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ მინათმოქმედი საზოგადოება ჯანმრთელია, არა აქვს მომავლის შიში, რადგან არსებობისთვის საკმარის დოვლათს ფლობს და, სხვებთან შედარებით, სწრაფად, თითქმის გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება. მონიშნულ მონაკვეთში ასევე საუბარია იმის შესახებ, რომ ქალაქში მეტწილად მიდიან პატივმოყვარე ახალგაზრდები, რომლებიც საქმეებიან სხვადასხვა უწყებაში ან ენევიან ვაჭრობას.

**413. 34 „413“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „Геній“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ გენიოსები იშვიათად იბადებიან ქალაქებში

და რომ სამყაროს დიდი კონფესიები ჩამოყალიბდა უდაბნოებსა ან მაღალ მთებში.

**413. 34 „414“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია თვითმკვლევლობების შესახებ და ნათქვამია, რომ მათი რიცხვი ყველაზე მაღალია პარიზსა და საქსონიაში და რომ ევროპის ყველა ქვეყანაში, გარდა ნორვეგიისა, მისი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან.

**413. 34 „416“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ სანარმოო ცვლილებებით გამოწვეული წარუმატებლობები ხშირად ხდება ლოთობისა და სხვა არაერთი მავნე ჩვევის მიზეზი. მეორე მონიშნულ ადგილას კი საუბარია იმის შესახებ, რომ მკვლევლობათა რიცხვი მეტად იზრდება ახალ, რეგრესირებად ქალაქებში.

**413. 34 „418“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ღარიბები ცდილობენ, თავი დაიმშვიდონ სოციალისტური ოცნებებით ისეთ საზოგადოებრივ წყობაზე, რომელშიც მათ შეეძლება ყველაფრის ყიდვა, რაც არ არის მიჩნეული ბოროტების სათავედ. ისინი ერიდებიან მდიდრებთან ურთიერთობას, თავს ინუგეშებენ წარმოდგენით პროლეტარიატის დაუმარცხებელ ძალად გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ და მართვის ყველა ორგანოს საკუთარ ხელში მოქცევის სურვილით. ამავე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულია სიტყვები „УСЛОВІЯ МАСЬ“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ მოხალისეთა ფილანტროპია კანონმდებლობას მეტოქეობას უწევს სიღარიბისა და დანაშაულებათა შემცირებაში და მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

**413. 34 „421 (Этика)“** – ნიგნის ამ გვერდზე ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი მონყობის დისციპლინური ორგანოები უკიდურესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და საზოგადოების ყურადღება აუცილებლად უნდა იყოს მიმართული მათი გაუმჯობესებისკენ. ამავე გვერდზე ორი პარალელური ნაცრისფერი ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმაზე, რომ ყოველივე ზემოთ თქმული მიანიშნებს საზოგადოების მისწრაფებაზე, ჩამოყალიბდეს ეთიკური ტიპის საზოგადოებად.

**413. 35 „435“** – ამ გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „ШКОЛЫ, УНИВЕРСИТЕТЫ“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ სკოლები, უნივერსიტეტ-

ბი, ეკლესია, მსხვილი საგამომცემლო სახლები, წიგნის მაღაზიები და მუზეუმები იხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობა ერთ კვადრატულ მილზე ერთზე მეტია. ამ ინსტიტუციების რაოდენობის კლება მოსახლეობის კლების მიმანიშნებელია.

**413. 35 „43“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „на первый план“ და ცისფერი ფერისვე ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ პოლიტიკონომიის უახლეს მიდგომებში პირველ ადგილზე გადაინია მოთხოვნებისა და მიწოდების წმინდად სულიერმა ასპექტებმა. წიგნის ამ გვერდზე ასევე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „Очевидно, что“ და ცისფერი ფერისვე ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სამყაროს მამოძრავებელი ძალა არის სურვილი.

**413. 35 „44“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „движущими“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ცხოვრების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ყოფის მამოძრავებელი ძალა არის ადამიანთა არა უბრალოდ ინდივიდუალური სურვილი, არამედ ისეთი, რომლის დაკმაყოფილებაც მატერიალურ ფორმაში გამოიხატება.

**413. 35 „104“** – ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „в течение“ და ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ მიმდინარე საუკუნეში ორთქლის ძალა ხელს უწყობს მოსახლეობის მანუფაქტურულ წარმოებასა და ფაბრიკებში კონცენტრაციას. მეოცე საუკუნეში კი ელექტრონულმა ძრავებმა შეიძლება მათი დაქსაქსვა გამოიწვიოს. წიგნის ამავე გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვები „достигнутый“ და „неравной“. ვერტიკალური ხაზით მონიშნულ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, რომ ენერჯის ევოლუცია და წარმატების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს, ნაწილობრივ, მოსახლეობის მემკვიდრეობით გამოწვეული თვისებებით, მაგრამ ასევე დამოკიდებული იყოს გარემოზე, რასაც მოწმობს ერთი და იმავე რასის მიღწევები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მოხმობილია ევროპის, შეერთებული შტატებისა და ისლანდიის მაგალითები.

**<მინაწერები წიგნზე „Социальная наука в современной  
Германии“> (33. 414)**

**წყარო:** L, TS 2695.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია სელესტინ შარლ ბუგლვე და იგი გამოიცა 1899 წელს კიევსა და ხარკოვში.

### **მინაწერი 1**

**414. 5 „Teoria“** – 36-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ მექანიკის კანონები, ფსიქოლოგიურისგან განსხვავებით, საყოველთაო და მდგრადია.

### **მინაწერი 2**

**414. 7 „Teoria“** – 36-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგიური კანონები შეიძლება იყოს საყოველთაო მხოლოდ თეორიაში, რადგან პრაქტიკულად ისინი ყოველთვის არ ხორციელდება.

### **მინაწერი 3**

**414. 9 „Teoria“** – 42-ე გვერდზე ცისფერი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ცისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ ფრაგმენტს. სიტყვა მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია ჩვენი გონების უნარზე, გარდაქმნას რეალობა აბსტრაქციად იმისათვის, რომ შემდეგ აბსტრაქცია აქციოს რეალობად.

### **მინაწერი 4**

**414. 11 „Будьте как Богъ!“** – 79-ე გვერდზე ფრაზა ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ლათინური სენტენციის გასწვრივ. ამ მონაკვეთში საუბარია იმის შესახებ, რომ სოციალიზმი აკეთებს ნახტომს უკიდურესი მატერიალიზმიდან უკიდურესი იდეალიზმისკენ და ადამიანებს ცხოველებისგან მყისიერად ანგელოზებად აქცევს.

## **<მინაწერები ნიბნზე „Реформа политической экономии“> (მპ. 414)**

**წყარო:** L, TS 2699

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია გაბრიელ ტარდი და იგი გამოიცა 1899 წელს პეტერბურგში.

### **მინაწერი 1**

**414. 15 „[ქეტი“** – 56-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მიწერილია იმ გვერდზე, რომელზეც საუბარია პროდუქტების განაწილების საერთო შედეგსა და საზომზე. წიგნის მარცხენა აშია ჩამოჭრილია და მინაწერის მხოლოდ ბოლო მარცვალი იკითხება.

## **მინანარი 2**

**414. 17** „Какими методами жизнь сочи[...]“ – 75-ე გვერდზე სიტყვები ცისფერი ფანქრით მიწერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსები უნდა ადგენდნენ ჰიპოთეზებს, მეცნიერები განაზოგადებდნენ კონკრეტულ ფაქტებს, კომერსანტები კი მიდიოდნენ რისკზე.

### **<მინანარი პირველ კონვოლუტზე> (გვ. 414)**

**წყარო:** L, TS 2661

**შენიშვნა:** მინანარი შესრულებულია კონვოლუტზე, ოთხი დამოუკიდებელი გამოცემის ერთ ბლოკად შეკრულ და საერთო ყდაში ჩასმულ ეგზემპლარზე.

#### **მინანარი**

მინანარი გაკეთებულია ფორზაცის მე-2 გვერდზე. მასში მოხსენიებულია გუსტავ ლებონის, ედუარდ მეიერის, გუსტავ გროსის და ვერნერ ზომბარტის ერთად აკინძული ოთხი წიგნი.

**დათარიღება:** კონვოლუტში შემავალი წიგნებიდან ედუარდ მეიერისა გამოცემულია 1899 წელს. შესაბამისად, ვერც კრებული და ვერც მინანარი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

### **<მინანარი მეორე კონვოლუტზე> (გვ. 414)**

**წყარო:** L, TS 2734

**შენიშვნა:** მინანარი შესრულებულია კონვოლუტზე, ექვსი დამოუკიდებელი გამოცემის ერთ ბლოკად შეკრულ და საერთო ყდაში ჩასმულ ეგზემპლარზე.

#### **მინანარი**

მინანარი გაკეთებულია ფორზაცის მე-2 გვერდზე. მასში მოხსენიებულია გუსტავ შმოლერის, კარლ ბიუხერის (2), ედუარდ მეიერის, ანატოლი ფარესოვისა და შარლ ბუგლეს ერთად აკინძული ექვსი წიგნი.

**დათარიღება:** კონვოლუტში შემავალი წიგნებიდან ორი – ფარესოვისა და ბუგლესი გამოცემულია 1899 წელს. შესაბამისად, ვერც კრებული და ვერც მინანარი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

### **<მინანარები წიგნზე „Общественные идеалы Рёскина“> (გვ. 415)**

**წყარო:** L, TS 2620

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ჯონ გობსონი და იგი გამოიცა 1899 წელს სანქტ-პეტერბურგში.

### **მინაწერი 1**

**415. 3 „სიმდი[დრე]-სიდიდე[ე]“** – 57-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი არის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია სიტყვა „სიმდიდრის“ მნიშვნელობაზე და ინგლისურ ენაში ამ სიტყვის კავშირზე ადამიანის კეთილდღეობასთან.

### **მინაწერი 2**

**415. 5 „[...]“** – 62-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი არის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლია საგანს სინამდვილეში და არა ჩვენი აზრით. მინაწერი ძალიან ბუნდოვანია და არ იკითხება.

### **მინაწერი 3**

**415. 7 „[Т]орговля“** – 140-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით მინაწერი შესრულებულია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარი იმის შესახებ, როგორ უხდინან მწარმოებლები მუშებს მინიმალურ ანაზღაურებას გრძელ სამუშაო დღეში, ხოლო თავად საქონელს ყიდინან, რაც შეიძლება მაღალ ფასად.

### **<მინაწერი მისამე კონვოლუტზე> (გვ. 415)**

**წყარო:** L, TS 2699

**შენიშვნა:** მინაწერი შესრულებულია კონვოლუტზე, შვიდი დამოუკიდებელი გამოცემის ერთ ბლოკად შეკრულ და საერთო ყდაში ჩასმულ ეგზემპლარზე.

**დათარიღება:** კონვოლუტში შემავალი წიგნებიდან ორი – კაუცკისა და ბლონდელის გამოცემულია 1900 წელს. შესაბამისად, ვერც კრებული და ვერც მინაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

### **მინაწერი**

ფორზაცის მე-2 გვერდი. მინაწერში მოხსენიებულია კარლ კაუცკის, გაბრიელ ტარდის, ჟორჟ ბლონდელის, ფრიდრიხ იოდლის, მაქს მიულერის, ადოლფ გელდის და მიხეილ ენგელგარდტის ერთად აკინძული შვიდი წიგნი.

### **<მინაწერი წიგნზე „Границы Капиталистического хозяйства“> (გვ. 415)**

**წყარო:** L, TS 2699

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია კარლ კაუცკი და იგი გამოიცა 1900 წელს ხარკოვში.

### **მინაწერი**

**415. 20 „зное [Ка]утскому“** – 54-ე გვერდზე ლურჯი ფანქრით შესრულებული მინაწერი მიემართება ტექსტში ლურჯი ფანქრითვე

ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვები მინერილია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია მოსახლეობის ქალაქებში მიგრაციის მიზეზებზე. წიგნის მარცხენა აშია ჩამოჭრილია და მინანერის მხოლოდ ბოლო მარცვლები იკითხება.

**<მინანერები ნიბნჯი „Политическая экономія в ее новейших  
направленіях“> (გვ. 415)**

**წყარო:** L, TS 2751

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია გრიგოლ სიმონენკო და იგი გამოიცა 1900 წელს ვარშავაში.

**მინანერი 1**

მინანერი გაკეთებულია თავფურცელზე წითელი ფანქრით.

**415. 25 „194 კრედ“** – წიგნის ამ გვერდზე ცისფერი ფანქრით ხაზგასმულია სიტყვა „въ кредитное“ და ცისფერივე ვერტიკალური ფანქრით მონიშნულია ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ბოლო ხანს ფულადი მეურნეობა ისწრაფვის საკრედიტო სისტემაზე გადასვლისკენ. აქვე ავტორს მოჰყავს გერმანელი ისტორიკოსისა და სტატისტიკოსის ბრუნო ჰილდებრანდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკრედიტო სისტემა სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე და უმაღლესი საფეხურია.

**მინანერი 2**

**415. 27 სარჩევი, გვ. LII. „[...]ლიერება=право“** – ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. მინანერი გაკეთებულია სარჩევის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია სამართალთან დაკავშირებულ რუდოლოფ შტამლერისეულ განმარტებებზე.

**მინანერი 3**

**415. 29 „Вѣрно“** – X გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით შესრულებული მინანერი მიემართება ტექსტში ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ სიტყვას. სიტყვები მინერილია ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც ეხება ზოგიერთ ხალხში საქონლის გაცვლა-გამოცვლის ტრადიციის აღდგენას ფულის ნიშნების გამოყენების გარეშე.

**<მინანერები ნიბნჯი „Присоединение Грузии къ Россіи“> (გვ. 415)**

**წყარო:** L, TS 2581.

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია ზურაბ ავალიშვილი და იგი გამოიცა 1901 წელს პეტერბურგში.

### მინაწერი 1

**415. 30 „(Сефѣевъ)“** – 24-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია ტექსტშივე, აზვაციის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ ნაცრისფერი ფანქრით. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის მინაწერი განაპირობა იმან, რომ სხვა წყაროებში სეფევიდები სეფიებად მოიხსენიებიან, რადგან მათი სახელი მოდის ისმაილის წინაპარ სეფი ედ-დინისგან.

### მინაწერი 2

**416. 2-3 „რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულ-იღამ იღებს“** – 77-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია ნაცრისფერი ფანქრით გვერდის ზედა თავისუფალ აშიაზე, წინ უზის „+“ ნიშანი და ტექსტში ამავე ნიშნით არის მითითებული, წიგნის რომელ ეპიზოდს ეხება. ილია ჭავჭავაძე საყვედურობს წიგნის ავტორს იმის გამო, რომ ის პაპუნა ორბელიანის „ქრონიკებს“ (Chroniques de Papouna Orbeliani §261) ფრანგული გამოცემიდან უთითებს.

### მინაწერი 3

**416. 5 „Развѣ брата, а не Антонія?“** – 120-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია ტექსტის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე ნაცრისფერი ფანქრით. ილია ჭავჭავაძე აზუსტებს, რომ ერეკლე მეორემ იმპერატორის კარზე თავის ვაჟთან, ლევან ბატონიშვილთან ერთად გაგზავნა არა ანტონ კათალიკოსის ძმა, არამედ თავად ანტონი.

### მინაწერი 4

**416. 7 „Подлинное не имѣется“** – 175-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია ტექსტის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე ნაცრისფერი ფანქრით. წიგნში კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული, იყო თუ არა ერეკლე მეორის ანდერძი სარწმუნო. ილია ჭავჭავაძე ადასტურებს, რომ დედანი არ არსებობს.

### მინაწერი 5

**416. 10 „Браво!“** – 177-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია ტექსტის იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო რუსეთთან ტრაქტატის დადების შემდეგ. რუსეთი თვალ-ყურს ადევნებდა და აკონტროლებდა სამეფო ოჯახს, რომ რაიმე, მათთვის არასასურველი ნაბიჯი არ გადაედგათ, საქართველო კი ამას ვერ და არ ეწინააღმდეგებოდა.

### მინაწერი 6

**416. 12-13 „Не то, а был[и] куплены“** – 197-ე გვერდზე მინაწერი ნაცრისფერი ფანქრით შესრულებულია მარჯვენა აშიაზე, ტექსტის იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია რუსეთ-საქართველოს



ტრაქტატის პირობებსა და იმაზე, თუ რა გარანტიებს იტოვებდა პროექტით ქართული მხარე. ქვეყნის საკანონმდებლო ძალაუფლება და შემოსავალი სრულად გადადიოდა იმპერიის ხელში, რუსეთის ჯარი იკავებდა საქართველოს ტერიტორიას და მის ციხე-სიმაგრეებს, ქართული მხარე კი თავს მხოლოდ იმით იიმედებდა, რომ ეს ყველაფერი მან რუსეთს საკუთარი ნებით გადასცა და ეს ვერ შეიცვლებოდა ერთი მხარის გადანყვეტილებით, ახალი ორმხრივი ხელშეკრულების გარეშე. შესაძლოა, ილია ჭავჭავაძეს ეჭვი შეჰქონდეს ტრაქტატის შედგენაში მონაწილე ქართული მხარის მოუსყიდველობაში.

#### **მინაწერი 7**

**416.** 15-16 „Епископъ Іосіфъ Аргутинскій, тайный атентъ рус. правит. подозрѣвается въ отравленіи Георгія.“ – 201-ე გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით და სქოლიოს ნიშნით ტექსტი მიწერილია წიგნის ქვედა აშიაზე. სქოლიოს ნიშანი ასევე დასმულია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის გარდაცვალებაზე. ილია ჭავჭავაძე იხსენებს იმ ფაქტს, რომ მეფის მკვლელობაში ეჭმიტანილი იყო სომეხი ეპისკოპოსი იოსებ არლუთინსკი-დოლგოროუკოვი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა პავლემ სომხური ეკლესიის პატრიარქად დაამტკიცა, მაგრამ სასულიერო პირი ინტრონიზაციას ვერ მოესწრო, რადგან 1801 წელს თბილისიდან ემიაძინისკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა.

#### **მინაწერი 8**

**416.** 18 „სომეხია?“ – 210-ე გვერდზე მინაწერი შესრულებულია სქოლიოს გასწვრივ, მარცხენა აშიაზე ნაცრისფერი ფანქრით. სიტყვა მიწერილია წიგნის იმ გვერდის სქოლიოს გასწვრივ, რომელშიც ხაზგასმულია რუსეთის იმპერატორთან დაახლოებული ერთ-ერთი პირის – არხაროვის გვარი. ამ გვერდზე საუბარია იმის შესახებ, რომ 1800 წლის 17 დეკემბრის მანიფესტის ხელმოწერამდე რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წაიკითხეს მოხსენება საქართველოს რუსეთთან შეერთების ხელსაყრელობისა და მომგებიანობის შესახებ. სქოლიოში ნათქვამია, რომ ამ მოხსენებას საბჭოს წევრთა უმრავლესობა არ დაეთანხმა, მაგრამ სანამ სხდომის ჩანაწერი მომზადდებოდა, მათ გამოუცხადეს, რომ იმპერატორს ეს გადანყვეტილება უკვე მიღებული აქვს და ჟურნალი ამის შესაბამისად უნდა დაიწეროს. არხაროვი ტექსტში მოხსენიებულია იმპერატორ პავლე პირველის მამამებლეთა შორის.

### **მინანარი 9**

**416.** 19-20 „А Тотлебенъ? два манифеста? Измѣна Бурнашова? Тотлебена? Языкова?“ – 227-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით და სქოლიოს ნიშნით მიწერილია წიგნის ზედა აშიაზე. სქოლიოს ნიშანი ასევე დასმულია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თითქოს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე არ აპირებდა საქართველოს მიერთებას იმპერიასთან. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ეჭვით უყურებს ამ მოსაზრებას. ის ასევე სვამს კითხვას: თუ ასეა, რით შეიძლება აიხსნას ორი მანიფესტი ან ბურნაშოვის, ტოტლებენისა და იაზიკოვის ქმედებები.

### **მინანარი 10**

**416.** 22-24 „Не совѣмъ такъ. Наполеонъ уже принималъ мѣры противъ этого, но не имѣлъ времени серьезно имъ заняться“ – 259-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით და სქოლიოს ნიშნით მიწერილია წიგნის ზედა აშიაზე. სქოლიოს ნიშანი ასევე დასმულია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებს არავითარი ინტერესები არ ჰქონდათ და ამიტომ რუსეთის იმპერატორ პავლეს წინ ვერ გადაეღობებოდნენ. მას კი შეეძლო ეს ქვეყანა ყოველგვარი რისკის გარეშე მიეერთებინა.

### **მინანარი 11**

**416.** 27-28 „и уже проникли наприимѣрь кавалеръ Эспиналь, агентъ Наполеона“ – 260-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით და სქოლიოს ნიშნით მიწერილია წიგნის ქვედა აშიაზე. სქოლიოს ნიშანი ასევე დასმულია იმ მონაკვეთის გასწვრივ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ პავლე პირველმა საქართველოს შეერთება მოასწრო იმ ქვეყნების აგენტების ამოქმედებამდე, რომელთაც ეს ფაქტი სამომავლოდ სირთულეებს შეუქმნიდა.

### **მინანარი 12**

**416.** 30 „ჯან!“ – 271-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია გვერდის მარჯვენა აშიაზე და ორი პარალელური ხაზით მონიშნავს იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთის დამოკიდებულება მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების მიმართ არ ჰგავდა ინგლისისას, რომელიც, მაგალითად, ინდოეთს აძლევდა მეტ თავისუფლებას. რუსეთის იმპერიას ახასიათებდა მართვის „ყოველმხრივი“ და „ყოვლისშთამნთქმელი“ მეთოდები. მინანარში მონიშნების გამომხატველი შორისდებულით ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, ირონიას გამოხატავს.

### **მინაწერი 13**

**416. 32 „აი!“** – 271-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია გვერდის მარჯვენა აშიაზე და ორი პარალელური ხაზით მონიშნავს იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ რატომ არ მოსწონდა რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოში პროტექტორატის დამყარება. მინაწერით ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს წინა აბზაცის შინაარსისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას.

### **მინაწერი 14**

**416. 34 „ჯან!“** – 272-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია გვერდის მარცხენა აშიაზე და ორი პარალელური ხაზით მონიშნავს იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთშიც იყვნენ საქართველოს შეერთების მოწინააღმდეგენი, მაგრამ მცირე იყო მათი რიცხვი და მათი მიდგომა საკითხისადმი უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო. მინაწერში, სავარაუდოდ, ილია ჭავჭავაძე მონიშნების გამომხატველი შორისდებულით ირონიას გამოხატავს.

### **მინაწერი 15**

**413. 32 „და!“** – 275-ე გვერდზე ტექსტი ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია გვერდის მარჯვენა აშიაზე და ორი პარალელური ხაზით მონიშნავს იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია დასავლეთ საქართველოს რუსეთისთვის მიერთებაზე და მეტაფორულად ნათქვამია, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯურის არგონავტების მიერ მიტაცებული ოქროს სანმისი ბოლოს, როგორც იქნა, დაუბრუნდა თავის ნამდვილ პატრონს – რუსეთს. თანხმობის გამომხატველი ნაწილაკით და მასთან დასმული ძახილის ნიშნით ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას წიგნის ფინალური ეპიზოდისადმი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას ერთგვარ კანონზომიერებად და სამართლიანობის აღდგენად წარმოაჩენს.

### **<მინაწერები ნიშნზე „Европейській умъ“> (მპ. 417)**

**წყარო:** L, TS 2908

**შენიშვნა:** წიგნის ავტორია მორიცი მიურე და იგი გამოიცა 1902 წელს პეტერბურგში.

## **მინაწერი 1**

**417. 8 „[... ное] [замѣчаніе]“** – ტექსტი წიგნის ბოლო გვერდზე ნაცრისფერი ფანქრით მიწერილია ნაცრისფერი ფანქრითვე ხაზგასმულ იმ მონაკვეთთან, რომელშიც საუბარია ევროპელ ებრაელთა ორმაგ ბუნებაზე.

## **მინაწერი 2**

**417. 10 „189 и т. д. Марксъ“** – ტექსტი ყდის შიდა მხარეზე ნაცრისფერი ფანქრით არის მიწერილი და, სავარაუდოდ, გულისხმობს ამავე წიგნის მითითებული გვერდიდან დაწყებულ ტექსტს.

### **<მინაწერები ხელნაწერზე „Программа**

**національдемократической партіи прогрессистовъ“> (ბვ. 417)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №1015, 2r., 3r.

**აღწერილობა:** მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, ნასწორები ილია ჭავჭავაძის მიერ. მე-9 მუხლთან, რომელშიც საუბარია ბატონყმობის გადმონაშთების საბოლოო ლიკვიდაციაზე, მიწერილია ჩამატების ნიშანი, მაგრამ თავად ჩასამატებელი ტექსტი შემორჩენილი არ არის.

**დათარიღება:** რამდენადაც პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის განხილვა ჩატარდა 1905 წლის 25 ოქტომბერს, ვფიქრობთ, ამობეჭდილი ტექსტი უნდა იყოს ის, რომლის განხილვაც ამ დღეს მოხდა, ილია ჭავჭავაძის სწორებები კი ამის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

**418. 24 „Кромѣ лицъ“** – ეს სიტყვები ჩამატებულია მე-15 მუხლის ბოლოს. ამ მუხლში საუბარია პოლიტიკური დამნაშავეების ამნისტიაზე და ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჩანს, გადაუწყვეტია, აქ ჩამატებულია, ვის არ შეეხებოდა ამნისტია.

# ნაწილი IX

## ამონაწერები სხვათა ნაშრომებიდან, წიგნებიდან დოკუმენტებიდან და პერიოდული გამოცემებიდან

### Милль, Деньги (გვ. 419)

**ხელნაწერი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.10 რ., v., 11რ.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლის ორივე მხარეს, ორ სვეტად, შავი მელნით. ტექსტი წარმოადგენს წიგნის მიმოხილვას და არა ციტირებას.

**დათარიღება:** ამონაწერები, სავარაუდოდ, გაკეთებულია ჯონ სტიუარტ მილის 1865 წელს გამოცემული ორტომეულიდან „Основания политической экономии с некоторыми из их применений к общественной философии“. შესაბამისად, ჩანაწერი ამ წელზე გვიანდელი ვერ იქნება.

**419. 4 „Милль“** – საუბარია ბრიტანელ ფილოსოფოსსა და ეკონომისტ ჯონ სტიუარტ მილზე.

### <ამონაწერი სენატის გადაწყვეტილების შესახებ> (გვ. 422)

**ხელნაწერი:** C №696 ა, გვ. 18. რ.

**აღწერილობა:** ამონაწერი გაკეთებულია ფანქრით და შავი მელნით უბის წიგნაკის თეთრ, უხაზო ფურცელზე, რომელიც ამჟამად სხვა უბის წიგნაკშია დაცული.

**დათარიღება:** რამდენადაც ამონაწერი გაკეთებულია 1869 წლის 15 დეკემბრის დოკუმენტიდან, იგი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

### <ამონაწერი მიუნცერიდან> (გვ. 423)

**ხელნაწერი:** M, 4263-ბ., გვ. 7-8.

**აღწერილობა:** ამონაწერი გაკეთებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია ფანქრით.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**423. 7 „слова Мюнцера“** – საუბარია გერმანელ პოლიტიკოს თომას მიუნცერზე.

### <ამონაწერები გვირაძისა და მიქელანჯელოს თხზულებებიდან> (გვ. 423)

**ხელნაწერი:** M, 4263-ბ., გვ. 11-15.

**აღწერილობა:** ამონაწერი გაკეთებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**423. 11 „говорить Гвѣращи“** – საუბარია იტალიელ პოლიტიკოს ფრანჩესკო დომენიკო გვერაციზე.

**423. 13 „Che importa“** – იტალიური ფრაზაა და ნიშნავს „ვის ადარდებს“, „რა მნიშვნელობა აქვს“.

**423. 18 „Микель Анджело“** – საუბარია მიქელანჯელო ბუონაროტიზე.

### Из Шлосера (გვ. 423)

**ხელნაწერი:** М, 4263-ბ., გვ. 16-24.

**აღწერილობა:** ამონაწერი გაკეთებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით, 22-ე გვერდზე ჩართულია ქართული ჩანაწერი.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

**423. 20 „ис. XVIII и XIX в.“** – ამონაწერები გაკეთებული უნდა იყოს ფრიდრიხ შლოსერის 1868 წელს გამოცემული ნიგნიდან „Исторія восемнадцатого столетія и девятнадцатого до паденія Французской Имперіи, съ особенно подробнымъ изложеніемъ хода литературы“ და სხვათა მითითებებიც აქედან უნდა იყოს.

**423. 29 „Шефтсбери, Characteristics, ed. Basil“** – საუბარია ინგლისელ ფილოსოფოს ემლი კუპერ ენტონი შეფტსბერისა და მის ნიგნზე, რომელიც დაიბეჭდა 1790 წელს ბასილის გამომცემლობაში.

**423. 34 „Толендъ“** – სავარაუდოდ, საუბარია ირლანდიელ ფილოსოფოს ჯონ ტოლანდზე.

**424. 10. „Шлосерь, Всемирная история, т. I“** – საუბარია ფრიდრიხ შლოსერის ნიგნზე „Всемирная история“, რომელიც რუსულ ენაზე პირველად 1861 წელს გამოიცა.

**424. 3 „Лессингъ“** – საუბარია გერმანელ პოეტსა და დრამატურგ გოტჰოლდ ლესინგზე.

**424. 3 „пьесы Ла-Шоссе“** – საუბარია ფრანგ დრამატურგ პიერ კლოდ ლამოსეზე.

424. 12 „Из книги I. I. Гонегера“ – მოხმობილია ციტატა იოჰან იაკობ ჰონეგერის 1867 წელს გამოცემული ნიგნიდან „Очеркх литературы и культуры девятнадцатого столетія“.

424. 19 „Макіавели (стр. 10. Государь“ – საუბარია ნიკოლო მაკიაველის ნიგნზე „სახელმწიფო“.

424. 30 „Данте: „Rade volte... chiami“ – ციტატა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ „განსაწმენდელიდან“ VII, 121-123.

424. 35 „Гумбольдт въ Космосъ“ – საუბარია ალექსანდრ ფონ ჰუმბოლტის ნიგნზე „კოსმოსი“, რომლის პუბლიკაციაც რუსულ ენაზე ჟურნალში „ოტჩენესტვენნიე ზაპისკი“ დაიწყო 1845 წელს.

425. 3 „Кери“ – სავარაუდოდ, საუბარია ამერიკელ ეკონომისტ ჰენრი ჩარლზ კერიზე.

425. 9 „Линднеръ“ – საუბარია გუსტავ ადოლფ ლინდნერის პედაგოგიურ სწავლებაზე.

426. 18 „изслѣдованіемъ Д<sup>на</sup> Берда“ – სავარაუდოდ, საუბარია ამერიკელ ექიმ ჯორჯ მილერ ბირდზე.

426. 29 „Сенека“ – იგულისხმება ლუციუს ანეუს სენეკა.

426. 35 „Избери же себѣ Катона“ – სავარაუდოდ, საუბარია მარკუს პორციუს კატონზე.

427. 2 „на Левіи“ – სავარაუდოდ, საუბარია ტიტუს ლივიუსზე.

### **<ჟურნალიდან „Русский вестник“ (გვ. 427)**

**ხელნაწერი:** М, 4263-ხ., გვ. 22.

**აღწერილობა:** ამონაწერი გაკეთებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ჩანაწერი შესრულებულია შავი მელნით და ჩართულია უფრო ვრცელ ჩანაწერში.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

427. 13 „დალიჯი (სამეუფო)“ – „un dais royal“ – სამეფო ტახტის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა და მისი ფრანგული შესატყვისი.

427. 13 „(გეოგრაფია, I გვერდი)“ – არ არის დაკონკრეტებული, გეოგრაფიის რომელი ნიგნი იგულისხმება.

### **<ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა საძიებელი> (გვ. 427)**

**ხელნაწერი:** С, ქართულ ხელნაწერ ნიგნთა ფონდი, S – 5079.

**აღწერილობა:** ნაწერია თაბახის ფურცლებზე შავი მელნით. იქვე მოცემული გვერდების მითითება მიგვანიშნებს, რომ ტექსტებიც

უკვე მოძიებული იყო და თან ახლდა სარჩევს. ზოგიერთი ლექსის გვერდის აღმნიშვნელი ციფრის შემდეგ ლურჯი ფანქრით არის გასმული ხაზები, ზოგან დახრილი, ზოგან – ჰორიზონტალური.

**დათარიღება:** 1881 წლის 21 ივნისს რაფიელ ერისთავისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ქართული წიგნის მბეჭდავმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული გამოცემა. ცნობილია, რომ მის მომზადებაში გიორგი თუმანიშვილთან და პეტრე უმიკაშვილთან ერთად ილია ჭავჭავაძეც მონაწილეობდა და ეს სარჩევი, სავარაუდოდ, მის მიერ 1881 წლის 21 ივნისის შემდეგ უნდა იყოს მომზადებული.

**427. 17 „თარგმანი ვოლტერიდამ“** – საუბარია ფრანგ მწერალზე, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი იყო ფრანსუა მარი არუე.

**427. 28 „თავთიერებ მანათი“** – იგულისხმება ვარსკვლავივით მანათობელი.

**428. 1 „აჯას ვამრავლებ“** – იგულისხმება თხოვნა-ვედრების გამრავლება.

**428. 6 „ბალახშ ბეზეკის“** – იგულისხმება ლალივით ელვარე.

**428. 7 „ქენებით ვჰხმოვანებ“** – იგულისხმება ხვეწნა, ლაღადება.

**428. 23 „ვაი დრონი დრონი“** – პირველი სიტყვა, რომელიც სხვა გამოცემებში სხვაგვარად არის, აქ ასე წერია.

**428. 34 „პავლე პირველის“** – საუბარია რუსეთის იმპერატორზე 1796-1801 წლებში.

**429. 15 „ბებუთოვის ლექსები“** – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

### **<სალექსიკონო მასალა წმინდა წერილიდან> (გვ. 429)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №204, 1-5 რ., v.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლებზე, შავი მელნით, ორ სვეტად. №204, 6-7 რ., v. დაცულია ცალხაზიან ფურცლებზე ფანქრით სხვისი ხელით ნაწერი მსგავსი მასალაც, რომელიც გამოცემაში არ შეგვაქვს. ლექსიკონისთვის შერჩეულია ტექსტები ძველი და ახალი აღთქმიდან. ძველიდან არის „დაბადება“, ისაიასა და იოზის წიგნები და დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები, ახალი აღთქმიდან – მათე და იოანე მოციქულთა სახარებები, ლუკა მოციქულის „საქმე მოციქულთა“ და იაკობ მოციქულის ეპისტოლე. ტექსტის ბოლო ნაწილში სათაურის „დაბადება“ შემდეგ ძველი ქართული ასოებით წერია „დბ“.

**დათარიღება:** რამდენადაც ტექსტში, სიტყვების განმარტებისას არაერთგან არის გამოყენებული ილია ჭავჭავაძის მიერვე მომზა-



დებული საანდაზო ლექსების მასალა, იგი არა უადრეს 1883 წლის 1 დეკემბრისა უნდა იყოს დაწერილი.

**432. 6 „ხედვიდეთ და არა იხილონ“** – ბოლო სიტყვა უნდა ეწეროს „იხილოთ“.

**435. 20 „უმრკნელი“** – უნდა ეწეროს „უმურკნელი“.

**437. 2 „პ. ლარაძე“** – იგულისხმება პოეტი და კალიგრაფი პეტრე გიორგის ძე ლარაძე.

**439. 3 „არდაგი“ – (13 – 3)“** – უნდა ეწეროს (13 – 4)

**439. 35 „მსთვლი“** – ნაცვლად უნდა ეწეროს „მსთუაი“.

### **<აფორისტული გამონათქვამები სულხან საბა ორბელიანის თარგმნილი „ქილილა და მანანა“ და რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“> (გვ. 442)**

**ავტოგრაფი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №206.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლებზე, შავი მელნით. ზოგ ციტატას წინ იმავე მელნით მიწერილი აქვს პლუსი და ზოგიერთი ფრაზა ხაზგასმულია წითელი ფანქრით. ეს ადგილები გამოცემაშიც ასევე გვაქვს წარმოდგენილი. ჟურნალ „ივერიაში“ მასალას აქვს ასეთი შენიშვნა: „პირველის სტრიქონის პირველის ასოს მიხედვით ანბანზედ ჩამოვარიგეთ ლექსები. ზოგი იქნება საანდაზოდ არ ვარგოდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ამოვწერეთ, როგორც სიტყვა-მოხერხებულნი მაგალითნი, ზოგან მხოლოდ ორიოდ ლექსში თითო-ოროლა სიტყვა შევცვალებთ, რომ კერძოდ თქმულს აზრს ზოგადის აზრის მნიშვნელობა მისცემოდა“.

**დათარიღება:** ამ საანდაზო ლექსების პირველი ნაწილი (ა, ბ, გ, დ) ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1883 წლის მე-11 ნომერში, რომელზეც ცენზურის ნებართვა გაცემულია ამავე წლის 1 დეკემბერს. შესაბამისად, ჩანაწერების პირველი ნაწილი მანამდე უნდა იყოს შესრულებული, მაგრამ, რამდენადაც ტექსტის ბოლოში 31 დეკემბერი წერია, იგი იმავე წლის 31 დეკემბერს უნდა დაესრულებინა.

**442. 30 „ქილილა და მანა“** – იგულისხმება სულხან საბა ორბელიანის მიერ სპარსულიდან თარგმნილი ზღაპრების კრებული. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში იკითხება „ქილილა და დამანა“. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე სათაურთან დაკავშირებით სხვა წყაროს ეყრდნობოდა.

**443. 1 „რუსთველი“** – ნაწილი ციტატებისა ამოღებულია შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

**443. 27 „სათნი დავკარგე“** – საუბარია გიშრის ქვაზე.

449. 3 „ტრელთა ენათა ეკრძალე“ – იგულისხმება მზაკვარი, პირფერი ადამიანები.

449. 8 „თუ კაცსა სჭირია (ეცისა)“ – როგორც ჩანს, ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ციკატაში სიტყვა შეცვალა. წყაროში წერია „ეცისა“ და მან ჩაანაცვლა სიტყვით „სჭირია“.

449. 10 „არისტოტელის თქმულია“ – საუბარია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნის ბერძენ ფილოსოფოსზე.

449. 32 „არ ბოროტსა არ დაბადეს“ – უნდა იყოს „და ბოროტსა არ დაბადებს“.

449. 33 „ღმერთსვე მადლი, ესე იყო“ – წყაროში წერია „მასვე მადლი“, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ღმერთი იგულისხმებოდა და ილია ჭავჭავაძეს შეუცვლია, რომ ამონარიდი კონტექსტის გარეშეც გასაგები გაეხადა.

449. 37 „ღადარა პირისგამტეხი აღთქმის დაუპყრობელი“ – ეს ფრაზა ტექსტში შემდეგ არის ჩამატებული, მაგრამ შეცდომით არის მითითებული ჩასმის ადგილი. იგი უნდა ეწეროს ფრაზის: „ყოველგან საძაგელია მუხთალი, მიუნდობელი“ შემდეგ.

450. 25 „ძუნობა ჰსჯობს გაროქვასა“ – გაროქვაში იგულისხმება ვინმეს ძარცვა, ქონების გატაცება, გახელება, გაგიჟება.

451. 17-18 „შორით ჰფშვის“ – იგულისხმება სურნელების ფრქვევა.

451. 23 „უგბილთა სისხლი აენყო“ – იგულისხმება უხეირო, გონებაგაუხსნელი ადამიანები.

451. 37 „გულსა დაჰბალთავს“ – დაბალთვაში იგულისხმება ჭრილობების მიყენება.

452. 1 „სოლომონ აძაგებს“ – იგულისხმება სოლომონ წინასწარმეტყველი.

452. 8 „დამადვა ხონდრონი“ – ხონდროში იგულისხმება მსხვილი, უხეში რალაც.

452. 31 „ვითა საღრტილი“ – იგულისხმება კაყი.

453. 9 „სასოსა პირსა არ ჰნახავს“ – სასოში უნდა იგულისხმებოდეს ის, ვისზედაც იმედს ამყარებ, პირი განუკვეთელი, ჰიპოსტასი.

453. 24 „მალრანმა“ – პატარა ალკური ფრინველია.

454. 19 „წოტსავით კლდეს იჯდე“ – საუბარია პატარა ბუზე.

454. 19 „ნატამალშია ჰსრინედე“ – იგულისხმება სადღაც მიყუყუელი ხმამალა სუნთქავდე, ქშენდე.

455. 21 „მებრუობისა მოშიშმან“ – იგულისხმება ნაბახუსეგზე ყოფნა.

455. 32 „**ვითა ქარქვეტი**“ – იგულისხმება ბალახის ხმელი ღეროები.

455. 34 „**მუმლთა შეპყრობად**“ – ილია ჭავჭავაძე აკეთებს შენიშვნას, რომ ტექსტში წერია „მუმლთა“.

456. 8 „**ლაგვანთ ნადგამი**“ – იგულისხმება დიდი ქვევრის ან ჭურჭლის ნადგამი.

456. 21 „**მრეშვლად მებაგურისა**“ – იგულისხმება ადამიანი, რომელიც შეშას უმატებს ცეცხლს.

457. 23 „**უცბთა აღერსი**“ – იგულისხმება დაუფიქრებელი ადამიანი.

458. 24 „**მუტრიბი ხარ**“ – იგულისხმება მეჩანგე ქალი.

459. 2 „**ყანობირი და კრცხალია**“ – იგულისხმება ყანა და ორი წლის დაუთესავი მიწა.

459. 33 „**ავთა მფშველი**“ – ცუდი სურნელის მქონე.

### **<ამონანერიპი სპენსერის, ტინის, ბიორნეს, ჰაინეს და ლესინგის თხზულებებიდან> (გვ. 460)**

**ხელნაწერი:** M, 4263-ხ., გვ. 6, 7, 11-15.

**აღწერილობა:** ამონანერი გაკეთებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით, რუსულად.

**დათარიღება:** რამდენადაც ერთ-ერთი ამონანერი გაკეთებულია 1886 წელს გამოცემული წიგნიდან, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

460. 15 „**Спенсер. ibid.**“ – როგორც ჩანს, რვეულს წინ ფურცელი აკლია, რომელზეც უნდა ყოფილიყო დასახელებული ეს წიგნი. საუბარი უნდა იყოს ჰერბერტ სპენსერის თხზულებათა პირველ ტომზე, რომელიც 1867 წელს გამოიცა.

460. 22 „**Спенсеръ: физиологiя слога**“ – სპენსერის თხზულებათა პირველ ტომში არის თავები: „**Физиологiя смеха**“ და „**Философiя слога**“. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ წერისას ამ ორი სათაურის ელემენტები აურია ერთმანეთში. კონტექსტიდან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს თავზე „**Философия слога**“.

461. 7 „**О предметѣ поэзии. Тѣнь.**“ – საუბარი უნდა იყოს იპოლიტ ტენის წიგნის „**Происхождение современной Францiи**“ პირველ ტომზე, რომელიც გამოიცა 1880 წელს.

461. 8 „**Бѣрне в надгробном словѣ**“ – საუბარია გერმანელ მწერალ კარლ ლუდვიგ ბიორნეზე, რომლის ნამდვილი სახელი იყო იუდა ლეიბ ბარუქი.

461. 8 „Жан Поль Рихтеру“ – საუბარია გერმანელ მწერალ ჟან პაულზე, რომლის ნამდვილი სახელი იყო იოჰან პაულ ფრიდრიხ რიხტერი.

461. 24 „Гейне. О Романтической школы“ – საუბარი უნდა იყოს ჰაინეს ნარკვევებზე, რომელიც 20 წლის ასაკში დაწერა.

461. 26 „Лессингъ. Лаоконъ“ – საუბარია გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის ტრაქტატზე „ლაოკონი“, რომელშიც საუბარია ფერწერისა და პოეზიის განმასხვავებელ ნიშნებზე და რომელიც რუსულ ენაზე პირველად 1859 წელს გამოიცა.

### **<კანონის პარაბრაფები> (გვ. 461)**

**ხელნაწერი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.9 r.

**აღწერილობა:** ნაწერია თაბახის ფურცლის ჩამონაჭერზე შავი მელნით.

**დათარიღება:** რამდენადაც ამავე ფურცლის მეორე მხარეს იოსებ კაბლიცის 1886 წელს გამოცემული წიგნია ნახსენები, ამონაწერი ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

### **<ამონაწერები კაბლიცის წიგნიდან> (გვ. 462)**

**ხელნაწერი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.9 v.

**აღწერილობა:** ნაწერია თაბახის ფურცლის ჩამონაჭერზე შავი მელნით.

**დათარიღება:** რამდენადაც იოსებ კაბლიცის ხსენებული წიგნი 1886 წელს არის გამოცემული, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

462. 2 „Юзовъ“ – საუბარია იოსებ ივანეს ძე კაბლიცის (წერდა ფსევდონიმით იუზოვი) წიგნზე „Интеллигенция и народъ въ общественной жизни Россіи“.

462. 4 „ibidem“ – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „იმავე ადგილას“, გვხვდება შემოკლებებით ibid და ib.

### **Книга Уорда (გვ. 462)**

**ხელნაწერი:** C, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.8.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცელზე, შავი მელნით, ორ სვეტად.

**დათარიღება:** რამდენადაც შკლიარევიჩი დასახელებულ თანამდებობაზე იყო 1889 წლიდან, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება.

462. 17 „laissez faire“ – საუბარია თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ ფილოსოფიაზე, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების ჩაურევლობას.

462. 28 „Пред. Губ. Зем. Управы Шкларевичъ“ – საუბარია გუბერნიის საერობო მმართველობის თავმჯდომარეზე 1889 წლიდან, პეტრე დანიელის ძე შკლიარევიჩზე.

462. 31 „Конть о свонидѣ“ – საუბარია პოზიტივისტური ფილოსოფიის ფუძემდებელ ოგიუსტ კონტზე.

### **<ამონაწერები ჟურნალიდან „Миръ Божій“> (გვ. 463)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ. 15რ.

**აღწერილობა:** ნაწერია თაბახის ფურცლის მთელ სიგანეზე, ფანქრით.

**დათარიღება:** რამდენადაც ჟურნალი “Миръ Божій” გამოდიოდა 1892 წლიდან, ამონაწერები ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

463. 4 „(Г. Спенсеръ) М. Божій“. – საუბარია ჰერბერტ სპენსერსა და მის პუბლიკაციაზე ჟურნალში „Миръ Божій“.

463. 5 „В. Гюго“ – იგულისხმება ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო.

463. 7 „Пастеръ“ – იგულისხმება ცნობილი ფრანგი მიკრობიოლოგი, ლუი პასტერი.

463. 10 „Бартоло“ – საუბარია მე-14 საუკუნის ცნობილ იტალიელ იურისტზე, ბარტოლო დე სასოფერატოზე, რომელიც ცდილობდა ფეოდალებს შორის შიდა ომების პრობლემის სამართლებრივი მოგვარების საფუძვლის შექმნას.

### **Бельтовъ (Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на Историю. 1895 г.) (გვ. 464)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.4-7.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლებზე, შავი მელნით. ზოგან ტექსტი ორ სვეტად წერია და გამოცემაში ასევე ვტოვებთ. „Эклектичскій“ – ასო „п“ ზედმეტია.

**დათარიღება:** რამდენადაც ამონაწერები გაკეთებულია 1895 წლის ნაშრომიდან, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

464. 1 „Бельтовъ“ – ეს არის პოლიტიკური მოღვაწის, გიორგი ვალენტინის ძე პლехანოვის ფსევდონიმი.

464. 5 „Жорданія“ – იგულისხმება ნოე ჟორდანია, რომელთანაც ილია ჭავჭავაძეს ვრცელი პოლემიკა ჰქონდა დემოკრატიის საკითხებთან დაკავშირებით.

464. 17 „братъевъ Бауэровъ“ – საუბარია ედგარ და ბრუნო ბაუერებზე.

464. 22 „Марксъ“ – საუბარია კარლ მარქსზე.

464. 24-25 „гегелевскаго взгляда“ – იგულისხმება გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის შეხედულება.

465. 20 „Аристотеля или Ксенофонта“ – იგულისხმებიან ბერძენი ფილოსოფოსი და ათენელი ისტორიკოსი.

465. 21 „Адама Смита“ – საუბარია შოტალნდიელ პოლიტიკურ ეკონომიკოსსა და ფილოსოფოსზე.

466. 22 „Гизо, Тьери, Минье давно объявили“ – საუბარია ფრანგ ისტორიკოსებზე: ფრანსუა პიერ გიომ გიზოზე, ოგიუსტენ ტიერისა და ფრანსუა-ოგიუსტ მინიეზე.

467. 25-26 „Л. Буль в своемъ сочиненіи **Andeutungen**“ – საუბარია გერმანელ მწერალ ლუდვიგ გერმან ფრანც ბულსა და 1845 წელს გამოცემულ მის ნიგნზე „**Andeutungen über die Noth der arbeitenden Klassen und über die Aufgabe der Vereine zum Wohl derselben**“

### **Вліяніе капитала (გვ. 467)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ. 12 რ., 13 რ., v.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლებზე, ორ სვეტად, შავი მელნით. ამონაწერები, სავარაუდოდ, გაკეთებულია კარლ მარქსის 1897 წელს გამოცემული ნიგნიდან „Капитал: Критика полит. экономии“.

**დათარიღება:** რამდენადაც ამონაწერები გაკეთებულია 1897 წელს გამოცემული ნიგნიდან, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება.

467. 36 „М – съ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება კარლ მარქსი.

468. 19 „Гладстонъ“ – სავარაუდოდ, საუბარია დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ უილიამ გლადსტონზე, რომელსაც ხშირად აკრიტიკებდა მარქსი.

### **Марксь – Энгельсь, Русское богатство №9 (12) 1899 г. (გვ. 470)**

**ხელნაწერი:** С, ილია ჭავჭავაძის არქივი, №208, გვ.1-3.

**აღწერილობა:** ნაწერია უხაზო ფურცლებზე, შავი მელნით.

**დათარიღება:** რამდენადაც ამონაწერები გაკეთებულია 1899 წლის პუბლიკაციიდან, იგი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება..

470. 2 „По мнѣнію Бернштейна“ – საუბარია რეფორმიზმის თეორეტიკოს ედუარდ ბერნშტეინზე.

470. 7-8 „Энгельса Конраду Шмидту“ – საუბარია ფრიდრიხ ენგელსის 1890 წელს გამოქვეყნებულ წერილზე.

470. 10-11 „**Zur Kritik der politischen Oeconomie**“ – საუბარია კარლ მარქსის ნიგნზე „**Zur Kritik der politischen Oeconomie**“.

470. 28 „и Фейербахъ“ – საუბარია ლუდვიგ ფეიერბახზე.

470. 33 „Дарвиномъ“ – საუბარია ჩარლზ დარვინზე.

# ნაწილი X

## სხვათაგან ჩაპირად გადმოცემული ტექსტების ჩანაწერები

### ლოცვანი ხევისურთა დანარილნი 1865 წელსა ხევისურის სიტყვითა (გვ. 478)

**ხელნაწერი:** M, 4263-ხ., გვ. 2, 3.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით.

**თარიღი:** სათაურში 1865 წელია მითითებული

478. 16 „მინრიელ დაულაგმე“ – საუბარია ეშმაკის შეკავებაზე.

478. 18-19 „ყალანს ზიდევდეს“ – საუბარია ბეგარაზე.

### მოსავეური სიძღვარანი – დანარილნი სტაფან-წმინდას 22-ს მარტსა, 1871 წელ. (გვ. 473)

**ხელნაწერი:** M, 4263-ხ., გვ. 3, 4, 5.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით.

**თარიღი:** სათაურში 1871 წლის 22 მარტია მითითებული

### გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისგან ჩანარილი (გვ. 474)

**ხელნაწერი:** M, 4263-ხ., გვ. 5.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით.

**თარიღი:** რამდენადაც ამავე გვერდზე არსებული წინა ჩანაწერი 1871 წლის 22 მარტით არის დათარიღებული, ეს ამაზე ადრეული ვერ იქნება.

472. 21 „გიორგი მუხრანსკის“ – საუბარი უნდა იყოს გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

472. 26 „რაბტს უზამო“ – იგულისხმება ალვირივით მოთოკვა.

### გიორგი ერისთავისა ექსპონატები (გვ. 474)

**ხელნაწერი:** M, 4263-ხ., გვ. 5.

**აღწერილობა:** ჩანანერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით.

**თარიღი:** რამდენადაც ამავე გვერდზე არსებული წინა ჩანანერი 1871 წლის 22 მარტით არის დათარიღებული, ესეც ამაზე ადრეული ვერ იქნება.

**474. 30 „გიორგი ერისთავისა“** – იგულისხმება გიორგი იასეს (ეესევის) ძე ერისთავი.

**474. 33 „მელანია ნასწავლია“** – როგორც ჩანს, ეს ექსპრომტები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან იყო გავრცელებული, რადგან გრიგოლ ორბელიანი 1844 წელს თავის რძალს სწერს: „გიორგი ერისთავმა რაც უნდა დაიწყო, ბოლოს მელანია უნდა გალანძლოს“. ძნელია ასეთი ლექსების ადრესატად ვინმეს დასახელება, მაგრამ სიტყვები „ნასწავლია“ და „ნაჩიტანა“ თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს ამ ქალბატონის განათლებულობასა და რუსულ ორიენტაციაზე. ამიტომ ვფიქრობთ, შესაძლოა, საუბარი იყოს მელანია ბადრიძეზე, რომელმაც სიყმანვილე პეტერბურგში გაატარა და თბილისში დაბრუნებულმა მწერლობას მიჰყო ხელი. ის აღფრთოვანებული იყო იმით, რომ თბილისი მიხეილ ვორონცოვის დროს განვითარების ევროპულ გზას დაადგა. არ გამოვრიცხავთ, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ასეთი ქალის მიმართ ისეთი დამოკიდებულება გამოეხატათ, როგორც ამ ლექსებშია.

### **ღუშეთის ტარტარასაგან შიშიტყვი 1871 წ. 18 ოქტომ. (გვ. 475)**

**ხელნაწერი:** M, 4263-ბ., გვ. 6, 7, 11-15.

**აღწერილობა:** ჩანანერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია შავი მელნით. ფრჩხილით მიწერილი აქვს „20“. ამის წინ მე-19 მუხლით წარმოდგენილია რუსულენოვანი ამონაწერები, მაგრამ 1-18 მუხლები რვეულში არ ჩანს, რაც ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ რვეულს ფურცლები აკლია.

**თარიღი:** 1871 წლის 18 ოქტომბერი.

### **ილია აბხაზისაგან (გვ. 475)**

**ხელნაწერი:** M, 4263-ბ., გვ. 7.

**აღწერილობა:** ჩანანერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია ფანქრით.

**დათარიღება:** რამდენადაც წინა ჩანანერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.



475. 15 „ილია აბხაზისაგან“ – სავარაუდოდ, საუბარია ილია დავითის ძე აბხაზზე.

475. 16 „ციოყ დადიშვილიანის სახლში“ – საუბარია სვანეთის ერთ-ერთი ნაწილის მთავარზე.

475. 17 „თამარის ბეჭედი“ – იგულისხმება თამარ მეფე.

### პარლანახში (გვ. 476)

ხელნაწერი: M, 4263-ხ., გვ. 8-9.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია ფანქრით.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

476. 17 „სათმეურისა“ – იგულისხმება თმის საკრავი.

### ბამოცანები (გვ. 477)

ხელნაწერი: M, 4263-ხ., გვ. 9-10.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია ფანქრით.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

477. 12 „თავს დაჯდება მეითარი“ – საუბარია მეფის მოხელეზე.

477. 12 „მოუჯდება მას თარხანი“ – საუბარია მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელზე.

477. 21 „ღარბის შეთირი“ – იგულისხმება შიკრიკი.

### ბიორბი ჯორჯაძისაგან (გვ. 477)

ხელნაწერი: M, 4263-ხ., გვ. 10-11.

**აღწერილობა:** ჩანაწერი შესრულებულია უყდო რვეულში (21,5X18 სმ.), რომელსაც სატიტულო გვერდზე აწერია „სახსოვარი“. ტექსტი ნაწერია ფანქრით.

**დათარილება:** რამდენადაც ერთ-ერთი წინა ფურცლის ჩანაწერი 1871 წლის 18 ოქტომბერზე ადრეული ვერ იქნება, ასევე უნდა იყოს ესეც.

477. 29 „გიორგი ჯორჯაძისაგან“ – შესაძლოა საუბარი იყოს გიორგი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

478. 20 „სოლომონ მსაჯულისა“ – საუბარია სოლომონ ლიონიძეზე.

# საძიებლები

## პირთა საძიებელი

### ა

**აბრამა** – 229

**აბხაზი ილია დავითის ძე** (1828-1893) – 1849 წელს ცოლად მოიყვანა ანასტასია დავითის ასული ანდრონიკაშვილი – 475

**ავალიშვილი (Аваловъ)** – 151, 183

**ავალიშვილი (Аваловъ) დავით ივანეს ძე** (1845-1897) – რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი. 1883 წელს აირჩიეს ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ. თადარიგში გასვლის შემდეგ იყო ნაფიცი ვეჟილი და თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი – 172, 326, 327, 339

**ავალიშვილი (Ив. Заал. Аваловъ) ივანე ზაალის ძე** – გორელი მემამულე – 133, 134, 135, 138, 139

**ავალიშვილი (Ник. Зах. Аваловъ) ნიკოლოზ ზაქარიას ძე** (1842-1895) – თელავის მაზრის სოფელ სანიორეს მებატონე – 155

**ავალიშვილი ანა (Анна Авалова)** – 133

**ავალიშვილი ევდოკია (Евдокия Авалова)** – 133

**ათაბეგოვი (Атабеков) გეორგ კაზარის ძე** – სახელმწიფო მოხელე, 1868 წლიდან სამოქალაქო მრჩეველი, 1901 წელს იყო მიწათმონყობის დავების რევიზორი – 522

**ათოლა** – 250

**აკოფოვი ასაგურ პეტრეს ძე (Акоповъ Асагуръ Петровъ)** – 201

**ალექსი** – 172

**ალექსანდრე (Александра II) II** (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში – 391

**ალექსიშვილი (დავით რექტორი) დავით** (1745-1824) – ქართველი კალიგრაფი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და პედაგოგი – 267

**ალექსიშვილი ელიაზარ სოლომონის ძე (Елиазар Соломонов Алексѣев)** – 478

**ალიხანოვი (Алиханов) ივან სერგის ძე** – თბილისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე – 136, 137, 138, 139

**ამატუნი ნაპოლონ ივანეს ძე** (1839-1899) – ვეჟილი, თბილისის საკრედიტო ბანკის თავმჯდომარე, თსს ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ზედამხედველი კომიტეტის წევრი, თბილისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი – 303

**ამბრიევი Амбриева** – 180, 181

**ამილახვარი** – 328

**ამილახვარი დ.** – 327

**ამილახვარი** (Амиллахвари Ив. Теймуразович) ივანე თეიმურაზის ძე (1829-1887) – თეიმურაზ ივანეს ძე ამილახვრისა და სალომე ივანეს ასულ ფალავანდიშვილის ვაჟი, ცოლად ჰყავდა ნინო ივანეს ასული ალადატოვი – 178

**ამირალოვი აბელ** (Абель Амирагов) – მეორე გილდიის ვაჭარი – 133

**ამიროვი** Амиров – 178, 182, 187

**ამირხანოვი** (Амирханов) – 226

**ანგოლტი** Ангольтъ – 141

**ანდრია** – 166

**ანდრონიკაშვილი** (ანდრონიკოვი, Георгій Андр., Г. Андрониковъ, Андроников Георгій) გიორგი სოლომონის ძე (1841-1908) – პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“ – 151, 176, 183, 184

**ანდრუა** – 207

**ანდრუშკევიჩი** (Андрушкевич) – 178

**ანტონი** (Антонъ) – 228, 229, 231, 232, 264

**ანტონ I** (Антоній) ბაგრატიონი თეიმურაზ იესეს ძე (1720-1788) – საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, ვახტანგ VI-ის ძმისწული, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – 416

**ანტონოვიჩი** (Антонович) მაქსიმ ალექსეის ძე (1835-1918) – რუსი ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და მოყვარული გეოლოგი – 152, 205

**არისტოტელე** (Аристотель) – ძველი ნელთაღრიცხვით IV საუკუნის ბერძენი მეცნიერი, ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი, პლატონის მოსწავლე – 449, 465

**არნდტი** (П. Арндт) პაულ იულიუს (1865-1937) – გერმანელი არქეოლოგი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ძველი სკულპტურების კოლექციონერი, სწავლობდა ბერძნულ ხელოვნებას – 207

**არტემა** – 171

**არლუთინსკი-მხარგრძელი** (Іосіфъ Аргутинскій) იოსებ (1743-1801) – სომხური გრიგორიანული ეკლესიის კათოლიკოსი, რომელიც რუსეთს ეხმარებოდა კავკასიის ხალხთა შეერთებაში. მოკლეს, როდესაც თბილისიდან ეწმიაძინში მიემგზავრებოდა – 416

**არნრუნი** (Арцруни) გრიგოლ (1845-1892) – ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დოქტორი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. განათლება მიიღო მოსკოვის, პეტერბურგის, ჟენევის, ციურიხისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში – 74, 178

**ასახოლლი ყურბან** – თბილისელი ყასაბი – 175

**ასტაფიევი (Астафьевъ) ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** (1825-1906) – რუსი ისტორიკოსი და პედაგოგი, წერდა ქრისტიანულ საკითხებზე – 188

**ალმუროვი (Агмуров)** – 184, 198

**ახალაური იოსებ** – ხევსურეთის მცხოვრები – 145

**ახნაზაროვი არტემ (არტემის) მიხეილის ძე** (1866-1942) – მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე – 185, 248

## ბ

**ბაგიროვი (Багировъ)** – 136

